ალექსანდრე ლორთქი

ჩანაწერები ჩანგზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, 1980

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი ეტიუდები დაწერილია სხვადასხვა დროს. მათი ერთი ნაწილი ადრე გამოქვეყნებული იყო პერიოდულ გამოცემებსა და შრომათა მცირეტირაჟიან კრებულებში, ხოლო მეორე ნაწილი პირველად იბეჭდება. თემატიკურად წერილები შეიძლება რამდენიმე რკალად დაჯგუფდეს, მაგრამ აქვთ შეხების წერტილებიც, რამაც მათი ერთად თავმოყრა განაპირობა. ძირითადი აქ მაინც ლექსიკისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებია.

ქართული ლექსიკა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია კვლევაძიების ვრცელ სარბიელს იძლევა. საჩხრეკი და ასაწონ-დასაწონი ბევრია. მუშაკნიც ცოტა როდი გვყავს. ძველი ქართულისა და ქართული ენის დიალექტური სამყაროს იზოგლოსებს ყურადღება არც ადრე აკლდა, მაგრამ ამჟამად ისინი ერთ-ერთი პირველი რიგის დაკვირვების საგნებია. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში მუშაობა უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი გახადა ძველი ქართულის ტექსტების, მათ შორის უნიკალური ძეგლების, მეცნიერულმა პუბლიკაციებმა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ასევე დიალექტთა ტექსტებისა და მცირე სიტყვარების გამოცემებმა ხელი შეუწყვეს ქართული კილო-თქმების ახალი ასპექტით შეჯერებასა და ქართველურ ენათა სტრუქტურის შესაბამის ელემენტებთან მათ მიმართებათა კომპლექსურ შესწავლას. ტექსტების სანდო პუბლიკაციებმა, რასაც თაობების ძალ-ღონე დასჭირდა და ახლაც ფართო გეგმით ხორციელდება, დაკვირვებას მყარი საფუძველი შეუქმნეს და ქართული ენის სისტემაში დამკვიდრებული ენობრივი ელემენტების სტრუქტურების ერთობლიობის გამოვლენის კვლევა მეცნიერულ საყრდენებზე დააყენეს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან, როგორც ცნობილია, ენის ელემენტებისა და მიმართებების სინქრონიული აღწერის გარეშე ვერ მოხერხდება ენის მთლიანი დიაქრონიული აღწერა, ხოლო ენის ელემენტთა მიმართებების სინქრონიული და დიაქრონიული აღწერა ჩვენ ერთიან პროცესად გვაქვს წარმოდგენილი. ამიტომ აქ მკითხველი შეხვდება მსჯელობას ძველი და თანამედროვე ქართულის, აგრეთვე კილო-თქმათა

ლექსიკის იმ მასალასა და ელემენტებზე, რომელთაც ახლო ურთიერთობა აქვთ ენის მთლიან ფონეტიკურსა და გრამატიკულ სტრუქტურასთან.

წერილებში მოცემული ენობრივი ელემენტების კვალიფიკაცია, ცხადია, არც ცალკე და არც ერთად აღებული მიზნად არ ისახავს ენის მთლიან სისტემურ ანალიზს. მისი მიზანი მოკრძალებულია: გამოდგეს მასალად ენის სტრუქტურის ელემენტების შემდგომი ანალიზისა და მიმართებათა აღწერისათვის.

ლექსიკოგრაფიულ ეტიუდებში განხილული ინფორმაციის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქართული ლექსიკოგრაფიის ასპექტების შემდგომ დაზუსტებას. ეს ერთნაირად ითქმის როგორც საკუთრივ ქართული, ისე ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ.

ჩანაწერებში შეტანილი ფოლკლორული ეტიუდები, ისევე როგორც ქართული ფილოლოგიის დარგში უკანასკნელ წლებში შექმნილი რამდენიმე მეცნიერული მონოგრაფიის შეფასებანი, ყურადღებას ამახვილებენ ჯერ კიდევ არასაკმარისად გაშუქებულ საკითხებზე და მკითხველს უზიარებენ ავტორის დამოკიდებულებას აღძრული პრობლემების დარგში ჩაღრმავებული ძიების პერსპექტიულობაზე.

ამ წიგნს, ვიმედოვნებთ, მოჰყვება გაგრძელებაც, სადაც საშუალება გვექნება მკითხველს გავაცნოთ ჩატარებული დაკვირვებების შედეგების სხვა ასპექტებიც.

ეტიუდები

მუის გლოსემა ქართულში

მ უ ი ს რელევანტური გლოსემა ძველ ქართულში დროის ზმნიზედის ფუნქციით იხმარებოდა და ამავე მნიშვნელობით გადმოვიდა ახალ ქართულშიაც. მისი ლექსიკური მნიშვნელობა იმთავითვე გამოკვეთილა: „უჟამო და უმსწრაფლესი; არდიფრუ, იჩქითი“ (საბა); „მსწრაფლ, მუნთქვესვე“ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი); „მსწრაფლ, მაშინვე, იმავე წუთს, იმავე წამს, ერთი თვალის დახამხამებაში“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

გლოსემა ამ მნიშვნელობას გვაჩვენებს ძველი და საშუალი ქართულის ჩვენამდის მოღწეულ ძეგლებსა და თანამედროვე ქართულში: ზეპირსა და წერილობით მეტყველებაში, ლიტერატურაში. მისი სხვა მნიშვნელობა არ დასტურდება.

ნუუკვ მოვიდეს მ უ ი ს და გპოვნეს თქუენ მძინარენი (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამოც., თბ., 1945, მარკოზ 13, 36, ადიშ.); და რამეთუ იდიდა მის თანა, და ღმერთმან ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მ უ ი ს ადიდოს იგი (იქვე, იოანე, 13, 32); და მ უ ი ს მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ (ი. ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1938, გვ. 8); ხოლო ვითარცა დახედნა მანკიერმან მან საკედარმან, მ უ ი ს განჰკრთა (გ. მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის გამოც., თბ., 1946, გვ. 48); მ უ ი ს უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა (ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ, ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1, თბ., 1953, გვ. 221); ვითარ ესოდენსა სიგრძესა გზისასა აცამეტისა დღისა სავალსა მ უ ი ს ა ეუწყა (ცხორებაჲ ანტონისი, ვახტ. იმნაიშვილის გამოც., თბ., 1970, გვ. 51); მ უ ი ს ჴმა ყო ეშმაკმან მან (ქიმენი, 1, კ. კეკელიძის რედ., თბ., 1918, გვ. 336); და წარსწყჳდეთ თქუენ გზისა მისგან მართლისა, რაჟამს

აღატყდეს მ უ ი ს გულისწყრომაი მისი (ფსალმ., 2, 12); მ უ ი ს შიშმდოვრებ, მათ შეიქმ ცხოვრებ (ი. შავთელი, აბდულმესია, «ჩვენი საუნჯე», თბ., 1960, გვ. 498); შემკვრენ, შემფოსენ, არ მოშიფონენ. მ უ ი ს წამიყონენ, არ დამიყოვნენ (დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 164); თითქოს ზეცით ზარი იყო, თითქო ღმერთი მოევლინა, — ხალხი პირქვე მ უ ი ს დაემხო საკვირველი მეფის წინა (ი. ჭაჭავაძე, თხზ., I, თბ., 1951, გვ. 196); მ უ ი ს შემალეს თავი ბარდსა და სოროში (გრ. ჩიქოვანი, რჩეული, თბ., 1967, გვ. 97); — მართალი ხარ! — მ უ ი ს ვ ე დაუდასტურა ძმას ტონიმ (თ. მანი, ბუდენბროკები, თარგმ. დ. კოკაია-ფანჯიკიძისა, თბ., 1970, გვ. 269); ერიკა მ უ ი ს ვ ე მოსწყდებოდა ადგილს (იქვე, გვ. 392)...

მ უ ი ს ზმნიზედა სუბსტანტივური წარმოშობისაა და აბსორბირებული სახეა მ ე უ ძირეული მორფემისა. მისი გრამატიკალიზაცია ძველი ქართულის დონეზე დროის ერთ-ერთ უმცირეს ერთეულს, არდის მესამოცე ნაწილს, აღნიშნავს (არდი, საბას მიხედვით, მასის მესამოცედია). ერთ მ ე უ შ ი სამოცი წენი შედის (საბა, ნ. „წამი“).

ამრიგად, მ ე უ-ი სუბსტანტივია, ხოლო მისი აბსორბირებული ალომორფი მ უ ი ს — ზმნიზედა: არდიფრუ, იჩქითი.

მ ე უ ალომორფი ან ძირეული მორფემა სრულადაა დაცული მ ე უ ს ე უ ლ შ ი, ოღონდ აბსორბაციის გარეშე. -ე უ ლ მ ო რ ფ ე მ ა ს -ი ს მორფემის ვოკალის სინკოპე გამოუწვევია: *მეყ-ის-ეულ-ად || მეყ-ს-ეულ-ად.

ძველ ქართულში მ ე უ ალომორფი მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა; მ ე უ ს ა შ ი ნ ა, საბას მიხედვით, ნიშნავდა ა ნ ა ზ დ ე უ ლ ა დ ზმნიზედას. შემდეგი დროის ლექსიკოგრაფოსები ამას უმატებდნენ დროისავე ზმნიზედებს: სწრაფად, მაშინვე. ა. შანიძის აზრით, მ ე უ თვალის დახამხამებას ნიშნავს (გიორგი მთაწმიდლის ენა, თბ., 1946, გვ. 113, წიგნში: გ. მთაწმიდელი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“); მ ე უ ს მ ო ი წ ი ა — თვალის დახამხამებაში (ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, თბ., 1953, გვ. 468); ეჰგონებდი მ ე უ ს ა შ ი ნ ა სულთა აღმოსლვასა (გ. მთაწმიდელი, დასახ. თხზ., გვ. 27); მ ე უ ს ა შ ი ნ ა წამსა თვალისასა უკანასკნელითა მით საყჳრითა (1 კორინთ. 15, 52); მ ე უ ს მერვე ზედა — დაესხნიან ზაკულად და უკეთურად (ათანასი ალექსანდრიელი, ცხორებაჲ ანტონისი, ვახტ. იმნაიშვილის გამოც., თბ., 1970, გვ. 32); ხოლო უკეთუმცა შემძლებელ იყვნეს, არამცა დგეს, არამედ მ ე უ ს ქმნეს ხოლომცა ბოროტი (იქვე, გვ. 35); მაშინ მ ე უ ს ა შ ი ნ ა აღდგა (კითხვა-მიგებაჲ იესუჲსი და განრღუეულისაჲ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1946, გვ. 27); და ესრეთ მ ე უ ს ა შ ი ნ ა უწინამძღურო იქმნნეს (გ. ხუცესმონაზონი,

ცხორებაი გიორგი მთაწმიდელისაი, იქვე, გვ. 211); და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი (ცხორებაი ნინოისი, ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, თბ., 1953, გვ. 273)...

მეყსა შინა—აქ მეყს—მნიშვნელობით იგივეა, რაც მეყსეულად. ამიტომ ტექსტებში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან. მეყსეულად წარვიდა, უნდა გავიგოთ ასე: მეყსა შინა წარვიდა, მეყს წარკიდა; მეყსეულად ეშმაკმან მან ბოროტმან შეიპყრა იგი (კიმენი, I, კ. კეკელიძის რედ., თბ., 1918, გვ. 327); და ესე რაჲ თქუა. მეყსეულად წარვიდა ეშმაკი იგი (იქვე); და მეყსეულად სევასტოფორი... წიგნებითა სამეუფოთაჲთა ლავრას წარმოაელინეს (გ.მთაწმიდელი, დასახ. თხზ., 18); და აღიღო მეყსეულად პირი მისი და ენაჲ მისი, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამოც., თბ., 1945, ლუკა 1, 64, ადიშ.)...

მეყსეულად ვყავ მოიწია (დაბადების ოშკისა და იერუსალიმის ხელნაწერები, რ. ბლეიკისა და მ. ბრიერის გამოც., პარიზი, 1961; ესაია 48, 3. ეგევე ადგილი „დაბადების“ 1884 წლის გამოცემაში ასე იკითხება: „მეყსა შინა ვყავ და ზედმოიწია“); იქმია და მოსრა მეყსეულად ოთხმეოც და ხუთი ათასი (ათანასი ალექსანდრიელი, დასახ. თხზ., გვ. 35); ესე ვითარ ჰრქუა ანტონი, მეყსეულად ჭაბუკი იგი განიკურნა (იქვე, გვ. 52)...

მყის (|| მეყის) ძველ ქართულში მეყსეულის (|| მეყსეულად) ფარდად იხმარებოდა და მათ შორის სხვაობის ნიშანს არ სვამდნენ. ოთხთავის სხვადასხვა რედაქციაში, მაგალითად, ისინი მონაცვლეობენ. ადიშის ოთხთავში იკითხება: „ღმერთმან ადიდოს იგი თავითა თჳსისა თანა და მყის ადიდოს იგი“ (იოვანე, 13, 32), ხოლო ეგევე ადგილი ჯრუჭის, პარხლისა და გ. მთაწმიდლისეულ ოთხთავში სხვა ალტერნატივადაა გადმოცემული: „ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თჳსისა მეყსეულად ადიდოს იგი“ (იქვე). ან: ადიშის ოთხთავში გვაქვს „ნუუკუე მოვიდეს მყის და გპოვნეს თქუენ მძინარენი“ (მარკოზ 13, 36), ხოლო ეგევე ადგილი ჯრუჭის, პარხლისა და გ. მთაწმიდლისეულ ოთხთავში ასეა გადმოცემული: „ნეუკუე მოვიდეს მეყსეულა და გპოვნეს თქუენ მძინარენი“ (იქვე).

მყის და მეყსეულად ტექსტებში ზმნიზედის როლში გამოდიან და ერთნაირად დროის უმცირეს, მაგრამ განუსაზღვრელ, ერთეულზე მიუთითებენ.

მყის მოვიდეს || მეყსეულად მოვიდეს ჩვეულებრივ ნიშნავს იჩქითად, არდიფრუდ მოვიდეს. სხვაობა მათ შორის აქ არა ჩანს. ოდნავი ნიუანსი თუ მაინც განასხვავებს ტექსტებში, ამას ფრაზა-წინადადების სტილური ან მოდალური იერი იწვევს. ისიცაა

ანგარიშში ჩასაგდები, თუ რომელ ზმნასთან იხმარებიან. ერთია მ ყ ი ს მ ი ვ ი დ ე ს, მეორე მ ყ ი ს ა დ ი დ ო ს, ერთგან ი ჩ ქ ი თ ა დ ზმნიზედას უფრო შეესატყვისება იგი, სხვაგან — არდიფრუდ გვესმის. ეს ნიუანსი ერთნაირად დაჰკრავს ერთსაც (მყის) და მეორესაც (მეყსეულად).

მყის ახალ ქართულში ფუძედაცაა გამოყენებული და გვაქვს: მ ყ ი ს-ი...

ამასთან, ძველქართულში მ ე ყ ს ე უ ლ ა დ ჩვეულებრივ ენაცვლება მუნჭუესვე ზმნიზედას, რამდენადაც ორივე დროის ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს. ჯრუჭის, პარხლისა და გ. მთაწმიდლისეულ ოთხთავში ვკითხულობთ: „და მ ე ყ ს ე უ ლ ა დ სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ“ (მარკოზ 1, 12), „რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ, მ ე ყ ს ე უ ლ ა დ სიხარულით მიიღიან“ (მარკოზ 4, 16). ადიშის ოთხთავში ამ ადგილებზე ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად მ უ ნ ჭ უ ე ს ვ ე ზის: „და მ უ ნ ჭ უ ე ს ვ ე სულმან გან(ი)ყვანა იგი უდაბნოდ“ (მარკოზ 1, 12), „რომელთა რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ იგი, და მ უ ნ ჭ უ ე ს ვ ე სიხარულით შეიწყნარიან“ (მარკოზ 4, 16).

მ ე ყ ლექსემის მნიშვნელობა ლექსიკონებში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. საბას, მაგალითად, იგი ერთნაირად ესმის, ნ. ჩუბინაშვილს — მეორენაირად. მ ე ყ საბას დროის ერთეულად მიაჩნია, მ ე ყ ს ა შ ი ნ ა — ანაზდეულად, მ ე ყ ს ე უ ლ ი (|| მეყსეულად) — ი ჩ ქ ი თ ი (|| ი ჩ ქ ი თ ა დ). წ ა მ სიტყვასთან საბა ამბობს: „აქუს ჟ ა მ ს ა ერთსა წ ა მ ი სამოცი; წამსა ერთსა — წ უ თ ი სამოცი; წუთსა ერთსა — კ ე ს ი სამოცი; კესსა ერთსა — მ ა ს ი სამოცი; მასსა ერთსა — ა რ დ ი სამოცი; არდსა ერთსა — მ ე ყ ი სამოცი; მეყსა ერთსა — წ ე ნ ი სამოცი; წენსა ერთსა — ვ ა წ ე სამოცი; ვაწესა ერთსა — ბ ლ ი ს ი სამოცი; ბლისსა ერთსა — ნ ვ ი ნ ი (ნჳნი) სამოცი“.

ნ. ჩუბინაშვილს სხვაგვარი განმარტება აქვს მოცემული. ჟ ა მ სიტყვასთან ავტორი მიუთითებს: ჟ ა მ ი არის „ოცდა მეოთხე ნაწილი დღე-ღამისა, საათი... час. ჟამის ნაოთხალსა ეწოდების წენტილი, ანუ რუბი, четверть часа; ხოლო ცის მზომელობის ხარისხთა ჟამის სათვალავი არს ესრეთ: ჟ ა მ ს ა აქუს 4 წ ე ნ ტ ი ლ ი, წენტილსა — 15 წ ა მ ი, ანუ მინუტი, минута, წამსა — 60 წ უ თ ი, ანუ სეკუნდი, секунда; ნახევარწუთი არს 1 კესი, ნახევარკესი — 1 მასი, ნახევარ — მასი — 1 ა რ დ ი, ნახევარარდი — 1 მ ე ყ ი, ნახევარმეყი — 1 წენი, ნახევარწენი — 1 ვ ა წ ე, ნახევარვაწე — 1 ბ ლ ი ს ი, ნახევარბლისი — 1 ნ ი ვ ნ ი, ანუ ნვინი“. ეს ინფორმაცია უცვლელადაა შეტანილი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც.

სხვაობა მნიშვნელოვანია. საბას მიხედვით, მ ე ყ ი მესამოცედია არდისა, ნ. ჩუბინაშვილის დასკვნით კი — ნახევარარდი 1 მ ე ყ ი ა.

უფრო სარწმუნო საბას ცნობებია, რადგან აქ დროის უმცირეს ერთეულთა მთელი ერთიანი იერარქიული სისტემაა მოცემული, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის ინფორმაცია, რასაც სიტყვასიტყვით იმეორებს დ. ჩუბინაშვილიც, უფრო სხვა ცნობებს ეყრდნობა და მათი წყარო დაზუსტებას საჭიროებს.

ნ. ჩუბინაშვილის განმარტება — მეყი წამს ნიშნავსო, სწორი არ უნდა იყოს, რადგან დავიწყებული ჩანს ავტორის ცნობები ჟამ სიტყვასთან. რაც შეეხება მეყსა შინა'ს განმარტებას, ნ. ჩუბინაშვილი, ალბათ, ამ გამოთქმის გადატანითს მნიშვნელობას გულისხმობდა, როცა მიუთითებდა მეყსა შინა წამსა შინა'ს ნიშნავსო, ძველი ქართული ტექსტები ამისთანა დასკვნის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ცალკე აღებული მეყ ძირეული მორფემა წამს არ ნიშნავს, ის წამზე ბევრად მცირე ერთეულია დროისა, რაც მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს. ნ. ჩუბინაშვილის ეს არაზუსტი მსჯელობა სიტყვასიტყვით გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმაც, რომლის ლექსიკონშიაც ნათქვამია: მეყი წამი, мгновение, миг, მეყსა შინა, в миг.

ჟამ სიტყვასთან ნ. ჩუბინაშვილს მეყი მიაჩნია არდის ნახევრად, ხოლო დ. ჩუბინაშვილის დაზუსტებით, „მეყი არის არდის ნახევარი ან 3/4 ნაწილი სეკუნდისა". თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ორივე ავტორის ერთი დასკვნა, რომ მეყი წამიაო. წამი, კერძოდ, დ. ჩუბინაშვილს გაიგივებული აქვს წუთთან; „წამი წუთი", ხოლო წუთ სიტყვასთან კი ამბობს: 60 წამს უდრისო. წამი, მისი აზრით, არის миг, мгновение, წუთი კი — 60 წამი, секунда. ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება ამ სიტყვებისა უფრო ახლოს დგას ჰეშმარიტებასთან: „წამი მინუტი, миг, минута", „წუთი ჟამის ნაწილი". საბა წუთის მნიშვნელობას არ აზუსტებს, ზოგადად მიაჩნია დროის ერთეულად, წამს კი საათის (ჟამის) მესამოცე ნაწილად თვლის.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამოძიებას, თუ რამ გამოიწვია წამ, წუთ, მეყ ძირეულ მორფემათა სემანტიკის ასეთი აღრევა ლექსიკონებში. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეყი მეტად მცირე ნაწილია წამისა, აქედანაა მიღებული მყის ზმნიზედა, რასაც დროის რაღაც უმცირესი ერთეულის განუსაზღვრელად გამოხატვა აქვს დაკისრებული. სიტყვის სემანტიკა საშუალებას არ გვაძლევს, გავიაზროთ ამ რელევანტური გლოსემის ზუსტი ფუნქციური საზღვრები.

ამრიგად, მეყ დროის ერთ-ერთი უმცირესი ერთეულის აღმნიშვნელი ლექსემაა, რომლის სრული სახე დაცულია მეყსეულში. ნათესაობითის აბსორბირებული ალომორფი მყის ზმნიზედად ქცე-

ულა და მოქმედების დროულობის ჩვენების ფუნქცია შეუძენია. მ ე უ ი ქართული ლექსიკის უძველესი ინვენტარის კუთვნილებაა. ძველი ჩანს მ უ ი ს ზმნიზედაც (დასტურდება ძველი ქართულის IX — X საუკუნეთა ძეგლების ალიტერაციებში). სახელის ძირეული მორფემის გადასვლა ზმნიზედის თანრიგში, ე. ი. სუბსტანტივის ადვერბალიზაცია, რაც მ ე უ || მ უ ი ს გლოსემათა ანალიზით დასტურდება, ტრადიციული ენობრივი პროცესია, რომელიც თავისებურ ასახვას პოულობს ლექსიკის განვითარებაში.

1970 წ.

ზმნის მიჩემებითი ფორმების შესწავლის ისტორიისათვის

ამ წერილის მიზანია მოკლედ გადმოსცეს ნიკო ჩუბინაშვილის კონცეფცია ქართული ზმნის მ ი ჩ ე მ ე ბ ი თ ი ფორმების შესახებ და განსაზღვროს მისი ადგილი ჩვენი ზმნის შესწავლის ისტორიაში.

ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (1788 — 1845) ქართული ენისა და კულტურის დაუღალავი მკვლევარი იყო. მან დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არა თუ შესწავლილი, მთლიანად აღნუსხულიც კი არ არის. პირველი ცნობები ნ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო ინტერესისა და შრომების შესახებ თავის დროზე გამოაქვეყნეს მ. ბროსემ[1], დ. ჩუბინაშვილმა[2] და ა. ცაგარელმა[3], რომელთაც მხოლოდ მოკლედ და მეტად ზოგადად აღნიშნეს მისი ღვაწლი ქართულ ენის გრამატიკასა და ლექსიკის შესწავლაში, მაგრამ სპეციალურად ამ უაღრესად თავისებური და ნაყოფიერი მეცნიერის მემკვიდრეობას არავინ შეჰხებია. მეტსაც ვიტყვით: ხსენებული პირველი ცნობებიც კი დავიწყებას მიეცა და შემდეგ აღარავის მოჰგონებია. ეს არასასიამოვნო გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ნ. ჩუბინაშვილის გრამატიკული შენიშვნები და ლექსიკოგრაფიული ნაშრომები გამოუქვეყნებელია, ინახება მანუსკრიპტთა სეიფებში და ძნელად ხელმისაწვდომია არა მარტო ჩვეულებრივ მკითხველთა, არამედ სპეციალისტებისათვისაც კი. ერთი ნაწილი ნ. ჩუბინაშვილის ხელნაწერად დარჩენილი ნაშრომებისა ამჟამად დაცულია ლენინგრადის (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-

[1] დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი, ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, სპბ., 1840, ბროსეს წინასიტყვაობა.

[2] Д. Ч у б и н о в, Русско-грузинский словарь, ч. I, СПб. 1816, წინასიტყვაობა.

[3] А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПб., 1894.

მცოდნეობის ინსტიტუტი, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა), ხოლო მეორე კი — თბილისის არქივთსაცავებში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი). ამიტომ ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომებში გამოთქმული აზრები ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის შესახებ სათანადოდ ვერ აისახა შემდგომი თაობის ენათმეცნიერთა გამოკვლევებში.

ნიკო ჩუბინაშვილი ღრმად ჩასწვდა ქართული ზმნის რთულ მორფოლოგიურ ბუნებას და მართებულად გაიგო იგი. მან შენიშნა და შეისწავლა ქართული ენის, სპეციალურ ლიტერატურაში მანამდის უცნობი, ფორმა-კატეგორიები და მოგვცა მათი უეჭველად მარჯვე გრამატიკული კვალიფიკაცია და ლექსიკური დახასიათება. თავისი ორიგინალური შეხედულებანი ზმნის სტრუქტურის საკვანძო საკითხებზე ნ. ჩუბინაშვილს გამოთქმული აქვს კაპიტალურ ნაშრომში „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ და სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც შესავლის სახით ერთვის ხსენებულ ლექსიკონს[1] (1815 — 1825 წლების შუალედი).

მ ი ჩ ე მ ე ბ ა, ნ. ჩუბინაშვილის აზრით, ზმნის პირთა კუთვნილებითს დამოკიდებულებას აღნიშნავს. იგი სპეციფიკური მორფოლოგიური კატეგორიაა იმ ზმნებისა, რომელთაც ერთი ძიება (ობიექტი) მაინც მოეპოვება. მკვლევარი გამოყოფს მიჩემების სამ სახეობას და ცალ-ცალკე ახასიათებს თითოეულ მათგანს. ესენია:

ა. ს ა ზ ო გ ა დ ო. ავტორის დასკვნით, ეს მაშინ გვაქვს, „რაჟამს მოქმედება მიეჩემების თჳთ მოქმედსა პირსა (ე. ი. როცა ძიება მოციმულია საზოგადოდ და იგი არავის კუთვნილებას არ წარმოადგენს), მაგალ.: ვ ა შ ე ნ ე ბ, ვ ს წ ე რ, ესე ითქმის საზოგადოდ. **строю, пишу вообще**“[2]. ასეთ შემთხვევებში მიჩემება თითქოს არც კი ჩანს, მაგრამ მათ ერთურთისაგან განასხვავებენ საპირისპირო ფორმები.

ბ. მ ი ჩ ე მ ე ბ ა მ ო ქ მ ე დ ი ს ა პ ი რ ი ს ა. ეს უკვე ნათლად გვაჩვენებს, რომ ძიება განეკუთვნება მოქმედ (სუბიექტურ) პირს. ნ. ჩუბინაშვილი ამბობს: „მიჩემებითა მოქმედისა პირისათა ითქმის: ვ ი შ ე ნ ე ბ, ი შ ე ნ ე ბ, ი შ ე ნ ე ბ ს, **строю, -ишь, -ит для себя**; ვ ი-

---

[1] ვემყარებით სამ ხელნაწერს: 1. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბროსეს კოლექცია, H 55; 2. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 271; 3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 3709 (ფ. 8, 9, 10). ამჟამად ძეგლი გამოცემულია: ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 99 — 129.

[2] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბ.. 1961, გვ. 115.

წერ, იწერ, იწერს, пишу, -шешь, -шет для себя"[1]. ასეთი ფორმები შეიძლება გაუჩნდეს მხოლოდ მოქმედებითი გვარის (ავტორის ტერმინოლოგიით: შემოქმედებით) ზმნებს, რომელთაც ჩვეულებრივ ერთი ძიება (პირდაპირი ობიექტი) მოეპოვება და მიჩემების (ობიექტური პირის სუბიექტისადმი მიკუთვნების) გამოსახატავად სამივე პირში აქვს პრეფიქსი ი-. ნ. ჩუბინაშვილი საგანგებოდ ჩერდება ამ პრეფიქსის ფუნქციაზე: „ასო ი იხმარების შემოქმედებითთა ზმნათა შინა, რაჟამს მოქმედება მიეჩემების თჳთ მოქმედსავე პირსა და არა სხუათა. მაგალ., ვსწერ, ვაშენებ, ესე არს საზოგადო, ხოლო მიჩემებული თჳთ მოქმედისა პირისადმი, ითქმის: ვიშენებ, ვიწერ, იშენებ, იწერ, იშენებს, იწერს"[2]. თავისი დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარს დამოწმებული აქვს ასეთი მაგალითები:

ვ-ი-წერ	ვ-ი-შენებ	ვ-ი-წერ-თ	ვ-ი-შენებ-თ
ი-წერ-ს	ი-შენებ	ი-წერ-თ	ი-შენებ-თ
ი-წერ	ი-შენებ-ს	ი-წერ-ენ	ი-შენებ-ენ

სასუბიექტო (სათავისო) მიჩემებულობა აქ კარგადაა დაჭერილი და მორფოლოგიური ელემენტიც (პრეფიქსი ი-) შენიშნულია სწორად. ამავე დროს ეს ი განსხვავებულია ე. წ. სასაცნაურო პირის მიჩემებულობისა და ვნებითი გვარის აბსოლუტური წყობის ზმნათა შესაბამისი პრეფიქსისაგან (ი-).

გ. მიჩემება მესამისა საცნაურისა პირისა. აქ ნავარაუდევია მხოლოდ ორძიებიანი (ე. ი. სამპირიანი) ფორმები, რომელთაც, ავტორის მიხედვით, ორი ვარიანტი აქვს:

1. უ-პრეფიქსიანი სამივე პირში: ვ-უ-კეთებ, უ-კეთებ, უ-კეთებ-ს...

2. ი- (პირველსა და მეორე პირში) და უ-(მესამე პირში) პრეფიქსიანი: მ-ი-შენებ, გ-ი-შენებ, უ-შენებ...

ნ. ჩუბინაშვილი ამბობს: „რაჟამს მოქმედება მიეჩემების მესამესა საცნაურსა პირსა, მაშინ ითქმის: ვუშენებ, უშენებ, უშენებს, строю, -ишь, -ит для него: ვუწერ, უწერ, უწერს, пишу, -шешь, -шет для него (относительно к 3 известному лицу)"[3]. ქვევით ეგ აზრი ავტორს უფრო კონკრეტულად აქვს გამოთქმული: „ხოლო რაჟამს მოქმედება არს ორთა შორის პირთა, ურთიერთისადმი მოუბართა, ამისაგან შეიქმნებიან პირნაკლნი ზმნანი და მაშინ უკეთუ მოქმედება მიეჩემების პირველსა პირსა მეორისა და მესამისაგან, მას აკლს მესამე პირი. მაგალ., მიშენებ, მიშენებს,

---

[1] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე.

[2] № 271 და S 3709, ი ასოსთან; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 237.

[3] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 115.

строишь, -ит для меня; მიწერ, მიწერს, пишешь, -шет для меня. და უკეთუ მოქმედება მიეჩემების მეორე პირსა პირველისა და მესამისაგან, მაშინ აკლს მეორე პირი. მაგალ., გიშენებ, გიშენებს, строю, -ит для тебя; გიწერ, გიწერს, пишу, -шет для тебя".[1] მიჩემებულობის ნიშნად აქ ყველგან ი პრეფიქსია მიჩნეული[2].

ნ. ჩუბინაშვილი მიჩემებულობას ხედავს არა მარტოოდენ მოქმედებითს (შემოქმედებითს), არამედ ვნებითსა და ე. წ. უმეშვეობითს (საშუალ) ზმნებშიც. ამის შესახებ მკვლევარი საგანგებოდ შეისწავლებს იძლევა:

1. „კუალად ვნებითნი ზმნანი იხმარებიან სამთავე პირთა შინა მიჩემებითა რომლისამე მათგანისადმი. მაგალ., მიშენდების, გიშენდების, უშენდების, строится для меня, для тебя, для него"[3].

2. „მიჩემება იქმნების რომელთამე უმეშვეობითთა ზმნათაცა. მაგალ.: ვჰსჩან, ჰსჩან, ჰსჩანს. ესე არს საზოგადოდ; кажусь, -жешься, -жется. ხოლო მიჩემებითა, რომელისამე სამთა პირთაგანისათა ითქმის: მიჩნს, გიჩნს, უჩნს, кажется мне, тебе, ему; კუალად ვჰსძე, ჰსძე, ჰსძეს, лежу, -жишь, -жит, ხოლო მიჩემებით: მიძს, გიძს, უძს, გინა თანამაძს, თანაგაძს, თანააძს, надлежит мне, тебе, ему. ეგრეთვე: ვღირვარ, -ღირხარ, ღირს, стою, -ишь, -ит (цены), და მიჩემებით; მიღირს, გიღირს, უღირს, стоит мне, тебе, ему, или довлеет"[4].

მიჩემებითობა აქ, როგორც ეხედავთ, მკაფიოდ გარჩეული კატეგორიაა, რომელიც მიუთითებს ზმნის ფორმებით გადმოცემულ პირთა კუთვნილებითს დამოკიდებულებას. წინამორბედ გრამატიკოსებისაგან განსხვავებით ნ. ჩუბინაშვილმა არა მარტოოდენ უბრალოდ შენიშნა ეს კატეგორია, არამედ საბუთიანად შეისწავლა იგი და გარკვეული ადგილიც მიუჩინა გრამატიკაში მას. ამიტომ ავტორის პრიორიტეტი აქ უდავოა. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ნ. ჩუბინაშვილს ჰქონდა აღნიშნული მიჩემებითობის საკითხზე, ჯერ კიდევ ცოტა იყო იმისათვის, რომ სრული სიღრმით აგვეხსნა ქართული ზმნის ეს ერთ-ერთი მეტად რთული და სპეციფიკური კატეგორია. მას სჭირდებოდა შემდგომი შეჯერება ზმნის სხვა ფორმებთან. მაგრამ მთავარი მაინც გაკეთებული იყო: მოვლენა აღინიშნა სწორად.

---

[1] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 116.

[2] № 271 და S 3709, ი ასოსთან; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 237.

[3] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 116.

[4] H 55; S 3709, ფ. 9; ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 116.

ნიკო ჩუბინაშვილის ამ ხელნაწერად დარჩენილმა შენიშვნებმა პირველი გამოძახილი დ. ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში ი პოვა. ჩვენ ვლაპარაკობთ პირველ გამოძახილზე, რაც გულისხმობს მიჩემებითობის ფორმათა მხოლოდ აღნიშნას შესაბამისი მეცნიერული კომენტარების გარეშე და არა მათს ვრამატიკულ ინტერპრეტაციას. მოვლენა სპეციალურად დ. ჩუბინაშვილს არ შეუსწავლია[1]. რევოლუციამდელს გრამატიკოსებს ქართული ზმნის მიჩემებითს ფორმაზე მწყობრი მოძღვრება საერთოდაც არ მოუციათ. ნ. მარმაც ის სულ სხვა ასპექტით განიხილა[2].

პირველი სპეციალური ნაშრომი ზმნის მიჩემებითს ფორმებს ჩვენ დროში მიუძღვნა ქართული ენის გამოჩენილმა მკვლევარმა ა. შანიძემ, რომელმაც ხსენებულ ფორმებს ქცევა ანუ ვერსია უწოდა. მკვლევრის დაკვირვებანი აღძრულ საკითხზე გადმოცემულია 1926 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ქართული ზმნის საქცევი“[3], ხოლო დასრულებული სახე ავტორის კონცეფციას ზმნის მიჩემებითს ფორმებზე მიეცა კაპიტალურ გამოკვლევაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები[4]“.

ა. შანიძე აღნიშნავდა: „ქარგა ხანია შენიშნულია ე. წ. „მიჩემებითი“ ანუ „მიკუთვნებითი“ ფორმები ქართ. ზმნისა (ცნობები მოეპოვებათ დ. ჩუბინაშვილს, პ. კვიციარიძეს, კ. დოდაშვილს, ა. ჭუთათელაძეს, თ. ჟორდანიას, ს. ხუნდაძეს და სხვებს), მაგრამ არ იყო გამოკვლეული, თუ რა ურთიერთობაა „მიჩემებითსა“ და მიუჩემებელ ფორმებს შორის და რას წარმოადგენს არსებითად მიჩემებითი ფორმებიო“[5]. ამ უკანასკნელი საკითხების გამოკვეთა და ახსნა სხვა მოვლენებთან შეპირისპირებით სწორედ ა. შანიძის დიდი დამსახურებაა. ა. შანიძის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილი დებულებანი და, რაც მთავარია, მშვენიერი ტერმინები: ქცევა, ვერსია (საარვისო — ნეიტრალური, სათავისო — სასუბიექტო, სასხვისო — საობიექტო). როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია გავრცელდა სპეციალურ ლიტერატურაში ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე და დამკვიდრდა სასკოლო გრამატიკაშიაც.

---

[1] შდრ.: ვ. ბერიძე, დავით ი. ჩუბინაშვილი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, V, 1936, გვ. 353; ან: ვუკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 22.

[2] Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Л., 1925, გვ. 136-142.

[3] თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1926.

[4] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, 1, თბ., 1930, გვ. 104—113; ან: ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, ნაკვ. II, თბ., 1943, გვ. 312—346; ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953, გვ. 332 — 367.

[5] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1. თბ., 1953, გვ. 365.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენი დასკვნა თავისთავად ნათელია. ქართული ზმნის მიჩემებითი ფორმები სწორად შენიშნა და თავისებურად ახსნა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ენათმეცნიერმა ნიკო ჩუბინაშვილმა. მკვლევრის დაკვირვებებმა და ამ ფორმების შესახებ გამოთქმულმა შენიშვნებმა პირველი გამოძახილი ჰპოვა დ. ჩუბინაშვილის გრამატიკულსა და ლექსიკოგრაფიულ თხზულებებში, საიდანაც მათ გზა გაიკვლიეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვა გრამატიკოსთა ნაშრომებშიაც. ქართული ზმნის მიჩემებითი ფორმების მონოგრაფიულად შესწავლა, ქცევის მორფოლოგიური კატეგორიის ცალკე გამოყოფა და მისი სტრუქტურული ფუნქციების შეჯერება ა. შანიძის დამსახურებაა.

1960 წ.

სად დაიწერა პირველი ქართული გრამატიკა უცხოურ ენაზე?

ქართულ გრამატიკულ მწიგნობრობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ IX და X საუკუნეებში ჩვენში საკმარისად ფართო ლიტერატურა არსებობდა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ. ჩვენს ძველ ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებს თან ახლდა ძვირფასი კომენტარები, ე. წ. „შეისწავლებები“ და „სხოლიოები“, სადაც განმარტებული იყო ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური მარაგის თავისებურებები.

ქართული ენის საფუძვლის — სტრუქტურისა და ლექსიკის — მეცნიერულ შესწავლას უწინარეს ყოვლისა თვით ქართველმა მოღვაწეებმა მოჰკიდეს ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია XI — XII სს. მოღვაწეთა, იოანე და ეფთვიმე ათონელების, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, გიორგი მთაწმიდლის, იოანე სინელისა (ზოსიმეს) და სხვ. ნაშრომები. ამ ნაშრომებზე აღიზარდნენ ჩვენი სახელოვანი მოაზროვნეები XII — XVIII საუკუნეებში, შეითვისეს ქართული ენის გრამატიკული სისტემა და შემდეგ (განსაკუთრებით XVIII საუკუნეში) თავისებურად გააშუქეს იგი ენათმეცნიერულ ნაშრომებში (საბა ორბელიანი, ზურაბ შანშოვანი, ანტონ პირველი, დავით და იოანე ბაგრატიონები და სხვ.).

არის ყველა საბუთი ვიფიქროთ, რომ გრამატიკული კვლევა-ძიება საქართველოში დაიწყო IX საუკუნეზე გაცილებით ადრე, მაგრამ სათანადო ძეგლები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. მეტიც: არც

დასახელებულ ძველ ქართველ ავტორთა ყველა თხზულებაა ჩვენამდის მოღწეული.

ცნობილია, მაგალითად, რომ იოანე პეტრიწმა დაგვიტოვა ქართული ენის აგებულების შესახებ სპეციალური გამოკვლევა, რომელიც თურმე უნახავს XVIII საუკუნის მოღვაწეს ანტონ პირველსაც, მაგრამ იგი ჩვენამდის, სამწუხაროდ, არ მოღწეულა.

ეჭვი არ არის, რომ კვლევა-ძიება შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვავლინოთ ძველი ქართული კულტურის ყველა ძეგლი და აღვადგინოთ ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეებიც.

ქართული ენის გრამატიკული სისტემით დაინტერესებულან უცხოელი ავტორებიც. ეს ინტერესი, პირველყოვლისა, გაუღვიძებია ქართული ენის თვით ბუნებას, გრამატიკულ სტრუქტურას, ლექსიკასა და ფონეტიკას, მეორე მხრით კი, ჩვენი ენის შესწავლისათვის ხელი მოუკიდნიათ ევროპელ მისიონერებს, როდესაც მათ ქართველ „ქრისტიანებს თავისებურად გადარჯულება მოუნდომეს“.

გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა ყოველი ენის საფუძველია. ამიტომ, ბუნებრივია, ენის შესწავლა იწყება სწორედ მისი გრამატიკული წყობითა და ლექსიკის გაანალიზებით. უცხოელ ავტორთა პირველი ნაშრომებიც სწორედ ამ ორ ძირითად საკითხს — გრამატიკულ სტრუქტურასა და ლექსიკას — ეხება.

პირველი ქართული გრამატიკა უცხოურ ენაზე, თვით უცხოელი ავტორის მიერ შედგენილი, ჩნდება XVII საუკუნის ორმოციან წლებში. 1643 წელს რომში გამოიცა ფრანჩისკო მარია მაჯოს (მაჯიოს) მიერ ლათინურ ენაზე შედგენილი, ქართული „სინთაგმათონად წოდებული გრამატიკა“. ამის წინ, იმავე რომში, 1629 წელს გამოიცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის შედგენაში ქართველი მოღვაწე ნიკიფორე ირბახიც მონაწილეობდა. ორივე ნაშრომი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, „შეცდომებით სავსეა“[1].

ვინ იყო ფრანჩისკო მარია მაჯო და სად შეისწავლა მან ქართული ენა?

მაჯო ყოფილა იტალიელი მისიონერი, რომელსაც საქართველოს გარდა უმოგზაურია სომხეთში, სირიაში, ირანსა და არაბეთში და აღმოსავლეთის ამ ქვეყნებში მოგზაურობისათვის 22 წელიწადი მოუნდომებია[2].

მისიონერები საგანგებო მიზნით მოგზაურობდნენ და სპეციალური ინტერესით სწავლობდნენ ცალკე ხალხთა ენებსა და ისტორიას. კ. კე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 5.

[2] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб,. 1873, გვ. 47.

კელიძის სამართლიანი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისიონერები... ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალისა და პოლიტიკურ-ეკონომიურ ექსპანსიისა აღმოსავლეთში, კერძოდ ჩვენშიც“[1]. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მათგანმა მისდა უნებურად დაგვიტოვა ისეთი აღწერითი ხასიათის ნაშრომები, რომელთაც ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერების ისტორიისათვის. ასეთ მისიონერთა რიცხვს ეკუთვნოდა მაჯოც.

მაჯო საქართველოში მოსულა 1637 წელს და თავისი მისიონერული საქმიანობა დაუწყია ქალაქ გორში. აქ იგი მოუწვევია მისიონერ პიეტრო ავიტაბილეს, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის საწარმოებლად გორს ჯერ კიდევ 1626 წელს დამკვიდრებულა.

მაჯოს გორში დაუწყია ქართული ენის შესწავლა, შეუგროვებია ქართული ხელნაწერი წიგნები, მათ შორის გრამატიკული შენიშვნები, და აქვე შესდგომია ქართული გრამატიკის შედგენას. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ქართულ ენას სწავლობდა მაშინდელ გორელ მწიგნობრებთან, რომლებმაც, სავარაუდოა, არა მარტო შეასწავლეს მას ჩვენი ენა, არამედ დაასაჩუქრეს იგი ძვირფასი ქართული ხელნაწერი წიგნებითაც.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისტორიკოს მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი საინტერესო ცნობაც: „გორში რომ შემცირდნენ მისიონერები, — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — პატრი ავიტაბილე იძულებული გახდა იტალიიდან ახალი მისიონერები დაებარებინა. 1637 წ. გორს მოვიდა ორი ახალი მისიონერი, ფრანჩისკე მაჯო და კლემენტე გალანო, რომლებმაც საკმაოდ განითქვეს სახელი თავიანთი წერილებით. მაჯო მაშინვე შეუდგა ქართულისა და თათრული ენების შესწავლას. მან ქართული ისე მალე და კარგად შეისწავლა, რომ დაწერა თავისი შესანიშნავი სინთაგმათონად წოდებული გრამატიკა ქართულ-ლათინურად“[2].

რამდენ ხანს ცხოვრობდა მაჯო გორში და რამდენ ხანს სწავლობდა იგი ქართულ ენას, ცნობილი არ არის, მაგრამ ისტორიული საბუთების მიხედვით ხერხდება ამის დადგენა. ამ საბუთების თანახმად, 1638 წელს მისიონერები გორიდან გადახვეწილან. უკანასკნელი მისიონერი 1640 წელსაც კი ყოფილა გორს, მაგრამ მაჯო აქედან ამაზე გაცილებით ადრე წასულა. მაჯოს, როგორც ჩანს, გორში წელიწადნახევარზე მეტხანს არ უმოღვაწია. 1638 წლის დეკემბერში გორიდან იგი გურიაში ჩასულა და იქ, მისიონერთა სკოლაში განუგრძია თავისი მუშაობა[3].

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბ., 1951, გვ. 66.

[2] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, თბ., 1902, გვ. 129 — 130.

[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

გორში მაჯო ვერ შეძლებდა თავისი გრამატიკის დამთავრებას და, თავისთავად ცხადია, მასზე მუშაობას გურიაშიაც განაგრძობდა.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს სხვა საინტერესო ცნობაც. საბუთებიდან ჩანს, რომ 1634 — 1637 წლებში გურიაში მოღვაწეობდა მისიონერი ანტონ ჯარდინა, რომელიც გურიის მაშინდელი მთავრის, მალაქიას, განსაკუთრებული პატივისცემითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. ჯარდინასაც, არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, მშვენივრად სცოდნია ქართული ენა: როგორც თავის დედაენას, ქართულს ისე ლაპარაკობდაო. პირველად უცხოურ ენაზე სწორედ ამ ჯარდინას შეუდგენია ქართული გრამატიკა, რომელსაც იგი ადგილობრივ, ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძის) მისიონერთა სკოლაში ასწავლიდა[1]. ამ ფაქტს ხაზს უსვამს კ. კეკელიძეც: „ქართული ენისა და გრამატიკის სახელმძღვანელო შეუდგენია აგრეთვე პატრ ანტონ ჯარდინასაც"[2]. 1637 წელს ჯარდინა გარდაიცვალა და მისი გრამატიკა გამოუქვეყნებელი დარჩა. უეჭველია, რომ გურიაში ჩასული მაჯო მოიკითხავდა ჯარდინას შრომებს, გაეცნობოდა მისი გრამატიკის ხელნაწერს, რადგან მან იმავე სკოლაში დაიწყო მუშაობა, რომელშიაც მისი თანამემამულე მისიონერი მოღვაწეობდა და, ბუნებრივია, ქართული გრამატიკის შედგენით დაინტერესებული, არა თუ მარტო უბრალოდ გაეცნობოდა ანტონ ჯარდინას ანალოგიურ ნაშრომს, არამედ საფუძვლიანადაც გამოიყენებდა მას. ამის გამო ჩვენ გვგონია, რომ მაჯოს ქართულ გრამატიკაში ზოგი რამ ჯარდინას ნაშრომიდანაცაა შეტანილი. ჯარდინას გრამატიკა კი არ გამოქვეყნებულა.

მაჯო სხვა რამეშიაც სცოდავს: არ იმოწმებს სათანადო ქართულ წყაროებს. ეს წყაროები მან, სავარაუდოა, გორელ და გურულ მწიგნობართა მეშვეობით გაიცნო, მაგრამ მათი მოხსენიება საჭიროდ არ ჩათვალა.

მაჯოს სცოდნია როგორც ქართული წყაროები, ისე თავისდროინდელი ლათინური გრამატიკული მწერლობა. ამით აიხსნება, რომ ასე თუ ისე იგი ქართული ენის გრამატიკის შედარებით სრულ კურსს იძლევა. ავტორი თავის ნაშრომს უწოდებს ქართული ხალხური ენის გრამატიკას, რაც მას შეჯერებული აქვს ხელნაწერ წყაროებთანაც, ე. ი. ხელნაწერებიდან ამოკრებილ მასალებთან. ა. ცაგარელი ამაში ხედავდა მაჯოს ნაშრომის ღირსებას, ჩვენ კი ნაკლიც უნდა დავინახოთ: ემჩნევა, ავტორი ვერ გაწაფულა ძველ ქართულ ხელნაწერთა კითხვაში და ამიტომ მასალების გადმოცემისას მრავალი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა მოსვლია.

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 67.

შეცდომები გვხვდება მაჯოს გრამატიკის როგორც ფონეტიკურ, ისე გრამატიკულსა და ლექსიკურ ნაწილშიაც. ავტორი ვერ არჩევს ქართული თანხმოვნების (ქ, ღ, ფ, შ, თ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ და სხვ.) თავისებურებებს. ამიტომ არის, რომ მას „ხბოს“ ნაცვლად უწერია „ჰბო“, „ბიჭის“ მაგივრად „ბიჩი“, „ვაჟის“ მაგივრად — „ვაჯი“, „ყმაწვილის“ ნაცვლად — „გმარძუილი“ და სხვ. ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე გრამატიკის დანარჩენ ნაწილებში გაანალიზებული მასალა. იგრძნობა, რომ ავტორისათვის ამოსავალია არა ქართული ენობრივი სინამდვილე, არამედ ლათინური გრამატიკის ნორმები[1].

ზემოთქმულის შემდეგ დასკვნა ნათელია: მაჯოს თავისი გრამატიკის შედგენა დაუწყია გორში 1637 წელს — ადგილობრივ ქართველ მწიგნობართა დახმარებით, განუგრძია გურიაში (1638 წლის დეკემბრიდან), ხოლო საბოლოო სახე მისთვის მიუცია გამოქვეყნების წინ. ხუთი წელიწადი უმუშაია ავტორს ამ წიგნზე (1637 — 1642 წწ.) და 1643 წელს გამოუცია რომში. მაჯოს ნაშრომი პირველი ქართული ბეჭდური გრამატიკაა უცხოურ ენაზე. არსებობს ამ გრამატიკის ორი გამოცემა. მეორე გამოცემა გამოვიდა რომშივე, 1670 წელს. პირველი ქართული ხელნაწერი გრამატიკა უცხოურ ენაზე კი ეკუთვნის მისიონერ ანტონ ჯარდინას, რომელიც მაჯოს გრამატიკაზე ადრეა შედგენილი.

მაჯოს გრამატიკას მეცნიერული ღირებულება ცოტა აქვს. მას დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა მოეპოვება, როგორც პირველ ქართულ ბეჭდურ გრამატიკას უცხოურ ენაზე.

1951 წ.

„ვეფხისტყაოსანი“ და ტაბილჟართული

„ვეფხისტყაოსანი“, ხელთუქმნელი ძეგლი XII საუკუნის ქართული ჰუმანიზმისა, ჩვენი პოეტური ენის გვირგვინია. შოთა რუსთაველი აღიზარდა მდიდარი ქართული სამწერლო და სალაპარაკო ენის ტრადიციებზე და განვითარების ზენიტზე აიყვანა როგორც ერთი, ისე მეორე. მისი კალამი ხალხის ენის ემბაზშია ამოვლებული. პოემის ლექსიკა, მხატვრული გამომსახველობის საშუალებანი, სიტყვათა ფორმები და ურთიერთკავშირთა კანონზომიერებანი, ხატოვანი სიტყვათშეერთებანი და მეტაფორული საქცევები საზრდოობენ ჩვენი ენის დიდებუ-

[1] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, გვ. 46-55.

ლი ლიტერატურული და ხალხური ტრადიციებით. პოემის თვით უსაზღვრო სიყვარული ხალხის მასებში, გავრცელება და წარუხოცელი ზემოქმედება ადამიანის სულზე, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება მისი შეუდარებელი ქართულით, მომაჯადოებელი ენამზეობით.

დიდი სიტყვისმოქმედი ერთნაირი სიღრმით ფლობდა ქართულის სამწერლო და ცოცხალ სამეტყველო ტრადიციებს და ამ ორი მძლავრი ენობრივი ნაკადის შერწყმით გენიალურმა მგოსანმა შექმნა მეგობრობის, ვაჟკაცობის, სიყვარულის, თავისუფალი ადამიანის ჰუმანური აზრისა და გრძნობების უჭკნობი საგალობელი, რომელმაც დაატყვევა არა მარტო თანამედროვეთა, არამედ შთამომავლობის გონებაც. ნიკო მარი ჯერ კიდევ 1917 წელს ამბობდა: შოთას მხატვრული ენისა და „სტილის თავისებურებანი უნდა ვეძიოთ, უწინარეს ყოვლისა, ხალხურ, ყოველ შემთხვევაში ცოცხალ მეტყველებაშიო“ და ამ ვარაუდში მკვლევარი, რასაკვირველია, არ შემცდარა. თავად მისმა დაუცხრომელმა ძიებამ და რუსთაველის ენის მკვლევართა მომდევნო თაობების დაკვირვებებმა ცხადყვეს ამ დებულების მეცნიერული სისწორე.

ჰეშმარიტად, მხატვრული ქმნილების უკვდავების, მარად უჭკნობი ესთეტიკური ძალის, იდეების, ზემოქმედების, გავრცელების უპირველესი წყარო არის სწორედ ენის ხალხურობა, სიტყვათა ხმარებისა და ურთიერთდამოკიდებულების, გარე- და შინაფორმათა ხალხური ნიადაგი. ეს ის მადლია, რომელიც ხელოვნების სიტყვიერ ძეგლს გზას უკაფავს მკითხველის გულისაკენ, ახლოსაც არ აკარებს ეპოქათა მტვერს, მაცოცხლებელ სიოს ქარტეხილად გადასცემს თაობებს. ამ სასწაულს ახდენს არა გარეგანი, ჩოხისა და ქულაჯის კოლორიტული შეკერილობის მსგავსი, არამედ ნამდვილი ხალხურობა, ფორმითაც, შინაარსითაც, არქიტექტონიკითაც, სახეებითაც, იდეებითაც, სუნთქვითაც. მაგრამ ყველა მწერალს როდი ჰყოფნის ძალა ხალხურობის ასე გამჭოლავად შეგრძნებისა: ეს მხოლოდ გენიოსთა შორის ისეთი გენიოსის ხვედრია, როგორიც შოთა რუსთაველი იყო.

პოემის ენის ამ მხარეს, ასე თუ ისე, რამდენიმე მეცნიერმა მიაქცია ყურადღება. გამოითქვა საყურადღებო შეხედულებანი, რომელთა არა თუ ანოტირება-ანალიზი, უბრალოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. თითქოს ყველაფერი ითქვა, ითქვა საბუთიანადაც, და ახალს კაცი ძნელად თუ დაამატებს, მაგრამ, როგორც ირკვევა, სათქმელი კიდევ ბევრი დარჩენილა. ამ მცირე წერილის მიზანს არ შეადგენს ან უთქმელის თქმა, ან რაღაც ახალი კონცეფციის განვითარება პოემის ენის თავისებურებებზე. მისი მოკრძალებული მიზანია ხაზგასმა იმ სიახლოვისა, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ ქსოვილს ვამჩნევთ ძველი, საშუალი და, რაც მთავარია, ახალი ქართულის სამწერლო ნორმებთან და დღევანდელი ეპოქის სალაპარაკო ენასთან. პოემაში საოცრადაა

შეხამებული ძველი, საშუალი, ახალი ქართულისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების (უპირატესად სამი უკანასკნელის) ლექსიკურ-გრამატიკული და რიტმიკულ-მელოდიკური ნორმები. „ვეფხისტყაოსანი“ ერთიანი, ზოგადქართული ენის ძეგლია. სხვაგვარად როგორ შეიძლება იმ საგულისხმო გარემოების ახსნა, რომ პოემის ტექსტს ზეპირად ეუფლებოდნენ არა მხოლოდ ძველად, არამედ ეუფლებიან დღესაც, ამავე დროს მას ზეპირად სწავლობენ მარტო სპეციალისტები კი არა, რომელთაც ეს მოეთხოვებათ თავიანთი პროფესიული მდგომარეობის გამო, არამედ, რაც მთავარია, უბრალო, ხალხის შუაგულიდან გამოსული, ადამიანები.

შოთას ქმნილებას, როგორც სიტყვაკაზმული ხელოვნების უჭკნობ ძეგლს, მომხიბლაობას, უწინარეს ყოვლისა, ენის ხალხურობა, ხალხის ცოცხალ მეტყველებასთან ასე მჭიდრო სიახლოვე და განუყრელი კავშირი ანიჭებს.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ პოემაში დამოწმებული ბევრი იშვიათი ან ნაკლებცნობილი სიტყვის სემანტიკის გასაღებს უფრო ცოცხალი მეტყველების წიაღში ვპოულობთ, ვიდრე ძველ ძეგლებსა და ლექსიკონებში.

შოთა თავისი თხზულების საშენ მასალას ტკბილ-ქართულს ეძახის და სიტყვას სიკეთის თესლად მიიჩნევს: „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელიო“, — ამბობს თინათინისა და ავთანდილის საუბარზე.

ხალხური სურნელება და დავლა-სიუხვე ემჩნევა პირველ რიგში პოემის ლექსიკას. მეტყველების ყველა ნაწილი აქ ერთნაირი სილაღით გრძნობს თავს, მაგრამ პოეტს უპირატესად სახელი და ზმნა უყვარს, სახელი მის ხელში ობიექტური რეალობის ენობრივი ასახვაა, საჭიროების შემთხვევაში კი — მოქმედების სიტყვა, ზმნა — ეს დიდება და მშვენება ჩვენი ენისა. სახელთა ფუძეებისაგან ზმნების მიღება და ზმნათა ფუძეებისაგან — სახელებისა შოთას სიტყვათწარმოების ბუნებრივი საფუძველია.

ია სახელისაგან მიღებულია ზმნა იე, ე. ი. იად იქცი, იის მაგივრობა გასწიეო; ფატმანი ნესტან-დარეჯანს ტარიელის შესახებ სწერს: „ორნივე მიჰხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“. ასევეა ხე — იხოს, ირემი — იირმოს, თხა — ითხოს, იმედი — უიმედნა, ქედგორა — იქედგოროს, მალმალი — ემალმალება: „პირი შენი ნახვად ჩუმად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს“, „გული მინდორს არ გაიჭრას, არ იირმოს, არცა ითხოს“; „კარგა ჰქმენო, — დაუმადლა, წყალობანი უიმედნა“, „მათად საჭვრეტელად მჭვრეტელმან ხამს თავი იქედგოროსა“; „ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალებისო“...

წარმოქმნილ სიტყვათა აზრობრივი დატვირთულობა პოემაში განვითარების მწვერვალს აღწევს. თავისთავად სიტყვა ასოცი ნაკლებემოციურ ღერს გვაჩვენებს, მაგრამ შოთას შაირში ზმნადაა ქცეული და გამოყენებულია სამახსოვრო სახეთა შესაქმნელად: „უმართლეა, ვერ მჭვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს“, ან: „ერთსა მიჰხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს“.

ასევე აზრტევადია რუსთაველური გაავცნობება („რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა“), გათავისწინება („მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა“), გასაწყინარება („ვიდრე მოშკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა“), გასისხლმდინარება („დანა დაიცა, მო-ცა-კვდა. დაეცა, გასისხლმდინარდა“), გახმამყივარება („შენ დაგიზახნა: „მიხმეთო“, ხმამაღლა გახმამყივარდა“), გასალამება („დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს“)...

რუსთაველის ხელში სიტყვა იძენს სინაზეს, სინატიფესა და სიტურფეს. მგოსანი ყოველმხრივ ელოლიავება მისი ქმნილების საშენ მასალას, რანდავს, აჩუქურთმებს, აგვირისტებს. ოციდან წარმოქმნილია გაოცება: „რამე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა“; საშიშრიდან — გასაშიშრება: „ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა“; უმეცრიდან — გაუმეცარება: „იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა“; მწარედან — გაუმწარავი: „ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი“; წამწამიდან — დაწამწამება: „კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება“...

სინატიფე და აზრტევადობა განსაკუთრებით რთულ სიტყვებს ემჩნევა. ამის ნიმუშად ასეულობით რუსთაველური გამოთქმა შეიძლება დავიმოწმოთ: გულლახვარსობილი („დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარსობილი“), ლაშქარ-მრავალი („მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი“), ნაუფლისწულევი („მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“), პირგამეხებული („ქვეწვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“), პირგამქუშავი („ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირგამქუშავია“)...

ამავე რიგის რთული სიტყვებია: ქვედანარცხებული, ზარაღებული, ლარკიდებული, მტერდაცემული, ნაგუშინდელევი, ომგარდახდილი, კარგანხმული, საწუთროგაცუდებული, ღამეთეული, ცრემლდენილი, ძალგულოვანი, წყალჯავარი და მისთანანი.

სალაპარაკო ენის კილოზეა გამართული გამო-დართული სრული ასპექტის ფორმები: გამომართალება (დანაშაულის გამოს-

ყიდვა): „აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე“); გამომელება (მელასავით გამოპარვა; „გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს“; გამომჩივარება (გაწყრომა, გაგულისება): „მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით მეფე გამომჩივარდა“; გამომგებარე (გამომგები, გამომთქმელი): „ვუშველეთ, ენა მოეკვეთა სიტყვისა გამომგებარე“... ნაწინათმყოფობის ელემენტით წარმოქმნილი ადიექტივები: ნააზატები, ნაათალი, ნაალაფევი, ნაბურთალი, ნაბუქალი, ნაგრძელევი, ნაერთგულევი, ნავაზირები... ან ელემენტით წარმოქმნილი ადიექტივები: ანაგები („მათ მოახსენეს: ტურფაო სახით და ანაგებითა“), ანაკიდი („უხვად გასცემს საბოძვარსა, საჸურჭლესა ანაკიდსა“), ანატირი („ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“), ანაყრდენი („ხე დიდრონი, თვალ-უწვდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი“), ანაჩქარები („მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები“)...

ხალხურ ელფერს გვაჩვენებს მოქმედების სიტყვათა პრეევერბიანი ფორმები, რომელთაც პრეევერბი გამომსახველობის სიმკვეთრის მიზნით დაერთვის ხოლმე. ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავია და და მო პრეევერბიანი ფუძეები.

და-: „შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ“; „თუ დავმალავთ, დავმჟღავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია“; „მაგრა საქმე არ მოხდების, ჟამი ასრე დამემტერა!“...

მო-: „ძმად-ფიცი ტარიელისი, თქვენს წინა მომგზავრებული“; „მაშინღა შევე ხატაეთს მოვლად და მოსათვალავად“; „მაშინღა იცნა, აკოცა, მოეჯდო, მოეძობილა“... შემო-: „მათ მითხრეს: უსენ შემოსძღენა პირი ელვათა მკრთომელი“; „მეფემან ბრძანა: ლაშქარნი უხმენით, შემოჯარენით“...

თანდებულები პოემაში უფრო საშუალი და ახალი ქართულის ნორმათა შესაბამისადაა ნახმარი. ვამბობთ, უფრო-თქო, რადგან ძველი ნორმებიცაა დაცული: ზედა, ზედ, ზედან, ზე: „ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრთებიან!“; „შევე, დავჯე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა ნოხთა პირსა“; „კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა“; „არ გამხადო კაბნიერად, არ ამიკლო ამაზო“... ეგევე ითქმის სხვა თანდებულებსა და ზმნიზედათა შესახებაც.

საგულისხმოა, რომ უფორმო სიტყვა გარკვეულ პოზიციაში წინადადების წევრის ფუნქციასაც ასრულებს. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის ზმნიზედათა, ნაწილაკთა, კავშირთა, შორისდებულთა მიმართ. რუსთაველი ამ სიტყვებს მხატვრულ სახეთა შესაქმნელად იყენებს. შორისდებული ვა, მაგალითად, პოემის ტექსტში ნახმარია როგორც თავისი

პირდაპირი მნიშვნელობით („ვა, წარხდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი!“); ისე წინადადების წევრის ფუნქციით: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა“, „დავყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იძახიან მუნ ვასაა“ (ხაზგასმული ვა, ვას პირდაპირი დამატებებია).

გაფართოებულია არ და ვერ უარყოფით ნაწილაკთა ფუნქცია, ნახმარია ისინი არა მარტო ზმნებთან, სადაც ბუნებრივად მოსალოდნელია მათი ადგილი, არამედ სახელზმნებთან და საზოგადო სახელებთანაც. ზმნებთან: არ: „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული“; „რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო, არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“... ვერ: „მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს“; „ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და“... სახელზმნებთან: „ღამე მერჩია, მეწადა არ-გათენება დილისა“; „ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი“; „მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ-შეფრობილი“; „თუ ვერას ვარგებ, ვიქნები ვერ-დამყოფელი წამისად“... ზედსართავ სახელებთან: „ჩამოვჰბურე მრავალკეცი სტავრა მძიმე, არ სუბუქი“; „ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმლითა ღირობა“; „სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარი“... არსებით სახელებთან: „არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს“; „ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ-სიწყნარები“... ნაცვალსახელთან: „თუ მოგეცემს შვილსა სასიძოდ, მისებრივ არ-რომელია“ და მისთანანი.

შოთამ სამწერლო ენაში გზა გაუკვლია მის ეპოქაში იშვიათს, ხალხის ცოცხალი სალაპარაკო ენიდან ამონარიდ სიტყვებსა და გამოთქმებს, ხოლო ბევრ მათგანს შეუნარჩუნა ხალხური გახმოვნებაც. ცოცხალი სასაუბრო ენის საგანძურიდანაა, მაგალითად, შეთვისებული ნაცვალსახელები ისი (ის), იმა (იმ), ზმნიზედა იქი (იქ) და ა. შ., თუმცა პოემის ტექსტში გვხვდება ამ სიტყვების როგორც ხალხური, ისე მწიგნობრული ვარიანტები.

ისი: „რადგან ისი არის სადმე უცნობო და ისრე რეტად“; ის: ვუთხარ: მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე!“...

იმა: „მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით, ღამით“; იმ: „ანუ დავხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღეს ა“...

იქი: „მოდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“; იქ: „იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი“...

მწიგნობრული აქამდის ნახმარია ადგილისა და დროის აღსანიშნავად: ა) ადგილისა: „აქამდის მზღვარი თურქთაა, მომზღვრეა ფრიდონ მზღვრებითა“; ბ) დროისა: „მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია“... სიტყვის ხალხური ვარიანტი აქანამდის,

რომელსაც იცნობს მხოლოდ დასავლური კილოები, გვხვდება 14-ჯერ და ყველგან მხოლოდ დროს აღნიშნავს, ადგილს კი არა: „ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა ა ქ ა ნ ა მ დ ი ს ჩემი შვება“; ა ქ ა ნ ა მ დ ი ს ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია“; „გაადვილდა, ა ქ ა ნ ა მ დ ი ს გარდახადა რაცა ჭირი“...

ბრუნებისა და უღლების სისტემა პოემის ტექსტში, არსებითად საშუალი და ახალი ქართულისაა, ცოცხალი სალაპარაკო ენისაკენ იხრება, თუმცა საკმარისადაა დაცული ძველი მწიგნობრული ნორმებიც. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ საინტერესო ფაქტს. საკუთარ სახელთა ბრუნებაში თითქოს გატარებულია ძველი წესი, მაგრამ პარალელურად გვხვდება ახალი ნორმაც, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. საკუთარი სახელი ა ს მ ა თ ი, კერძოდ, სუბიექტად გარდამავალი ზმნის II სერიის მწკრივებთან ხან ფუძითაა (წრფელობითი ბრ.) გადმოცემული („დაბნედასა მიეწურა, ა ს მ ა თ ასხა გულსა წყალი“), ხან კი მოთხრობითის ფორმით (შენიშნულია ხუთი შემთხვევა): „ა ს მ ა თ მ ა ნ წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია“; „ა ს მ ა თ მ ა ნ დასვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარხებული“; „რა ა ს მ ა თ მ ა ნ დაინახა, მოეგება, ცრემლი სწვთების“; „რა ა ს მ ა თ მ ა ნ დაინახა, განაღამცა გაეხარნეს“; „მუნ გვიმასპინძლოს ა ს მ ა თ მ ა ნ, მას უც ხორცისა ხმელობა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ვპოულობთ ხალხური ენის სხვა ნიმუშებსაც, და არც თუ მცირე რაოდენობით, მაგრამ მათი ერთი რომელიმე კილოს მიკუთვნება ძნელია. პოემაში, ჩვენი დაკვირვებით, ერთნაირად იგრძნობა როგორც იმ ეპოქისა და შემდეგი პერიოდის სამწერლო ქართულის სტიქია, ისე აღმოსავლური და დასავლური კილოების სუნთქვა.

ნ. მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია, დღემდე დაუძლეველი ღრმა ხალხურ თავისებურებათა მიმხიბლაობით. თავისი თხზულების არქიტექტურას შოთა აგებს ქართულ ხალხურ ბაზაზე, ძმობის პრეისტორიულ ინსტიტუტზე. თხზულება წარმოადგენს ძმადშეფიცული ერების შესხმა-მოთხრობას და რომანტიკული სიყვარულის კონცეფციას, რომელსაც არსად ბადალი არ გააჩნია“.

არჩილი ლაპარაკობდა რუსთაველის ჯავახიზმებზე: „შემოიღე ჯავახური ენა მძიმეო“; ნ. მარმა, შ. ძიძიგურმა, ი. მაისურაძემ და სხვებმა საგანგებოდ განიხილეს პოემის ლექსიკის მესხიზმები; ა. შანიძემ, ა. ჩიქობავამ, ს. კაკაბაძემ, იუსტ. აბულაძემ, ილ. აბულაძემ, ა, ბარამიძემ, ვ. ბერიძემ, შ. ღლონტმა, ზ. ჭუმბურიძემ და სხვებმა პოემის ლექსიკა შეისწავლეს სხვადასხვა ასპექტით და მოგვცეს მათი ყოველმხრივი ანალიზი !

„ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლა დიდად წინ წავიდა, მაგრამ შესაჯერებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული სიტყვის სალაროა, რომელშიაც თავმოყრილია ჩვენი ენის საუნჯის უძველესი ფონდის უმდიდრესი მარაგი. სწორუპოვარი სიტყვისმოქმედი მოკრძალებით არჩევს გენიალური თხზულების საშენ მასალას, საკუთარ უბეში სათუთად ზრდის, არწივის ფრთებს ასხამს და სანავარდოდ ფართო შარაგზას აძლევს. შოთას ხელში სიტყვა, უპირველესი მასალა აზრის დეფინიციისა, მხატვრული გამომსახველობისა და ზემოქმედების წარმოუდგენელ ძალას იძენს, იპყრობს ადამიანის გონებასა და გრძნობას. რუსთაველი ჭეშმარიტი ჯადოქარია სიტყვისა, უბადლო არქიტექტორი მისი გამომსახველობისა, ადამიანის სულის სამყაროს შენებისა და შემეცნებისა.

რუსთაველის ლექსს ამკობს განუმეორებელი მეტაფორები, რომლებშიაც მგოსნის ღრმა ცოდნა, უმაღლესი მხატვრული ალღო და გეძოვნება გამოსჭვივის. ამბობენ: ყოველი სიტყვა ერთგვარად მეტაფორას წარმოადგენსო. თუ ეს დებულება სწორია და საერთოდ სიტყვაზე შეიძლება ითქვას, პირველ რიგში, რუსთაველის სიტყვაზე უნდა ვთქვათ.

ქართულ სიტყვას პოემაში, მართლაც, გასროლილი ყუმბარის ძალა აქვს, ახლავს ნესტანის სიტურფე და ტარიელის სიზვიადე, თინათინის სინაზე და ავთანდილის სიბრძნე. შოთას კალამს ისე ხელეწიფება ტკბილ-ქართული, როგორც ტარიელის გოლიათ მკლავებს ვეფხი და ავაზა.

სიტყვათხმარების რუსთაველური მომჭირნეობა აზრს მაქსიმალურ სიხალვათეს აძლევს და ყოველივე ამას მკითხველი ერთბაშად შეჰყავს ხელოვნების წარმტაც საბაღნაროში, სადაც ადამიანი და ბუნება სასწაულებრივ ჰარმონიაშია, „რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან“... თხა და მგელი ერთად ძოვენ...

რუსთაველის ენამზეობის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რა ძალაა ჩამარხული სიტყვაში, რა ამოუწურავი პოტენციისაა მეტყველების ის ენერგია, რომელიც უკუფენილია სიტყვათსაგანძურში.

რუსთაველის ქართულს დაძველება არ უწერია. იგი იყო, არის და მარად დარჩება ჩვენი ეროვნული სიამაყის წყაროდ. „ვეფხისტყაოსანი“ ახალი ქართულის, ჩვენი ყოველდღიური სამწერლო და სასაუბრო ენის საგანძურია.

1966 წ.

ერთი იშვიათი ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება იშვიათი ნაწილაკი ყე, რომელიც სამწერლო ქართულმა დიდი ხანია დავიწყებას მისცა, მაგრამ შემორჩა ხალხურ სალაპარაკო ენას (ქილოებს). ამ ნაწილაკს რამდენიმე მეცნიერი შეეხო, თუმცა დღემდის მაინც არ არის ნაჩვენები უშუალო წყარო, საიდანაც ის უნდა შემოსულიყო პოემის ტექსტში.

რუსთაველის გენიალური ქმნილების უმდიდრესი ლექსიკა, ენა და სტილი მკითხველის აღტაცებასა და გაოცებას იწვევს. „ვეფხისტყაოსანი“ სამწერლო და ხალხური ქართულის საგალობელია. შოთამ თავის გმირებს ეროვნული სული ჩაუდგა. საკვირველი ხელოვნებით ასახა ხალხური ყოფის მშობლიური ტრადიციები და საკაცობრიო ვნებათა ღელვა ღვთაებრივი ტკბილ-ქართულით ამოქარგა მარად ელვარე ტილოზე.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეების, დიდების, უბერებლობის, მომხიბლაობის, გავრცელების მთავარი წყარო, უწინარეს ყოვლისა, მისი ენის ხალხური ნიადაგია. საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირად ჟღერს შოთას ქართული, ერთნაირად ესმით პოემის აზრი და იდეები, ერთნაირი სიყვარულით კითხულობენ და სწავლობენ სხივნათელ პოემას, ერთნაირად ესესხებიან მის საგანძურს სიტყვებსა და გამოთქმებს.

შოთას ქმნილებას ღრმადა აქვს გადგმული ფესვები ხალხში. შვიდასორმოცდაათზე მეტი წელიწადია მისი მომაჯადოებელი სიტყვები და გამოთქმები ამშვენებენ მწერლობას, ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთდამოკიდებულებას, საუბარს. გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ ენისა, რომელსაც დიდი სამწერლო და ხალხური ტრადიცია ასაზრდოებს, ჩვენს სალიტერატურო და სალაპარაკო ენაზე განუზომლად დიდია.

შინ და გარეთ, ლხინსა და ჭირში, შრომასა და ბრძოლაში —„ყველგან გაქუხს“ რუსთაველის აზრტევადი სიტყვა, ხიბლავს მსმენელს, იტაცებს და იპყრობს მის სულსა და გულს. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცისათვის შრომაში წამახალისებელი იარაღია, ბრძოლაში — ამოწვდილი მახვილი, სწავლაში — ამოუწყვეტი სიბრძნე, ოჯახში — სიხარული, მეგობრობაში — მეგზური, ვაჟკაცობასა და სიყვარულში — განუმეორებელი მაგალითი. უჭკნობი პოემის ამ სასწაულთმოქმედებათა მთავარი წყარო მისი წარმტაცი ქართულია.

ჩვენი მეცნიერება გულმოდგინედ სწავლობს „ვეფხისტყაოსნის“ ენის ხალხურ წყაროებს. მკითხველი იცნობს ამ თემაზე დაწერილ ათეულობით სტატიას, ნარკვევს, მონოგრაფიას. ჩვენი მიზანია პოემაში დამოწმებული ერთი, ზემოთ დასახელებული იშვიათი ნაწილაკის, წყაროს ჩვენება.

„ვეფხისტყაოსანში“ ორ ადგილას გვხვდება ყე ნაწილაკი და ორი-

ვეგან ერთი ფუნქციით: „რა ისარი დაელივის, მონანიყე, მოართმიდეს“, „მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს?“.

როგორ უნდა გავიგოთ ხაზგასმული სიტყვები მონანიყე და წამალსაყე? რა დანიშნულება აქვს ამ ფორმებში ყე ნაწილაკს?“.

ყე ნაწილაკის ფუნქციას საერთოდ ქართულში რამდენიმე მეცნიერი იკვლევდა და ამ საკითხზე მეტად საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურაც არსებობს.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ყე ნაწილაკს ქართულში ისტორიულად ორი ფუნქცია შემორჩა: სახელთან — მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის თანდებულისა (გან და კენ-ის ფარდად), ზმნასთან — ნაწილაკისა, რომელიც მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტური პირის მრავლობითობას აღნიშნავს. ჩვენს ინტერესს ამჯერად ნაწილაკის მხოლოდ მეორე ვარიანტი იწვევს, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ იგი სწორედ ამ ფუნქციით იხმარება: „მონანიყე მიართმიდეს“ ნიშნავს „მონები მათ მიართმევდნენ“; „წამალსაყე მოგიტანდეს“ — „წამალს თქვენ მოგიტანდნენ“; „მათ“ და „თქვენ“ მიცემითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში დასმული ობიექტებია.

ცნობილია, რომ ყე ნაწილაკი (ან მისი ვარიანტი კე) დღეს ცოცხალია ქართული ენის როგორც აღმოსავლურ (კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, სპორადულად მოხეურსა და მთიულურში), ისე დასავლურ კილოებში (იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში). მას არ იცნობს მესხური, ჯავახური, გურული, აჭარული, რაც მთავარია, ქართლური — ერთ-ერთი დედაკილო ჩვენი სალიტერატურო ენისა. სამწერლო ქართულში ყე ნაწილაკს, ჩვენი დაკვირვებით, მყარი ნიადაგი არ ჰქონია. მართალია, ძველ ძეგლებში, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაშიც, იგი გვხვდება XI საუკუნიდან, მაგრამ მეტად იშვიათად და არა ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში. ეტყობა, იგი უფრო იმ ძეგლებშია დამოწმებული, რომლებიც შეთხზული ან გადანუსხულია ყე ნაწილაკის მქონე კილოებზე მოლაპარაკე მწიგნობართა წრეში. ამიტომ ნაწილაკი ხსენებულ ძეგლებში უნდა მივიჩნიოთ დიალექტიზმებად და არა სამწერლო ენის ორგანულ კუთვნილებად.

ასევე დიალექტიზმად უნდა გავიგოთ იგი რუსთაველის ეპოქის ძეგლში — „ვისრამიანში“ (დამოწმებულია ერთჯერ: „ჰქონდაყე ხუაშიადი მოაბადისი დიდებულთა“), საბა ორბელიანის ერთ ლექსში („უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა“), დ. გურამიშვილის „დავითიანში“ (აქაც გვხვდება ასეთ პოზიციაში: „ეს ის წყარო არს, ძოღანას რომ მოგითხარყე სუ რითა“), ანტონის გრამატიკაში (დავიწყებიესყე, უყუარსყე) და ა. შ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორღა მოხვდა ეგ იშვიათი ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“? რა წყარო უძევს მას საფუძვლად?

ყე ნაწილაკი, როგორც ჩანს, პოემაში დამოწმებულია ზეპირი, ხალხური ტრადიციით და არა სამწერლო ენის ნორმათა მიხედვით. შოთა ბრწყინვალედ იცნობდა თავისი ეპოქის სამწერლო ენასა და ცოცხალ მეტყველებას. მგოსანი აღიზარდა ამ ორი ენობრივი ნაკადის საფუძველზე და, ბუნებრივია, მის ქმნილებაში აღიბეჭდა ორივე მათგანის თავისებურებანი. პოემის ენა ეპოქის სამწერლო ქართულის ჩარჩოებში ვერ თავსდება, ამაზე მეტია, ტრადიციის ერთგული სიტყვის მოქმედი, უბადლო ნოვატორიცაა.

ზეპირი, სალაპარაკო ენიდანაა პოემაში შესული არა მარტო ეს ნაწილაკი, არამედ ასეულობით სიტყვა-გამოთქმა, ობოლი მარგალიტებივით რომ ამშვენებენ მას. ხალხური ტრადიცია უძევს სარჩულად მრავალი სიტყვის რუსთაველურ სემანტიკასაც.

ზეპირი ტრადიცია უნდა ასაზრდოებდეს, მაგალითად, რუსთაველურ გამოთქმებს: ძალ-მიც, ძალ-გვიც, ძალ-უც, სადაც ძს კომპლექსის ნაცვლად გვაქვს ც ს კომპლექსი: „მან უთხრა: ძმაო, რა გითხრა, ძრვაცა არ ძ ა ლ -მ ი ც (უნდა ყოფილიყო: ძალ-მიძს!) ენისა“; ან: „პირის-პირ ომი არ ძ ა ლ-გ ვ ი ც, არ ჟამი საკვეხარია“; „არვის ძ ა ლ- უ ც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“... ნაცვლად გამოთქმისა მ ი ძ ს, უ ძ ს პოემაში ვკითხულობთ: მ ი ც, უ ც: „მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მ ი ც წასაღებელი“; „ერთ კერძ უ ც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლმოცხებული“...

იმავე ზეპირი ტრადიციის კვალი ამჩნევია ასეთ გამოთქმებსაც: თ ვ ა რ ა დ ა („ვა შენი ბრალი, თვარადა სიკვდილი ჩემი ლხინია!“), ყ ვ ე ლ ა კ ა ი („ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა“; „ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი“), ა წ ყ ა, მიღებული ა წ ღ ა-დან („აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახიც!“) და მისთ.

ამ გზითვე უნდა მოხვედრილიყო ყე ნაწილაკიც „ვეფხისტყაოსანში“. როგორც ითქვა, აქ იგი მხოლოდ ორ ადგილას გვხვდება, მოსალოდნელი კი იყო ანალოგიურ პოზიციაში სხვა ადგილასაც. მაგალითად, არ გვხვდება ამ ტაეპში: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“. ზმნა შ ე ე ბ ი მოითხოვდა ყე ნაწილაკის დართვას, რადგან მას ეწყობა ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა მიცემით ბრუნვაში (მათ — ხატაელთა), მაგრამ წესი დაცული არ არის. ასევე ნაწილაკი არ არის ნახმარი სხვაგანაც: „თუ ქაჯნი ღმერთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო“; ან: „აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რას გვაბიან?“ და მისთ.

ამისთანა აღრევა ყე ნაწილაკის ხმარებისას სწორედ ზეპირ ტრა-

დიციას შეიძლება მიეწეროს. საგულვებელია ტექსტის გადამნუსხავთა ხელრთვაც.

ყ ე ნაწილაკის ფუნქციას პოემაში რუსთველოლოგები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ძეგლის პირველი გამომცემელი და ბრწყინვალე კომენტატორი, ვახტანგ მეექვსე, მას „ქვე“ ნაწილაკს უკავშირებდა: „ყე ქვესავით სიტყვის შემასრულებელი არისო“. სახელოვანმა მკვლევარმა სწორად შენიშნა პოემის ტექსტში ეს იშვიათი და თავისებური ნაწილაკი, მაგრამ მისი ფუნქციის მართებული ახსნა ვერ მოგვცა. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი გამომცემელი, დ. კარიჭაშვილი, ფიქრობდა: ამ სიტყვას „ცალკე მნიშვნელობა არა აქვს, იხმარება ზმნასთან, როდესაც ქვემდებარე მრავლობით რიცხვშიაო“. უმართებულო მსჯელობაა! ყ ე ნაწილაკი ქვემდებარის მრავლობითობას კი არა, დამატების მრავლობითობას გადმოგვცემს.

ყველაზე სანდო განმარტება ნაწილაკის ფუნქციისა მოგვცა იუსტ. აბულაძემ. ცნობილ ლექსიკონში, რომელიც მკვლევარმა 1914 წელს დაურთო პოემის საკუთარ გამოცემას, ნათქვამია: „ყ ე არის ნაწილაკი, რომელიც იხმარება ზმნის ფორმის შემდეგ, მიცემითი ბრუნვის არსის ნაცვალთა „თქვენ“, „მათ“ ნაცვლად, ასე რომ ყე პიროვნებითი არსის ნაცვალთა ამ ორი ფორმის ნამდვილი ექვივალენტია: მონანიყე მოართმევდეს — მონანი (მათ) მოართმევდნენ ისრებს; წამალსაყე მოგიტანდეს — (თქვენ) ისინი წამალს მოგიტანდნენ. „ყე-ს“ ხმარობენ ზმნის ისეთს ფორმაში, რომელიც მოითხოვს არსის ნაცვალთა „თქვენ“, „მათ“ მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით — მოგწერაყე — თქვენ, მოგწერ მე“.

განმარტება სწორად გვაჩვენებს ყე-ს ფუნქციას პოემის ტექსტში.

რაც შეეხება ნაწილაკის საერთო ლექსიკურსა და გრამატიკულ კვალიფიკაციას, ამაზეც მდიდარი, ზოგჯერ შინაარსით ერთურთის გამომრიცხავი, ლიტერატურა არსებობს. დიდ ლექსიკოგრაფოსს, საბა ორბელიანს, მთლად მართებულად არ ესმოდა მისი მნიშვნელობა: „ყ ე კის მსაგავსიო“; ასევე არაზუსტია დ. ჩუბინაშვილის განმარტება: „ყ ე ზმნიზედა — დიაღ, რასაკვირველია“. ნაწილაკის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის დაზუსტებული განმარტება წარმოდგენილია ვუკოლ ბერიძის იმერულ და რაჭულ თქმათა „სიტყვის კონაში“, რომელიც 1912 წელს გამოიცა. აქ ნათქვამია: „ყე წინადადებაში შემასმენლის შემდეგ დაისმის დამატების მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავადო“. აღარ შევჩერდებით მ. ბროსეს, ჰ. შუხარდტის, მ. ჯანაშვილისა და სხვათა შენიშვნებზე, რომლებშიაც ჩვენთვის საინტერესო ნაწილაკის ფუნქცია სხვადასხვა ასპექტითაა განხილული. საგანგებოდ აღსანიშნავია ა. ჩიქობავას სპეციალური ნარკვევი — „ყ ე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის

თვალსაზრისით“ (1924 წ.), სადაც საკითხი ახალი მიდგომითაა შესწავლილი და ყურადღება გამახვილებულია ხსენებული ნაწილაკის გრამატიკულ კვალიფიკაციაზე.

ამრიგად, უ ე და მისი ვარიანტი კ ე, როგორც მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ხალხური მეტყველების სამყაროს განეკუთვნება და შემონახულია გარკვეული წრის კილო-თქმებში. მისი გავრცელება სამწერლო ენაში, ჩანს, ადრეულ ეპოქებში სცადეს ამ კილო-თქმებზე მოლაპარაკე მწიგნობრებმა, მაგრამ ამაოდ, ლიტერატურაში ნაწილაკმა ფეხი ვერ მოიკიდა, შემორჩა ძველი და საშუალი ქართულის მხოლოდ ზოგიერთ ძეგლს, ისიც სპორადულად, ახალმა სალიტერატურო ქართულმა კი სრულიად დავიწყებას მისცა. ეს ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“ შესულია ხალხური, ზეპირი ტრადიციის მიხედვით და ნახმარია თავისი ნათლად გამოკვეთილი ფუნქციით.

1960 წ.

„ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონისათვის

„ვეფხისტყაოსანში“ 40-მდის სხვადასხვა წარმოშობისა და შედგენილობის საკუთარი სახელი (ანთროპონიმი) გვხვდება. გამოიყოფა ორი ფენა: პერსონაჟები: ავთანდილ, ასმათ, დავარ, დულარდუხტ, რამაზ, როდია, როსან, როსტევან, როშაქ, სარიდან, სოგრატ, ტარიელ, უსამ, უსენ, ფარსადან, ფატმან, ფრიდონ, შერმადინ; უცხოურ თხზულებათა პერსონაჟები, ფილოსოფოსები, მეფეები, ისტორიული პირები: ადამ, დავით, დიონოსი, ვისი, თამარ, კაენ, ლევი, მაჰმადი, პლატონ, რამინ, როსტომ, სალამან...

ჩვენს ინტერესს, უწინარეს ყოვლისა, პირველი რიგის ანთროპონიმები იწვევენ. საიდან ამოუკრებია შოთას ეს სახელები, რა წყაროები უძევს საფუძვლად პოემის ონომასტიკონს?

„ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონს ორი წყარო ასაზრდოებს: ადგილობრივი და ნასესხები.

ქართულსა და ქართველურ ონომასტიკონს ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველეს ქართველ ტომებს საკუთარ სახელთა თვითმყოფი სისტემა შეუქმნიათ ჩვენს წელთაღრიცხვამდის ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. საერთო ქართულ ონომასტიკონს შემორევია ნასესხები მასალაც და ასე ჩამოყალიბებულა ქართული, სვანური და მეგრული ნაირფეროვანი ონომასტიკონი, რომლის ნიმუშები შემორჩა მთის, სვანურსა და მეგრულ ცოცხალ მეტყველებას, ხოლო აქედან გზა გაიკაფა მწერლო-

ბაშიაც (აბედ, ავაგ, ავალ, თაყა, ალუდა, ამირან, ასათ, ასან, ბაკურ, ბექა, გოჩა, დაჩი, ეჯბი, ვარამ, ვაჩე, ზაალ, ზაზა, მაყა, მამუკა, რატი, საღირ, სულა, ქავთარ, ჭილა, ცოტნე, ხუტა, ჯავახ... აგუტი, ნანა, ნინო, როდამ, ლელა, დალი, გვანცა, მზექალა, აშექალი...). ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერებში გაქვავებული სახით შემონახულია წარმართულ ღვთაებათა საკუთარი სახელები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანთროპონიმებად გამოუყენებიათ წინაპრებს. ნ. მარისა და ა. სვანიძის დაკვირვებებით, ასეთი სახელებია ნანა, ნანაია, ნანუნი, რანუნი, რანინა, ნანინა, ანინა, დალი, დელია, დელა, ლალე, ლილე, ალალე, ალათა, ია, უა, ვარადო და მისთ.

ძველი ქართული ანთროპონიმების გავრცელებას ფრთა შეაკვეცა ქრისტიანობისა და მისი მწიგნობრობის დამკვიდრებამ (IV საუკ.). ქრისტიანულმა ეკლესიამ დანერგა სასულიერო წიგნებიდან მომდინარე კალენდრის ანთროპონიმები და განდევნა ტრადიციული ფონდი საკუთარი სახელებისა.

„ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონი ასახავს ნასესხები და ტრადიციული ანთროპონიმების ურთიერთდამოკიდებულებას. მართალია, პოემაში არ გვხვდება ქრისტიანული საკუთარი სახელები, მაგრამ ნასესხებ ონომასტიკონს აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

პოემის პერსონაჟთა სახელების მთავარი ნაწილი არაქართული წარმოშობისაა და პირველად ამ ძეგლშია დამოწმებული. შოთას ქმნილების გამოჩენამდის თითქმის არ იხსენიება ასმათ, რამაზ, როდია, როსან, როსტევან, როშაქ, უსამ, უსენ, ფატმან, ფარსადან, შერმადინ, რომლებიც ნ. მარისა და იუსტ. აბულაძის აზრით, სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროდან უნდა იყვნენ შეთვისებული და თავდაპირველი ეპითეტებიდან მომდინარეობენ. ნესტან-დარეჯან ნიშნავს უებროდ ლამაზს, რომლის მსგავსი არ არსებობს ამ ქვეყნად; ასმათ — პატიოსნებას; როსტევან — მართალს, სწორადმხედველს; უსამ — მახვილს და ა. შ.

ტარიელს ნ. მარი თავის დროზე წარმოშობით ირანულ შაჰრიარს უკავშირებდა, მაგრამ ტერმინის უფრო სწორი ეტიმოლოგია მოგვცა იუსტ. აბულაძემ. მისი აზრით, ტარიელ ეპითეტია და იმასვე ნიშნავს, რასაც ძველ ირანული კომპოზიტი: დარიელ: დარ, დარა — მეფე, მეუფე დაიელ — გმირი, მოყმე, ე. ი. მოყმე მეფე, მეფე გმირი.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა საკუთარი სახელების მეორე ნაწილი ტრადიციულ ქართულ ელფერს ატარებს და, ეტყობა, პოეტის თანამედროვე ფონდიდან უნდა იყოს ამოღებული. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ, სახელდობრ, თინათინ, ავთანდილ (ეგების თანდილიდან), ფრიდონ (შდრ.: აფრიდონ), რომლებიც რუსთაველის ეპოქაში,

XIII საუკუნიდან მაინც, ფართოდ იყო ხმარებაში. ფრიდონი მოხსენებულია რუსთაველის ეპოქაში შექმნილ ძეგლში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, აფრიდონი კი — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და ლეონტი მროველის თხზულებებში, რომლებიც „ვეფხისტყაოსანზე“ გაცილებით ადრეა დაწერილი. აფრიდონი ერქვა აგრეთვე თამარის კარის მსახურთუხუცესს. ხალხური ტრადიცია დაჟინებით ამტკიცებს, რომ შოთას უფროს ძმას ავთანდილი ერქვაო. ასევე „თამარიანის“ დამატებაში მოხსენებულია თინათინი და ა. შ. სავარაუდოა, ხალხში ტრიალებდა ყველა ის ანთროპონიმი, რომლებიც პოემაშია დამოწმებული.

რუსთაველი მტკიცედ იცავს საკუთარ სახელთა მოფერებითს ფორმებსა და შემოკლების ხალხურ ტრადიციას. ტარიელ — ტ ა რ ი ა: „ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტ ა რ ი ა“; როსტევან — რ ო ს ტ ა ნ: „გახსოვს, ოდეს შენ და რ ო ს ტ ა ნს მინდორს მხეცი დაგეხოცა?“; ნესტან-დარეჯან — ნ ე ს ტ ა ნ ჯ ა რ: „ნ ე ს ტ ა ნ ჯ ა რ ახლავს თინათინს, მჭვრეტელთა ამაზრზენია“ (შდრ. ხალხური გამოთქმები: გერასიმე — გ ე რ ა. ბესარიონ — ბ ე ს ა, იპოლიტე — ი პ ო...).

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი გავლენა მოახდინა ხალხის ცოცხალ მეტყველებასა და მთელ ყოფაზე. განუზომლად ფართოა მისი გავლენა სამწერლო ენის განვითარებაზე. ხალხი პოემას სიყვარულით სწავლობდა, მის იდეებზე თაობები იზრდებოდნენ. XVII საუკუნის მგოსანმა, არჩილმა, რუსთაველს, მშვენივრად ათქმევინა: „საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქუხს, ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხსო“. და მართლაც, რუსთაველის ქმნილება ხალხმა გულითადი სიყვარულით აიტაცა, შეისწავლა, მისი გმირები მისაბაძ მაგალითად მიიჩნია, პერსონაჟთა სახელები, ისევე როგორც შოთას ასეულობით მხატვრული სიტყვა და გამოთქმა, გადავიდა ხალხში და ფართოდ გავრცელდა.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის „აღაპებში“, რომლებიც XIII — XV საუკუნეებშია შედგენილი, დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმები: თინათინ, ავთანდილ, დარეჯან, ნესტან-დარეჯან, ფრიდონ; XV საუკუნის ძეგლში („გერგეტის მატიანე“) მოხსენებულია თინათინ, მეუღლე მეფე გიორგი VIII-ისა (1446 — 1466). ცნობილია, რომ მეფე დავით X-ის (XVI საუკ. დასაწყისი) მეუღლეს ერქვა ნესტან-დარეჯან (დედა ლუარსაბ I-ისა). ეგეთე სახელი ერქვათ სვიმონ I-ლის, კახთ-ბატონის ალექსანდრე I-ლის მეუღლეებს (XVI საუკ. მეორე ნახევარი), ალექსანდრე II-ის ასულსა და სხვ.

თინათინი ერქვა ავ-გიორგის ძის, ლევანის, მეუღლეს, კახთ-ბატონის ალექსანდრე II-ის მეუღლეს (XVI საუკუნე), გიორგი X-ის ასულს

(XVI საუკუნის პირველი ნახევარი), რომელიც შემდეგ შაჰ-აბაზის მეუღლე გახდა.

საისტორიო დოკუმენტები მოწმობენ, რომ XIII საუკუნიდან მოკიდებული ხალხში ფართოდ გავრცელდა „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონი. ჩვეულებრივ საკუთარ სახელებად იქცნენ: თინათინ, ნესტანდარეჯან, ასმათ, ფატმან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ, სარიდან, რამაზ. განსაკუთრებით გახშირდა ტყუპი ქალებისათვის თინათინისა და ნესტან-დარეჯანის, ხოლო ტყუპი ვაჟებისათვის — ავთანდილისა და ტარიელის დარქმევა.

ხალხში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს პოემის გენიალური ავტორის სახელიც — შოთა — უძველესი ანთროპონიმი, რომელსაც მეტად დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონი ფართოდაა დამკვიდრებული არა მარტო ჩვენი ხალხის ყოფაში, მას ასევე პატივისცემით ეპყრობიან მოძმე ხალხებიც. სომხურ წყაროებში, მაგალითად, საკუთარი სახელი ავთანდილი, როგორც გამორკვეულია (ჰ. აჭარიანი, ა. შანიძე) იხსენიება 1609 წლიდან, თინათინი — 1661 წლიდან და ა. შ. ამ საკუთარ სახელებს ხშირად ვხვდებით აგრეთვე სხვა მოძმე ხალხთა (რუსთა, აფხაზთა, ოსთა და სხვ.) შორისაც.

1966 წ.

ვაჟას ქართული

ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროს ბუნების სიდიადე, სიცოცხლის მარადიული სიმშვენიერე და ქართული სიტყვის მადლი ასაზრდოებენ. ვაჟა ქვეყანაზე სიკეთეს თესავს და ადამიანს ხალხის საქმისათვის თავგანწირვის კეთილშობილურ გრძნობებს უნერგავს. მკითხველი მას ჰუმანიზმის მწვერვალზე აჰყავს და ერთნაირი სიძლიერით განაცდევინებს ცხოვრების როგორც სიტკბოს, ისე სიმწარეს. ვაჟას პოეზია მთლიანი და განუყოფელია. მისი ყოველი კომპონენტი მონოლითურადაა შეკრული იმ საკვირველი დუღაბით, რასაც ქმნის ვაჟას აზრტევადი სიტყვა, უტყუვრად გამომსახველი ბუნების სწორუპოვარი მესაიდუმლის ფიქრისა და განცდისა. ვაჟას სიტყვასთან განუყრელია მთის სიზვიადე და ბარის სინაზე, ბულბულის გალობის სიტკბო და არწივის ფრთების ძალა. მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა: „გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა“. ვაჟას ქართულში ჩაწნულია ლუხუმის ვაჟკაცობა და ლელას სიტურფე, მინდიას სიბრძნე და აღაზას წმინდა

გრძნობა, ალუდას სიმართლე და სანათას სიამაყე. ვაჟას სიტყვა ჭეშმარიტად საოცრებაა.

ადამიანები მუდამ თრთოდნენ ბუნების საოცრებათა წინაშე და ასე მოხდა ვაჟას საოცარი ქართულის მიმართაც. მრუდე სარკიდან უცქეროდნენ მას. ამიტომ ვაჟას სიტყვის საიდუმლო და ძალა ამოუცნობი დარჩა არა მარტო ძველ თაობას, არამედ ბევრ ჩვენს თანამედროვესაც. ამას ღრმა გულისტკივილით უნდა გაესვას ხაზი.

ვაჟა ქართული ენის გამომსახველობის საშუალებათა უბადლო მცოდნე და ოსტატია. იგი ეუფლება ქართული სიტყვის ამოუწყავ სალაროს და იქიდან მოკრძალებით არჩევს მარგალიტებს, რომ უფრო ღრმად, კოლორიტულად და სამახსოვროდ გადმოსცეს ჩანაფიქრი. მან კარგად იცის, სიტყვა სამოსელია აზრისა, აზრი — მისი შინაარსი. მგოსანი მართებულად ამბობს: „ენა სახეა მწერლისა“, „ენა მწერლის სულია“, „ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა“. მწერლის ქმნილებას „ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვასო“,—წერდა ვაჟა და ეს სიტყვები აბსოლუტური სიზუსტით ახასიათებენ თვით ავტორის ქმნილებათა ენობრივ ქსოვილს. სწორედ ასეთია ვაჟას მხატვრული ენა, მისი ქართული.

ვკითხულობთ ვაჟას მხატვრულ შედევრებს და ეტკბებით მშვენიერი ქართულით, მაღალი იდეებით, ნათელი აზრებით; თვალწინ გვიდგას დიდი მგოსანი მთელი თავისი სიგულწრფელით, სიზვიადით, სიმართლით. აბა რამდენჯერ წაგვიკითხავს „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველისმჭამელი“, „არწივი“, „ბაკური“, „კლდე და მდინარე“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ და კიდევ რამდენჯერ მოგვსურვებია მათი წაკითხვა. ვაჟა, ისევე როგორც ყოველი დიდი ეროვნული მწერალი, ცხოვრების სიბრძნის წინ გადაშლილი წიგნია, რომელიც უსაზღვრო ინტერესით იკითხება, მაგრამ რომლის წაკითხვასაც ვერასოდეს ვერ დაასრულებ. გენიოსური ქმნილებების საიდუმლოება რომ კაცმა ერთი წაკითხვით ამოიცნოს, მაშინ ის ამ ეპითეტის ღირსი არ იქნებოდა.

ვაჟას ქმნილებებს სასწაულებრივ ძალას, საკაცობრიო იდეებთან ერთად, მისი კოლორიტული ენა, სიტყვა აძლევს. მგოსნის სტიქია ხალხის ენაა. ხალხის ენა მთელი თავისი ეპითეტებით, შედარებებით, იდიომებით, ფრთიანი გამოთქმებით ჩქეფს მის პოეტურ, პროზაულ, დრამატულ, პუბლიცისტურ თხზულებებში. იგი ხალხის ენის გულთამხილავია. ვაჟას, ილიას მსგავსად, სწამდა, რომ ხალხია ენის მშობელი და კანონმდებელი, „ხალხი ერთი დედაა ენისა, იგი ჰმატებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს“. ამავე დროს, იგი უწინარეს ყოვლისა იცავს სალიტერატურო ენას, გვასწავლის მისი სიწმინდის დაცვისათ-

ვის ბრძოლის აუცილებლობას. ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს, გასული საუკუნის 80-იან წლებში ვაჟა თავის ოპონენტებს ეუბნებოდა: „ვინ არის ისეთი გაუგებარი, რომ საერთო ლიტერატურული ენის საჭიროება არ ესმოდეს, მწერლობდეს კი და ენის გაუკეთესობაზე და „გაწმენდაზე“ არა ჰფიქრობდეს?!“

ვაჟას ენა საგანგებოდ არავის შეუსწავლია. ამ საკითხზე, სამწუხაროდ, არ დაწერილა ყველა ასპექტის შემცველი სპეციალური ნაშრომი, ურომლისობასაც ახლა ასე გრძნობს მკითხველი. ცალკე სტატიები და შრომები, რა ღირსებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, საკმარისად ვერ მიიჩნევა. ამ წერილშიაც შეუძლებელია ყველაფრის აღნიშვნა, მაგრამ მთავარი აქ მაინც უნდა ითქვას: ვაჟას ქართული — საერთო, სალიტერატურო ენაა. ლექსიკაშიაც, გრამატიკულ სტრუქტურაშიაც ვაჟა თანამიმდევრულად განაგრძობს და იცავს იმ სწორ მაგისტრალურ გეზს, რომელსაც ილია და აკაკი ადგნენ. ამას ერთნაირად მოწმობს მგოსნის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მცდარია აზრი, თითქოს ვაჟას ენა პროზასა და პუბლიცისტიკაში ერთია, პოემებში — მეორე. ვაჟას მხატვრული ენა მთლიანი და განუყოფელია. ყველა ჟანრში გამოსჭვივის უბადლო მგოსნის სტილის ორიგინალობა, მაგრამ მისი ენა ერთია — სალიტერატურო ქართული.

ყური დავუგდოთ, რა საუცხოოდ ჟღერს მშობლიური სიტყვა სალიტერატურო ქართულის ამ ხელთუქმნელ სტრიქონებში:

იტყვიან: მაღლის მთის ძირსა,
უღრანს, უდაბურს ტყეშია,
ლუხუმი იწვა დაჭრილი,
ნატყვიარი სჭირს მკერდშია...
(„ბახტრიონი“)

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებული სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა...
(„სტუმარ-მასპინძელი“)

როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა:
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა.
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა...
(„გველისმჭამელი“)

ვაჟას მხატვრულ სიტყვას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ხალხში და იქიდან საზრდოობს. ყოველი დიდი ეროვნული მწერალი პატივს

სცემს სალაპარაკო კილოს, მას ესესხება სალიტერატურო ენისათვის საჭირო სიტყვის მარაგს, მოქნილ ფორმებს. დიალექტი საერთო ენის გამდიდრების უშრეტი წყაროა. ვაჟამ ხალხური კილოს საუნჯიდან სიყვარულით ამოკრიფა ობოლი მარგალიტები და საყოველთაო საკუთრებად გახადა. ვაჟას თხზულებებში ვარსკვლავებივით კიაფობენ ახალი სიტყვები და გამოთქმები. ეს სიტყვები, პირველ რიგში, მათი ის ნაწილი, რომელიც მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ასახავს, ჩვენი ენის ნამდვილად უდიდესი საუნჯეა. ვაჟას საყვარელი ქუჩი და დეკა ისევე ამდიდრებენ და ამშვენებენ ქართულ ლექსიკას, როგორც რუსთაველის სარო და ლელი.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ვაჟას ქართულის ერთი შესანიშნავი თავისებურება. აქ სახელი და ზმნა (ქვემდებარე და შემასმენელი) უპირატესად შეთანხმებულია მრავლობით რიცხვში. ვაჟა ამ შემთხვევაშიაც ხალხური ტრადიციის ერთგულია (ამასთან, ამ ტრადიციას, მთასთან ერთად, არსებითად ბარიც მხარს უჭერს). მგოსანი ჩვეულებრივ წერს: „ცაზე ჰყვავიან ღრუბლები“, „მთებმა დახუჭეს თვალები“, „მთების წვერები ჩნდებოდნენ“, „ქედები მოჩანან“, „ხეები გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ“, „ფოთლები ხმებიან“... ქვემდებარისა და შემასმენლის ამისთანა შეთანხმება მრავლობითში მხოლოდ პოეტური მეტაფორა კი არა, გრამატიკული ნორმაა, რომელიც, ჩვენი აზრით, უეჭველად უნდა გავრცელდეს სალიტერატურო ენაშიაც. აქეთკენ მიისწრაფვის დღეს სალიტერატურო ქართულის განვითარება. ამ ნორმას გამონაკლისიც ახლავს, მაგრამ ძირითადად მისაღებია. ცნობილი გრამატიკული წესი: შემასმენელი -ე ბ-იან მრავლობითში მხოლოდ იმისთანა ქვემდებარეს ეთანხმება, რომელიც სულიერ (ან გასულიერებულ) საგანს აღნიშნავსო, — აღარ ასახავს ენის დღევანდელ ტენდენციას. უკვე ჩვეულებრივ ნორმად იქცა: ქვემდებარე (რაგვარი სახელიც უნდა იყოს იგი) უპირატესად ითანხმებს მრავლობით რიცხვში შემასმენელს. ვაჟამ ეს გარემოება ყველაზე ცხადად გვაჩვენა. ამ ნორმის მიღება და პრაქტიკაში დამკვიდრება აგვაცდენდა მრავალ გაუგებრობას და ბოლოს მოუღებდა იმ საშინელ შეუსაბამობებს, რასაც ამჟამად ვხვდებით ქვემდებარისა და შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხში.

სიტყვა მასალაა მწერლის ენისა. მწერალი თავს დასტრიალებს სიტყვას, უბით ატარებს, შვილივით ანებივრებს, ზრდის, აძლევს მეტ სითამამეს, გამომსახველობას და შემდეგ ბარტყივით გადმოაფრენს ხოლმე ბუდიდან. ასე გაუზრდია ვაჟას ყოველი მხატვრული სიტყვა-თქმა. ამიტომ მგოსნის თხზულებებში სიტყვას გასაროლილი ყუმბარის ძალა აქვს. იგი მაღალი მხატვრის ფუნჯითაა გამოძერწილი და ჩასმული თავის ადგილას. ხალხური წიაღიდან ფრთხილად ამონარიდი სიტყ-

ვა ვაჟამ მამაშვილურად გაზარდა, შიგ დიდი აზრი ჩააქსოვა და ისევ ხალხს დაუბრუნა:

სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ჯავრით ნაკვები, სნეული,
გულგანგმირული ბეჩავი,
თავს მანდილჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა:
მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰფენს
როგორც ცამ გამოიდარა...
მიხარის, ჩემმა გაზრდილმა
რომ ბინა ჰპოვა ერთანა...

ვაჟას მთელი პოეზია ტკბილქართულის ლაღი ზეიმია, ქართული სიტყვის ქუხილია მთიდან.

1961 წ.

სალიტერატურო ენის საჭესთან

ბრძენმა ვაჟამ სადღაც შენიშნა: „ენა სახეა მწერლისა“, ამიტომ „მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინცადამაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმულიო“. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა!

და ამ სიტყვებით ჩვენ შეგვიძლია, სრული სიზუსტით დავახასიათოთ გიორგი ლეონიძის პოეტური ენა. ნამდვილად თავისებური, საკუთარი სახე აქვს მგოსნის ფრაზეოლოგიას, წინადადებას, თქმას, სურათებს. სწორედ აქ ჩანს მისი ინდივიდუალური ხელწერა, ჩანაფიქრის სიცხადე, აზრის სინათლე, სულის სისპეტაკე.

გ. ლეონიძე დგას ახალი ქართული სალიტერატურო ენის საჭესთან და მგზნებარედ იცავს მის მდიდარ ტრადიციებს, ახალი, უჭკნობი ქმნილებებით ამდიდრებს ჩვენი სალიტერატურო ენის საგანძურს.

მცირე წერილში მეტად ძნელია მთლიანად აღვნუსხოთ დიდი პოეტის დამსახურება სალიტერატურო ქართულის წინაშე. ამას ნაშრომების მთელი სერია დასჭირდებოდა. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ გიორგი ლეონიძის ენის რამდენიმე თავისებურებას და მისი

მხატვრული ქმნილებების მნიშვნელობას სალიტერატურო ენის ნორმების სიწმინდის დაცვისა და ხალხში შემდგომი დამკვიდრების საქმეში.

პოეტს მთელი არსებით უყვარს ტკბილქართული, თავს დასტრიალებს და გულმოდგინედ სწავლობს მის სიმდიდრეს. იგი სასტიკად ებრძვის ფუჭსიტყვაობას, ოკრობოკრო ფრაზას, ფუყე წინადადებას. ლეონიძის თხზულებებისათვის უცნობია მძიმე თხრობა, მოსაწყენი „პროზაიზმი“ და მშრალი ერთფეროვნება. ლეონიძის მძლავრ პოეტურ ექსპრესიას ზედგამოჭრილი ხალასი ენობრივი ფორმა აქვს.

კითხულობ მის უპქნობ ქმნილებებს — „დედაენა“, „ვეფხისტყაოსანს“, „არ დაიდარდო, დედაო“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ?“, „ილიას სურათზე“, „აკაკის“, „ვაჟა-ფშაველას“, „დავით გურამიშვილს“, „სულხან-საბას“, „ნუშნარა“, „ვუმღერ სამშობლოს“, „ნინოწმინდის ღამე“, „ფორთოხალა“, „ბულბულის ციხე“ და კიდევ და კიდევ გინდა მათი წაკითხვა. გიტაცებს ლამაზი ქართული სიტყვა, გხიბლავს მთელი მისი „ლექსქართულობა“, გჯერა მგოსნის გულწრფელი აღსარება: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები“. ყოველი პოეტური ფრაზა ამ ლექსებისა გულში ჩამწვდენია, ჟრუანტელის მომგვრელია. აბა, აუღელვებლად როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა „ფორთოხალა“ და „მუხის ფოთოლი“, ეს მართლაც მომხიბლავი ლექსები.

ლეონიძე სიტყვას იღებს ცხოვრების შუაგულიდან, მოკრძალებით ესესხება ხალხის სალაპარაკო ენას და ამავე დროს უნარჩუნებს მას ხალხურსავე უბრალოებას, სინატიფესა და ძარღვიანობას. მგოსნის მთელი შემოქმედება შთაგონებულია ხალხური სიბრძნით. იგი ზედმიწევნით იცნობს ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფას, უმდიდრესი ზეპირშემოქმედების ტრადიციებს. მის პოეზიას ამიტომ ასე ღრმად აქვს ფესვები გადგმული ხალხში. ხალხური ენა ასაზრდოებს მგოსნის ჰეშმარიტად უზადო პოეტურ მეტყველებას.

გიორგი ლეონიძე ქართული სიტყვის საოცარი ოსტატია. ათეულობით ქართულმა სიტყვამ პირველად სწორედ მის ლექსებში იპოვნა გზა და ჩადგა სალიტერატურო ენის სამსახურში. თანამედროვე ქართულის მომავალი მემატიანე დაწვრილებით გამოიკვლევს მგოსნის წვლილს ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებაში. ჩვენ კი აქ მივუთითებთ მისი ენის ორიოდე ნიშანდობლივ მხარეზე. პოეტს უყვარს: ა) სახელისაგან ზმნის წარმოება, სახელის გაზმნავება: ფოლადი — დაფოლადება („დიდ ჭირში დაგვაფოლადებ“), ღამე — ამოღამება („თვალი სად ამოგიღამდა“), ლამპარი — დალამპრება, გალამპრიანება („ბნელს გვილამპრავდი ჭალარით“, „გაანათეს, გაალამპრიანეს“), ნაცარი — ამონაცრება („გული დიდ სევდას ამოენაცრა“), კურცხალი — იკურცხ-

ლება („მისი მიმკრთალი კურცხლები სიმწარით იკურცხლებიან"), პწკარი — დაეპწკარა („სულ ჩემი გულის მონაწურია, რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები"), ვარსკვლავი — ივარსკვლავეს („რაც ივარსკვლავეს, მათ გაგვახარეს"); ბ) ნ ა ელემენტით წარმოქმნილი წინავითარების სიტყვათა ხმარება: ნატაძრევი, ნაცრემლი, ნატაცარი, ნათამამარი, ნაჩრდილი, ნამუხლი, ნაგვირისტალი, ნაღალატევი, ნატბორალი, ნასატრფოვალი, ნაკალმახარი, ნათევარი, ნაგალობარი, ნათავისარი, ნაშხევარი...

გ. ლეონიძე ეპითეტების ბრწყინვალე ოსტატია. მის ლექსებს აჩუქურთმებენ ეპითეტური წყვილები: ვარდნაბანი ფურცელი და ოქროსხმიანი სიმები, გულდამერცხლილი და გულამოკირული კაცი, ხელსატაცი სიტყვა და გზადაღლილი მებრძოლი, ხმანამწარევი წარსული და ჭირგადახდილი მებრძოლი, გულჩქარი გმირი და გულნატყვიარი მხედარი, მზეთვალა ქალი და რქაფიწალი ირემი, ნამიწისძვრალი მიწა და ნაყოფგათავებული ხე, გამცივარი ჰაერი და ათქვირებული ტყე...

ამას წინათ გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა ეპიზოდი რომანიდან „პატარა ტამალია". მწერალი აქ წარმოგვიდგა დინჯი და დარბაისლური სტილის შესანიშნავ პროზაიკოსად. მოკვეთილი ფრაზები, გამოჩალხული საქცევები, ლექსიკის საოცარი მრავალფეროვნება და სიმდიდრე, ბუნების მომაჯადოებელი სურათები, — აი რას ხედავს და გრძნობს, უწინარეს ყოვლისა, მკითხველი ამ მცირე ნაწყვეტში. ყური დავუგდოთ, თუნდაც, ამ ადგილს: „ისევ ისე მორბის ლოდნარებზე მჩქერვალი ოროტა —გემოციები და კალმახმრავალი; ისევ ისე შრიალებენ შამბნარი, „სახოხბის ჭალა"; ისევ ისე ხასხასებენ სველი ჭანჭრობები, ჯღრდეები, ლიები, ლანჭახები, ნაფესვარები, შებარდული წარაფები, ნაყოფსავსე ვენახები, ციმციმებენ წყალფენილა ღელეები, წყალსაწური ტოტები, მოჩანს პატარა გამურული წისქვილი. რამდენი მინადირია ამ კარჩხალჭალებში, რამდენი ფრინველი მომიკლავს? მერე რა გემრიელია აქაური კლდეების კაკაბი შამფურზე, ან ჩახოხბილი დურაჯი ზედ მაშარაბ- ან თუთუბოდაწურული!"

ამ სტრიქონების ავტორი მაღალი გემოვნებისაა. მისი ფუნჯი უტყუვრად აღბეჭდავს ცოცხალ სურათებს, ბუნების საოცარ ქმნილებებსა და ხასიათებს. მწერალი იცავს თხრობის სიდარბაისლეს, გადმოცემის სისადავეს, საღებავების ზომიერებას. ჩვენ არ ვიცით, განზრახული რომანის არც თემა, არც სიუჟეტი, მაგრამ მისი გამოქვეყნებული პროლოგის წაკითხვა დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ გ. ლეონიძე მხატვრულ პროზაშიაც იტყვის ჯერ უთქმელ თავის სიტყვას. მის მხატვრულ ენას აქაც შეუძლია ფართო გასაქანის პოვნა. მკითხველი ენდობა მგოსნის ქართულს, რომელსაც ხალხის გულამდის მიაქვს დედაენის სიტურფე.

გიორგი ლეონიძის თხზულებებში თავის სილაღეს ზეიმობს ენა ქართული, ჰეშმარიტი საოცრება ადამიანის გონებისა...

1959 წ.

ლექსიკური შენიშვნები

ქრთილი, ქვრიმა, მანანა, ბურღული, ღერღილი

ჟურნალისტმა ჟ. სიხარულიძემ შეკითხვით მომმართა: როგორ გადმოვიღოთ ქართულად რუს. манная крупа, მართებულია თუ არა ამ ცნების შესატყვისად თ ა ვ ნ ა ფ ქ ვ ი ბ უ რ ღ უ ლ ი ს ხმარება, როგორც ამას ლექსიკონებში ვხვდებითო? საკითხი, ჩანს, საერთო ინტერესის სფეროს მოიცავს, რადგან მსგავსი შეკითხვით სხვა დარგის მუშაკებსაც არაერთგზის მოუმართავთ ჩემთვის. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიე დაინტერესებულ პირთათვის საერთო პასუხის გაცემა.

რუს. крупа (სიტყვა ასევეა გახმოვანებული თითქმის ყველა სლავურ ენაში, სახელდობრ, ძვ. სლავურში, უკრაინულში, ბელორუსულში, ბულგარულში, პოლონურში, სერბულხორვატულში, სლოვენურში[1] და ა. შ.) სპეციფიკური სიტყვაა, რომლის ზუსტი ეკვივალენტი ქართულად არ მოგვეპოვება და, ალბათ, თავდაპირველად მისი არც საჭიროება ყოფილა, თორემ ენა ამისთანა ხარვეზს არ დაუშვებდა. როგორც ირკვევა, ადრე ჩვენში არ იცოდნენ იმ პროდუქტების დამზადება, რასაც რუს. манная крупа, пшенная крупа, ячневая крупа, перловая და овсяная крупа, ან, საერთოდ крупа აღნიშნავს და არც შესაბამისი სიტყვები გვქონდა. ყველა ამ პროდუქტის ადგილს იჭერდა ჩვენებური ფ ე ტ ვ ი, შ ვ რ ი ა, ქ რ თ ი ლ ი, ქ ვ რ ი მ ა, ქ ე რ ი (მათი ფქვილი ან ღერღილი), რომელთა ნაყოფი ერთად აღებული ფეტვეულად ან ფეტვისნაირად აღინიშნებოდა. მაგრამ როდესაც ჩვენში ზემოხსენებული პროდუქტები შემოვიდა (ცხადია, რუსეთის გზით) და გავრცელდა, მათ თავიანთი სახელწოდებებიც შემოჰყვა. Манная крупа-ს შესატყვისად, მაგალითად, გავრცელდა ბარბარიზმი მ ა ნ ი კ რ უ პ ა, манная каша-ს აღსანიშნავად — მ ა ნ ი ქ ა შ ი და ა. შ. მაშინ ქართულ ლექსიკურ საგანძურში, ჩანს, არავის უძებნია ადგილობრივი ეკვივალენტები და ნასესხები მასალით დაკმაყოფილებულან.

ძველ ქართულში საკვები მცენარეულის სახელწოდებათა მწყობრად ჩამოყალიბებული ნომენკლატურა გვქონდა. ენას მოეპოვებოდა

[1] М. Ф а с м е р, Этимологический словарь русского языка, перевод с немецкого и дополнения О. Н. Т р у б а ч е в а, II, М., 1967, გვ. 386.

როგორც კერძო, ისე განმაზოგადებელი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ძირითადი ნაწილი დოკუმენტირებულია ძველ ქართულ ძეგლებში. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ყველა საკვები მცენარის მარცვლის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში ხ უ ა რ ბ ა ლ ი (|| ხორბალი) იხმარებოდა. „ხუარბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია ყველა იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურს აცხობენ ხოლმე"[1]. ამასთან ეს ტერმინი ვერ იტევდა ფეტვს, ქრთილს, შვრიას, ქერს. „არც ქრთილი, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — არც ქერი, არც შვრია, არც ფეტვი ხუარბლად არც იგულისხმებოდა და არც იწოდებოდა"[2]. ხ უ ა რ ბ ა ლ ი იმ საკვები მცენარის აღმნიშვნელია, რომლიდანაც პური ცხვება. ქრთილი, ფეტვი, შვრია, ქერი, ქვრიმა კი ამ რიგის მცენარეები არ არიან. მიუხედავად ამისა, ვახუშტი ბაგრატიონი ამ მცენარეთა უმეტესობას ერთად იხსენიებს: ქართლის ველებზე „ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი"...[3].

ხორბლეული და ფეტვისნაირი მცენარეები ცალ-ცალკე უნდა დავაჯგუფოთ. პირველის ფქვილისაგან, ჩვეულებრივ, გამომცხვარ პურს ვიღებთ, მეორის მარცვალს უპირატესად ხარშავენ და ფაფას აკეთებენ, თუმცა ორივეს ფქვილისაგან შეიძლება ნამცხვრის მიღება. ფეტვისნაირთა ფქვილისაგან მჟადს აცხობენ. ამიტომ როგორც მრავალგვარია პურეულ მცენარეთა სახელწოდება, ისევე მრავალგვარია ფეტვისნაირ მცენარეთა სახელწოდება. მსოფლიოში, მაგალითად, ფეტვისნაირთა (რუს. просо) 400-ზე მეტი სახეა ცნობილი, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკის ტროპიკულსა და სუბტროპიკულ რეგიონში — 200-ზე მეტი, აფრიკაში — 100-ზე მეტი და ა. შ. რუს. просо 'ფეტვი', მრავალგვარია და ბევრ მათგანს ქართული შესატყვისიც აქვს. დავასახელებ ზოგიერთს: просо африканское 'აფრიკული ფეტვი', просо венгерское 'ქვრიმა' (მთიულ. მელაკუდა-ფეტვი, კახ. ძურწა-ფეტვი, ფშ. ქვრიმა-ფეტვი, ქვ. რაჭ. ქვრინოფა, ზემ. რაჭ. ჭადი, კარწუმელი), просо индийское 'დაფუსა,' просо итальянское 'ღომი' (გურ. ღომის ღომი, მეგრ. ღუმუ, ღუმუში ღუმუ, ჩხვერი (მარცვალი), ჭან. ქურუმი, ნჩხვარი (მარცვალი, ნჩხვაი), просо китайское 'ურიში', просо куриное, просо петушье 'ბურჩხა' (ქართლ. ნასიმინდრის ბალახი, სიმინდის

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 319.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

[3] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., „ქართლის ცხოვრება", IV, თბ., 1973, გვ. 306.

ბალახი; კახ. ფაჩხა-ძურწა, ქართლ., ზემ. იმერ. ურიშა, ურჩხი; ქიზიყ. სულუფა, რაჭ., იმერ. ურჩხა, მეგრ., გურ. ბურჩხი, ჯალაღინი; ინგილ. სულუფ, ღორ მუქ: ჰან. ბუჩხი), просо обыкновенное 'ფეტვი'; просо японское 'ურიში'... ასევე რუს. гречиха 'წიწიბურა' ფეტვისნაირი კულტურული მცენარეა (ხევსურ. კრუმა, ფშ. ტრუბკა). აქედანაა წიწიბურას ცეხვილი ან ბურღული (რუს. гречневая крупа).

ფეტვი ჩვენშიაც მრავალნაირი ყოფილა. ალ. მაყაშვილს დამოწმებული აქვს მისი დიალექტური სინონიმები: კაჩხაფეტვი (კახეთი), ფოჩიანი ფეტვი (მთიულეთი), ჰადი ან ჰადის ჰადი (ქვემო იმერეთი, გურია), შავჰადა, ურუში (ლეჩხუმი)[1]. ფეტვის შესატყვისია საბას ფაჩქა[2], რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი შავ ფეტვს უწოდებს[3], ინგ. ფეტ[4], სვან. ფატვ, მეგრ. ფატი (ან: ჰკიდი, ჰკიდიში ჰკიდი). ქვრიმაც ფეტვისნაირია, რის შესატყვისად კახურში გვაქვს ძურწა-ფეტვი, მთიულურში — მელაკუდა-ფეტვი, ფშაურში — ქვრიმა-ფეტვი, ქვემორაჭულში — ქვრინოფა, ზემო რაჭულში — ჰადი. საბას მიხედვით, მისი შესატყვისებია კარწუმელი და ჯიქურა — „ინდური ფეტვი“[5].

სემანტიკურად ამავე რიგისაა ქერი და ქრთილი. საბა მათ მხოლოდ თესვის პერიოდის მიხედვით ასხვავებს: „გაზაფხულ ნათესს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისას — ქრთილიო“. ქრთილი დაახლოებით იმ მნიშვნელობით იხმარებოდა, რითაც რუსულში крупа. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, რაც ვახუშტის ცნობას ეყრდნობა, ქრთილნი ყოფილა საერთო სახელი ქრთილისა და ქერისა. ორივე სიტყვა უძველესია და დამოწმებულია ადრინდელ ძეგლებში. უძველესია ბრინჯიც, რომელიც იმავე სემანტიკის სიტყვაა, რისაც ქრთილი და ქერი. გვხვდება წმიდა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში (IX ს.), ოღონდ სხვა მნიშვნელობით: „მუნ დგა ხჳ შუენიერი ბრინჯისაჲ“. საბას აზრით, ბრინჯი არის „მარცვალი თეთრი“; ეს განმარტება შემდეგ დაზუსტა ნ. ჩუბინაშვილმა შემდეგნაირად: „ბრინჯი ქრთილის გუარი თეთრი მარცუალი (2, მეფ. 17, 28), рис, сарацинское пшено“. სიტყვა ეგვბის ნასესხები არ არის, თუმცა თურქულში გვაქვს სხვა წარმოშობის firinci'ხაბაზი', 'მეპურე', 'მეფუნთუშე'; ზოგიერთ

---

[1] ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

[2] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949.

[3] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

[4] მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, თბ., 1913.

[5] ს.-ს. ორბელიანი, იქვე.

ინდოევროპულ ენაში — პირინჯი, ბულგარულშია birindž, რომელიც სტ. მლადენოვის ბულგარული ეტიმოლოგიური ძიების თანახმად თურქული სიტყვაა, მომდინარე ახალი სპარსულიდან[1].

ამრიგად, ძველ ქართულში საკვებ მცენარეულთა სახელწოდებები ჯგუფდებოდნენ პურეულთა და ქრთილეულთა რიგებად. მათ შორის ხორბლის შემდეგ ყველაზე ძველი ფეტვი უნდა იყოს. ფეტვისნაირთა შორისაა მოსახსენებელი ღომიც, რომელიც შედარებით გვიან გავრცელებული მცენარეა.

ქრთილი და ქვრიმა, სინონიმები ფეტვისა, მთლიანად ზუსტად ვერ გვაჩვენებდნენ იმ სემანტიკას, რასაც რუს. крупа, მაგრამ ყველაზე მეტად მათ მაინც ეგ ტერმინები უახლოვდება. ამიტომ უმჯობესი იყო ამ მნიშვნელობით ქრთილის დამკვიდრება. ენა ამ გზით არ წასულა და ადგილობრივის ნაცვლად ნასესხები სიტყვა ბურღული აურჩევია. ბურღული თურქული სიტყვაა, bulgur და მსხვილად დაფქულ ხორბალს აღნიშნავს; bulgur kirmak 'ხორბლის ღორღვა', 'ფხვნა ცეხვილისა'. დ. ჩუბინაშვილს ბურღული სპარსული წარმომავლობის სიტყვად მიაჩნია, საბას „სიტყვის კონაში", ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონსა" და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" შეტანილია წარმომავლობის უჩვენებლად. ლექსემა, როგორც ითქვა, ნამდვილად თურქულია და ეს დაადასტურა კიდეც ცნობილმა თურქოლოგმა აკად. ს. ჯიქიამაც. მან, ჩემი თხოვნით, გადასინჯა ძირითადი თურქული წყაროები და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ცნობა ბურღულ ლექსემის სპარსული წარმოშობის შესახებ მართებული არ არის, სიტყვა თურქულია და დამოწმებულია ყველა სარწმუნო თურქულ ლექსიგოგრაფიულ ნაშრომში, მათ შორის ვ. რადლოვის ლექსიკონშიაც[2]. თურქ. bulgur-ის ('მსხვილად დაფქული ხორბალი') ფუძიდან გვაქვს ზმნებიც: bulya, bulyan 'რევა', 'არევა', 'შერევა', 'ბრუნება', 'ტრიალი', 'მსხვრევა', 'შენჯღვრევა'. სახელი დასტურდება ორ ვარიანტად: bulgur || burgul. დ. ა. მაგაზანიკის თურქულ-რუსულ ლექსიკონში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ვარიანტი bulgur[3].

სიტყვა გვიან უნდა იყოს შეთვისებული, რადგან ძველი ქართულის ძეგლებში არ ჩანს. საბა იმოწმებს წყაროს მიუთითებლად: „ბულღური ხვარბალი მგბარი, დანაყილი". სიტყვა ასევე თურქულიდანაა შესული სომხურშიაც და ხალხში ბლღურ-ად გამოითქმის.

---

[1] С. Младенов, Етимологически и правописен речник на българския книжовен език, София, 1941.

[2] В.В. Радлов, Опыт Словаря тюркских наречий, I-IV, СПб., 1893-1911, IV,2.

[3] Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945, გვ. 89.

როგორც ჩემთვის ცნობილია, არც სომხურს მოეპოვება რუს. крупа-ს შესატყვისი თვითმყოფი სიტყვა.

საბას ცნობის მიხედვით მოსალოდნელი იყო ბ უ ლ ღ უ რ ვარიანტის გავრცელება, თუმცა თურქულში, აკად. ს. ჯიქიას დასტურით, burgul || bulgur ინოვაციაც გვხვდება, მაგრამ, როგორც ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი მოწმობს, ბ უ რ ღ უ ლ დამკვიდრებულა, რაც ხალხურ წარმოთქმას უახლოვდება და ერთგვარად ქართული ენის ფონეტიკური სისტემის ჩარჩოში ეტევა. ბ უ რ ღ უ ლ ვარიანტი, რომელიც თანამედროვე ქართულშია დაცული და აღბეჭდილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიაც, პირველად ნ. ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში ჩნდება (1815 — 1825 წწ.): „ბ უ რ ღ უ ლ ი მოხარშული და დაცეხვილი ხორბალი საკორკოტე, крупа“[1]. დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „დაცეხვილი ხორბლის მარცვალი, крупа“[2].

რუს. манная крупа-ში ორი ფუძეა შეერთებული: ბერძნ. манна μάννα და რუს. крупа. მისი ქართული შესატყვისი' მანანის ბურღული' რუსულის კალკია ისეევე, როგორც რუს. манная каша-ს შესატყვისი — 'მანანის ფაფა'. ფქვილის სახელი თავისი საუკეთესო მაწვივრობის გამო რუსულსა და მრავალ სხვა ენაში გადატანით დაუკავშირდა ბიბლიურ მანანას, ხოლო ქართულში მისი რუსულის კალკი დამკვიდრებულა.

მ ა ნ ა ნ ა ქართულმა ენამ ბერძნულიდან შეითვისა უძველეს ეპოქაში, გვხვდება IX — X სს. და მომდევნო პერიოდის ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებში. დავიმოწმებთ რამდენიმე ადგილს: „მამანი ჩუენნი ჭამდეს მ ა ნ ა ნ ა ს ა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მათ ჭამად“ (იოვანე, 6, 31); „მამათა თქუენმა ჭამეს მ ა ნ ა ნ ა ჲ უდაბნოსა ზედა და მოწყდეს“ (იოვანე, 6, 49); „ჭამეს მამათა თქუენთა მ ა ნ ა ნ ა ჲ იგი“ (იოვანე, 6, 58); „უწვიმა მათ მ ა ნ ა ნ ა ჲ საჭმელად და პური ცათა მოჰსცა მათ“ (ფსალ., 77, 24), „უწვიმა მ ა ნ ა ნ ა ჲ ერსა“ (ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტ., I, თბ., 1946, გვ. 90); „აღმევსოს მე გული სისხლითა, ვითარცა მ ა ნ ა ნ ა ჲ თ ა“ (აბოს ქება, იქვე, გვ. 235)...

ბიბლიის წიგნების თარგმანებსა და ძველი ქართულის სხვა უმნიშვნელოვანეს ძეგლებში მ ა ნ ა ნ ა ყველგან ერთი მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ ყველაზე ოპტიმალური განმარტება სიტყვისა მაინც ნ. ჩუბინაშვილს აქვს მოცემული. იგი ამბობს: „მ ა ნ ა ნ ა ზეცით შთამოცვივნული საზრდელი, მსგავსი ქინძის თესლისა, ფერით თეთრი და გე-

[1] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

[2] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887.

მოთი ტკბილი, მზე დააღნობდის. ებრაულად მ ა ნ ა ნ ა, რაიბო; რამეთუ პირველად რა იხილეს, იკითხვიდენ, რაიაო? და მით ეწოდა მანანა (ფსალ., 77, 24), манна, μάννα || აწ მ ა ნ ა ნ ა დ უხმობენ რომელთამე ხეთა ნაწვეთსა, გამხმარსა და ტკბილსა"[1]. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მ ა ნ ა ნ ა ებრაული სიტყვაა და აღნიშნავს მცენარეს, манна, შესაწირავი, ძღვენი, дар, жертва (იერემ., 4, 5; ეზეკ., 45, 25; ბარუქ., 1, 10).[2].

ქართული ენის განმარტებითსა და დიალექტურ ლექსიკონებში აღნიშნულია მ ა ნ ა ნ ა ლექსემის რამდენიმე მნიშვნელობა სალიტერატურო ენასა და კილოებში.

1. ბიბლიის მიხედვით: ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას.

2. გადატ. მოულოდნელად მისწრებული დახმარება; სასიხარულო, სასიამოვნო რამ.

3. ჟინჟღლივით დანაწვიმი ზოგიერთი მცენარის (კაკლის, ცაცხვის, ჰინჭრის) ფოთლებზე (ჩვეულებრივ ივნის-ივლისში); მზეზე ბზინავს.

4. ქართლურსა და გურულში: მცირე, პატარა.

5. გურულში: ზრდაში ჩამორჩენილი, ცახზე დაგვიანებით ასული აბრეშუმის ჭია (გ. შარაშიძე). აქვე სიმღერაა ერთგვარი — ძველი ჩარირამა.

6. ქიზიყურში: პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილი თითო-ოროლი წვრილი აბრეშუმის ჭია (ს. მენთეშაშვილი).

7. იმერულში: წითელი საღებავი (ქვერცხის შესაღებად).

ბ უ რ ღ უ ლ ი, როგორც ვთქვით, პურეულის მსხვილად დაღერღილ მარცვალს, ხორბლის ღ ე რ ღ ი ლ ს ნიშნავს. მოგვიანებით ღ ე რ ღ ი ლ ი მხოლოდ სიმინდის მარცვალთან დაუკავშირებიათ და ამიტომაც პ უ რ ი ს (|| ხ ო რ ბ ლ ი ს) ღ ე რ ღ ი ლ ი აღარ უხმარიათ, თუმცა ლექსიკონებში ღ ე რ ღ ი ლ ი ხორბლის ნაფქვავის მნიშვნელობითაცაა დამოწმებული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, კერძოდ, ნათქვამია: „ღ ე რ ღ ი ლ ი ძლიერ მსხვილად დაფქული, დაღერღილი მარცკალი (სიმინდი, ხორბალი და მისთ.)". ბ უ რ ღ უ ლ ი იგივე ღ ე რ ღ ი ლ ი ა, ოღონდ პირველი თურქული სიტყვაა, მეორე—ქართული. პირველი დამკვიდრებულა, მეორე კი ხმარებიდან არ განდევნილა, მაგრამ დარჩენილა დავიწროებული მნიშვნელობით: სიმინდის მსხვილად დაფქული მარცვალი. ამიტომ რუს. крупа-ს ბუნებრივი შესატყვისი იქნებოდა არა თურქ. ბ უ რ ღ უ ლ ი (|| ბ უ ლ ღ უ რ ი), არამედ ქართ. ღ ე რ ღ ი ლ ი. მაშინ თ ა ვ ნ ა ფ ქ ვ ი ბ უ რ ღ უ ლ ი ს ხმარება საჭირო აღარ გახდებოდა.

[1] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ლექსიკ.

[2] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ლექსიკ.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, უფრო მართებულია შესაბამისი რუსული სახელწოდებების ასეთი თარგმანი:

манная крупа მანანას ღერღილი ან მარტივად: მანანა.
гречневая крупа წიწიბურას ღერღილი.
пшенная крупа ფეტვის ღერღილი.
ячневая крупа ქერის ღერღილი.
перловая крупа უჩენჩო ქერის ღერღილი.
овсяная крупа შვრიის ღერღილი.
кукурузная крупа სიმინდის ღერღილი ან მარტივად: ღერღილი.
рисовая крупа ბრინჯის ღერღილი და მისთ.

ეს, ერთი მხრით, თავის უფლებებში აღადგენდა მკვიდრ სიტყვას, დაუბრუნებდა მას წართმეულ ასპარეზს და, მეორეც, რუსულ ცნებებს უფრო მისაღებ ქართულ შესატყვისებს მისცემდა.

ღ ე რ ღ ი ლ ი, ვნებითი გვარის მიმღეობა ღ ე რ ღ ა ვ ს ზმნისა, დამოწმებული ძველი ქართულის ძეგლებში (მაგ., ლევიტ., 2, 14), ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ქართულშიც. „ღ ე რ ღ ი ლ ი არს მარცვალნი ცერცუთა და მისთანათანი, საფქუელზედ ხოშრად დალეწილიო", — ამბობს საბა; „სხვილად დაფქულიო", — გვაწვდის დამატებით ინფორმაციას დ. ჩუბინაშვილი. ლექსემის თანამედროვე მნიშვნელობა სწორადაა ნაჩვენები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში": ძლიერ მსხვილად დაფქული მარცვალი (სიმინდი, ხორბალი და მისთ.). ღ ე რ ღ ი ლ ი ს ტრადიციული მნიშვნელობით ხმარება სალიტერატურო ენის ლექსიკის კარგი შენამატი იქნებოდა.

ასევე, ჩვენი აზრით, არქაულობის მტვერი უნდა მოეწმინდოს ქ რ თ ი ლ ს ა და ქ ვ რ ი მ ა ს და მათაც უფრო ფართო სარბიელი უნდა მიეცეს. ყოველივე ეს დაგვიცავდა ბარბარიზმების მოძალებისაგან, თვითმყოფ ლექსემებს უფრო გაბედულად ჩააყენებდა სალიტერატურო ენის სამსახურში. რაც შეეხება მ ა ნ ა ნ ა ს ა და მ ა ნ ა ნ ი ს ღ ე რ ღ ი ლ ს, ისინი ურთიერთ შორის სინონიმთა ადგილს დაიკავებენ.

1976 წ.

საბა ორბელიანის ლექსიკონის შედგენის თარიღის დადგენისათვის

საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლისა და ღირსეულად შეფასებისათვის საჭიროა „სიტყვის კონის" შედგენის თარიღის დადგენა. რამდენადაც საბას მოღვაწეობა ცალკე პერიოდებად იყოფა, უეჭველ მეცნიერულ ინტერესს შეადგენს იმის

გამორკვევა, თუ როდის, თავისი მოღვაწეობის რომელ პერიოდში შექმნა მან ეს უკვდავი ნაშრომი. ამ მცირე ცნობის მიზანია საბას ლექსიკონის შედგენის თარიღის დაზუსტება-დადგენა.

როდისაა შედგენილი საბას „სიტყვის კონა"? რა ცნობები არსებობს ამ თარიღის დასადგენად?

ამ თარიღის დასადგენად სანდო ცნობებს ვპოულობთ ლექსიკოგრაფოსის როგორც Curriculum vitae-ში, ისე მისი ნაშრომის ავტოგრაფულსა და ჩვეულებრივ ნუსხებში, ამასთან ერთად იმ ეპოქის მოღვაწეთა მიწერ-მოწერასა და სხვა ისტორიულ წყაროებშიაც. ამ წყაროთა კრიტიკული შესწავლა-შეჯერება საშუალებას გვაძლევს აბსოლუტური სიზუსტით თუ არა, მიახლოებითი სისწორით მაინც განვსაზღვროთ ლექსიკონის შედგენის თარიღი. დასტურდება, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი" შედგენილია XVII საუკუნის ოთხმოციანი წლების პერიოდში. ხსენებული საუკუნის მიწურულს საბამ უკვე დაასრულა თავისი შესანიშნავი ნაშრომი, ხოლო შემდეგ ხელი მიჰყო მის შევსება-რედაქციასა და გაცხრილვა-გასწორებას, რასაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უსაზღვრო მოთმინებითა და ინტერესით განაგრძობდა.

საბას Curriculum vitae, რომელიც „სიტყვის კონის" მრავალ ნუსხას ერთვის, გვაუწყებს, რომ ლექსიკოგრაფოსს ამ ნაშრომზე 30 წელიწადს უმუშავია. Curriculum vitae-ს ერთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტში ვკითხულობთ: „ამა წიგნისა მომღუაწებელსა სულხან-საბა ორბელიანსა ლოცვით მოიკსენებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმის წულსა, საქართველოს მსაჯულის პატრონის ორბელის ძესა! ამა მეფეთა ბრძანებითა აღიწერა წიგნი ესე ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა. რამეთუ ქართლისა ქუეყანასა ლექსიკონი აღარ იპოებოდა და ოცდაათს წელიწადს ძვილ შეაწყო განმარტებით, რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო. მაშინ ქორანიკონი იყო ჩჟპე [1685]"[1].

ამავე ცნობას ადასტურებენ იოანე ბატონიშვილი და ლექსიკონის გადამნუსხავნი. საბა ორბელიანი „დაშვრა ფრიად და შეკრიბა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღუაწა ამაზედ ოცდაათი წელიო", — ვკითხულობთ „კალმასობაში"[2]. ლექსიკონის გადამნუსხავი ნიკოლაოს ონიკაშვილი საბასადმი მიძღვნილ სახოტბო ლექსში

---

[1] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ს. ერისთავის რედ., თბ., 1884, გვ. VIII; პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 477; ს. იორდანიშვილი, რედ., თბ., 1949, გვ. 571.

[2] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 88.

(1783 წ.) ამბობს: „ოცდაათ წელი იშრომა, მან ძლივ შეაწყო ესები"[1]. ძეგლის მეორე გადაბეჭდვისათვის დართულ ლექსში (1826 წ.) წერს: „ჯერჩინებულმან საბამან იშრომა ოცდაათ წელსაო"[2]. ეს ცნობა შემდეგ განმეორებული აქვს საბას ლექსიკონის თითქმის ყველა მკვლევარს.

დამოწმებული ცნობების საფუძველზე აკად. კ. კეკელიძე დასკვნის: საბას ლექსიკონის შედგენა „დაუწყია 1685 წელს და დაუსრულებია 1716 წელსაო"[3]. ეგევე დასკვნა უცვლელადაა გამეორებული საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოშიაც: „დასრულებული სახე მისცა სულხან-საბა ორბელიანმა თავის უკვდავ ლექსიკონსო (იწერებოდა 1685 — 1716 წლების მანძილზეო)"[4].

ხსენებულ ცნობებზე დაყრდნობით მკვლევრები ლექსიკონის შედგენის სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ. პროფ. ალ. ცაგარელი, მაგალითად, ამბობს: «Словарь груз. языка, — гигантский труд, над составлением которого Сулхан трудился в продолжении 30-ти лет (1669 — 1698), и, кончив его, поступил в монахи»[5]. ლექსიკონის პირველი გამომცემელი, რ. ერისთავი, თვლიდა, რომ საბას თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია 1676 წელს და „ის მოათავებდა ლექსიკონის შედგენას 1706 წელს, თუ იმუშავა ოცდაათი წელიწადიო"[6]. ეს თარიღი (1685—1707) მიღებული აქვს ელ. მეტრეველსაც[7]. აკად. აკ. შანიძე ფიქრობდა, რომ ლექსიკონი შედგენილია „მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულისა და მეთერამეტის დასაწყისის" პერიოდში[8]. უკანასკნელად, ლ. ქუთათელაძის აზრით, საბამ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1685 წელს და მისი პირველი, მოკლე, რედაქცია დაამთავრა 1698 წელს[9].

---

[1] ალ. ღლონტი, ნარკვევები, 1, სტალინირი, 1955. გვ. 134.

[2] ალ. ღლონტი, იქვე, გვ. 132.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, თბ., 1952, გვ. 348.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 342.

[5] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, გვ. 101.

[6] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედ., თბ., 1884, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. XI.

[7] ელ. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIX — B, 1956, გვ. 39.

[8] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. III.

[9] ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 52.

ამ არაპირდაპირი ცნობებით, რომლებიც Curriculum vitae-დან მომდინარეობენ, ირკვევა, რომ საბას თავისი ლექსიკონის შედგენაზე უმუშავია 30 წელიწადს: დაუწყია ის ან 1669 წელს[1] და დაუმთავრებია 1698 წელს, ან დაუწყია 1676 წელს და დაუმთავრებია 1706 წელს, ან დაუწყია 1685 წელს და დაუმთავრებია 1716 წელს, ან, უბრალოდ, დაუწყია 1685 წელს და დაუმთავრებია 1698 წელს. ყველა ეს თარიღი ემყარება არა უშუალო, დოკუმენტურ ცნობას, არამედ ზემოხსენებული არაპირდაპირი ცნობების შედეგად მიღებულ ვარაუდებს.

მაგრამ ლექსიკონის შედგენის დროის შესახებ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობებიც, რომლებიც უშუალოდ, პირადად საბას ხელიდანაა გამოსული. ასეთი ცნობები, თავისთავად ცხადია, უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია. მხედველობაში გვაქვს ლექსიკონის „ანდერძნამაგში“ შეტანილი ფრიად ძვირფასი გადმოცემა. აქ ვკითხულობთ: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჰაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედაო...[2] ე. ი. საბა აქ პირდაპირ გვეუბნება, რომ ლექსიკონზე ვმუშაობდი სიყრმისა და სიჰაბუკის ჟამსო. სხვანაირად, ავტორის გადმოცემით, ლექსიკონი მან შეადგინა, ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი, მოკლე რედაქცია მოგვცა სიყრმისა და სიჰაბუკის ასაკში.

როგორ უნდა გავიგოთ ცნებები სიყრმე და ჰაბუკობა? განსაზღვრავენ თუ არა ისინი ავტორის ასაკობრივ მდგომარეობას? ჩვენი აზრით, უეჭველად განსაზღვრავენ, და ამაზე ლაპარაკი ჰქონდა თავის დროზე რ. ერისთავსაც.

საბას განმარტებით, ყრმა ეწოდება ვაჟს თხუთმეტიდან ოცი წლის ასაკამდის, ჰაბუკი კი — ოცი წლიდან ოცდაათ წლამდის. „კაც“ სიტყვასთან ლექსიკოგრაფოსი ამბობს: „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა [ეწოდების] ყრმა... ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაჟსა — ჰაბუკი“. აქ თითქოს ზუსტადაა მითითებული თარიღი, თუ როდის დაიწყო და როდის დაამთავრა საბამ ლექსიკონის პირველ რედაქციაზე მუშაობა.

თუ სიყრმე ადამიანისა იწყება 15 წლის ასაკიდან და საბას კი თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია სიყრმეში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ლექსიკონისათვის ხელი მოუკიდია 15 წლის ასაკში, ე. ი. 1673 წელს (საბა დაიბადა 1658 წელს). მაგრამ ამ თარიღს ლექსიკონის შედ-

---

[1] თუმცა ამ წელს საბას მხოლოდ 11 წელი შეუსრულდა და წარმოუდგენელია, ასეთი შრომისათვის მოეკიდა ხელი.

[2] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 01.

გენის დასაწყისად ვერ მივიჩნევთ. გვაქვს სხვა ცნობებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ საბას „ქართული ლექსიკონის“ შედგენისათვის ხელი მოუკიდია არა პირადი ინიციატივით, არამედ მეფე არჩილისა და მეფე გიორგის (მეთერთმეტის) დავალებით: „ამა მეფეთა ბრძანებითა აღიწერა წიგნი ესეო“; ან: „ვახტანგ მეფის ბიძამ გიორგი მეფემ მიბრძანა ამის ჴელყოფაო“, — ამბობს საბა. ყოველ შემთხვევაში, აქედან აშკარაა, რომ საბა ლექსიკონის შედგენას ვერ დაიწყებდა, სანამ ის გიორგის, რ ო გ ო რ ც მ ე ფ ი ს, დავალებას არ მიიღებდა. ასეთი დიდი დავალების მიცემა საბასათვის შეეძლო სწორედ მეფეს და არა რომელიმე სხვა პირს, თუნდაც ბატონიშვილს. გიორგიც ამ ცნობაში სწორედ მეფის ტიტულითაა მოხსენიებული. როგორც ცნობილია, გიორგი იყო მემკვიდრე შაჰ-ნავაზად წოდებული ვახტანგ მეხუთისა. ვახტანგი გარდაიცვალა 1675 წელს და მაშინვე ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი XI. რაკი გიორგი დამოწმებულ „ანდერძნამაგში“ მეფის ტიტულით იხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ საბამ მეფის დავალება მიიღო 1675—1676 წლების შუალედში, როცა ის მართლაც ს ი ყ რ მ ი ს (17—18 წლისა) ასაკში იმყოფებოდა, და ხელი მოჰკიდა ლექსიკონის შედგენას. მუშაობა განაგრძო ჰ ა ბ უ კ ო ბ ი ს (1680—1690) წლებშიაც და დაამთავრა ბერად აღკვეცამდის, არა უგვიანეს „ქორანიკონს ჩ ქ უ Ჱ (1698 წ.) და ამის შემდეგ „მონაზონ იქმნა“.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, საბა ორბელიანს თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია არა უგვიანეს 1676 წლისა და მისი პირველი, მოკლე, რედაქცია დაუსრულებია ერისკაცობაში, ბერად აღკვეცამდის, XVII საუკუნის 80-იან წლებში. ასეთი აზრი ჩვენ გამოთქმული გვქონდა უფრო ადრეც[1], მაგრამ ახლა შესაძლებლობა გვაქვს კიდევ მეტად დავაზუსტოთ ლექსიკონის შედგენის ეს თარიღი.

უკანასკნელ ხანებში საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტოგრაფების შესწავლას საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ლ. ქუთათელაძემ. მკვლევარმა ნათელყო, რომ ლექსიკონის პირვანდელი მოკლე ვარიანტი შექმნილია სწორედ 1698 წლამდის, ე. ი. საბას ბერად აღკვეცამდის[2], ამ დასკვნამდის ავტორი მიიყვანა ლექსიკონის H-416 ავტოგრაფული ხელნაწერის შესწავლამ. ეს ნუსხა უნდა იყოს სწორედ პირველი მონახაზი ლექსიკონისა, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით დასრულებულია 1698 წლამდისო.

H-416 ავტოგრაფის დათარიღებას ჯერჯერობით მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საბას ლექსიკონის შექმნის დროის განსაზღვრისათვის. სანამ უფრო ძველი ავტოგრაფი არ აღმო-

---

[1] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ნარკვევები, 1, სტალინირი, 1955, გვ. 71.

[2] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

ჩენილა, ეს უკანასკნელი (H-416) უნდა მივიჩნიოთ ლექსიკონის პირველმონახაზის ნიმუშად. ის კი უთარიღოა, თანაც ნაკლული. მკვლევართა შორის ამ ძეგლის შესახებ ორი აზრი არსებობს. ლ. ქუთათელაძე, როგორც აღვნიშნეთ, მას თვლის 1698 წლამდის შედგენილად; ელ. მეტრეველი კი მიიჩნევს უფრო გვიანდელად: 1706—1707 წლებში უნდა იყოს დასრულებულიო[1].

ავტოგრაფი H-416 ჩვენ არ მიგვაჩნია ლექსიკონის იმ პირვანდელ დედნად, რომელიც უშუალოდ გამოვიდა საბას ხელიდან: ისიც ნუსხაა. H-416-ის დედანიც საძებარია. მაგრამ ჩვენამდის მოღწეული ავტოგრაფებიდან რომ ის ყველაზე უძველესია, ეს უეჭველია. უკანასკნელად სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო S-2498 ხელნაწერმა, რომლის Curriculum vitae-ში ნათქვამია: „ქორანიკონი იყო ქრისტეს აქათ ჩქპე [1685] გამოჩენისა ამის წიგნისაო“ (ფურც. 189). აქ პირდაპირაა მითითებული ლექსიკონის პირველი ვარიანტის გამოჩენის თარიღი — 1685 წელი. მართალია, ხელნაწერი უფრო გვიანდელია (XVIII ს. დასაწყისისაა), მაგრამ ამ ცნობას ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ხსენებული ხელნაწერის შესწავლის შედეგად მ. ქავთარია მივიდა სავსებით დასაბუთებულ დასკვნამდის: „საბას ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს კი არ დაუწყია, არამედ 1685 წელს დაუსრულებია პირველი რედაქციაო“[2].

დიდ ლექსიკოგრაფოსს საკუთარი შრომის შევსება და გაშალაშინება არ შეუწყვეტია მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში. იგი მუდამ თავს დასტრიალებდა „სიტყვის კონას“, ასწორებდა, ახალი მასალით ავსებდა, ხვეწდა მას. ავტოგრაფების შეჯერება მოწმობს, რომ საბა თავის ლექსიკონზე თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუშაობდა. საკმარისია კაცმა ყურადღებით გადაისინჯოს ლექსიკონის ავტოგრაფული ხელნაწერები (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა: A-75, A-1473, H-95, H-1429, H-1658, H-2404, Q-400; საქართველოს სსრ ცენტრალური არქივისა — № 163; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა — № 300), რომ დარწმუნდეს, თუ საბას და მასთან ერთად ზოსიმეს (ლექსიკოგრაფოსის ძმასა და უახლოეს თანამშრო-

---

[1] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[2] მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის I სესიის თეზისები, 8, 10, 59, გვ. 5.

ეგევე აზრი ხელნაწერის დამოუკიდებლადაც გამოთქვა ამ მოხსენების განხილვისას ალ. ფოცხიშვილმა.

შელს) რა შრომა გაუწევიათ „სიტყვის კონის“ სრულყოფისათვის[1]. H-1658 ნუსხა ლექსიკონისა თვით საბას გაუმართავს და გადაუწერია კონსტანტინეპოლს 1715—1716 წლებში, H-1429 ნუსხის გადაწერაც საბას დაუწყია, მაგრამ ვეღარ დაუსრულებია და მისი გარდაცვალების შემდეგ, 1725 წლის აპრილში, დაუმთავრებია ზოსიმეს. ასევე სხვა ავტოგრაფებიდანაც ჩანს, რომ საბა განუწყვეტლივ ავსებდა, აშალაშინებდა და სრულყოფდა თავის ნაშრომს.

ამიტომ Curriculum vitae-ს სიტყვები — „ოცდაათ წელიწადს ძვილ შეაწყო განმარტებითო“ — მეტაფორული შინაარსისაა და უნდა გავიგოთ არა პირდაპირ, რომ ვითომც საბას თავის ლექსიკონზე უმუშავია ზუსტად ოცდაათ წელიწადს, არამედ გადატანით. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, საბას თავის ლექსიკონზე თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე უმუშავია (1676—1725).

მკვლევართა ერთ რიგს აღნიშნული აქვს, რომ საბამ ლექსიკონის შედგენა თითქოს დაამთავრა 1716 წელს, კონსტანტინეპოლსო. ეს ვარაუდი მდუმარედ ემყარება Curriculum vitae-ს ერთ ცნობას, რომელიც ერთვის ლექსიკონის მრავალ ხელნაწერს. ამ ცნობაში ვკითხულობთ: „ქორონიკონსა ჩღიე [1715] იანვარს ით [19] კონსტანტინეპოლეს მოვიდა. ის წელიწადი იქ დაეგვიანა. ფრანცისის დესპანისას იდგა ჯელის შეწყობითა. იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოსათსა და ქორანიკონს ჩღივ [1716] იანვარს ოცს გაასრულაო“[2].

ამ ცნობით თითქოს ირკვევა: საბა ლექსიკონის წერას შესდგომია კონსტანტინეპოლს, 1715 წლის 10 აგვისტოს და ის დაუმთავრებია 1716 წლის 20 იანვარს, ე. ი. აქ, უცხოეთში დაუსრულებია 1685 წელს სამშობლოში დაწყებული ნაშრომი. თუ გამოვითვლით, 1685 წლიდან 1716 წლამდის, მართლაც, 30 წელიწადია გასული. მაგრამ ხსენებული ცნობის ასე გაგება, ჩვენი აზრით, მართებული არ იქნებოდა. სიტყვები: „იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე“ — გულისხმობს არა ლექსიკონის შედგენის დაწყებას, არამედ შედგენილი ლექსიკონის გადანუსხვის დაწყებას. ლექსიკონი მას დიდი ხნის წინათ ჰქონდა დამთავრებული. ის დედანი კი, რომლიდანაც საბას 1715—1716 წლებში

---

[1] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 109—114; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10 — 11; ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17 — 52; შდრ.: ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედ., თბ., 1884, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. I—XVI; ს. ორდანიშვილის რედ., თბ., 1949, რედაქტორის წინასიტყვაობა.

[2] ს.-ს. ორბელიანი ქართული ლექსიკონი, პროფ. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 478.

გადაუნუსხავს თავისი ნაშრომი (II-1658), ჩვენამდის არ შენახულა. სავარაუდო კია, რომ ის იყო ავტორის მიერ მნიშვნელოვნად შევსებულ-შესწორებული და გამართული გასამრავლებლად.

Curriculum vitae არაფერს ამბობს ლექსიკონზე ავტორის მიერ შემდეგ გაწეული შრომის შესახებ, მაგრამ ავტოგრაფების შესწავლა გვარწმუნებს, რომ საბას თავის ნაშრომზე შემდეგ დიდი, პირდაპირ ტიტანური შრომა გაუწევია და მისი სრულყოფილი, საბოლოო რედაქცია შეუქმნია.

საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე დავიმოწმოთ Curriculum vitae-ს კიდევ ერთი ცნობაც: ყველგან ლექსიკონის ავტორად მოხსენიებულია ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ცნობა შედგენილია საბას ბერად აღკვეცის შემდეგ: იხსენიება მისი როგორც ერისკაცობის, ისე ბერად აღკვეცის შემდეგდროინდელი სახელები. მაგრამ გვაქვს ორი უნიკალური, ავტოგრაფის ფარდი ხელნაწერი, რომელთა Curriculum vitae იცნობს მხოლოდ ს უ ლ ხ ა ნ ორბელიანს. პირველი ხელნაწერი გადაღებული ჩანს ზოსიმეს მიერ 1715—1716 წლებში გაღაწერილი პირიდან (H-95). ამჟამად ის დაცულია საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში (№ 59) და სამართლიანადაა მიჩნეული ავტოგრაფის ფარდად (მისი გადაწერა დასრულებულა 1716 წლის 22 მარტს). ხელნაწერს ერთვის ზოსიმესეული Curriculum vitae, რომელშიაც იკითხება: „ამა წიგნისა მოღვაწეს დიდის ორბელის შვილს ს უ ლ ხ ა ნ ს შენდობით მოიჯსენებდეთო...“[1]. მეორე ხელნაწერია S-2498, გადაწერილი XVIII ს. დასაწყისს. ცხადია, ეს ცნობა შედგენილია მანამ, სანამ საბა ბერად აღიკვეცებოდა, და იწოდებოდა სულხანად[2]. პირველი ნუსხის Curriculum vitae-ს ჩვენთვის ამასთან ერთად ის მნიშვნელობაც აქვს, რომ აქაც ნათქვამია: „ვინათგან ლექსიკონი აღარ იპოებოდა ქართულებ, ოცდაათთა წელიწადთა ძვილ შეაწყუნა განმარტებით, რამეთუ ერის კაცი იყო და წარჩინებულ და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო“[3]. ცნობა საბუთს გვაძლევს, ვივარა-

---

[1] საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 59, ფურც. 906 (მოგვაქვს ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 50—51).

[2] ამ ნუსხის გადამწერის ანდერძში, რომელიც პირდაპირ ერთვის საბას Curriculum vitae-ს, ქვემოთ თუმცა ლექსიკოგრაფოსის ორივე სახელია დამოწმებული („ცოდვილი ბერი ზოსიმე, ამ ლექსიკონის აღმწერი და პატრონი, ძმა ზემოხსენებულის ს უ ლ ხ ა ნ ყ ო ფ ი ლ ი ს ა ბ ა ს ი, მოიჯსენეთ ქრისტეს სიყვარულისათვის. ზაალ ყოფილი ზოსიმე. ქკს ჩღივ [1716] მარტს კბ [22]“; დასახ. ხელნაწ., ფურც. 906), მაგრამ ეს გარემოება დებულებას მაინც ვერ არღვევს. საბას Curriculum vitae ერთი წყაროა, შედგენილი უფრო ადრე, ზოსიმეს ანდერძი კი — მეორე, შედგენილია გვიან, ძეგლის გადაწერისას. მათი ერთად მოხსენიება მხოლოდ გადაწერამ გამოიწვია.

[3] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 51-52.

უდოთ: საბამ თავისი ლექსიკონი შეადგინა ერისკაცობაში, როცა მას სულხანი ერქვა, და იშრომა მასზე ოცდაათ წელიწადს. მაგრამ ის ბერად აღიკვეცა 1698 წელს, 40 წლის ასაკში. ამ თარიღს თუ 30 წელს გამოვაკლებთ, ვნახავთ, თითქოს საბას თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია 10 წლის ასაკში — 1668 წელს. ამ თარიღის მიღება კი ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ გამოთქმა „ოცდაათთა წელიწადთა ძვილ შეაწყუნა“ — აქ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ საბამ ლექსიკონის პირველმონახაზი შექმნა 30 წლის ასაკში, ე. ი. 1688 წლის პერიოდისათვის. ამას კი თითქოს უდგება საბას „ანდერძნამაგის“ სიტყვები: „ჰაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედაო“.

ამრიგად, ჩვენი საბოლოო დასკვნა ლექსიკონის შედგენის თარიღის შესახებ მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: საბა ორბელიანს „ქართული ლექსიკონის“ შედგენა დაუწყია სიყრმის ჟამს (1676—1680 წწ.), განუგრძია და მისი პირველი ძირითადი ვარიანტი დაუსრულებია ჰაბუკობისას (1680—1685 წწ.). დიდ ლექსიკოგრაფოსს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ლექსიკონის სრულყოფა, განუგრძია მისი შევსება, რედაქტირება, გაშალაშინება. 1716 წელს კონსტანტინეპოლს გადაუწერია ლექსიკონის შევსებულ-შეჯერებული პირი და მოუცია ნაშრომის უფრო სრული ვარიანტი. მუშაობა არც ამით დამთავრებულა. შემდეგ პირადად საბას როგორც ცალკე, ისე ძმასთან (ზოსიმესთან) ერთად კიდევ გაუცხრილავს ლექსიკონი და რამდენიმეგზის გადაუწერია ის. ეს მუშაობა ლექსიკონზე ავტორს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უწარმოებია. მაგრამ შემდეგი მუშაობის მიზანი ლექსიკონის მაინც სრულყოფა ყოფილა და არა ახალი ნაშრომის შექმნა. მთავარი სამუშაო (მასალის შეკრება-გაწყობა, ძირითადი სისტემის ჩამოყალიბება, უმთავრესი განმარტებანი), შესრულდა XVII საუკუნის 80-იან წლებში. ეს სისტემა არსებითად არ შეცვლილა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაც საბამ ლექსიკონის სრულყოფას მოახმარა. ამიტომ საბა ორბელიანი კი არ არის XVIII საუკუნის ლექსიკოგრაფოსი, როგორც ამას ბევრი მკვლევარი ჩვეულებრივ აღნიშნავს[1], არამედ ის XVII საუკუნის 80-იანი წლების

[1] ნ. მარი, მაგალითად, რომელიც მოხიბლული იყო საბა ორბელიანის ლექსიკონის მაღალმეცნიერული ღირსებით, მის ავტორს XVIII საუკუნის ლექსიკოგრაფოსს უწოდებდა. ის, სხვათაშორის, ამ ლექსიკონის შესახებ ამბობდა: «И по количеству слов, и особенно, по качеству объяснений, и по приемам, т. е. по плану и по выполнению, словарь этот большею частью уснащенный ссылками на лучшие списки св. писания, далеко превосходит грузинско-русско-французский словарь Чубинова, труд XIX века... В последнем словаре большинство ссылок представляет лишь перепечатку из работы грузинского

ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ო ს ი ა. ამ პერიოდში შეიქმნა მისი სწორუპოვარი ნაშრომი და ჩამოყალიბდა მისი ორიგინალური ლექსიკოგრაფიული თეორია.

ამ გარემოების დაბეჯითებით აღნიშვნას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ირკვევა, საბა ორბელიანი თავის „ქართულ ლექსიკონსა“ და ორიგინალურ ლექსიკოგრაფიულ თეორიას ქმნიდა იმ ეპოქაში, როდესაც თეორიული ლექსიკოგრაფია თვით რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიაც ის-ის იყო ფეხს იდგამდა და ისახებოდა. საბა, რომელიც აღზრდილი იყო ქართულ ტრადიციულ მასალებზე, არ იცნობდა ფრანგულ ლექსიკოგრაფიულ სკოლას, რომელმაც სწორედ XVII საუკუნის მიწურულს მოგვცა ლექსიკოგრაფიული შრომების კლასიკური ნიმუშები და მთელი ეპოქა შექმნა ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ საბას ლექსიკონის შედგენის დაწყებისას არ უნახავს (და არც შეეძლო ენახა!) ფრანგული ლექსიკოგრაფიული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთა ზოგადი და კერძო ნაშრომები; მას ხელთ არ ჰქონია არც აბატ ლ. მორერის „დიდი ისტორიული ლექსიკონი“ („Le grand dictionnaire hictorique“), რომლის პირველი გამოცემა განხორციელდა ლიონში 1674 წელს, არც პ. ბეილის ცნობილი „ისტორიული და კრიტიკული ლექსიკონი“ („Dictionnaire hictorique et critique“), რომლის პირველი გამოცემა განხორციელდა როტერდამში ორ ტომად, 1695—1697 წლებში, არც კლასიკურად წოდებული „საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონი“ („Dictionnaire de l'Académie Francaiçe“), რომელიც 1694 წელს გამოიცა, და არც სხვა მოგვიანო ფრანგ, გერმანელ, რუს ავტორთა შესაბამისი ნაშრომები. საბა თვითონ გადმოგვცემს, რომ მას ხელთ არ ჰქონია უცხოური ლექსიკოგრაფიული ნაშრომები[1]. „ანდერძნამაგში“ ის პირდაპირ წერს: „მე უწინარეს ლათინური და ელლენუ-

---

лексикографа XVIII века, точно также переведены толкования Орбелнани, но часто с ошибками» (Н. Марр, Рецензия на доклад проф. И. С. Соколова: Грузинская церковь в XVIII веке, «Церковные ведомости», № 6, прил., 1907, გვ. 198.

[1] საბას „ანდერძნამაგში“ დამოწმებული „მომცრო სომხური ლექსიკონი“ — ბარგირქი, როგორც გამოირკვა, საკუთარ სახელთა სიტყვარი ყოფილა (ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბ., სახ. უნ. შრომები, 111, 1936, გვ. 253—270) და არა ისეთი ნაშრომი, რომელიც ავტორს თეორიულ საყრდენად გამოადგებოდა და „მისის ბაძით“ ჩამოაყალიბებდა ახალ ლექსიკოგრაფიულ სისტემას. ასეთი ზოგადი ლექსიკონები იმ ხანად არც სომხურად არსებულა და არც ქართულად. კერძოდ, ქართულ ენაზე ძველი ხელნაწერების „სქოლიო-შეისწავეთა“ სახით მოიპოვებოდა ბიბლიის საკუთარ სახელთა და ცალკე უცხოურ ცნება-ტერმინთა ერთგვარი სიტყვარები, რასაც საბა იყენებდა ლექსიკურ მასალად. ასევე ლექსიკოგრაფოსს გამოყენებული აქვს კირიღე ალექსანდრიელის ლექსიკონის ქართული

რი ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდიო[1]. ლექსიკონის შედგენის შემდეგ, სავარაუდოა, როცა დაიწყო მისი უფრო სრულყოფილი რედაქციის მოცემა, იქნებ საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ, და, განსაკუთრებით, კონსტანტინეპოლში საფრანგეთის დესპანთან ერთ წელიწადს ყოფნის დროს, მას უპოვნია და გამოუყენებია ლათინური და ელინური ლექსიკონები: „მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართეო"[2]. მაგრამ საბას თავისი ნაშრომის პრინციპული საფუძვლები შეუმუშავებია დამოუკიდებლად, უცხოური წყაროების დაუხმარებლად. ზოგი წყარო შემდეგ კი გამოუყენებია, მაგრამ ამას ნაშრომის ძირითადი მიმართულება და სისტემა არ შეუცვლია. საბა ორბელიანმა თავისი ლექსიკოგრაფიული თეორია შეიმუშავა ისე, რომ არ განუცდია უცხოური სკოლების გავლენა. მისი საყრდენი იყო ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა და ის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც შემოგვინახა ჩვენმა კლასიკურმა ორიგინალურმა და მთარგმნელობითმა მწერლობამ. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მოძღვრების მეცნიერულ მნიშვნელობას, აქცევს საბას არა მარტოოდენ უბადლო ეროვნულ მოღვაწედ, არამედ ადგილს უძებნის მსოფლიო ლექსიკოგრაფიის უდიდეს წარმომადგენელთა შორის.

საბას ნაშრომი არა მარტოოდენ პირველი ქართული სწორუპოვარი ლექსიკონია, არამედ იგი უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ პირველ, ანბანზე გაწყობილ, თავისებურ ენციკლოპედიურ ლექსიკონად მსოფლიოშიაც. XVII საუკუნის ლექსიკოგრაფიამ, საბას ნაღვაწს გარდა, არ იცის ასეთი ორიგინალური და ფართოდ გააზრებული ლექსიკონი. საბამდელი ლექსიკონები, კერძოდ რუსეთში, იყო ანბანზე განუწყობელი, სიტყვათა უბრალო კრებულები ან კონები, რომელთაც მხოლოდ პრაქტიკული მიზნებისათვის ადგენდნენ. გადაჭარბებულად არ უნდა მივიჩნიოთ ჩვენი წარსული კულტურის სახელოვანი მკვლევრის გრ. ყიფშიძის შემდეგი სიტყვები: „როცა საბა თავის ლექსიკონის შედგენას აღგა, ესე იგი ახალგაზრდობაში, დაახლოებით 1676—1705 წელთ შო-

---

თარგმანი, რომელიც XII საუკუნის ერთ უნიკალურ ხელნაწერშია შემონახული (ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, იქვე, გვ. 266—267; ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ნარკვევები, I, სტალინირი, 1955, გვ. 104—112).

[1] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1928, გვ. 03.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 03. ეს პირველ რიგში მართლა იგრძნობა ზოგიერთი უცხოური სიტყვის თარგმნა-განმარტებისა და საგეოგრაფიო სახელთა კოორდინატების ჩვენებისას. ლექსიკონის 1716 წლამდის გადაწერილ ნუსხებში კი უცხოური სიტყვების არც ასეთი თარგმან-განმარტებები ჩანს და არც კოორდინატიანი საგეოგრაფიო სახელები.

რის, მთელის 30 წლის განმავლობაში, არსად არ მოიძებნებოდა... ისეთი ლექსიკონები, რომელსაც შეეძლო შესამჩნევი სარგებლობა მოეტანა ჩვენის გამოჩენილის და ყოველად ნიჭიერის ლექსიკოგრაფისათვის"; „საბა თითქმის პირველი პიონერია ლექსიკონის შედგენის საქმეში და მთელ ქვეყნიერებაზე იმას ეკუთვნის ამ საქმის პრიორიტეტი"[1].

1959 წ.

საბა ორბელიანის ლექსიკონი მის თანამედროვეთა და XVIII საუკუნის მწიგნობართა შეფასებით

და როს ღრუბელი გულს გაბნელებდა
სამშობლოს ცაზე გამოხლართული,
შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული.

გ. ლეონიძე

საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი" ჩვენი ძველი კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი ძეგლია. მსგავსი ფართო მოცულობისა და ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონის შედგენა XVII საუკუნის დასასრულისათვის შეეძლო იმ ხალხის შვილ მეცნიერს, რომელსაც ტრადიციული ენათმეცნიერული მუშაობის მდიდარი მემკვიდრეობა გააჩნდა. XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე საბა ორბელიანმა შექმნა ქართული ორიგინალური ლექსიკოლოგიური სკოლა, დაამკვიდრა ჩვენში ლექსიკოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა, გააღვივა დაუცხრომელი ინტერესი ქართული ენის ლექსიკური ფონდის შეკრებისა და შესწავლისადმი. იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის შემდეგ საბა ორბელიანს წილად ხვდა ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარება და გამდიდრება. თუ საბა ორბელიანმა ვერ დაიმკვიდრა შესაფერისი ადგილი მსოფლიოს გამოჩენილ ლექსიკოლოგთა (ენათმეცნიერთა) შორის, ამაში დამნაშავეა არა თვითონ საბა, არამედ მცირე ეროვნებათა კულტურის წარმომადგენელთა ღვაწლის დამცირება, რაც დამახასიათებელი იყო ძველი, ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის. სამაგიეროდ იგი ღირსეულად დააფასა მშობლიურმა ხალხმა, მისი ნაშრომები შეიყვარა, შეიტკბო და შეინახა.

იოანე ბატონიშვილი „ქალმასობაში" წერს: „საბა ორბე-

[1] გრ. ყიფშიძე, საბა ორბელიანი და მისი ლექსიკონი, „სახალხო გაზეთი", № 286, 1911 წელი.

ლიანი... იყო ქართულსა ფილოსოფიასა შინა გამოცდილი და საღმრთოთა წერილთა შინა. ეს იყო უცხო პიიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი. ეს დაშვრა ფრიად და შეკრიბა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღვაწა ამაზედ ოცდაათი წელი"[1]. საბა ორბელიანი იყო „დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, სახელგანთქმული იგავების მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. საბა-სულხანის მიერ შედგენილი ქართული ენის ლექსიკონი დღესაც ჩვენთვის ამოუწყველი საუნჯეა"[2].

საბა ორბელიანის უკვდავ ნაშრომს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის დაცვისათვის უცხოური სიტყვებით შერყვნისაგან. XVI-XVIII საუკუნეებში, მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქართველთა ეროვნული საუნჯე — ქართული ენა — ირანელ და თურქ დამპყრობთა ძლიერ შევიწროებას განიცდიდა. საქართველოს მტრები — ირანელები და თურქები ცდილობდნენ ქართული ენისა და კულტურის მოსპობას, ცეცხლითა და მახვილით ახორციელებდნენ ერის ძალით ასიმილაციას.

მაგრამ ქართველმა ხალხმა და მისმა ენამ გაუძლო ასიმილატორთა შემოტევას. ხალხის ეროვნული ერთიანობის მძლავრმა იარაღმა — ქართულმა ენამ გამოამჟღავნა უდიდესი გამძლეობა და ძალით ასიმილაციის წინააღმდეგობის უნარი. ეს სავსებით ბუნებრივიც იყო. „ისტორია გვიჩვენებს, — ამბობს ი. ბ. სტალინი, — რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას... ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შემადგენლობამ სერიოზული ცვლილებანი განიცადა, შეთვისებულ იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და გამოთქმა, იყო „დაახლოებაც" და „გათიშვაც", მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩნენ"[3].

ეგეთ შეიძლება ითქვას ქართული ენის შესახებაც.

---

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 188; ხაზი ჩვენია, ა. ღ.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, მე-2 გამოც., თბ., 1946, გვ. 364-365.

[3] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1951, გვ. 23-24.

საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გამოჩენა XVII საუკუნის დასასრულს საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის მოვლენა იყო. საბამ თავი მოუყარა ჩვენი მწერლობის უძველეს ძეგლებს, გამოავლინა ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, ზედმიწევნით შეისწავლა აგრეთვე ხალხის, ყოველი კუთხის მოსახლეობის სალაპარაკო ენის ლექსიკური შემადგენლობა და თავისი „სიტყვის კონით“ შემოგვინახა ქართული ენის საუნჯე, დაღუპვისა და შერყვნისაგან გადაგვირჩინა ათასობით მშობლიური ქართული სიტყვა.

ქართველობას მუდამ კარგად ესმოდა თავისი ეროვნული, მშობლიური ინტერესებისათვის ბრძოლის საჭიროება. ყველაზე მძიმე განსაცდლის ჟამსაც კი იგი სათუთად ელოლიავებოდა თავის ენას, იცავდა, ამდიდრებდა, ავითარებდა და ინახავდა მას, როგორც თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, განვითარებისა და ბრძოლის იარაღს. ქართველ ხალხს არასოდეს არ მოუხრია ქედი დამპყრობთა წინაშე. იგი მუდამ იცავდა თავის ეროვნულ თვითმყოფობას, ავითარებდა თავის საკუთარ თავისებურებებს, რომლებიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ეს თავისებურებანი კი ის წვლილია, რომელიც ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში შეიტანა, შეავსო და გაამდიდრა ეს საგანძური.

ირან-თურქეთის ავაზაკური თავდასხმების მრისხანე პერიოდში ქართველი ხალხი მამაცურად იცავდა თავის მიწა-წყალს, ენას, მწერლობას, კულტურას. აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სამახსოვრო სიტყვებით, „ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI-ის წინადადებით ამგვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას“[1].

ნახევარი საუკუნე შრომობდა საბა თავის ლექსიკონზე, მართავდა, ავსებდა, აზუსტებდა მას. როგორც ერთი ნუსხა მოგვითხრობს, მას ლექსიკონის შედგენა დაუწყია 1685 წელს და დაუსრულებია 1716 წელს[2]. ეს მთელი ეპოქა იყო ქართველი ხალხის მძიმე ისტორიასა და თვით მეცნიერის ცხოვრებაში. ეს იყო ქართლ-კახეთის აოხრებისა და განად-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 3.

[2] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1928, გვ. 477; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 348.

გურების შემაძრწუნებელი წლები, ვახტანგ VI-ის ბედის უკუღმა შეტრიალების მძიმედ მოსაგონარი წლები. საბა ორბელიანი, საერო საქმეთაგან მოუცლელი, ვახტანგ VI-ის კარის ბრძენი მრჩეველი და სახელმოხვეჭილი დიპლომატი, მაინც პოულობდა დროს და გულმოდგინედ ეძებდა ქართულ სიტყვებს, შემდეგ მას კონად კრავდა და ამ „სიტყვის კონას“ უმზადებდა თანამედროვეობასა და მემკვიდრეობას. ქართველი მეცნიერები მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ საბა ორბელიანის ლექსიკონს; მას ფასდაუდებელ განძად და, არსებულ ლექსიკოგრაფიულ შრომებს შორის, შედეგრად მიიჩნევდნენ. ლექსიკონი ყველას იტაცებდა სიტყვათა სიუხვით, მათი განმარტებების მკაფიოებითა და სიზუსტით, ძველი ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლების დამოწმებებით, რითაც ასეა მდიდარი საბას ნაშრომი.

ამის გამო ბუნებრივია, თუ „ქართული ლექსიკონი“ ჩვენში „ხელიხელ საგოგმანებ მარგალიტს“ წარმოადგენდა, მას სიყვარულით სწავლობდნენ, უფრთხილდებოდნენ და ინახავდნენ თითქმის ისევე, როგორც სულმნათი შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“. შოთას გენიალურ ქმნილებასთან ერთად, საბას „სიტყვის კონის“ ხელნაწერი ძველად ამშვენებდა ქართველ პატარძალთა მზითევს. ჩვენამდის მოღწეულია მეფეთა ქალების „მზითევის წიგნები“, რომლებშიაც „ვეფხისტყაოსნისა და „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ „სიტყვის კონაა“ დასახელებული[1]. ლექსიკონის დიდ პოპულარობაზე, სხვათა შორის, მეტყველებს მისი ხელნაწერი ნუსხების ასე დიდი სიმრავლეც. ჩვენამდის მოღწეულია საბას „ქართული ლექსიკონის“ 150-ზე მეტი ხელნაწერი ნუსხა, რომლებიც ამჟამად დაცულია საქართველოს, ლენინგრადისა და საზღვარგარეთის მუზეუმ-წიგნთსაცავებში. მარტო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ცალკე ფონდებში ინახება 75-ზე მეტი ნუსხა. ვინ აღრიცხავს კერძო პირთა ხელში არსებულ ხელნაწერებს! მეცნიერებამ ცოტა იცის სხვა ქართული ძეგლი, რომელიც ასე მრავალი ხელნაწერი ნუსხის სახით იყოს მოღწეული ჩვენამდის. ეს ხელნაწერები შესრულებულია მე-18—19 საუკუნეებში სხვადასხვა განათლების, რწმენისა და მიდრეკილების მწიგნობართა მიერ. დიდი მეცნიერული ერუდიციით შესრულებულ ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონს, რასაც საბას ნაშრომი წარმოადგენს[2], არ შეეძლო, არ მოეხვეჭა

[1] Н. Е р и с т о в-Ш е р в а ш и д з е. Книга о приданном царевны Нины Георгиевны, М., 1916, გვ. 13-14; მოგვაქვს ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს მიხედვით: ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927, გვ. 58-59.

[2] შდრ.: ვ. ბ ე რ ი ძ ე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, „თბ. უნივერ. შრომები“, I, 1936, გვ. 322; ან: ა ლ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებები, „ფსიქოლოგია“, IV, თბ., 1947, გვ. 263.

ფართო პოპულარობა სწორედ იმ წრეებში, რომლებიც მის უმთავრეს მომხმარებლებს წარმოადგენდნენ.

საბას ნაღვაწის — ქართველთა ეროვნული სიამაყის — მშვენიერი შეფასება მოგვცა პოეტმა გიორგი ლეონიძემ ცნობილ ლექსში „სულხან-საბას“:

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი:
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, თითქოს ხომალდი.
და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა,
სამშობლოს ცაზე გამოხლართული,
შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული.
რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად,
სიტყვები მაინც გადაგერჩინა...
ვარდსაც და თაფლსაც და პურის მადლსაც,
მშობლური სიტყვის მადლი გერჩივნა“[1].

ლექსიკონზე გაწეული ხანგრძლივი შრომის შესახებ მოგვითხრობს თვითონვე საბა ლექსად დაწერილ ანდერძნამაგში. დროთა ორომტრიალში ქართველებს ლექსიკონი დაჰკარგოდათ და მე მომიხდა მისი ახლად შეკრება-შეწყობაო. ავტორი სთხოვს ბრძენთ: ნუ დაუწუნებენ ნაღვაწს, რადგანაც „ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხუდი თქუენთანას დასარწმუნოთაო“.

„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენთა დამიწუნოთა, —
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხუდი თქუენთანას დასარწმუნოთა.
ეს რა შევჰკრიბე, მიქებდენ მაშინ, აწ დასამგუნოთა.
და ყურდგლის გამდრეკსა ჯორჯს ძაღლსა არ სდებენ საძაბუნოთა.
აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაეკარგათ ქართველთა,
უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა.
ახლად შევჰკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი
და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი“.

ეს ლექსად დაწერილი ანდერძნამაგი თან ახლავს ლექსიკონის ხელნაწერთა უმეტესობას[2] და გამოცემულია სამჯერ: რაფიელ ერისთავის მიერ S ფონდის №№ 2696 და 2727 ნუსხების მიხედ-

[1] გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1947, გვ. 185.

[2] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის (= ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა) ნუსხები №№ 20 (გვ. 283), 24 (გვ. 860), 1211 (ფ. 411), 1578 (გვ. 528), 1726 (გვ. 484), 2498 (ფ. 190), 2696 (გვ. 538), 2727 (გვ. 730), 4873 (ფ. 213), 4920 (ფ. 240), 5109 (ფ. 174); H ფონდის (= ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა) 95 (ფ. 308), 202 (გვ. 387), 300 (ფ. 257), 374 (ფ. 268), 602 (გვ. 188), 786 (ფ. 236), 1238 (ფ. 525), 1297 (ფ. 245), 1116 (გვ. 531), 1658 (ფ. 637), 1736 (ფ. 351); A ფონდის (= ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა) 75 (გვ. 488),

ვით, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის მიერ S ფონდის №№ 247, 2664, 4618, H ფონდის № 1035 და სხვ. მიხედვით, ს. ორდანიშვილის მიერ H ფონდის № 1429 ავტოგრაფულად მიჩნეული ნუსხის მიხედვით[1].

საბასა და მისი ნაღვაწის პირუთვნელ შეფასებას იძლევა ვახტანგ VI. ვახტანგი ყველაზე ახლოს იცნობდა საბას და ამიტომ მის შეფასებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ვახტანგმა საბას მიუძღვნა რამდენიმე მშვენიერი ლექსი, რომლებშიაც ხოტბას ასხამს „სიბრძნის სწავლისა მსახველსა". ერთ ლექსში იგი ამბობს:

„რადგან დაშვრა ასე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,
შეუყრია, მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მეველო, გინდა მეცა,
საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი, კიდეც მეცა.
სი'ყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექუს წელს იკითხა, სთქვა: „ვერასი ვარ მმარხველი".
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი.
ორბელიანმან საბამან სახელითა ქნა სახელი".

ვახტანგის ეს ლექსი მხცოვანი მეცნიერისადმი გულწრფელი სიყვარულის გრძნობითაა გამთბარი. იგი, ჩანს, მე-18—19-ე საუკუნეებში ერთ-ერთი უპოპულარესი ლექსი ყოფილა: მინაწერის სახით დართული აქვს საბას ლექსიკონის ხელნაწერი ნუსხების უმრავლესობას[2]. ლექსი ოთხჯერაა გამოცემული: რ. ერისთავის, მ. ჯანაშვილის, პროფ. ალ. ბარამიძისა და ს. ორდანიშვილის მიერ[3]. ვახტანგი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს საბას პოეტურ

288 (ფ. 10), 1112 (ფ. 11), 1473 (ფ. 244), 1703 (გვ. 523), 2560 (ფ. 163); Q ფონდის(= საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტისა) 18 (ფ. 347), 82 (ფ. 315), 401 (ფ. 12), 506 (გვ. 586); ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერები ი. ბატონიშვილის კოლექციისა — № 253; ყოფ. სააზიო მუზეუმის (ИВ АН СССР) ხელნაწერები ბროსეს კოლექციისა № M 5 (გვ. 257); ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდისა — №№ 208 (გვ. 250). 206 (გვ. 315), 72 (გვ. 11); გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდისა — № 1887 (გვ. 358); ამის შესახებ იხ. ჩვენი: გორის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახ. პედინსტიტუტის შრომები", II, 1947, გვ. 189; პარიზის ნაციონალური მუზეუმის ქართული ხელნაწერების ფონდის № 17 (იხ. ე. თაყაიშვილის აღწერილობა, პარიზი, 1933, გვ. 50) და სხვ.

[1] რ. ერისთავის გამოც., თბ., 1884, გვ. VII; პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის გამოც., თბ., 1928, გვ. 05; ს. ორდანიშვილის გამოც., თბ., 1949, გვ. 576.

[2] იხ. დასახელებული ხელნაწერები; აგრეთვე: მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, „ივერია", № 139, 1898 წ.

[3] რ. ერისთავის გამოც., გვ. IX; ს. ორდანიშვილის გამოც., გვ. 576; მ. ჯანაშვილი, იქვე; ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1947, გვ. 62.

ნიჭს. მეორე ლექსში მას პოეზიის გვირგვინოსან შოთასა და აგრეთვე ჩახრუხაძისა და არჩილის გვერდით აყენებს. ქართული კლასიკური პოეზიის ამ უკვდავი ავტორიტეტების გვერდით საბას ხსენება შემთხვევითი არ ყოფილა. ხომ ცნობილია, რომ „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი საბამ „გაჩალხა“ და აქაც ქართული ენის უბადლო ცოდნა, თანაც ბრწყინვალე პოეტური ექსპრესია გვაჩვენა. სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი სტრიქონები, რომლითაც სრულდება ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელის“ მეორე წიგნი:

რუსთველისა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
კვლავ ჩახრუხაძე აგრეთვე სხვისა რიგისა მდომელი,
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი[1].

საბას ქმნილებას ასეთივე ხოტბას ასხამდნენ ცნობილი და უცნობი მგოსნები. მე-18 საუკუნის უცნობი პოეტები თხზავდნენ სამახსოვრო სენტენციებს ლექსიკონის შესახებ და შემდეგ იგი გადადიოდა ხალხში. ბევრ ასეთ პოეტურ შეგონებას ვპოულობთ საბას ლექსიკონის ნუსხებზე მინაწერთა სახით. მათი ავტორები არიან ან გადამწერნი, ან სხვა მგოსან-მწიგნობარნი. უცნობი მგოსნები წერენ:

ეს ლექსიკონი ჩემი საკონი,
ესრეთ სასურვო, ეით ვარდის კონი.

ეს ლექსიკონი გულსა ვიკონი,
ამის ხილვითა სიბრძნე ვიკონი[2].

სიბრძნის წყარო ხარ, მდინარე,
უფასოდ ასვამ ყოველთა,
მცირე რამ ცვარი გვაპკურე
ჩვენ სიტკბოებით მთოელთა[3].
მოედ მსწაელელნო სიბრძნისნო,
მე ამ წიგნისთვის ვხადილობ,
გული დაატკბო სიტკბოთი,
ყური უგდევით ვხადილობ.
ეძიებდეთ და ჰპოოთცა
ვახ, ღმერთსა მისთვის ვხადილობ,
უქმისა სასჯელისათვის
ცრუებად ნურვინ ნანდვილობ[4].

[1] ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედ., გვ. 168.

[2] S 1609 (გვ. 538), S 4618 (გვ. 11); A 288 (ფ. 6), A 1112 (ფ. 7), A 1113 (ფ.339); Q 401 (ფ. 7).

[3] S 1609 (გვ. 538), S 4618 (გვ. 11); A 288 (ფ. 6), A 112 (ფ. 7); Q 401 (ფ. 7); შდრ. მ. ჯანაშვილი, საუნჯე ქართული ენისა, „ივერია“, № 252, 1893 წ.

[4] S 1608 (გვ. 12), S 1609 (გვ. 538), S 4618 (გვ. 11); A 288 (ფ. 6), A 1112 (ფ. 7); Q 401 (ფ. 7).

თავისი შინაარსით ასევე საყურადღებოა სხვა ლექსებიც, რომელთაც მე-18—19-ე საუკ. ნუსხებზე ვპოულობთ:

საბასი ენახე ნაღვაწი,
ნამუეარი, შემოკრებილი.
სიტყვათა შადა აესხა,
ერთადცა არსად კლებული.
მზე, მთვარე, ვარსკვლავ-ცთომილნი
ცისფერი, ვით არს გებული,
ყველა უკლებლად სწერია,
ვინ იწვრთნის, იქნას ქებული[1].

საბას სიბრძნით აღტაცებული უცნობი პოეტი გულწრფელად ამბობს:

„სულხან-საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღჰხდა ორბების ზე".

ეს აფორისტული ორსტრიქონიანი შაირიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული. იგიც ლექსიკონის მრავალ ნუსხას ამკობს[2].

საბას თანამედროვე და მომდევნო პერიოდის მგოსნები მოვალედ რაცხდნენ თავს ქებით მოეხსენებინათ სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ანტონ კათალიკოსი, მაგრამ იგიც იძულებული იყო ეღიარებინა საბას დიდი ღვაწლი. ანტონმაც უძღვნა საბას ლექსი, რომლითაც, ერთი მხრით, მას უსაყვედურებდა, „ეკლესიასა, წმიდასა მტერ — განუდგაო", ხოლო, მეორე მხრით, ადიდებდა მის მეცნიერულ მოღვაწეობასა და მწერლობას: „უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა, რაც სოფლითთ, გამოთქუა სულხან საბა"[3], — წერდა მრისხანე ანტონი..

საბას ღვაწლს ხოტბას ასხამდნენ მისი ძმებიც ზოსიმე და დიმიტრი. ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში ზოსიმე იყო „ძმა და მოწაფე მისივე". ზოსიმემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ქართული ლექსიკონის" შემდგომს შეესებაში, რედაქტირებასა და გამრავლებაში. ახლა უკვე დადასტურებულია, რომ პირადად ზოსიმეს საბას ლექსიკონის ოთხი პირი გადაუნუსხავს[4]. ლექსიკონის მე-18 — მე-19 საუკ.

---

[1] S 386 (გვ. 554), S 3711 (ფ. 243); H 300 (ფ. 259), H 2139 (გვ. 825).

[2] S 386 (გვ. 554), S 2696 (გვ. 729), S 2727 (გვ. 731); H 300 (ფ. 259); H 1736 (ფ. 351); ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწ. ი. ბატონიშვილის კოლექც. № 253; ქუთაისის ისტ.-ეთნ. მუზ. ფონდის № 72 (გვ. 12); შდრ. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1949, გვ. 63.

[3] წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოც., 1853, გვ. 805.

[4] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ენიმკ-ის მოამბე, 5—6, თბ., 1940, გვ. 109—114.

მრავალ ხელნაწერს თან ახლავს საბას ძმის, საბლთუხუცესი დიმიტრი ორბელიანის, საინტერესო ლექსი:

„სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ, ‹რასა სწერს სულხან-საბანი,
მოსურნეთ ვემასპინძლებათ, გიშლიათ სნატის საბანი.
ჭირით მოისთვლო, ლხინ გიდვათ, არ ღაწვი ცრემლით ნაბანი,
რადგან მომშორდა, ჰმუნვა მაქუს და ზრუნვა გულთა საბანი.
ვაჲ მმართებს, რადგან დავკარგე, ვინ მიმარტებდა იგავსა,
მიმდემ გუსწავლიდა კეთილად და გვაშორებდა იგავსა,
მის ბრძნის ნაღვაწნი იხილეთ, ოფაზობს ბიწსა იგავსა,
ბედმან მიმუხთლა, არ მომხუდა მისის სიბრძნისა იგავსა.
საბა ძმად ნეტარხსენებით მომშორდა ხანსა გრძელადო,
კავშირთ დახსნამდე თვით თავით საქმე ქმნის ყველა ქველადო,
ზოგნი აქებდენ, ზოგთ სძაგდათ, ვითა წესია ძველადო,
მტვერისა მტვერად დამტევი გაუხდა სიძებნელადო.
მისთა შრომილთა ტრფიალნი, მისნი ძმანი და მონანი,
ქმა ეყო, ვისცა ეპოვა, მის სიბრძნის ქრთილთა წონანი,
კარღია ზღუდე მოძრცეილი დააგდო სიტყვის კონანი,
ძმა უწერს, მეორე ძმა სთხოვს, მისნივე ცრემლით მგონანი.
ამ სიტყვის-კონის მწერალი ძმა და მოწაფე მისივე,
საბავ, დააგდე ზოსიმე, მე გული ნაღველით მისივე.
თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატსთ, ვითა რუსთველსა,
ფრიად მაშურალი მუშაკი მოკუდა, დაეფლა რუსთ ველსა“[1].

სიტყვის კონის შედგენას („დააგდო სიტყვის კონანი“) განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს ლექსის ავტორი და მას რუსთაველის ქმნილებას ადარებს: „თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატსთ, ვითა რუსთველსა“.

საბა ორბელიანი თავისი შემოქმედებით ჩვენ უნდა მოვათავსოთ ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადაში, რომელსაც გულმხურვალედ უმღეროდა დავით გურამიშვილი:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ,
არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ
დაბლა ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი,
ონანა ბანს ეშურება,
დვრინვენ ყარან და მამუკა,
მე მსურის მათი ყურება“[2].

---

[1] S 1726 (გვ. 484), S 2560 (ფ. 163), S 2696 (გვ. 729), S 2727 (გვ. 730); H 202 (გვ. 386), H 1238 (ფ. 525), H 1736 (ფ. 351); Q 506 (გვ. 387); ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერები ი. ბატონიშვილის კოლექც. № 253; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერების ფონდი, № 72 (გვ. 11); რ. ერისთავის გამოც., წინასიტყვაობა, გვ. XIV-XV.

[2] დ. გურამიშვილი, დავითიანი, ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 16.

მაგრამ აქ ჩამოთვლილ ზოგ მწერალთან შედარებით საბა გაცილებით მაღლა იდგა და მეტი დიდებითაც სარგებლობდა.

ლექსიკონის პირის ყოველი გადამნუსხავიც მოვალედ თვლიდა თავს, შეექო საბას ნაკალმევი. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ მეცნიერის ნაშრომითა და სიბრძნით. ამკობდნენ მას ყველაზე სათუთი და გულწრფელი ეპითეტებით. საბას ჩვეულებრივი ეპითეტი ამ მინაწერებში — ბრძენია. აკი თვით ვახტანგიც ამბობს ლექსიკონზე: „რა ვიხილე, სიბრძნე მეცაო“. უცნობი მგოსან-გადამნუსხავნი ლექსიკონს უწოდებენ: „სიბრძნის წყაროს“, „სიბრძნის ტრფიალს“, საბა „სიბრძნით აღჰხდაო“ და სხვ. საბას ლექსიკონს ბრძნულს უწოდებენ მისი მკვლევარნიც: ნ. ჩუბინაშვილი და რ. ერისთავი, ალ. ცაგარელი და ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი და ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე და ალ. ფრანგიშვილი.

ჩვენ აქ მოგვყავს ლექსიკონის ხელნაწერი პირების რამდენიმე გადამნუსხავის ლექსები და სენტენციები, რომლებიც ასახავენ ხალხისა და თვით მაშინდელი კულტურული წრეების შეხედულებებს საბას ლექსიკონზე. ი. ბატონიშვილი, მაგალითად, ხოტბას ასხამს ბესარიონ გაბაშვილს (ბესიკს) იმისათვის, რომ მან ზეპირად იცოდა „ქართული ლექსიკონი“. „კალმასობაში“ ეკითხულობთ: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოს-მოშაირე, მსგავსი რუსთაველისა, რომელმაც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა, და აგრეთვე სხვანიცა ლექსნი. მოუთხრობდენ ამისთვის, რომელ სცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული“[1]. აქ, ეჭვს გარეშეა, საბას „ქართული ლექსიკონი“ იგულისხმება.

1760 წლის ერთ ნუსხაზე დაცულია ასეთი მინაწერი: „ლექსიკონისა ამის პირველად გარდმომწერელი ოსის შვილი გვრივიძე ბახთა ყოფილი, ბაგრატ, გეეედრები მკურვალითა გულითა, უფალნო, უკეთუ შეცთომილი რამე იხილოთ, ნუ მწყევთ, და უკეთუ თქვენდა არად დასაკლის იყოს, შენდობის წყალობას ვითხოვ, ხოლო აღიწერა წელსა ჩღა [1760], მაისის გ [3]“. ამას მოყვება საანდერძო ლექსი:

„მამამან პახუმ აღმზარდა, სულით არს განათლულია,
ოსნი მიწოდდენ ბახთასა, ბაგრატ ვარ მონათლულია,
ბაზაზაშვილი გვრივიძე სოფლით ვარ ქურთაულია,
წიგნი და კითხვა მასწავა, წერა თან შენართულია.
ლექსიკონს ჭელ-ვყავ აღწერად, ენით არს ეს ქართულია,
ამას ეშრებოდი, ვიღვწოდი, მდიოდა თვალთა ლულია.

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 204; ხაზი ჩვენია, ა. ღ.

რა სრულ ვყავ ესე, დავიდე თავითა სართაულია,
ნუ მწყევთ, მკითხველნო ამისნო, თუც ნახოთ უმართულია"[1].

ლექსი გამოქვეყნებული აქვთ ლ. ქუთათელაძესა და ნ. კასრაძეს[2], ოღონდ მათ ამ ბაზაზაშვილი გვრივიძისათვის მიუწერიათ უცნობი პოეტის მეორე ლექსიც: „საბასი ვნახე ნაღვაწი"... რომელიც მათ მიუჩნევიათ გვრივიძის ლექსის გაგრძელებად. უკანასკნელი ლექსი („საბასი ვნახე ნაღვაწი") ბაგრატ გვრივიძეს არ უნდა ეკუთვნოდეს და, მით უმეტეს, გადამნუსხველის ლექსის გაგრძელებას არ წარმოადგენს. ბაგრატ გვრივიძის ანდერძი მთავრდება სტრიქონით: „ნუ მწყევთ, მკითხველნო ამისნო, თუც ნახოთ უმართულია". ამის შემდეგ H 300 ხელნაწერის იმავე გვერდზე მოჰყვება უცნობი პოეტის აფორისტული შაირი: „სულხან-საბა ორბელის ძე სიბრძნით აღჰხდა ორბების ზე", ხოლო ამის შემდეგაა მოთავსებული ლექსი — „საბასი ვნახე ნაღვაწი". თუ ეს ბოლო ლექსი იმავე გადამწერის კალამს ეკუთვნის, რატომ მასვე არ უნდა ეკუთვნოდეს წინა შაირიც? აქ, ცხადია, გაუგებრობაა. ლექსი „საბასი ვნახე ნაღვაწი" სხვა პოეტისაა, რომლის ვინაობა საძიებელია. იგი კიდევ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ლექსიკონის სამ ნუსხაში გვხვდება მრწაწერის სახით და არსად ავტორის ვინაობა მითითებული არა აქვს. ესენია: S 3711, გადაწერილი ნიკოლოზ გარსევანიშვილის მიერ 1763 წელს ყიზლარს (ფ. 243); S 386, გადაწერილი უცნობი მწიგნობრის მიერ 1784 წელს (გვ. 554); H 2139, გადაწერილი დავით ბატონიშვილის ხელმძღვანელობით 1799 წელს (გვ. 825).

მეორე მწიგნობარი, ზაალ ზურაბის ძე ზაალიშვილი, მოგვითხრობს, რომ ლექსიკონის გადანუსხვაზე მან „შრომა სწია არა მცირე", „მისი აღმოკითხვით დამტკბარა". უსწავლელი კაცი ვიყავიო და „ნუ მიწუნებთ ამა ლექსსა, რომ არ არის პეტრიწულადო". ჩანს, გადამნუსხავსაც პეტრიწული სიტყვაობა და განათლება მოეთხოვებოდა. ლექსიკონის მის მიერ გადაწერილ პირს ზ. ზაალიშვილი ასეთ ლექსს ურთავს:

„ლექსიკონი გარდავსწერე, შრომა ვსწიე არა მცირე,
დიდის ღვაწლით ძვილ ვიძიე, კნინ მახვილი განვიგმირე.
აღმოკითხვით მით დავსტკბები, სოფელშიგან დავყო ვირე
მე ზაალი ზურაბის ძე ზაალოვი ყოველთ მცირე.
ნუ მიწუნებთ ამა ლექსსა, რომ არ არის პეტრიწულად,
უსწავლელის კაცისაგან შეირაცხვის რიტორულად,
ჯორჯის ძაღლის კურდღლის განდრვას მიაწერენ კეთილმკულად,
ნურვინ დამგმობს ამისათვის, რადგან ეს არს ჩემგან თხზულად"[3].

---

[1] H 300, ფ. 259.

[2] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა (H ფონდის) აღწერილობა, I, ილ. აბულაძის, რედ., თბ., 1946, გვ. 220.

[3] H 1297, ფ. 248.

გადამწერი მწიგნობარი მირიან მირიანაშვილი უფრო პათეტიკურ სტრიქონებს უძღვნის საბას ლექსიკონს. მისი აზრით, ლექსიკონი „სამარადისო სახმარია“, მან უნდა „ასწაოს ენის სისრულე, ვინა მეტყუ‌ველებდეს მრთელსა“. მირიან მირიანაშვილს ლექსიკონი 1826 წელს გადაუნუსხავს და ტექსტისათვის ასეთი ლექსი დაურთავს:

„ვიწყო მეცა მწირმან სადა, უით ძალმედუას საბას ქება,
მზრუნველმან მყარად შევასხა, ვისა კლება არა ხედება.
ამან წყურნებ (!) ჰყო ქართველნი, რომელთაც უფლება ხევა.
და განაპოხნა მშიერნი, [და] დაეფუძნა ლხინება.
შეჰქმნა ნეტარმან საძირკუ‌ლად ლექსთკონა ესე დამყარად,
საღმრთოსა ეკლესიასა სამარადისოს სახმარად,
შეჰკრიბა ახლად ლექსები, განბნეულნი მთად და ბარად
და დიდის მოღუაწებითა განჰკარგა კანონთა გუარად.
ამა ქართველთა დასელოდათ მომცემი ნათლის მზე იგი,
შეჰქმნოდათ ბნელად ჰაერი, მოსურვებოდათ დღე იგი,
ვინათგან ქამთა უბადოთ უჩინო ექმნა მწე იგი
და მიჰფარებოდათ ფურცელნი, რით იძლეოდა მძლე იგი.
ჯერმჩინებელმან საბამან იშრომა ოცდაათ წელსა,
ჰაზრისა გამოხატვისთვის შეიპყრა კალამი ჴელსა.
[და] იწყო წერად ლექსებთა, რომლით შეაგონოს ხელსა
და ასწაოს ენის სისრულე, ვინა მეტყუ‌ველებდეს მრთელსა.
მისთვის მიღირს, განვაცხადო, ვინ დაეწერე ესე აწვე,
მირიან მირიანოვმან მეცა ზემორეთ მიეჰბაძე.
ნუ [გა]მკიცხავთ, წამკითხველნო, რაც შემეძლო, იგი ვღუაწე.
და მჯობთა მჯობი მრავალ არს, უმჯობეს აწ თქვენ იღუაწე“[1].

ლექსიკონის გადამნუსხავნი არ ყოფილან უბრალო, ტექნიკური მუშაკნი. პირიქით, ისინი განათლებული მწიგნობარნი, მწერალნი და მოღვაწენი იყვნენ. ცნობილი გადამნუსხავნი ზოსიმე ორბელიანი, დავით რექტორი, ნიკოლაოს ონიკაშვილი, დავით ბატონიშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი და სხვები საბას ლექსიკოგრაფიული სკოლის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწენიც იყვნენ. მათ ლექსიკონის ტექსტში მრავალი პრინციპული ხასიათის შესწორება-დამატებანიც შეჰქონდათ, ავსებდნენ, ამდიდრებდნენ და ხვეწდნენ მას. ზოგმა მათგანმა ლექსიკონის განსხვავებული რედაქციები და, რიგ შემთხვევაში, დამოუკიდებელი შრომებიც მოგვცეს (დავით რექტორი, ნიკო ჩუბინაშვილი). გადამნუსხავნი ყველაზე უკეთ იცნობდნენ საბას ნაშრომის მეცნიერულ ღირსებას და მათვე შეეძლოთ ლექსიკონის სათანადოდ შეფასებაც.

საბას ლექსიკონის ცნობილ გადამნუსხავს, თელავის სემინარიის სტუდენტს, ნიკოლაოს ონიკაშვილს 1783 წელს გადაუღია

[1] Q 610, გვ. 388.

მისი ორი პირი, რომლებიც ამჟამად ინახება ჩვენს მუზეუმებში, და ორივე მათგანს თან ახლავს ასეთი ბოლო მინაწერი ლექსად:

„სჯობს განვაცხადო, ეს წიგნი როს დაიწერა, ან სადა,
ქართულსა ქრონიკონსა უნსა, ონსა და ანსა და [1783],
თელავის სემინარიის წარჩინებულსა სტილსადა,
ნიკოლას ვისმე კელითა გუარ ონიკაძს მისადა.

აღმწერ-მუშაკი ამისი თელავ ქალაქის სემინარიის სტუდენტი ნიკოლაოს ონიკოვი“[1].

ნ ი კ ო ლ ა ო ს ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს საბასა და მისი ლექსიკონისათვის მიუძღვნია მშვენიერი ლექსი, რომელიც მაშინვე ფართოდ გავრცელებულა. ეს ლექსი გვხვდება ნიკოლაოს ონიკაშვილის მიერ გადაწერილ ნუსხებსა და სხვა ხელნაწერებშიაც. ავტორი საბას უწოდებს ფილოსოფოსს, რომელმაც „შეჰკრიბა კონა ლექსთა, ამით ჰსცანით იგი ბრძენადო“.

სულხან-საბა არს საქებელ, ისტორიკოს გინა ბრძენად,
ფილასოფოსთ ყოფაქცევით სრული იყო განაბრძენად,
მან შეჰკრიბა კონა ლექსთა, ამით ჰსცანით იგი ბრძენად,
და ნურვინ ჰკადრებთ სიჯორჯესა, ნუცა ჰზრახავთ არა ბრძენად.
ოცდაათ წელი იშრომა, მან ძლივ შეაწყო ესები.
განჰკარვა ქართუ8ლთ სამეცნოდ ლექსთ ცნობა, გინა წესები,
ლექსთ ხუავი ჰკრიბა არნადით, ვითა აქა ჰსჩანს ესები,
და ამით ჰგავს, რომელ მას უსუამს ჭიანლი სიბრძნის წესები.
ნურვინ შეჰკადრებთ გიობას, თუმც შეჰკრბეთ ბრძენნი ასები,
თქუ8ნი იშრომეთ ყოველთა, ვის გისუამსთ სიბრძნის თასები;
ვის გეძლოსთ ამის უმჯობეს, ჰქმენით, ჩუ8ნ დავსდუთ ფასები;
და მჯობთა ზე მჯობი ყოვლგან არს, ბრძენთაგან თქმულა ესები[2].

დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი საბას შესახებ ერთგან ამბობს: „ზოგნი აქებდენ, ზოგთ სძაგდათ, ვითა წესია ძველადო“. მაგრამ მხოლოდ გონებადახშულთა და ფუქსავატებს შეეძლოთ აუგის თქმა საბას ლექსიკონის დიდ ღირსებაზე. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის მწერლები, მოღვაწენი, მწიგნობარნი შესტრფოდნენ საბას, თხზავდნენ მის შესახებ მშვენიერ აფორიზმებსა და სენტენციებს, პოეტურ შეგონებებსა და ლექსებს, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. ასევე აფასებდნენ საბას მომდევნო ეპოქების მწიგნობარნიც.

[1] H 602 (ფ. 190); აგრეთვე: გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 1887 (გვ. 363); პირველად გამოქვეყნებულია ჩემ მიერ: გორის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 187.

[2] H 602 (ფ. 188); S 20 (გვ. 283); Q 610 (გვ. 384); ქუთაისის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, № 206 (გვ. 315); გორის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, № 1887 (გვ. 358); პირველად გამოქვეყნებულია ჩემ მიერ, (იქვე).

ხოლო სოციალისტური თანამედროვეობა ყველაზე დიდი და ობიექტური შემფასებელია უბადლო მეცნიერის ღვაწლისა.

საბას სიჭაბუკეშივე გაუთქვამს სახელი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას ანბანთქება დაუწერია 16-მარცვლოვანი შაირით, რასაც უკვე ხანდაზმული მეფე-პოეტის არჩილის გამოპაექრება გამოუწვევია იმავე ზომის ლექსით.

სულხან ორბელიშვილისა:

ალმას ბასრი გალესული დაკვეთს ენით ჯა მით ზმათა
Ცე თვით იტყვის: კმარის ლმობა მის ნათქვამთა ორ პირ თქმათა;
ჟამად რას სთხოვთ, ტვირთს უძძიმებთ ფუცვით ქმილთა ღირსთა
ყრმათა,
შლის ჩირთს ცა ძლივ წვიმით, ჭეხით, ხე ჭმელ ჯირკთა ბაი მი
ხმათა[1].

არჩილისა (სულხანის პასუხად):

აღვძრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვისზე Ცე თამაშობდეს.
იცოდი, კილომ მონაკვთე, ნებ ორ პრტყელ ჟამად რბოდეს.
სად ტომ უფროს ფრიად ქმნილია, ღრმა ყოფს შაირს,
ჩურჩენილობდეს,
ცნობით ძალით, წმიდათ ჰვრეტით ხელ-ჯრმლით, ჯვარით ბაი
შომობდეს[2].

არჩილი აქ მოკრძალებით ეპაექრება ჭაბუკ სულხანს.

საბას გულწრფელად უყვარდა თავისი სამშობლო და მთელი მისი ცხოვრება სამშობლო ქვეყნის სამსახურს შესწირა. ყოველი მისი ნაბიჯი, გადადგმული მწერლობისა, მეცნიერული მუშაობისა თუ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დარგში, შთაგონებულია პატრიოტული იდეებით. საბა უმღეროდა თავისუფალსა და კეთილშობილ ადამიანს, ძმას, ამხანაგს. „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ გმირს მწერალი ალაპარაკებს: „ყოველ კაცს სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე და ვეღარ შეიძლო, დაძაბუნდები“. მას უყვარდა მეგობრობის, ამხანაგობის, ძმობის მოყვასი. ნამდვილი ადამიანის მის ამ უანგარო სიყვარულს ღრმად ჰქონდა ფესვები ხალხში.

საბას კონცეფციით, „ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიბრძნე დაურღეველია“. იგი ხოტბას ასხამდა ნამდვილ ამხანაგს. მასში ეძებდა ადამიანის საუკეთესო თვისებათა ზოგად ნიმუშებს. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი, რომ საბა ასე უყვარდა ხალხს, იგი

---

[1] არჩილი, თხზულებანი, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1936, გვ. 273.

[2] არჩილი, თხზულებანი, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1936, გვ. 273.

მთელი თავისი ნათელი იდეებით, მემკვიდრეობით ეკუთვნოდა ხალხს. მასზე იქმნებოდა მთელი სახოტბო პოეზია. საბა ამბობს:

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია“[1].

ამხანაგის ეს ქებათა-ქება მხურვალედ ეხმაურება ჩვენს ბედნიერ თანადროულობას. ადამიანის კეთილშობილური თვისებების დაცვა და ამაღლება, სამშობლო ქვეყნის სიყვარული, გონებრივი განსწავლულობის ფართო დიაპაზონი და შემოქმედების უმაგალითო ექსპრესია, რაც მუდამ ახასიათებდა საბა ორბელიანის მოღვაწეობას, ხალხში ნერგავდა მისადმი სიყვარულის ნათელ გრძნობას და მის ქმნილებებს ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის წყაროდ აქცევდა. საბა ორბელიანი თავისი დაუღალავი შრომითა და გარჯით, თავისი უფართოესი მეცნიერული ერუდიციითა და ენციკლოპედიური მომზადებით, ქართული ენის საუნჯის უბადლო ცოდნით მუდამ წარმოადგენდა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების შთაგონების წყაროს. ასეთად რჩება იგი ჩვენი თანადროულობისა და მემკვიდრეობისათვის.

1952 წ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲜᲢᲐᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ჩვენ ამ მცირე ნარკვევში მიზნად დავისახეთ ქართული ხალხური ანდაზების ენის სინტაქსის ზოგი საკითხის გარკვევა.

1. ანდაზა ხალხური ენის ბრწყინვალე ნიმუშია. არსად, ფოლკლორის არც ერთ ჟანრში არ შენახულა ხალხური ენა ისე მთელი თავისი მშვენებითა და მრავალფეროვანებით, როგორც ანდაზაში. ყოველი ანდაზა ხალხური ენის სინტაქსური ერთეულია, მეტყველების ფაქტია.

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, ს. ი ო რ დ ა ნ ი შვილის რედ., თბ., 1938, გვ. 138.

ანდაზა სიტყვათა ორგანიზებული შეხამება-წინადადებაა, რომელიც გარკვეულ ბრძნულ აზრს გადმოგვცემს.

წინადადება, უწინარეს ყოვლისა, ორი ნაწილისაგან შედგება: შემასმენლისა და ქვემდებარისაგან. ეს ორი ნაწილი ყოველგვარ წინადადებაში გეხვდება, ზოგში შეიძლება ერთი მათგანი გვაკლდეს, მაგრამ იგი ადვილად ივარაუდება. არის კიდევ ე. წ. უქვემდებარო (უსუბიექტო) წინადადება, რომელსაც არა აქვს ქვემდებარე და იგი არც ივარაუდება, მაგრამ ის ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის გარეთ რჩება. შემასმენელი და ქვემდებარე ქართულში წინადადების ქვაკუთხედია, მათ შორის მტკიცე გრამატიკული კავშირი არსებობს. შემასმენელი, თუ იგი გარდამავალი ზმნაა, მართავს ქვემდებარის ბრუნვას, ასევე ქვემდებარე მართავს შემასმენლის (ზმნის) პირს და, თუ ცოცხალი საგანია, ითანხმებს მას რიცხვში. შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის არსებული ეს კავშირი გრამატიკულ წესადაა განმტკიცებული საუკუნეების წინათ. მას ემყარება ქართული მარტივი წინადადების მთელი სინტაქსი.

ანდაზაც, როგორც წინადადების ერთ-ერთი მოკვეთილი სახეობა, ჩვეულებრივ ორი ნაწილისაგან შედგება. მის პირველ ნაწილს ჩვენ პირობით შემასმენელს ვუწოდებთ, მეორეს კი—ქვემდებარეს (სუბიექტს). რამდენ წევრიანიც და რანაირი აღნაგობისაც არ უნდა იყოს ქართულში ანდაზა, მასში აუცილებლად ვიპოვით ამ ორ ნაწილს. თუ ანდაზა ორ წევრიანია, მასში ქვემდებარე და შემასმენელია წარმოდგენილი. ძილი გადამდებიაო: ძ ი ლ ი — ქვემდებარეა, გ ა დ ა მ დ ე ბ ი ა ო — შემასმენელი; ავი მუშა კვირაძალს გახალისდებაო: აქაც ორი ნაწილია. ერთია — ა ვ ი მ უ შ ა, მეორე — კ ვ ი რ ა ძ ა ლ ს გ ა ხ ა ლ ი ს დ ე ბ ა ო. გრამატიკულად აქ, ცხადია, სულ სხვა ვითარებაა (გ ა ხ ა ლ ი ს დ ე ბ ა ო — შემასმენელია, მ უ შ ა —ქვემდებარე, ა ვ ი —განსაზღვრება და კ ვ ი რ ა ძ ა ლ ს — დროის გარემოება), მაგრამ შინაარსობრივად რომ ეს ანდაზა ორ ნაწილად იყოფა, დავას არ იწვევს. ქართული ანდაზები, რუსულის მსგავსად, უმეტეს შემთხვევაში ერთ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენენ, ოღონდ ისეთ თავისებურ ერთეულს, რომელიც ორი განუყოფელი ნაწილისაგან შედგება[1]. ანდაზის ერთ ნაწილს პირობით სუბიექტს ვუწოდებთ, მეორეს — შემასმენელს. ნიმუშები: დიდ ცეცხლს || დიდი ბერვა უნდაო; მგორავი ქვა || ხავსს არ მოიკიდებსო; მარტოხელა კაცი || ჭამაშიაც ბრალიაო; ორი ყოჩის თავი || ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო; გმირი || ბრძოლაში იბადებაო; ერთგული შრომა || სიღარიბის მტერიაო; შენი შრომით შეძენილი ლუკმა || ტკბილიაო...

[1] შდრ.: Ю. М. Соколов, Русский фольклор, М., 1941, გვ. 212; მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 244—245.

ამრიგად, ანდაზაში, რომელიც მარტივ გაუვრცობელ წინადადებას წარმოადგენს, გვაქვს ქვემდებარე და შემასმენელი; მარტივ გავრცობილ წინადადებაში კი გავრცობილია ან ქვემდებარე, ან შემასმენელი, ანდაც ორივე ერთად. სამივე შემთხვევაში ანდაზა ორ ნაწილად იყოფა: ქვემდებარედ და შემასმენლად მიმყოლი სიტყვებითურთ.

2. ანდაზა, როგორც სინტაქსური ერთეული, ოთხი სახისაა: ანდაზა-მარტივი წინადადება, ანდაზა-შერწყმული წინადადება, ანდაზა-პარატაქსი და ანდაზა-ჰიპოტაქსი. ყოველი მათგანის საფუძველი პირველია.

ანდაზა-მარტივი წინადადება სრულიცაა და არასრულიც. ერთი მხრით გვაქვს: ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო, მეორე მხრით — მელას უკან ურმით არ სდევენო. პირველი სრული წინადადებაა, მეორე — არასრული: აკლია ქვემდებარე. მისი ქვემდებარე, როგორც ამბობენ, გაუჩინარებულია. ქვემდებარის გაუჩინარება ჩვენს დასკვნას ვერ ცვლის: ანდაზა მაინც ორი ნაწილისაგან შედგება, გაუჩინარებული ქვემდებარისა, რომლის მაგივრად ვვარაუდობთ მესამე პირის ნაცვალსახელს (ისინი), და შემასმენლისაგან ამხსნელი სიტყვებითურთ (მელას უკან ურმით არ სდევენო). მთლიანობას არ არღვევს ის, რომ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი, შემასმენლური, ნაწილი და ქვემდებარე აკლია. ანდაზის აზრი ნათელია. ხალხური ენისათვის ასეთი წინადადება ბუნებრივია. იგი, ჯერ ერთი, ნაკლებსიტყვობრივია, მეორე მხრით, აზრი გადმოცემულია ზუსტად, ლაპიდალურად. ქვემდებარის გაუჩინარება ანდაზის დახვეწის შედეგია. თავდაპირველად ეს ანდაზა სრული სახის წინადადება უნდა ყოფილიყო. ქვემდებარის გაუჩინარებამ ანდაზა უფრო მოქნილი და ადვილდასამახსოვრებელი გახადა. ასეთივეა ბრძანებითი წინადადების სახით გადმოცემული ანდაზებიც. მაგ., პური მეპურეს გამოაცხობინეო! ამასაც აკლია ქვემდებარე (შენ), წარმოდგენილია მხოლოდ შემასმენლური ნაწილი (პური მეპურეს გამოაცხობინეო!). წინადადება მაინც ნათელია. ანდაზის აზრი ყველასათვის გასაგებია. ბრძანებითი წინადადების სახით წარმოდგენილი ანდაზა არქიტექტონიკით ქვემდებარეგაუჩინარებული წინადადების მსგავსია. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრით, ქვემდებარეგაუჩინარებული ანდაზები: კატას თავში ძეხვი დაჰკრესო; ორაგული წყალში გადააგდესო; ღამის ქურდს დღისით დაიჭერენო... და, მეორე მხრით, ბრძანებითი წინადადების სახით გადმოცემული ანდაზები: ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო; ანუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო... რომ დავრწმუნდეთ მათს არქიტექტონიკულ მსგავსებაში.

როგორც ვიცით, ჩვენი მეტყველება, უწინარეს ყოვლისა, ნაწევრდება წინადადებად[1], რაც ერთ-ერთ ძირითად ენობრივ ერთეულს წარმოადგენს, წინადადებაში გამოიყოფა უფრო მარტივი ერთეულიც — წყვილი (სინტაგმა)[2]. ყოველი მარტივი წინადადება ამ წყვილების ერთობლიობას წარმოადგენს. ანდაზა-წინადადებაში: დაშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადს ხეს უყეფაო — 5 სინტაქსური წყვილი (სინტაგმა) გვაქვს: ა) ძაღლმა უყეფაო, ბ) ხეს უყეფაო, გ) წელიწადს უყეფაო, დ) ცხრა წელიწადს, ე) დაშინებულმა ძაღლმა.

თითოეული წყვილი, გარკვეული აზრით, დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულია, რომელთა შორის გრამატიკული ურთიერთკავშირია. მარტივი წინადადების შინაგანი გრამატიკული მთლიანობა წყვილს ემყარება. წყვილი შეიძლება იყოს სრულიცა და არასრულიც, მაგრამ უწყვილო წინადადება არა გვაქვს. წინადადების წევრები წყვილებად ნაწილდება სახელისა და ზმნის მიხედვით, იქმნება სახელის რიგი (განსაზღვრება) და ზმნის რიგი (დამატება, გარემოება). ეს ახასიათებს ქართულ მარტივ წინადადებას საერთოდ და მას ანდაზებშიც ვპოულობთ. ანდაზა, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეული — წინადადება, წყვილებად იშლება. თითოეულ წყვილში გამოიყოფა დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა. სიტყვებითა და წინადადებით კი ადამიანი აღბეჭდავს მისი აზროვნების მუშაობას. ამიტომაა, რომ სიტყვა ყოველთვის რაღაცას აღნიშნავს, წინადადება დასრულებულ აზრს გადმოგვცემს.

ენა აზრთა გაცვლას საზოგადოებაში შესაძლებელს ხდის სიტყვებითა და წინადადებებით. ამიტომ ბუნებრივია, როგორც სიტყვა, ისე წინადადება ენის დამოუკიდებელი ერთეულებია.

3. ანდაზა-მარტივ წინადადებაში შემასმენელი ორივე სახისა გვხვდება: მარტივი (ზმნური) და შედგენილი.

ა) მარტივი (ზმნური) შემასმენელი გადმოცემულია: ა) ერთპირიანი ზმნით: კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძღებაო; ვაჟკაცი გაჭირვებაში არ ატირდებაო; არ ეშინია ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაო... ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნით: კვიცი რომ კაცს ეზრდებოდეს, ცხენი არ დაეკავებაო; ვისაც სამშობლო არა აქვს, არც კაცობა აქვსო... გ) ორპირიანი გარდამავალი ზმნით: ვაჟკაცს გამრჯე ხელი ამშვენებსო; სიმართლე კაცს ბედნიერებამდის მიიყვანსო; ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო... დ) სამპირიანი ზმნით: თუ მტერი გამექცეოდეს, ოქროს ხიდს ვასწავლიდიო; მა-

---

[1] Грамматика русского языка, I, АН СССР, М., 1952, § 3, გვ. 9; § 73, გვ. 51.

[2] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბ., 1952, გვ. 5.

მალი რომ უდროო დროს ყივილს დაიწყებს, მას თავს მოსჭრიან...

ბ) შედგენილი შემასმენელი ხსნის, განმარტავს ქვემდებარეს, გვიჩვენებს მის ნიშან-თვისებებს: აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო; სამშობლოს მოღალატე მტერზე უარესიაო; კაცი კაცის წამალიაო; სული ტკბილიაო... ქურდია, უარესია, წამალია, ტკბილიაო განმარტავენ ქვემდებარეს და მის ნიშანთვისებებს გვიჩვენებენ.

შედგენილი შემასმენელი ანდაზაში ყველა სახისაა: ა) სახელი და მეშველი ზმნა მესამე პირისა: სამართალი და კანონი ძმებიაო; დღევანდელი სიტყვა ხვალისათვის ხიდიაო; ოჯახი უგონოდ არ არისო; ადრე ადგომა მეტი სიცოცხლე არისო... ბ) ზედსართავი სახელი და მეშველი ზმნა მესამე პირისა: სული ტკბილიაო; ბუტიას წილი გემრიელიაო... გ) მიმღეობა და მეშველი ზმნა მესამე პირისა: სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო; სახელოვანი სიკვდილი სანატრელიაო; ზოგი ჭირი მარგებელიაო... დ) საწყისი და მეშველი ზმნა მესამე პირისა: დგომა მგზავრისა ცდომააო...

მრავალ ანდაზაში შემასმენლის ფუნქციას ისეთი სახელი ასრულებს, რომელსაც ზმნის ფორმა არ მიუღია. კაცი — კაცითაო, ღობე — ქაცვითაო. ამ ანდაზის პირველ კომპონენტში შემასმენლის როლში გამოდის სახელი კაცითაო, მეორეში — ქაცვითაო. მათ არა აქვთ ზმნის სახე, შემასმენელი აქ არა ჩანს, გამოტოვებულია, მის როლს სახელები ასრულებენ. ასეთივეა: ეს ბურთი და ეს მოედანიო; ერთხელ კოჭლი წინაო; ღვინო — უფროსისაო, წყალი უმცროსისაო; წისქვილს — წყალიო, გუთანს—ხარიო; ფერი—ფერსაო, მადლი—ღმერთსაო; გული როსტომისა, ბარგი ლოკოკინისაო; ქალი ქმრითა, ცხვარი მთითაო: ბარი ბარში, თოხი—ტარშიო...

4. ანდაზა-მარტივ წინადადებაში ქვემდებარე სამივე ბრუნვაში გვხვდება: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში.

ა) **სახელობითში:** ვაჟკაცს გამრჯე ხელი ამშვენებსო; ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავსო: კოკა წყლის გზაზე გატყდებაო; ლომი ფრჩხილით იცნობებაო; შეჭამადს თვალი ჰამსო...

ბ) **მოთხრობითში:** ბულბულმა, კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო; პაპის ნაჭამმა ტუემალმა შვილის შვილს მოსჭრა კბილიო; კარგმა შვილმა მშობელიც ასახელა და სოფელიცაო; თუ თვალმა არ ჰამა, გული ვერა ჰამსო; ნაქებმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირაო...

გ) **მიცემითში:** ეშმაკს არ სძინავსო; ყვავს ღმერთისათვის წამწამი უთხოვიაო...

ანდაზაში ქვემდებარედ ჩვეულებრივ გვევლინება ზმნის (შემასმენ-

ლის) მესამე პირთან შეწყობილი სახელი, იშვიათად — პირველ (მე, ჩვენ) და მეორე პირთან (შენ, თქვენ) შეწყობილი სახელიც. ზმნის (შემასმენლის) პირველსა და მეორე პირთან შეწყობილი ქვემდებარე ფორმაუცვლელია.

ანდაზას არ უყვარს ატრიბუტული სიტყვების ხშირი ხმარება. ატრიბუტივი თუ მაინც ჩნდება, მისი ხმარება ანდაზის შინაგანი შინაარსითაა ნაკარნახევი. ანდაზაში — მ გ ო რ ა ვ ი ქვა ხავსს არ მოიკიდებსო ატრიბუტივის (მგორავი) ხმარება მისი დედააზრითაა განსაზღვრული, ქვის თვისებაა ნაჩვენები. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ატრიბუტივი უსათუოდ თან ახლავს სუბსტანტივს. ანალოგიურია: ო ს ტ ა ტ ი მელა ოთხივე ფეხით გაებმება მახეშიო; მ გ ზ ა ვ რ ი კაცი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო; ბულბულმა კ ა რ გ ი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო... დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ანდაზის თავდაპირველ სახეობას ატრიბუტივი იშვიათად ახლდა. ატრიბუტულობა ქართულში მარტივი წინადადების თანდათანობითი ევოლუციის მაჩვენებელია.

ანდაზაში ცალკე ბრუნვებით (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) გადმოცემულია წინადადების წევრები (ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოება).

1. სახელობითი ბრუნვით გადმოცემულია: ა) ქვემდებარე: მშრომელი კ ა ც ი სოფლის ბურჯიაო; ბ) პირდაპირი დამატება: მწევრისაგან მოღლილი კ უ რ დ ღ ე ლ ი მეძებარმა დაიჭირაო; გ) ბრუნვაუცვლელი დამატება: დათვს თავისი მახრჩობელა პ ა ნ ტ ა უყვარსო; დ) ატრიბუტული მსაზღვრელი: ბ ე დ ა უ რ ი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო...

2. მოთხრობითით: ა) ქვემდებარე: კ ა ნ ო ნ მ ა იკანონოს, ნ დ ო ბ ა მ კი იბატონოსო; ბ) ატრიბუტული მსაზღვრელი: ე რ თ მ ა მ ს უ ნ ა გ მ ა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო...

3. მიცემითით: ა) ქვემდებარე: დ ა თ ვ ს მელიის კვალი უპოვნიაო; ბ) პირდაპირი დამატება: ვ ა ქ კ ა ც ს გამრჯე ხელი ამშვენებსო; გ) ირიბი დამატება:[1] ვინც ქ ა რ ს შეაფურთხებს. ის თავისთავს შეაფურთხებსო; დ) დროის გარემოება: ერთ დ ღ ე ს ქვეყანაც არ აშენებულაო; ე) ადგილის გარემოება: კარგი ყმა ლ ა შ ქ ა რ ს მოკვდება სწორების ჯობინობაში, გონჯი კი — ბოსლის ბოლოში, ქალების ლოდინობაში; 3) ატრიბუტივი: დ ა ღ ვ რ ი ლ ერბოს ისე ვერ აიღებ, რომ ცოტა არ დარჩესო...

4. ნათესაობითით: ა) უბრალო დამატება: ლ ე ჩ ა ქ ი ს მქსოველს

---

[1] ჩვენი: მიცემითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციებისათვის ახალ ქართულში, თეზისები, სტალინირი, 1951, გვ. 16—19.

გოდრის დაწვნა უკვირდაო; ბ) მართული მსაზღვრელი: სამშობლო კუთხე კაცობის ძირიაო; გ) დროის გარემოება: მოყვარე მოყვარეს რომ წაეჩხუბება, ისეთი სიტყვა არ უნდა უთხრას, შერიგებისდროს ნათქვამისა შერცხვესო...

5. მოქმედებითით: ა) უბრალო დამატება: ერთი დარტყმით ხე არ წაიქცევაო; ბ) ადგილის გარემოება: მოკლე გზით მტერსა ელოდე, შორი გზით — მოკეთესაო; გ) მიზეზის გარემოება: თევზის ქინით ბაყაყი არავის შეუჭამიაო; დ) დროის გარემოება: ახალგაზრდობით მოგებული სიბერის დროს ხმალიაო...

6. ვითარებითით: ა) უბრალო დამატება: ვინც დარაჯად არის დაყენებული, ის ყველაზე მეტად არის სადარაჯოო; ბ) ადგილის გარემოება: პატიოსნება და სიმართლე ლაპარაკობენ ამ სოფლად უენოდო; გ) ვითარების გარემოება: მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესიაო; დ) მიზნის გარემოება: კვერნა სანადიროდ წავიდა და ტყავი იქ დატოვაო...

ასევე თანდებულიანი ბრუნვებით ანდაზებში გადმოცემული გვაქვს უბრალო დამატება და გარემოების სიტყვები.

ა) თანდებულიანი მიცემითით: **თან**: ა) ადგილის გარემოება: თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო; ბ) უბრალო დამატება: ბუზი ბევრი ბზუის, მაგრამ ფუტკართან ყველა ტყუისო; **ზე**: ა) უბრალო დამატება: დიბა რომ დაიხევა, ფეხზეც აღარ დაიხვევაო; ბ) ადგილის გარემოება: ვისაც არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, რომ ქვას არ დაინახავსო; **ში**: ა) უბრალო დამატება: ვინც თაფლშიხელს ჩაყოფს, თითსაც გაილოკავსო; ბ) ადგილის გარემოება: ამღვრეულ წყალშიც თევზი ადვილად დაიჭირებაო; გ) დროის გარემოება: მშიერ ქათამს სიზმარშიც სულ ფეტვი ელანდებოდაო...

ბ) თანდებულიანი ნათესაობითით: **თვის**: უბრალო დამატება: საშობლოსათვის სიკვდილი ბედნიერებააო; **კენ**: ადგილის გარემოება: მელა კვდებოდა და თავი საქათმისაკენ მიჰქონდაო; **გან**: ა) უბრალო დამატება: მდევრისაგან მოღლილი კურდღელი მეძებრებმა დაიჭირესო; ბ) ადგილის გარემოება: ვალი ჰუჰრუტანიდან შემოძვრება და კარებიდანაც ვეღარ გამოეტევაო...

გ) თანდებულიანი ვითარებითით: **მდის**: ა) ადგილის გარემოება: სიმართლე კაცს ბედნიერებამდის მიიყვანსო; ბ) დროის გარემოება: სამართლის გაჩენამდის ბრძენს ჰკითხეო...

7. სავარაუდოა, რომ ანდაზა თავდაპირველად ყველა მარტივ წინადადებას წარმოადგენდა. მარტივი წინადადება ანდაზის პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო. მისი გავრცობა მეორადი მოვლენა ჩანს. აზრის უფრო სრულად და მკაფიოდ გამოთქმამ, დამწერლობის შემოღებამ ანდაზის გავრცობა მოითხოვა. ასე გაჩენილა ანდაზა — შერწყმული წი-

ნადადება, ანდაზა — პარატაქსი, ანდაზა — ჰიპოტაქსი. მაგრამ ანდაზის გავრცობას იმთავითვე თავისი საზღვარი მიუღია. მისი მოცულობა ხელოვნურად არ გაბერილა, არამედ, პირიქით, გაპირობებულა შინაგანი შინაარსით. შინაგანმა შინაარსმა განსაზღვრა ანდაზის გარეგანი სახე, მისი მოცულობა, არქიტექტონიკა, თვით წინადადების ტიპიც, სიტყვათა წყობაც, ინტონაციაც. ამიტომ ანდაზა წარმოადგენს გრამატიკულს, სემანტიკურსა და ფონეტიკურ მთლიანობას.

დროთა ვითარებაში დახვეწილა ანდაზა—წინადადება. წარმოების განვითარებამ, დამწერლობამ, ლიტერატურის განვითარებამ თავისი ანარეკლი ჰპოვა ენაში, მის ერთეულებში. გაუმჯობესდა გრამატიკული წესები, დაიხვეწა და დაზუსტდა იგი, მაგრამ მისი საფუძვლები დარჩა, რადგან მას უნარი შესწევს წარმატებით ემსახუროს საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქის განმავლობაში. ანდაზა—წინადადების ევოლუცია ქართულში ეჭვმიუტანელს ხდის ამ დებულებას.

ანდაზის გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა წინადადების ტიპობრივი სახესხვაობით ვლინდება. გამოიყოფა:

ა) **მარტივი წინადადება.** ა) გ ა უ ვ რ ც ო ბ ე ლ ი: სიცილი გადამდებიაო; ავადმყოფს ჰკითხავენო; ბედაური ბოლოსო; ძალა ერთობაშიაო; სიმართლე — სინათლეაო; გამგები მას გაიგებსო... ბ) გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი: ბებერი ხარისა რქაც კი ხნავსო; დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევსო; მოკლას ხარი ამ თივამაო; სამგორის მინდორზე სამი ბებერი ვერ ეტეოდაო; პრანჭია ქალი ვერ გათხოვდებაო...

ბ) **შერწყმული წინადადება:** აქლემის ჭურდი და ნემსის ჭურდი ორივე ჭურდიაო; ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო; ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო: კატას თევზი უყვარდა, მაგრამ წყალში ფეხის დასველება კი ეჯავრებოდაო; ყვავი ნეხვზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო; კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო მტვრევაო...

გ) **პარატაქსი.** ა) ე რ თ დ რ ო უ ლ ი: ავჭალაში ქორწილია, მცხეთაში დოლს უკრავენო; ამოვიარე ალევსო, ფერხული ება ქალებსო; ბუზი ბევრი ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო; გოჭი ჭყივილით გაიზრდება, ყმაწვილი — ტირილითო... ბ) თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ი: მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო; ალია წავიდა, მუსია მოვიდაო; ამინდი მუშაობდა და კაცი თავისას იკვეხდაო: ბედაურებსა სჭედდნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო...

დ) **ჰიპოტაქსი.** ა) ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ უ ლ ი: ვინც მოკვდება, თავს მოუკვდებაო; ვინც კატას არ გაიჩენს, ის თაგვებს მოიმრავლებსო; ვინც მეზობლის იმედით იქნება, ის უვახშმოდ დარჩებაო; ვინც ქარსა თესავს, ის ქარიშხალს მოიმკისო: ვისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონიაო... ბ) დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი: ის ურჩევნია მა-

მულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო; ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო... გ) განსაზღვრებითი: ისეთი არის სიბერე, სიპ ქვასაც შეეპარებაო; ისეთი ხიდი გასდე, შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო; ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიანო: დ) ადგილის გარემოებითი: ბუზნი მუნ შემოკრბებიან, სადაცა თაფლნი სდიანო; გაწყდეს, სადაც წვრილიაო... ე) დროის გარემოებითი: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო; სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარიო: ურემსაც რომ მეტს დაუდებენ, ჭრიალს დაიწყებსო: ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შესძულდებაო... ვ) ვითარების გარემოებითი: ისე გავიდა მარტიო, ვერ მოკლა ერთი ბარტყიო: აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო: აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე ვერ აიკიდოსო... ზ) მიზეზის გარემოებითი: თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რად გიყარსო; ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ბევრი რამე ესმისო; ახალ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი: მალე გაიაფდებაო... თ) მიზნის გარემოებითი: მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდი მიმიტანეო: ბებერო, წირპლიან თვალებში იმიტომ გაკოცებ, რომ კვერი გამომიცხეო...

ამ წინადადებათა თითოეული სახეობა განსაზღვრულია ანდაზის შინაგანი შინაარსით. ყოველი მათგანი მჭიდროდაა შეკრული როგორც გრამატიკულად, ისე კომპოზიციურად.

6. ანდაზის სემანტიკური მთლიანობა მისი შინაარსითაა ნაკარნახევი. ანდაზა, როგორც აღინიშნა, ნორმალური მოცულობის წინადადებაა, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს ხანგრძლივი ეპოქების გამოცდილებით მიღებული დასკვნის აზრს. გამოყენებულია სიტყვათა ისეთი შეხამება, რომ მსმენელი ადვილად იგებს და ითვისებს მის შინაარსს. ანდაზით გადმოიცემა ადამიანის გამოცდილება-დაკვირვებით მიღებული სიბრძნე. ამიტომ მისი სემანტიკა იმთავითვე განსაზღვრულია. ანდაზაში — ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა — ძირითადი აზრი ერთ აქტადაა წარმოდგენილი, მისი მოცულობა ნორმალურია, სიტყვების წყობა შეფარდებულია აზრის გადმოცემის თანამიმდევრობასთან. მოკლედ, ანდაზას ახასიათებს სემანტიკური მთლიანობა, რაც მისი შინაგანი შინაარსითაა გაპირობებული. ხსენებული ანდაზა ამ მხრით ტიპობრივია.

ანდაზის ფონეტიკური მთლიანობა თავს იჩენს მის რიტმიკაში. ყოველ ანდაზას გარკვეული რიტმიკა აქვს. მუდამ რომ ბზუის ფუტკარი, თაფლი მიტომ აქვს ტკბილიო. ამ ანდაზაში ორი მარტივი წინადადებაა შეერთებული რომ კავშირით. შენაერთს აქვს თავისი ინტონაცია და რიტმი, რომელთაც იმავე დროს განსაზღვრული სინტაქსური ძალა მოეპოვებათ, ინტონაციასა და რიტმს ჩვეულებრივ პაუზა აწონასწორებს. პაუზის სინტაქსური ძალა განსაკუთრებით წინადადე-

ბათა შენაერთში — რთულ წინადადებაში[1] იგრძნობა. ინტონაცია ქმედითია უკავშიროსა და კავშირიან წინადადებაშიც, ოღონდ უკავშირო რთულსა და შერწყმულ წინადადებაში მისი სინტაქსური როლი უფრო მკვეთრად მჟღავნდება. უკავშირო წინადადებაში პაუზა ცვლის საკავშირებელ სიტყვას და აქ ინტონაციასაც რამდენიმე სახე აქვს. ჩვენ გამოვყოფთ სამი სახის ინტონაციას: ამხსნელს, ჩამოთვლისას და გამაფრთხილებელს.

ა) **ამხსნელი ინტონაცია.** ანდაზაში — ბაყაყმა ფეხი აიშვირა, || მეც ნალი დამაკარითო — პაუზა (ინტონაცია) ცვლის „რომ“ კავშირს და ამავე დროს ხსნის მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემულ აზრს. არსებითად აქ ორი წინადადებაა: „ბაყაყმა ფეხი აიშვირა“ (მთავარი) და „მეც ნალი დამაკარითო“ (დამოკიდებული). მათ შორის პრინციპული სხვაობა არა ჩანს, არც გრამატიკული, არც ლოგიკური. საერთოდ ცნობილია, რომ „მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს; როგორც მასალა, ისე სტრუქტურა ორივესი ერთნაირია“[2].

ინტონაცია ასეთ ანდაზა-წინადადებაში ამხსნელია, იგი ფარავს საკავშირებელ სიტყვას. აღარცაა საჭირო მისი ხმარება. საკავშირებელ სიტყვათა გამოტოვება ანდაზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გრამატიკული თავისებურებაა, რასაც, ჩვენი დაკვირვებით, ხანგრძლივი ისტორია აქვს. საკავშირებელ სიტყვათა გამოტოვება ისევე, როგორც წინადადების ცალკე წევრთა გამოტოვება, ანდაზის დახვეწის შედეგს წარმოადგენს და მისი ენის ხალხურობით აიხსნება[3].

მსგავსი ანდაზებია: კუმ ფეხი გამოყო, || მეც ნახირ-ნახირო; ბოსელში ისე ვერ შეხვალ, || ავი სუნი არ გეცესო...

ბ) **ჩამოთვლის ინტონაცია** ერთნაირად გვხვდება შერწყმულსა და

---

[1] ამ აზრით საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ ა. პეშკოვსკის ეჭვი ტერმინი Сложное предложение-ს ვარგისობაზე. ავტორმა უკუაგდო ეს ტერმინი და მის ნაცვლად сложное целое-ს ხმარობდა (А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1934, გვ. 403).

[2] ა. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1928, გვ. 161.

[3] რუსული ანდაზების ენის სინტაქსის მკვლევარი პ. გლაგოლევსკი ფიქრობდა, რომ ეს უმთავრესად ანდაზის შემქმნელთა ლოგიკური განვითარების ნაკლოვანებებით აიხსნებაო (П. Глаголевский, Синтаксис языка русских пословиц, СПб., 1873, გვ. 34). ეს აზრი მცდარად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, პირიქით, საკავშირებელ სიტყვათა გამოტოვება ანდაზის შემქმნელ-შემნახველთა მაღალგანვითარებული ლოგიკური აზროვნების შედეგს წარმოადგენს.

რთულ წინადადებაში (პარატაქს — ჰიპოტაქსში) და მაერთებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს. კარგი ქენი, || ქვას დადევი, || გაიარე, || წინ დაგხვდებაო; ზეცას წერო მიფრინავდა. || ძირსა თლიდნენ შამფურსაო; აქლემები წაიკიდნენ, || კოზაკი შუაში გაჭყლიტესო... მძიმე ასეთ წინადადებაში ჩამოთვლის ინტონაციის ნიშანია. პირველ შემთხვევაში (კარგი ქენი, ქვას დადევი, გაიარე, წინ დაგხვდებაო) შერწყმულია ერთგვარი წევრები (შემასმენლები), მეორე შემთხვევაში (ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურსაო) დაკავშირებულია ორი მარტივი წინადადება.

გ) **გამაფრთხილებელი ინტონაცია** ცელის საკავშირებლად გამოყენებულ მიმართებითს ზმნიზედასა და მიმართებითს ნაცვალსახელს. მის გრაფიკულ ნიშნადაც მძიმეა გამოყენებული. ამის ნიმუშებია: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ||საწველელს მივსებდესო; ნუ დასცინი სხვასო, || გადაგხდება თავსო...

ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება ქართულში, როგორც ცნობილია, წარმოშობით კითხვით წინადადებადაა მიჩნეული[1]. ეს აზრი გასაზიარებელია, მაგრამ ხაზგასასმელია ისიც, რომ გამაფრთხილებელი ინტონაციის შემცველ პარატაქსში ამის კვალი დღეს წაშლილი ჩანს.

7. ინტონაცია ანდაზა-წინადადებას გარკვეულ მოდალურ სახესაც აძლევს. გვაქვს თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი ანდაზა-წინადადებები.

ა) **თხრობითია:** კარგი ცხენი ქერს მოიმატებს, ავი კი — მათრახსაო; ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო...

ბ) **კითხვითია:** ყვავს ხმა ვინ მისცაო?..

გ) **ბრძანებითია:** სამშობლოს მოღალატე რომ კალთაზე მოგეკრო\, ის კალთა მოიჭერიო! დარში ნაბადს ნუ დააგდებ და ავდარში — ქალამანსაო...

ანდაზების მნიშვნელოვანი ნაწილი არასრულ წინადადებას წარმოადგენს: აკლია ქვემდებარე, შემასმენელი, ან რომელიმე წევრი. ჩვეულებრივ არასრულია ის ანდაზა-წინადადება, რომელსაც ქვემდებარე ან შემასმენელი აკლია.

ა) **აკლია ქვემდებარე:** ავადმყოფს ჰკითხავენო. ეს ქართული ანდაზის ტიპობრივი ნიმუშია. უქვემდებარობა მას ხელს არ უშლის აზრის მკაფიოდ გადმოცემაში. ანალოგიურია: ქურდი თხლეზე დაიჭირესო; ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო; კატას თავში ძეხვი დაჰკრესო; ორაგული წყალში გადააგდესო...

ბ) **აკლია შემასმენელი:** თეთრი კბილი — შავი გულიო. როგორც

---

[1] გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 366.

უკვე აღვნიშნეთ, ესეც ქართული ანდაზის ტიპობრივი ნიმუშია. შემასმენელი წარმოდგენილი არაა, მაგრამ წინადადება უნაკლოა. პარატაქსში — გოჭი ჭყივილით გაიზრდება, ყმაწვილი — ტირილითო— მეორე კომპონენტს აკლია შემასმენელი, რომელსაც ტირე ცვლის. ასეთივეა: გული გულს იცნობს, სული — სულსაო; ერთად შრომა ხალისია, ერთად უქმად დგომა — სირცხვილიო; სიმდიდრის მჭონე მაძღარი ვერა ვნახე და სიმართლის მთქმელი — მშიერიო; დიაცი მიმავალი იკვეხის, მამაცი — მომავალიო...

ანდაზა-წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია არა მარტო ქვემდებარე ან შემასმენელი, არამედ მთელი წყვილიც, რაც ადვილად შეიძლება აღვადგინოთ. ეს მოვლენა ბუნებრივია რუსული ანდაზებისათვისაც[1]. ქართულ ანდაზებში, რომლებიც დიალოგს წარმოადგენენ, ხშირად გვაკლია ზმნები: თქვა, უპასუხა, მიუგო, იტყვის... მაგ., აქლემს ჰედდნენ და კურდღელი გარბოდაო, — სად გარბიხარო და — დაგჭედენ და მერე ამტკიცე, კურდღელი ხარ, თუ აქლემიო. ამ ანდაზა-წინადადებას აკლია: „კურდღელმა თქვა“, დანაკლისს ავსებს კავშირი „და“. ანალოგიურია: აქლემს უთხრეს: კისერი მრუდე გაქვსო და — სხვა რაღა მაქვს სწორიო; ბავშვს ჰკითხეს: — რატომ ტირიო და — გამდის და ვტირიო; მელა კვდებოდა და — საქათმეში დამმარხეთო; კაცმა ჩიტს თოფი დააცილა და — ჩემი ხელიდან ხომ მკვდარიაო; პატარძალმა კოჭა გატეხა და — ნეტავი ბავშვი მყავდეს, იმას დავაბრალებდიო...

მსგავსია ისეთი ანდაზები, რომელთაც სიტყვები არ აკლიათ. მაგ., გველი ეკალზე იყო გადაკიდებული, კაცმა დაინახა და თქვა: ჭირი ჭირს გადაჰკიდებიაო; ან: ერთ კაცსა ჰკითხეს: რა გირჩევნია: ქალი, ქადა, ქათამი თუ ღვინოო? მან უპასუხა: მე მირჩევნია: ქალმა ქადა და ქათამი მარანში მომიტანოსო...

8. ანდაზა-წინადადება დადებითიცაა და უარყოფითიც, ამასთან უარყოფა მან ორი სახისა იცის:

ა) **ცალმაგი**: ა რ ე შ ი ნ ი ა ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაო; ა რ ვ ა რ გ ა კაცი უმტერო, არც აგრე მტერმორეულიო... ამ ანდაზებში უარყოფა ცალმაგია, სათანადო **არ** ნაწილაკი ერთვის ზმნას (შემასმენელს) და წინადადებას უარყოფითს შინაარსს აძლევს. ასეთი ანდაზები ქართულში შედარებით მცირეა.

ბ) **ორმაგი**: ა რ ა ს ო დ ე ს ა რ გ ა ხ მ ე ბ ა წყალთა შინა ხეთა ძირიო; ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ც ხ ო ნ დ ე ბ ა უშვილო და პურაძვირიო... აქ უარყოფა ორმაგია, გამოყენებულია ორი ნაწილაკი უარყოფისა: ა რ ა ს ო დ ე ს და ა რ, რომლებიც ერთვიან ზმნას (შემასმენელს). ასეთი ან-

[1] П. Г л а г о л е в с к и й, Синтаксис языка русских пословиц, СПб., 1873, გვ. 40—43.

დაზები ქართულში უფრო მეტია. ორმაგი უარყოფა სხვა ენებშიაცაა დადასტურებული, მაგ., რუსულში, მაგრამ ქართულში იგი ადგილობრივ ნიადაგზე ყოფილა აღმოცენებული[1].

ქართული ანდაზის პოეტიკა მრავალმხრითაა საინტერესო. მას საკუთარი პოეტიკური სახე აქვს და კომპოზიციურად ხალხურ შაირს უახლოვდება. გამომსახველობის ხერხების მხრით ანდაზა ლირიკულ ლექსს მოგვაგონებს[2]. ანდაზას აქვს ზომაც, საკუთარი პოეტიკური აქსესუარიც (ასონანსი, კონსონანსი, ალიტერაცია, შინაგანი რითმა, ტავტოლოგია...). ერთი სიტყვით, ანდაზა ხალხური შაირის ერთი სახეა, ხან გარითმული, ხან კი თეთრ ლექსად წარმოდგენილი.

ანდაზის პოეტიკის სხვა თავისებურებებთან ერთად, ბოლოს, მის დაბოლოებასაც უნდა გაესვას ხაზი. ქართული ანდაზა ჩვეულებრივ ო-თი ბოლოვდება. ეს მისი დამახასიათებელი ნიშანია. ო ქართულში სხვისი ნათქვამის ნაწილაკია[3] და გვიჩვენებს, რომ აზრი თუ სიტყვა, რომელიც ამ ნაწილაკითაა გადმოცემული, სხვას უთქვამს. ვინც კატას არ გაიჩენს, ის თაგვს მოიმრავლებსო — როცა ვამბობთ, ეს გულისხმობს გამოთქმებს: თქმულა, უთქვამთ, გაგონილა, ნათქვამია, გადმოგვცემენო... ო ნაწილაკს ამის გამო სრულიად გარკვეული დანიშნულება აქვს ანდაზაში და მისი მოშორება არ შეიძლება. ამ ო-ს ფუნქცია ანდაზაში ნათლად აქვს გარკვეული პროფ. ა. შანიძეს. ის ამბობს: „სხვათა სიტყვის ო ჩვეულებრივია ანდაზებში, რადგანაც იგულისხმება „ნათქვამია", „ამბობენ", „თქმულა" და მისთანა"[4].

1952 წ.

---

[1] ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, „წელიწდეული", I—II, თბ., 1924, გვ. 74—116; ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, წიგნში: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946, გვ. 79—80; შდრ.: Ф. Буслаев, Историческая грамматика русского языка, Синтаксис, М., 1875, გვ. 318—320; В. А. Богородицкий, Общий курс русской грамматики, М.—Л., 1935, გვ. 214; А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1934, გვ. 345—346; В. А. Трофимов, К вопросу о выражении отрицания в соврем. русском лит. языке, Уч. зап. ЛГУ, вып. 15, № 156, 1952, გვ. 88—90.

[2] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 244.

[3] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბ., 1949; გვ. 179; გ. ახვლედიანი, Учебник грамматики русского языка для грузинских школ, 1948, გვ. 412; ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბ., 1950, გვ. 106—108.

[4] ა. შანიძე, იქვე, გვ. 179.

პოეტის მშობლიური სოფელი

გალაკტიონის მშობლიური სოფლის სახელწოდებამ (ჭყვიში) რამდენიმე მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. ჯერ კიდევ მთლად აწონილ-დაწონილი და შეფასებული არ გვქონდა პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის საინტერესო დაკვირვება (მან „ჭყვიში“ „წყავ“ სახელისაგან წარმოქმნილ ტერმინად მიიჩნია), რომ გამოქვეყნდა ენათმეცნიერისა და მწერლის მიხეილ ალავიძის ვრცელი გამოკვლევა — ტოპონიმი „ჭყვიში“ (გაზ. „ქუთაისი“, 1973, № 184), რამაც მაშინვე ფართო გამოძახილი გამოიწვია. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ნაშრომს მშვენიერი რეცენზია მიუძღვნა ვლ. შავგულიძემ („ჭყვიში — პოეტის მშობლიური სოფელი“: გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1974, № 26).

ახლახან გავეცანი ერთ წერილობითს დოკუმენტს, რომელშიც გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისი. ბარათზე ხელს აწერს ქალაქ სამტრედიის მცხოვრები, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, დავით ივანეს ძე ტაბიძე. საჭირო შეიქნა ამ სადავო გაგებასაც გამოვხმაურებოდი.

ტოპონიმ ჭ ყ ვ ი შ ი ს აქამდის ცნობილ ყველა ახსნას თავისი საფუძველი აქვს და მათზე სპეციალურად შეიძლებოდა სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ რაკი მკითხველები დაინტერესებული არიან მ. ალავიძის გამოკვლევაში აღძრული საკითხების არგუმენტაციის შეფასებით, ამჯერად ორიოდე სიტყვით მხოლოდ მასზე შევჩერდები.

ბუნებრივია, ხსენებული ტოპონიმის ანალიზი სხვადასხვა ასპექტით შეიძლებოდა, მაგრამ მისი ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური ეტიმოლოგია, ჩემი აზრით, სწორედ მ. ალავიძემ მოგვცა.

უხვი მასალის შეჯამების საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: არქაიზმ-დიალექტიზმი „ჭყუში“ „ჭყვიშზე“ ადრინდელია და „წყალ“ სახელისაგან წარმოიქმნა. ამას ამტკიცებს კოლხურში (მეგრულ-ჭანურში) დაცული „წყუ“ (წყალი) და ტოპონიმი „ჩხორონჭუა“ (ღელეს ეწოდება ჩოხატაურის რაიონში). გამოირკვა, რომ წ ყ ა ლ ფუძის კანონზომიერი კოლხური ეკვივალენტის (ჭყოლ) ვარიანტი ჭ ყ უ იმერულს შემოუნახავს. ნანათესაობითარი კოლხიზმები ჭ ყ ვ ი შ ი და წ ყ ო უ შ ი იგივეა, რაც ქართული წ ყ ლ ი ს ა (წყლისი). მასში წყლოვანი ადგილი (ჭაობიანი ან წყაროიანი) იგულისხმება.

დავით ივანეს ძე ტაბიძის ახსნა ხალხური ეტიმოლოგიის წიაღიდან მომდინარეობს და მისი მეცნიერულად გამართლება ძნელია, თუმცა საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

ხალხურ ეტიმოლოგიათა დიდი ნაწილი, როგორც ვიცით, ენათმეცნიერული შესწავლით არ მტკიცდება.

დავით ტაბიძის ვარაუდი ასეთია: სამეგრელო განთქმული იყო მე-

საქონლეობით. გალაკტიონის მშობლიური სოფლის მიდამოები წინათ საძოვრად იყო გამოყენებული. გადმოცემით, წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის მცხოვრები ტაბიძენი და ბახტაძენი უხსოვარ დროს ჩასახლებულან სოფელ ჰყვიშში. ჩანს, მეგრელ მებატონეებს გადმოჰყვნენ ისინი მწყემსებად. გაზაფხულზე საქონელს ამ დაუსახლებელ ადგილებში აძოვებდნენ და გვიან შემოდგომამდე აქვე რჩებოდნენო. ზოგმა ზამთარში დასადგომი კარავიც კი გამართა და, თუ თბილი ზამთარი იქნებოდა, გამოიზამთრებდნენ კიდეც და ბოლოს მოსავლიანი ნიადაგის იმედით მთლიანად გადმოსულან მუდმივ საცხოვრებლად. გალაკტიონის სოფლის სახელწოდება „მწყემსისაგან“ უნდა მომდინარეობდეს, რადგან მეგრულად მწყემსს „ჰყეში“ ჰქვია, სამწყემსოს (სამწყემსურს) კი „ოჰყეშური“. ადგილობრივ ამჟამად ხან „ჰყვიშს“ იტყვიან, ხან „ჰყუშურს“, ასე რომ „ჰყვიში“, „ჰყუშური“ უფრო ახლოა მეგრულ „ჰყეშსა“ და „ოჰყეშურთან“, ვიდრე სხვა სიტყვებთანო.

რა შეიძლება ითქვას ამ ვარაუდზე?

როგორც ირკვევა, ტაბიძენი სოფელ ჰყვიშში დამკვიდრებულან მე-18 საუკუნის დასასრულს — მეფე სოლომონ მეორის დროს (ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968, გვ. 10). თუმცა ტოპონიმი უხსოვარ ხანაში გაჩნდა, მიუხედავად ამისა, ის მაინც შეიძლება „სამწყემსურს“ აღნიშნავდეს, მაგრამ ამ ახსნას ახლავს დაბრკოლება.

ქართულ **წყ** კომპლექსს კოლხურში **ჰყ** შეესატყვისება. კოლხურ **ჰყ** ძირს შეიცავს „მწყემსის“ ეკვივალენტი „ჰყეში“ (ი. ყიფშიძე). ძირეული სახელი ჰ ყ ე შ ი ტოპონიმად არ შეიძლება არსებობდეს ისე, როგორც არ გვაქვს ტოპონიმი მ წ ყ ე მ ს ი. რომ იყოს, მისგან მაინც არ მიიღება არქაიზმ-დიალექტიზმი ჰ ყ უ შ ი.

„ჰყეშ“ ფუძისაგან ნაწარმოები „ოჰყეშური“ კი ტოპონიმად მოსალოდნელია აღმოჩნდეს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ო- თავსართი არ დაიკარგებოდა. მეგრული ო- თავსართი ქართულ სა- თავსართს შეესატყვისება. მეგრული ჩ ხ ო მ (თევზი) ფუძისაგან ო- და -ურ აფიქსებით მივიღეთ მდინარისა და სოფლის სახელწოდებები სამეგრელოსა და აჭარაში — ო ჩ ხ ო მ უ რ ი და ო ჩ ხ ა მ უ რ ი, რაც სათევზეს გულისხმობს.

კოლხური ო- თავსართი გამოიყოფა იმერეთის ტოპონიმებში: ოკრიბა, ოსუნელა, ოხომირა, ოფშკვითი, ოფურჩხეთი...

მე-16 საუკუნის წერილობითს დოკუმენტში დაცული ჰ ყ უ შ ი პირვანდელი ფორმა უნდა იყოს და დღესაც ცოცხალია ხალხში. აგრეთვე გვაქვს ორმაგი წარმოებაც ჰ ყ უ შ უ რ ი (წყლისებური) ისე, როგორც აიხსნება ვანის რაიონისვე ტოპონიმი ჰ ი შ უ რ ა (ცისებური).

ფორმა ო ჰ ყ ე შ უ რ ი ტოპონიმად დასაშვებია, მაგრამ ზემოთ მო-

ყვანილ ისტორიულ საბუთში არ იკითხება. საჭირო იყო მიხ. ალავიძე შეხებოდა ამ ვარაუდს და აღენიშნა, რომ „ჰყვიში“ „ჰყეშს“ (მწყემსი) არ უდრის.

ამრიგად, ჰ ყ ვ ი შ ი კოლხიზმია — მეგრულ-ჭანურიდან მომდინარე ტოპონიმი და წ ყ ა ლ ფუძეს უკავშირდება. ეს ტოპონიმი ნათესაობათი ბრუნვის -ი შ სუფიქსით წარმოიქმნა ისე, როგორც ჯ ი ხ ა ი შ ი (ციხისა — ციხისი), ჩ ხ ე ნ ი შ ი (ცხენისა — ცხენისი) და მისთანანი.

ტოპონიმ ჰ ყ ვ ი შ ი ს ყველაზე არგუმენტირებული ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ანალიზი ჯერჯერობით მიხეილ ალავიძეს ეკუთვნის.

1975 წ.

-ომ, -ორ, -ეტ სუფიქსებისათვის საბას ლექსიკონში

სულხან-საბა ორბელიანს თავის დიდებულ „ქართულ ლექსიკონში“ მდიდრულად და გონებამახვილურად აღუნუსხავს ქართული ენის თითქმის ყველა თავისებურება, რის მოცემაც, ლექსიკონის მიზნებისა და მოცულობის საგრძნობი შემოფარგლულობის პირობებში, შესაძლებელი იყო. სიტყვები ლექსიკონში გაწყობილია თავისებური, შეიძლება ითქვას, ორბელიანური წესით, რასაც ავტორისათვის საშუალება მიუცია, აღენუსხა არა მარტოოდენ სიტყვის სემასიოლოგიურ-ლექსიკური, არამედ მორფოლოგიური მხარეებიც და მკითხველიც უფრო ღრმად ჩაეხედებინა ცალკეული სიტყვის არქიტექტონიკურ აგებულებაში. ამიტომაა, რომ ს ა ბ ა ს ნაშრომში სიტყვის მაწარმოებელი მორფოლოგიური ელემენტები ასე ვრცლადაა წარმოდგენილი. საბამდელ ქართულ ძეგლებსა და წყაროებში, რომლებიც ჩვენამდის მოღწეულან, სიტყვის წარმოების ყველა შესაძლებელი შემთხვევა მოცემული არ არის და არც შეიძლებოდა მოცემულიყო. მაშინ ყოველი ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლის ავტორისათვის გრამატიკული პარადიგმების გადმოცემაც უნდა მოგვეთხოვა, რაც მხოლოდ ენის სპეციალისტის საქმეს წარმოადგენს. მწერალი და ისტორიკოსი იმდენადაა გრამატიკოსი, რამდენადაც იგი ვალდებულია იცოდეს იმ ენის ბუნება, რომლითაც მას საკუთარი თხზულების შინაარსის გადმოცემა განუზრახავს. ამიტომ მასთან მხოლოდ ისეთ გრამატიკულ ფორმებსა და ელემენტებს ვიპოვით, რომელთა გამოყენება საჭირო იყო თხზულების დასაწერად. ენის ფორმების საგანგებოდ აღწერა-შეჯერება და მისი გაშიფრვა-ინტერპრეტაცია ენათმეცნიერის ამოცანაა. ს ა ბ ა მ დ ი ს არ გვყოლია ასეთი ენათმეცნიერი. საბა იყო არა მარტოოდენ სწორუპოვარი მწერალი, არამედ თავისი ეპოქის მეცნიერული აზროვნების დო-

ნეზე მთელი თავით მაღლა მდგომი ფრიად განსწავლული ენათმეცნიერიც. თავისი „ქართული ლექსიკონით“ ს ა ბ ა მ გააღვივა ჩვენში ენათმეცნიერული აზროვნება, იგი იყო ჩვენი დედაენის ერთი პირველი მკვლევართაგანი და დიდებული ენათმეცნიერიც...

სიტყვის მაწარმოებელ ელემენტთა შესწავლა საბასთან საგანგებო კვლევას მოითხოვს. ლექსიკონის თითქმის ყველა მოსახერხებელ ადგილას ავტორმა გვაჩვენა ამ ელემენტთა ხმარების დაახლოებით ყველა სავარაუდო ვარიაცია. ამ ელემენტებიდან აქ ჯერჯერობით მხოლოდ -ომ, -ორ და -ეტ სუფიქსებია განხილული. დანარჩენ სუფიქსთა შესწავლა ამ მუშაობის ბუნებრივი გაგრძელება იქნება.

1. -ომ:

სპეციალურ ლიტერატურაში ამ ელემენტის სუფიქსობის საკითხიც ეპვის ქვეშ იყო დაყენებული. ნ. მ ა რ ს იგი საგანგებოდ არ განუხილავს, მაგრამ მას არაერთჯერ ჰქონია მსჯელობა -ომ სუფიქსით ნაწარმოები ფორმების — შ რ ო მ ა[1], ს ხ დ ო მ ა[2] და მისთანების შესახებ. პირველის მარტივ ფუძედ ავტორი შვრ-ს მიიჩნევდა, რაშიაც ვ სუფიქსისეულ -ო-ს ფონეტიკურ სახეობად ჩანს, ისიც გადასმული სახით. ე. ი. თავდაპირველად უნდა გვქონოდა: შ რ ვ+მ. თავისთავად ცხადია, თუ მოცემული სიტყვის ასეთ ანალიზს მივიღებთ, მაშინ სუფიქსად -მ უნდა მივიჩნიოთ და არა -ომ. მეორე სიტყვიდან (სხდომა) ავტორს შეესაძლებლად მიაჩნია გამოჰყოს ძირი სხდ, მაგრამ სუფიქსის შესახებ არაფერს ამბობს. სხდ, თუ ძირია, -ომ მაშინ, ლოგიკურია, სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, ნ. მარისათვის -ომ სუფიქსი იშლება -ო და -მ-დ, სადაც სპეციფიკურია -მ.

-ომ სუფიქსის ასეთ დაშლას მხარს უჭერს არნ. ჩიქობავაც. ავტორი ფიქრობს, რომ დ გ ო მ ა ფორმაში გვაქვს: დგ-ო-მ-ა, სადაც ა მასდარის მაწარმოებელია, ო ფუძეს ეკუთვნის[3]. ე. ი. სპეციფიკურად -მ ჩანს აქაც.

გ. დეეტერსი -ომ ელემენტს -ოლ-ის თანაბარ ფუნქციის მქონე სუფიქსად თვლიდა და მას მასდარულ ფორმაში ამ უკანასკნელის ნიშნის -ა-ს წინ დასმულ ელემენტად მიიჩნევდა. ე. ი. ავტორთან -ომ მიჩნეულია სუფიქსად პასიური ზმნების -ებ-იანი ფორმების შემცვლელად მასდარისეული -ა სუფიქსის წინ. მაგ.: დგომაი, დასხდომაი[4]...

---

[1] ნ. მ ა რ ი, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л-град, 1925, § 221,3, გვ. 118; შდრ. § 171, в, 1, გვ. 135.

[2] ნ. მ ა რ ი, იქვე, § 244, გვ. 208.

[3] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, § 95, გვ. 223.

[4] გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, ქართველური ზმნები (გერმ.), 1930, გვ. 218.

ანალოგიურ აზრს ავითარებდა აკ. შანიძეც. თავისი „ქართული გრამატიკის“ პირველ გამოცემაში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ -ომ უჩნდება ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას მასდარისეული -ა ნიშნის წინა და, თუ ზმნა ვნებითია, იგი დაერთვის მარტივ თემასაც. მაგ.: დგ-ა-ს — დგ-ომ-ა; ხტ-ი-ს — ხტ-ომ-ა[1]... მართალია, ავტორს -ომ ელემენტის ფუნქციის სხვანაირი განსაზღვრება არ მოუცია არც ამ და არც შემდეგდროინდელ შრომებში[2], მაგრამ აქ მისი აზრი მაინც ცხადია: -ომ ელემენტს იგი მიიჩნევს მასდარისეული -ა ნიშნის წინ გაჩენილ სუფიქსად.

ამნაირად, მკვლევართა ერთი რიგის მიხედვით, -ომ ელემენტი იყოფა ორად: ო+მ, აქედან მხოლოდ მ არის სპეციფიკური; მეორე რიგის მიხედვით, იგი სუფიქსია, რომელიც დაერთვის ვნებითი გვარის ზმნის მარტივ ფუძეს მასდარში, -ა ნიშნის წინ. არის სხვა თვალსაზრისიც. ვ. თოფურიას აზრით, ომ ბოლოსართია და ჩნდება მასდარსა და მიმღეობაში: კრთის — კრთომა, საკრთომი, მკრთომელი[3]... მაგრამ სუფიქსის პირდაპირი დანიშნულება ამით მაინც არ არის გარკვეული; მეორე მხრით, არც მისი ფუნქცია ხდება ცხადი მიმღეობაში. -ომ სუფიქსის ორიგინალური ინტერპრეტაცია მოგვცა ლ. კიკნაძემ[4]. ავტორს, უწინარეს ყოვლისა, იგი -ან, -ენ, -უნ, -ოლ სუფიქსების მორფოლოგიურ ვარიანტად და მათთან ერთად გარკვეული ტიპის (ძირეულ) ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებელ სუფიქსად მიაჩნია. ამ დებულებას, მიუხედავად მისი ორიგინალობისა, იმთავითვე თან ახლავს ერთგვარი სიძნელე: -ომ სუფიქსი ისე, როგორც -ოლ, ზმნის აწმყოს ფუძეში არ გვხვდება, იგი თავს იჩენს მხოლოდ მასდარსა და მიმღეობაში. ამ გარემოებას, ალბათ, ავტორიც გრძნობდა, როცა თვითონვე სამართლიანად შენიშნავდა: „ეს სუფიქსები პირიელ ფორმებში ყოველთვის არ ჩანან, მასდარში კი დაცული არიანო“.

სუფიქსის სხვა ფუნქცია სპეციალურ ლიტერატურაშიც საგანგებოდ გაშიფრული არ არის. ჯერ განვიხილოთ -ომ სუფიქსის ხმარების შემთხვევები[5].

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1930, § 173,5. გვ. 185; დამახასიათებელია, რომ ავტორი აქ ანალოგიურ განსაზღვრებას აძლევს ოლ ელემენტსაც (§ 173,4, გვ. 185).

[2] ა. შანიძე, ქართ. ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო, I გამოც., თბ., 1939, § 202, გვ. 118; II გამოც., თბ., 1941, § 200, გვ. 111., III გამოც., თბ., 1946, § 202, გვ. 122.

[3] ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, „თბ., უნ. შრ.“, III, 1936, გვ. 228.

[4] ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, „თბ., უნ. შრ.,“ XXVIII, 1946, გვ. 171—176.

[5] შემოკლებანი: ათონ: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი

„იყვნეს მუნ მ დ გ ო მ ა რ ე სხუანიცა ჰურიანი“... ათონ., 32,9 ქვ.; „გინა წიგნის კითხვასა, გინა წ ა რ დ გ ო მ ა ს ა“... ათონ., 36,5; „მოიყვანებნ შინა დ ა შ თ ო მ ი ლ თ ა“... ათონ., 36, 12; კუალადცა იწყის უბნობად გინა გ ა ნ ც ხ რ ო მ ა დ“... ათონ., 41,13; „მ ი ო ჳ წ დ ო მ ე ლ ი ძალი“... ინგორ., ივ, 5 ქვ.; „და უკრძალველად ჯ დ ო მ ა ს ა ყოვლადვე არა იკადრებდეს“... ხანძთ., კ, 7 ქვ.; „უკუე თუმცა არა იყო დ ა უ ც ხ რ ო მ ე ლ ი ბრძოლაჲ“... ხანძთ., ია, 22; „და სერობასა... წართქჳან და ა დ გ ო მ ი ს ა წ ა რ დ გ ო მ ა ნ ი“... ხანძთ., კა, 40; „რ̃ ლისა იგი მ ს ხ დ ო მ ა რ ე იყვნეს“... კიმენ., 55,4; „იხილა იესუ მ დ გ ო მ ა რ ჱ“... ლექც., 061, იოჰან., 14; „შ ე მ დ გ ო მ ად ჰირსა მის“... ლექც., 063, მათ., 29; „და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა ზედა ა დ გ ო მ ი ლ არს“... ოთხთავ., 120, მ, 3,26; „ნადიმად მ ს ხ დ ო მ თ ა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა“... ვ. ტ., 56,2; კ დ ო მ ა, ვ. ტ., 27, 3; წ ყ რ ო მ ა, 27,4; ს ა ჯ დ ო მ ი, 44,4; მ ო ს ა ნ დ ო მ ი ა, 57,1; ჰ კ რ თ ო მ ი ა, 57,4; მ ო ს დ გ ო მ ო დ ეს, 73,2; მ ი უ წ თ ო მ ე ლ ი, 75,1; მ ხ ლ ტ ო მ ე ლ ი, 75,2; დ ა უ შ რ ო მ ე ლ ი, 75,4; დ ა შ ვ რ ო მ ი ს, 473,4; „მყინვარზე მ დ გ ო მ ი მოხუცებული“... ჰავჭ., 127,7; „მოეცი ძალი დ ა ვ რ დ ო მ ი ლ ს ა კვლავ ა ღ დ გ ო მ ი ს ა“... ჰავჭ., 139,17; საბასთან ვხვდებით ასეთ ფორმებს: დ გ ო მ ა, ზ ღ რ ო მ ა, წ ყ რ ო მ ა, გ ა ნ ც ხ რ ო მ ა, გ ა რ დ ა რ ჩ ო მ ა, გ ა რ დ ა ჯ დ ო მ ა, გ ა ძ ღ ო მ ა, ზ რ ო ჲ ა, ჲ წ დ ო მ ი, მ ძ რ ო მ ი, მ წ ყ რ ო მ ი, მ ჯ დ ო მ ი, ნ ა რ ჩ ო მ ი, მ ჯ დ ო მ ა რ ე და მისთ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ -ომ სუფიქსია, თანაც არა მარტოოდენ მასდარის ფორმებთან ხმარებული, არამედ მაწარმოებელი, უწინარეს ყოვლისა, მასდარისა და მიმღეობის ფუძეებისა. მიმღეობის ფორმებს -ომ სუფიქსი აწარმოებს არა დამოუკიდებლად, არამედ მ-, ს ა-, ნ ა- პრეფიქსების მოშველიებით გარდაუვალი (პასიური) ზმნის ფუძეებიდან.

ა. მ—ომ:

წყრ-ა — წყრ-ომ-ა: მ-წყრ-ომ-ი; დგ-ა — დგ-ომ-ა: მ-დგ-ომ-ი (ან: შე-მ-დგ-ომ-ი!); ხტ-ა — ხტ-ომ-ა: მ-ხტ-ომ-ი (ან: გადა-მ-ხტ-ომ-ი!);

აღაპებით, თბ., 1901; ა ს უ რ.: ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, ს. ჯანაშიას გამოც., „არილი“, თბ., 1925, გვ. 1—24; გ უ რ.: გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937; ვ. ტ.: შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ეფხისტყაოსანი, სახ. უნივ. გამოც., თბ., 1937; ი ნ გ ო რ.: პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, თბ., 1913; კ ი მ.: კ ი მ ე ნ ი, I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედ., თბ., 1916; ლ ე ქ ც.: ხანმეტი ლექციონარი, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1944; ო თ ხ თ ა ვ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1945; ჰ ა ვ ჭ.: ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937; ხ ა ნ ძ თ.: გ. მ ე რ ჩ უ ლ ი, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ნ. მ ა რ ი ს გამოც., TP, VII, СПб., 1911.

სხლეტა — სხლტ-ომ-ა: მ-სხლტ-ომ-ი (*მ-სხლეტ-ომ-ი!); ძრა — ძრ-ომ-ა: მ-ძრ-ომ-ი (ან: ქვე-მ-ძრ-ომ-ი!); ძღ-ა — ძღ-ომ-ა: მ-ძღ-ომ-ი (ან: გა-მ-ძღ-ომ-ი!); ცთ-ა — ცთ-ომ-ა: მ-ცთ-ომ-ი; შერ-ებ-ა — შრ-ომ-ა: მ-შრ-ომ-ი (უფრო: მ-შრ-ომ-ელ-ი!)[1]...

ბ. სა—ომ:

სა-წყრ-ომ-ი, სა-დგ-ომ-ი (ან: მი-სა-დგ-ომ-ი, შე-სა-დგ-ომ-ი!), სა-ხტ-ომ-ი (ან: გადა-სა-ხტ-ომ-ი!), სა-სხლტ-ომ-ი, სა-ძრ-ომ-ი (ან: გა-სა-ძრ-ომ-ი!), სა-ძღ-ომ-ი (ან: გა-სა-ძღ-ომ-ი), სა-ჯდ-ომ-ი (ან: გადა-სა-ჯდ-ომ-ი!), სა-ცთ-ომ-ი (ან: გადა-სა-ცთ-ომ-ი!), სა-ნდ-ომ-ი (ან: გურ.: უ-ნდ-ომ-ი: „უ ნ დ ო მ ე ბ ი ს გადამკიდეს დამაყონდა შვა მარხვამდი“, გურ., 47,2 ქვ., „ვაი, თუ უ ნ დ ო მ ს მიღალატეს“...[2] გურ., 96,7)...

ბ. ნა—ომ:

ნა-წყრ-ომ-ი, ნა-ხტ-ომ-ი, ნა-დგ-ომ-ი, ნა-ძრ-ომ-ი, ნა-შრ-ომ-ი, ნა-ედ-ომ-ი, ნა-რჩ-ომ-ი, ნა-სდ-ომ-ი, ნა-ცთ-ომ-ი, ნა-სხლტ-ომ-ი, ნა-ძღ-ომ-ი, ნა-ცხრ-ომ-ი, ნა-ზრ-ომ-ი...

მიმღეობის აღნიშნული ფორმები ქართულისათვის ჩვეულებრივსა და ბუნებრივს წარმოადგენს, მით უმეტეს: ისინი დამოწმებულია ს ა ბ ა ს ლექსიკონში.

მოცემული ფორმების პარალელურად იხმარება -ომ—ელ-, -ომ—არ სუფიქსებიანი მიმღეობებიც. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს მიმღეობის სუფიქსთა გაორმაგებასა, ანუ მიმღეობის ფორმათა ორმაგი სუფიქსებით წარმოებასთან. მართლაც, -ომ და -ელ, -არ სუფიქსები დამოუკიდებლადაც იხმარება და სწორედ მიმღეობის ფუძეებს აწარმოებს.

---

[1] ხევსურული მ ა თ ქ ო მ ი ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული და ამიტომ ამ მწკრივში არ ექცევა. ხევსურულში ერთი მხრით გვაქვს: მ ა თ ქ ო მ ი: „ამა სიმღერის მ ა თ ქ ო მ ი ბებერი ვზივარ კარზედა“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხ. პოეზია, I, ხევს., თბ., 1931, 194,16); მეორე მხრით კი — მ ა თ ქ ვ ა მ ი: „ამაგ სიმღერის მ ა თ ქ ვ ა მ ი დაბადებიდგე სრუ ბერი“ (იქვე, 196,7). აქ ო (ომ) -ვა ელემენტისაგან ჩანს მიღებული (სრულად: ვამ). შდრ.: არხოტი~არხვატი (იქვე, 249,20). ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო ზმნებში -ობ, -ოვ სუფიქსების -ო მ ა დ ქცევა ქართლურსა და გომარულში: ვცხოვრობ, გახსომს... (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, „არილი“, თბ., 1925, გვ. 142; მისივე: ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, „ჩვენი მეცნიერება“, № 2, თბ., 1924, გვ. 93; შდრ. აგრეთვე: А. Ш а ш и д з е, Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, Зап. Вост. Отд. Рус. Арх. общ., XXIII, Петроград, 1916, გვ. 371).

[2] შდრ.: ს. ჯ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბ., 1936, ლექსიკ., გვ. 245.

1. მ—ომ-ელ: მ-წყრ-ომ-ელ-ი, მ-ხტ-ომ-ელ-ი, მ-ძრ-ომ-ელ-ი, მ-შრ-ომ-ელ-ი, მ-ნდ-ომ-ელ-ი...

2. მ—ომ-არ: მ-ხტ-ომ-არ-ი, მ-ჯდ-ომ-არ-ი, მ-ცთ-ომ-არ-ი (ან: შე-უ-ცთ-ომ-არ-ი, შე-უ-ცთ-ომ-ელ-ი!), მ-დგ-ომ-არ-ი (ან: მ-დგ-ომ-არ-ე!)...

ასეთივეა: სა-ხტ-ომ-ელ-ი, სა-ძრ-ომ-ელ-ი, სა-ხტ-ომ-არ-ი და მისთ.

ეს გარემოება თითქოს ეჭვს იწვევს: მიმღეობის ამ ფორმებში ხომ არ არის -ომ ფუძისეული, ან -ომ მთლიანად თუ არა, -ო მაინც? ეს ეჭვი შესაწყნარებელი იქნებოდა, რომ არ გვქონოდა ფორმები: წყრა-ა: მ-წყრ-ომ-ი, ნა-წყრ-ომ-ი: სხლტ-ა: მ-სხლტ-ომ-ი. ნა-სხლტ-ომ-ი; შვრ-ება—შრ-ომ-ა: ნა-შრ-ომ-ი... ამ მაგალითებში -ომ ყველგან სუფიქსად ჩანს, მისი გაყოფა, თუ სხვა რამ საბუთი არ აღმოჩნდა, შეუძლებელია. ანალოგია აწყოს ფუძის საწარმოებელ -ი-სა (შდრ.: ს-დუმ-ი-თ, ს-წად-ი-ს, ძრწ-ი-ს...) -ომ სუფიქსის თავკიდურ -ო-სთან, რაც დასაშვებად მიაჩნია არნ. ჩიქობავას[1], გაანალიზებული მაგალითების მიხედვით ეჭვის ქვეშ დგება. -ომ სუფიქსი მარტოოდენ მასდარში რომ იჩენდეს თავს, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს, მაშინ, რასაკვირველია, მსგავს ინტერპრეტაციას საფუძველი შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ მ-დგ-ომ-ი, ნა-შრ-ომ-ი, ნა-ხტ-ომ-ი და მისთ. მასდარის ფორმებად ვერ მიიჩნევა. და საქმეც ესაა. -ომ სუფიქსი მაწარმოებელია, იგი უწინარეს ყოვლისა მიმღეობის ფუძეს აწარმოებს, ამავე დროს გამოყენებულია მასდარის ფუძის შესადგენადაც -ნ, -ოლ, -ებ ელემენტების მსგავსად. ა. შანიძეს შენიშნული აქვს, რომ -ომ ელემენტი თავს იჩენს საშუალი გვარის მიმღეობის ფორმაში, მაგრამ ზმნის ფუძიდან იგი ავტორს არ გამოუყვია: მ დ გ ომ ა რ ე, მ ჯ დ ომ ა რ ე, მ ს ხ დ ომ ა რ ე[2] და მისთ. ავტორს გაშიფრული აქვს მ პრეფიქსი და არ-ე სუფიქსი: მ-სხდომ-არ-ე, მ-დგომ-არ-ე... -ომ კი — ფუძიდან გამოყოფილი არ არის.

-ომ ელემენტი, როგორც ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი, სახელებშიაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. კერძოდ. ქართ. ღომ, ცომ... ჭან. ღომ-უ, ცომ... მეგრ. ღუმ-უ... და მისთანებში ბოლოკიდური -ომ სუფიქსისა უნდა იყოს. ახლა იგი ისე შეჰხორცებია ფუძეს, რომ ძნელი ხდება მისი გამოყოფა. სვანურში რომ გვეპოვა სათანადო ფონეტიკურ ნიადაგზე გახმოვნებული ფუძე იმავე მნიშვნელობით, მაშინ დარწმუ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება... § 95, გვ. 223.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, § 174,8, გვ. 191.-ომ ელემენტის ანალოგიური გაგება მოეპოვება ბ. ტ. რუდენკოსაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სუფიქსი გამოყოფილი აქვს ფუძიდან: დგ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა... (Грам. груз. яз., Л-град, 1940, §§ 72, 103, 112, გვ. 113, 195, 216-217).

ნებით შევძლებდით სახელებში -ომ მაწარმოებელი სუფიქსის გავრცელებაზე მსჯელობას.

გეოგრაფიულ სახელებში -ომ ელემენტი მაწარმოებლად ჩანს ასეთ მაგალითებში: გ-ომ-ი (სოფლებია მახარაძის, ხაშურის, კასპისა და სხვ. რაიონებში!), დიღ-ომ-ი, წრ-ომ-ი, ბათ-ომ-ი... ამ გარემოებაზე ყურადღებას გვაქცევინებს აგრეთვე ს ა ბ ა ს ბ ო ლ ც ო მ ი, ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი. აქ -ომ ისეთივე მაწარმოებელ სუფიქსად ჩანს, როგორც მითითებულ გეოგრაფიულ სახელებში.

ნ. მარს ბათუმის სხვანაირი ეტიმოლოგია მოეპოვება. ამ ფუძიდან ავტორს ბ ა თ უ მიაჩნია ბერძნულ სიტყვად 'ღრმის' მნიშვნელობით[1] და, ამნაირად, მასთან ომ-ის სუფიქსურობის საკითხი ბ ა თ ო მ ფუძეში მოხსნილია. ამავე საკითხს ეხება ს. ყაუხჩიშვილიც. თავის ერთ ნაშრომში ს. ყაუხჩიშვილი ამ ფუძიდან გამოყოფს ბათ ძირს და მას სვანურ ბაჩ-ს (ქვა) უკავშირებს, ხოლო -ომ, მისი აზრით, იგივე მეგრულ-ჭანური სუფიქსი -ონ არის[2].

დ ა ს კ ვ ნ ა: -ომ ქართულში ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია. მისი პირველადი ფუნქციაა აწარმოოს ვნებითი და საშუალი გვარის მიმღეობის ფორმები მ-, ს ა-, ნ ა- პრეფიქსებთან ერთად; მეორე მხრივ, იგივე სუფიქსი გამოყენებულია მასდარის ფორმების საწარმოებლად ჰასიური ზმნების ფუძეებიდან. ისტორიულად -ომ სუფიქსი გამოყენებული უნდა ყოფილიყო სახელთა ფუძის საწარმოებლადაც, რასაც გვაფიქრებინებს ჩვენამდის შემონახული როგორც არსებითი, ისე გეოგრაფიული სახელები, რომელთა ფუძეში -ომ ელემენტი შესულია სუფიქსის სახით (ცომ-ი, წრომ-ი...).

2. -ორ:

-ორ ელემენტი სათანადოდ შესწავლილი არ არის: არაა გამორკვეული მისი ფუნქცია. ისტორიულად იგი სახელის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თანამედროვე ქართულში ისე შეჰხორციებია მარტივ ფუძეს, რომ ჭირს გამოყოფა. ჭანურში -ორ იხმარება ქართულ -ელ სუფიქსის მნიშვნელობით[3]. არნ. ჩიქობავას აზრით, -ორ ადამიანის კატეგორიის სუფიქსია ზანურში და მის ქართულ შესატყვისს -ლ, -ელ წარმოადგენს[4].

---

[1] ნ. მ ა რ ი, К истории Кавказа по данным языка, Тифлис, 1933, გვ. 14.

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, I, თბ., 1934, გვ. 362.

[3] ნ. მ ა რ ი, Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910, § 116, გვ. 73.

[4] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 150; ან მისივე: სახელის ფუძის უძველესი აგებულება... §§ 18, 48, 65, გვ. გვ. 50-51, 122-129, 186-187.

განვიხილოთ -ორ სუფიქსის ხმარების შემთხვევები:

„საყდართა შ ო რ ი ს საკათალიკოზოთა საჩინო არს“... ათონ., 34,2 ქვ.; „ნაცვლად წუენისა მიიღის მარილისა ხ ო შ ო რ ი“... ასურ., 5,17; „არა ნატაცებად შეირაცხა თავი თჳსი ს წ ო რ ე ბ ა დ ღმრთისა“... ინგორ., უგ, 12; „გ ა ნ ა შ ო რ ნ ე ს უ ლნი მოქალაქენი“... კ ი მ., 120,32; „ბრწყინვალედ შ ო რ ი ს წმიდათა შენთა“... ხანძთ., იე, 26; „მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯ ო რ ი“, ვ. ტ., 15,4; „მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნ ა ჭ ო რ ა დ“, ვ. ტ., 120,3; „თრთოლით ს ა ს წ ო რ ზ ე ხარჯს უწონს ძნელსა“... ჰავჭ., 131,2; „თ ა ნ ა ს წ ო რ ა დ ა ნიჭთა მფენელი“... ჰავჭ., 133,6..,

საბას ლექსიკონიდან: კ ო ტ ო რ ი, ჰ ო რ ი, ქ ო რ ი, ქ ო ჩ ო რ ი, ჩ ი კ ო რ ი, ღ ო რ ი, ც მ ო რ ი, ჩ ო ჩ ო რ ი, თ ქ ო რ ი და მისთ.

ამ მაგალითებში ბოლოკიდური -ორ მაწარმოებელ ელემენტად ჩანს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ორი გარემოება:

ა. ღ ო რ სიტყვაში ძირია ღ, როგორც ჯ ო რ სიტყვაში — ჯ. ორივე ეს სიტყვა იხმარება მეგრულ-ჭანურშიაც, ოღონდ მცირეოდენი ცვლილებებით. მაგ.: ქართ. ღ-ორ-ი, მეგრ.-ჭან. ღ-ეჯ-ი[1]. თავისთავად ცხადია, აქ ძირია ღ, ხოლო -ორ და -ეჯ მაწარმოებელი. ჯ ო რ ფუძე კი საერთოა ქართულ-მეგრულ-ჭანურისათვის; ქ ო რ ფუძის დაშლა შესაძლებელი ხდება ჭანურ ქ უ რ-თან მისი შედარებით. ორივე ამ ფუძეში ძირად ქ[2] უნდა მივიჩნიოთ, ორ — სუფიქსად. ამნაირად, ქართული ფუძეების შედარებამ სათანადო მეგრულ-ჭანურ ფუძეებთან შესაძლებლობა მისცა მკვლევართ დაეშალათ ღორ, ჯორ, ქორ ფუძეები. ეს შეხედულება კარგა ხნის წინათ გამოითქვა სპეციალურ ლიტერატურაში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს არნ. ჩიქობავას დაკვირვება). თუ ეს თვალსაზრისი მართებულია, მაშინ -ორ მაწარმოებელ სუფიქსად მიიჩნევა.

ბ. ჩ ო ჩ ო რ ი ფუძე შედგენილი ჩანს, რადგან იმავე ფუნქციით გვაქვს გურ. ჩოჩ-ილ-ა, ან ჩოჩ-ი („ვირის ხადილი“—საბა). -ილ აქ ისეთივე ფუნქციის მორფოლოგიურ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, როგორისაც -ორ. ქ ო ჩ ო რ-ის ძირად ქოჩ უნდა იყოს („ქოჩი“ დამოუკიდებლივადაც იხმარება და საბას მიხედვით „შეფარდული ხეა“) ისევე, როგორც ჩიკორ-ის — ჩიკ, თ ქ ო რ-ის — თქ (*თექ), ც მ ო რ-ის — ცმ (*ცომ || *ცუმ) და ა. შ., რაც მშვენივრად ჩანს საბას ლექსიკონში (შდრ. იმერ. ჭინკორა/ე-ა[3]; კოჭორი —* კოჭორი; ხოტი — ხოტორა||ხოტ-

---

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 81-82.

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იქვე, გვ. 103.

[3] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა, სპბ., 1912, გვ. 66.

რავი[1]—*ხოტორავი. ხოტი (|| ჯოტი) დამოუკიდებლად ლუდის გამონახარშ ქატოს ნიშნავს[2]).

-ორ-ით შედგენილ ფორმებს შეუძლიათ კვლავ დაირთონ მაწარმოებელი აფიქსები და ახალი ფუძეები წარმოქმნან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგ ორ- და მეტ მარცვლიან ფუძეში -ორ-ის თავკიდური ო ხმოვანი რედუქციას განიცდის: ქოჩორ-ი—წაქოჩ-ორ-ილ-ი—წაქოჩრილი; ჩოჩორ-ი—ჩოჩ-ორ-იან-ი—ჩოჩრიანი...

დასკვნა: -ორ ქართულში ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია. ასეთი უნდა ყოფილიყო მისი ძირითადი ფუნქცია ისტორიულად, მაგრამ ლიტერატურული ენის ახლანდელ ვითარებაში მას ასეთი მნიშვნელობა გამოცვლილი აქვს და მარტივ ფუძეს შეხორცებია. ქართული -ორ ფუნქციურად არ ემთხვევა ჰანურ -ორ-ს; ჰანური სუფიქსის ფუნქცია სადაურობის ჩვენებაა, ქართულისა კი — ფუძის წარმოება.

3. -ეტ:

-ეტ ელემენტის, როგორც სუფიქსის შესახებ, პირველი ლიტერატურული ცნობა მოეპოვება ნ. მარს ნაშრომში „ძირითადი ტაბულები" (1908 წ.), მაგრამ მაშინ ავტორს ეს ფორმანტი მიაჩნდა ქართულში ე. წ. მდედრობითი სქესის გაქვავებული აფიქსების (მაგ.: -ელ) დიალექტურ ვარიანტად[3]. შემდეგ ნ. მარი სპეციალურად ამ სუფიქსს აღარ დაბრუნებია, ოღონდ „ძველი ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკაში" (1925 წ.) მაინც მიუქცევია ყურადღება მისთვის და გამოუყვია ასეთი ფუძეებიდან: ვ-კუნ-ეტ, ვ-სხლ-ეტ[4] და მისთ. სხვა მკვლევართა ნაშრომებში კი მას ვერ უპოვია სათანადო გაშუქება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვ. თოფურიას საყურადღებო შენიშვნას, რომლის მიხედვით ეტ ბოლოსართადაა მიჩნეული ფუძედრეკადი ზმნებისს სხვა ელემენტებთან: ედ, ეჩ, ეჯ, ემ-თან ერთად[5].

განვიხილოთ -ეტ სუფიქსის ხმარების შემთხვევები:

„მარცვალი იგი მოკუნიტონ და ვაიწყიან კუნეტად შევარდეს რ͡ლიმე"..: ასურ., 6,15; „ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია", ვ. ტ., 44,4; „ცალკერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამჰვრეტი", ვ. ტ., 269,4; „მოვეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ულეტად", ვ. ტ., 216,3; „მე, მეფეო, ნახვა თქვენი მიდებს ცეცხლსა დაუშრეტსა", ვ. ტ., 1444,2; „ამ ნათლიმამის ნაწყვეტმა სიტყვებმა"... ჰავჰ., 265,33; საბას ლექსიკონიდან:

[1] ი. ჰყონია, სიტყვის კონა, სპბ., 1910, გვ. 72.

[2] იქვე.

[3] ნ. მარი, Избранные работы, ტ. I, Л-град, 1933, გვ. 35.

[4] ნ. მარი, Грамматика др.-лит. груз. языка, Л-град, 1925,§ 172, გვ. 141.

[5] ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 232.

დააჭულეტინე, დააჩხულეტინე, დააკეტინე, დააჟლეტინე, დააჯურეტინე, განჯურეტა, გაწყუეტა, დასაშრეტი, დასხლეტა, დაკვნეტა, დაღლეტა[1], დაჩხვლეტა, ჩქმეტა, ჭყეტა, ნასხლეტი, ნაფშუნეტი და მისთ.

ამ მაგალითებში -ეტ ელემენტი გვევლინება მასდარისა და მიმღეობის ფუძეთა მაწარმოებლად ისევე, როგორც ზემოთ განხილული -ომ სუფიქსი.

1. **მასდარის ფუძეებთან:** ფშენ-ა: ფშენ-ეტ-ა; ხვრ-ა: ხვრ-ეტ-ა; შრ-ა: შრ-ეტ-ა; ან: ჩხვლ-ეტ-ა, ჭყლ-ეტ-ა, ჟლ-ეტ-ა, წრ-ეტ-ა, ჭყ-ეტ-ა (შდრ.: გურ. ჭყ-ერ-ა: „მარცხენა თვალი ჩუმათაი გ ა ა ჭ ყ ი რ ა“, გურ., 171,4 ქვ.), ხვ-ეტ-ა, წყვ-ეტ-ა, ღლ-ეტ-ა, ჩქმ-ეტ-ა... ამ ნიმუშებში -ეტ ელემენტი ფუძეებს შეჰხორცებია და მასდარისეული -ა ნიშანი დაურთავს.

2. **მიმღეობის ფუძეებთან:**

ა. მ-ეტ: მ-ფშენ-ეტ-ი, გა-მ-ხვრ-ეტ-ი, და-მ-შრ-ეტ-ი, გა-მ-ჟლ-ეტ-ი, და-მ-ჩხვლ-ეტ-ი, და-მ-ჭყლ-ეტ-ი, გა-მ-ხვ-ეტ-ი, მ-ჭყ-ეტ-ი...

ბ. ნა-ეტ: ნა-ფშენ-ეტ-ი, ნა-ხვრ-ეტ-ი, ნა-შრ-ეტ-ი, ნა-ჟლ-ეტ-ი, ნა-ჩხვლ-ეტ-ი, ნა-ჭყლ-ეტ-ი, მო-ნა-ხვ-ეტ-ი, ნა-ჭყ-ეტ-ი...

გ. სა-ეტ: სა-ფშენ-ეტ-ი, გა-სა-ხვრ-ეტ-ი, და-სა-შრ-ეტ-ი, გა-სა-ჟლ-ეტ-ი, სა-ჩხვლ-ეტ-ი, სა-ჭყლ-ეტ-ი, გა-სა-ხვ-ეტ-ი, სა-ჭყ-ეტ-ი...

დ. სა-ეტ-ელ: სა-ფშენ-ეტ-ელ-ი, სა-ხვრ-ეტ-ელ-ი, სა-ჩხვლ-ეტ-ელ-ი, სა-ჭყლ-ეტ-ელ-ი, სა-ჩქმ-ეტ-ელ-ი, სა-ხვ-ეტ-ელ-ი, სა-ჭყ-ეტ-ელ-ი, სა-ჭვრ-ეტ-ელ-ი...

-ეტ ელემენტი სახელთა ფუძის საწარმოებლადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამას გვაფიქრებს სახელთა ფუძეები: კ ე ტ[2], ს ვ ე ტ, მ წ ვ ე ტ, მ კ ე დ, ღ ვ ე დ... ა დ ი ე ქ ტ ი ვ ე ბ ი: ც ე ტ, წ ე რ წ ე ტ და მისთ.

-ეტ სუფიქსი -ედ ||-ეთ-ის ფონეტიკურ სახეობას წარმოადგენს. ტ აბრუპტივის გამქელერება მომდევნო ხმოვნის წინ კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ უცნაური როდია, თუ საბასთან ერთსა და იმავე დროს ანალოგიური მნიშვნელობით გვაქვს: გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა და გ ა რ დ ა წ ყ უ ე დ ა, ნ ა წ რ ე ტ ი და ნ ა წ რ ე დ ი, დ ა წ ყ უ ე ტ ა და დ ა წ ყ უ ე დ ა (შდრ. ჴ ვ რ ე ტ ა და ჰ რ ე თ ა, ‘ტყავთ მოჭრეთა’ იმავე მნიშვნელობით, აქედან ს ა ჰ რ ე თ ე ლ ი!); ან: ა წ ყ ვ ე ტ ა და ა წ ყ დ ა (შდრ.: „ქვეყანა: ჩვენი არ ა წ ყ დ ე ს, რისხვით არ დაგვტყდეს ცანია“, ვ. ტ., 423,3). საბასთან -ეტ კომპლექსი -ემ-ადაცაა გადმოცემული:

---

[1] შდრ.: ქიზ. ა ლ ო ღ ლ ე ტ ი ა (ს. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943).

[2] ეს ფუძე იმავე მნიშვნელობით გვხვდება აფხაზურშიაც: ა-კეტ, მაგრამ აფხაზურში იგი ქართულიდან შესულა (П. Ч а р а я, Об отношении абхазского языка к яфет., МЯЯ, IV, СПб., 1912, § 6, გვ. 13.).

დაჭყლეტა — დაჭყლემა (ტ-მ). ამისავე ფონეტიკური სახეობაა -ემთ — საყოველთაოდ ცნობილი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი.

-ეტ, -ედ, -ემ სუფიქსების ფონეტიკური შესატყვისი ელემენტი -ატ || -ათ ახლაცაა დაცული მეგრულ-ჭანურში. ქართულის წყვეტს შესატყვისი ჭანურში გვაქვს ცხოტ, მეგრულში — ცხოტუა (შდრ.: გურ. ჩხოტვა!). მაგრამ ჭანურ-მეგრულში აღნიშნული სიტყვა 'კაფვას' ნიშნავს („წყვეტს" — მნიშვნელობით კაფვა მდისაც დაიყვანება ქართულში. ვთქვათ სწყვეტს: — ფოთოლს, ტოტს!..). -ეტ ელემენტის ეკვივალენტად ჭანურში -ოტ ჩანს, მეგრულსა და გურულში -ოტ-უ. -ოტ ელემენტის დაკავშირება -ეტ-თან უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ერთი გარემოება ხელს რომ არ უშლიდეს. -ოტ ელემენტი ჭანურში გვეელინება ცხონტ || ცხოტ ფუძეშიაც, რაც უკვე 'ხტომას' ნიშნავს. ქართული შესატყვისი აქ საშუალებას არ იძლევა -ოტ სუფიქსად მივიჩნიოთ. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არნ. ჩიქობავას შესაძლებლად მიაჩნია ცხონტ და ცხოტ-ის დაკავშირება ქართ. ხლეტ-თან[1]. -ოტ-თან ერთად ქართული -ეტ ელემენტის შესატყვისად ჭანურში -ოდ-იც ჩანს. მაგ.: წრ-ოდ, წრ-ოდ-უმს 'წვეთვა', რის ქართული შესატყვისი იქნება წრ-ეტ-ა[2]. ამ ფუძის ანალოგიური დაშლა მოსახერხებელი ხდება მისი ჭანურის სათანადო ეკვივალენტთან შედარების საფუძველზე.

-ეტ ელემენტი ზმნის ფუძეში მყარი არ არის. ე ხმოვნის საერთოდ სისუსტის გამო ქართულში -ეტ სუფიქსიანი ზმნის ფორმები მეორე სერიის მწკრივებში იცვლება და იტ-იან სახეს იღებს. ასეთი ზმნები ამიტომ ფუძედრეკადთა სახელითაა ცნობილი[3]. მაგ.: ვწყვეტ-დავწყვიტე; ვჭყლეტ-დავჭყლიტე; ვწრეტ-დავწრიტე... მაგრამ გვაქვს მეორე ჯგუფის ფუძეებიც, რომელთათვისაც უცხოა მსგავსი მოვლენა. მაგ.: ვხვეტ — დავხვეტე; ვკეტ — დავკეტე და მისთ.

დასკვნა: -ეტ-ელემენტი თავისი ფუნქციით მიმღეობისა და მასდარის ფორმების მაწარმოებელია. ისტორიულად იგი ამოდის მისი ფონეტიკური ეკვივალენტის -ემთ-ისაგან, რაც ქართულში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელ სუფიქსს წარმოადგენს. -ეტ სუფიქსი ამას გარდა ფონეტიკურ ნიადაგზე -ედ, -ემ სახესაც იღებს. (-ეტ—ედ—ემთ). მისი ჭანურ-მეგრული ეკვივალენტი -ატ ||-ათ-ია. -ეტ სუფიქსი იმდენად შეჰხორცებია ზმნის ფუძეს, რომ ახლა ძნელი ხდება მისი გამოყოფა. -ეტ ელემენტის, როგორც მაწარმოებელი სუფიქსის, ფუნქციის დად-

---

[1] ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 386.
[2] ნ. მარი, Грам. чан. яз., ლექსიკ., გვ. 222; ან: ა. ჩიქობავა, იქვე, გვ. 402.
[3] ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 230—233.

გენა მოსახერხებელი ხდება მისი ჰანურ-მეგრული შესატყვისის გაანალიზების საშუალებით.

1947 წ.

კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი

წყაროების გამოყენების მხრით საბას „ქართულ ლექსიკონს“ ორ თავისებურებას ვამჩნევთ: ერთი, როცა ესა თუ ის სალექსიკონო მასალა ამოღებულია რომელიმე ძეგლიდან და იქვე დამოწმებულია წყაროც,—ეს მეთოდი ჩვენი ლექსიკოლოგისათვის ამოსავალი და სახელმძღვანელოა; მეორე, როცა სიტყვა აღებულია გარკვეული წყაროდან, მაგრამ იგი დამოწმებული არაა, — ესეც საგრძნობლად შეინიშნება ლექსიკონში. საბას ყოველი სიტყვა (რამდენიმე გამონაკლისს გარდა) სათანადო ძეგლებიდან აქვს ამოკრებილი, მაგრამ ყველა წყაროს დასახელება მას საჭიროდ არ დაუნახავს. ეს უნდა ითქვას ლექსიკონში შეტანილ როგორც ქართულ სიტყვათა, ისე უცხოური წარმოშობის სიტყვათა მიმართ.

საკუთრივ ქართულ სიტყვებთან ერთად ლექსიკოლოგს მოცემულია აქვს ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებში შეხვედრილი არაქართული სიტყვების განმარტებაც. ავტორს შეეძლო უცხო წარმოშობის სიტყვები არც შეეტანა თავის ნაშრომში, რამდენადაც იგი „ქართულ ლექსიკონს“ ადგენდა, მაგრამ ზოგი მათგანი, განსაკუთრებით კი უცხო ნიადაგზე წარმოქმნილი საკუთარი სახელები, მაინც ბლომად აღმოჩნდა მის ნაღვაწში. უცხოურ სიტყვათა განმარტებისათვის საბას მრავალი წყარო შეუჯერებია და გამოუყენებია. ერთ-ერთ ასეთ წყაროს მისთვის წარმოადგენდა უცხოური ლექსიკონები, რომლებიც, როგორც მოგვითხრობს ავტორი თავისი შრომის „ანდერძნამაგში“, თავდაპირველად ხელთ არ ჰქონია, მხოლოდ შემდეგ უპოვია და „მას უკან გაუმართავს“ ზოგი სიტყვა. როგორც ირკვევა, საბას ხელთ ჰქონია არა მარტოოდენ უცხოური ლექსიკონები უცხოურ ენებზე, არამედ ლექსიკონები უცხოელი ავტორებისა, თარგმნილი ქართულ ენაზედაც ჯერ კიდევ ავტორამდის რამდენიმე საუკუნით ადრე. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს კ ი რ ი ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს (გარდ. 444 წ.) ნაშრომი „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყვათა განმარტებაჲ ლექსიკონი“.

კირილე ალექსანდრიელის ამ ლექსიკონის ქართული თარგმანი ჩვენამდის შემონახულია ერთადერთ ცალად. იგი გვხვდება ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდის ერთ უნიკალურ ხელნაწერში (კრებულში), რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელ-

წაწერთა ინსტიტუტში (A 65, გვ. 340 — 349). კრებული თავის დროზე აღწერა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ, რომლის აზრით, იგი გადაწერილია XII საუკ. მიწურულში[1], რის შესახებაც ცნობები თვით ხელნაწერშიაცაა შემონახული[2]. ჩვენ არ ვიცით, როდის გადმოითარგმნა ქართულად ეს ლექსიკონი, ან ვინაა მისი მთარგმნელი, მაგრამ ერთი აშკარაა, რომ დასახელებული კრებულის გადაწერამდის (1188 წ.) კირილეს ლექსიკონი ჩვენში უსათუოდ არსებობდა და ხმარებაშიაც უნდა ყოფილიყო, რადგან ოთხთავში შეხვედრილი უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები ბევრისათვის გაუგებარი იყო და განმარტებას მოითხოვდა. კირილე ალექსანდრიელი, ჩანს, პოპულარული მწერალიც ყოფილა. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ როგორც კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოკვლევიდან ჩანს, ლექსიკონს გარდა ქართულად მისი კიდევ 16 თხზულება უთარგმნიათ[3].

რას წარმოადგენს კირილეს ლექსიკონი?

ჩვენი აზრით, მისი სათაური შინაარსს არ შეეფერება. სათაური, რომელიც ხელნაწერის 340-ე გვერდზეა, გვაუწყებს, რომ აქ მოცემულია სახარების მათეს თავში შეხვედრილ „ძნელოანთა სიტყვათა განმარტება“. ნამდვილად, მათეს თავიდან დამოწმებულია მხოლოდ 41 სიტყვა, დანარჩენი (სულ განმარტებულია 92 სიტყვა) აღებულია მარკოზის, ლუკასა და იოანეს თავებიდან. ამიტომ ამ ლექსიკონს შეიძლება ეწოდოს: „ოთხთავისა ძნელოანთა სიტყვათა განმარტებაჲ ლექსიკონი“. დამახასიათებელია, რომ მათეს თავიდან დამოწმებული სიტყვები ზოგჯერ მეორდება ოთხთავის დანარჩენ თავებშიაც და, პირიქით. მაგალითად, ა რ ი მ ა თ ი ე ლ ი ლექსიკონში დამოწმებულია მხოლოდ მარკოზის თავიდან, სადაც, მართლაც გვხვდება ეს სიტყვა (15,43), მაგრამ იგივე სიტყვა გვაქვს სხვა თავებშიაც (მათე 27,57; ლუკა 23,51; იოანე 19,38); ასევე ი ს რ ა ი ლ მარტოოდენ მარკოზის თავიდანაა დამოწმებული (12,29), მაგრამ არაერთგზის მეორდება სხვა თავებშიაც (მათე 2,6; 2,20; 8,10; ლუკა 1,16; 1,54; იოანე 3,10) და ა. შ.

ლექსიკონი შედგენილია უბრალო წესით. სიტყვები დალაგებული არ არის ანბანის რიგზე, არც რაიმე სისტემის მიხედვით; მოცემულია ჩვეულებრივ სიტყვა, რომელსაც მარჯვნით მიწერილი აქვს განმარტება. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკონი შევამოწმეთ ოთხთავის ტექსტთან (ხელთ გვქონდა ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები, გამოცემული ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით 1945 წ. და გ. მთაწმიდლისეული

[1] Описание... I, გვ. 59—65; შდრ. თარგმ. ქებისა ქებათ,. გამოც. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, თბ., 1924, წინასიტყვ., გვ. 1.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, იქვე; ან A 65, გვ. 357.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, მეორე გამოც., თბ., 1941, გვ. 647—649.

ტექსტი). შემოწმებამ დაადასტურა, რომ დამოწმებული სიტყვები უკლებლივ აღებულია ოთხთავის ტექსტიდან. მოცემული ძეგლის შედარებამ საბას ნაღვაწთან კი ნათელჰყო არა თუ „ზოგჯერ კიდევ მათგან მთელი სიტყვები და მათი განმარტებანიც მთლიანად ჩანს შესული სულხანის ლექსიკონში“, როგორც ამას ფიქრობდა ილ. აბულაძე[1], არამედ კირილეს ლექსიკონი საბას თითქმის მთლიანად შეუტანია თავის ნაშრომში. ამ დებულებას ოდნავადაც ვერ არყევს ის ზოგი რედაქციული ცვლილება, რომელიც საბას ლექსიკონში თან ახლავს კირილეს ნაშრომიდან აღებულ სიტყვებს.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს შედარებითი სქემა:

კირილე:

1. **აბბა** (მარკ. 14,36), მამაო.
2. **ანდრია** (იოანე 1,41), სიმკვნე, უძლეველი.
3. **ანნა** (ლუკა 2,36), მადლი.
4. **არიმათია** (მარკ. 15,43), ამაღლება მისი.
5. **აგვისტოს** (ლუკა 2,1), დღესასწაული განმზადებული.
6. **აფფათა** (მარკ. 7,34; ეფფათა), განეხვენით.
7. **ბარნაბა** (მათე 27,16), ძე მოძღურისა, გინა მამისა.
8. **ბართლომეოს** (მათე 10,3), დამოკიდებული წყალთაჲ.
9. **ბარტიმოს** (მარკ. 10,46), ძე სიბრმისაჲ.
10. **ბედსაიდა** (მათე 11,21: ბეთსაიდა), სახლი საიფქლე.
11. **ბეთანია** (მათე 21,17), სახლი მორჩილებისა.
12. **ბეთბაგე** (მათე 21,1), სახლი გინა პურისა შემცველი.
13. **გეენია** (მათე 5,22), მთხრებელი, გინა ჴნარცვი.

საბა:

1. **აბბა,** მამა.
2. **ანდრია,** მკვნე.
3. **ანნა,** მადლი, გინა აღშენება.
4. **არიმათია,** ამაღლება მისი.
5. **აგვისტოს,** დღესასწაული განმზადებული.
6. **აფფათა, ეფფათა,** განეხვენით.
7. **ბარნაბა,** ძე ნუგეშინის-ცემისა, ძე მოძღურისა, გინა მამისა.
8. **ბართლომეოს,** დამოკიდებული წყალთა.
9. **ბარტიმოს,** ძე სიბრმისა.
10. **ბეთსაიდა,** სახლი საიფქლე, სახლი მაყლოვანი.
11. **ბეთანია,** სახლი სათნოებისა, გინა დიდებისა, გინა მორჩილებისა.
12. **ბეთბაგე,** სახლი შეცული, გინა პურისა, გინა შემთხუევისა (ვარიანტი: გინა პირი მღვიმისა; ან: სახლი შემცველი გინა პურისა, გინა შემთხუევისა, H602).
13. **გეენია,** მთხრებელი, გინა ჴნარცვი ბნელი.

[1] ილ. აბულაძე, საბა-სულხან ორბელიანის სომხური წყაროები, თბ., უნ. შრ., III, 1936, გვ. 267.

14. **გენესარეთი** (მათე 14,34), მტილი მთავართა.

15. **გერგესეველი** (მათე 8,28), დაღონებული მწირი.

16. **გოლგოთა** (მათე 27,33), თხემის ადგილი.

17. **ელიას** (მათე 11,14), უფალი ღმერთი.

18. **ელისაბედ** (ლუკა 1,5), ღმერთი საესება ჩუენი.

19. **ელიუ** (მათე 1,14), ესე ღმერთი ჩემი.

20. **ენოს** (ლუკა 3,38), კაცი.

21. **ზაქარია** (მათე 23,35), ჴსენება უფლისა.

22. **თომა** (მათე 10,3), უფსკრული, გინა მარჩბივი.

23. **იეროსალიმი** (მათე 2,3), ხილვა მშჳდობისა.

24. **იოვანე** (ლუკა 1,13), დადგრომილ არს მადლი, გინა ნიჭი.

25. **ისკარიოტელი** (მათე 10,4), სიკუდილშემოსილი.

26. **ისრაელი** (მარკ. 12,29), გონებამხილველი ღუთისა.

27 **იტჳრიად** (ლუკა 3, 1), საძოვარი.

28. **კაიაფა** (მათე 26,3), განბასრებული.

14. **გენესარეთი,** მტილი მთავართა.

15. **გერგესეველი,** სამკჳდრო მათი, გინა მწირი დაღონებული.

16. **გოლგოთა,** თხემისა ადგილი.

17. **ელიას,** ღმერთი უფალი.

18. **ელისაბედ,** ღმერთი საესება ჩემი.

19. **ელიუ,** ღმერთი ესე ჩემი.

20. **ენოს,** კაცი რჩეული, გინა დავიწყება.

21. **ზაქარია,** მოჴსენება უფლისა.

22. **თომა,** უფსკრული, გინა მარჩბივი.

23. **იეროსალიმ,** ხილვა მშჳდობისა, ხილვა სრული, გინა სახლი მშჳდობისა.

24. **იოანე,** მადლიერი, სახიერი, მოწყალე, გინა დადგრომილ არს მადლი, გინა ნიჭი, გინა მიემადლე, ანუ ნება, ანუ საქმე.

25. **ისკარიოტელი,** სიკუდილშემოსილი.

26. **ისრაილი,** გონებამხილველი ღუთისა, გინა ხილვა ღუთისა; საბას დამოწმებულ აქვს მეორე წაკითხვაც: **ისრაელი,** რომელიც ასე აქვს განმარტებული: „მხილველი ღუთისა, ჴმაობა ღუთისა, ხილვა ღუთისა“. ორივე განმარტებას ერთი წყარო აქვს.

27. **იტჳრია,** საძოვარი.

28. **კაიაფა,** განბასრებული, გინა მოკიცხული.

29. **კანანელი** (მათე 10,4), აღშენებული.

30. **კაპერნაუმ** (ლუკა 4,23), დაბანაი ნუგეშინის-ცემისაი.

31. **კესაროს** (ლუკა 2,1), მთავარი დაბადებულთა.

32. **ლებეოს** (მათე 10,3), ეული.

33. **მატათეოს** (მათე 9,9), გარდათხმული.

34. **ნაზარეველი** (მათე 2,23), გამორჩეული.

35. **პონტიუ** (მათე 27,2), რჩეული მძრახველი.

36. **რაბბი** (მათე 23,8), მოძღუარი.

37. **სალომე** (მარკ. 15,40), მშვიდობა.

38. **სიდონი** (მათე 11,22), სანადირო ურგები.

39. **სჳმონ** (იოანე 1,41), მორჩილი.

40. **ტიბერიო** (ლუკა 3,1), ხილვა თჳსი.

41. **ტრაქონელი** (ლუკა 3,1), მოკლებაი სარეწავისაი.

29. **კანანელი,** აღშენებული.

30. **კაპერნუმ,** დაბა ნუგეშინისცემისა.

31. **კესაროს,** მთავარი დაბადებულთა.

32. **ლებეოს,** ეული.

33. **მატათეოს,** გარდათხმული.

34. **ნაზარეველი,** გამორჩეული.

35. **პონტიუ,** რჩეული მზრახველი.

36. **რაბი,** მოძღუარი.

37. **სალომე,** მშვიდობა.

38. **სიდონი,** სანადირო ურგები.

39. **სჳმონ,** მორჩილი.

40. **ტიბერიო,** ხილვა თჳსი.

41. **ტრაქონელთა,** მოკლება სალეწავისა.

სიტყვებიცა და მათი განმარტებებიც თითქმის იმგვარადვეა შეტანილი „ქართულ ლექსიკონში“, როგორც კირილეს მიერაა მოცემული. სხვაობაც ჩანს, მაგრამ იგი უფრო რედაქციული ხასიათისაა: კირილეს მიერ მოცემულ განმარტებათა კონკრეტიზაციისათვის გამოყენებულია სინონიმური სიტყვები. რამდენიმე სხვაობა ლექსიკონის გადამწერთა კალმის ცდუნებას წარმოადგენს. ამ სიტყვათა განმარტებისათვის, ჩანს, საბას სხვა უცხოურ წყაროსათვის არ მიუმართავს; მისთვის კირილეს ნაშრომის ქართული უძველესი თარგმანი ერთ-ერთი პირველი წყარო ყოფილა. რიგ შემთხვევებში საბა უფრო აზუსტებს კირილეს განმარტებებს და მათ მეტ მკაფიო სახეს აძლევს. მაგ.:

1. **ამინ,** კირილე: „მწამს ჰეშმარიტად“; საბა: „იყავნ, აღსრულდეს, გინა მრწამს ჰეშმარიტად, გინა მტკიცედ იყავნ, გინა ნანდვილვე, ნანდვილ, ნანდჳლით, გინა განესრულოს, გინა დაემკვიდროს, გინა ღმერთი, გინა მართალი, გინა ჰეშმარიტი“. საბას განმარტება აქ ზუსტი და შე-

ჯერებულია, კირილეს მიერ მოცემული განმარტება შევსებულია სინონიმური სიტყვებით.

2. **ლამეკ**, კირილე: „სიმდაბლე“; საბა: „გლახაკი, გინა მკოდოვანი“. შინაარსით ეს განსაზღვრებები ერთურთს ავსებენ, საბა კი უფრო ზუსტი და კონკრეტულია.

3. **ლევი**, კირილე: „ჩემთჳს განსყიდული“; საბა: „შეკრული, გინა გამორჩეული, გინა ჩემთჳს განსყიდული“.

4. **სიმონ**, კირილე: „სმენადწუხილი“; საბა: „მშჯდჳმუნვილი, გინა სმენადწუხილი“.

5. **ფანოელ**, კირილე: „პირითა“; საბა: „ფანუელ-მხილველი ღუთისა, გინა პირი ღუთისა“.

6. **ფარისეველი**, კირილე: „განყოფილი, გინა განშორებული“; საბა: „განყოფილი, გინა განშორებული, გინა განკუთვნილი“.

7. ასევე ვრცლად და უფრო მკაფიოდაა განმარტებული სიტყვები: საბა, ტრაქონელი, კაენ, ზაბულონ, დან, ნეფთალემ, გად, რებეკა, რაქაელ, ბეთლემი, ბეთბაგე, ბეთანია, ბერსაბე, მოსე, იესე, სოფონია, ესაია და სხვ. შინაარსის მიხედვით განმარტება ამ სიტყვებისა ერთნაირია, სიზუსტისა და მეცნიერული ზედმიწევნილობის მხრით, საბას ნაშრომი გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას. კირილეს ლექსიკონი, როგორც ვხედავთ, საბასათვის პირველ სანდო წყაროს წარმოადგენდა უცხოური წარმოშობის საკუთარ სახელთა (ადამიანთა და ადგილისა) განმარტებისას. ეს ლექსიკური მასალა (უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები) საბას აუღია არა უშუალოდ ოთხთავიდან, არამედ კირილეს ნაშრომიდან. ამიტომ ასეთ სიტყვებს წყარო მითითებული არა აქვთ. ლექსიკონის ხელნაწერ ნუსხებში მათ თან ახლავს უცხოურ სიტყვათა გასარჩევად საბას მიერ შემოღებული ნიშანი (0).

კირილე ალექსანდრიელის ამ ლექსიკონთან დაკავშირებით ილ. აბულაძე შენიშნავს: „ირკვევა, რომ ქართულად, ისე როგორც ეს სომხურშიაც იყო, არსებულა ცალკე „ძნელოან სიტყვათა“, პირველ რიგში კი — საკუთარ სახელთა, ლექსიკონები. ასეთი ლექსიკონების პირველ ნიმუშად ჯერ-ჯერობით დასახელებული 1210 წლის ხელნაწერი უნდა ჩაითვალოს. მათი არსებობა სულხანსაც სცოდნია, მაგრამ იგი მას სამართლიანად ქართული ენის ლექსიკონად არ მიუჩნევია“[1]. ეს ვარაუდი სარწმუნოა. მსგავსი ლექსიკონები ქართულ ენაზე ბევრი უნდა ყოფილიყო. ამას, სხვათა შორის, მოწმობს უცხოური წარმოშობის საკუთარ სახელთა ლექსიკონის ფრაგმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ. ცალკეულ ფონდებში. ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუ-

[1] ილ. აბულაძე, იქვე, გვ. 267—268.

ზეუმის კოლექციაში შეხვედრილ ერთ-ერთ ასეთ ფრაგმენტში (№ 1610), მაგალითად, განმარტებულია 177 უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელი (სადაურობის ჩვენებითურთ). ეს ფრაგმენტი, რომელსაც თავიც აკლია და ბოლოც და XIX ს. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს, ჩანს, რომელიღაც ერცელი ლექსიკონის პირს წარმოადგენს. უეჭველია, რომ საბა, პირველ რიგში, ასეთ ლექსიკონებს დაემყარებოდა და არა უშუალოდ უცხოურ წყაროებს.

1947 წ.

ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელი ქართულში

ქართლურ კილოს, მისი ახლანდელი ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის მხრით განსაკუთრებით შესამჩნევი სპეციფიკური თავისებურებები არ ახასიათებს, რადგან სალიტერატურო ენის ნორმების გავლენა მას ახლა ისე ძლიერად ამჩნევია, რომ ძნელი ხდება მისი ოდესღანდელი თავისებურებების სრული სახით გამოვლენა. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის მიხედვით ქართლური დღეს თითქმის აღარ განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სხვაობა უწინ არსებობდა: ეს სინტაქსური თავისებურება მას საერთო ჰქონდა ძველ ქართულ ლიტერატურულ ენასთან და არა ახალთან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელის ხმარების წესი საერთოდ და მისი ადგილი ქართლურში კერძოდ. ემფატიკური ხმოვანი, როგორც ცნობილია, ბრუნებადს სიტყვებს უჩნდება ოთხ ბრუნვაში[1]: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და, იშვიათად, ვითარებითში. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა ყველა ეს ბრუნვა, არამედ მხოლოდ ნათესაობითი.

ახალ ქართულში გენიტიური მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ასეთ შემთხვევაში არც ირთავს ემფატიკურ ა ხმოვანს. ა. შანიძის დაკვირვებით, „დღევანდელი ქართულის ნორმათა მიხედვით მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგი ჩვეულებრივ ასეთია: ჯერ მსაზღვრელი, მერმე კი საზღვრული (ტექნიკური გამოთქმა: მსაზღვრელ-საზღვრული)“[2]. ამის ნიმუშებია: „ღამის მეხრეები გვერდით ედგნენ ყარაულად“ (ი. ჭავჭავაძე, III, თბ., 1926, 7,18); „გზის მამალი ამის შვილის ურემზედ დაესვათ“ (იქვე,

[1] ნ. მარი, Грамматика древнелит.-груз. языка, Л., 1925, § 34, გვ. 22; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1942, § 57, გვ. 46.

[2] ა. შანიძე, იქვე, § 128, გვ. 87; შდრ.: § 116, გვ. 79—80.

11,5); „ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუვნა“ (იქვე, 50,26); „ამ სიტყვებთან ერთად, გაგის ცხენი ყალყზედ შედგა“ (ა. ყაზბეგი, რჩ. თხზ., თბ., 1946, 50,20); „გაგის ამხანაგები ჩამოხტნენ ცხენებიდან“ (იქვე, 50,1 ქვ.); „აქა-იქ პატარა ხის სახლები გაბნეულან“ (გ. წერეთელი, რჩ. ნაწ., I, თბ., 1947, 40,17); „ზევიდან გათეთრებული მთის წვერი მიმინოსავით დაგვყურებს“ (იქვე, 40,27); „სიმიდის ყანები სულ ჩაყვითლებული დავტოვე“ (იქვე, 57,22); „შუა ქალაქში მისთვის უზარმაზარი ქვის ძვირფასი შენობა აუმართავთ“ (დ. შენგელაია, სამი რომანი, თბ., 1946, 58, 30-31); „მატარებელი მიჰქროდა და შემოდგომის თბილი ნიავი საფეთქლებთან გაქუსლულ ქერა ბუწუწებს ლამაზად უშლიდა“ (იქვე, 68, 6-7)...

გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, ე. წ. „ინვერსიული რიგი“, როცა საზღვრული წინ უსწრებს გენიტიურ მსაზღვრელს. ე. ი. „დღევანდელ ქართულში არა-იშვიათია შებრუნებული რიგიც, — ჯერ საზღვრული, მერმე კი მსაზღვრელი (ტექნიკური გამოთქმა: საზღვრულ-მსაზღვრელი)“[1]. ამის ნიმუშებია: „ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ“ (ი. ჭავჭავაძე, იქვე, 7,12); „ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო“ (იქვე, 10,25); „ხვალ სხვა ცხოვრება იწყებოდა, დღე დიდი შრომისა და შემოქმედებისა“ (დ. შენგელაია, იქვე, 51, 1-2)... მსგავსი წყობის შემთხვევებში, როგორც ჩანს, გენიტიურ მსაზღვრელებს ემფატიკური ა ხმოვანი უვითარდებათ.

თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენისათვის ბუნებრივი პირველი შემთხვევაა, მეორეც იხმარება, მაგრამ შედარებით იშვიათად. ძველი ქართულისათვის კი უფრო სწორედ მეორე იყო დამახასიათებელი[2], შეიძლება ითქვას, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ეს ე. წ. ინვერსიული რიგი ძველ ქართულში გაბატონებულ ადგილს იჭერდა, თუმცა აქა-იქ იხმარებოდა პირდაპირი რიგიც: მსაზღვრელ-საზღვრული. ამის ნიმუშებია: „კურთხევაჲ მონაზონებისაჲ კელთაგან იოვანესთა მიიღო“ (გ. მთაწმიდელი, ცხორ. იოანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946, 17,13); „და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ“ (იქვე, 17,31); „და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა“ (იქვე, 19,13); „ხოლო ეფისკო-

---

[1] ა. შანიძე, იქვე, § 128, გვ. 67.

[2] ნ. მარი, დასახ. თხზ., § 83, გვ. 64; ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, წიგნში: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, მეხუთე გამოც., თბ., 1938, §§ 29, 30, გვ. 288; ა. კაზარია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, თბ., 1946, გვ. 329—336.

პოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო“ (მარტკლ. შუშან., ილ. აბულაძის რედ., თბ., 1938, 8,1-2); „ძჱ სამე კაცისაჲ მოვიდეს“ (ოთხთავი, ა. შანიძის რედ., თბ., 1945, მათე 26, 24); „სასყიდელი სახლისაჲ არს“ (იქვე, მათე 27,6); „მაშინ მისცა მთ მცირჱ საზომი სახლისაჲ“ (ცხორ. საბა ასურ., ს. ჯანაშიას რედ., „არილი“, თბ., 1925, 6,38); „ამით განათლდეს გონებაჲ ჭაბუკისაჲ (იქვე, 11,6); „მშენებელი ხანძთისა და შატბერდისაჲ ორთა მათ მონასტერთაჲ“ (ხანძთ., ნ. მარის გამოც., TP, VII, ბ, 24); „ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ“ (იქვე, თ, 13); „წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“ (იქვე, კგ. 18); „სატფოჳრი ეკლესიისაჲ“ (ჰაემეტი ძეგლ., ა. შანიძის გამოც., 364,2,5); „მაშინ გამოუჩნდა მას ანგელოზი უფლისაჲ და ალი იგი ცეცხლისაჲ დაშრიტა და ძალი მტარვალთა მათ დაჰკსნა“ (კიმენი, II, კ. კეკელიძის გამოც., თბ., 1946, 35,16-18); „ვითარმედ განიყოფვის ბუნება იგი ცეცხლისაჲ“ (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, მ. კახაძის გამოც., თბ., 1947, 66,15); „მოიგო გოჳირგოჳინი დიდებისაჲ“ (პ. ინგოროყვა, ძვ. ქართ. სას. პოეზ., I, თბ., 1913, ი, 21).

ჩანს, ძველ ქართულში გენიტიური მსაზღვრელი ძირითადად ინვერსიული რიგისაა და წარმოდგენილია ემფატიკური ხმოვნით, რომელსაც თან ერთვის -ჲ, ნიშანი სახელობითი ბრუნვისა. ინვერსიული რიგის ეს ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი სინტაგმები: კურთხევაჲ მონაზონებისაჲ; განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ; წიგნები ვედრებისაჲ; რქაჲ მარტორქისაჲ; ალი ცეცხლისაჲ და მისთ. მთლიანად სახელობითს ბრუნვაში დგას, ხოლო ადგილის გადანაცვლებით გვექნებოდა: მონაზონების კურთხევაჲ; სკლიაროსის განდგომილებაჲ; ვედრების წიგნები; მარტორქის რქაჲ; ცეცხლის ალი და მისთ. ადგილის გადანაცვლებამ გამოიწვია ემფატიკური ა ხმოვნისა და მასზე დართული სახელობითისეული -ჲ-ს მოშლა, ხოლო საზღვრულის ისევე სახელობითს ბრუნვაში დატოვება. ემფატიკური ხმოვანი და მასზე სახელობითისეული ნახევარხმოვნის დართვა გამოწვეულია სწორედ მსაზღვრელ-საზღვრულის ამ ინვერსიული რიგით, მაგრამ იგი მაინც სახელობითის მაჩვენებელია. ამ -ჲ-ს ნ. მარი მართებულად მიიჩნევდა სახელობითი ბრუნვის ნიშნად ნაგენიტივარ მსაზღვრელთან, რომელსაც იგი უწოდებდა родительный с отношением[1].

ჩვენ არ ვიცით, როგორ წარმოითქმოდა ეს -ჲ ძველ ქართულში,

---

[1] ნ. მარი, იქვე, § 83, გვ. 64. მსგავსი ნაგენიტივარი მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან ძველ ქართულში საგანგებოდ განიხილა ა. კაზირამ (იხ. მისი დასახელებული სტატია, გვ. 329—336).

მაგრამ იგი რომ სრული ი'ს დასუსტების ნიადაგზე უნდა ყოფილიყო მიღებული, ეს საკმარისად ცნობილი ფაქტია. ემფატიკურხმოვნიან გენიტიურ მსაზღვრელთან ქართლურში ასეთ შემთხვევებში ყოველთვის სრული ი ისმის, ე. ი. ქართლური კილო ზუსტად იმეორებს ძველი ქართულის ამ სინტაქსურ ნორმას.

ქართლურ ბუნებრივ საუბარში, ჩვეულებრივი გაბმული მეტყველების დროს, საზღვრულს წინ უსწრებს ხოლმე გენიტიური მსაზღვრელი, რომელიც ირთავს ემფატიკურ ხმოვანს და თანაც იმატებს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს. ძველი ქართულის ეს თავისებურება ბუნებრივია ახლანდელი ქართლურისათვის და, უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართულიდან კი არ უნდა იყოს იგი გადმოსული ქართლურში, არამედ პირიქით, ქართლურიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ძველ ლიტერატურულ ენაში. ჩვენი დაკვირვება ეხება ატენის ენობრივ რაიონს, სადაც შეკრებილი მასალები ნაწილობრივ შეჯერებულ-შემოწმებულია შიდა ქართლის ზოგ სხვა ენობრივ კუთხესთან.

დიდი ატენი:

აქ რკინიგზაი იყო ზეზმანისაი; ძალაი ჲწყალობდა დანახვისისაი; ზღაპარი იცის ამირ(ა)ნისაი; იქ მიბძანდით, ხეები რო უდგა კაკლისაი; დიდი სიყვარული ჲქონდა თავი ძმისაი; საწყალ ჯავრი ჩაჲყვა დედისაი; კაცს გული უნდაჲ ქონდეს კლდისაი; ამბავი გაუგია შვიდ წლი(ს) უნახავი შვილისაი, სამი წლი(ს) წინათ წასული ძმისაი კი ვერა შაუტყვია რა და მისთ.

პატარა ატენი:

მაწონი შაეყენებია კამეჩისაი და ჲტუმრებ ეპატიჯებოდა; ჯერ კიდევა სინათლე იყო მთვარისაი, სახლიდან რო გამოვედი; ამირან ღონეჲ ქონდა ცხრა უღელი ხარ-კამეჩისაი, მუხლი — გმლისაი, თვალი — შევარდნისაი; ჩამოდგა ჩრდილი გორიჯვრისაი და დაღამდა; გავაკეთეი სახრე შვინდისაი და მისთ.

ხიდისთავი:

ბაღი ეპირა მოსაველელათ კოლექტივისაი; ახლა კარგა იციან მოვლა ვენახისაი; კალო დავინახე ჩემი მაზლისაი; სიყვარული ჩავარდნოდა იმ საბრალო ქალისაი; ჰო, შვილო, ჰო, ატამია ხიდითავისაი; შეეხედე, ფერი ედო ხორბლისაი; წელს კარგია ჩვენი პლანტაციები ჰარხლისაი; ახალი წამალი უშოვნია თავიტკივილისაი და მისთ.

დირბი:

თავი(ს) საქმისაი არა იცის რა, სხვისახა ბევრს გეტყვის; ეხლაც კარგა მახსომს ზღაპრები და ლექსები პაპი-ჩემისაი; იმას საქმეი კარგა აქვს, ღვინოი უდგა ქვევრშია სამი წლისაი; გემო ხო, იცის ღვინისაი და მისთ.

გერშუეთი:

საუბრიდან:

— რა მოიტანე, ძალო, ჰა?
— კაკალი ჩემი მაზლიცოლისაი!
— მეტი არაფერი?
— კიდევა, პური ჰვავისაი, შენ ძალიანა გიყვარს, ასე მახსომს.
— დამასხი და ჰერამი არ წამაიღე?
— წელს ბევრი მურაბა გავაკეთეთ დამასხისაი და ვერა.

გენიტიური მსაზღვრელის მსგავს შემთხვევებში ხმარება ნორმა ყოფილა შიდაქართლის მოსახლეობის ენისათვის. იგი ნორმად ჩანს საერთოდ მთელი ქართლური მეტყველებისათვისაც. ვ. თოფურიას თავის საგანგებო ნაშრომში ამის მხოლოდ სამიოდე მაგალითი აქვს დასახელებული და ისიც სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით. ესენია: „ორი დღისაი, ნიში ლომისაი, სწავლა ქალებისაი“[1]. ავტორს ეს ფაქტი არა ძველი ქართულის ქართლურთან მიმართების თვალსაზრისით აინტერესებდა, არამედ მხოლოდ სახელობით ბრუნვაში ნაგენიტივარ სახელებთან ი ხმოვნის გაჩენის თვალსაზრისით. ეს გარემოება თავისთავად უაღრესად საინტერესოა, მაგრამ, გვგონია, არანაკლებ ინტერესს იწვევს სწორედ ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ამ მსაზღვრელს სახელდობრ ქართლურთან ეძებნება გენეტიკური ძირები. ამას კი ქართული ენის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქართლურში, მოყვანილი მაგალითების თანახმად, ჩანს, რომ მსაზღვრელ-საზღვრული სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ნაგენიტივარი სახელი ჯერ, როგორც წესი, ირთავს ემფატიკურ ა ხმოვანს და შემდეგ ღებულობს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს სრულიად ისევე, როგორც ამას ვხედავთ ძველი ქართულის სათანადო ძეგლებში. რკინიგზაი ზეზმანისაი, ძალაი დანახვისისაი, ზღაპარი ამირ(ა)ნისაი, ხეები კაკლისაი, ჯავრი დედისაი, გული კლდისაი, მაწონი კამეჩისაი, სინათლე მთვარისაი, ღონე ხარ-კამეჩისაი, ბაღი კოლექტივისაი, ფერი ხორბლისაი, პური ჰვავისაი, ზღაპრები პაპი-ჩემისაი და მისთ. სახელობითს ბრუნვაში დგას. ეს სინტაგმები სახელობითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენენ ერთად, აქ მსაზღვრელ-საზღვრული (ჩვეულებ-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, „არილი“, თბ., 1925, გვ. 139.

რივ: საზღვრულ-მსაზღვრელი!) ერთადაა ორივე სახელობითს ბრუნვაში დაყენებული. ჩვენი დაკვირვებით, ხდება ასეთი სინტაგმების ერთად ბრუნებაც და საინტერესო ბრუნვისეულ ფორმებს ვღებულობთ. ბრუნვის ნიშანი ორმაგდება: ადგილი აქვს ნათესაობითისა და სახელობითის ნიშანთა ერთად ხმარებას. სინტაგმა: **ხეები კაკლისაი** — მიღებულია: **კაკლ-ის-ა-ი**, ე. ი. ფუძე+ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (**-ის**), ამ ნიშანზე მიმატებული ემფატიკური ხმოვანი (**ა**) და, ბოლოს, სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**-ი**), ხოლო რაც შეეხება საზღვრულს, იგი (ხეები), რაღა თქმა უნდა, სახელობით ბრუნვაში დგას. ანალოგიური სურათი იშლება ჩვენს წინაშე სხვა ბრუნვებშიაც. იმავე ადგილებში ჩვენ არაერთგზის შეგვხვედრია: **მაწონ-ი კამეჩ-ის -ა-ი; მაწონ-მა კამეჩ-ის -ა-მა; მაწონ-ს კამეჩ-ის -ა-ს-ა...**

მსგავსი სინტაგმების პარალელურად ქართლურში ხშირია აგრეთვე გენიტიური მსაზღვრელის ჩვეულებრივი ხმარება: უცებ გაირბინა გორი(ს) ხიდი; კ ა კ ლ ი(ს) ტ ყ ე იდგა; ა ტ მ ი(ს) ბ ა ღ ე ბ ი მშვენივრად აყვავებულიყვნენ... ასეთი სინტაგმები უფრო დამახასიათებელია ლიტერატურული ქართულისათვის, საიდანაც, უნდა ვიფიქროთ, ისინი ქართლურშიაც გავრცელდა. ქართლურში პირველადია ინვერსიული და არა პირდაპირი წყობა მსაზღვრელ-საზღვრულისა.

კითხვაზე: ვისი? ან: ვისია? ქართლურში ასეთი პასუხი გვაქვს: მ ო წ ვ ი ს ა ი/ა, ს კ ო ლ ი ს ა ი/ა, კ ა ც ი ს ა ი/ა, კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ა ი/ა, წ ყ ლ ი ს ა ი/ა, ც ხ ე ნ ი ს ა ი/ა, კ ა მ ე ჩ ი ს ა ი/ა, ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ა ი/ა, ქ ა ლ ი ს ა ი/ა, დ ღ ი ს ა ი/ა, ღ ა მ ი ს ა ი/ა და მისთ. ხოლო სალიტერატურო ენაში ასეთ შემთხვევაში ახლა საჭირო აღარაა ემფატიკურ ხმოვანთან ერთად სახელობითის ნიშანი **-ი**. მეორე მხრივ, თითოეული ეს ფორმა წინადადებაში რთულ შემასმენელს წარმოადგენს.

ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელის ერთნაირად ხმარება ძველ ქართულ ენასა და ქართლურ კილოში სინტაქსური მიზეზებით აიხსნება. ქართლური წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია გენიტიური მსაზღვრელის სწორედ მეორე ადგილას დასმას მოითხოვს. ეს სინტაქსური ნორმა თავისი ბუნებით ძველი უნდა იყოს და, ჩვენ გვგონია, რომ იგი ქართლურში შემონახულია რელიეფურად.

ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელი ინვერსიული რიგისაა ქართლურში როგორც მარტივს, ისე შერწყმულსა და რთულ წინადადებაში. იმავე ადგილებში შეკრებილი მასალები ამას თვალნათლივ ადასტურებს. მაგალითად: **მარტივი**: შვილ ჯავრი ჩაჲყვა დედისაი (დიდი ატენი); იმ კაცმა სურათი ნახა ერთი ქალისაი (ხიდისთავი); **შერწყმული**: ვანემ გადაიარა ა რ ხ ი ტ ი რ ი ფ(ო)ნ ი ს ა ი და გადავიდა კასპს (ბერშუეთი); ჯავრი მჭირდა იმისაი და ერთი კარგა ვცემეი

(დირბი); **რთული თანწყობილი წინადადება:** ახლა მკაი გვაქვს ქერისაი და იმ კვირია გლეჯა დაიწყება ლობიოსაი (დირბი); იმ წელიწადს კარგი მოსავალი იყო ხილისაი და კარგი შემოსავალიც გექონდა (პატარა ატენი); **რთული ქვეწყობილი წინადადება:** მე უთხარი, რო ია კალოი იყო ჩემი მაზლისაი (ხიდისთავი); იმედი რო ქონოდა თავითავისაი, ენგრე არ მოიქცეოდა (გარდატენი)... ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელი ინვერსიული რიგისა ქართლურში შეიძლება გაჩნდეს როგორც მთავარს, ისე დამოკიდებულ წინადადებაში[1].

სახელ-გვარული სინტაგმების წყობაც თავისებურად ყოფილა შემუშავებული ქართლურში. ახლანდელი ქართული ლიტერატურული ენიდან განსხვავებით, სადაც დღეს დამკვიდრებულია ჯერ სახელისა და შემდეგ გვარის ხმარება (დავით დროიძე, ბახვა ფულავა, არჩილ ფორია, ქიშვარდი ქილიფთარი... და არა: დროიძე დავითი, ფულავა ბახვა, ფორია არჩილი, ქილიფთარი ქიშვარდი), ქართლურში იმთავითვე შემუშავებულა წესი: ჯერ გვარისა და შემდეგ სახელის ხმარება, გვარ-სახელური სინტაგმა. ეს წყობა შეუძლებელია უცხოურ ნიადაგზე წარმოშობილიყო. დღეს ქართლურში ჩვეულებრივ გვარი უსწრებს სახელს, მაგრამ ზოგჯერ საწინააღმდეგო შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე. იმერულ-გურულ-აჭარულისათვის კი ეს რამდენიმედ უცხოა: იქ

---

[1] საინტერესოა, რომ გურულ დამოკიდებულ წინადადებაში ქ. ლომთათიძეს დაუდასტურებია ხმოვნის გაგრძელების შემთხვევები. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოტანილი აქვს მაგალითებიც: „გარეთ უმ, გამევიდ, დუუძახა და დუუძახა, რაც ძალა და ღონე ქონდა, არ წახვიდეო, მარა იმან, ანაგებათ რუმაა, ყური არ გააპარტყუნა"; აგრეთვე: „აქიდან ახლა წავაკებაა, უმფრო იქით რომ გადიხარ, კიდომ ისეა" და სხვ. (დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", I, თბ., 1946, გვ. 338). ეს მაგალითები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გურულ ცოცხალ საუბარში ასეთი რამე არ გეხვედება და მსგავსი შემთხვევები არცაა ფიქსირებული საგანგებოდ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტებში (მხედველობაში გვაქვს ს. ჟღენტის მიერ გამოქვეყნებული მასალები: გურული კილო, თბ., 1936). პირველ მაგალითში შეხვედრილ გამევიდა"ში ბოლო ა კი არ გრძელდება, არამედ სინტაქსური პაუზის გამო უფრო ძლიერდება, ამ პაუზის ნიშანია სწორედ იქ დასმული მძიმე, ხოლო მარა, გადიარ და სხვ. მაგალითებში ა'ს გაგრძელების მსგავსი შემთხვევა, აჭარულისა და ინგილოურის შესახებ კი რა მოგახსენოთ, მაგრამ გურულისათვის უცხოა. ამას თითქო ავტორიც გრძნობს, როცა ქვემოთ შენიშნავს: „არავითარი უფლება არა გვაქვს დღეს ასეთი წარმოება ინგილოური დიალექტის თავისებურებად ჩავთვალოთ" (გვ. 342). რაღა საბუთით ითვლება იგი დადასტურებულად გურულში? მსგავსი შემთხვევები აჭარულშიაც საეჭვო უნდა იყოს, რადგან ჯ. ნოღაიდელის მიერ გამოქვეყნებული ტექსტები მას მხარს არ უჭერს (იხ. აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936; აჭარის ხალხური სიტყვიერება, I, ბათომი, 1936). რაც შეეხება დასმული საკითხის ავტორისეულ ინტერპრეტაციას, მასში სამართლიანად შეიტანა ეჭვი შ. ძიძიგურმა (იხ. ქ. „მნათობი", № 12, 1946, გვ. 151).

თითქმის არ გვხვდება ინვერსიული რიგი სახელგვარული სინტაგმებისა. ქართლურში ეს ინვერსიული რიგი, ჩვენი აზრით, თავიდანვე მყარად უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული, პირდაპირი რიგი შემდეგდროინდელად უნდა მივიჩნიოთ. ეს რომ ასე ყოფილა, ამას მოწმობს ერთგვარი არევ-დარევა, რომელიც ახლა სუფევს ლიტერატურულ მეტყველებაში და იგრძნობა წერილობითს წყაროებშიაც. ქართლურ-იმერულ კილოებზე შედგენილ მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების სიგელ-გუჯრებში, მაგალითად, ეს წესი რამდენადმე უკვე დარღვეული ჩანს: იხმარება ერთიც (უფრო ინვერსიული) და მეორეც (იშვიათად პირდაპირი). ვახტანგ VI-ის ერთ განჩინების წიგნში იკითხება: „ჯელთუბნელი დათუნაშვილი შიო და თავის მეზობელი ნაეროზაშვილები ცოტა საქმეზედ შესარჩლებულიყვნენ“ (საქ. სიძვ., ე. თაყაიშვილის რედ., III, გვ. 416). აქ გვარი უსწრებს სახელს. ეს ქართლურისათვის კი ჩვეულებრივი ნორმა უნდა ყოფილიყო, რაც, რამდენადმე, გავრცელებული ჩანს ძველ ქართულშიაც. იმავე ვახტანგ VI-ის ასულის ანუკას მზითევის წიგნში, რომელიც 1712 წ. თებერვალში ყოფილა შედგენილი, ვკითხულობთ: „შათირი ერთი მისის მოკაზმულობითა, მისის ორის ხელის ტანისამოსითა; ნახუცრიშვილი ბექან მერიქიფეთ, საკანელი ამირანა მერიქიფეთ, რუსაშვილი გიორგი მერიქიფეთ... მოლარეთ ხუციშვილი დათუნა“ (იქვე, გვ. 491); 1735—1738 წწ. შუალედში შედგენილ ერთ წყალობის წიგნში ნათქვამია: „ხიდისთავს თუმანიშვილს ქაიხოსროს მამული მიუყიდია გაბრიელისათვის“ (იქვე, გვ. 448); 1682 წ. 20 აგვისტოს შედგენილ ერთ დოკუმენტში იკითხება: „მე, ჯავახიშვილმან ფარსადან და ძმამან ჩემმან გოშფარ და მანუჩარ შენ, იაგულაანთ გასპარასა, შვილსა შენსა მელქუასა, ელიზბარასა, არუთანასა და ქაიხოსროს: — ასრე რომე შენი ვალი მემართა და დოლუჯასშვილი მოგეცმამუკა“ (დოკუმენტები საქ. სოც. ისტ., I, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 70). ქართლშივე შედგენილ სხვა დოკუმენტებში სახელ-გვარული სინტაგმების პირდაპირი რიგიც გვხვდება. ერთ ბრძანებაში, რომელიც 1732—1735 წწ. შუალედს ეკუთვნის, ნათქვამია: „ჩვენს მაგიერად ამილახვარს ბატონს გივს ასე უანბეთ: მერმე ამ ბექან თუმანიშვილის გლეხი, სადაც იყოს აყრილი კაცი, თქვენი კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულზედ მოიყვანეთ“... (საქ. სიძვ., III, გვ. 419); ერთსა და იმავე დოკუმენტში გვხვდება ინვერსიული და პირდაპირი რიგიც. მაგალითად: ვახტანგ VI-ის სხვა განჩინებაში ნათქვამია: „ერთს ლიპარიტ თუმანიშვილის ყმას კოჩეაშვილს ფარემუზს ლიპარიტის მხლებელი მოეტაცნა და კახეთს წაეყვანა“ (იქვე, გვ. 428); ასევე არეული ჩანს სახელ-გვარული სინტაგმები „ქართლის ცხოვრების“ ტექს-

ტშიაც: „შეკრბეს: ყოველნი: მთავარნი: საქართველოსნი: კოხტას: თავსა: იმერნი: და: ამერნი: ეგარსალნ: ცოტნე: დადიანი: ვარამ: გაგელი: ყუარყუარე: კუპრი: შოთა: თორღაი: ერ: კახნი: ქართველნი: თორელ: გამრეკელი: სარგის: თმოგველი: მესხნი: ტაოველნი: და: ყოველნი“ (მარიამ დედოფლის ვარ., გვ. 633—634). ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „იმერულ საბუთებში პირთა სახელებით დაწყება სჭარბობს, ქართლურში პირიქით“ (დოკ. საქ. სოც. ისტ., I, წინასიტყ.. გვ. VI).

იმერულსა და გურულ კილოებზე შედგენილ საბუთებში სჭარბობს პირდაპირი წყობა, მაგრამ, ჩანს, იქაც რაუევასთან გვაქვს საქმე. იხმარება ორივე. მაგალითად: 1570 წლის ახლოს იმერეთში შედგენილ ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მართებს წყალწითელას გიორგას სვინტრაძესა სანთელი... მართებს გეორგ ბერიძეს გოგიტასა სანთელი... მართებს ანანას ჯანელიძესა სანთელი... მართებს ალფარიძეს ძმობილას სანთელი“... (დას. საქ. საეკლ. საბუთები, 1, ს. კაკაბაძის გამოც., თბ., 1921, გვ. 27). ამ დოკუმენტში სახელ-გვარული სინტაგმები პირდაპირი რიგით ნახმარია 7-ჯერ, ინვერსიულით — 6-ჯერ; მამია გურიელის შეწირულების წიგნში, რომელიც 1610 წელს ყოფილა შედგენილი, იკითხება, რომ მას ბიჭვინტის ტაძრისათვის შეუწირავს: „კოპლატაძე ხახუტაი მისის სახკარითა... მამია ტოროზაძე მისის სახკარითა... იმარიდო ტრაპაიძე... ხახუტაი ტრაპაიძე... ზაქარია ტრაპაიძე... მამისაი მჭედლიშვილი“ (იქვე, გვ. 38) და სხვ.

ქართლურში ამ ორი წყობის აღრევა შემდგომ უნდა მომხდარიყო. თავდაპირველი სინტაქსური ნორმა ქართლურისათვის ყოფილა ინვერსიული რიგი: ჯერ გვარი, შემდეგ სახელი, რაც ახლაც ასე ფართოდაა ქართლურში გავრცელებული. რაუევა ჩასახულა გვიან, ლიტერატურული ქართულის შემუშავების შემდეგ. იმერულსა და გურულ კილოებში თავდაპირველად ხმარებაში ყოფილა სახელ-გვარული სინტაგმების უფრო ახალი, პირდაპირი, რიგი, ხოლო ორივე რიგის აღრევა იქ მწიგნობრობის გავლენით შეიძლება მომხდარიყო. ქართლურში უკვე შენიშნული ეს აღრევა სათანადო დოკუმენტების გზით გავრცელებულა იმერულში, გურულსა და სხვა კილოებშიაც.

დახკვნები:

1. ქართლურ კილოში ნაგენიტივარი მსაზღვრელი ემფატიკურ ხმოვანს ირთავს და, ჩვეულებრივ, საზღვრულის შემდეგ დაისმის. ემფატიკურხმოვნიანი ნაგენიტივარი მსაზღვრელი ადგილის მიხედვით ქართლურში დღეს მერყეობია, ისტორიულად მას წინ უსწრებდა საზ-

ღვრული, რაც აქ ახლაც ფართოდაა გავრცელებული, აღრევა მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიულისა და პირდაპირი რიგებისა შემდეგდროინდელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

2. ემფატიკურხმოვნიანი ნაგენიტივარი მსაზღვრელი ქართლურში წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით (მაწონი კამეჩისაი, ბაღი კოლექტივისაი...), რომელშიაც სახელობითი ბრუნვის ი ნიშანი სრული სახით ისმის. სახელობითი ბრუნვისეული ი ნიშანი ასეთ სახელებს ინვერსიული რიგის დროს მოუდის, ხოლო, როცა მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, იგი იშლება (კამეჩის მაწონი, კოლექტივის ბაღი...).

3. ემფატიკურხმოვნიანი ნაგენიტივარი მსაზღვრელის ხმარების მხრით ქართლური კილო მთლიანად ემთხვევა ძველ ქართულს. ეს სინტაქსური ნორმა მათ საერთო აქვთ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველი ქართულის მსგავს მაგალითებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ჩანს ნახევარხმოვანი ჲ, ხოლო ქართლურში კი სრული ი გვესმის (გონებაჲ ჭაბუკისაჲ — გონებაი ჭაბუკისაი...).

4. ემფატიკურხმოვნიანი ნაგენიტივარი მსაზღვრელის ხმარების გავრცელება ქართლურში აიხსნება ამ კილოს სინტაქსური თავისებურებებით. ეგ ქართლურისათვის სინტაქსური ნორმა ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ კილოს ბაზაზე ჩამოყალიბებულა ძველი ქართული სალიტერატურო ენა. სალიტერატურო ენაში შემდგომ მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი არეულა, რასაც თავისი ანარეკლი თვით ქართლურ კილოშიაც უპოვია. პირდაპირი რიგი (მსაზღვრელ-საზღვრული) ქართლურში სალიტერატურო ენის გაელენით გავრცელებულა, თავდაპირველად მისთვის ინვერსიული რიგი (საზღვრულ-მსაზღვრელი) უნდა ყოფილიყო ბუნებრივი.

1947 წ.

გორის მუზეუმის ძართული ხელნაწერები

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ძველ ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ფონდი. ეს ხელნაწერები მუზეუმს შეუძენია სხვადასხვა დროს ცალკე პირთაგან როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექციების სახით. ყველაზე მდიდარი ამ მხრით განსვენებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გარსევანიშვილის კოლექციაა. ამ ხელნაწერების სრული აღწერა და შესწავლა მომავლის საქმეა. ქვემოთ მოცემულია მუზეუმში დაცული ორი ხელნაწერის აღწერილობა. ერთია, სულხან-საბა ორბელიანის

„ქართული ლექსიკონის“ 1783 წელს გადაწერილი საინტერესო პირი (№ 1887), და მეორე, ანონიმური „ქართული ღრამმატიკა“ (№ 134), რომელიც აგრეთვე მრავალმხრივ ყურადსაღები ძეგლია.

1. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი

1. № 1887. დაწერილია ქაღალდზე; ზომა 20×30; 1—364 გვ., ჰქონია ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებულია, შენახულა მხოლოდ ბოლო ნაწილი. გვ. 5—8 ქვემოთ მოხეულია: არ იკითხება ორ-ორი სიტყვა თითო გვერდზე. პაგინაცია შესრულებულია ტექსტის ხელით, მაგრამ დაშვებულია შეცდომა: 70-ე გვერდი აღნიშნულია ორჯერ, 177-ე გვერდის წილ შეცდომით აღნიშნულია 178. შეცდომები გასწორებულია ფანქრით შემდეგ. 250-ე გვერდიდან პაგინაცია გაკეთებულია სხვა ხელით.

2. ხელნაწერი შესრულებულია სუფთა მხედრულით, იკითხება კარგად. გასამარტავი სიტყვების პირველი ასოები დაწერილია წითლით. ხელნაწერს თავში აკლია, ალბათ, ორი-სამი გვერდი, იწყება სიტყვიდან: **ა დ გ ი ლ ი**, ხოლო ლექსიკონის ჩვეულებრივი ხელნაწერები კი იწყება **ა, ან'ით** (იხ. მაგ., ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 300 ნუსხა, რომელიც A ტიპისაა).

3. ხელნაწერი თავისი აგებულებით უფრო B ტიპისაა. გადაწერილია იგი 1783 წელს თელავის სემინარიის სტუდენტის ნ ი კ ო ლ ა ო ზ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ. ამის შესახებ 363-ე გვერდზე ტექსტის ხელით ასეთი მინაწერია:

> „სჯობს განვაცხადოთ, ეს წიგნი როს დაიწერა, ან სადა,
> ქართულსა ქრონიკონსა უნსა, ონსა და ანსადა [1783],
> თელავის სემინარიის წარჩინებულსა სტილსადა,
> და ნიკოლას ვისმე ჯელითა გუჯარ ონიკაძს მისადა.

აღმწერ-მუშაკი ამისი თელავ ქალაქის სემინარიის სტუდენტი ნიკოლაოს ონიკოვი“.

ნიკოლაოს ონიკოვი, ან ონიკაშვილი, თუ ონიკაძისძე, ცნობილი მწიგნობარი, გადამწერი და მოგზაურიც ყოფილა. მას უმოგზაურია რუსეთში და ამის შესახებ დაუტოვებია ერთგვარი დღიურები, რომლებიც საქ. სსრ ცენტრარქივის საქმეებში იპოვნა და აღწერა მიხ. გოცაძემ. მასვე გადაუწერია ბევრი სხვა ძეგლიც. მაგალითად, 1782 წელს გადაუნუსხავს აღაპიტ დიაკონის „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“, რომელიც ამჟამად დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში: № H 70 (ნ. საქართველოს სახელმწ. მუზ. ქართულ ხელნაწ. აღწ., I, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1946, გვ. 56—57). აქ გადამწერი თავისთავს უწოდებს ონიკაძისძე ნიკოლაოსს. გადაუნუსხავს აგ-

რეთვე სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მეორე ცალიც (ხელნაწერთა ინსტიტუტის H 602) და სხვ. პლ. იოსელიანის ცნობით, „ნიკოლოზ, კიკოლა დიაკვნად წოდებული, ახლდა მწერლად მეფესა გიორგის. იყო მერეთ დეპუტატად რუსეთშიაც და აღწერაცა მოგზაურობა თვისი“ (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედ., თბ., 1936, გვ. 18, შნშვ.). იმავე ავტორის ცნობითვე, ნიკოლოზ ონიკოვი ყოფილა ერთი იმ თორმეტი დეპუტატთაგანი, რომლებიც მოსკოვში დაესწრნენ ალექსანდრე პირველის მანიფესტის გამოცხადებას საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ (იქვე, გვ. 240).

4. 355-ე გვერდზე მოცემულია საბას ბიოგრაფიული ცნობები, რომელიც იწყება სიტყვებით: „ამა წიგნისა მომღუაწებელსა, სულხან-საბა ორბელიანსა ლოცვთ მოიხსენიებდეთ“... მთავრდება: „ის წელიწადი იქ დაეგვიანა. ფრანციისის დესპანისას იდგა ჯელშეწყობილი“. იმავე გვერდზე ტექსტის ხელით ამას მოჰყვება: „ვინც ეს ლექსიკონი გარდაწეროს და საბას სახელი ასრევ არ დაწეროს, მის მაგივრად უფალმან ის გაიკითხოს“. ცოტა ქვემოთ: „დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართულსა ქორონიკონს ტმვ[1658], ოქტომბერს კდ[24], რომ ოთხი ნოემბერი იქნება, დღესა კჳრიაკესა, შუაღამისა ჟამსა“. ამავე ტექსტს მიჰყვება: „იესო ქრისტეს სამოცდაათორმეტნი მოწაფეთ სახელები, ვინ იყუნენ და ან სად ეპისკოპოს იქმნენ“. ჩამოთვლილია 72 სახელი (გვ. 355—358).

5. 358-ე გვერდზე ტექსტისავე ხელით იკითხება ვახტანგ VI-ის, საბასი და ლექსიკონის გადამწერის, ნიკოლოზ ონიკაშვილის, ლექსები:

„მეფის ვახტანგისა:

სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექუს წელ იკითხა, თქუა: ვერასი ვარ მმარხველი;
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი,
და ორბელიანმან საბამან სახელითა ჰქმნა სახელი.

მისივე:

რადგან დაშურა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყუა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა,
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მეელო გინდა მეცა.
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღელი კიდეც მეცა.

საბას ნათქუამი:

ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენთა დამიწუნოთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ ვპოე თქვენთასა დასარწმუნოთა,
ეს რა შევჰკრიბე, მიქებდენ მაშინ აწ დასაგმუნოთა,
და ყურდგლის გამდრეკსა ჯორჯს ძაღლსა არ სდებენ საძაბუნოთა.

ეჰ ლექსიკონი არ იყო დაცაჰკარგოდათ ქართველთა,
უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა;
ახლად შევჰკრიბე, შევაწყე, ჩემი ვიშრომე სულხანი,
საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი".

ამ ტექსტს მოყვება გადამწერის, ნიკოლაოზ ონიკაშვილის, ლექსი, მიძღვნილი საბასადმი:

„თელავ ქალაქის სემინარიის სტუდენტის
ნიკოლაოზის მიერ ონიკოვისა:

სულხან-საბა არს საქებელ, ისტორიკოს გინა ბრძენად,
ფილასოფოსთ ყოფაქცევით, სრული იყო განაბრძენად,
მან შეჰკრიბა კონა ლექსთა, ამით ჰსცანით იგი ბრძენად,
და ნურვინ ჰკადრებთ სიჯორჯესა, ნუცა ჰზრახავთ არა ბრძენად,
ოცდაათ წელი იშრომა, მან ძლივ შეაწყო ესები,
განჰკარვა ქართუსლთ სამეცნოდ ლექსთ ცნობა, გინა წესები,
ლექსთ ხუაეი ჰკრიბა არნადით, ვითა აქა ჰსჩანს ესები,
და ამით ჰგავს რომელ მას უსუამს ფიალნი სიბრძნის წესები.
ნურვინ შეჰკადრებთ გიობას, თუმც შეჰკრბეთ ბრძენნი ასები,
თქუსნი იშრომეთ ყოველთა, ვის გისუამსთ სიბრძნის თასები;
ვის გეძლოსთ ამის უმჯობეს, ჰქმენით ჩუსნ დავსდუათ ფასები.
და მჯობთა ზე მჯობი ყოელგან არს, ბრძენთაგან თქმულა ესები". (გვ. 359).

6. 359-ე გვერდზე იკითხება: „მოკელენი ქართულნი, რომელნიმე არიან და რომელთამე აღარ უწოდენ დაუვიწყებიესთ და სხუა. თურქთა ენათაგან მოუღიესთ" და აქვე ჩამოწერილია თურქული სიტყვები ქართული შესატყვისებითურთ (გვ. 359—360). ქვემოთ (გვ. 361—363) ჩამოთვლილია „განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები ქართულად და თათრულად". მსგავსი მინაწერები გვხვდება საბას ლექსიკონის სხვა ხელნაწერებზედაც (იხ. საქართველოს მეზეუმის ხელნაწ. განყოფ. H ფონდის №№ 13, 172, 202, 300, 374, 410 ხელნაწერები; შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, ილია აბულაძის რედ., თბ., 1945, გვ. გვ. 9, 121, 142, 220, 274, 308).

7. 361-ე გვერდზე იკითხება:

ა. „დასაბამიდამ ქრისტეს მოსვლამდე ქართულის რიცხჳთ გარდახდა წელიწადი ხუთიათას ასოთხმოცდაათვრამეტი: 5198;

ბ. შემდგომად რღუნისა, ვიდრე ქრისტესამდე წელნი ორი ათას ცხრაასორმოცდაათშჳდმეტნი: 2957;

გ. აბრაამის შობისა შემდგომად, ვიდრე ქრისტესამდე წელნი ორიათასათხუთმეტნი: 2015;

დ. მოსეს ეგჳპტით გამოსვლით, ვიდრე ქრისტესამდე წელნი ათასხუთასათხუთმეტნი: 1515;

ე. დავითის ცხებიდამ ქრისტესამდე წელნი ათასათორმეტნი: 1012;

ვ. ბერძენნი იტყჳან დასაბამიდამ ქრისტეს მოსვლამდე ხუთიათას ხუთას და რვა — 5508 — წელი გამოვიდაო; მაგრამ ქართული რიცხჳ უმართლესია, ამით, რომ მრავალი გამოვიძიე და ფრანგული და სომხური რიცხჳ ქართულს ემოწმებიან.

ზ. ქრისტეს აქეთ ხუთასოცდაათცამეტს წელს გამოჩნდა აკჳლა სინაპელი პონტოთ, წარმართი იყო, გაქრისტიანდა, ქრისტე უარჰყო, ჰურია შეიქმნა და ჰურიათ წერილი მან განრყუნა და ქრისტეს გამოჩინება მიფარვით დაწერაო". მსგავსი თარიღები ოდნავი ცვლილებით გვხვდება საბას ლექსიკონის სხვა ხელნაწერებშიაც (იხ. М. Г. Джанашвили, Описание рукописей церк. музея, III, № 13, Тифлис, 1908, გვ. 113—114; შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, ენიმკი-ს მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 85).

8. 361-ე გვერდზე იკითხება ასეთი ლექსი:

„მოურნე, მაგრამ განსწმედს ვერცხლისაებრ ბერთა,
მჳნედ არს მიუწეენელ მოსავთა მისთა მწედ ერთა".

9. 363-ე გვერდზე ოდნავი განსხვავებული ხელით მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე მახარობელთა ასეთი ქებაა მიწერილი:

ა. „მათე პირველ ემსგავსების სახითა კაცსა, ვინათგან მან უფრო-სად იწყო აღწერად ქრისტეს განკაცებისათვის;

ბ. მარკოზ მიემსგავსების ლომსა, ვინათგან უგანგებულესად გამოთქვა აღდგომისათვის;

გ. ლუკა მიემსგავსების ზვარაკსა, ვინათგან მან სთქვა მღვდელობისათვის ქრისტ[ესა];

დ. იოანე მიემსგავსების არწივსა, ვინათგან მან აღწერა დაფარული საიდუმლო ღვთაებისა, რომელიცა იწყებს ესრეთ: უპირველითგან იყო სიტყჳა".

10. 364-ე გვერდზე ტექსტის ხელით იკითხება:

ა. „წმინდა ნინა მოვიდა ქართლში ქრისტეს აქეთ წელსა ტიდ — სამასთოთხმეტსა;

ბ. ქართველთა და სომეხთ სარწმუნოებით გაყრა იქმნა ქრისტეს აქეთ წელსა ფ ლ თ—[ხუთას]ოცდაცხრამეტსა;

გ. ბაგრატოანთ გამეფება იქმნა ქრისტეს აქეთ წელსა ფ ო ე — ხუთას სამოცდაათხუთმეტს. ოცდამეცხრამეტე მეფე ქართლისა ბაგრატოანი იყო, რომელსაც ერქვა გურამ და იმეფა ოცდახუთი წელი;

დ. მაჰმადის გამოჩენა უკეთურისა და ბილწისა იქმნა ქრისტეს აქეთ წელსა ქ კ ბ—ექვსასოცდაორსა, რომელიცა აწ მკვიდრობს პაპის წულისა თჳსისა სატანასი".

11. გზადაგზა ლექსიკონში გვხვდება ტექსტის ხელითვე ჩამატებუ-

ლი სიტყვები, რომლებიც სხვა ხელნაწერებში არ არის და ლექსიკონს არც ბეჭდურ გამოცემაშია შეტანილი (რ. ერისთავის რედ., თბ., 1884; პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928):

ატმო, განუკვეთელი, მეტაფისიკა 6.

აჯაბი, საკვირველი (ვეფხისტყ.).

ბაბრით, გახვრეტილი ხე არის მრუდათ, სულის ჩაბერვით დაიკვრის, ვეფხისტყაოსანში 177.

გაბაონი, ქუეყანა ერთი, ვეფხისტყაოს. 346 [„მუნ იზრდებოდის ტანითა გ ა ბ ა ო ნ ს განაზარდითა“, აკად. გამოც., 331,4].

გუვედრი, გაუვედრებ.

დილაჯი, წყარო, ვეფხისტყაოს. 822 [„მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, მსგავსად დ ი ჯ ლ ი ს ა დენისად“, აკად. გამოც., 832,2; კ. ჭიჭინაძის გამოც.: „დ ი ლ ა ჯ ი ს,“ 831,2].

ზვიარი, ეზდრა 19,63 (ჩამატებულია განსხვავებული ხელით).

თვალხმიერად (განუმარტებელია).

კრიტიკოს (განუმარტებელია).

ლლად, მეორე სახელი.

მაჯანი, ცული, ვეფხისტყაოს. 269 [„ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მ ე მ ა ჯ ა ნ ს ა“, აკად. გამოც., 261,2; „იგი ხელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მ ე მ ა ჯ ა ნ ი ა“, 1603,2; თუმცა მ ე მ ა ჯ ა ნ ი საბას მაძაბუნებელად აქვს განმარტებული].

მოდრაკი, მოდა, ეზეკია 4,11.

მულმანი, მკითხავი, ვეფხისტყაოს. 347 [„სრულნი მუყრნი და მ უ ლ ი მ ნ ი მე გარეშემო მცვიდიან“, აკად. გამოც., 351,1].

მუსადია, ბიცოლა.

მუსანდარა (განუმარტებელია).

მუსაფი, თათრულად წიგნსა ჰქვია, ვეფხისტყაოს. [„შევჰხედე, ვნახე სასთუმალს მ უ ს ა ფ ი გაშლით მდებარე“, აკად. გამოც., 530,1].

პეტრატკონი, თხელი ეტრატი.

საპურე, 8,3 გამოს.

სახლე, ფეინდაზი, ქილილა-დამანაში.

სერალი (უცხ.), სამეფო სასახლე, ესე იგი სარაია.

სიდაშნე, განკრძალულობა, გინა მორჩილება.

სინოლვარრა (29. 26).

სკნირი, მუსტოფი.

სლვინი (განუმარტებელია).

სიალფე, ნატიფი, მოხდომილი, გინა ლამაზი.

ტურმა, არს ერთი რომელიმე კერძო ჯარისა, ე. ი. ოცდაათი, გინა ოცდათორმეტი კაცი. ამ სიტყვის გასწვრივ, არშიაზე განსხვავებული ხელით მიწერილია: „ალექ. მაკედ., წიგნი 2, თავ. 4“.

ფილიტაშტი, ქელის საბანი, 11,8 რიცხვ., ფილად ითქმის დიდი როდინი; ფილს უწოდებენ ცხლის კვერსა.

ღარპალონ, ეს ვითარი რაიმე არს საქცევი, რომელსაც ვითა კავსა-მოსდებენ კოშკთა, გინა კედელთა და ესთა მოზიდვით და აქცევენ; ალექსან. მაკ., წიგ. 4, თავ. 9.

შარადი, ნაქსოვია; ვეფხისტყაოს. რომელთამე მწერალთა შ ა რ დ ა დ აღუწერიათ უმეცრებით.

ჩოტკეცი, 5, 2 ბარუქ.

ჯანალი, ჯაღანა.

2. ქართული ღრამმატიკა

1. № 134. დაწერილია ქაღალდზე; ზომა 22,5×17,1—130 გვ., უყდოა. ხელნაწერს აკლია თავში, ალბათ, წინასიტყვაობა, დარჩენილა მისი მხოლოდ ნაწყვეტი. თავების, პარაგრაფებისა და ზოგიერთი სიტყვის დასაწყისში ნახმარია მრგვლოვანი ასოები. პაგინაცია შესრულებულია განსხვავებული ხელითა და მელნით. ხელნაწერის ავტორისა და მისი გადამწერის ვინაობა გაურკვეველია. ხელნაწერი ეკუთვნის არა უგვიანეს XIX საუკ. პირველი მეოთხედისა. ამ მოსაზრებას, სხვათაშორის, მხარს უჭერს ერთი ადგილიც ტექსტიდან: საილუსტრაციო მაგალითის სახით მოტანილია ასეთი ნიმუში: „ვინ ერთ მთავრობს ყოველსა როსსიასა ზედა? — ალექსანდრე პირველი“ (გვ. 22). მსგავსი მაგალითის მოტანა გრამატიკული მოვლენის საილუსტრაციოდ ავტორს შეეძლო ალექსანდრე პირველის სიცოცხლეში. ალექსანდრე პირველის მეფობა კი სწორედ XIX საუკ. პირველ მეოთხედს ეკუთვნის (1801—1825).

ხელნაწერი მუზეუმს შეუძენია ცნობილი პედაგოგის ალ. გარსევანიშვილის ოჯახიდან. ხელნაწერს აქვს ალ. გარსევანიშვილის მამის, აგრეთვე განთქმული მწიგნობრის, ალექსანდრეს ასეთი მინაწერი: „წიგნთაგან ალექსანდრე გარსევანოვისათა ჩყმე [1845] წელსა“.

2. ხელნაწერი 11 თავს შეიცავს. თავი პირველი: § 1. ღრამმატიკა არს ჰსწავლა ქელთმძღუანველი კანონიერ უბნობისა და მართლწერვისადმი; § 2. ღრამმატიკა განიყოფების სამთა ზედა უპირველესთა ნაწილთა: 1. მართლწერასა ზედა, 2. ლექსთწარმოებასა ზედა, 3. ლექსთთხზულებასა ზედა; § 3. მართლწერა არს ნაწილი პირველი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს: 1. დანაკუშთებასა ასოთასა და თჳსებათა მათთა; 2. კანონიერსა მათგან შედგმულებასა მარცუალთა და ლექსთასა; 3. წესიერ ჴმარებასა ტრიქონთ შინათა და ტრიქონთ ზენათა ნიშანთასა“ (გვ. 1).

ამას მოყვება თავი: „ასოთათჳს და განყოფილებათა მათთა“:

„§ 4. თჳთოეული ასო არს განუყოფელი ნაწილი ლექსისა“, შემდეგ მოცემულია ქართული ანბანი (გვ. 2—3); § 6. ასონი განიყოფებიან სამად: ჴმოვნებად, ორჴმოვნებად და უჴმოდ; § 7. ჴმოვანნი ასონი არიან ხუთნი: ა, ე, ი, ო და უ. ხოლო ჴმოვნებად იწოდებიან იგინი იმისათჳს, რომელ შეუწევნელად სხუათა ასოთა თჳთ თავით თჳსით აწარმოებენ ხმასა გამოთქმათა შინა; § 8. ორჴმოვანნი ასონი არიან ხუთნივე: ჱ, ჲ, ჳ, ჰ და ჶ, ორჴმოვნად უკუჱ იწოდებიან იგინი იმისათჳს, ვინაჲთგან გამოთქმასა შინა აწარმოებენ ბრჯგუდ ორთა ჴმათა, მიღებულთა ჴმოვანთა ასოთაგან“ (გვ. 3—4). ქვემოთ: „ასო ესე ჱ არა სადამე იხმარების სხუასა ადგილსა, გარდა შემდგომად უნისა, ოდეს-ცა გაბრჯგუედების იგი და მდებარებს ნაცულად ვინისა, მაგალითებრ: მცუჱლი და სხუანი“ (გვ. 4).

მოცემულია მარცვლის განსაზღვრება: „§ 10. ასონი წარმოადგენენ მარცუალთა, ხოლო მარცუალნი არიან გამოთქმასა შინა ოხრვითა წარმოებულნი ჴმანი, ანუ მარტივნი და ანუ შედგმულნი ხმოვანთა და უჴმოთა ასოთაგან, მაგალითებრ: უ-ფა-ლი, მო-ცი-ქუ-ლი, მე-ფე და სხუანი“ (გვ. 4—5).

შემდეგ ჩამოთვლილია სასვენი ნიშნები, რომელთაც ავტორი უწოდებს „ტრიქონთა შინა ნიშნებს“, § 13. ნიშანნი ტრიქონთ ნიშანი დადებულ იქმნებიან შესვენებისათჳს ჴმისა და შემეცნებისათჳს ჰაზრთასა აღმოკითხუასა შინა, რომელთაცა სახელნი და დანაკუჱთებანი არიან შემდგომნი: (,) მძიმე, (.) წერტილი, (:) ორი წერტილი, (;) წერტილი და მძიმე, (?) საკითხავი, (!) განსაკჳირველი, () ფრჩხილი, (⌣) შემკჳრელი, (-) გარდასატანი, („) სამოწმებელი“ (გვ. 6).

ქვემოთ: „§ 14. ნიშანი ტრიქონთ ზეითნი აღნიშჳნენ შეცუალებასა ჴმისასა და ანუ შემეცნებასა ასოთა და მარცვლისასა, რომელნიცა იცნობვიან შემდგომთამებრ და ნაკუჱთებათა და წოდებათა ბრჯგუ, მახვილი, კლებული[1], ქარაგმანი, განყოფილნი სამგუარად: საუფლო, საასომთაერულო, საზოგადო[1]“ (გვ. 6).

შემდეგ მოცემულია ქართული მეტყუელების ნაწილთა კლასიფიკაცია: „§ 16. ყოველნი ლექსნი, შემადგენელნი ქართულისა ენისანი განიყოფვიან რჳთა ზედა სახეთა ანუ ნაწილთა სიტყჳისათა, რომელნიცა არიან: 1. სახელი 2. ნაცუალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა, 5. თანდებული, 6. ზმნისზედა, 7. კავშირი, 8. შორისდებული“ (გვ. 7). ამას მოჰყვება მეტყუელების ცალკე ნაწილთა განსაზღვრებები.

3. სქესის შესახებ იკითხება: „§ 27. ნათესავნი სახელთანი არიან ოთხნი: 1. მამრობითი, 2. მდედრობითი, 3. საშუალო ანუ უმეშჳეობითი, 4. საზოგადო. მამრობითი სახელი არს იგი, რომელიცა აღნიშნავს

[1] იქვე ფრჩხილებში მოცემულია თითოეული ამ ნიშნის მოხაზულობა.

პირსა მამრობითისა სქესისაგან; მაგალითებრ: მამა, პაპა, ძმა და სხუანი. მდედრობითი სახელი არს იგი, რომელიცა აღნიშნავს პირსა მდედრობითისა სქესისაგანსა; მაგალითებრ: დედა, და, ბებია და სხუანი. საშუალო, გინა უმეშვეობითი სახელი არს იგი, რომელიცა აღნიშნავს ვითარსამე ნივთსა უსულოსა; მაგალითებრ: ქვა, ხე, წყალი და სხუანი. საზოგადო სახელი არს იგი, რომელიცა აღნიშნავს პირსა ორისავე სქესისაგანსა, ესე იგი, მამრსა და მდედრსაცა ერთად; მაგალითებრ: შვილი, ხბო, მართუჱ, ხროვა და სხუანი“ (გვ. 14).

ავტორი თავის ამ დებულებას ასეთი შინაარსის „სხოლიოს“ უკეთებს: „სათანადო არს ჰკსოვნად აქა, რომელ ქართულსა ენასა არა აქვს საჭიროება განჰრჩევად სახელთა ნათესავთა შინა, ვითარცა სხვათა ენათა ევროპიულთა, ვინაჲთგან ზედ-შესრულნი სახელნი ყოველთა ნათესავთანი იქმნებიან ერთითა დაბოლოებითა და არცაღა განირჩევიან სახელნი არსებითნი ნათესავთა შინა დაბოლოებისამებრ, არამედ მხოლოდ ჰაზრსა შინა მიხდომით, რომელიცა არა თვის ეყვის ღრამმატიკასა“ (გვ. 14—15).

ამის შემდეგ განხილულია მარტივი და რთული სახელები და მოცემულია ქართული ბრუნვების (წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი) დაწვრილებითი დახასიათება (გვ. 21—24), რასაც მოჰყვება მიდრეკილების განსაზღვრება: „§ 33. მიდრეკილება ანუ კანკლეტობა სახელთა არს საზომი უკანასკნელთა ასოთა შეცუალებისა თვითეულსა შინა ბრუნუასა ორთავე რიცხუთასა; § 34. კანკლეტობანი სახელთანი იქმნებიან ოთხგუარად“, და აქვეა განმარტებული თითოეული მათგანი (გვ. 24—27).

4. მესამე თავი ეძღვნება ნაცვალსახელებს (გვ. 39 — 48). მოცემულია ნაცვალსახელთა ასეთი კლასიფიკაცია: „§ 45. ნაცვალსახელნი მნიშვნელობისაებრ თვისისა განიყოფვიან ექვსად: არსებითად, ჩუჱნებითად, მოღებითად, კუღა-მოღებითად, კითხვითად და განუსაზღვრებელად ანუ კერძოობითად“ (გვ. 39). ამის შემდეგ მოდის ნაცვალსახელის თითოეული ამ სახეობის განმარტება.

5. მეოთხე თავი ეძღვნება ზმნებს (გვ. 48—117). „§ 58. ზმნა არს ნაწილი სიტყუისა, რომელიცა აღნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა და ანუ ვნებასა პირისა, ანუ ნივთისასა; მაგალითებრ: ვარ, ხარ, არს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს; ვიწერები, იწერები, იწერების და სხუანი; § 59. ზმნა განიყოფების ორად: კანონიერად და უკანონოდ. კანონიერი ზმნა არს იგი, რომელიცა არა ვითართამე დროთა და სქესთა შინა არა შეჰსცულის თვისებათა თვისთა; უკანონო ზმნა არს იგი, რომელიცა ვითართამე სქესთა და დროთა შინა შეჰსცულის თვისებათა თვისთა; § 60. ზმნანი მნიშჳნელობისებრ თვისისა, ვითარცა კანონიერნი, ეგრე-

თვე უკანონონიცა იქმნებიან: 1. არსებითნი, 2. შემოქმედებითნი, 3. ვნებითნი, 4. საშუალონი ანუ უმეშვეობითნი; § 61. არსებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აჩუმნებს ყოფასა პირისა ანუ ნივთისასა; მაგალითებრ: ღმერთი არს, სოფელი ესე მყოფობს ანუ ჰგიეს სხუანი; § 62. შემოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა პირისა ანუ ნივთისასა, სხუასა მეორესა ზედა პირსა ანუ ნივთსა და რომლისა მიერცა ცხადიქმნების მოქმედება ბრუნუათა შინა ანუ წრფელობითსა, ანუ მიცემითსა და ანუ მოთხრობითსა, ხოლო ვნება ბრუნუათა შინა ანუ მიცემითსა და ანუ შემასმენელობითსა; მაგალითებრ: მზე განატფობს პირსა ქვეყანისასა, ცოდუამან დასჯა პირუმლი კაცი, მადლსა ღუთისასა უჯსნიეს იგი სასჯელისაგან და სხუანი; § 63. ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს ვნებასა პირისა ანუ ნივთისასა, წარმოებულსა სხვისაგან მეორისა პირისა, ანუ ნივთისა და რომელიცა ცხადჰყოფს ვნებასა წრფელობითსა შინა ბრუნუასა, ხოლო მოქმედებასა დაწყებითსა შინა ანუ მოქმედებითსა; მაგალითებრ: ცოდვილი დაისჯების ღვთისაგან, სხეული მიუძლურდების განცხრომისა მიერ და სხუანი; § 64. საშუალოდ ანუ უმეშუმობითად იწოდებიან ზმნანი ორთა თვისა მიზეზთა: 1. მისთვის, რომელ ანუ ცხადჰყოფენ მხოლოდ მოქმედებასა და არა აღნიშუნენ ვნებასა სხვისა მეორისა პირისა, ანუ ნივთისასა; 2. მისთვის, რომელ ზმნათაგან შემოქმედებითთა არა შესაძლო იქნების წარმოებად პირველსა სახესა შინა ვნებითი; მაგალითებრ: მრწამს, მიყუარს, მაქუს და სხუანი; § 65. პირველისა მიზეზისა გამო უმეშუმობითად წოდებული ზმნანი განიყოფებიან ორად: ხატშემოქმედებითად და ხატვნებითად" (გვ. 48—52). §§ 66 და 67-ში მოცემულია თითოეული მათგანის განსაზღვრება. ქვევით:

„§ 68. მეორისა მიზეზისათვის უმეშუმობითად წოდებულნი ზმნანი არიან იგინი, რომელნიცა აღნიშუნენ მოქმედებასა პირისა ანუ ნივთისასა სხუასა ზედა მეორესა პირსა ანუ ნივთსა მჰსგავსად შემოქმედებითისა ზმნისა, გარნა არ შესაძლო იქმნების მათ მიერ წარმოებად ზმნაი ვნებითი; მაგალითებრ: მიყუარს კეთილი, მაქუს სასოება ღვთისა მიმართ და სხუანი; § 69. გარემოებანი, ანუ მდევარნი ზმნათანი იცნობიან შვიდ გუარად: 1. ნაკუმთი, 2. სახე, 3. რიცხჳ, 4. პირი, 5. დრო, 6. სქესი, 7. უღლვილება; § 70. ნაკუმთი ზმნისა იქმნების ორგუარად: 1. მარტივი, 2. ჰრთული" (გვ. 53). შემდეგ განსაზღვრულია მარტივი და რთული ნაკვეთები.

„§ 74. სახე ზმნისა არს სამ[ი]: პირველი სახე, სხმით გარდასულითი და მრჩობლსხმით გარდასულითი" (გვ. 55). ამას მოჰყვება ზმნის რიცხვის განსაზღვრებაც. ქვევით:

„§ 76. პირნი ზმნისანი არიან სამნი: პირველი პირი, მეორე პირი და მესამე პირი" (გვ. 57—58). ცალკე პირთა განსაზღვრების შემდეგ ავტორი იხილავს დროს:

„§ 77. დრონი ზმნისანი არიან სამნი: 1. აწმყო, 2. ნამყო, 3. მყოობადი. დრო ნამყო განიყოფება ოთხად: უსრულად, სრულად, უსრულესად და უუსრულესად. ამის გამო, დრონი ზმნათანი იქმნებიან ექვსნი: 1. აწმყო, 2. ნამყო უსრული, 3. ნამყო სრული, 4. ნამყო უსრულესი, 5. ნამყო უუსრულესი და 6. მყოობადი“ (გვ. 59).

§§ 78—83-ში განმარტებულია აქ ჩამოთვლილი დროები. ქვევით მოცემულია ზმნის სქესის განმარტება: „§ 84. ჰსქესი ზმნისა არს ოთხ[ი]: 1. საზღურებითი, 2. ბრძანებითი, 3. იპოტეტიკა, ესე იგი, უკეთუობითი, ანუ საწადი, 4. განუსაზღურებელი“ (გვ. 60—61). თითოეული მათგანის განსაზღვრების შემდეგ გადმოცემულია უღვლილების ჯგუფები:

„§ 89. უღლვილებანი ზმნისანი არიან ორნი: ზმნანი პირველისა უღლვილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა პირველსა შინა პირსა გაპიროვნდებიან ასოჲთა ამით ვ, ხოლო მეორესა შინა პირსა შემდგომითა მისითა ასოჲთა, ესე იგი, ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ ო, ანუ ჲ და მესამესა შინა პირსა ასოჲთა ამით ს; მაგალითებრ: ვაქებ, აქებ, აქებს; ვესჭრი, ესჭრი, ესჭრის; ვიქმ, იქმ, იქმს; ვუბნობ, უბნობ, უბნობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს და სხუანი; § 90. ზმნანი მეორისა უღლვილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა, მხოლოობითსა შინა რიცხჳსა, პირჳელსა შინა პირსა გაპიროვნდებიან ასოჲთა ამით: მ, მეორესა შინა პირსა ასოჲთა ამით გ, ხოლო მესამესა შინა პირსა ანუ ჲ, ანუ ო, და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებელისა გ, შემდგომითა ასოჲთა; მაგალითებრ: მრწამს, გრწამს, ჰრწამს: მიყჳარს, გიყჳარს, უყჳარს; მაქჳს, გაქჳს, აქჳს და სხუანი“ (გვ. 63—64).

ამის შემდეგ მოცემულია უღვლილების მრავალრიცხოვანი პარადიგმები (გვ. 64—104). ავტორი არჩევს აგრეთვე ე. წ. უკანონო ზმნებს: „§ 121. უკანონონი ზმნანი იქმნებიან სამგვარად: 1. ნაკლობითნი, 2. ნაკლულევანნი და 3. პირნაკლნი“ (გვ. 105). აქვე მოცემულია მათი განსაზღვრებაც და ნიმუშების უღვლილებაც.

6. მეშვიდე თავი ეთმობა მიმღეობებს (გვ. 117): „§ 127. „ვინაჲთგან მიმღეობანი წარმოებენ ზმნათაგან, ამისგამო იქმნებიან იგინი ანუ არსებითნი, ანუ შემოქმედებითნი, ანუ ვნებითნი და ანუ უმეშვეობითნი და აქჳსთ დრონი სამნი: აწმყო, ნამყო და მყოობადი“ (გვ. 117—118).

7. მერვე თავში გადმოცემულია თანდებულები (გვ. 120—121).

8. მეცხრე თავში განხილულია ზმნიზედა (გვ. 121—124). ავტორის მიხედვით „ზმნის ზედანი მნიშვნელობისამებრ თჳსისა იქმნებიან შემდეგნაირი: 1. ვითარებითნი (კარგად, ავად...), 2. რაოდენობითნი (მრავლად, მცირედ...), 3. დროებითნი (დღეს, გუშინ...), 4. ადგილობითნი

(აქა, მუნ...), 5. რიცხვთნი (ერთგზის, ორგზის....), 6. წესებითნი (პირველად, მეორედ...), 7. დამტკიცებითნი (ეგრეთ, ნამდვლ...), 8. კითხვთნი (სად, ვითარ...), 9. საიჭოელნი (ნუ უკუშ, ნუთუ...), 10. მჰსწრაფლობითნი (მყის, მეყვსეულად...), 11. ჰხშირობითნი (ჰხშირად, მრავლად...), 12. უკუთქმითნი (არა, ნუ...), 13. შემკრებელობითნი (ერთად, საზოგადოდ...), 14. განკერძოებითნი (თჳთოთჳთოდ, საკუთრად...), 15. ჩუშნებითნი (აჰა, აჰა ეგერ...), 16. საწადნი (ნეტარ, თუმცა...), 17. შემრჩობლებითნი (მრჩობლად, მერმე...), 18. უთანამდებობითნი (ცუდად, ამად...), 19. მყუდროებითნი (მყუდროდ, მდოვრედ...).

9. მეათე თავი ეძღვნება კავშირს (გვ. 125—126). ავტორის გადმოცემით, „კავშირნი მნიშვნელობისამებრ თჳსითა იქმნებიან": 1. წმასუნითნი (!) (და, ხოლო...), 2. განწუალებითნი (ანუ, გინა...), 3. უკეთუობითნი (უკეთუ, თუ...), 4. მიშუშბითნი, ანუ ნენსაჰრთჳთნი (!) (თუმცაღა, დაღათუ...), 5. მიზეზობითნი (ვინაჲთგან, რომელ...), 6. კიდურმდგომითნი (მაშა, მაშასადამე...), 7. გარ-მიმღეობითნი, ანუ დამაყუნებელობითნი (არამედ, გარნა...), 8. განმარტებითნი (ესე იგი, რომელ არს...), 9. მეტნობითნი (უკუშ, ვიდრემდე...).

10. მეთერთმეტე თავი მიძღვნილია შორისდებულებისადმი (გვ. 126—128). „შორისდებულნი მნიშვნელობისამებრ თჳსისა იქმნებიან": 1. განკვირებითნი (ოჰ! ჰა!..), 2. სალმობითნი (ვაჲ! ში!..), 3. შუშბითნი (იშ! ვახ!..), 4. კიცხევითნი (ჰა, ჰა! ჰეი, ჰეი!..), 5. შეურაცხებითნი (ფუ! ფუ-ფუ!..), 6. იდუმალობითნი (სუ! სუსუ!..), 7. რისხვითნი (აი! აი-აი!..), 8. წოდებითნი (ეი! ეი-ეი!..), 9. ღაღადებითნი (ოჰ! მ!..), 10. შეწყალებითნი (ვაჲ! გლახ!..), 11. განმხმობითნი ანუ მოწონებითნი (შაბაშ!..), 12. ნატვრითნი (ნეტარ, ვაშა!..).

დასასრულ 128-ე გვერდზე ასომთავრულით იკითხება: „დასასრული ღრამმატიკისაჲ". მხედრულით: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა. არა რაჲ მსურს ეგრეთ, ვითარცა მეცნიერებაჲ, სწავლანი განანათლებენ გულისჴმისყოფასა".

1947 წ.

ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში

1787—1791 წლებში პეტერბურგში გამოქვეყნდა „Сравнительные словари всех языков и наречий" (პირველად იგი გამოიცა 1787—1789 წწ. — ორ ტომად, მეორედ — 1790—1791 წწ. — ოთხ ტომად). ეს იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტიური ნაშრომი, რომელმაც დიდი საერთაშორისო გამოხმაურება გამოიწვია.

„Сравнительные словари"-ს პირველ გამოცემაში შესულია 200, ხოლო მეორე გამოცემაში — 272 ენის ლექსიკური მასალა.

ცნობილია, რომ ასეთი სახის ლექსიკონის შედგენის ინიციატივა ეკუთვნის ეკატერინე მეორეს, რომელიც პირადად იყო დაინტერესებული მსოფლიო ენათა შედარებითი ლექსიკონის გამოცემით. უშუალოდ ამ ლექსიკონისათვის მასალების შეკრება დაიწყო ლ. ბაკმაისტერმა (1730—1806) ჯერ კიდევ XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში. 1773 წელს ბაკმაისტერმა ამის შესახებ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს მიმართა საგანგებო წერილით ლათინურს, რუსულს, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე[1], ხოლო რუსეთის აკადემიის წევრებისათვის კი (ლეპეხინი, პალასი, გიულდენშტედტი და სხვ.), რომლებიც იმ ხანად რუსეთის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ოლქებში მოგზაურობას ეპირებოდნენ, სპეციალური დავალებები შეადგინა. შეგროვდა უაღრესად მდიდარი და საინტერესო მასალა.

შედარებითი ლექსიკონის შედგენის იდეა რუსეთში ამაზე რამდენადმე ადრეც ჩაისახა, კიდევაც შეუდგენიათ აზიის ენების მოკლე შედარებითი ლექსიკონიც[2], მაგრამ „Сравнительные словари" პირველი გახმაურებული ნაშრომია, რომელმაც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო და მას დღესაც არ დაუკარგავს ინტერესი. მართალია, მეცნიერული ღირებულება მას ცოტა ჰქონდა, რადგან იგი მაშინაც ვერ აკმაყოფილებდა ენათმეცნიერების ელემენტურ მოთხოვნებსაც კი და თანაც აღსავსე იყო მრავალგვარი ფაქტობრივი და ბეჭდური შეცდომებითაც[3], მაგრამ მისი ინტერესი გააცხოველა იმან, რომ ასე თუ

---

[1] შდრ.: Idea et desideria de colligendis linguarum speciminibus, СПб., 1773.

[2] Adelung, Catherinen der Grossen Verdienste um die vergleichende Spachenkunde, СПб., 1815, გვ. 22—23; Пекарский, История Императорской Акад. наук, I, 1870, გვ. 388—389; С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, СПб., 1904, გვ. 227.

[3] როგორც პ. ს. პალასი აღნიშნავდა, ასეთი სახის ლექსიკონის გამოცემის მიზანს წარმოადგენდა პირველყოფილი ენის არსებობის პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ ამ მიზნის დასახვა მეცნიერულად გაუმართლებელი იყო. სწორად მიუთითებდა აკად. ი. კ. გროტი: «С точки зрения нынешней науки Екатерининский словарь, конечно, не выдерживает критики. Самая цель его — служить средством для отыскания первобытного языка, была недостижима» (Я. К. Грот, Филологические занятия Екатерины Второй (сравнительные словари), «Русский архив», 4, М., 1877, გვ. 436). ლექსიკონს სხვა არსებითი ხასიათის ნაკლიც ჰქონდა: სიტყვები დაულაგებელი იყო ანბანზე, მათ თან არ ახლდა გრამატიკული დახასიათება და სხვ., რაც აძნელებდა მისით სარგებლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლექსიკონმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. დაიბეჭდა მრავალი რეცენზია. იაკობ გრიმმა, მაგალითად, განაცხადა, რომ, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ამ ლექსიკონმა ხელი შეუწყო შედარებითი ენათმეცნიერების წარმატებებს გაცხოველებასო (Я. К. Грот, იქვე, გვ. 433).

ისე, ის პირველი ფართოდ მოფიქრებული 272 ენის შედარებითი ლექსიკონი იყო მთელ მსოფლიოში. ამ გარემოებამ იმთავითვე განსაზღვრა ნაშრომის ფასი და ადგილი ენათმეცნიერების ისტორიაში. ლექსიკონში სულ 288 სიტყვაა შეტანილი (მათ შორის 12 რიცხვითი სახელი) წინასწარ შედგენილი სიის თანახმად. სალექსიკონო მასალა, ჩანს, წლების განმავლობაში გროვდებოდა და მუშავდებოდა. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საუკეთესო ძალები იმ ხანად, ხოლო შეგროვებული მასალის საბოლოო რედაქცია შეუსრულებია პ. ს. პალასს (1741—1811), რომლის წინასიტყვაობითაც გამოცემულია ლექსიკონის პირველი ტომი[1].

ლექსიკონში შეტანილ ქართულ და ქართველურ ენათა (მეგრული, სვანური) მასალებს უჭირავს № 108 (ტექსტით: картлинский, ე. ი. ქართული), № 109 (ტექსტით: имеретинский, ე. ი. მეგრული) და № 110 (ტექსტით: суанетский, ე. ი. სვანური) ადგილი. აქ სულ გამოქვეყნებულია ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის 285 სიტყვა, მეგრულის — 107 და სვანურის 109 სიტყვა, რომელთა შორის თორმეტ-თორმეტი რიცხვითი სახელია. ამ ლექსიკურ მასალას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიის გასათვალისწინებლად. განსაკუთრებით ფასეულია მეგრულისა და სვანურის ლექსიკური მასალა, რომელიც ამ ენათა შესახებ პირველ ბეჭდურ ცნობებს გვაწვდის რუსულ ენაზე.

გამოქვეყნებული მასალა ასახავს ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემდეგ ჯგუფებს:

1. **ადამიანისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები:** კაცი, ქალი, ერი, მამა, დედა, შვილი, ძმა, და, ქმარი, ცოლი, ბიჭი, ყრმა, ყმაწვილი...

2. **ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების, მძრომთა სახელწოდებანი:** ჯარი, ძროხა, ფური, ერკემალი, ცხვარი, ჰუნე, ღორი, ძაღლი, კატა, თაგვი, ნადირი, მხეცი, მფრინველი, მამალი, დედალი; ქათამი, ბატი, იხვი, ტრედი, ვეშაპი, თევზი, ჭია, მატლი, ბუზი...

3. **ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის ნაწილთა სახელწოდებანი:**

---

[1] ამის გამო ზოგ მკვლევარს შედარებითი ლექსიკონი პ. ს. პალასის ნაშრომად მიუჩნევია. შდრ., მაგალითად: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, СПб., 1914, ლიტერატურის სია, გვ. XXX; Е. А. Бокарев, Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков («Вопросы языкознания», № 3, 1954, გვ. 41). უადგილო არ იქნება აღინიშნოს, რომ პ. ს. პალასს ამ ლექსიკონის გამოცემის ხელმძღვანელობა დაევალა თავისი გახმაურებული სახელის გამო და არა იმიტომ, რომ იგი იმ დროს გამოჩენილი ლექსიკოგრაფოსი იყო. ამ ფაქტს, სხვათა შორის, გახაზავდა თვით პ. ს. პალასიც. ი. ადელუნგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი პირდაპირ ამბობდა, რომ ეს საქმე მე არ უნდა დამეკალებოდაო (Adelung, იქვე, გვ. 47).

თავი, სახე, ცხვირი, პირი, ნესტო, თვალი, ყური, შუბლი, ლოყა, ყელი, ენა, მხარი, იდაყვი, კელი, წყრთა, თითი, ფრჩხილი, მუცელი, ზურგი, თმა, წვერი, წარბი...

4. **მცენარეთა სახელწოდებანი:** ხე, ტყე, თივა, შვრია, ჰვავი, სვილა, ყურძენი, მუხა...

5. **მცენარეთა ნაწილებისა და ნაყოფის სახელწოდებანი:** ფოთოლი, ქერქი, ფესვი, ძირი, რტო, ხილი, ნაყოფი, მარცვალი...

6. **ნივთიერებათა სახელები:** რძე, სისხლი, წყალი, ქვიშა, ოქრო, ვერცხლი, მარილი, ღვინო...

7. **იარაღთა სახელწოდებანი:** ოქოქა, აჩაჩა, გუთანი, ფარცხი, ცული, ურემი, საპალნე, ჯაჭვი, უღელი...

8. **სადგომი ბინებისა და მათი ნაწილების სახელწოდებანი:** სახლი, კარი, სასახლე, ქალაქი, იატაკი...

9. **ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელი სახელები:** ქარი, ნიავი, წვიმა, სეტყვა, თოვლი, ყინული...

10. **დროის აღმნიშვნელი სიტყვები:** დღე, ღამე, დილა, საღამო, მწუხრი, ზაფხული, გაზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, წელიწადი, დრო, ჟამი...

11. **საკვების სახელწოდებანი:** პური, საშმელი...

12. **საზოგადო სახელები:** ღმერთი, ცა, ხმა, სახელი, ჩხუბი, ყაყანი, ძილი, სიზმარი, ძალა, ღონე, ტანი, სული, ზღვა, მდინარე, თიხა, ტალახი, მტვერი, მთა, სერი, ნაპირი, პლატო, ბორცვი...

13. **აბსტრაქტული სახელები:** ძეობა, ტკივილი, სალმობა, სიკვდილი, სიმრავლე, სიყვარული...

14. **მოქმედების სახელები:** გაგონება, ხედვა, ყნოსვა, აღზრდა, აღება, ჭრა, დათესვა, ხვნა...

15. **ზმნები:** არს, მომეც, წამოდი, წადი...

16. **თვისების აღმნიშვნელი სახელები:** ნათელი, ახალი, მოხუცებული, ბერი, მთელი, მაღალი, დაბალი, პატარა, მცირე, თეთრი, შავი, მწვანე, დიდი, ნედლი, მსუბუქი, კეთილი, კარგი, მშვენიერი, ბოროტი, ფინთი, ავი, ძვირი, მსხვილი, მხედველი...

17. **ზმნიზედანი:** ჩქარა, ნელა, აქა, იქა, ქვეშ, ზევით, ახლა, აწ, ოდეს, უწინ...

18. **ნაცვალსახელები:** მე, შენ, ისი, იგი, ჩუენ, თქუენ, ისინი, იმათ, რა, რით, ვისგან...

19. **რიცხვითი სახელები:** ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექუსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი, ათასი...

მასალა, როგორც ჩანს, მრავალმხრითაა საყურადღებო. ამით ვეცნობით ქართულის, და აგრეთვე მეგრულისა და სვანურის, ძირითადი ლექსიკური ფონდის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს. სიტყვარის ძირი-

თადი ნაწილი სწორადაა დაბეჭდილი, მაგრამ ამასთან ბევრი სიტყვის რუსული ტრანსკრიფცია სერიოზულ შეცდომებს შეიცავს. შეცდომები ამ ენათა უცოდინარობით იყო გამოწვეული. ლექსიკონის რედაქციას არ ჰყოლია სათანადო სპეციალისტი, რომელსაც შეეძლებოდ თვალყური მიედევნებინა მრავალრიცხოვანი უცნობი ენების ლექსიკური მასალის რუსული ტრანსკრიფციისათვის. მასალა ლექსიკონში წარმოდგენილია დაულაგებლად, ანბანზე გაუწყობლად. ნაშრომი გაცილებით ბევრს მოიგებდა, მასში წარმოდგენილი ლექსიკური მასალა ანბანზე რომ დალაგებულიყო. მაგრამ ახლა ჩვენ გვაინტერესებს არა მხოლოდ ამ მასალების ტრანსკრიფციასა და დალაგებაში დაშვებული უხერხულობანი, არამედ მისი წყაროები.

საიდან და ვისი მეშვეობით მოხდა ქართულ-მეგრულ-სვანური ენების ლექსიკური მასალა შედარებითს ლექსიკონში? ვინ მიაწოდა ლექსიკონის რედაქციას ეს მასალა?

პირველ პასუხს ამ კითხვაზე გვაწვდის ლექსიკონის ერთ-ერთი რედაქტორ-გამომცემელი პ. ს. პ ა ლ ა ს ი. ლექსიკონის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: «Кавказские языки (от 108 до 119)[1] все взяты из непечатных словарей и составляют одну из важнейших частей сего собрания»[2].

თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ქართულ-მეგრულ-სვანურის მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში შეუტანიათ ხელნაწერი სიტყვარების მიხედვით. მაგრამ ამ ცნობის სარწმუნოდ მიჩნევა შეუძლებელია. ჯერ ერთი, ვისი მეშვეობით უნდა გასცნობოდა პ. ს. პ ა ლ ა ს ი ამ „ხელნაწერ სიტყვარებს"? მან ქართველური და სხვა კავკასიური ენები არ იცოდა, ხოლო ლექსიკონის რედაქციაში ამ ენათა პრაქტიკულად მცოდნე პირები არ შედიოდნენ; მეორე მხრივ, მართალია, იმ ხანად მოიპოვებოდა ქართული ლექსიკონის ხელნაწერი რედაქციები ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „სიტყვის კონის" სახით, მაგრამ აქედან მხოლოდ ქართული მასალების ამოკრეფა შეიძლებოდა. რაც შეეხება მეგრულსა და სვანურს, მათი სიტყვარები ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენათა სიტყვარები, არა თუ მაშინ, უფრო გვიანაც არ მოიპოვებოდა. არარსებულ სიტყვარებს, ცხადია, ვერ გამოიყენებდნენ. 1784 წელს, როდესაც დაიწყო შედარებითი ლექსიკონის მასალის საბოლოო გაფორმება, კავკასიის უმწერლობო ენათა ხელნაწერი სიტყვარები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პ ა ლ ა ს ი ს განცხადება მთლად სწორი არ არის, იგი ყოველ შემთხვევაში მეგრულ-სვანურსა და ჩრდ.-კავკასიის რიგ უმწერლობო ენას არ ეხება.

---

[1] აქ ივარაუდება ქართული (№ 108), მეგრული (№ 109) და სვანური (№ 110) ლექსიკური მასალებიც.

[2] Сравнительные словари всех языков и наречий, I, СПб., 1787, გვ. 6.

საეჭვოა ისიც, თითქოს ქართული ლექსიკური მასალა სათანადო ხელნაწერი სიტყვარებიდანაა უშუალოდ ამოკრეფილი შედარებითი ლექსიკონის რედაქციის მიერ. ამ მასალების არსებული ხელნაწერი სიტყვარებიდან ამოღება, ისევე როგორც მეგრული და სვანური მასალების შეგროვება, უნდა ეკისრა ერთ პირს, რომელსაც. სავარაუდოა. დავალებული ჰქონდა მასალის შეკრება უშუალოდ ადგილზე, საქართველოში.

ქართულ-მეგრულ-სვანურის ლექსიკური მასალა ადგილზე, 1771—1775 წლების შუალედში, მართლაც, შეუკრებია რუს მეცნიერს აკად. ი. გიულდენშტედტს (1745—1781) და, ს. კ. ბულიჩის ცნობით, იგი მას 1775 წლის 18 სექტემბერს ბაკმაისტერისათვის გადაუცია[1].

აკად. ი. გიულდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა 1771—1775 წლების შუალედში და ადგილზე შეკრიბა არა მარტო სალექსიკონო მასალა, რაც განსაზღვრული გეგმითა და მიზნით გროვდებოდა, არამედ საქართველოს, მისი მაშინდელი პროვინციებისა და ჩრდილოეთით მეზობელ ხალხთა პოლიტიკურ-გეოგრაფიულისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცხოვრების ამსახველი ცნობებიც. მთელი ეს ძვირფასი მასალა შემდეგ, როგორც ცნობილია, შევიდა პ. ს. პალასის მიერ 1791 წელს გამოცემულ წიგნში[2]. ხოლო საკუთრივ ი. გიულდენშტედტის „აღწერილობანი". მთლიანი სახით, 1834 წელს ცალკეც გამოიცა ბერლინში ი. კლაპროთის რედაქციით[3]. ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკური მასალა აქ ოდნავ შემოკლებითაა გამოცემული: ყველა სიტყვა. რომელიც „შედარებითს ლექსიკონში" იყო შეტანილი, გამოქვეყნებულ აღწერილობაში აღარ გვხვდება, ამასთან აქ დამოწმებულია ზოგი ისეთი სიტყვაც, რომელიც „შედარებითს ლექსიკონში" არ ყოფილა შეტანილი. ბერლინში გამოცემულ მასალებს ის მნიშვნელობა აქვთ. რომ მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავაზუსტოთ ქართულ-მეგრულ-სვანურ სიტყვათა რუსული ტრანსკრიფცია. რაც მრავალ შეცდომას შეიცავს. ბევრი სიტყვა უფრო მართებულად გადმოცემულია გერმანული ტრანსკრიფციით ბერლინის გამოცემაში, ვიდრე რუსული ტრანსკრიფციით გვაქვს მოცემული შედარებითს ლექსიკონში. განსაკუთრებით არეულია სვანური

---

[1] С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, I, СПб., 1904, გვ. 478 — 479.

[2] Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebirge, СПб., 1791, I, გვ. 496—504; II, გვ. 343—344.

[3] J. A. Güldenstädts, Beschreibung der Kaukasischen Länder. Aus seinen Papieren gänzlich umgearbeitet, verbessert herausgegeben und mit erklärenden Anmerkungen begleitet von Julius Klaproth, Berlin, 1834.

სიტყვები, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ აკად. ი. გიულდენშტედტის მიერ შეკრებილი მასალა ჯერ გადაუწერიათ და შემდეგ ახლებურად დაულაგებიათ; ამ გადაწერა-რედაქციის პროცესში კი შეცდომები მოსვლიათ.

მაგალითად: ქართ. თმა, მეგრ. თომა სვანურად არის უერე[1]. ამ უკანასკნელის მაგივრად შედარებითს ლექსიკონში გვხვდება პატუ. ეს აშკარა შეცდომაა. პატუ ქალს ნიშნავს და არა თმას. თმის გასწვრივ პატუ იმიტომ გაჩნდა, რომ ის წინა სვეტში ეწერა[2] და გადაწერის დროს სიტყვები ერთმანეთში არევიათ. ამის გამო ასევე არეულია სვ. სახელწოდება წვერისა. უნდა ყოფილიყო ნიკბა[3], არის კი — ცერე და ა. შ.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ი. გიულდენშტედტმა ქართულ-მეგრულ-სვანური ისევე, როგორც სხვა მრავალი კავკასიური ენა, რომლის მასალა მოყვანილია მის აღწერილობაში, პრაქტიკულად არ იცოდა და იგი პოლიგლოტობას არც ჩემულობდა. მას მხოლოდ სათანადო მასალის შეკრება აინტერესებდა, რადგან არც მაშინ და არც შემდეგ მას ამ მასალის ენათმეცნიერული ანალიზი არ უცდია. პირადად თვითონაც ბუნებისმეტყველი იყო და არა ენათმეცნიერი. მიუხედავად ამისა, მისი მასალა უძვირფასესი მნიშვნელობისაა ჩვენთვის. ამ ლექსიკურ მასალას აკად. ი. ჯავახიშვილმა კავკასიის უმწერლობო ენების შესწავლის პირველი ნაბიჯი უწოდა[4]. ქართველურ ენებთან ერთად, ი. გიულდენშტედტს აქ 22 კიდევ სხვა ენობრივი ერთეულის (მათ შორის 16 კავკასიურის!) ლექსიკური მასალა აქვს გადმოცემული ერთი სისტემითა და წესით. მთელი ეს მასალა, როგორც აღინიშნა, სპეციალური დანიშნულებითა და გეგმით იყო შეკრებილი: უნდა შეეტანათ (შეიტანეს კიდეც!) მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში. ამიტომ მისთვის ავტორს უწოდებია: „კავკასიის ენათა სიტყვის კონა შესადარებლად“ („Wörtersammlung zur Vergleichung der im Kaukasus gengbaren Sprachen“)[5]. „სიტყვის კონა“ შეიცავს ამ ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილის შედარებითს გადმოცემას. ეს შედარება, მართალია, პრიმიტიული ხასიათისაა, მაგრამ ამით ჩრდილი არ ეფინება მასალის ღირსებას. ამიტომ ბუნებრივია, თუ ი. გიულდენშტედტის მასალების მნიშვნელობას ქართველური და, საერთოდ, კავკასიური ენე-

---

[1] J. A. Güldenstädts, Beshreibung, გვ. 191.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 13.

[5] J. A. Güldenstädts, Op. cit., გვ. 189.

ბის ისტორიის გასათვალისწინებლად ასე მაღალ შეფასებას აძლევს აკად. ი. ჯავახიშვილი[1].

ვინაიდან მოგზაურმა ქართველური ენები არ იცოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ჰყავდა კარგი ინფორმატორი, რომელიც ეხმარებოდა მასალის მართებულ ფიქსაცია-თარგმანში. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი პიროვნება?

ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს საქართველოში მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეობდა. შედარებითი ლექსიკონის რედაქციას შეეძლო სპეციალური დავალებით არც გამოეგზავნა ვინმე საქართველოში, რადგან ქართული ემიგრაცია და თანაც ერეკლე მეორის წარმომადგენლობა იმ დროს ისე მრავალრიცხოვანი იყო პეტერბურგში, რომ შეეძლოთ მათ დამყარებოდნენ. ლექსიკონის რედაქცია ასეც მოქცეულა, მაგრამ ამასთან ერთად განუზრახავს საჭირო ცნობების ადგილზე შეკრება სპეციალური დავალებებით აღჭურვილი პირის ხელით. ასეთი პირი აკად. ი. გიულდენშტედტი იყო.

ი. გიულდენშტედტისათვის, როგორც ირკვევა, ამ მხრით დახმარება აღმოუჩენია წარმოშობით ქართველ თავადიშვილს ნ. ი. ახვერდოვს (1755—1817), რომელიც 1802 წლიდან დიდი მთავრების ნიკოლოზ და მიხეილ პავლეს ძეთა აღმზრდელი და მასწავლებელი იყო, ხოლო 1807 წლიდან გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება ჰქონდა[2].

ი. ადელუნგის (1732—1806) პირად არქივში (დაცულია მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში) ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ გავარკვიოთ იმ პირის ვინაობა, ვინც დახმარებას უწევდა ი. გიულდენშტედტს, აგრეთვე, თვით ი. ადელუნგსაც ქართულ-მეგრულ-სვანური მასალების შეკრება-დამუშავებაში. ი. ადელუნგის დოკუმენტებში ინახება მოზრდილი საქაღალდე, რომელსაც აწერია: „Über die Sprachen des Kaukasus von dem Hrn. general von Achwerdoff“ და იქვე მითითებულია თბილისი. საქაღალდეს შემდეგ მოჰყვება განსხვავებული ხელით რუსულ ენაზე ნაწერი ასეთი, სრულიად მცდარი, მსჯელობა ქართული ენის შესახებ: «Точно[3] грузинский язык имеет пять главных диалектов, то есть:

---

[1] იხ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. 13—25.

[2] ნ. ი. ახვერდოვი თავისდროისათვის ფართო განათლების ადამიანი ყოფილა. 1806 წელს მას, სხვათაშორის, შეუდგენია სანსკრიტულ-რუსული ლექსიკონი და ის გადაუცია ი. ადელუნგისათვის, რომელიც იმ ხანებში „მითრიდატის“ შედგენაზე მუშაობდა. ი. ადელუნგს კი ეს მასალა გამოუყენებია თავის ნაშრომში (С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, გვ. 626—632). ასე რომ, ავტორს ლექსიკოლოგიაში მუშაობის საკმარისად დიდი გამოცდილება ჰქონია.

[3] ორთოგრაფია ხელუხლებელია.

1-й) Господствующий, называемой по-грузински к а р т у л и, коим говорят Карталинское и Кахетинское царствы; 2-й) Имеретинской, мало отличающийся от первого в наименованиях вещей, но не сходной с оным в произношении, коим говорят и в княжестве Г у р ь е л с малою отменою; 3-й) Мингрельской или Одишской, едва сходство имеющий с грузинским, но не известен я с каким языком оной смешан, а полагаю, что с древним греческим, по тому, что греки всегда имели большее сообщение с его частию Георгии; 4-й) Сванетской составлен из грузинского и абхазского или черкезского языков; 5-й) Тушинской от смешения грузинского и кистинского языков. Впрочем во всей Грузии на плоскости живущие грузины имеют почти один язык, но живущие в горах по ущельям, т. е. по течению речек, всякое ущелье мало или много разнествуют одно от другого как в произношении, так часто и в наименованиях вещей, но не так много, чтобы, знав грузинский, нельзя было говорить без нужды со всяким из оных. М и н г р е л ь с к о й, С в а н е т с к о й и Т у ш и н с к о й почти совсем нельзя понимать, так как и говорящие сии языки имеют совсем другой образ жизни»[1]...

ამას მოჰყვება ასეთივე მცდარი დახასიათება სხვა კავკასიური ენებისა. სულ ეს მასალა 4 ფურცელს შეიცავს და თან ერთვის მისი გერმანული თარგმანიც.

შემდეგ ცალკე ფურცელზე მოცემულია მეგრული რიცხვითი სახელები რუსული და ლათინური ტრანსკრიფციით, რასაც მოსდევს იმ მეგრულ სიტყვათა სია, რომლებიც შედარებითს ლექსიკონშია შეტანილი (Горонти და სხვ.). სიტყვარს წინ უძღვის ცნობები მეგრული წარმოთქმის შესახებ რუსულსა და გერმანულ ენებზე. მთელი ეს მასალა შეიცავს 6 ფურცელს და, როგორც მინაწერიდან ჩანს, 1775 წლის 18 სექტემბერსაა შედგენილი[2].

ამ ფურცლებს მისდევს იმავე ხელითა და წესით შედგენილი ქართული მასალები, რასაც 9 ფურცელი უჭირავს. ქართულ მასალებსაც წინ უძღვის ცნობები ტრანსკრიფციისა და ქართული წარმოთქმის შესახებ. ს ი ტ ყ ვ ა რ ი რიცხვითი სახელებით იწყება. ჩამოთვლილია თორმეტივე რიცხვითი სახელი, რომლებიც შედარებითს ლექსიკონშია შეტანილი. ჯერ დაწერილია რუსული სიტყვა, მას ქვეშ მიწერილი აქვს ქართული შესატყვისი და ბოლოს იგივე სიტყვა მოცემულია რუსული და ლათინური ტრანსკრიფციით. სანიმუშოდ ორიოდე მაგალითი.

Один	Два	Три	Четыре	Пять
ერთი	ორი	სამი	ოთხი	ხუთი
ერ̃თი	ორი	სამი	ოთ̃ხი	ხუ̃თი
erthi	ori	ssami	othchi	chuthi

[1] Бумаги А д е л у н г а, Kaukasische. Sprache, Архив Аделунга, 1, 10.

[2] Бумаги А д е л у н г а, 1, 10, ф. 123—128.

რიცხვით სახელებს მიჰყვება იმ ქართულ სიტყვათა თარგმანი, რომლებიც „შედარებითს ლექსიკონშია“ წარმოდგენილი. მასალა ჯერ ფრაზებისა და სიტყვების სახითაა მოცემული, შემდეგ კი ცალკე ფურცლებზე შედგენილია სიტყვარი. ჯერ დაწერილია რუსული ფრაზა ან სიტყვა და მას გვერდზე ან ქვევით მიწერილი აქვს ქართული შესატყვისი რუსული ტრანსკრიფციით.

ა. ფ რ ა ზ ე ბ ი:

Бог есть безсмертен
ღმერთი არს უკვდავი
Гмерти арс уквдави
Hmerthi arss uqudavi
Человек есть
კაცი არს
Кацი арс
gazi arss[1]...

2. ს ი ტ ყ ვ ა რ ი:

Бог — хмерти
Небо — ца
Человек — кацი
Земля — мица
Солнце — мзе
Луна — тваре[2]...

ქართულ მასალას ისევე, როგორც მეგრულს, მიწერილი აქვს გერმანულ ენაზე, რომ შეკრიბა ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ მ ა 1775 წლის 18 სექტემბერსო[3]. ეს თარიღი კი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი: ამ დღეს ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს თავისი „კავკასიური“ მასალები გადაუცია ბ ა კ მ ა ი ს ტ ე რ ი ს ა თ ვ ი ს[4].

იბადება ბუნებრივი კითხვა: ეს დოკუმენტები საიდან უნდა მოხვედრილიყო ი. ა დ ე ლ უ ნ გ ი ს პირად ქაღალდებში?

ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხის გაცემა შეიძლება: მხოლოდ და მხოლოდ ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს არქივიდან.

ჩანს, შედარებითი ლექსიკონისათვის ადგილზე შეკრებილი ქართული მასალები და ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ, რომლებიც ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს პირად არქივში ინახებოდა, მოგზაურის სიკვდილის შემდეგ, თავისი „მ ი თ რ ი დ ა ტ ი ს ა თ ვ ი ს“ საჭირო

[1] Бумаги А д е л у н г а, I, 10, ფ. 131.
[2] იქვე, ფ. 137.
[3] იქვე, ფ. 128, ფ. 137.
[4] С. К. Б у л и ч, Очерк истории языкознания в России, СПб., 1904, გვ. 478—479.

ცნობების ამოსაღებად, აქედან წაუღია ი. ადელუნგს და საბოლოოდ დარჩენილა ამ უკანასკნელის ქაღალდებში.

ი. ადელუნგის ამ ქაღალდებში ინახება აგრეთვე ლამაზი მხედრულით გადაწერილი „მამაო ჩვენოს“ ქართული ტექსტი რუსული ტრანსკრიფციითურთ. ირკვევა, ი. ადელუნგს „მამაო ჩვენოს“ ქართული ტექსტი სჭირდებოდა იმავე „მითრიდატისათვის“, რომელშიაც სწორედ ეს ტექსტია გაანალიზებული ხუთ ასეულ ენასა და დიალექტზე[1] და მოცემულია მოკლე ცნობები ქართული ენის შესახებაც[2].

შედარებითი ლექსიკონის რედაქციას ქართული ლექსიკური მასალის შეკრება, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, დაუვალებია პეტერბურგში იმ ხანად მცხოვრებ ქართველთათვისაც. მასალა წარმოუდგენია რამდენიმე პირს. პ. ს. პალასის პირად დოკუმენტებში, რომლებიც ამჟამად დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში (ლენინგრადშია)[3], ინახება ამ მასალების პირველი შავები, რის გაცნობა შესაძლებლობას გვაძლევს ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ მათი ავტორების ვინაობის შესახებ. ლექსიკური მასალა (286 სიტყვა, მათ შორის 10 რიცხვითი სახელი) რამდენიმე ვარიანტად ყოფილა შედგენილი.

ერთი ვარიანტი ინახება ხსენებული არქივის 94-ე ფონდის № 42-ე საქმეში. აქ გვაქვს 286 რუსული სიტყვის სია ხუთ ფურცელზე და მისი ქართული თარგმანი (ქართული და რუსული ტრანსკრიფციით). თავფურცელს სათაურად აწერია: „Перевод грузинских слов“. ლექსიკურ მასალას წინ უძღვის ღ, ყ, წ, ძ, ჭ ბგერათა წარმოთქმის მოკლე განმარტება. ავტორის ვინაობა უცნობია.

მეორე ვარიანტი ინახება ამ ფონდის № 43-ე საქმეში. აქ დაცულია იმავე რუსულ სიტყვათა სია ქართული თარგმანითურთ, რომელიც შეუსრულებია ა. ე. მოურავოვს. თავფურცელზე არის ასეთი სათაური: „Собрания российских слов с грузинским переводом г. канцелярии советника князя Мауравова“. დედანი სულ 10 გვერდს შეიცავს და დაყოფილია გრაფებად. პირველ გრაფაში ჩამოწერილია რუსული სიტყვები, ნომრების მიხედვით (Бог და სხვ.), მეორე გრაფაში მოცემულია მათი ქართული შესატყვისები ქართული ტრანსკრიფციით, ხოლო მესამე გრაფაში ჩაწერილია ქართული სიტყვები რუსული ტრანსკრიფციით.

მასალების შეკრების დრო გაურკვეველია: ხელნაწერი უთარიღოა

---

[1] Mithridates oder allgemeine Sprachenkunde mit dem „Vater Unser“ als Sprachprobe in beynahe fünfhundert Sprachen und Mundarten, Berlin, 1806—1817.

[2] ამ ცნობების შეფასება ნ. А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, გვ. 55—56.

[3] Архив АН СССР, фонд 94, № 42, 43, 44, 45, 46.

და ქაღალდსაც ჭვირნიშანი არა აქვს. ჩვენი აზრით, ის შედგენილი უნდა იყოს 1780—1786 წლების პერიოდში, რასაც, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ თავადი ანტონ ერმალოზისძე მოურავოვი (და არა მაურავოვი!) მართლაც იხსენიება კანცელარიის მთარგმნელად 1785, 1786, 1787 წლებში. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ა. ე. მოურავოვს შეუსრულებია მხოლოდ ტექნიკური სამუშაო: რუსული სიტყვარი უთარგმნია ქართულად. სამწუხაროდ, სხვა საბუთი ავტორის ლექსიკოგრაფიული მუშაობის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

მესამე ვარიანტი ინახება იმავე ფონდის № 44-ე და № 45-ე საქმეებში. აქ დაცულია სია იმავე 286 რუსული სიტყვისა, რომელსაც ცალკე გრაფაში მიწერილი აქვს ქართული შესატყვისები რუსული ტრანსკრიფციით (Бог — гмерти; Отец — мама; Мать — деда; Дитя — гмацвили; Я — ме; Да — егре; Хлад — сициве; Имя — сахели; Круг — мгургали; Зверь — мхеци...). სიტყვარი გადაწერილია ორ ცალად ერთი ხელით. ავტორი უცნობია.

მეოთხე ვარიანტი ინახება იქვე, № 46-ე საქმეში. ეს არასრულია. ხუთ მოგრძო ფურცელზე მოცემულია რუსული სიტყვები (Бог, отец, мать...) და გაკეთებული აქვს გრაფები: „ფრანგული", „ქართული", „მეგრული" და „სვანური". თარგმნილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა.

ყველა ამ მასალიდან გამოირჩევა ა. ე. მოურავოვის (№ 43) და უცნობი პირის (№ 42) ჩანაწერები. ორივე სიტყვარი სხვადასხვაა, რუსული სიტყვების ქართული შესატყვისები განსხვავებულია. შედარებისათვის აქვე მოგვაქვს რამდენიმე სიტყვა იმ ნომრებით, რომლებიც მათ დედანში აქვთ (აქვეა შედარებითს ლექსიკონში დაბეჭდილი რედაქციაც თავისივე ნომრებით).

№ 43 (ა. მოურავოვისა):	№ 42 (უცნობი ავტორისა):	დაბეჭდილია ლექსიკონში:
4. Дитя—ჩვილი, ყრმა	ყმაწვილი	ყმაწვილი, ჩვილი, ყრმა
13. Кол—მარგილი	პალო	პალო, მარგილი
16. Работа—მუშაკობა	მუშაკობა	მუშაკობა, მუშაობა
21. Боль—სალმობა, ტკივილი	ტკივილი	ტკივილი, სალმობა
22. Лень—დაზარება	ზანტობა	ზანტობა, დაზარება
30. Здрав—მრთელი	სიმთელე	სიმთელე, მრთელი
32. Дурно—არაკეთილი	ავი	ავი, არაკეთილი
53. Луч—სხივი, შარავანდედი	სხივი	შუქი, სხივი, შარავანდედი
146. Соха—მკლავი	გუთანი	ოქრა, აჩაჩა, გუთანი
155. Рост—ტანი, აღზრდა	ტანის ზდილობა	ტანის სიგრძე, ტანი, აღზრდა, გაზრდა
180. Волны—ღელვანი	ღელვა	ღელვა, ღელვანი
211. Люди—ერი, ხალხი	ერნი	ხალხი, ერნი, კაცნი
243. Рад—მოხარულობა	გახარება	გახარება, სიხარული მოხარულობა
253. Беда—განსაცდელი	ვაი	განსაცდელი, ფათერაკი

ლექსიკონის რედაქციას უსარგებლია ორივე ავტორის მასალით. გამოყენებულია სხვა ავტორთა ჩანაწერებიც. ირკვევა, ლექსიკონის სარედაქციო კომისიას ქართული ლექსიკური მასალა მიუღია როგორც საკუთრივ ი. გიულდენშტედტისა და მისი თანამშრომლებისაგან, ისე პეტერბურგში იმ ხანად მცხოვრებ ქართველი მოღვაწეებისაგან. ასე ჩანს მიღებული სხვა კავკასიური ენების ლექსიკური მასალაც.

დასკვნები თავისთავად ნათელია. საარქივო და ბეჭდური წყაროებით დასტურდება, რომ ქართული (და ქართველურ ენათა) მასალები „მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში“ შეტანილია აკად. ი. გიულდენშტედტის, გენ. ი. ახვერდოვის, ა. ე. მოურავოვისა და სხვათა ჩანაწერების მიხედვით. პირადად ნ. ი. ახვერდოვს, ი. გულდენშტედტთან ერთად, ქართული და ქართველური ენების შესახებ ძვირფასი ცნობები მიუწოდებია ი. ადელუნგისათვის, რომელიც იმ ხანად მასალებს აგროვებდა მსოფლიო ენათა შედარებითი მიმოხილვისათვის. „მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში“ გამოქვეყნებულ ქართულ-მეგრულ-სვანურ მასალას, როგორც პირველ ბეჭდურ წყაროს რუსულ ენაზე ქართული და ქართველური ენების შესახებ, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ენათა მეცნიერული შესწავლის ინტერესის გაღვივებისათვის რუსეთსა და მთელ მსოფლიოში.

1955 წ.

ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში

1954 წლის გაზაფხულზე ჩვენ დავესწარით ქართული ენის გაკვეთილს სტალინირის ერთ-ერთი საშუალო სკოლის VIII კლასში. მოსწავლემ დაფაზე დაწერა წინადადება: „დარეჯანი მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდა შინ“ და გაარჩია ასე: შემობრუნდა (რა ქნა?) — შემასმენელი, დარეჯანი (ვინ?) — ქვემდებარე, მერე (როდის?) — დროის გარემოება, შინ (სად?) — ადგილის გარემოება, დაღლილი და დაქანცული (როგორი?) — განსაზღვრება.

კითხვები დაისვა სწორად, პასუხიც თითქო მართებული იყო და მასწავლებელიც დაკმაყოფილდა.

მაგრამ აქ ჯერ მოსწავლეს და შემდეგ მასწავლებელსაც მხედველობიდან გამოეპარათ ერთი მცირე მომენტი. რისი განსაზღვრებები უნდა იყოს ხსენებულ წინადადებაში დაღლილი და დაქანცული? თუ ქვემდებარისა, — რატომაა ისინი მისგან ასე გათიშული? თუ შემასმენელისა, — განა შეიძლება შემასმენელს განსაზღვრება ჰქონდეს?

ეს საკითხები ღიად დარჩა. ბუნებრივიც იყო. ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში ასეთი შემთხვევები განხილული არაა და მისთვის არც მასწავლებელს მიუქცევია ყურადღება. ამიტომ თავისებურად მოსწავლეც მართალი იყო და მასწავლებელიც.

იბადება კითხვა: მართლაც, შეიძლება თუ არა განსაზღვრება დაუკავშირდეს შემასმენელს, ანუ გვქონდეს ატრიბუტივიანი შემასმენელი? ატრიბუტივი მხოლოდ სახელთან გვაქვს, თუ ზმნასთანაც?

ატრიბუტივი, მსაზღვრელი, როგორც წესი, სახელის მიმყოლია. ქართულში სახელით კი გადმოიცემა ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება და ზოგიერთი გარემოება. ამიტომ ატრიბუტივიანი შეიძლება იყოს ქვემდებარე (მაღალი სახლი ჩანს), დამატება (მაღალი სახლი ააშენეს), განსაზღვრება (მაღალი სახლის ეზო), გარემოება (მაღალ მთაზე თოვლი მოვიდა)... რაც შეეხება შემასმენელს, მისი მიმყოლია ჩვეულებრივ გარემოება. გარემოების სიტყვა შემასმენელთან არსებითად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ატრიბუტივი სახელთან (ქვემდებარესთან, დამატებასთან): გვაჩვენებს შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროს, მიზეზს, მიზანსა და ვითარებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, „განსაზღვრავს“ შემასმენელს.

მაგრამ გარემოების სიტყვებთან ერთად შემასმენელთან შეიძლება გაჩნდეს ატრიბუტივიც, რომელიც მაშინ დაკარგავს სინტაქსურ კავშირს სახელთან და ზმნას მიეკედლება. ასეთ შემასმენელს ჩვენ ატრიბუტივიანს ვუწოდებთ.

ატრიბუტივიანი შემასმენელი რთული შემასმენლის ერთ-ერთი სახეობაა. ამიტომ ქართულში შემასმენელი გვაქვს: ზმნური, მარტივი (დაღლილი კაცი მიდის), შედგენილი, რთული (კაცი დაღლილი იყო), ატრიბუტივიანი, რთული (კაცი დაღლილი მიდის).

ატრიბუტივიანი შემასმენელი ისტორიულად ახალი ჩანს, ძველქართულში იშვიათია, ახალ, განსაკუთრებით თანამედროვე, ქართულ ლიტერატურულ ენასა და კილო-თქმებში—მოდებულია. ჩვეულებრივ უხვად გვხვდება XII საუკუნიდან მოყოლებული. რამდენიმე ნიმუში XII—XX საუკუნეების თხზულებებიდან.

1. „ვისრამიანი“ (თბ., 1938): „მე სიცოცხლე უნებელი არ მინდა“ (გვ. 49); „მოწამენი იყავით ჩემნი, ასრე მტირალი მნახეთ“ (გვ. 53); „იარებოდის მას ვენახსა შინა თუალცრემლიანი და გულდადაღული“ (გვ. 53)...

2. **„ვეფხისტყაოსანი“** (თბ., 1951): „ცრემლდენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მოუყარნა“ (245,4); „მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე“ (271,3); „ყოველი არსად შე-

მოსრული მხიარული თამაშობდა“ (323,4); „პირ-მხიარული აცორვებს მართ ოდენ მარტო თავითა“ (1327,2)...

3. **არჩილ მეფე** („არჩილიანი“, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1947): „რაც არ გგონია, ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებული“ (გვ. 141); „მაშა, სოფელმან დაგაგდო მოწყლული, საარებელი“ (გვ. 141)...

4. **საბა ორბელიანი** („სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1938): „ესრეთ შეჰირვებული არ მინახავხარ“ (გვ. 8); „დიდად განრისხებული დახვდა ცოლი თავისი“ (გვ. 20); „მელი შავად შეღებილი შეიქმნა“ (გვ. 24); „სცნა რუქამან, მოვიდა განრისხებული“ (გვ. 29); „მერე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებს დაეზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები“ (გვ. 140)...

5. **დ. გურამიშვილი** („გურამიანი“, თბ., 1948): „თუ არ გინდოდა ჩემთვისა, რად დამხვდა გამზადებული“ (გვ. 167); „რა შემაწუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული“ (გვ. 172); „აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ გაჩქარებული“ (გვ. 173)...

6. **ილ. ჭავჭავაძე** (თხზ., II, თბ., 1950): „ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში“ (გვ. 133); „ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს“ (გვ. 133); „გაშტერებული დასცქეროდა დედამიწას ელდანაცემსავით“ (გვ. 272)...

7. **აკ. წერეთელი** („ჩემი თავგადასავალი“, თბ., 1937): „და ბებიას კი გულშემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო“ (გვ. 4); „დედაც თვალდახუჭული დაჰხარის (გვ. 9); „ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული“ (გვ. 19); „დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა“ (გვ. 57)...

8. **ს. მგალობლიშვილი** (რჩეული მოთხრობები, თბ., 1951): „სულგანაბულნი უსმენდნენ ედიშერს“ (გვ. 14); „საღამოთი ბანზე გავიდოდა პირგაკრული, ჩამოჯდებოდა ერდოს ჯდეულზე და გულხელდაკრეფილი გაჰყურებდა ტატეს გვერდზე მოღრეცილს ერდოსა? (გვ. 468); „დღეს გამოცანცქლული დადის, ლეჩაქყურგაგდებული დაფრიალებს ამ ცისმარე დღე ბანზე“ (გვ. 466)...

9. **ეგ. ნინოშვილი** (თხზ., ტ. 1, თბ., 1931): „ეს კაცი ქეიფ-მეჯლისში მიპატიჟებული მიდიოდესო“ (გვ. 82); „მზე... საშინლად მოწყენილი და ღრუბლებში გახვეული ამოვიდა“ (გვ. 87); „ცოტა მარილიანი მეჩვენა საჭმელი“ (გვ. 96)...

10. **დ. კლდიაშვილი** (მოთხრობები და პიესები, თბ., 1947): „გულ-

მოსული წაილაპარაკებდა პლატონი და ისევ თავის ფიქრებში გაეხვეოდა გაყუჩებული“ (გვ. 54); „გააჩერა მან ცხენი და გულმოსული მოაჯდა ზურგზე“ (გვ. 60); „შინ როგორ მობრუნებული დამინახოს, რა დღეს დამითენებს ის ქალი“ (გვ. 78)...

11. ნ. ნაკაშიძე (მოთხრობები და პიესები, თბ., 1950): „დაწყნარდა და კუდამოძუებული გაიქცა შინისაკენ“ (გვ. 25); „კოწია გაჩქარებული წავიდა სახლისაკენ“ (გვ. 25); „ქრისტინე კი მივიდა აკვანთან, ჩამოჯდა ტახტზე და გაჩუმებული შესცქეროდა ქმარს“ (გვ. 34)...

12. ლ. ქიაჩელი („მთისკაცი“, თბ., 1948): „როგორც შეუმჩნეველი მოვიდა, ისევე დაუნახავი გაჰყვა ჯერ კარვის ჩრდილს, შემდეგ კი მგლურად აიდგა ფეხი“ (გვ. 39); „გორაკოვი მუდამ გამომწვევად შემართული დადიოდა“ (გვ. 45); „ხმისკენ მობრუნებული მთისკაცი გაოცებული დარჩა“ (გვ. 79)...

აქ ხაზგასმულია ატრიბუტული სიტყვები (უფრო მიმღეობანი, ზოგჯერ ზედსართავები), რომლებიც წინადადებაში სახელებს კი არ საზღვრავენ, არამედ ზმნას (შემასმენელს) ეკედლებიან და მათთან ერთად ქმნიან რთულ, ატრიბუტივიან შემასმენელს. ასეთი მიმღეობა ან ზედსართავი ისტორიულად სახელის განსაზღვრება იყო (შდრ.: გაღიმებული კაცი შემობრუნდა; დატვირთული ჯორ-აქლემი გაუგზავნა; გულწასული მეომარი იქვე იპოვა...), მაგრამ შემდეგ ის სახელს მოჰშორებია და ზმნას დაკავშირებია (შდრ.: კაცი გაღიმებული შემობრუნდა; ჯორ-აქლემი დატვირთული გაუგზავნა; მეომარი გულწასული იპოვა...), ე. ი. გამოდის, ატრიბუტივი მოწყვეტილა სუბსტანტივს და ზმნას დაკავშირებია. ზმნასთან. შემასმენელთან შეწყობილ სიტყვას კი ატრიბუტივს ვეღარ ვუწოდებთ, ის უკვე გარემოების (მირთული) სიტყვის როლში გამოდის. მართებულად მიუთითებს ი. იმნაიშვილი: „როდესაც... მიმღეობა ქვემდებარეს წინ უძღვის, ცხადია, ის განსაზღვრებაა“, „როცა მიმღეობა ტოვებს ხოლმე თავის ჩვეულებრივ ადგილს, გადაჯდება ქვემდებარის შემდეგ (ზმნასთან), ვითარების გარემოებად უნდა ვიცნოთო“[1].

ეს აზრი შესაწყნარებელია, მაგრამ ხაზგასასმელია სხვა გარემოებაც. მართალია, სახელსმოწყვეტილი ატრიბუტივი (მიმღეობაა ის თუ ზედსართავი, სულ ერთია!), როცა ზმნას ეკვრის, ერთგვარად ქვავდება სახელობითს ბრუნვაში (გაღიმებული ვბრუნდები, გაღიმებული ბრუნ-

[1] ი. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ქართულში, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, V, 1948, გვ. 211.

დები, გაღიმებული ბრუნდება. გაღიმებული შემობრუნდა, გაღიმებული შემობრუნდეს, გაღიმებული შემობრუნებულა; ის გულწასული პოულობს, გულწასული იპოვის, გულწასული იპოვა, გულწასული უპოვია...), მაგრამ ამით იგი ვითარებითში გაქვავებული სიტყვის (გარემოების) ფარდად როდი იქცევა (შდრ.: გაღიმებული დაბრუნდა, კარგად დაბრუნდა!). პირიქით. მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

თუ სახელსმოწყვეტილ ატრიბუტივს, რომელიც სახელობითშია დასმული, ვითარების გარემოებად მივიჩნევთ, რა კითხვაზე უნდა უპასუხოს მაშინ მან? რითი შეგვიძლია მისი გარჩევა ჩვეულებრივი ვითარების გარემოებისაგან? მისი ბუნებრივი კითხვები იქნებოდა: როგორი? რანაირი? ე. ი. განსაზღვრებისა და არა ვითარების გარემოების კითხვები. სახელობით ბრუნვაში დასმული ატრიბუტივი, რომელიც სახელს მოწყდა და ზმნას მიეკედლა, მნიშვნელობით არ ემთხვევა ვითარებით ბრუნვაში გაქვავებულ გარემოების სიტყვას. მათი სინტაქსური სხვაობა თვალნათლივია. ამიტომ უმჯობესად უნდა იქნას ცნობილი ასეთი ატრიბუტივის ზმნის „განსაზღვრებად“, რთული (შედგენილი) შემასმენლის სახელად ნაწილად (შემასმენლისად) მიჩნევა; სხვანაირად, შედგენილი შემასმენლიდან ატრიბუტივიანი შემასმენლის გამოყოფა.

ჩვეულებრივი შედგენილი შემასმენლის ყოველი სახელადი ნაწილი ატრიბუტივია, რომელიც დაკავშირებულია არა სახელთან, არამედ მეშველ ზმნასთან. წინადადებებში: მე მომღერალი ვარ, შენ მაღალი ხარ, შეშა ნედლი არის (ნედლია)... მომღერალი, მაღალი, ნედლი — შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილებია, რომლებიც იმავე დროს ატრიბუტივებს წარმოადგენენ. ამრიგად, ატრიბუტივიანი შემასმენელი იგივე რთული, შედგენილი შემასმენელია. ჯერ კიდევ ალ. პოტებნია წერდა: «Имя, входящее в состав сказуемого, есть атрибут, грамматическое опредеиение, с тою особенностью, что присоединяется к своему определяемому не прямо, а через посредство глагола»[1].

ატრიბუტივი ზმნას ახლავს: ა) ხან წინ: „ელგუჯა აღტაცებული გაიქცა“; ბ) ხან მოჰყვება მას: „დედა კი თავისთვის იჯდა თავჩაღუნული“; გ) ხან კიდევ გათიშულია მისგან, ზმნასა და ატრიბუტივს შორის ჩნდება სხვა სიტყვებიც: „ქალი დარჩა იქვე გაფითრებული“... სამივე წესი ჩვეულებრივია, უფრო ხშირი პირველი ორია.

ატრიბუტივი შეიძლება ახლდეს არა მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული რიგის ზმნებს (ვთქვათ, ზემოთ ხსენებულებს: იჯდა, იდგა, მოვიდა, ეკვეთა, შევიდა, დააშტერდა, დააცქერდა...), არამედ ჩვეულებ-

[1] А. Потебня. Из записок по русской грамматике. Харьков. 1888, გვ. 105.

რივ ზმნათა უდიდეს უმრავლესობას, განურჩევლად პირისა, რიცხვისა, გვარისა, ქცევისა, კონტაქტისა, ასპექტისა, თუ მწკრივისა (აბსოლუტური: დგას, იწერება, იკითხება, ზის, წევს, მიდის... რელატური: ა) გარდაუვალი: აკვირდება, ელაპარაკება, სძულს, უყვარს, ეღვრება... ბ) გარდამავალი: ნახულობს, აშენებს, აკეთებს, სწერს, ხნავს, უკლავს, უქსოვს...). თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აშკარად შეინიშნება ატრიბუტივიანი შემასმენლის ხმარების გაფართოების ტენდენცია.

1955 წ.

არ და ვერ ნაწილაკები ქართულში

არ და **ვერ** ქართულში უარყოფის მაჩვენებელი ნაწილაკებია. ორივე მათგანს ფუნქცია ერთი აქვს, სემანტიკურად კი სხვავდებიან. „არ“ მარტივად უარყოფს („არ ჭამს“), „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“)[1]. **არ** იხმარება ბრძანებითი კილოს უკუთქმითი ფორმების საწარმოებლად მეორე სერიის მწკრივებში ნუ-სთან ერთად: **არ** გააკეთო! ნუ გააკეთებ![2] იგივე **არ** და **ვერ** ნუ-სთან ერთად გვხვდება წინადადებაში და იძლევა მისი შინაარსის უკუთქმითურ (აჯრძალვითს) მოდიფიკაციას[3].

არ, როგორც უკუთქმითი ნაწილაკი, საბა ორბელიანს თავის „ქართულ ლექსიკონში“ არ შეუტანია. ამ ფუნქციით მას მათეს 5,29-დან დამოწმებული აქვს: „არა უქმნელობის უარი“. ვერ დამოწმებულია დაბადების 30, 15-დან (სადაც მართლა იკითხება: „ვერ კმა არს შენდა“, 978 წ. გადაწერილი პირი, ა. შანიძის გამოც., თბ., 1947, გვ. 28) და განმარტებულია ასე: „ვერასავით“, ხოლო ვერა — „არ ძალმიც ქნა“.

ნაწილაკები უფრო მკაფიოდ განუმარტავს ნიკო ჩუბინაშვილს. თავის „ქართულ ლექსიკონში“ იგი წერს: „არ, არა უკუთქმითი მარცუალი (ნახე ვერ; ფსალ. 1, 1 და შემდეგი), ne. || ზოგჯერმე იხმარების ბრძანებითადცა, ხოლო ნიადაგ ბრძანების დამნიშვ-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953, გვ. 630; შდრ.: Б. Т. Рудешко, Грамматика грузинского языка, М.-Л., 1910, გვ. 260; К. Д. Дондуа, Грамматическое отрицание как проблема общего языкознания, ЯМ, XI, Л., 1948, გვ. 172—173.

[2] შდრ.: ა. შანიძე, იქვე, გვ. 210; Б. Т. Рудешко, იქვე, გვ. 224; К. Д. Дондуа, იქვე.

[3] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სახელმძღ., თბ., 1948, გვ. 78.

ნელი არს ნუ“ (ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, 1961). ვ ე რ ნაწილაკის შესახებ ავტორი მიუთითებს: „ვ ე რ, ვ ე რ ა უკუთქმითი ზმნისზედა, მნიშვნელი შეუძლებლობისა, საქმ. 4, 6, нет, не могу, ხოლო ა რ ა უნდომელობისა; ამის გამო ვ ე რ იხმარების ნაცვლად ზმნისა არა ძალმიძს, არ შემიძლია. მაგ., ვერ დავდივარ, не могу ходить; ვერ დავსწერ, не могу написать; არ დავდივარ, не хожу, т. е. не хочу ходить; არ დავსწერ, не напишу, или не хочу написать“ (იქვე).

ვერ და **არ** ნაწილაკები IX—X საუკუნეების ქართულ ძეგლებში ან ერთნაირი მნიშვნელობით გვხვდება (ეს ჩვეულებრივია!), ან ნუ-ს ფარდად. ოთხთავის ძველ რედაქციებშიაც ამ მხრით სხვაობაა. აქ არ სრულიად არ იხმარება, გვაქვს ა რ ა და ნაწილაკდართული **არ: არ-ღა, არ-ცა, არ-ღა-რა, არ-ცა-ღა, არა-რაი** ნაწილაკის, კავშირის ან უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით.

1. **არა**: „და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: ა რ ა“ (ლუკ. 1, 60)[1]; „უკუეთუ ა რ ა, სასყიდელი ა რ ა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან“ (მათე 6, 1); „მოვიღი, რომელი ა რ ა დავდვი, და მოვიმკი, სადა ა რ ა დავსთესი“ (ლუკ. 19,22)...

2. **არარაი**: „ა რ ა რ ა ი ზრუნვაი გიც“ (მარკ. 12, 14); „განვიდა მისგან და ა რ ა რ ა ი ავნო მას“ (ლუკ. 4, 35); „დიდებაი ჩემი ა რ ა რ ა ი არს“ (იოვ. 8, 54)...

3. **არღა**: „ხოლო აღსრული ა რ ღ ა იყოს“ (მათე 24, 6 C); „ა რ ღ ა გიცნობიეს“ (მათე 16, 9); „რამეთუ ა რ ღ ა იყო სული“ (იოვ. 7, 39)...

4. **არღარა**: „ა რ ღ ა რ ა ვჭამო ამიერითგან“ (ლუკ. 22, 16); „ა რ ღ ა რ ა მრავალსა ვიტყოდი“ (იოვ. 14, 30); „და ა რ ღ ა რ ა ვარ სოფელსა ამას“ (იოვ. 17, 11)...

5. **არცა**: „მპარავი არა მიეხების, ა რ ც ა მღილმან გარყუნის“ (ლუკ. 12, 33): „ა რ ც ა იქორწინებოდიან, ა რ ც ა განჰქორწინებდენ“ (ლუკ. 20, 35); „ა რ ც ა მივიდე აქა ვსებად“ (იოვ. 4, 15)...

6. **არცაღა**: „ა რ ც ა ღ ა იკადრა ვინ მიერ დღითგან კითხვად მისა არღარა“ (მათე 22, 46 ДЕ): „ვიდრე აქამომდე, ა რ ც ა ღ ა ყოფად არს“ (მათე 24, 21); „ა რ ც ა ღ ა გეშინის შენ“ (ლუკ. 23, 40 ДЕ)...

ა რ ა გაიგივებულია ვ ე რ ნაწილაკთან. ДЕ: „ვ ე რ შეხჯდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 5, 20); C: „ა რ ა ს ა დ ა შეხჯდეთ სასუფეველსა ცათასა“. C რედაქცია ა რ ა-ს ნაცვლად ნ უ-საც ხმარობს. ДЕ: „ვიდრე ა რ ა ყ ო ვ ე ლ ი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1945, ან: სახარება—ოთხთავი 913 და 995 წწ. ორი ხელნაწერის მიხედვით, ვ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს გამოც., სპბ., 1909.

ცეცხლისასა“ (მათ. 5, 29); C: „და ნუ ყოველი გუამი შენი შთავარდებინ გეჰენიასა“[1]...´ რიგ შემთხვევაში ვ ე რ ნაწილაკი ერთნაირადაა ნახმარი ოთხთავის ყველა რედაქციაში. მაგ.: „ვ ე რ ჴელ-ეწიფების ხესა“ (მათ. 7, 18); „ვ ე რ ჴელ-ეწიფების მოკლვად“ (მათ. 10, 28; C: „ვ ე რ შემძლებელ იყუნენ მოწყუედად“); „ვ ე რ იხილეს“ (მათ. 13, 17; გ. მთაწმიდლით: „ა რ ა იხილეს“)...

ვერ ძველ ქართულში არ-ის მნიშვნელობითაც იხმარება, არ კი ან სულ არა, ან სხვანაწილაკდართული გვხვდება. მაგ.: „მე ვერ ძალ-მიც განრინებად მთად კერძო“ (დაბად., ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოც., თბ., 1947, 19, 19). სხვა ადგილას ვ ე რ თავისი დღევანდელი მნიშვნელობითაა ნახმარი: „რამეთუ ვ ე რ ჴელ-მეწიფების ყოფად საქმისა მის“ (დაბად., 19, 22); „მუნ ვ ე რ პოვა“ (ცხორ. იოან. და ეფთ., ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა და ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოც., 1946, 13); „ვ ე რ იყოფოდეს“ (იქვე, 35,4); „ვერავინ ვ ე რ მოუსწრის ცისკრისა ლოცვასა“ (იქვე, 58, 3); „ვერარაჲთ ვ ე რ დაარწმუნა მამამან“ (იქვე, 104, 2).

მოგვიანო პერიოდის ძეგლებში არ და ვერ უკვე განსხვავებული ფუნქციით იხმარება. გარჩეულია თითოეული მათგანის მნიშვნელობა. „ამირანდარეჯანიანში“ ვკითხულობთ: „თუ დიდად არ გაესწრაფები, ვეღარას ესწრები“ (ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტ., II, 104); „ არ ვარგა გამობეზღება, დიდი ლაშქარი არის“ (იქვე); „აქა ბალხამ ყამის ძე არ არს ჯერეთო“ (იქვე); „ვ ე რ ა შევატყევით კლება დარეჯანისძესა“ (იქვე, გვ. 105); „ვ ე რ ა შეეძლო შუელად ჩუენდა“ (იქვე); „ესწრა ღამეე და ვ ე რ ა გარდიწყუიტეს“ (იქვე, გვ. 107)... „თამარიანში“: „არ ჰქონდა ნება, არც რა შენება ნათელთა შენთა დასამსგავსევად“ (იქვე, გვ. 191); „არ დამაჩნდების ცუდ ნამჭევრევად“ (იქვე, გვ. 192); „არ გვანდეს დარი“ (იქვე, გვ. 193); „ეგრეცა მსგავსად ვ ე რ გრძნობდეს გავსად“ (იქვე, გვ. 191); „იპოვნენ მცდარად და ვ ე რ მიმხვდარად შენის მსგავსების ყოვლ-დამსახეველად“ (იქვე, გვ. 192); „ღონე ვიცადი, ვ ე რ განვიცადი“ (იქვე, გვ. 196)... „აბდულმესიაში“. „ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის“ (იქვე, გვ. 200); „არ გასტეხს ფიცსა, თვით დანამტკიცსა“ (იქვე, გვ. 204); „არვე თავს დებით არ ვეთავსდებით სიბრძნისა ზღვასა დავით პირმშოსა“ (იქვე); „ვ ე რ ძალ-გიძთ ქებად, თავს ჰყოფთ ენებულსა“ (იქვე, გვ. 199); „ვ ე რ გულის ხმა ყოს მისი მისანი“ (იქვე, გვ. 201); „ვ ე რ უძლეს განცდად სხივისა“ (იქვე, გვ. 203)... „ვეფხისტყაოსანში“: „სხვა ძე არ ესვა მეფესა“ (33,1); „არ გათნევთ, იცის მეფობა“ (39, 2); „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“ (47,1): „ვ ე რ გავაჩინეთ მართალი“ (201, 4); „ღრუბე-

[1] ვ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს გამოცემით: „ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა“; გ. მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს რედაქციით: „ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა“.

ლიცა ვ ე რ მიჰხვდების“ (250,3); „ვ ე რ დაიტევდა მინდორი“ (450,3)... ს. ორბელიანთან: „სედრაქ და რუჭა ერთს სიტყვაზე არ იდგნენ“ („სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1938, გვ. 28); „თუმცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო“ (იქვე, გვ. 31); „დათვი არ მოეშვა“ (იქვე, გვ. 32); „ვ ე რ მომკლავ, მეფეე, ვერა“ (იქვე, გვ. 29); „დიახ, გხედავ, მანდა ხარ, მაგრა შიშით ვ ე რ კიტყვი, ტანჯვის მეშინიანო“ (იქვე, გვ. 83)...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს ორი ნაწილაკი ფუნქციით ასევე განსხვავებულია. არ მარტივი უარყოფის მაჩვენებელია: „ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას“ (ი. ჭავჭავაძე, II, თბ., 1950, გვ. 259); „მათ ჩვეულებას და ზნეობას სრულებით არ იცნობდა“ (ა. ყაზბეგი, რჩ. თხზ., თბ., 1946, გვ. 150); „ერთადერთი შვილი ივლიანე არ უნახავთ“ (ნ. ნაკაშიძე, თხზ., თბ., 1950, გვ. 168)... ვ ე რ მოქმედების შეძლებას უარყოფს: „ჭუჭყისაგან ვ ე რ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო“ (ი. ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 149); „წამოჰკრა სარმა და თუმცა ვ ე რ დასცა, წააბარბაცა კი“ (იქვე, გვ. 267); „თავთავის ალაგს თავს ვ ე რ დაანებებდნენ“ (ა. ყაზბეგი, იქვე, გვ. 143); „თუმცა ვ ე რ ხედავდა და არ ესმოდა, მაგრამ ცოცხლად წარმოიდგინა, რა ამბავი იყო ახლა იქ“ (ნ. ნაკაშიძე, იქვე, გვ. 157)...

არ ნაწილაკი დღეს პირობითს დამოკიდებულ წინადადებაში საკორელაციოდაცაა გამოყენებული: „ისე რომ არ მოექცეულიყავ, ბარგი მთას იქით გადასატანი დარჩებოდა“ (ა. ყაზბეგი, იქვე, გვ. 148); „მეც ამათსავით ვიქნებოდი უსათუოდ, რომ არ გავქცეულიყავი სოფლიდან!“ (დ. კლდიაშვილი, თხზ., თბ., 1947, გვ. 146); „მოსავლიან წელიწადს რომ სარჩო არ ღირსებია, ამისთანა გვალვიან წელიწადში შიმშილის მეტს რაღას უნდა მოელოდეს!“ (იქვე, გვ. 143); „გადამწერლობა, რასაკვირველია, ბევრს ვერაფერს შესძენდა, რომ სხვა აზრი და იმედი არ ჰქონებოდა“ (იქვე, გვ. 147); „ასეთი თავისნება იყო, რომ, თუ აზრში არ მოუვიდოდა, იფნის ჯოხიც ფეხს ვ ე რ გადაადგმევინებდა“ (გ. წერეთელი, რჩ. ნაწ., 1, თბ., 1947, გვ. 41)...

არ და ვ ე რ უკუთქმითი ნაწილაკები სინტაქსურად ზმნებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ზოგჯერ მათ სახელებთანაც ვპოულობთ. „ამირანდარეჯანიანში“ გვაქვს ასეთი ადგილები: „შევიდეს ქალაქსა და შეიქმნა სიხარული ვ ე რ ა ჯ ო ბ ნ ი ს ა თ უ ი ს“ (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტ., II, გვ. 102); „შემოვიდა ამირანდარეჯანის-ძე დაღრეჯილი ვ ე რ ჯ ო ბ ნ ი ს ა თ უ ი ს“ (იქვე, გვ. 107). აქ ვ ე რ სახელთანაა (მასდართან) ნახმარი და თავისებურადაა გამოყენებული. „თამარიანში“ ვკითხულობთ: „არ ე ნ ა, სული არენ ასული შემწედ მესიას აღნათქვამისად“ (იქვე,

გვ. 190); „უმძიმს ტროელთა არ შ ე ნ თ ვ ი ს კვდარქმნა ელენთ სათნევად“ (იქვე, გვ. 191); „სიბრძნითა სავსი, ყოველ ა რ მ ო თ ა ვ ს ი, ვინცა იპოვოს ნაორგელევად“ (იქვე); „ა რ უ ც ხ ო თ ა მით სუფევითა თვით ხელითა იწყო, უწოდა ძებად“ (იქვე, გვ. 195)... „აბდულმესიანში“: „ვადიდებ ხელსა, ა რ ხ ე ლ ს ა, რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი“ (იქვე, გვ. 202); „სტავრა და ნახლი, ა რ ბ ი ლ წ-ხ ე ლ-ნ ა ხ ლ ი, მოსიეს ტანსა მჳევრსა ზეზისა“ (იქვე, გვ. 204)... „ვეფხისტყაოსანში“: „ეთქვა თუ: „ჟამად გვაჩნია ჩვენ თქვენი ა რ ო რ გ უ ლ ო ბ ა“ (442,3); „არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, ა რ ო რ ხ ა უ ლ ა დ“ (461,3); „კვლა შეევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, ა რ მ ხ ი ა რ უ ლ ა დ“ (820,1); „აწ მისი არა არ ვიცი, ა რ ნ ა ხ ვ ი თ, ა რ ა მ ბ ა ვ ი თ ა“ (844,4)...

აქ უფრო „პოეტურ გადახვევასთან“ გვაქვს საქმე, თორემ გრამატიკული უარყოფა, როგორც წესი, მხოლოდ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებთან, ზმნებთან გვაქვს. ზმნის ფორმით გადმოცემული მოქმედება შეიძლება იყოს წართქმითი: მოვიდა, გააკეთა, ააშენა... და უკუთქმითი: **არ || ვერ** მოვიდა, **არ || ვერ** გააკეთა, **არ || ვერ** ააშენა[1]...

ქართულ **არ || ვერ** ნაწილაკებს შესატყვისი ეკვივალენტები მოეპოვებათ ჰანურ-მეგრულში.

1. ჰანური **ვარ || ვა** ფუნქციით ქართული **არ || ვერ**-ის ფარდია. მაგ.: „ჟურ საათითე ვ ა რ იუ, ამა დუბაღ ონ ანდღა“ (ნ. მ ა რ ი, ჰანური ენის გრამატიკა, სპბ., 1910, გვ. 81): „ჯერ არ გასულა ორი საათი, მაგრამ საკმარისია დღეს“; „ბაშკა ჩხომი ვ ა რ იენი? — იენ, ამა ჰიმ მოსაფეს ვა ნიბენ. ჩოშელი დო აზმალიდა ნიბენ, დაჰა ბაშკა მუთი ვ ა რ“ (იქვე, გვ. 90): „სხვანაირი თევზი არ არის? — არის, მაგრამ ამ ბადით არ იჭირება, ჩოშელი და აზმალიდა იჭირება, სხვები ა რ ა; „კატუ ვა ნანჭუში ნა'ნ, ხორცის ვ ა რ ცადუმს“ (იქვე, გვ. 100)...

ვარ, ვა ან: **ვართი, ვათი || ვათო** უკუთქმითი ნაწილაკებია ჰანურში (ნ. მარი, იქვე, გვ. 55). ვ ა რ უფრო ათინურს ახასიათებს. აწმყო: **ვარ** მჭარუმ, უწყვეტელი: **ვარ** ჭარუმტი, აორისტი: **ვარ** მჭარი, მომავალი: **ვარ** მჭარარე; **ვა** კი მეტად ვიწურ-არქაბულისა და ხოფურისათვისაა დამახასიათებელი. აწმყო: **ვა** ბჭარუმ || **ვა** ბჭარუფ; უწყვეტელი. **ვა** ბჭარუმტი || **ვა** ბჭარუფტი; აორისტი: **ვა** ბჭარი; მომავალი: **ვა** ბჭარარე || **ვა** ბჭარიკო (იქვე). ჩვენ პირობით ვამბობთ, უფროო, თორემ ისინი ჩვეულებრივია ჰანურის ყველა კილოში და ამის მიხედვით კილოური ფარგლების დაძებნა ძნელი ხდება.

[1] დიალექტებში უკუთქმითი ნაწილაკი არ||ვერ ზოგჯერ შერწყმულია სახელთან. მაგ., გურულში გვაქვს: არკაცი, ვერკაცი, აფერი, ვეფერი, რომლებიც მიღებულია ასე: არკაცი — არა კაცი; ვერკაცი — ვერა კაცი; აფერი — არფერი — არა ფერი; ვეფერი — ვერფერი — ვერა ფერი.

როგორც ვხედავთ, ჰანურში **ვერ** || **ვა** უკუთქმითი ნაწილაკია, რომელიც შესაფერისი ქართული ნაწილაკების ეკვივალენტს წარმოადგენს. ა. ჩიქობავას აზრით, „მეგრულსა და ჰანურში **არ-** ნაწილაკი **ვა-** ნაწილაკის სახითაა მოცემული, **ნუ** ნაწილაკი **ნუ-**დ რჩება მეგრულში“[1]. ავტორი აქ **ვარ** ნაწილაკს არ იხსენიებს, მაგრამ იგი ჰანურში **ვა-**ს პარალელურად იხმარება და ბლომად ვპოულობთ მის მიერვე გამოქვეყნებულ ტექსტებშიაც.

ა. **ხოფური:** „დიდო ფარა **ვარ** მიღუნ“ (ა. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, 1, თბ., 1929, გვ. 17); „მუთუ **ვარ** ოხომაწონუ ქი, მა აწი მე პა?“ (იქვე, გვ. 113)...

ბ. **ვიწურ-არქაბული:** „ჰამ წანას მა აგარაშა **ვარ** ბულური“ (ა. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, II, თბ., 1936, გვ. 1); „თოკი **ვარ** მექჩარე დო ემუშენი გიწუმერ!“ (იქვე, გვ. 9)...

გ. **ათინური:** „ალთუნი **ვარ** ორტუ ტორბას!“ (იქვე, გვ. 88); „კაპიღის მა **ვარ** გამაფჩამ!“ (იქვე, გვ. 89)...

დ. აგრეთვე **არქაბული:** „არ ფელი სიჯას **ვარ** მეჩეს დო მუთეფექ მთელი ოჭკომეს“ (ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები, თბ., 1938, გვ. 25); „ბადიქ ქჩინის ჯუმუ **ვარ** მეჩუ“ (იქვე, გვ. 140)...

ჰან. **ვარ** || **ვა** არ ემთხვევა **ნუ** ნაწილაკს. ამ უკანასკნელის ფუნქციით იქ გამოყენებულია **მო** (თ), რაც ა. ჩიქობავას ჰანურის სპეციფიკურ თავისებურებად მიაჩნია[2]. ჰანური **ვარ** ნაწილაკი მნიშვნელობით ქართულ **ვერ**-ს ეთანაბრება. მაგ.: „ოსმანიქ ოხოიშია ოხთიმუშენ ბაშქა ჩარე **ვარ** ძირუ“ (ა. ჩიქობავა, ჰან. ტექსტ., 1, გვ. 48). ჰან. „**ვარ ძირუ**“ ქართულად „**ვერ ნახა**“ იქნება.

2. მეგრულში უკუთქმითი ნაწილაკებია **ვარ** || **ვა** || **ვე**. მეგრ. **ვა-**ს ბოლო **ა**, თუ მას ხმოვნით დაწყებული სიტყვა მოსდევს, ხშირად განიცდის რეგრესულ ასიმილაციას (ნაწილობრივს ან სრულს) და გვაძლევს: ა) **უ**-ს წინ — **ო**-ს: ვო უღუ (←ვა უღუ) — „არ აქვს“; ბ) **ე**-ს წინ — **ე**-ს: ვე ემადგინე (←ვა ემადგინე) — „ვერ ავდგები“; გ) **ი**-ს წინ ადგილი აქვს ურთიერთ ასიმილაციას (ა+ი=ვ, ეე): ვე ედა || ვედა (←ვა იდა) — „არ იარო || ნუ იარო“. გვხვდება პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც: ვა აკო (←ვა ოკო) — „არ უნდა“, რაც ხშირად ვ'აკოდ ისმის[3].

ვე-ს მეგრულში **ვა-**სთან ერთად დამოუკიდებლადაც შეუძლია ზმნის უკუთქმითი ფორმების წარმოება, ფუნქციით კი ის უფრო ქართ. **ვერ-**ს უდრის. მაგ.: „ეფერი უკუმელა ქორდგ ტყაში გურც, ნამდა თოლიშა

[1] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 117.

[2] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 117.

[3] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, СПб., 1914, გვ. 070, 233.

კითი ვე მიღედგ“ (ი. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა, სპბ., 1914, გვ. 79). ეს წინადადება ასე ითარგმნება: „ისეთი სიბნელე იყო ტყის გულში, რომ თვალთან თითი ვერ მიიტანებოდა“. მეგრ. ვე აქ ქართ. ვერ-ის ფარდია. ასეთივეა: „ათე ჯიმაქ ოსური ვა მიყონასგნ ეში, ათე დალეფი ქომონჯიშა ვე შეულა“ (მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 135) — „ამ ძმამ ქალი რომ არ მოიყვანოს, ისე ეს დები არ (ან: ვერ) გათხოვდებიან“...

მეგრ. ვა ჩვეულებრივ ქართ. არ-ის შესატყვისია: „სქანი მულათი ვა ახიოლე ი ჭყელცგ“ (ი. ყიფშიძე, იქვე, გვ. 80) — „შენი მოსვლაც არ გაეხარდება იმ წყეულს“; „ვა გაშქურინას, მა ვორექ სქანი ქოჩორა!“ (იქვე, გვ. 98) — „არ შეგეშინოს, მე ვარ შენი ქოჩორა!“; „ენა თქვანი საქმე ვა რენია“ (იქვე, გვ. 99) — „ეს თქვენი საქმე არ არისო“... მეგრ. ვარ ქართ. არა-ს ეკვივალენტია: „ინა ვარ, შური მეყუნსუ ნი“... (იქვე, გვ. 5) — „ის კი არა, სული მიჰყავს“; „უკული ქო, ასე ვარ, — უწუუ ძღაბიქ“ (იქვე, გვ. 103) — „შემდეგ კი, ახლა არა, — უთხრა გოგომ“.... რაც შეეხება ნუ ნაწილაკს, მას მეგრულში ზოგჯერ შეესატყვისება ნი, უფრო კი ამავე სახით იხმარება: „ჰატ, ნუ გაშქურინენანია, — უწუუ ბოშიქ“ (მ. ხუბუა, იქვე, გვ. 4) — ქართულად: „ჰატ, ნუ შეგეშინებათო, — უთხრა ბიჭმა“...

ამრიგად, უკუთქმითი ნაწილაკები არ || ვერ, ვარ || ვა ||ვე საერთოა ქართულისა და ჭანურ-მეგრულისათვის. ჭან.-მეგრ. ვარ || ვა || ვე სემანტიკურად ქართ. ვერ || არ-ის ვარიანტებია. ქართ. ვერ || არ-ში მყარია რ. არ-ში წინამავალი თანხმოვანი (სავარაუდოა, ვ) დაკარგული ჩანს, ხოლო ვერ-ში დაცულია ჭანურ-მეგრულშიაც. არ-ში რომ ვ უნდა იყოს დაკარგული, ამას გვაფიქრებინებს ძველი ქართული უ ვ ა რ-ყ ო ფ ა (ახლანდელი: უარყოფა). აქ უ უარყოფის მაწარმოებელია, ვარ კი იგივეა, რაც ვერ. ასევე ძველი ქართულის უ ვ ა რ ყ ო ფ ი თ ი ახლა უ ა რ ყ ო ფ ი თ ა დ გამოითქმის, კილოებში კი (ცერძოდ გურულში) შემორჩენილია: ვ ა რ ი, ვ ა რ ყ ო ფ ი თ ი, ვ ა რ ყ ო ფ ა (შდრ.: „ვ ა რ ს თუ მეტყვი, შევიშლები“, გურული ფოლკლორი, 1, თბ., 1937, გვ. 37: „მიკვირს, ამდენი ვ ა რ ი ს თქმა“, იქვე, გვ. 45). აქ უვ კომპლექსს მოუცია უ.

ქართულში რ უფრო მყარი თანხმოვანია და, როგორც ითქვა, ის შენახულია უკუთქმითს ნაწილაკებში (ვერ || არ). მეტიც. რ ჩნდება ნუ ნაწილაკშიაც, როცა ის ცა და ღა-ს დაირთავს: ნურცა (—ნუ-ცა), ნურღა (—ნუ-ღა). ჭანურ-მეგრულში ეს ფონემა უფრო სუსტია და ამიტომ ხშირად იკარგვის (შდრ.: ვა || ვე).

არ || ვერ-ს ქართულში დაერთვის ც (ა) და ღა ნაწილაკები: ა) არ: არც, არცა; არღა (—აღარ), არღაც (—აღარც), არცაღა... ბ) ვერ: ვერც, ვერცა; ვერღა (—ვეღარ), ვერღაც (—ვეღარც), ვერღაცა...

1955 წ.

ქართულ-რუსული ლექსიკონი

იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში

XVIII—XIX საუკუნეების საქართველოში ფართო ლექსიკოგრაფიული მუშაობა წარმოებდა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პარალელურად შეუდგენიათ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონებიც. ამ დიდი საქმისათვის ხელი მოუკიდნიათ არა მარტოოდენ ლექსიკოგრაფიული მუშაობის ანონიმ მოყვარულთ, გამოჩენილ მეცნიერებსაც, მათ რიცხვში ბაქარ ბაგრატიონს, იოანე ბაგრატიონს, დავით რექტორს, ნიკო ჩუბინაშვილს, სიმონ და ნიკო ეგნატაშვილებსა და სხვებს, რომელთა ხელნაწერად დარჩენილი ნაშრომები გაფანტულია სხვადასხვა ადგილას. პირველ რიგში ამოცანად დასახულა საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გადათარგმნა რუსულ ენაზე, რაც, რა თქმა უნდა, ორივე — ქართული და რუსული — ენის ზედმიწევნით ცოდნასა და ფართო ლექსიკოლოგიურ მომზადებას მოითხოვდა. ამის ცდები ჩვენ გვაქვს XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ორ-სამ ათეულ წლებში.

ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენის საკითხი აქტუალურად აქცია რუსული ენის პრაქტიკულად და თეორიულად დაუფლების ამოცანამ, რაც ქართველობის წინაშე მაშინ მთელი სიგრძე-სიგანით დადგა.

რუსული ენის შესწავლის ინტერესი საქართველოში მრავალი საუკუნის წინათ გაჩენილა. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერებულა XVII—XVIII საუკუნეებში, როცა ქართველი ხალხი უფრო დაუახლოვდა და მჭიდროდ დაუკავშირდა დიდ რუს ხალხს, გაემიჯნა „აზიურ ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ“[1] და თავისი პოლიტიკური ბედი მიანდო მძლავრ რუსეთს, როგორც ერთადერთ პროგრესულ ძალას, რომელსაც შეეძლო ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების გზით წაყვანა.

რუსული ენის პრაქტიკულად შესწავლის დიდმა საჭიროებამ იმთავითვე დღის წესრიგში დააყენა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების შედგენის გადაუდებელი ამოცანა. ულექსიკონოდ ძნელი იყო არა მარტოოდენ რუსული ენის სრულყოფილად დაუფლება, არამედ, რაც მთავარია, ის ფართო მთარგმნელობითი მუშაობა რუსული ენიდან ქართულ ენაზე, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში რომ გაძლიერდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 139.

პირველი პრაქტიკული რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები ჩვენში XVIII საუკუნეზე ადრე შეუდგენიათ[1], მაგრამ მათ ჩვენამდის არ მოუღწევიათ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი შემონახულია მრავალრიცხოვანი ხელნაწერი ლექსიკონები, რომელთა მეტი ნაწილი გაბნეულია სხვადასხვა პირთა ხელში, ხოლო მცირე რაოდენობა თავმოყრილია საქართველოს სსრ, ლენინგრადისა და რსფსრის სხვა ქალაქების მუზეუმ-არქივთსაცავებში. ამ ხელნაწერების აღრიცხვა, ერთად შეკრება, წესრიგში მოყვანა და მეცნიერული შესწავლა ქართული ლექსიკოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

წინამდებარე ნარკვევის მიზანია შეისწავლოს ერთი კაპიტალური ქართულ-რუსული ხელნაწერი ლექსიკონი, რომელიც ამჟამად ლენინგრადს ინახება, შეაჯეროს იგი ცნობილ ლექსიკონებთან და მიუჩინოს მას თავისი ადგილი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ი. ბატონიშვილის კოლექციაში დაცულია კაპიტალური ქართულ-რუსული ლექსიკონი (№ 253), რომელიც მრავალმხრივ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. გარეგნულად ისაა საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ ვრცელი რედაქცია, გადათარგმნილი რუსულ ენაზე, ხოლო ხელნაწერის უფრო ახლოს გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი არსებითად ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონია, რომელიც ძირითადად საბა ორბელიანის ნაშრომს ემყარება, მაგრამ, ამასთან, ავსებს მას ახალი ლექსიკური მასალით, რიგ შემთხვევაში იძლევა ცალკეული სიტყვობრივი ერთეულების უფრო მკაფიო გრამატიკულ დახასიათებას და მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებას. მისი ავტორი, მართალია, საბა ორბელიანის მოწაფე და თანამიმდევარია, რომელიც მასწავლებლის მემკვიდრეობას იცავს, მაგრამ ერთ წერტილზე კი არ დგას. პირიქით. მემკვიდრეობას წევს წინ, ავითარებს, ავსებს, აზუსტებს, ახალ წყაროებთან ამოწმებს. ხელნაწერი ამიტომ წარმოადგენს ქართული ლექსიკონის ახალ რედაქციას, ქართულ-რუსული ლექსიკონის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს.

ქართულ-რუსული ლექსიკონის სხვა ნიმუში შეუდგენიათ მამაშვილს სიმონ დანიკო ეგნატაშვილებს XIX საუკუნის დასაწყისს, მოუმზადებიათ ის დასაბეჭდადაც, მაგრამ უშედეგოდ. დოც.

[1] ალ. ღლონტი, რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში (ბიბლიოგრაფიული შენიშვნები), „სტალინელი“, № 182 (2937), 1954 წ. მოგვიანო პერიოდში, მეცხრამეტე საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, შედგენილ იქნა მრავალი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელთაც გამოცემა არ ღირსებიათ. ესენია: იონა ხელაშვილის (S 22), პლატონ იოსელიანის (1823 წ., S 2387), ნიკო ჩუბინაშვილის (1832 წ., S 3712, 3713) და სხვათა ლექსიკონები, რომლებიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ან. აბრამიშვილის სპეციალური გამოკვლევიდან ჩანს, რომ ამ ლექსიკონის შედგენაზე ხსენებულ მამა-შვილს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს, მამის სიკვდილის შემდეგ ნიკო ეგნატაშვილს ლექსიკონი სასტამბოდ გაუმართავს და 1806 წლის 6 თებერვალს რუსეთის მაშინდელი განათლების მინისტრისათვისაც კი გაუგზავნია დაბეჭდვის ნებართვისათვის. ნიკო მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა და მოუთმენლად ელოდა მინისტრის პასუხს. მინისტრს ლექსიკონი მეფისათვის წარუდგენია, ხოლო ამ უკანასკნელს, როგორც ან. აბრამიშვილის მიერ გამოქვეყნებული საარქივო მასალები მოწმობს, უარი განუცხადებია ლექსიკონის დაბეჭდვაზე. ხელნაწერი თითქმის 6 წლის შემდეგ, 1813 წლის 16 თებერვალს, უკანვე დაუბრუნებიათ ავტორისათვის[1]. ამის შემდეგ ეს ლექსიკონი აღარსად იხსენიება და ამის გამო ჩვენ დღეს მის ავკარგიანობაზე სიტყვის ჩამოგდება აღარ შეგვიძლია. „თუ ეს ლექსიკონი ნაპოლეონის მიერ 1812 წ. მოსკოვში გაჩენილმა ხანძარმა არ იმსხვერპლა, შესაძლებელია ის დაცული იყოს მოსკოვის რომელიმე სიძველეთა არქივში და თავის დროზე აღმოჩნდეს კიდეცო“,— წერს მართებულად დოც. ან. აბრამიშვილი[2].

ხელნაწერი ლექსიკონი, № 253, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაორბელიანის ლექსიკონის არსებული რედაქციებისაგან. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მისი უფრო ახლო შესწავლის ინტერესს.

1. **ლექსიკონის აღნაგობა.** აღნაგობით ლექსიკონი საბას ნაშრომის გამეორებაა. ლექსიკური ერთეულები აქ ისევეა განლაგებული და განსაზღვრებულ-დახასიათებული, როგორც საბას თან. გამოყენებულია იგივე პირობითი ნიშნებიც. საკმარისია ეს ხელნაწერი შევადაროთ საბას ლექსიკონის ავტოგრაფებს, რომ ამაში დავრწმუნდეთ. ეშჩნევა, ლექსიკონი შედგენილა საბას ნაშრომის რედაქციების შეჯერების მიხედვით. ავტორი იცნობს საბას არა მხოლოდ ავტოგრაფულ რედაქციებს, ახალ რედაქციებსაც და მათ ავსებს. ლექსიკონის ქართულ ნაწილს იღებს ამ რედაქციების მიხედვით, ხოლო შემდეგ უმატებს თავის მასალას და, რაც მთავარია, რუსულ თარგმანს. შედარებისათვის ბასოზე მოგვაქვს რამდენიმე სიტყვა.

Н 1429 (ავტოგრაფი)[3]:	№ 253 (ლენინგრადი):
1. **ბა** ბაია, თუალის შავი.	1. **ბა** ბაია, თვალის შავი; озерочик в глазе.
2. **ბაალ** (უცხ.) ბომონი, გინა მპყრობელი.	2. **ბაალ** (უცხ.) ბომონი, გინა მპყრობელი.

[1] ან. აბრამიშვილი, ერთი უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ, „სახალხო განათლება“, 1952 წლის № 52 (1216).

[2] იქვე.

[3] გამოცემულია ს. ორდანიშვილის რედ., თბ., 1949.

3. **ბაალ** (უცხ.) (ოსე 10, 14). ორბელ, ინორლ; ეწყო ღმერთი.
4. **ბაალამ** (უცხ.) ერი ამაო.

5. **ბაალიმ** (უცხ.) ბომონი მპყრობელი, გინა ეშმაკი.

6. **ბაბანი** სიცივის აყოლის ჴმა.

7. **ბაბანიკი** მწეროსაგან მწეროს მოწოდება.

8. **ბაბაჭუა** დედაზარდლი.

9. **ბაბელ** (უცხ.) შფოთი და შერევნა.
10. **ბაბილო** მაღალი ვენაჯი (7.11 ფსალ.).

11. **ბაბილოვანი** (უცხ.) შერევნა, გინა შფოთი.
12. **ბაბილონი** ეგჳპტისა (64. 30) (29. 40).
13. **ბაბილონი** ბაღდადისა (83. 10) (33.50).
14. **ბაბრაბი** ბაბრის ტყავი (როსტომიანში).
15. **ბაბრი** სხუათა ენაა. ქართულად ჯიქი ჰქვიან.
16. **ბაბუსაგძალა** (მც.) (განუმარტებელია).
17. **ბაბღანი** (ფრ.) ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი, რომელსა თურქნი **ბუთიმარს** უჴმობენ.
18. **ბაგა** (1.3 ესაი) ესე არს პირუტყუთა საზრდელთა დასადებელი ადგილი. **ბაგა** ეწოდების სახლთა შინა მოდაბლო სარკ-

3. **ბაალ** (უცხ). ორბელ, ინორლ, ეწალ ღი, ოსე 13,1; ваал, евр.
4. **ბაალა** (უცხ.) ერი ამაო, суетный человек.
5. **ბაალიმ** (უცხ.) მპყრობელი ბომონი, გინა ეშმაკი, владетель, бемон, дьявол, евр.
6. **ბაბანი** სიცივის აყოლის ჴმა, голос дрожания от холода.
7. **ბაბანიკი** მწეროსაგან მწეროს მოწოდება, призывание, позыв журавлем.
8. **ბაბაჭუა** დედაზარდლი, паук, სარდი.
9. **ბაბელ** (უცხ.) შფოთი და შერევნა, ссора, смешение.
10. **ბაბილო** მაღალი ვენაჯი, 7.11 ფსალ., высокой, виноградной сад.
11. **ბაბილოვანი** (უცხ.) შერევნა, გინა შფოთი, Вавилон, ссора.
12. **ბაბილონი** ეგჳპტისა, 64,30,39, 40; Вавилон египетский.
13. **ბაბილონი** ბაღდადისა, 83, 10, 33,50; Вавилон.
14. **ბაბრაბი** ბაბრის ტყავი, როსტომიანში, боброва шкура.
15. **ბაბრი** სხვათა ენაა, ქართულად ჯიქი ჰქვიან, бобр, барс.
16. **ბაბუსაგძალა** (მც.) (განუმარტებელია).
17. **ბაბღანი** (ფრ.) ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი, ბუთიმარ.

18. **ბაგა** ესე არს პირუტყუთ საზრდელის შთასადებელი ალაგი. **ბაგა** ეწოდების სახლთა შინა მოდაბლო სარკმელთა. **ბაგად**

მელთა. **ბაგად** ითქმის ახალი ვენაჯი.

19. **ბაგაბუგი** რბილზე ცემის ჴმა

20. **ბაგე** (28.10 ესაია) ესე არს კაცთა პირისა ორნივე ლაშნი. **ბაგე** ეწოდების მდინარისა კიდურსა (47.7 ეზეკია). **ბაგედ** ითქმის კიდური ნავისა.

ითქმის ახალი ვენაჯი, ესაი 1,3; ясел.

19. **ბაგაბუგი** ლბილზედ ცემის ჴმა, голос происходящий от биения на что либо мягкое.

20. **ბაგე** არს კაცთა პირისა ორნივე ლაშნი, 18,10 ესაია; губы. **ბაგე** ეწოდების მდინარის კიდურსა, 7, 7 ეზეკია; **ბაგედ** ითქმის კიდური ნავისა; берег, край реки или судна.

ეს შედარებითი სქემა მოწმობს, რომ ლექსიკონის მთავარი, ქართული, ნაწილი აღებულია საბას „სიტყვის კონიდან“ რედაქციული ცვლილებით. ავტორი საბას ავტოგრაფს მიჰყვება, მაგრამ მას ყოველთვის სიტყვასიტყვით არ იმეორებს, ასწორებს და აახლებს მას. რაც შეეხება ლექსიკურ მასალას, ოდნავი გამონაკლისის გარდა, მას მთლიანად იღებს. სხვა ასოთა მასალებშიაც ანალოგიური სხვაობა შეინიშნება, სიტყვათა გრამატიკული დახასიათებაც ისევეა მოცემული, როგორც საბას ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციებში. ერთი სიტყვით, № 253 ხელნაწერი ლექსიკონი აღნაგობით საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონია“, შევსებული და დაზუსტებული.

2. **ლექსიკონის ქართული წყაროები.** ხელნაწერი უხვად იმოწმებს ლიტერატურულ წყაროებს. თითქმის ყოველი სიტყვა გარკვეული ძეგლიდან ჩანს ამოღებული, მაგრამ წყარო ყოველთვის აღნიშნული არაა. საბა ორბელიანის ავტოგრაფულ „სიტყვის კონაში“, ს. ორდანიშვილის გამოთვლით, 112 წყაროა დამოწმებული[1], № 253 ხელნაწერში კი, ჩვენი გამოთვლით, 140-ზე მეტი ძეგლია მითითებული. ზოგი მათგანიდან ასეულობით სიტყვაა ამოღებული, ზოგიდან კი მხოლოდ თითო—ორ-ორი. დამოწმებული ძეგლების მეტი წილი სასულიერო ხასიათისაა და ლექსიკური ერთეულების უდიდესი უმრავლესობაც აქედანაა აღებული. საერო შინაარსის თხზულებებიდან გაცილებით მცირე რაოდენობის მასალაა ამოკრებილი. ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ სასულიერო შინაარსის თხზულებებიდან ამოკრებილი სიტყვობრივი მასალა საერო ხასიათის ძეგლებში არ გვხვდება. ეს მასალა საერთო ქართულის მასალაა, მაგრამ ხაზგასასმელი ისაა, რომ საერო შინაარსის თხზულებები ჩვეულებრივ იშვიათადაა ნახსენები და,

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. ორდანიშვილის რედ., თბ., 1949, გვ. 581—583.

თუ მასალა ამ უკანასკნელიდანაა ამოღებული, იგი უფრო წყაროს უჩვენებლადაა შეტანილი ლექსიკონში. მაშასადამე, აშკარად შეინიშნება საერო თხზულებების დაუმოწმებლობის ტენდენცია. ბუნებრივიც იყო. ამას მაშინ თავისი ახსნა ჰქონდა.

შედარებისათვის მოგვაქვს რამდენიმე ბიბლიური (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნიდან დამოწმებულ სიტყვათა რაოდენობის შედარებითი სქემა:

ა) სასულიერო (ბიბლიური) წიგნებიდან დამოწმებულია:

1. წინასწარმეტყველება ესაიასი — 313 სიტყვა.
2. წინასწარმეტყველება იერემიასი — 279 სიტყვა.
3. წიგნი დაბადებისა — 291 სიტყვა.
4. წიგნი მეორე გამოსვლათა მოსესი — 238 სიტყვა.
5. წინასწარმეტყველება ეზეკიელისა — 189 სიტყვა.
6. დავითნი (ფსალმუნი) — 136 სიტყვა.
7. წიგნი III ლევიტელთა მოსესი — 116 სიტყვა.
8. წიგნი ქება-ქებათა მეფისა სოლომონისა — 67 სიტყვა.
9. სახარება მათესი — 203 სიტყვა.
10. სახარება მარკოზისა — 85 სიტყვა.
11. სახარება ლუკასი — 110 სიტყვა.
12. სახარება იოვანესი — 77 სიტყვა.

ბ) საერო ხასიათის თხზულებებიდან დამოწმებულია:

1. როსტომიანი — 4 სიტყვა.
2. დარეჯანიანი — 12 სიტყვა.
3. ვეფხისტყაოსანი — 37 სიტყვა.
4. ვისრამიანი — 15 სიტყვა.
5. ქართლის ცხოვრება — 13 სიტყვა.

დამოწმებული წყაროებიდან არც ერთი არაა ბეჭდური, თუმცა ამ ლექსიკონის შედგენის მომენტში მრავალი (სასულიერო და საერო) ნაბეჭდი წიგნი გექონდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორს წყაროთა ჩვენება ნასესხები აქვს საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ერთი რომელიმე პირიდან და იგი ხელმეორედ აღარ შეუჯერებია ბეჭდურ დედნებთან. ამით აიხსნება წყაროთა მუხლების ჩვენებაში ის შეცდომა-შეუსაბამობანიც, რომლებიც ასე უხვად გეხვდება ხელნაწერში.

ირკვევა, ავტორს უშუალოდ წყაროებზე კი არ უმუშავნია, არამედ თითქმის მთლიანად გადმოუღია საბას „სიტყვის კონის“ ერთი რომელიღაც პირი და იმის მიხედვით გაუმართავს თავისი ნაშრომი. ქარ-

თული სიტყვების რუსული თარგმანი კი მას დამოუკიდებლად გაუკეთებია. სწორედ აქ ჩანს ავტორის ფართო მომზადება და ლექსიკოგრაფიული განსწავლულობა. მას ერთნაირი სიღრმით მოუცია როგორც ქართული, ისე უცხოური სიტყვების რუსული თარგმანი, რითაც ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის კარგ ცოდნასთან ერთად რუსული ენის ზედმიწევნითი ცოდნაც გამოამჟღავნა. XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენ ქართულ-რუსული ლექსიკონი არ გაგვაჩნდა და ახალი ნაშრომის შედგენა მოითხოვდა დიდ დროსა და ენერგიას, რაც ავტორს არ დაუშურებია. ამ ლექსიკონის ყველაზე ფასეული ნაწილი განმარტება-დამატებებთან ერთად სწორედ სიტყვარის რუსული თარგმანია. მართალია, ეს თარგმანი ჯერ კიდევ მიახლოებითია, არც გასამარტავი სიტყვისა და არც განმარტების საჭირო გრამატიკული დახასიათება რუსულ ენაზე მოცემული არაა, მაგრამ თავისთავად თარგმანი, ქართულ სიტყვათა რუსული შესატყვისები, დიდ ინტერესს იწვევს. აქ ჩანს ლექსიკოგრაფოსის ორიგინალობა, რაც მისი ნაშრომის ღირსებას ასე ამაღლებს. ჩვენთვის უცნობია უშუალო რუსული წყარო, რომელსაც ავტორი ემყარებოდა, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითს ლექსიკონს (1789—1794), რომლის მიხედვითაც მას განმარტებული აქვს არა ერთი და ორი სიტყვა, იცნობდა XIX საუკ. დასაწყისის სხვა რუსულ ლექსიკონებსაც. ამიტომ, ჩვენ გვგონია, ლექსიკოგრაფოსი სარგებლობდა ორი წყაროთი, ერთი მხრით, ემყარებოდა ქართულ მასალებს, უწინარეს ყოვლისა, საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ რედაქციებს და, მეორე მხრით, — რუსულ ლექსიკოგრაფიულ შრომებს, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში საქვეყნოდ იყო ცნობილი. ამ ორი წყაროს საფუძველზე მან შექმნა თავისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი.

ავტორი არ იცნობს ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონს, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდშია შექმნილი, რა დროსაც № 253 ხელნაწერი დგებოდა, და სავარაუდოა, არ იცნობდა არც სიმონ და ნიკო ეგნატაშვილების ქართულ-რუსულ ლექსიკონსაც, რომელიც ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არაა. ეს საკვირველი არცაა, რადგან ხსენებული ავტორები დამოუკიდებლად, პარალელურად მუშაობდნენ და ერთურთის შრომებს არ იცნობდნენ. სახელდობრ, № 253-ის ავტორი რომ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონს არ იცნობდა, ამას მოწმობს ქართული სიტყვების რუსული თარგმანი, რაც განსხვავებულადაა წარმოდგენილი ორივე ლექსიკონში. სანიმუშოდ მოგვაქვს რამდენიმე სიტყვის თარგმანი ბ-ასოზე ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის ორივე ნუსხისა (ლენინგრა-

დი — № 271, თბილისი — S 3709) და 253-ის ამ ერთადერთი ნუსხის მიხედვით.

S 3709, № 271:	№ 253
1. **ბაგირი** მსხვილი თოკი, საბელთან ნახე, канат [შდრ.: საბა: „**ბაგირი** საბელში ნახე“].	1. **ბაგირი** საბელში ნახე, толстой карабельной канат [ქართული ნაწილი მთლიანად საბას ავტოგრაფიდანაა ნასესხები, რუსული კი საკუთარია].
2. **ბადე** сеть, сетка, сеточка.	2. **ბადე** сеть, мрежа.
3. **ბადვა** ბადუა (ვბადავ, ვბადებ), შექმნა, გაჩენა, წარმოება, творить, производить.	3. **ბადვა** დაბადება, создание, сотворение.
4. **ბადიში** შვილის შვილი, внук.	4. **ბადიში** შვილის შვილი, внук.
5. **ბადრაგა** მატარებელნი მოგზაურთანი უვნებლად მეკობრეთაგან. ვეფხისტ. 1027, конвой [განმარტება ავტორისეულია, საფუძვლად აღებულია საბას ნაშრომი, მაგრამ ის ახლებურადაა გამართული].	5. **ბადრაგა** ჰაბუკი, მოგზაურთა წინა მავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს. 9 დარეჯან., Вождь путешествующих для безопасности [ქართული ნაწილი მთლიანად საბას ავტოგრაფიდანაა აღებული, რუსული კი ავტორისეულია].
6. **ბადრი** გავსილი მთვარე, полнолуние.	6. **ბადრი** გავსილი მთოვარე, полная луна, месяц.
7. **ბაზარი** საფარდულო, სავაჭრო ადგილი, ვეფხისტ. 978 და 1450; базар, рынок, ბაზარი, თ. ბაზარ.	7. **ბაზარი** სავაჭრო ადგილი, базар, рынок.

ჩვენ წინ, ცხადია, ორი ავტორის ორი განსხვავებული ნაშრომი დევს, ისეთები, ერთმანეთს რომ არ იცნობენ. სიტყვათა რუსულ თარგმანში დამთხვევა არ გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მაგალითებს (ბადიში, ბაზარი), რომელთა თარგმნა-განმარტებისას თანხვდენილობა მოსალოდნელიცა და აუცილებელიც იყო. ორივე ლექსიკონის რუსული ნაწილი ცალკე, დამოუკიდებელი ნაშრომია, ერთურთის პარალელურად შესრულებული. ეს იგრძნობა არა ამ მცირე, შედარებისათვის წარმოდგენილი, მასალით, არამედ მთელი ლექსიკონით.

3. **რუსული შესატყვისები.** ლექსიკონის უდიდესი ღირსება, როგორც აღინიშნა, ქართული სიტყვების რუსული თარგმანით ჩანს. ეს გარემოება ამ ხელნაწერს გარკვეულ ადგილს აკუთვნებს ქართულ ლექსიკოგრაფიულ შრომებში. ავტორის მიზანი ქართული ლექსიკონის მო-

ცემა კი არ ყოფილა, არამედ ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა. მას აურჩევია მარტივი გეგმა: აუღია ს ა ბ ა ს „ქართული ლექსიკონი", რამდენადმე გაუმართავს იგი და ცალკეული სიტყვის გვერდზე მიუწერია რუსული შესატყვისი. ამ მხრით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ქართულ-რუსულ ლექსიკონს, რომელიც ახალ მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს ემყარება და ახალ პრინციპულ პრობლემებს აყენებს ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში, მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს № 253 ხელნაწერის მეცნიერულ ღირებულებას. პირიქით, მას განკერძოებულ ადგილს უჩენს და მის შესწავლას უფრო აქტუალურს ხდის.

ავტორი ყველა ქართული სიტყვის თარგმანს არ იძლევა. რუსული შესატყვისი მიწერილი არა აქვს უფრო ბევრ უცხოურსა და მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან აღებულ სიტყვობრივ ერთეულებს. უთარგმნელ სიტყვებს ყველა ასოზე ვხვდებით. ბ ასოზე, მაგალითად, 700-ამდის სიტყვაა და აქედან 71-ს მიწერილი არა აქვს რუსული თარგმანი. ეს სიტყვებია: ბანი, ბაბუსაგძალა (მც.), ბაბღანი (ფრ.), ბადლიჯანი, ბალახვარდი (მც.), ბალახში, ბალბა (მც.), ბადისპირი, ბალბალუკა (მც.), ბალთა, ბაიმა, ბალქოში, ბამობა, ბარაბა (უცხ.), ბაბითი, ბარგისტანი, ბარდი (მ.ც.), ბარდნალი, ბართლომე (უცხ.), ბარისპირა (მც.), ბარნაბა (უცხ.), ბ..რუთ, ბარული, ბარჩილონა (ქალ.), ბასილვა, ბასტანი, ბაძგარი, ბეიანია (უცხ.), ბეთიერ (უცხ.), ბელეკონი (უცხ.), ბელღარი, ბენეგენტოს (უცხ.), ბენგალა (ადგ.), ბენდარიამასი (ადგ.), ბერილი (მც.), ბერსაბე (უცხ.), ბეღურა, ბეცური (მც.), ბზაბზაკურა (ფრ.), ბზეწვია (ფრ.), ბიზანტია, ბითლისი (ადგ.), ბილა, ბირკი, ბისონი, ბლეცნარი (მც.), ბობალოსი, ბობოყველა (მც.), ბობოწვერა (მც.), ბოკვი (მც.), ბოლობეჭედა (მც.), ბოლოშავი (ფრ.), ბოჟი, ბორა (ფრ.), ბორაკი, ბოსტანა (მძრ.), ბოქვი (მც.), ბრაწი, ბრინჯი (მც.), ბრიალი, ბრტყუნა, ბრყენა (მც.), ბუზალაკი, ბურბურა (მც.), ბურჩხა, ბუხტული, ბუცუცი, ბუძგური, ბჭოვნებისა.

რატომ არ მიაწერა ავტორმა ამ სიტყვებს რუსული შესატყვისები? მიზეზი ცხადია. მან ა) ან ისინი არ ჩათვალა ქართულ ლექსიკურ მასალად და საჭიროდ აღარ მიიჩნია მათი თარგმნა, ეს განსაკუთრებით ითქმის უცხოური სიტყვების (საკუთარი სახელების) მიმართ, ბ) ან ძნელი გახდა შესაფერისი ცნება-ტერმინების დაძებნა რუსულ ენაში, — ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება მცენარეთა და ფრინველთა სამყაროდან აღებულ სიტყვებს. ამ ორმა მიზეზმა, ჩვენი აზრით, განსაზღვრა სიტყვათა გარკვეული ნაწილის უთარგმნელად შეტანა თარგმნითს ლექსიკონში.

ქართული სიტყვების რუსული შესატყვისები ყოველთვის შესაფერისად არ არის მოცემული. ხშირად ავტორი ცნების არა თარგმნით,

არამედ მხოლოდ აღწერით კმაყოფილდება, რაც აუფერულებს ლექსიკოგრაფიულ შრომას, მაგრამ ამ ხერხს იგი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მიმართავს. ასეა, მაგალითად, გადმოცემული ბ ა დ რ ა გ ა, რომელიც ავტორს აღწერილი აქვს — „вождь путешествующих для безопасности“. საკმარისი კი იყო ერთი სიტყვა: конвой, რომელიც სავსებით შეესატყვისება ქართულ ცნებას; ასევეა თარგმნილი ბ ა ზ ი ე რ ი: „человек, ходящий за ястребов, или птицевод“, უნდა ყოფილიყო: сокольничий“. ძირითადად კი ქართული სიტყვების რუსული შესატყვისები დაძებნილია მართებულად. ხშირად აქ შეცდომებიც გვხვდება. მაგ.: ბ ა ლ ი ს შესატყვისად ნახმარია вишня და არა черешня და სხვ., მაგრამ ასეთი ცდომილებანი ხელნაწერში შედარებით მცირეა. ავტორს დიდი ენერგია დაუხარჯავს, რომ ნაშრომი უნაკლო გამოსულიყო, რუსული შესატყვისი ქართული ლექსიკური მასალისა ყოფილიყო თანამედროვე და ზუსტი. ეს მიზანი ძირითადად მიღწეულია. არა თუ მაშინ, ეს შესატყვისები ძირითადად დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ მეცნიერულ-პრაქტიკულ ღირებულებას.

მოგვაქვს ამ მასალის მცირე ნაწილი ბ, ვ, კ, ქ და რ ასოებზე, რასაც ვადარებთ ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ხელნაწერ „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ სათანადო ადგილებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ერთადერთი ქართულ-რუსული სრული ხელნაწერი ლექსიკონია იმ პერიოდისა, რომელიც ჩვენამდისაა მოღწეული და ყურადღებას იპყრობს, როგორც ახალი მეცნიერული პრინციპების საფუძველზე შედგენილი ნაშრომი.

№ 253	S 3709, № 271
1. **ბაია** озрачик в глазе.	1. **ბაია** зрачок.
2. **ბაბაჭუა** паук.	2. **ბაბაჭუა** паук.
3. **ბაბილო** высокой виноградной сад [ეს თარგმანი ს ა ბ ა ს მიხედვითაა გაკეთებული: „ბაბილო მაღალი ვენაჯიო“, — ამბობს ს ა ბ ა, რაც მართებულადაა თარგმნილი რუსულად].	3. **ბაბილო** ветвь отпрыск, побежки [ეს თარგმანი კი შეესატყვისება სიტყვის ავტორისეულ განმარტებას: „რქა ვაზთა და სხვათა ნერგთა, ანუ შიმაღი“. რაც აქ სწორედაა თარგმნილი რუსულად].
4. **ბაბრი** ჯიქი, бобр, барс.	4. **ბაბრი** ჯიქი, თახვი, წავი, бобр, бобер.
5. **ბაგა** ясли.	5. **ბაგა** ясли.
6. **ბაგე** губы, что либо мягкое.	6. **ბაგე** уста, губы.
7. **ბაგე** берег, край реки, или судна.	7. **ბაგე** край судна, корм, берег речной, губа реки, озера и т. п. S 3709; край судна, губа реки, озера и т.п. берег речный, № 271.

8. **ბაგირი** толстой карабельной канат.
9. **ბადაგი** сладко и густо что сваренное.
10. **ბადე** сеть, мрежа.
11. **ბადენი** одеяние левитов из льня, соделанное.
12. **ბადია** бадья, большое блюдо, чаша.
13. **ბადიში** внук.
14. **ბადრაგა** вождь путешествующих для безопасности.
15. **ბადრი** полная луна, месяц.
16. **ბავთი ბოროტი მოამბე**, ჰავი, злословитель скорбение; ბავთის მიმღები, ბოროტის მომტანი, злапроносителъ.
17. **ბავლი** გამართვისათვის ქორის პირველდაჭერილი ფრინველი, в первой раз пойманная ястребом птица.
18. **ბავრუკი** натр, похоже на соль, серебряки употребляют в растопливании золота
19. **ბაზარი** базар, рынок.
20. **ბაზიერი** человек, ходящий за ястребов, или птицевод.
21. **ბაზი** ястреб, сокол.
22. **ბაზმა** вексель, расписка (!).
23. **ბაია** финиковые листы.
24. **ბაია** зеница.
25. **ბაკანი** чаша деревянная.
26. **ბაკი** огороженный.
27. **ბაკლა** род бобов.
28. **ბაკუნი** стукание ног.
29. **ბალავარი** большие фундаментальные камни.

8. **ბაგირი** канат.
9. **ბადაგი** патока.
10. **ბადე** сеть, сетка, сеточка, мрежа; невод; кружево.
11. **ბადენი** риза льняная.
12. **ბადია** бадья, блюдо.
13. **ბადიში** внук.
14. **ბადრაგა** конвой.
15. **ბადრი** полнолуние.
16. **ბავთი** სავალალოს ამბავის მოთხრობა; возвещение, слух скорбения, S 3709; სავალალოს ამბავის გამცემი, возвещение, слух скорбения, № 271.
17. **ბავლი** გასამართავის ქორისაგან პირველდაჭერილი მფრინველი [რუსული შესატყვისი აქ არაა].
18. **ბავრუკი** боракс, или бура.
19. **ბაზარი** базар, рынок.
20. **ბაზიერი** соколъничий.
21. **ბაზი** сокол.
22. **ბაზმა** светильник.
23. **ბაია** ваия.
24. **ბაია** зрачок.
25. **ბაკანი** ხის ჯამი [რუსული შესატყვისი არა აქვს].
26. **ბაკი** ограда.
27. **ბაკლა** турецкие бобы.
28. **ბაკუნი** стук ногами.
29. **ბალავარი** [რუსული შესატყვისი არ ახლავს].

30. ბალამწარა лесная вишня.
31. ბალანი шерсть, волос.
32. ბალანტი мешочик.
33. ბალახინი масло деревянное.
34. ბალახი трава.
35. ბალთვა разсекание, парубление.
36. ბალი вишня.
37. ბალიში подушка.
38. ბალღინჯი клоп.
39. ბალღოჯი кислая вишня.
40. ბამბა бумага хлопчатая.
41. ბანა купание.
42. ბანაკი ополчение, стан, лик, толпа.
43. ბანდი тряпица.
44. ბანდული анучки, иногда лапти.
45. ბანი бас.
46. ბანი кровля, потолок.
47. ბანოვანი владетельница, княгиня.
48. ბაო მცირე ჩრდილი, малая тень.
49. ბაჟი таможенная пошлина.
50. ბარათი записка.
51. ბარამბო трава, из которой пчелы высасывают сок.
52. ბარაქა благословение, изобилие.
53. ბარბაროსი აფრიკის თემი, შავნი, африканская степь.
54. ბარბაცი шатание.
55. ბარგი экипаж, имение.
56. ბარდღალა насекомое о многих ножках.

30. ბალამწარა вишня бешеная.
31. ბალანი волна.
32. ბალანტი влагалище, мешок.
33. ბალახინი бальзам, ბალზამი.
34. ბალახი трава, сено.
35. ბალთვა резать, рубить.
36. ბალი черешня.
37. ბალიში подушка.
38. ბალღინჯა клоп.
39. ბალღოჯი вишня.
40. ბამბა хлопчатая бумага, ბამბაჩი.
41. ბანვა купать, ся.
42. ბანაკი полк, стан.
43. ბანდი [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
44. ბანდული [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
45. ბანი бас.
46. ბანი кровля, терраса, труба у печи, камина и т. п.
47. ბანოვანი дама.
48. ბაო მცირე ჩრდილი [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
49. ბაჟი пошлина.
50. ბარათი записка.
51. ბარამბო пчельная трава.
52. ბარაქა обилие, изобилие, довольство.
53. ბარბაროსი წარმართი, варвар.
54. ბარბაცი шататься.
55. ბარგი экипаж, груз, вещи.
56. ბარდღალა გრძელი ჰუა მრავალფეხი [რუსული შესატყვისი არ ახლავს].

57. **ბარე** почти.
58. **ბარემ** пусть.
59. **ბარება** поручение.
60. **ბარვა** копание земли для увлажнения влажностью.
61. **ბარი** лопата железная.
62. **ბარი** ცხელი ქვეყანა, жаркое место, земля.
63. **ბარკალი** берцо, лядвея.
64. **ბარტყი** птенцы, молодые птенчики.
65. **ბარტყულა** клобук.
66. **ბარული** железная лопатка.
67. **ბარჯი** палка с крючком.
68. **ბასრი** сталь.
69. **ბასრობა** излишная критика.
70. **ბატკანი** ягненок.
71. **ბატკი** ягненочик.
72. **ბატონი** господин, владыка.
73. **ბაქანი** гладкое место в пещере.
74. **ბაქი** страшать кого словами.
75. **ბაღანა** მცირე ტყვე, маленький пленник.
76. **ბაღვა** გლეჯა, вырывание.
77. **ვედრება** моление, прошение.
78. **ველი** поле, нива.
79. **ვენახი** сад виноградной.
80. **ვეძა** кисловатыи источник.
81. **ვსება** наполнение.
82. **კაბა** кафтан.
83. **კაბადონი** страница.
84. **კაბდო** борона.

57. **ბარე** уже.
58. **ბარემ** и так, кстати.
59. **ბარება** поручать.
60. **ბარვა** копать землю заступом.
61. **ბარი** заступ.
62. **ბარი** ვაკე ადგილი მთის ძირში, степь, равнина.
63. **ბარკალი** стегно, ляжка.
64. **ბარტყი** птенец, детеныш.
65. **ბარტყულა** клобук.
66. **ბარულა** ხის ბარი. სათხრელი [русское заимствование не является].
67. **ბარჯი** багор.
68. **ბასრი** сталь.
69. **ბასრობა** ругаться, издеваться.
70. **ბატკანი** барашек.
71. **ბატკი** [русское заимствование не является].
72. **ბატონი** господин.
73. **ბაქანი** уступ в стене.
74. **ბაქი** хвастовство.
75. **ბაღანა** მცირე ტყვე [русское заимствование не является].
76. **ბაღვა** გლეჯა, გაგლეჯა [русское заимствование не является].
77. **ვედრება** молить, умолять.
78. **ველი** поле.
79. **ვენახი** виноградник, ზოგჯერ лоза.
80. **ვეძა** [соленный источник].
81. **ვსება** наполнять.
82. **კაბა** кафтан.
83. **კაბადონი** страница.
84. **კაბდო** [русское заимствование не является].

85. **კადრება** ответность, осмеливание.	85. **კადრება** дерзать, осмеливаться.
86. **კავი** ჩანგალი, кочерга.	86. **კავი** თავმოგრეხილი იარაღი ხისა ან რკინისა, крюк, крючек; ნავის ღუზა, котва, якорь.
87. **კანდელი** расписка, реверс, вексель.	87. **კანდელი** лампа, лампада.
88. **კორტნა** древорубление.	88. **კორტნა** [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
89. **ურუნი** гной, гнойще.	89. **ურუნი** [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
90. **ულვილი** голос испугавшихся.	90. **ულვილი** [რუსული შესატყვისი არ ახლავს].
91. **რაზმი** рота, эскадрон, войска.	91. **რაზმი** взвод, строй войска.
92. **რათურთით** чем либо, или вкупе.	92. **რათურთით** вкупе, весьма.
93. **რაინდი** кто лошадей манежить, берейжер.	93. **რაინდი** наездник.
94. **რიდი** удаление, убегание.	94. **რიდი** осторожность.
95. **რომ** чтоб.	95. **რომ** что, чтобы.
96. **რომელმან** кто, который.	96. **რომელი** который, какой.
97. **რუბი** четверть, четвертая часть.	97. **რუბი** четверть.

რუსული შესატყვისები, როგორც ვხედავთ, შერჩეულია სწორად. მთელი ლექსიკონის მანძილზე იგრძნობა ავტორის გამრჯე ხელი, მასალის სიუხვე, ორივე — ქართული და რუსული — ენის საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომ რუსული შესატყვისები, ოდნავი გამონაკლისით, ეჭვს არ იწვევს, ასახავს ქართული და რუსული ენების ლექსიკური შემადგენლობის იმ პერიოდის დონეს და სანდოა. მათი დიდი უმეტესობა ახლაც ხმარებაშია და გამოიყენება.

4. **სქოლიო.** ლექსიკონში შეტანილი ქართული მასალა საბასეულია, მაგრამ მრავალი სიტყვის ქართული განმარტება ახლებურია, ამასთან ზოგ მათგანს გაკეთებული აქვს საგანგებო სქოლიო, რაც ხაზს უსვამს სიტყვის მნიშვნელობის იმ მხარეს, საბას ნაშრომში რომ გვერდაქცეულია. სქოლიო იგივე დამატებაა, ოღონდ დამატება ცალკეული სიტყვის განმარტებისა. მაგალითად, უცხოური სიტყვა „აბდემელიქ“ საბას განმარტებული აქვს ასე: „მონა მეფისა“. ამას ჩვენი ავტორი უმატებს რუსულ შესატყვისს: „раб царской“, ხოლო სქოლიოში შე-

ნიშნავს: „აბდალი უზდელი, ბრიყვი კაცი, неуч“. ეს უკვე ახალი სიტყვაა, რაც საბას ნაშრომში არ გვხვდება. სიტყვა „ადამი“ საბას განმარტებული აქვს ასე: „კაცი, გინა ქვეყნიერი, გინა მეწამული“. ამ განმარტებას ჩვენი ავტორი ურთავს რუსულ შესატყვისს: „Адам, рыжий, земляный“, სქოლიოში კი უმატებს: „ადამ ებრაულად წითელი, ამის გამო ეწოდება, ვინაიდგან ადამ წითელის თიხისაგან შექმნა ღმერთმან“. სიტყვა ამაკრო საბას დამოწმებული აქვს კავშირნის მე-8 თავიდან განუმარტებლად. ჩვენს ავტორს სქოლიოში მოუმატებია: „სიმწარე, ანუ გამწარება საქმეში: ესთავე ამაკრო დაათრობს მყოფთა ნეკტართა მიერ და დაამტკიცებს, აკმერა მათთა ამაკრო ამაკროსა“. აღმურკუნას საბასეულ განმარტებას: „დამურკვნებულად შემტკნარებული“. სქოლიოში მიმატებული აქვს „გასახამლება, გახამება“. ზეწრის საბასეული განმარტება მოცემულია ასე: „ყოველთა გარდასაფარებელი, საგებელთა და აქვანთასა და მისთანათასა. კუალად ქალთა თერისტოიცა ზეწრად ითქმის. ოდესმე სუდარიცა, занавеска, простыня“. სქოლიოში ამას ემატება: „კუალად ზეწარი ეწოდება ურმის ჰალისა ჩამოსაცმელს გახვრეტილს ხესა“. კამურის საბასეულ განმარტებას: „უურძენია ერთი რიგი“, ავტორი ურთავს რუსულ შესატყვისს: „виноград сего бога“ და სქოლიოს: „შავმარცვლიანი, წვრილი, მოგრძო, მსგავსი სააბის ყურძნისა“. სიტყვა კანიური (მც.) საბას განუმარტებლად ჰქონდა დამოწმებული, ჩვენი ავტორი კი სქოლიოში მას განმარტავს: „კწყილის თესლა, ჩახრაკულა. ყარნიარებ“. კვინწილა, საბას სიტყვით, კვინტილაა. ჩვენი ავტორი ამას სქოლიოში უმატებს: „ანუ საკუდიანო ზეთი, ვითამც წაისვამდენ და გაფრინდებოდენ“. საბა კუნკრუხელაზე ამბობს: „ჯიჩატელია ერთი“. ჩვენი ავტორი კი სქოლიოში ურთავს: „საზოგადო ხმელ ხილს ეწოდება“. კრჩხიალება, საბას მიხედვით, „დიაცთ კივილია“. ავტორი ჯერ მას რუსულ შესატყვისს უწერს: голомение, крик женщин, ხოლო შემდეგ სქოლიოში უმატებს: „წაგიორგი ქართველში: კრჩხიალი მფრინველთაგან გაჯავრებით ყივილი, ჭორისაგან“. კუსი, საბათი, აღრევაა. ავტორი ამასაც თარგმნის რუსულად — превратность და სქოლიოში უმატებს: „ანუ მიდგომა მამაკაცისა დედაკაცთანა. ამას ხევსურნი იტყვიან, ოდეს ცოლთან დაწოლა უნდათ, დაუძახებს: „მეკუს, მეკუსებიანო“. ლაბა, საბათი, ხიჩატელია ერთი. ავტორი უმატებს: „ლაბა წებოსავით რომ შედედდეს რამე, იმას ქვიან“.

სულმცირე საბას განმარტებული აქვს სულმოკლესავით. ჩვენი ავტორი კი ამას სქოლიოში უმატებს ახალ მასალას: „სულმცირე რა ზაფხულში მოწმენდილს დღეს დიდროანი ღრუბლები გამოჩნდება

წმინდად, მასცა ეწოდება. და საღმრთო წერილში შეამჰსგავსებს ღ თის მშობელს სიწმინდისა და შვენიერებისა გამო".

ლოფორთქინი ს ა ბ ა ს თ ა ნ განუმარტებელია. ავტორი კი სქოლიოში მიუთითებს: „ლ ო ფ ო რ თ ქ ი ნ ა ს თვისება აქვს, ოდეს გველს ნახამს მძინარეს, მაშინ გარსშემოუვლის და ლორწოს გაუშვებს ირგვლივ და შორს დაუდგება და უყურებს, რა გველი გაიღვიძებს და ნახამს იმ ლორწოსა, ვერღა იკადრებს გასვლად იმ ლორწოსა გარეთ. და დაიწყებს აქეთ-იქით მიმოხლასა და ესრეთ მოუძლურდება, რომ სიკვდილად მიიწურება და რომ ესრეთ დასუსტდება, მივა ეს ლოკოკინა და ზედ დააჯდება და დაუწყებს სისხლის წოვას და მით მოაკვდინებს".

ასევე მ ა ტ ლ ი ს ა ბ ა ს განუმარტებლად შეუტანია თავის ლექსიკონში. ავტორი სიტყვას ურთავს სქოლიოს: „მ ა ტ ლ ი მრავალსახე არიან, მძოვრისა არს თეთრი, ხილისა — მოყვითანო, ყინულისა — წითელი და შავი ხალიანი. ამას მოაგროვებენ, ზაფხულ შეინახავენ და თან იქონიებენ, სადაც თბილი წყალია დასალევი, იმაში ერთ თასში ერთ მატლს ჩააგდებენ, ასე გააცივებს, ვითა წყაროს წყალი, დალევენ. ეს მატლნი ბუდობენ არარატის მთაში, ინდოეთის მთაში და კავკასიაშიც, სადაც ძევს ზამთარ-ზაფხულ თოვლი, იმაში".

ს ა ბ ა ს განმარტებით, მ ი მ ო დ ა ყ უ ნ ა აქეთ-იქით განაბნევაა. ავტორი ჩვეულებრივ თარგმნის ამ სიტყვას: **расточил, промочал туда и сюда, на все стороны** და ურთავს სქოლიოს: „მიმოდება, აქა-იქ მოფენა, მიმოვრდომა, აქა-იქ მიმოხლა, წმიდა შუშანიკ დედოფლის ცხოვრ".

ნარჩიტა ს ა ბ ა ს დამოწმებული აქვს განუმარტებლად, ავტორი სქოლიოში განმარტავს: „თავი შავი აქვს, ტანი — ნაცრის ფერი, შემოდგომაზე ფერს იცვლის".

ნიბლია ასევე განუმარტებელია ს ა ბ ა ს თ ა ნ. ავტორი სქოლიოში მიუთითებს: „პირველად ბულბული ეწოდება, კათათვეში — ნიბლია და ანწლის დროს — ყარანა".

ოთხუური (მც.) ს ა ბ ა ს თ ა ნ განუმარტებელია. ავტორი მას განმარტავს სქოლიოში: „ჯავარა ბალახის გუარია, ღეროზე აქუს ოთხი ფოთოლი, ყვავილი მოგრძე აქუს, მომტევნო, მოწითანო". ასევე განუმარტებელია ს ა ბ ა ს თ ა ნ ო ს უ რ ნ ე ლ ა (მც.). ავტორი ამ სიტყვასაც სქოლიოში განმარტავს: „ბალახი ესე ბუჩქივით არის, სიმაღლით ადლზე მეტი, ყვავილი აქუს წითელი თეთრნარევი მტევანივით მოგრძე, ფოთოლი მოგრძე და მობრტყე, დაკბილული. მოვა უფრო ეწერსა შინა. უკეთუ ბალახსა ამას სველსა ჴელით გასრესს, დიდად გაუსიებს და გაუწითლებს".

ჰადაგების საბასეულ განმარტებას: „მაღალი ჴმით სწავლება", ავტორი სქოლიოში უმატებს „ჰ ა დ ა გ ე ბ ა შედგება შვიდთა წინადადე-

ბათა მიერ: 1. წინადადება ანუ საფუძველი, 2. მიზეზი, 3. განრემზომი, 4. შემჰსგავსება, 5. მაგალითი, 6. მოწმობა, 7. მტკიცე, დამტკიცება". ასევე ქორწილის საბასეულ განმარტებას: „სძლის მოყვანა", სჭოლიოში უმატებს: „ქორწილი ეწოდება კ˘დ, ვისაც ეკალი ანუ ხიკვი შეერჭობის ხელში თუ ფეხში და შიგ დარჩება, ვიდრე ის წყლული დამწიფდება და ის ეკალი არ გამოვა, ვინემ ეძახიან, მოითმინე, ქორწილ იქმნსო და მორჩებიო"...

ყველა სჭოლიო-დამატება ფასეულია, ახალ ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ ცნება-სიტყვის შესახებ. განსაკუთრებით ძვირფასია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან აღებულ სიტყვათა ასე ვრცელი აღწერა-განმარტება. ეს ცნობები ხელს შეუწყობს ლექსიკოგრაფიული მუშაობის შემდგომ ამაღლებას, ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკის გაგებაში მეტი გარკვეულობა-სიზუსტის შეტანას. ამ მხრით სიტყვები: ზეწარი, კამური, კანიაური, კრჩხიალება, ლოფორთქინა, მატლი, ოსურნელა, ქორწილი... პირდაპირ სანიმუშოდაა განმარტებული, წინ წევს საბას ნაშრომს. ავტორს ახალი ძვირფასი და სარწმუნო ცნობები შეუკრებია ლოფორთქინისა და მატლის განმარტებისათვის. მისი ფართო ბუნებისმეტყველური განათლება ეპვს გარეშეა. ამაში დაგვარწმუნებს ჩამატებული სიტყვების სემანტიკის გაცნობაც.

ნ. ჩამატებული უცნობი სიტყვები. ლექსიკოგრაფოსი არა მარტოოდენ მთლიანად იღებს საბას ლექსიკონს გადასანუსხავად, არამედ მას უმატებს ახალ, მეტ შემთხვევაში სხვა ლექსიკონებისთვის უცნობ მასალას. ჩამატებულია როგორც უცნობი ქართული სიტყვები, ისე უცხოური წარმოშობის, ნაკლებად პოპულარული სიტყვებიც, რომელთა გაცნობის საჭიროება ავტორს აუცილებლად მიუჩნევია. ჩამატებული სიტყვები არ შორდებიან საბას ენციკლოპედიური ლექსიკონის ფარგლებს, ავსებენ და უფრო აფართოებენ მას. ამ სიტყვების მეტი ნაწილი, სამწუხაროდ, შემდეგ მაინც უცნობი დარჩა საზოგადოებრიობისათვის, რადგან მათი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ისინი მთლიანად არ შესულა არც საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის" სპეციალურ გამოცემაში, რომელიც პროფ. ი. ყიფშიძემ და პროფ. ა. შანიძემ მოგვცეს 1928 წელს და რომელშიაც თავმოყრილია საბას ნაშრომში ჩამატებული მასალა, სხვათაშორის, ჩვენი, № 253 ხელნაწერიდან ამოკრებილი მასალაც. ჩამატებული სიტყვები გვხვდება ხელნაწერის ან სჭოლიოში, ან არშიებზე და ზოგჯერ ოდნავი განსხვავებული ხელითაა შესრულებული. როგორც ჩანს, ლექსიკოგრაფოსს ჯერ გაუმართავს თავისი ხელნაწერი, გადაუწერია ის და ბოლოს (იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ!) შეუტანია მასში ჩამატებასჭოლიოები.

მოგვაქვს ჩამატებული უცნობი სიტყვების ძირითადი ნაწილი.

აბედა არს მოგლილი (?), რომელიცა ფეხის თითზედ გამოვა, რომელსა უწოდებენ მოზოლსა.

აზიატიკა არა ეგოდენ სიმაღლისა მექონ არს.

აკუტუს პურის სახელია, რომელსა გამოაცხობენ კვერეულად და ზედ დახატავენ ჯვარსა, ანუ აღდგომის ხატსა და დიდ პარასკევს დაასვენებენ მაცხოვრის ხატის წინ საყდარში. მერე, აღდგომის მეორე დღეს, წირვის უკან, ლიტანიით შემოუელიან და შემოატარებენ გარ-გარე ეკკლესიასა ყოველთვის და მერე შაბათს ბრწყჳნვალე კვირისას დასჭრიან, წირვის უკან, სეპისკვერსავით და ხალხს დაურიგებენ და თავის მოწაფეთ შინაც გაუგზავნიან, ვინც ციებიანი სასოებით მიიღებს, განიკურნების.

ალითი (უცხ.) სპარსთა ენაა, ნიშნავს ერთი ალითი ხუთი ათას თუმანს.

ალიღორიკა (უცხ.) შჳენიერი უბნობა.

ალფა-ვიტა (უცხ.) ა ნ ბ ა ნ ა.

ალტამა ფეტვის ფქვილით გამომცხვარი კვერი.

ალე (უცხ.) ბაღსა შინა გრძლად და ბურვილთაგან ხეთასა ხეივანი.

ალმაჳური იხილე წმიდა გობრონის ცხოვრებაში, ნიშნავს საშინლად შეჭურვასა.

ამოსაზიდი ეწოდება, გრგოლსა რომ შეაბმენ იმერნი პაჭიჭზედ, და ზედ შეაბამენ ზონარს, და ჩაცმის დროს ამოიწევენ და წელზედ შემოიკვრენ, რომლისათვის ეძახიან, რომ პაჭიჭი ძირს არ ჩაიჩეჩოს.

ამრეზობა მონადირე ფრინველის პეპლობის დროს ახურებას ეწოდება.

ანაყრდენი აწვდილი, ამართული, აყუდებული, ვითა ჰსწერია ვეფხისტყაოსანში: „ქვაბთა კლდენი ანაყრდენი“ [ვეფხისტყაოსანში ეს სიტყვა მართლა გეხვდება ასეთ კონტექსტში: ავთანდილი უკან მისდევდა უცხო მოყმეს, ბევრი იარეს და საღამო ჟამს გამოჩნდა „დიდნი კლდენი“, რომელთა ძირს წყალი მიუდიოდა, წყლის პირას შამბი იყო და: „ხე დიდრონი, თვალ-უწდომი, მაღლა კლდემდის ა ნ ა ყ რ დ ე ნ ი“, 219,4].

არამზადა ქვიტკირის ნაქცევი, კირი და ქვიშა, გლეხნი უწოდებენ, ხოლო თათრულებ ბუშია.

ასტუდია მზაკვარი, ანუ ნაფოტი, წ. გიორგის ცხოვრებაში.

ატროშან სომხურია, სადაც ბორბალი ქარი მტვერს აბრუნებს, იმ ადგილზედ ძუელად საცეცხლეს გააკეთებდნენ სპარსნი და თაყვანს ცემდენ, ვითა შუშანიკ დედოფალმან რქვა თვისსა მსახურსა: „მეუღლე ჩემი იქმნაო ატროშნე“. იხილე იმის ცხოვრებაში [სიტყვა მართლა გეხვდება ხსენებულ ძეგლში, ოღონდ განსხვავებული წაკითხვით: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ ყო ჰეშმარიტი ღმერთი და აღიარა ა რ ტ ო შ ა ნ ი და შეერთო იგი უღმრთოთა“, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოც., თბ., 1938, II, 18].

აფხაზური ცხვრის ხორცი დაკეფილი, ცხვრის ფარდშიევე გახვეული და შემწვარი საჭმელად.

აღათონიკე (უცხ.) კეთილმძლეველი.

აღვრძვნა აღძურა, სვეტის ცხოელის მეტაფრასში.

აღლამი მორფი, კაცის სახედ დანაკვთებული მარმარილოსი თუ სხვისა, статуя.

აღმწვერვალობა უკიდურესკიდეობა, უფროსობა, ნ. სვეტის ცხოელის მეტაფრასში.

აღფოლხვება მოფონება, სვეტის ცხოელის მეტაფრასში

აწაწი ანუ ახლავ და ახლავ; აწიაწი ყმაწვილების ჩილიკა ჯოხი, რბენა დანიშნულს ადგილამდინ ძახილით: აწიაწი, ეხლა და ეხლა.

ბერანძი ტრმრის პირი მოკერებული.

ბრწკმალი ფეშხუმზედ დასადგმელი კამარა, წმიდა ეფთვიმის ცხოვრებაში [სიტყვა ხსენებულ ძეგლში მართლა გვხვდება. ოღონდ ოდნავ განსხვავებული წაკითხვით: „და კუალად მისცეს ოქროჲ განძად... და ორნი ბარძიმნი დიდნი ვეცხლისანი და ფეშხუმი კოვზითურ:ი და ბრწკლით", 31, 2].

გუაფანჩება გაბნევა, გაფანტვა, წმიდა გიორგი ქართველის ცხოვრებაში.

დაარსება არსად ქმნილება [ნიკო ჩუბინაშვილი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „დაარსება (დავაარსებ) არსებად მოყვანა, осуществлять, творить, производить, ჩახრუხა, 97"; S 3709, ლენ. № 271].

დიოს ძველად ღ თად აღიარებდენ, ამან მამა თჳსი შეკრა და ტარტაროზად შთააგდო. მრავალნი ბილწნი საქმენი ქმნა, თჳსსა თესლსა შთანთქმიდა. მან წარიტაცა აღამინიდ და ჰყვა თჳსთანა, რათა ასწავოს მამათმავლობაჲ და ყოველთა მემრუშეთა მრუშებისათვის ეწვეოდა და თვითცა მემრუშე იყო და დებთა თჳსთა ურთიერთის მოკულასა აზრახებდა. ირას და მიტრას, და აფროდიტეს, ასულსა თჳსსა პერსეფონის შეაგინებდის, ბილწებით დაეცემოდის და დიო ესე ყოველთა თავი არს.

დომენტი (უცხ.) დოღმატიკა, სიმტკიცე სჯულთა.

ეგმონდ ისლანდიაში მთა არის სიმაღლით ექვსი ვერსი, ანუ სამი ათასი მხარი.

ესებონის ტბა არს საღმრთო წერილში შემჰსგავსებული, ვითა თუალად უკუდავისა სიმისა და კუალად იტყვიან, რომელ ტბა ესე არს ყოველთვის წმინდა და შეუმრღუშლი და სიმღვრივისაგან თავისუფალი, რომელ ქება ქებათა შინა თუალად სიბრძნისა ჰსთქუა სულმან მყოფელმან სიბრძნისამან, მით რამეთუ სიწმინდე და კამკამიერ ყოფაჲ სიმართლესა შენისასა განდიდნა წინაშე ღ თისა (ქება ქებათაში, 2, 9).

ზღუარი სამზღუარი, წ. გიორგი ქართველის მეტაფრასში.
ზღმარტლი (მც.).
თაკარა ერთხელად დასაწვავი ხე, ალი ზე აღმავალი ტრიალით, აღტ-ჳნება.
თანამდგომი მასთან მყოფი, იმასთან მდეგი ერთად, თანამოსაგრე, მას-თან შემწე, თანამებრძოლი.
თანამგზავრი მასთან მსვლელი.
თოკნის ყურა მხალია საჭმელი, რომ მოიხარშება, უფრო გამწვანდება.
იაბო დაკოდილი ცხენი, ახტა.
ირაკლეს ძველათ ღ ̃თსა უწოდებდნენ, богиня.
კამედია ბერძნულის თეატრის სიმღერა არს. აგრეთვე დაბებსა შინა გლეხებთა სიმღერა.
კალმახი სოკო, რომელსა არყის ხე მოისხამს და სხვა, კარგი საჭმელია.
კალფაკი თავსახურავი, მოქსოვილი ქისის სახეთ.
კასკარილა თეთრი დარიჩინი, სალოზა.
კასმატა სტანბაში სახმარი, თხელი თუნუქისა არს გაკეთებული, ტრი-ქონში ჩასატანებელი გასაგანიერებად ტრიქონთა ერთისა მეორი-საგან ადგილისა. აგრეთვე ეწოდება პატიკსა სახაზავისასა, რომ და-უგდო მეტი.
კატარი ხემყრალა.
კედინარი თეთრია ერთი გვარი, წ ̃ა ეფთვიმის ცხოვრებაში.
კეთილზნეობა კეთილჩვეულება.
კერანწუტი მჭლე, ტახი, მეომარი.
კერასეული ღვინის დასალევი ჭურჭელია, რომელსა აქვს სამი ცერზედ გარდახვეულის ძაფის სიგანე და ერთი გოჯის სიმაღლე, რ ̃ლსაც მემარხულე ბერები დალევენ ამით [დიდ მარხვის პირველს პარა-სკევს[1]].
კერონში წმიდა გიორგის ქართველის ცხოვრებაში.
კრონოსი ძველად ღმერთად აღიარებდენ და მიაწერდენ, რომელმანც შვილნი თჳსნი შთანთქნა და ანდამატისა დანაკითა მამასა თჳსსა სარცხვინელნი დააჭრა, წმიდა კლემენტოსის ცხოვრებაში.
კუდო ბალახი. კ უ დ ი ა ნ ი ეშმაკი კაცია. კ უ დ ი ძაღლისა ანუ სხვათა.
კუმაში (ყუმაში) განჯაფაში სათამაშო ქაღალდს ეწოდება.
ლაფიცხაური მწუარი თევზი, თუ ხორცი გრძლად დაჭრილი და შამ-ფურზედ აგებული და თორნეში შემწვარი.
მაბზაკუნა წყალწყალა.
მაკარა გამორიცხვა.

---

[1] კედრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გადახაზულია და ზედ აწერია: „როდესაც უჩენს, იხილე ჭამში".

მაყნოსებელი მასუნებელი, წმიდა სვეტი ცხ.
მენანდრიანე მწვალებელთ მთავარი იყო სამარიასა შინა წელსა ქრისტესიდან 80-სა.
მეტანია ბერძულია, მუხლთმოყრა.
მეტაორი არს რაჲცა ჰაერში ცეცხლივით გამოჩნდება, ნივთნი, ამის მეტყველება არს მეტეორი.
მეტრფი ტრფიალის მოყუარე, იხილე კავშირში.
მიენიგონი ლექვი, მაგრამ ლომის ლექვს უფრო ნიშნავს.
მიმოხლა აქა-იქ მიმოწყვეტა.
მიპარვა ჩუმად მისვლა, მიყინება, დაუყინოს ვისმე; მ ი ჟ ა მ ე ბ ა მისაათება, წმიდა შუშანიკ.
მირაცუალება მუნ მიცვალება, ანუ გარდაცვალება, წმიდა გიორგი ქართ.
მიხანიკა მანქანა, ორღანო არს ესგუარი, რომლითაცა მძიმეთა ნივთთა სუბუქად შეუძლებს აწევასა და აგრეთვე სხუათა და სხუათა ძნელთა სამუშაოთა ადვილ შეუძლებს წარმართებად და ერთითა ჩარხი... შემძლებელ არს სხვათა მრავალთა ჩარხთა მუშაობად.
მიტრია მეზვრე.
მოფითქუა თოვლისაგან მცირედ და თხლად მიწის დაფარვა.
მოწვლილება დაწვლილება, ანუ გამოწულილვა, წმიდა სვეტის ცხოელში.
მწკრივი განწკრიებული, განზიდული გძლად მდგომარე კაცი, თუ სხვა რამ გაგძელებული.
ნაიბი ბატონისა და მეფის მაგიერი.
ნასუსი გრძელი მილია ტუმბოსავით, ამოსაზიდი ღვინისა, სხვას ჭურჭელში გადასაზიდად.
ორობითი ორად რომ იყოს რიცხვი, ანუ მწყობრი, თუ სხვაჲ რაჲმე.
პატა მომცრო, პატარა, გლეხნი ხმარობენ სიტყვაში.
პიიტიკა შაირი, პ ი ი ტ ი კ ო ს ი მოშაირე, მოლექსე.
პსიხოლოღია ბერძულია, სულზედმეტყველება, მეტაფიზიკაში.
სადა რკინა უჯავრო და მისთანანი, რომ არ იყოს ქმნილი რამ მშვენიერად.
სადაგო დღე სამუშაო და არა უქმიანი.
სალომია იყო ფილიპეს ცოლი, ეროდეს რძალი და იროდის დედა.
სამთითი ჩანგალი, სუფრაზე სახმარი, вилка.
საურელი სამწუხარო რაჲმე.
სვინტაქსი თხზვა, გინა შეთხზვა.
სკუნა იმერნი ხმარობენ, ქორწინება, დაგვირგვინება, აგრეთვე ჯოხის დაკურა, გალახვა.
სოლიანჯი არს ბალახი, პურში ურევენ, კაი სუნს მისცემს. აგრეთვე შავ კაკალს ეწოდება.

სტადი არს ზომა 125 ხარისხისა, ხოლო რომაულად არს ნაბიჯი 625, და ბერძულებ 600 ნაბიჯი.

ტაბლა ამას გლეხნი უწოდებენ, ოდეს სასაფლაოზედ მოიტანენ ხონჩით საჭმელთა და მღვდელს პანაშვიდს ახდევინებენ.

ტყლაპი თათარასავით ქმნილი ტყემლის მჟავე თუ სხუა.

უბურაო დაუბურავი, დაუხურავი.

უბერაობა უხურველობა, წმიდა გიორგი ქართ.

უგუარო თევზია, ჭანჭრობის კაპოეტი ანუ ქაშაპი.

უმალესი უმსწრაფლესი, უწინდელი.

ფელუკა ნავია საზიდარი დიდროანს წყლებსა შინა მცირეთა სავაჭროებთათვის.

ქალშავი მხალია საჭმელი.

ქალკიდონ ძვირფასი თუალია, ფეიბადა.

ქარმონა ბაღნარი ფრინველი.

ქორჭილა თევზია, ყირმიზყანათ, окунь.

ქურიმა ქვრიმა, ფეტვის მსგავსია.

ღენესი ეწოდება შესაქმის წიგნსა ანუ დაბადებას.

ღიჭი ბურწუმელი, ბუჩქია, თეთრს ყვავილს დაისხამს, ფოთოლი მოგრძელო და დაკბილული აქვს და ღერო ეკლიანი.

ჩამოქვირვება ზეიდგან ქვე შთამოქვირვა.

ჩიხაული მებანდარი.

წევრი სირა, ანუ შთამომავლობა.

ჭინჭალა უმცირესი ჩიტი, თითქმის ერთის გოჯის ოდენი, ფერით ნაცრისფერი დედალი, ხოლო მამალი არის შავი. ნისკარტი აქუს მოგრძე და წვრილი, ზამთრით მოურიდლად შევა სახლებში. ესე მტერია ბაზა ბუზისა, რომლითაც ზამთრობით გამოიზრდება მისის ჭამითა.

ხირა არს თათრული ლექსი. ესე ჰსჯულად უძთ თათართა, რომელთაც მოუვათ წელიწადში ერთხელ ესე დღეობა. საღამო ჟამს შეიყრებიან ერთ სახლში დედაკაცნი და ქალნი და მეორე სახლში კაცნი. რა დაღამდება, დედაკაცნი გაიხდიან ნიფხავთა და მიიტანენ სხვანი და შთაუყრიან ბანიდგან კაცთა და წაეხვევიან ეს კაცნი და თითო ნიფხავს აიღებენ. ვისიც ნიფხავი იქნება, იმას მიუტანენ და იმ ღამეს იმ დედაკაცს მიუდგება, გინდ თავისი ნათესავი და შვილი იყოს. ეს იცოდენ მაიდარში და მეფე ირაკლი ავად მოეპყრა და გააშლევინა.

ჭანტაზია გონებით გამოხატულება, ანუ გონებაში წამოყენება ანუ ახსენება.

6. **ბოტანიკური და ზოოლოგიური სიტყვარი.** ჩამატებული სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია ბოტანიკისა და ზოოლოგიის

სფეროდან. ასეთი ლექსიკური მასალა სპეციალურ შესწავლა-განმარტებას მოითხოვს და, შეიძლება ითქვას, მათი შეტანა არც იყო საკმაოდ განმარტებითს ლექსიკონში; იგი სპეციალურ ბოტანიკურსა და ზოოლოგიურ ლექსიკონებში უნდა მოთავსებულიყო. მაგრამ რამდენადაც ს ა ბ ა ს „სიტყვის კონა" თავისი ბუნებით ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონია, იქ ადგილი ჰპოვა ბოტანიკურმა და ზოოლოგიურმა ტერმინებმაც, მცენარეთა, ცხოველთა, თევზთა, ფრინველთა, ქვეწარმავალთა, მწერთა და მათი ორგანიზმების სახელწოდებებმა. ს ა ბ ა ს, ცხადია, არ შეეძლო სისრულით წარმოედგინა თავის ნაშრომში მთელი საქართველოს ფლორისა და ფაუნის ამსახველი მდიდარი სიტყვარი. მან ამ დიდ საქმეს მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა და მოგვცა პირველი აუცილებელი ლექსიკური ცნობები საქართველოს ფლორისა და ფაუნის შესახებ. სხვა ამოცანა ს ა ბ ა ს არც დაუსახავს. დიდი ლექსიკოგრაფოსის ეს გზა განაგრძო ჩვენი ხელნაწერის ავტორმა და ს ა ბ ა ს ნაშრომი ამ მხრით მნიშვნელოვნად შეავსო. ამრეზობა, აფხაზური, ზღმარტლი, თიკნისყურა, კალმახი, კასკარილა, კატარი, ლაფიცხაური, მაბზაკუნა, მიენიგონი, მიტრია, სოლინჯი, ტაბლა, უგუარო, ქალშავი, ქორჭილა, ჭინჭალა და სხვები ამ რიგის სიტყვებია, რომლებიც პირველად ხსენებულ ლექსიკონშია დამოწმებული. ზოგმა მათგანმა, მართალია, გვიან, ამ ხელნაწერის გარეშე, გაიკვლია გზა შემდეგდროინდელ ლექსიკოგრაფიულ შრომებში, მაგრამ მათი პ ი რ ვ ე ლ ი წერილობითი ფიქსირება მაინც ამ ძეგლში გვხვდება.

ჩვენი ავტორი რომ ფართოდ განსწავლული ყოფილა ბუნებისმეტყველებაში, ამას ნათელყოფს სპეციალური ცნება-ტერმინების გონებამახვილური განმარტება და ხაზგასმა ცხოველთა, მცენარეთა, თევზთა, მძრომთა სწორედ ისეთი ბიოლოგიური თვისებებისათვის, რომლებიც ქართულ წყაროებში აღნიშნული არ ყოფილა და საგნის საგანგებო შესწავლას საჭიროებდა.

სიტყვა ბანენა, მაგალითად, ს ა ბ ა ს შეტანილი არ ჰქონდა თავის „სიტყვის კონაში" და პირველად ის მხოლოდ № 253-ის ავტორთანაა დამოწმებული. მისი განმარტებით, „ბ ა ნ ე ნ ა არს ბალახი ეგვიპტეს და აბაშეთს, ესე ასრე დიდი გაიზრდება, ვითა ნიგვზის ხე და მოისხამს კიტრივით ხილსა ფუჩეჩიანსა, მერე ამ ხილს მოკრეფენ და დაასხმენ ცხელ წყალსა და მერე გაფცქვნიან, დია კარგი საჭმელია. შემოდგომაზედ ძირზედ გადასჭრიან, გაზაფხულზე ისევ გაიზრდება ეს ბალახი". აქ მცენარის ისეთი უცნობი თვისებებია ხაზგასმული, რომელიც ავტორს შეეძლო გაეგო უაღრესად ვიწრო სპეციალური ლიტერატურიდან, მით უმეტეს, ეს მცენარე ჩვენში არ იზრდება და მისი სახელი აქ ცნობილი არ ყოფილა. სიტყვა, სხვა ჩამატებულ ბოტანიკურსა და ზოოლოგიურ ტერმინებთან ერთად, პირველად გამოაქვეყნა პროფ.

ა. შანიძემ, როგორც საბას ლექსიკონის დამატება ჩვენი ხელნაწერიდან[1].

ბოტანიკა-ზოოლოგიის სამყაროდან აღებული სიტყვების სიუხვით ლექსიკონი ემსგავსება იოანე ბაგრატიონის იმავე კოლექციაში დაცულ რომელიღაც ენციკლოპედიური ლექსიკონის ფრაგმენტებს. ეს ფრაგმენტები სულ 21 ფურცელს შეიცავს და დაცულია № 3 შიფრით. მისი ავტორის ვინაობა უცნობია. ფრაგმენტები საერთოდ ენციკლოპედიური ლექსიკონის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბევრი სიტყვა-ცნება ახალი მასალის მოშველიებითაა განმარტებული, ხოლო განსაკუთრებით ვრცლად მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელწოდებებია განმარტებული.

სანიმუშოდ მოგვაქვს ისეთი რამდენიმე ლექსიკური ერთეულის განმარტება, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არ გვხვდება:

„**ადამის თავა** სახელი ესე ჰსწოდებია ძირთა ბანდრაგორა ბალახისათა, რომელიც აღმოსცენდების სამხრეთის მხარეს ევროპიისა, გარეგან კერძო არს მოყვითან-მოყომრალო ფერითა, ხოლო შინაგან არს თეთრი, ძირი აქუს ბუშტის სახე ყვითელი და ლორწოიანი წყლიანი. გემოთ არის მწარე, ხოლო სუნითა უსიამოვნო. მკურნალნი ხმარობენ ცივთა სხეულთა გარეშე სიმსივნისათვის განსაჭრობელად, რომელსაცა, ანუ დაჩეჩქვილს, ანუ წამალს შინა არეულით დაადებენ სიმსივნეზედან. ავთისადმათ თათრულად".

„**ადამის ვაშლი** ეწოდების ვაშლატამსა, იხილე მუნ".

„**ადამის ლეღვი** Musa papadisiaca. ადამის ანჯირ ხე, ესე გაიზრდება აზიასა, აფრიკასა და ამერიკასა შინა საკმაოდ დიდი და მსხვილი. თვით ხე ესე დაფარულია მრავალთა უკუწ ქვიციანის ქერქითა, ძირიდგან თავადმდე და აგრეთვე ტოტებითა. ფერით ემსგავსების ისევ ლეღვისა ხესა. სიმაღლით არის ვიდრე ექვს ადლამდის და სხუათა ლეღვთა განესხვავების ფოთლებისა სიდიდისა გამო ესრეთ, რომელ შესაძლებელ არს ორისა ფოთლითა დაფარვად კაცისა სრულისა სხეულისა, ხოლო ნაყოფი მისი არს დაკუთხვილი, სიდიდით და შესახედავად კიტრის მსგავსი, ხოლო გემოთი არს სასიამოვნო, ნოყიერი და განმაძღობელი ჟამის დროს".

„**ადიდ** აფრიკაში მელა ერთგუარი, რომელიცა ხმითა თვისითა შეაშინებს ლომსა, და ოდეს იხილავს ლომსა და დაიყვირებს მელა ესე, გაერიდების ლომი იგი".

„**ადიკა** არს ერთგუარი ცხოველი, რომელიც მყოფობს უფრორე აფრიკის მხარეს და მალამიანსა შინა, მხეცი ესე მჰსგავსებს ტანითა

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ე. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 34.

ძაღლსა, თავითა და პირითა მგელსა, ხოლო კუდითა მელასა. მხეცი ესე უფრორე დაიარება ღამე, და ესენი დადიან ხროებით ბევრნი ერთად. ყვირილი მათი მჰსგავსი არს ტირილისა, რომლისა გამო მრავალჯერ ილმობენ მსმენელნი მათნი, ვინაჲთგან ჰგავს ყვირილი მათი ყრმისა ტირილსა. და მხეცი ესე თანა ჰყვებიან ტიგრთა საშოვრისათვის საჭმელთა. და ოდესმე მოიპარებიან სოფლებთა შინა და მოიტაცებენ ძაღლსა, ფრინველსა და ოდესმე კაცსაცა".

„აედონი ფრინველია. ს ა ბ ა ორბელიანს უწოდებია იადონად. გარნა აედონი სხუა არს და იადონი სხუა. აედონი არს, რომელსა კანარეიკას უწოდებენ ჰალაკისა სახელისა გამო, რომელიც ბუდობს მუნ. ესე ფრინველი ჰივჰავზედ უმცროსია, ფერით ყვითელი, თავით მომცრო, ნისკარტი აქვს მოთეთრო წითელი, ბოლო ქვეითგან თეთრი, ზურგი მომწვანოდ დაფარული და მცირედ მოშავოდ შერეული ზოლები. ფეხები, პირის ფერი და ფრჩხილნი ჰჭონან თეთრი. ესე ფრინველი არის ტკბილ მომღერალი და თითქმის ყოველთვის გალობს. იზრდება ესე კანაფის თესლითა, ჴინჭველის კვერცხითა და აგრეთვე სალათას ფოთლითა და ხილებითაცა. მოჰყავთ მრავლობით ევროპიელთა რუსეთსა შინა და ჰყიდიან მუნ. ეს ფრინველი სხუაგანაც მოშენდება, სახლებში, რომელთაც უკეთებენ ბუდესა გოგრის სახედ პატარას მოწნულსა და დიდროანს, მორთულს ყაფაზებსა შინა და მოკიდებენ და მუნ გამოჰსჩეკენ ბარტყებთა. ხოლო იადონი ეწოდება ბულბულსა, რომელიც მოიხსენიების ღვთის მშობლის ს:აგალობელში: იადონო, ხმატკბილო. ამ იადონს თავის ადგილას განვმარტებ. იხილე მუნ. ხოლო აედონი ესე იცის ოდიშშიაც და ქსანზედაც და კახეთშიაც. მჰსგავსია ყოვლითურთ, გარნა უფრორე დიდია და აქვს თავიცა უფრო მოდიდო. გარნა არავინ ეძებს, რათა შეიპყრონ და იყოლიონ თავისად" [ავტორი საბუთიანად ეკამათება ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ამ სიტყვის განმარტებაში და მისი უხვი მასალა მოწმობს, რომ იგი საკმარისად ავტორიტეტული ბუნებისმეტყველია].

„აკაური ფრინველი, ყუი [253-ით: лебедь]. ფრინველი ესე არს თითქმის ორის ბატის ოდენი, ფერით თეთრი, კისერგრძელი და ნისკარტი აქუს შავი მჰსგავსადვე ბატისა მოყვანილობით. თვერსნი აქუს მომაღლო, შავი ტყავისფრად და გაბმული. ჰსცხოვრობს ზღუასა, ტბასა და მდინარეთა შინა. რომელსაც ინახავენ ბაღებში ევროპიელნი. ესენი ყოველწლივ გამოსჩეკენ შვიდ-შვიდს ბარტყებს, იზრდებიან წყლის ჭია-ჭუებითა და შეიპყრობენ წვრილ თევზთაცა. შინაურთ აჭმევენ ქერსა და შვრიასა, ვითა შინაურთ ბატებთა. სხვებ ფრინველი ესე ფრიად მრისხანეა, ოდესცა ჰყავთ ბარტყი და თითქმის კაცსაც არა რიდებენ ესე სახედვე. ოდესცა მამლები წაეკიდებიან ერთმანეთს, ესრეთ გრძლად იჩ:ხუბებენ, ვინემ ერთი მეორესა არა მოკლავს. ხოლო

სხვებ ოდეს სიკვდილი ამათ მოიწევის, ესე ფრინველი გრძნობს სიკუდილსა თვისსა რაოდენისამე დღისა წინად და იწყებს გალობასა მოუწყვეტლად დღე და ღამე და ამას მიაწერენ ბუნების აღმწერელნი, რომელ ესე ფრინველი ხმითა ამით ეკიცხვის კაცთა მათ, რომელნიცა იშიშვიან საკვდილისაგან. ხოლო ფრინველი ესე ამა გალობასა შინა მყოფი დალევს სულსა განსვენებით და მოკვდების. სხვებ არა ჰსჭამენ ამა ფრინველსა ამერიკელთა მეტნი. ხოლო ბუმბულნი ამა ფრინველთა ნაქებია დოშაქებისათვის, რომელსა თათარნი ყუითუქს უხმობენ. მკურნალნი ნაღველსა ამისას იხმარებენ ნაწყენობასა შინა, და ბუმბულსა მოხარშულსა დახუთვილობისათვის დასადებად, ხოლო ქონსა დამზრალისათვის, 2 სჯულთა, 14, 16; კარაპ. ყუი".

„აკვიანი მაიმუნი, რომელიცა ჰსცხოვრობს ბრაზილიასა შინა, კერძოთა ამერიკისათა და აფრიკისათა. ესე მაიმუნი უდიდესია სხუათა მაიმუნთა ზედა. ბეწვი აქუს შავი და წვერი ფრიად გრძელი. ბუნების ისტორიკოსნი ჰსწერენ, რომელ ამა მაიმუნთა შორის იყოს ერთი უპირველესი, ვითა მთავარი, ანუ მეფე, რომელიც აღვალს ხესა ზედა და სხუანი ქვეშე ხისა მის დგანან მოშიშებით და ოდეს იგი ზეიდგან ბუტბუტით გადმოსცემს რომელსამე ხმასა, მაშინ იგი დია წყნარისა და სიმდაბლის სახითა მოუგებს ნაცვალსიტყვაობას".

„აკვულა ისლანდიური ენით ვეშაპის მჰსგავსი თევზია. ჭართულებ წითელთევზი ეწოდება, აგრეთვე რედუინა, თათრულებ ნურმაი, ლათინურად სდულუს კაკარიას. ესე თევზი არის სიდიდით ხუთი ადლიდან ექვს ადლამდის, სიზრქით ორ ადლზე უმსხოსი. ტყავი აქუს ფერით შავი მოყომრალო და ხორხლიანი, ესე რომ ტყავი ამისი მსახურებს დურგალთა ნაცვლად ზოზირა. თავი აქუს დიდი და პირი განიერი და სასა წითელი. კბილნი ასხიან მრავლობით თითო გრის ოდენნი სიგრძით და ნახევარ გრით სიგანით, ზახვილნი და ხუთ რიგად ყბებზედ შემორიგებულნი. ფრთანი აქუს ყომრალი და ზრქელი და მოგრძე, ორი წინა და ერთი ზურგზედა. ხოლო ბოლო აქუს გრძელი და კბილებივით და მაგარი. ეს თევზი უკუ ჰსცხოვრობს ჩრდილოეთისა ზღვასა და საშუალ ქვეყნის ზღვასა, ფრიად მჭამელია ესე, რომელ ძლივ გაძღება და ამის მიზეზით ყოველთვის უკან დასდევს ზღუაში ხომალდით მოგზაურთა და ოდეს მოუკვდებათ ცხენი ან კაცი, ანუ სხვა რომელიმე პირუტყვი, მაშინ გარდაგდებულსა მას უკუ მძოვრსა შთანთქამს იგი. ხოლო სხვებ ცხოელი ესე ღამე ანათებს წყალსა შინა, ვითა ხმელზედა ციცინათელა. ოდეს შეიპყრობენ ამას, ქონსას ამისას ხმარობენ საპნისათვის და ტყავსა კარეტების თასმებად და სხვათა ესევითართათვის".

„აკაკი ხე. ესე არს ქართლსა და კახეთსა შინაცა. გარნა არა მრავლობით, ვითა სხვანი ხენი. ხე ესე არის სიდიდით ვიდრე წიფლის ოდენი, ქერქი აქუს ფერით ჩინარის ხესავით და ასხია მრავლობით სტოები.

ფოთოლი აქუს მგრგუალი და წვერი მომწვეტოდ და დაკბილული ფოთოლნი. ზეიდგან არის ფერით მწვანე, ხოლო ქვემოდგან მომჭრქალი ფერისა, ყვავილს დაისხამს მომცროსა და ყვითელსა ყუნწებთა შორის. ნაყოფს შეადრგენს გრძელისა ყუნწითა მსხმოიარესა შესახედავითა ბალის ნაკვეთისათა. და შეიცვენ თვითეულნი ხილნი თვითოსა თესლსა მტკიცესა, ხოლო ხილნი ამისნი პირველად იქმნებიან ყვითელნი და მერე, სიმწიფის დროს, შავწითელი, გემოდ არის ხილი ისე მოტკბო და მცირედ მომჟახო. სამკურნალოსა წამალსა შინა იხმარება ხილი ესე საწოვნელად ხველებისათვის. სხვებ სადურგლოსა შინაცა იხმარება ხე ესე და აგრეთვე გრკალების გასაკეთებლად, დაფებისა და ბალანდებისათვის".

„აკალაკახი სახელი. ცხოელი ესე ჭინჭველის სახის მექონ არს, ჰსცხოვრობს აფრიკასა შინა, სიდიდით არის ჭრიჭინას ოდენი. ესენი დადიან ერთად მრავლობით. და სადაც სახლში შეაგულებენ საჭმელსა პურსა თუ სხჭასა რასმე, შენახულს კიდობანსა ანუ ზანდუკსა შინა, შეძვრებიან მუნ ღამე და სრულიად შესჭამენ რაიცაღა არს მას შინა".

„აკალიფადი ცხოელი ესე მჰსგავსია სადაფისა და ჰსცხოვრობს ზღუასა შინა და ესე უფრო მომცრო და მომგრგუალო არს სადაფისა. ზურგი აქუს შავი და კოხიანი. ცხოელი ესე უფრორე ჰსცხოვრობს ნაპირსა ზედა ზღვისასა და არა ეწყობა ღრმასა ადგილსა. ამას მხოლოდ შინაგან აქუს, ვითა კუერცხის ცილა და ოდეს შეიპყრობენ და პირს გაუწეევენ, გაიყრება ორად, და შინაგან საშუალ ადგილსა ძევს შინაგანი მისი. ამას ექიმნი მიაწერენ, ვინცა მიიღებს, რომელ იყოს მარგებელ მკერდის სიფიცხისა. სხვებ სადაფი ამისი დია ხმელია და ადვილ დამტვრევადი. იხილე ნემესიოსის წიგნსა შინა".

ავტორის ბუნებისმეტყველური განსწავლულობა ეჭვს გარეშეა. მან მშვენივრად იცის ცხოველთა და მცენარეთა სამყარო. ყოველ საგანს აღწერს ზედმიწევნით, ახასიათებს მათ მათი არსებითი ნიშნების მიხედვით. ცხადია, ასეთი დაწვრილებითი აღწერა-განმარტებანი ჩვეულებრივი ლექსიკონისათვის თითქო ზედმეტია, მაგრამ ავტორის დიდ მომზადებაზე კი მიუთითებს. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ფრაგმენტებისა (№ 3) და № 253 ხელნაწერის ავტორი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

7. **სხვა ჩამატებული სიტყვები.** ავტორს საბას ლექსიკონში ჩამატებული აქვს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ან შემთხვევით გამორჩენია დიდ ლექსიკოგრაფოსს, ან საჭიროდ არ დაუნახავს მათი დამოწმება. ეს სიტყვები შემდეგ, როგორც საბას ლექსიკონის დამატებანი, საგანგებოდ შეიტანა დიდი ლექსიკოგრაფოსის ნაშრომის გამოცემაში პროფ. ა. შანიძემ და ამის შესახებ შესაფერისადაც აღნიშნა გამოცემის წინასიტყვაობაში. „ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში, — ამ-

ბიბს პროფ. ა. შანიძე, — მრავალი ჩანამატია მერმინდელი დროისა. ჩამატება გრძელდებოდა მთელი მეთვრამეტე საუკუნის სიგრძეზე და იგი არ შემწყდარა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც. ხელნაწერებში ამ მხრივ დიდი განსხვავებულობაა, — ვინ რას უმატებდა და ვინ რას: უმატებდენ ან სულ ახალ სიტყვებს, ან კიდევ ახსნას უწერდენ თან იმ სიტყვებს, რომლებიც სულხანის მიერ აუხსნელად იყო დატოვებული"[1]. „სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების ხანაში, — დაასკვნის ბოლოს პროფ. ა. შანიძე, — თვითეული ახალი სიტყვა, ან სიტყვის ახალი მნიშვნელობა, ან მნიშვნელობის ნუანსი მეტისმეტად ძვირფასია ჩვენთვის და ამან გამაბედვინა, რომ სულხან-საბას ლექსიკონში სხვების ჩამატებული სიტყვებიც გამერია. მაგრამ რომ ჩამატებული მასალა თვით სულხანის სალექსიკონო ფონდისაგან განსხვავებული იყოს, ჩანამატი სიტყვები ფრჩხილებში ჩავსვი ყველგან"[2].

პროფ. ა. შანიძეს მითითებული აქვს, რომ ჩამატებული სიტყვები მას საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს H 1035 ხელნაწერის მიხედვით, ხოლო ჩვენი ხელნაწერიდან ამოკრებილი სიტყვების შესახებ ნართაულად შენიშნავს: „ზოგიც, მგონია, იოანე ბატონიშვილის რედაქციიდან (№ 253 მისი კოლექციისაო)"[3]. ჩვენმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ ჩამატებული სიტყვების მეტი ნაწილი მთლიანად № 253 ხელნაწერიდანაა ამოღებული სიტყვა-სიტყვით. ჩამატებული სიტყვების მხრით ეს ხელნაწერი გვერდში უნდა ამოვუყენოთ საბას ლექსიკონის დავით რექტორისეულ რედაქციას, რომელიც ამ მხრით განსაკუთრებით მდიდარია, მაგრამ № 253 რედაქცია იმით განსხვავდება დავით რექტორის ნახელავიდან, რომ მას თან ახლავს ქართული ლექსიკური მასალის რუსული თარგმანიც, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ნაშრომის მეცნიერულ ღირსება-მნიშვნელობას.

ჩამატებული სიტყვები ცოდნის სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება. საერთო ხმარების სიტყვებთან ერთად აქაა სპეციფიკური ცნება-ტერმინები, ეროვნული და ნასესხები ლექსიკური მასალა, ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები. მათი რაოდენობა 400-ზე მეტია.

ეს ლექსიკური მასალა ავტორს ან უშუალოდ ძეგლებიდან ამოუკრებია, რის შესახებ ხშირად საგანგებოდაც შენიშნავს (სათანადო წყაროებს იმოწმებს), ან ხალხური ენიდან შემოუტანია ლექსიკონში. ლექსიკონის არაერთ ადგილას პირდაპირაა მითითებული: „იმურნი ხმარო-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. XX—XXI.

[2] იქვე, გვ. XXI—XXII.

[3] იქვე, გვ. XXI.

ბენ", „გურიულნი ამბობენ", „კახნი იტყვიან", „გლეხნი" ან „მთის კაცნი უწოდებენო" და სხვ. მაგ., ტრიკი სიტყვასთან ავტორს შეუნიშნავს: „ფუში, იმერნი ხმარობენ"; დელოსთან: „ეწოდება ნაცარტუტას, ვითარცა იტყვიან იმერნი: დელოში ჩაჰყარე ეგე სარეცხიო"; სამცხურისთან: „სუსუნაკის სენი, ანუ ყვერის ტკივილი. იმერნი უწოდებენ"... ასევე თხლამთან გვაქვს: „მუწყვის და წყლულის ჩირქია, გურიულნი ქმარობენ ესრეთ"; ფარაიასთან: „თევზის ქიცვი, გურიულნი უწოდებენ"; კარაპატინთან: „ძნის დასაწყობი, ჩალური თუ ჩარდახი, კახნი უწოდებენ"; კაკაროტთან: „კარია ეს გუბარი, რომ არ სუქდებოდეს, არც მწყლობდეს, გლეხნი უწოდებენ"; დაკვერცხებასთან: „ურმის თვალში რომ კენჭები ჩაერჭოს, იმის ამოღებას და გამობლას უწოდებენ გლეხნი"; გათარვასთან: „ძალით გაყვანა, ანუ ძალით გათრევა, მთისკაცნი ხმარობენო" და სხვ. ასეთი სიტყვობრივი ერთეულების უშუალო წყაროდ ხალხური მეტყველებაა დამოწმებული (იმერული, გურული, კახური, „მთისკაცური"—მთიულური), ე. ი. ლექსიკური მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოღებულია ქართული ენის დიალექტებიდან.

8. **ხელნაწერის ავტორის ვინაობა.** ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ უნდა იყოს ამ ხელნაწერის ავტორი და როდის დაიწერა იგი? როგორც აღინიშნა, ლექსიკონის ქართული ნაწილი ძირითადად საბა ორბელიანის „სიტყვის კონას" წარმოადგენს, ოღონდ მნიშვნელოვნად შევსებულ-შეჯერებულს. ჩამატებული სიტყვები კი ქართულ ლექსიკონში პირველად ამ ხელნაწერის ავტორს შემოუტანია. რაც შეეხება ქართული სიტყვების რუსულ შესატყვისებს, ის მთლიანად ავტორის ნაშრომს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ჩვენი ავტორის ორიგინალობა ჩამატებულ სიტყვათა აღწერა-განმარტებასა და ქართული ლექსიკური მასალის რუსულ თარგმანში ჩანს. იგი უაღრესად განსწავლული და ფართო მომზადების ლექსიკოგრაფოსია, რომელიც კარგად იცნობს არა მარტოოდენ ქართულსა და რუსულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს, არამედ სპეციალური მეცნიერებების მონაცემებსაც (განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას). ასეთი ადამიანი იყო სწორედ იოანე ბაგრატიონი, რომელიც სამართლიანად ითვლება საბას ლექსიკონის გამავრცობელ-შემავსებლად.

უშუალო ცნობა ხელნაწერის ავტორის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. ხელნაწერს ავტორის ვინაობა არ შემოუნახავს. აზრი ამ ხელნაწერის ავტორის ვინაობის შესახებ პირველად გამოთქვა პროფ. ა შანიძემ, მაგრამ არა გადაჭრით. საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის" გამოცემის წინახიტყვაობაში პროფ. ა. შანიძე, სხვათაშორის, შენიშნავს: „სულხანის ლექსიკონის გამავრცობელ-გადამკეთებელთა-

გან შეიძლება დასახელებულ იქმნენ ი ო ა ნ ე ბატონიშვილი (მისი კოლექციის № 253 ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში) და დავით რექტორი (თბ. უნივერსიტეტის მუზეუმი საეკლესიო ფონდიდან № 288)"[1]. მკვლევარს ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი არ მიაჩნია № 253 ხელნაწერის უშუალო ავტორად, მაგრამ ის კი მას თვლის ს ა ბ ა ს „ქართული ლექსიკონის" გამავრცობელ-გადამკეთებლად". ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს სხვა ლექსიკოგრაფიული შრომებიც აქვს (ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი რუსულ-ქართული კაპიტალური ლექსიკონი, რომლის ერთი პირი დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იმავე კოლექციაში—№ 272, ექვს ტომად, მეორე პირი კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში — H 2328) და ამიტომ ასეთი ეპითეტით მისი მოხსენება სავსებით გასაგებია. ჩვენ გვგონია, რომ № 253 ხელნაწერი ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ნაშრომია. ძეგლი პირადად მთლად მას თუ არ შეუდგენ-გადაუნუსხავს, მის შედგენა-გადანუსხვაში აქტიური მონაწილეობა მიუღია, ლექსიკონი მისი ხელიდანაა გამოსული, მისი ხელმძღვანელობითაა შედგენილი. ამ აზრს ამართლებს ისიც, რომ ხელნაწერი დაცულია მის პირად არქივში სხვა საკუთარ მასალებთან ერთად.

ჩვენი საბოლოო აზრი ხელნაწერის ავტორის ვინაობის შესახებ, მაშასადამე, ასეთია: ლექსიკონი ან მთლად პირადად ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს მიერაა შედგენილი, ან მას კაპიტალური ნაშრომის შედგენა-გადანუსხვაში ქმედითი მონაწილეობა აქვს მიღებული. ძეგლის ავტორად თუ არა, მის მთავარ თანაავტორად და რედაქტორად სწორედ ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი აზრით, ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს კალამს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ზემოთ მოხსენებული ენციკლოპედიური ლექსიკონის ფრაგმენტებიც, რომლებიც დაცულია მისსავე კოლექციაში — ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (№ 3). ამ ფრაგმენტებში, ისევე როგორც № 253-ე ხელნაწერში, მთელი სიზუსტითაა განმარტებული ბოტანიკა-ზოოლოგიის სამყაროდან ამოღებული ლექსიკური მასალა. პირადად ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს კი ფართო საბუნებისმეტყველო მომზადება ჰქონია. პროფ. ა. ც ა გ ა რ ლ ი ს ვარაუდით, ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ს შეუდგენია ერთგვარი ბუნებისმეტყველური სიტყვარი სათაურით „მდელოთა, მწერთა, მხეცთა, ფრინველთა, და ქუჱწარმავალთა სახელნი, და აგრეთვე სხვათა მატლთა და ბუზთა, ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, ლათინური, სომხური", რომელიც დაცული ყოფილა პროფ. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს არქივში. „Автор этого словаря, — წერს ამ ხელნაწერის შესახებ პროფ. ა. ც ა გ ა რ ე-

[1] გვ. VI.

ლი, — вероятно царевич Иоан Георгиевич, так как тут же на отдельном листе имеется надпись по-русски: слова из натуральной истории собрания царевичем Иоанном"[1]. ეს ვარაუდი სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. ამას გვაფიქრებინებს იოანეს მთელი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის პრაქტიკა, მისი ენციკლოპედიური ლექსიკონის ფრაგმენტები, კაპიტალური რუსულ-ქართული ლექსიკონი, და ბოლოს, № 253 ხელნაწერი ლექსიკონი, რომლებშიაც ასე მდიდრულადაა წარმოდგენილი ბოტანიკა-ზოოლოგიის სამყაროს ამსახველი ლექსიკური მასალა.

როდისაა გადაწერილი ხელნაწერი? არც ამაზე გვაქვს უშუალო მითითება. ხელნაწერს ბოლოს, ტექსტის ხელით, ასეთი მონაწერი აქვს: „სრულიქმნა სიტყვის კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექსიკონი, ქ კს აქეთ... (გამოტოვებულია მთელი სტრიქონი) სევდის საქარვებლად" და აქ წყდება მსჯელობა გადაწერის თარიღისა და გადამწერის შესახებ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს XIX ს. პირველ ორ ათეულ წელს. ამას მოწმობს ერთგან შენიშნული ქაღალდის ჭვირ-ნიშანიც, რაც 1811 წელს გვიჩვენებს.

ამრიგად, ხელნაწერის ავტორ-გადამნუსხავია (ან ერთ-ერთი ხელმძღვანელ-რედაქტორი ამ ძეგლის შედგენა-გადანუსხვისა) იოანე ბაგრატიონი, რომელსაც ეს შრომა XIX საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში შეუდგენია. ეს დრო დიდი მეცნიერის შემოქმედებითი მოღვაწეობის აყვავების პერიოდია. იოანე ბაგრატიონს მართლაც შეეძლო ამ კაპიტალური ნაშრომის შედგენის ტვირთი აეღო „სევდის საქარვებლად"... მას მცირე სევდა როდი ჰქონდა!..

1955 წ.

რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის

1. „ვაკაფური" რედაქცია

1. რუსულ-ქართული ლექსიკონის საჭიროება მას შემდეგ გახდა განსაკუთრებით საგრძნობი, როცა გაცხოველდა ქართველი ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რუს ხალხ-

[1] А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. LXIV—LXV; შდრ.: იოანე ბატონიშვილი, ბუნებისმეტყველება ანუ შეკრება ლექსთა სხუათა და სხუათა ბუნებითთა ისტორიათაგან აწმანსა ზედა ასხმითა სამთა სამეფოთა ბუნებისათა... ცხოველთასა, მცენარეთასა და აღმონაკუთთასა, გინა ღელეკროთასა, ქვებითურთ (S 3986).

თან. ეს იყო ბუნებრივი შედეგი ორ ქვეყანას შორის მიმოსვლისა და ვაჭრობის. განვითარებისა შუასაუკუნეების ეპოქაში.

ცნობილია, რომ ქართველების საქმიან ურთიერთობას რუს ხალხთან საფუძველი ეყრება ჯერ კიდევ XI საუკუნიდან და ის თავისი განვითარების ზენიტს XVII—XVIII საუკუნეებში აღწევს. საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან XI—XIII საუკუნეებში ფართოდაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში[1] და ჩვენ ამის გამო ამ საკითხზე დაწვრილებით შეჩერება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. აქ მხოლოდ ხაზი უნდა გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ გაძლიერებულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ურთიერთობას ორ სახელმწიფოს შორის დიდად სჭირდებოდა რუსული ენის პრაქტიკული ცოდნა ქართველ მოღვაწეთა მხრით. ამიტომ ქართულ საზოგადოებრიობაში თანდათანობით ძლიერდებოდა რუსული ენის პრაქტიკულად დაუფლების ინტერესი. ამ ინტერესის გაცხოველებას ხელი შეუწყო ქართველთა კოლონიების აღმოცენებამ მოსკოვში XVII საუკუნის მიწურულსა (არჩილ მეფის ხელმძღვანელობით) და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასას-

---

[1] М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, СПб., 1861; А. А. Цагарели, Грамоты... I, СПб., 1891; П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, I, СПб., 1869; М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, Тб., 1926; М. Полиевктов, Посольство князя Мыщецкого и дьяка Ключарова в Кахетию, Тб., 1928; М. Полиевктов, К вопросу о сношениях Ростома... с Москвою, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940; ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1944; მისივე: საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, „მნათობი“, № 6, 1954; ი. ცინცაძე, ცნობები რუსეთის შესახებ ქართულ წყაროებში და საქართველოს შესახებ რუსულ წყაროებში, ენიმკის მოამბე, IV$_2$, 1938, გვ. 73—100; მისივე: ორი ცნობა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ XVI საუკუნეში, „თბ. სახ. უნივ. შრომები“, VII, 1938, გვ. 109—122; რუსული თქმულების „დინარას“ საკითხისათვის, „თბ. სახ. უნივ. შრომები“, X, 1939, გვ. 59—93; პირველი ცნობები მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან, „აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები“, I, 1940, გვ. 123—137; ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 509—521; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, „კომუნისტი“, № 20, 21, 191, 1945; მოსკოვი და საქართველო XV საუკუნეში, „მნათობი“, № 9, 1947; ტოლოჩანოვისა და იეველეის იმერეთში ელჩობის საკითხისათვის, „თბ. სახ. უნივ. შრომები“, XXX B—XXXI B, 1947, გვ. 1—17; ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, „საისტორიო მოამბე“, VI, თბ., 1952; ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956; ელ. ტატიშვილი, ქართველები რუსეთში, I, თბ., 1947; ა. კაკაძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954; გ. ხაჭაპურიძე, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1955; გ. ლეონიძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, „ლიტერატურული გაზეთი“, № 40, 41, 42, 1955; А. Г. Барамидзе, Давид Гурамишвили, Тб., 1955; მ. ალექსიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის, თბ., 1956 და სხვ.

რულს (ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით). ხსენებულ კოლონიებში ერთიანდებოდნენ საქართველოდან გადახვეწილი გამოჩენილი ადამიანები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მეცნიერები, სარდლები. წარმოებდა ფართო მთარგმნელობითი მუშაობა. რუსული ენიდან ითარგმნებოდა მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები. დაიწყეს თარგმნა ქართულიდან რუსულ ენაზეც. მწერლობა, მეცნიერება, სამხედრო საქმე განიცდიდა მოწინავე რუსული კულტურის ნაყოფიერ გავლენას. ყოველივე ეს კიდევ უფრო აახლოებდა ქართველ ხალხს რუს ხალხთან, მის ენასთან, ლიტერატურასთან, კულტურასთან, მეცნიერებასთან. მთელი ეს შემოქმედებითი მუშაობა კიდევ მეტად გააფართოვა ქართული სტამბის დაარსებამ მოსკოვში 1703 წელს. ამ სტამბაში, როგორც ცნობილია, მრავალი, რუსული ენიდან ნათარგმნი, წიგნი დაიბეჭდა[1].

ამრიგად, რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენის ამოცანა აქტუალურად აქცია ქართველი ხალხის დაკავშირებამ დიდ რუს ხალხთან, რუსი ხალხის მოწინავე კულტურის შესწავლის საჭიროების თვითშეგნებამ, რუსული ენის პრაქტიკულად დაუფლების გადაუდებლობის აღიარებამ. რუსული ენის შესწავლის ინტერესი კი საქართველოში მრავალი საუკუნის წინათ გაჩენილა, ხოლო იგი განსაკუთრებით გაღვივებულა XVII—XVIII საუკუნეების ეპოქაში, როდესაც ქართველი ხალხი თავისი ელჩებითა და კოლონიების მეშვეობით უფრო დაუახლოვდა დიდ რუს ხალხს და თავისი პოლიტიკური ბედი მიანდო მას, როგორც ერთადერთ პროგრესულ ძალას, რომელსაც შეეძლო საქართველოს გადარჩენა შაჰის სპარსეთისა და სულთანის თურქეთის გაუთავებელი თავდასხმებისაგან და მისი ეროვნული თვითმყოფობისა და მიწა-წყლის შენარჩუნება.

რუსული ენის პრაქტიკულად შესწავლის საჭიროებამ იმთავითვე დღის წესრიგში დააყენა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სასწავლო ლექსიკონების შედგენის ამოცანა. ულექსიკონოდ ძნელი იყო არა მარტო რუსული ენის სრულყოფილად დაუფლება, არამედ, რაც

[1] დაწვრილებით: კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954, გვ. 425—427; А. Г. Барамидзе, Давид Гурамишвили, Тб., 1955, გვ. 11—12; გ. ლეონიძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, „ლიტერატურული გაზეთი", № 40, 41, 42, 1955.

მთავარია, ის ფართო კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა, შემოქმედებითი მთარგმნელობითი მუშაობა, რაც ასე გაძლიერდა XVIII საუკუნეში.

პრაქტიკული რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში XVIII საუკუნეზე ადრე შეუდგენიათ, მაგრამ მათ ჩვენამდის არ მოუღწევიათ. პირველი რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონები, რომლებიც ჩვენამდისაა მოღწეული, XVIII საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის[1].

რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენის საჭიროება, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრა პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ, რუსული ენის დაუფლების აუცილებლობამ, რასაც იმთავითვე გრძნობდნენ ქართველი მოღვაწენი.

2. რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისათვის ქართველ მოღვაწეებს მაშინ მოუკიდნიათ ხელი, როდესაც გამართული განმარტებითი ლექსიკონი რუსული ენისა ჯერ კიდევ თვით რუსეთშიაც არ არსებობდა. ცნობილია, რომ მეცნიერული ლექსიკოგრაფია რუსეთში შედარებით გვიან განვითარდა. თავდაპირველად იქ ადგენდნენ უცხოური თუ სლავური სიტყვების განმარტებებს, რასაც თავს უყრიდნენ საგანგებო „სიტყვის კონებში“, რომელთაც Азбуковник-ებს ეძახდნენ. მოგვიანო პერიოდის რუსული განმარტებითი ლექსიკონები ამ Азбуковник-ების ნიადაგზე აღმოცენდა. რუსული ენათმეცნიერული აზრის ერთი ისტორიკოსი ამის შესახებ, სხვათაშორის, წერდა: „Существовали и традиционные глоссари, довольно точно объяснявшие большую часть слов. Не сделать разбор этих слов, просклонять или проспрягать их, ученые не могли. Если значение какого-нибудь слова было не известно, его придумывали на угад»[2].

ძველ რუსეთში Азбуковник-ებთან ერთად ფართოდ ყოფილა გავრცელებული „Алфавиты иностранных речей“, რომლებშიაც მოცემული იყო უცხოურ ან გაუგებარ სიტყვათა განმარტებანი. ასეთი „სიტყვის კონები“ ერთგვარი ენციკლოპედიის ხასიათს ატარებდნენ[3]. სიტყვები აქ ან ანბანზე იყო დალაგებული ან დამოწმებული უბრალოდ. ხოლო უფრო გვიან, XVII საუკუნიდან მოყოლებული, კი ამაეე სახელით სასკოლო სახელმძღვანელოებსაც აღნიშნავდნენ[4].

---

[1] ალ. ღლონტი, რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში (ბიბლიოგრაფიული შენიშვნები), „სტალინელი“, № 182 (2937), 1954 წ., მისივე: ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში, „სტალინირის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 285—287.

[2] А. Чудинов, Очерки из истории языкознания (развитие грамматических теорий в средние века), Воронеж, 1871, გვ. 6.

[3] С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, I, СПб., 1904, გვ. 160.

[4] Д. Л. Мордовцев, О русских школьных книгах XVII в., М., 1862; С. К. Булич, იქვე, გვ. 160—161.

XVI—XVII საუკუნეებამდის Азбуковник-ებს რუსეთში „სიტყვის კონის“ მსგავსად ადგენდნენ და მათ ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდათ: აქ განმარტებული იყო რამდენიმე ძნელად გასაგები ან უცხოური წარმოშობის სიტყვა. მსგავსი ერთი Азбуковник-ი შეტანილია 1073 წლის ხელნაწერში („Изборник Святослава“)[1], მეორე გვხვდება 1282 წლის ცნობილ ძეგლში („Речь жидовского языка переложена на русскую“), რომელიც 1824 წელს გამოცემულია კ. კ ა ლ ა ი დ ო ვ ი ჩ ი ს მიერ[2] და სხვ. კ. კ ა ლ ა ი დ ო ვ ი ჩ ი ს მიერ გამოცემულ ძეგლში შესულია 61 უცხოური ლექსიკური ერთეულის შემცველი სიტყვარი, განმარტებულია უპირატესად ებრაული და ბერძნული წარმოშობის საკუთარი სახელები: Акелдама, Подирь, Петр, Павел, Матфей, Марко, Лоука, Андрей, Филипп, Фома, Яков, Симон, Сара, Рахил, Фамара, Соусана, Кондрат... თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს რუსული შესატყვისი[3]. თავდაპირველად აქ სულ განმარტებული ყოფილა 174 სიტყვა, ხოლო გადამწერ-რედაქტორებს ასეთ სიტყვათა რიცხვი შემდეგ 344-ამდის გაუზრდიათ[4]. სიტყვარი შეუდგენიათ 1431 წელს[5].

ბეჭდური ლექსიკონები რუსეთში უფრო მოგვიანო პერიოდში ჩნდება[6]. პ ი რ ვ ე ლ ი რუსული ლექსიკონი გამოიცა XVI საუკუნის მიწურულს, 1596 წელს, ასეთი სათაურით: „Лексис сиречь речения, вкратце събраны и из словенского языка на просты русский диалект истолкованы“. მასში სულ განმარტებულია 1061 სლავური სიტყვა. ლექსიკური მასალა აქ უკვე ანბანზეა გაწყობილი.

„ს ი ტ ყ ვ ი ს კ ო ნ ე ბ ს“ თავდაპირველად მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებისათვის ადგენდნენ რადგანაც, როგორც მართებულად მიუთითებს ს. კ. ბ უ ლ ი ჩ ი, „Книжники наши нуждались в объяснении непонятных слов, вошедших в письменный язык из чужих языков»[7].

მოკლე „სიტყვის კონებიდან“ შემდეგ შეიქმნა მთელი განმარტებითი და ორენეული თარგმნითი ლექსიკონები. რუსულ ენაზე დიდხანს ყოფილა ხმარებაში ტერმინი Азбуковник-ი, ხოლო ტერმინი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი კი უფრო გვიან დამკვიდრებულა: პირველად გვხვდება XVII სა-

---

[1] С. К. Б у л и ч, იქვე, გვ. 161.

[2] И о а н н, Екзарх болгарский, изд. К. К а л а и д о в и ч, М., 1824, გვ. 193—195.

[3] იქვე, გვ. 193—195.

[4] С. К. Б у л и ч, იქვე, გვ. 163.

[5] И о а н н, Екзарх болгарский, изд. К. К а л а и д о в и ч, М., 1824, გვ. 196.

[6] С. К. Б у л и ч, იქვე, გვ. 164.

[7] С. К. Б у л и ч, იქვე, გვ. 166; შდრ.: К. Ш и р с к и й, Очерк древних Славянорусских словарей, „Филологические записки“, вып. I, Воронеж, 1869, გვ. 1—2; Н. Б а т а л и н, Древнерусские азбуковники, „Филологические записки“, вып. III, Воронеж, 1873, გვ. I; А. К а р п о в, Азбуковники или алфавиты иностранных речей по спискам Соловецкой библиотеки, Казань, 1877.

უკუნის შუაწლების ერთ ხელნაწერში, რომელიც 1654 წელსაა გადაწერილი[1]. XVII საუკუნის ბოლო ხანებიდან რუსეთში დიდი ლექსიკოგრაფიული მუშაობა წარმოებდა. XVIII საუკუნეში უკვე გამოიცა რამდენიმე ორიგინალური ლექსიკონიც, რომელთა შორის მთავარია: Лексикон россійскій и французскій, в которомъ находятся почти все слова россійскаго алфавита, ч. 1—2, СПб., 1762; Ф. Поликарпов, Лексикон треязычный, сиречь реченій славянских, еллино-греческих и латинских сокровище, М., 1704; Г. Полетика, Словарь на 6 языках: на россійском, греческом, латинском, французском, немецком и англійском, СПб., 1763; Россійскій целларіус или этимологическій россійскій лексикон, М., 1771; В. Н. Татищев, Лексикон россійскій, историческій, географическій, политическій и гражданскій, чч. 1—3, СПб., 1793[2] და სხვ. XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ლექსიკოგრაფიულ მუშაობას რუსეთში სათავეში ჩაუდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.

ამრიგად, „სიტყვის კონები“ („Азбуковники“) დამახასიათებელი ყოფილა ძველი რუსული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკისათვის მისი განვითარების პირველ საფეხურზე. „სიტყვის კონებმა“ შემდეგ შეამზადეს ნიადაგი კაპიტალური, უკვე არა მარტო ორენეული, თარგმნითი, არამედ განმარტებითი ლექსიკონების შედგენისათვის. ასეთი განმარტებითი ლექსიკონის პირველ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტიური ნაშრომი „Словарь Академии Россійской“, რომელიც ორგზის გამოიცა (პირ-

[1] С. К. Булич, იქვე, გვ. 166. ტერმინი ლექსიკონი იმ მნიშვნელობით, რაც მას დღეს აქვს, ქართულ ენაზე უძველესი დროიდან იხმარებოდა. X საუკუნიდან იგი წყაროებში ჩვეულებრივია დამოწმებული. მაგალითად, XI საუკუნის მოაზროვნე ეფრემ მცირე „სამოციქულოს თარგმანების“ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში პირდაპირ მიუთითებს: „...ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენივე ლექსიკონნი (ესე არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა გაწყობილნი სიტყუანი) ერთად შემოვკრებნი“... (რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, „მიმომხილველი“, I, თბ., 1926, გვ. 162; ალ. ღლონტი, ნარკვევები, I, სტალინირი, 1955, გვ. 67); ასევე XII საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერში ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი ლექსიკონი: „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი“ (A 65, გვ. 340—349; ალ. ღლონტი, კირიღე ალექსანდრიელის ლექსიკონი, „ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 170—177, მისივე: ნარკვევები, I, სტალინირი, 1955, გვ. 104—112).

[2] ვ. ნ. ტატიშჩევმა (1685—1750) ეს ლექსიკონი გაცილებით ადრე შეადგინა, მაგრამ მას არ დასცალდა მისი საბოლოოდ გაფორმება და, რაც მთავარია, ის ვერ მოესწრო საკუთარი შრომის გამოქვეყნებას. ამ გარემოებას მწუხარებით აღნიშნავდა ა. ს. პუშკინი ჯერ კიდევ 1836 წელს: „Не успел онъ, къ сожалѣнію, кончить своего лексикона“ (Пушкинъ, Полн. собр. соч., изд. АН СССР, XII, М., 1949, გვ. 345).

ველი გამოცემა: ნ. I—1789, ნ. II — 1790, ნ. III — 1793, ნნ. IV, V და VI — 1794 წწ.; მეორე გამოცემა: ნ. I — —1806, ნ. II — 1809, ნ. III — 1814, ნნ. IV, V, VI — 1822 წ.).

3. Азбуковникъ-ების გადმოღება ქართულ ენაზე უშედეგო იქნებოდა, რადგან მათ სულ სხვა მიზანი და დანიშნულება ჰქონდათ. რუსული ენის პრაქტიკულად დაუფლებისათვის საჭირო იყო საგანგებო სიტყვარი ან გარკვეული ფრაზეოლოგიური საძიებელი, რომელიც ხელს შეუწყობდა ენის ლექსიკისა და გრამატიკული წყობის შესწავლა-გაცნობას, საჭირო იყო ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი სპეციალური სახელმძღვანელოს — სიტყვარ-ფრაზნარის — შედგენა. ასეთი ტიპის რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში გაჩენილა XVII—XVIII საუკუნეებში. მათ „ვაკაფა“ ერქვა. რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონების პირველი რედაქცია სწორედ „ვაკაფური“ ხასიათის უნდა ყოფილიყო, რადგან მათ პრაქტიკული მიზნებისათვის ადგენდნენ.

„ვაკაფური“ ტიპის რუსულ-ქართული ლექსიკონები გავრცელებული ყოფილა ქართველთა მოსკოვის კოლონიაში XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ჩვენამდის მოღწეულია რამდენიმე ასეთი „ვაკაფა“, რომლებიც ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმების ხელნაწერთა საცავებში.

ქართული ვ ა კ ა ფ ა (რუს. вокабула) მიღებულია მოძველებული ლათინური სიტყვიდან vocabulum, რაც სახელს, სახელწოდებას ნიშნავს, ხოლო vocabularium — სიტყვარს. ქართული ვაკაფა შეთვისებული ჩანს რუსული ენის მეშვეობით და იგი ფონეტიკურად სავსებით უდგება ლათ. vocabulum-ს. ქართული ვ ა კ ა ფ ა იხმარებოდა სხვა ენის სახელმძღვანელოს მნიშვნელობითაც. ასეთი სახელმძღვანელო შეიცავდა დასამახსოვრებლად შედგენილ ლექსიკურსა და ფრაზეოლოგიურ მასალას, ხშირად არითმეტიკულს, გეოგრაფიულსა და სხვა მასალასაც. სიტყვა ვ ა კ ა ფ ა ძველ ქართულ ლექსიკონებში დამოწმებული არაა, მაგრამ როგორც ზოგიერთი ხელნაწერი გვაფიქრებინებს, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იგი გავრცელებული ტერმინი ყოფილა. ვ ა კ ა ფ ა, ამ ხელნაწერთა თანახმად, არამშობლიური ენის სასწავლო ლექსიკონია. მაშინ ცნობილი იყო მხოლოდ რუსული ენის ვ ა კ ა ფ ა, ე. ი. რუსული ენის სასწავლო ლექსიკონი.

ერთი ვაკაფური ტიპის ლექსიკონი, რომელიც თარიღით ყველაზე უძველესია, 1725 წელს შეუდგენია ვახტანგ VI-ის მემკვიდრეს ბაქარ ბაგრატიონს. იგი ჩვენამდის მოღწეულა ერთადერთი ნუსხის სახით და ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში (S 4619). ხელნაწერი დაზიანებულია: რამდენიმე ფურცელი

აკლია თავშიცა და ბოლოშიც. რუსულ-ქართულ ლექსიკონს სულ 135 ფურცელი ეთმობა (ნუსხა მომცრო ზომისაა), ამის შემდეგ კი თან ერთვის არითმეტიკის მოკლე სახელმძღვანელო (ფ. 136—158). ხელნაწერის თავგადასავლის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი საზოგადოებას 1907 წელს შეუძენია. ყდაზე აქვს ექვთიმე თაყაიშვილის ასეთი მინაწერი: „ნასყიდია 1907 წელს ბუკინისტისაგან. ე. თ.“ გამყიდველის ვინაობა უცნობია.

ნუსხას თან ახლავს ანდერძნამაგის მოზრდილი ნაწყვეტი, რომელშიაც გადმოცემულია მისი ავტორ-გადამწერის ვინაობა და მითითებულია წიგნის დანიშნულებაზე. ანდერძნამაგიდან ვტყობილობთ, რომ „ვაკაფა“ შეუდგენია ბაქარ ბაგრატიონს იმ მიზნით, რათა „მათთა მახლობელთა ქართველთაგანთა მიეღო სწავლა მის მიერი და ესწავლათ ენა და ანგარიში“. „ვაკაფას“ დანიშნულება, როგორც ანდერძნამაგიდან ჩანს, ყოფილა არა მარტო რუსული ენის ლექსიკისა და ფრაზების შესწავლა, არამედ ანგარიშის შესწავლაც. ალბათ, ამით აიხსნება ლექსიკონისა და ანგარიშის სახელმძღვანელოს ერთად აკინძვაც. ხელნაწერის გადამნუსხავი თავისთავს ლუარსაბ კნიაზ წოდებულს[1] ეძახის. ანდერძნამაგს ბოლო აკლია, მაგრამ დარჩენილი ნაწილიც საინტერესო ცნობებს შეიცავს „ვაკაფას“ შესახებ. მოგვაქვს ის მთლიანად.

„ჩღკე. ანდერძი წიგნისა ამისა, რომელსა ეწოდების ვაკაფა. წელსა 1725 ამ ქკ სა სრულიად რუსეთის მპყრობელი ჴელმწიფე დედოფალი ეკატერინე, მეუღლე დიდად სახელგანთქმულის პეტრე იმფერადორისა, სანკთ პეტერბურხს ბძანდებოდა და საქართველოს გამგებელი მეფე ვახტანგ მიბძანდა მათთან ძმითა და ძითურთ. იმ წელს იქ ბძანდებოდენ. მეფის ძე ბაქარ დიდათ სწავლის მდომელი ბძანდებოდა და ინება წიგნი ესე სათარგმნელად და ჴელყო წერად ამისად, რომელსა ეწოდების ვაკაფა, ენის სასწავლო, და თარგმნა რუსთ ენა ქართულად, დიდითა გულისჴმიერებითა თვისითა აღასრულა წიგნი ესე. რაც ოდენი სახელები დაწერილ არს წიგნსა ამას შინა, თვით მათგან თარგმნილ არს. ამას და გარდა მეფის ძემან მი[ი]ღო სწავლა მეორე სრული და უნაკლო და ციფირი ისწავლა, რომელი დაწერილ არს წიგნისა ამის დასასრულსა. სრული აღსარიცხავი სრულიად აღასრულა სიბრძნითა თვისითა და თარგმანთა ამათ ექმნა პერეოჩიქ კნიაზ მიხაილ.

[1] ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს „ლუარსაბ კნიაზ წოდებული“. ის, უეჭველია, ვახტანგ VI-ისა და ბაქარის მხლებელია რუსეთში. ვახტანგი და მისი თანმხლები პირები რუსეთს გაემგზავრნენ 1724 წლის 15 იელისს. ვახტანგის ამ თანმხლებთა შორის მოხსენებულია სამი ლუარსაბი: ლუარსაბ თურქისტანიშვილი (სოლ. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 126), ლუარსაბ ბიძინაშვილი (იქვე, გვ. 137) და ლუარსაბ თულაშვილი (იქვე, გვ. 138). აქედან აზნაური ლუარსაბ ბიძინაშვილი იხსენიება პირადად ბაქარის ამალაში. იქნებ ერთ-ერთი მათგანი არის სახელდობრ ეს „ლუარსაბ კნიაზ წოდებული“!..

მეფის ძესა სწადდა, რომელსამე მათთანა მახლებელთა ქართველთაგანთა მიეღოთ სწავლა მის მიერი და ესწავლათ ენა და ანგარიში ესე. და ჩვენ, ლუარსაბ კნიაზ წოდებულმა, იმ ჟამადვე მათის წერილისაგან გარდმოვიღევით და ჴელყავით სწავლასა ამას შეწევნითა მათითა. და რაც ოდენი, სახელებს გარდა, სიტყვა აღწერილ არს წიგნსა ამას ვაკაფასა შინა, ისიები ჩვენ შევმატეთ შეწევნითა მათითა. იქნება ჩამატებული რეული ათი. ამას და გარდა, ჩვენცა მივიღევით სწავლა ანგარიშთა მათ ციფირისა, სრულჴყავით ძლიერებითა მათითა სიბრძნე მათი. შემწედ ჩვენდა იქმნა და ეს ციფირიც მისთვის დავსწერეთ წიგნსა ამასა შინა, რომე სწავლანი ესენი მათგან მივიღევით, ამისათვის გარჯა დაუზარელ ვყავით ჩვენ მიერ. ამას აქეთ ვისცა ვის გენებოს სწავლა ცოდნისა ამის, მი[ი]ღებდეთ უსასყიდლოთ. რომელსამე გენებოს წიგნისა ამის გარდაწერა, ჴელყავით წერად ანდერძისა ამრიგად, როგორც ამაში სწერია. ამრიგად უნდა დაიწეროს ამისათვის, რომე ნაშრომი მეფეთა ძეთა არს. ამათ უწინ არც ვის ეს წიგნი უთარგმნია და არცავის ეს ანგარიში უსწავლია, თვარემ დიაღ ადვილი მოსახდომია, თარგმანი ამის მეტის კაცისათვის არ უთქმევინებიათ და ქართველმა კაცმა ხომ ჯერ არავინ რა იცოდა და ცარევიჩსაც არ შეუკვრევინებია ამისი წიგნი, თითო-თითოს რეულს ბძანებდა, ვაკაფა რაც იყო, და ისწავლიდა და აღარას გამოეკიდებოდა. მე, თითოსა რეულს რომ დასწერდა, ვიშოვნიდი და მაშინვე გარდმოვნუსხევდი იმას, ესწავლობდი ამით სხვასაცა"...

აქ წყდება ეს საყურადღებო ანდერძი. შემდეგი ფურცლები აკლია. ჩვენ არ ვიცით, კიდევ რაზე იყო ლაპარაკი ანდერძში, მაგრამ ამ ნაწყვეტიდანაც კარგად ჩანს შემდეგი:

ა. ვაკაფა რუსული ლექსიკისა და ანგარიშის სახელმძღვანელო წიგნია, იქ მოცემულია რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონი.

ბ. მისი ავტორ-შემდგენელი (თუ მთარგმნელი!) არის ბაქარ ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ძე.

გ. ავტორს ვაკაფას შედგენაში დახმარებას უწევდა „პერეოჩიქი კნიაზი მიხაილი".

დ. ხელნაწერი გადაუნუსხავს „ლუარსაბ კნიაზ წოდებულს", რომელსაც რამდენიმე რეული კიდეც დაუმატებია ბაქარის ტექსტისათვის.

ე. ვაკაფა შედგენილია 1725 წელს და, ჩანს, ხელნაწერი იმ დროსვეა გადანუსხულიც.

ვ. ამ სახის სახელმძღვანელოს შედგენას ჰქონდა პრაქტიკული მიზანი, დახმარებოდა სწავლის მსურველთ, „მეფის ძესა სწადდა, რომელსამე მათთანა მახლობელთა ქართველთაგანთა მიეღოთ სწავლა მის მიერი და ესწავლათ ენა და ანგარიში ესე".

ზ. ბაქარის ვაკაფა რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონის პირველი ნიმუშია, ბაქარის წინ „არცა ვის ეს წიგნი უთარგმნია და არცა ვის ეს ანგარიში უსწავლია".

4. ვაკაფას ტიპის სასწავლო ლექსიკონები თარგმნითი იყო და არა განმარტებითი. აქ სიტყვები ანბანზე გაწყობილი არ ყოფილა, რაც დიდად აძნელებდა ასეთი ლექსიკონების პრაქტიკულ გამოყენებას. ხსენებული ხელნაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი საერთო მეთოდოლოგიური პრინციპი ლექსიკონის შედგენისა არა ჩანს. სახელები მოცემულია სხვადასხვა ბრუნვის ფორმით და არა ერთი რომელიმე ბრუნვის მიხედვით, გაურკვეველია სიტყვათა ფუძეები; ზმნები წარმოდგენილია დაულაგებლად, განურჩევლად პირისა, რიცხვისა და სხვა გრამატიკული კატეგორიისა. ლექსიკური მასალის დალაგებაში არ იგრძნობა გარკვეული წესრიგი. ზოგჯერ მსგავსი და მონათესავე სიტყვები დამოწმებულია ერთიმეორის მიყოლებით, მაგრამ ეს სისტემა ბოლომდის დაცული არაა. მაგალითად, ჩვენს ხელნაწერში ერთიმეორის მიყოლებით მოცემულია რამდენიმე ზედსართავი სახელი, მას მოსდევს რიცხვითი სახელები, არსებითი სახელები სხვადასხვა ფორმით, ზმნები პირის ჩვენებით, ბოსტნეული და ყვავილოვანი მცენარეულის სახელწოდებები, მოკლე ფრაზები და... ისევ საზოგადო არსებითი სახელები. მასალა პარაგრაფებადაა დაყოფილი იმ მიზნით, რომ მისი დამახსოვრება-შესწავლა უფრო გაადვილებულიყო. რუსული სიტყვები გადმოცემულია ქართული ტრანსკრიფციით.

სანიმუშოდ მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

ღნევლივი — მრისხანე.
დობროსოტნიი — კეთილმდომნი.
სკორიი — მსწ[რ]აფლი.
ლენივიი — ზანტი.
ნასილნიი — ძლიერი.
ბოლატნიი — მდიდარნი.
ნიშჩიი — გლახანი.
უბიცოიი — უქონელნი.
შჩასთლივი — ბედნიერნი.
მლადიი — ჩვილი.
ღოლოდნიი — მშიერი.
პიანიი — მთვრალნი.
ესელიი — მხიარულნი.
სმერტნიი — მოკდავნნი.
მუდრიი — ბრძენნი.
პრავდნიი — მართალნი.
მილოსტივი — მოწყალენნი.
დობრიი — კეთილნი.
ზლიი — ბოროტნი.
პრავდივი — მართალნი.
ლოჟნიი — მტყუანნი.
მოღუშჩიი — შემძლებელნი.
კრეპკიი — მაგარნი.
ბოაზლივნიი — მოშიშარნი.
დურაკიი — გიჟნი.
სმელნიი — თამამნი...

ადრეკლიტივებს მოჰყვება რიცხვითი სახელები, რომლებიც აგრეთვე ჩამოწერილია ყოველგვარი კლასიფიკაციის გარეშე.

ტრინაცეთ — ცამეტი.
ჩეთირნაცეთ — თოთხმეტი.
პიატნაცეთ — თხუთმეტი.
შესტნაცეთ — თექვსმეტი.
სემნაცეთ — ჩვიდმეტი.
დევეთნაცეთ — ცხრამეტი.
დვუაცეთ — ოცი.
დუაცეთ ოდინ — ოცდა-ერთი.
ტრიცეთ — ოცდაათი.
სოროკ — ორმოცი.
პიატდესეთ — ორმოცდაათი.
შესთდესეთ — სამოცი.
სემდესეთ — სამოცდაათი.
ოსემდესეთ — ოთხმოცი.
დივანოსტ — ოთხმოცდაათი.
სტო ილი სოთ — ასი.
დვესტი — ორასი.
ტრისტა — სამასი.
ჩეთირისტა — ოთხასი.
ფეატსოთ — ხუთასი.
დისიჩა — ათასი...

რიცხვით სახელებს შემდეგ პარაგრაფად მიჰყვება ასეთი სიტყვარი:

ვედომოსთი — ამბავი.
ვედემოსთ — ამბავსა.
გოვარათ — ამბობენ.
გოვარი — ილაპარაკე.
გოვარუ — ველაპარაკობ.
ია პიშუ — მე ვსწერ.
თი პიშეში — შენ სწერ.
მი პიშემი — ჩვენ ვსწერთ.
ვი პიშეთე — თქვენ სწერთ.
ონი პიშუთე—ისინი სწერენ.
კომნე — ჩემთან.
კ თებე — შენთან.
კ ნემუ — იმასთან.
კ ვამ — თქვენთან.
კ ნიმ — იმათთან.
კ ნამ — ჩვენთან.
ტავოუდე — ეგრეთვე.
ვიდნა — ჩანს.
ედინო — ერთმანეთში.
პრედ — წინ.
ჩტო — რომელი.

შემდეგი პარაგრაფის სახით გამოყოფილია ზმნის ფორმები პირის მიხედვით. თითოეული სიტყვის შემდეგ, როგორც წინაც, ორწერტილია დასმული. ზმნის ფორმებს დახასიათება არ ახლავთ.

ია ვიდელი იხი — მე ვიხილე ისინი.
მიი ვიდელი იხი — ჩვენ ვიხილეთ ისინი.
მიი ლუბიმ — ჩვენ გვიყვარს.
ვიი ლუბითე — იმათ უყვართ (! ა. ღ.).
ონი ლუბითე — ისინი უყვარს.
ია ლუბლუ — მე მიყვარს.
თი ლუბიშე — შენ გიყვარს...

ამას მოჰყვება ბოსტნეული კულტურების სახელწოდებანი და მათი ქართული თარგმანი:

ჩესნოკ — ნიორი.
ხრენ — ხრენი.
კაპუსტო — კომბოსტო.

рєпа — თალგამი.
ვіалія рєпа — გამჭკნარი თალგამი.
рєтка — ბოლოკი.
свєкла — ჭარხალი.
бурак — ჩადებული ჭარხალი.
салтиа — სალათა.
сєрдєлєіи — ნიახური.
пєтрушка — მაკიდონე.
морков — სტაფილო.
кішнєц — ქინძი.
міата ілі укроп — პიტნა თუ ცერეცო.
чєбєр — ქონდარი.
мак — ხაშხაში.
кравіва — ჭინჭარი...

ქვევით, გზადაგზა, ცალკე პარაგრაფებად დამოწმებულია მოკლე ფრაზები და მოცემულია მათი თარგმანი. სანიმუშოთ რამდენიმე მათგანი:

тєфєріічі надєм — ახლა მინდა.
прок тєбя хочу — შენთვის მინდა.
здєсь іа — აქა ვარ მე.
там стоіу — იქა ვდგავარ.
што надок — რა უნდა.
што хочу — რა გინდა.
дєлок іесть — საქმე მაქვს.
лубоі, єтаа лібо тоже будєт — ან ეს იქნება, ან ისი.
і он хорошоє дєлаєт — ესეც კარგათ ამბობს.
нє скажал — არ მითქომს.
он скажал — იმან თქო.
слова моє слушаєш — სიტყვა ჩემი გაიგონე.
у нєок нє могу іот — იმასთან ვერ გავძლებ.
што изволіл — რა ბრძანა.
пожалуіста — წყალობა ყავ ჩემთვინ.
понііе сєдо — დაბლა დავჯდები.
звалиу тєбя — გაქებ შენ.
іамо [албат: я ему!] должно — მაგას მოვახსენებ.
донося хочу — მოხსენება მინდა.
слова іесть — სიტყვა მაქვს.
расскаіи от менія — უანბე ჩემაგერ.
так расскаіи емо — ასე უანბე მას.
єтова как звуот — მას რა ქვიან.

даи бог тебе здарова — მოგცეს ღმერთმა დღეგრძელობა.
теперя пришол — ახლა მოვიდა.
откуда пришол — სადედამ მოხველ.
куда поидош — საით წახვალ.
откуда идот — სადედამ მოვა.
куда идеш — სად მიხვალ.
поди, пошледи — წადი, ნახე...

მთელი ლექსიკონი ასეა შედგენილი. სიტყვები დაულაგებელია, პარაგრაფები ერთი გარკვეული სისტემის მიხედვით არ ჯგუფდება. სიტყვების დაძებნა პრაქტიკული გამოყენებისათვის ჭირს. პარაგრაფებიც გამოყოფილია, ალბათ, გაკვეთილებისათვის. მეთოდურად ყველა პარაგრაფი ერთნაირი არ არის. ერთი სიტყვით, მასალის ამგვარ პარაგრაფებად დაყოფას საფუძვლად არ უძევს არც არამშობლიური ენის სწავლების მეთოდიკა, არც გრამატიკა-ლექსიკოგრაფიის მოთხოვნები. ვაკაფური რედაქცია რუსულ-ქართული ლექსიკონებისა ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევდა. მისი მთავარი ამოცანა იყო ყოველდღიურ ხმარებაში მყოფი ლექსიკური მასალისა და ფრაზეოლოგიის თარგმანი. ამით აიხსნება რუსული ტრანსკრიფციის უგულებელყოფაცა და რუსული სიტყვა-ფრაზების ქართული მხედრული ტრანსკრიფციით გადმოცემა.

5. რუსული სიტყვებისა და ფრაზების ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემა დაკავშირებული იყო მრავალ სიძნელესთან. არა თუ XVIII საუკუნის დასაწყისში, დღესაც ჭირს რუსული ფონემებისა და მათი ვარიანტების შესატყვისად ტრანსლიტერირება. დიდ დაბრკოლებას ქმნიდა და ქმნის ქართულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემა, განსაკუთრებით აბრუპტივები და სპეციფიკური აფრიკატები, რომლებიც საერთოდ უცნობია რუსული ფონეტიკური სისტემისათვის. ეს სიძნელე ავტორს დაუძლევია. ემჩნევა, იგი საფუძვლიანად იცნობდა ორივე — რუსული და ქართული — ენის ფონეტიკურ სისტემას და ამიტომ ძირითადად მართებულად დაუდგენია რუსული თანხმოვნებისა და დიფთონგების ქართული ეკვივალენტები. რუსული ლექსიკური მასალა ფიქსირებულია იმ ხანად მოსკოვის სამეცნიერო ლიტერატურულ წრეებში მოქმედი ორთოგრაფიული წესების შესაბამისად. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ შეცდომებს, რუსული სიტყვები და ფრაზები ქართული მხედრული ტრანსკრიფციით გადმოცემულია მეცნიერული ზედმიწევნილობით. ზოგ ადგილას, არა ტექსტის ხელით, ავტორის მართლწერა შესწორებულია უმართებულოდ.

ქართულსა და რუსულ ბგერითს სისტემებში დადგენილია შემდეგი შესატყვისობანი:

ა. г — ღ(გ):

Гневливый — ღნევლივი, убогий — უბოღიი, голодный — ღოლოდნიი, богатный — ბოლატნიი... ამავე დროს ზოგჯერ რუს. г გადმოღებულია ქართული გ-თი: говорят — გოვორათ, говорю — გოვორუ...

ბ. т — თ, ტ:

Счастливый — შჩასთლივიი, путь — პუთ, теперь — თეფერა, к тебе — კ თებე... смертный — სმერტნიი, двести — დვესტი, триста — ტრისტა, отец — ოტეც[1]...

გ. п — ფ, პ:

Пятьсот — ფეატსოთ, теперь — თეფერა, печаль — ფეჩალ... путь — პუთ, напищи — ნაპიში, пришел — პრიშოლ...

დ. ч — ჯ:

Сургуч — სურგუჯ...

ე. к — ქ, კ:

Мак — მაქ, кому — ქომუ, куда — ქუდა, откуда — ოთქუდა... комне — კომნე, к тебе — კ თებე, к нам — კ ნამ, свекла — სვეკლა...

ვ. დიფთონგებისა

ა. я — иа, а, е:

а. я — иа, пять — პიატ... б. я — а: взял — ვზალ, от меня ოტ მენა... в. я — е: девятнадцать — დევეთნაცეთ, пятьдесят — პიატდესეთ...

ბ. е — иэ:

Есть — იესთ...

გ. ё — о, ო:

Весёлый — ვესელიი; пайдёшь — პოიდოშ, куда идёшь — ქუდა იდოშ...

დ. ю — у, иу:

Сюда — სუდა, любить — ლუბით; желаю — ჟელაიუ, не знаю — ნე ზნაიუ...

---

[1] ამ და სხვა ანალოგიურ სიტყვებში (ვლასთ, სპასითელ, იზბავითელ...) დედანში უველგან ნახმარია თ, რომელიც შემდეგ გადაშლილია და სხვა ხელით თავზე აწერია ტ.

დამახასიათებელია, რომ ასეთ ფონეტიკურ შესატყვისობებს ვპოულობთ XVIII საუკუნის სხვა ქართულ ხელნაწერებშიაც, რომლებშიაც დამოწმებულია რუსული სიტყვები ქართული ტრანსკრიფციით.

ვაკაფური რედაქციის რუსულ-ქართული ლექსიკონები მეცნიერული თვალსაზრისით დაბალ დონეზე იდგნენ, ოღონდ პრაქტიკული მიზნებისათვის მათ გარკვეული დანიშნულება უეჭველად ჰქონდათ. ამ ლექსიკონებით ქართველი მოღვაწენი ეუფლებოდნენ რუსულ ენასა და რუსულ კულტურას. ვაკაფურმა ლექსიკონებმა გააღვივეს რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენის მეცნიერული ინტერესი, საფუძველი დაუდეს ვრცელი რუსულ-ქართული, ორენოული, ლექსიკონების შედგენა-გამოცემას. ქართულმა ვაკაფურმა ლექსიკონებმა, ერთი მხრით, და XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაწყებულმა ფართო ლექსიკოგრაფიულმა მუშაობამ, რაც დაგვირგვინდა 1789—1794 წლებში 6 ტომიანი განმარტებითი ლექსიკონის შედგენითა და გამოცემით, მეორე მხრით, ხელი შეუწყო და შეამზადა ჩვენში მეცნიერული რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენა.

2. პირველი რუსულ-ქართული ლექსიკონი

როგორც დავინახეთ, ვაკაფურ. პრაქტიკულ ლექსიკონებს შედეგად მოჰყოლია ვრცელი, თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონების შედგენა. ს. კ. ბულიჩის მოწმობით, „В середине XVIII в. возник и русско-грузинский рукописный словарь составленный по приказанию царевича Вахушта, сына Вахтанга VI (см. рукопись Азиат. Музея № 98)“[1]. ს. კ. ბულიჩის მიერ დამოწმებული ლექსიკონი ამჟამად ყოფ. საზღვაო მუზეუმში არ ჩანს[2] და არ ვიცით, ავტორმა პირადად ნახა იგი, თუ ემყარებოდა სხვათა გადმოცემას. ჩვენ კი ახლა სარწმუნო წყაროებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასეთი ლექსიკონები შეუდგენიათ არა XVIII საუკუნის შუა წლებში, როგორც ს. კ. ბულიჩი გადმოგვცემს, არამედ ამაზე გაცილებით ადრე. ამას, თუ გნებავთ, ვაკაფას ტიპის სასწავლო ლექსიკონებიც მოწმობენ.

---

[1] С. К. Булич, Очерк истории языкознания в России, I, СПб., 1904, გვ. 477.

[2] ყოფ. საზღვაო მუზეუმის, ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ИВ АН СССР) კოლექციებში (აკად. მ. ბროსეს, აკად. ა. შეგრენის, თეიმურაზ ბაგრატიონისა) ახლა ინახება 11 ხელნაწერი ლექსიკონი (Р. Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии Наук СССР, «Ученые записки Института Востоковедения», IX, М.-Л., 1954, გვ. 60), რომელთა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევენ:

XVIII საუკუნის პერიოდში მრავალი რუსულ-ქართული ლექსიკონი შედგენილა და ხელნაწერთა სახით გავრცელებულა. ყველა მათგანს თან დაჰყვა ეკაფური ხასიათი, რადგანაც მათ პრაქტიკული (სასწავლო) მიზნით ადგენდნენ.

ამ ლექსიკონებს შორის, რომლებიც ხელნაწერად ვრცელდებოდა, ჩვენ უნდა გამოვყოთ ანონიმური „Русско-грузинский словарь". ნუსხა შედგენილია 1791—1792 წლებში და ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში (S 18). ლექსიკონი საკმარისად ვრცელია: შეიცავს 194 ფურცელს და შედგენილია ორიგინალურად. ანონიმ ავტორს ფართო ლექსიკოგრაფიული მომზადება ჰქონია, კარგად სცოდნია იმ პერიოდის რუსული ლექსიკოგრაფიული წყაროები, შეუსწავლია „Словарь Академии Российской"-ს ავტორთა მუშაობის მეთოდი. მართალია, ქართველ ავტორს არ შეეძლო მთლიანად გასცნობოდა ამ ლექსიკონის სრულ გამოცემას, რადგან ის მხოლოდ 1794 წელს დასრულდა, მაგრამ მის განკარგულებაში იყო ლექსიკონის პირველი (1789), მეორე (1790) და ეგების, მესამე (1792) ნაწილიც. რაც შეეხება კოლექტიური ნაშრომის ბოლო სამ ნაწილს, მათ ჩვენი ავტორი ვერ გამოიყენებდა, ვინაიდან ამ უკანასკნელთა გამოცემამდის (მეოთხე ნაწილი გამოვიდა 1793, მეხუთე და მეექვსე —1794 წ.) მას დაემთავრებინა თავისი ნაშრომის შედგენა. ასე რომ, ანონიმ ავტორს შეეძლო გამოეყენებინა ხსენებული ლექსიკონის მხოლოდ პირველ სამ ნაწილში შეტანილი მასალა (A—M), დანარჩენი ასოების მასალა მას ან პირადად შეუგროვებია, ან სხვა წყაროებიდან ამოუკრებია. მიუხედავად ამისა, ლექსიკონს სხვადასხვაობა არ ემჩნევა, მთელი მასალა გამართული და დალაგებულია ერთი სისტემით, თავიდან ბოლომდის დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის ავტორთა მიერ მიღებული პრინციპები.

ანონიმი ავტორის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ხელნაწერს ბოლოს ახლავს მხოლოდ ასეთი მინაწერი: „განსრულდა სადიდებლად წმიდი-

---

იოანე ბაგრატიონის „რუსულ-ქართული ლექსიკონის" ფრაგმენტები (A-დან Б-მდის), რაც 1807 წლით თარიღდება (აკად. მ. ბროსეს კოლექციის P 8) და პლატონ იოსელიანის „რუსულ-ქართული ლექსიკონი", რომელიც ავტორს 1838 წელს აკად. ა. შეგრენისათვის მიურთმევია (აკად. ა. შეგრენის კოლექციის E 10). აქვეა იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიებიც, რომლებიც აგრეთვე XIX საუკ. პირველ მეოთხედშია შედგენილი (მ. ბროსეს კოლ. H 38, თ. ბაგრატიონის კოლ. H 31). ამ ხელნაწერებიდან ეკუს იწვევს მხოლოდ ა. შეგრენის კოლექციის ერთი უთარიღო ლექსიკონის ფრაგმენტები, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XVIII საუკ. დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს (E 43). ეგების ს. კ. ბულიჩს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ეს ხელნაწერი. ამას გვაფიქრებინებს ხელნაწერის აღწერილობაც (Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. I, М.-Л., 1956, გვ. 135).

სა დავით თერთლო[1]... 1792 ფებერვალს დ, დაიწყო წელსა 1791 დეკემბერს" (ფ. 294). აქედან შეიძლება დავასკვნათ, 1791—1792 წლებში ლექსიკონი ან შეუდგენიათ ან გადაუწერიათ. ამ აზრს, სხვათა შორის, მხარს უჭერს ქაღალდის ჰვირნიშანიც, რომელიც 1790 წელს გვაჩვენებს. ბოლო ფურცლების ჰვირნიშანი კი 1792-ია (ფ. 291).

ლექსიკონი შედგენილია მარტივად: ჯერ ჩამოწერილია რუსული სიტყვები და შემდეგ სხვა, ოდნავი განსხვავებული ხელით მათ მიწერილი აქვთ ქართული თარგმანი. ამიტომ ზოგი სიტყვის თარგმნა ავტორს დავიწყებია და უთარგმნელად დაუტოვებია (ასეთი სიტყვები ცოტაა!). ალაგ-ალაგ რუსული სიტყვების ქართული თარგმანი გადმოცემულია რუსული ტრანსკრიფციით (იხ. მაგალითად, т, у, ф ასოთა მასალები, ფ. 254—268).

ლექსიკური მასალა დალაგებულია ორიგინალურად. მოცემულია ყოველი ლექსიკური ერთეულის გრამატიკული დახასიათება. სუბსტანტივების გვერდით დამოწმებულია მათი ადიექტური ფორმები, მითითებულია სქესი, ზმნებს თან ახლავს პირიელი და ინფინიტიური ფორმები. მაგ., аспид განმარტებულია ასე:

„Аспид ასპიტი; Аспидный прил., ასპიტისა; Аспидная доска ასპიდის ქუა".

ლექსიკური მასალა დალაგებულია არა ანბანზე, არამედ ძირების მიხედვით. ჯერ მოცემულია ძირეული სიტყვები, შემდეგ კი იმავე ბუდეში შეტანილია წარმოქმნილი სიტყვები, ე. ი. მთელი მასალა გაწყობილია ძირების, ანუ ეტიმოლოგიური ბუდეების თანახმად. ეს გარემოება დიდად აძნელებდა სათანადო სიტყვების დაძებნას, აძნელებდა მის პრაქტიკულ გამოყენებას. მსგავსი მეთოდოლოგიური ნაკლი ახასიათებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის პირველ გამოცემასაც, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენი ავტორის ნაშრომს. ხსენებულ უხერხულობას გრძნობდნენ კოლექტიური ნაშრომის შემდგენელნიც, მაგრამ თავდაპირველად მიღებული მეთოდი მათ აღარ შეუცვლიათ, ოღონდ იძულებული გახდნენ მხოლოდ ლექსიკონის ყოველი ნაწილისათვის ბოლოს სიტყვათა საძიებელი დაერთოთ. ლექსიკონის მეორე გამოცემა (1806—1822) სწორედ ამ ნაკლის გამოსწორების საჭიროებამ გამოიწვია[2]. ბ. ბელინსკი, მაგალითად, გულისტკივილით აღნიშნავდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი განმარტებითი ლექსიკონის ამ სერიოზულ მეთოდოლოგიურ ნაკლს. „Этот словарь, — წერდა ბელინსკი 1840 წელს, — был составлен не азбучным, а словопроизводным порядком, и напечатан, в ше-

[1] სიტყვა სრულად არ იკითხება.

[2] Н. С. Державин и С. П. Обнорский, История и техника издания словаря русского языка Академии Наук СССР, „Вестник Академии Наук СССР", № 7, 1932, გვ. 14—26.

ста томах, в шесть лет (1789 — 1794). Как жаль, что неимоверно-высокая цена делает его совершенно бесполезным!"[1].

მაგრამ ყოველივე ამის გათვალისწინება ჩვენი ავტორისათვის ძნელი იქნებოდა. მის მიზანს არ შეადგენდა რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამართვის ახალი მეთოდოლოგიის ძიება, მას სურდა მხოლოდ რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა თანამემამულეთა სახელმძღვანელოდ. ამიტომ იგი, ბუნებრივია, მიჰყვებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის პრინციპებს და სიტყვიერ მასალას ეტიმოლოგიურ ბუდეებად აჯგუფებდა. იქნებ ისიც გრძნობდა ამ პრინციპების ნაკლოვანებებს, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცით. ავტორი უეჭველად იცნობდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში საბა ორბელიანის მიერ დამკვიდრებულ მეთოდოლოგიურ სისტემას, რომელიც მოითხოვდა ლექსიკური მასალის ანბანზე გაწყობას, მაგრამ მას არ იცავს. ამის მიზეზები საძებარია არა საბა ორბელიანის მემკვიდრეობის გადაფასებაში, არამედ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის ავტორიტეტში.

სიტყვა **Второй**-ს ახლავს ასეთი განმარტება:

Второй, მეორე. [შემდეგ შეწევით]:

вторично, მეორედ.
вторичный, მეორის.
вторник, т. 2.
вторписный
полтора, მეორის ნახევარი, ერთნახევარი.
повторяю, -рять, -рит, ვამრჩობლებ.
повторение, с. 2, დამრჩობლება.
повторимый, დამრჩობლებულის.
повторитель, т. 2, გამრჩობლებული.
повторительный, მამრჩობლებელი.

Высокий-ს ბუდეში შეტანილია:

Высокий, მაღალი.

высокосный, მომაღლო.
высоконько, მომაღლოდ.
высоковатый, მომაღლოს.
высоко, მაღლად.

---

[1] В. Белинский, Сочинения, ч. 12, М., 1874, გვ. 465. ავტორი ბოლოს დაასკვნის: „Потом Академия немедленно приступила к составлению словаря по азбучному порядку; но это дело совершилось уже в семьнадцать лет (1806—1822), хотя и этот словарь был издан также в шести частях" (იქვე, გვ. 465).

высокость, ж. 4, სიმაღლე [ეს წაშლილია და სხვა ხელით აწერია: ნავი].
высше, უმაღლეს.
с выше, ზევარდმო, მაღლით.
высочайший, უმაღლესის.
всевысочайший, ყოვ უმაღლესის.

ანალოგიურადაა დალაგებული ზმნებიც. სანიმუშოდ ავიღოთ Б е р у. რომლის ბუდეში ჩამოწერილია ასეთი ზმნური ერთეულები:

Беру 1, брать, взять (возьму), ვიღებ, ავიღებ.
бранье, с. 2, აღება,
боры, м. 2, ფიჭვის ტყე.
вбираю 1, в битать, вобрать, შევარჩევ, ჩავაწყობ.
выбираю 1, გავარჩევ, ვარჩევ, ვაწყნარებ.
выбираюся 1, ვირჩევი [ეს წაშლილია და შემდეგ დაწერილია სხვა ხელით: ვიყრები].
выбирание, с. 2. აყრილობა.
выборный, прил., არჩეული, გამორჩეული.
выборщик, м. 2, აღმრჩეველი, გამომრჩეველი.
выбор м. 2, გამორჩევა.
на выбор купить, არჩევით ყიდვა.
выбранный, прил., აღრჩეული.

добираю 1, -рать, добрать, ვარჩევ, დანარჩომს ვიღებ კიდევ იმისთანას.
не добор, м. 2, აღურჩეველობა, დარჩომა ასაღებელისა.
добираюся 1, ვემზადები.
забираю 1, -рять, забрать (забором), ვკრებ ერთად, ღობეს ვავლებ.
забирание, с. 2, с забрание, შეკრება.
забором загородить, огородить, გალავანს ღობეს ვავლებ.
заборик, м. 2, პატარა ღობე, გალავანი.
избираю 1, -рать, избрать, ვარჩევ ჩემთვის.
избираемый прил., აღრჩეული.
избирание, с. 2, აღრჩევა.
избиратель, м. 2, აღრჩეული.
избирательный прил., აღრჩეულისა.
избрание, с. 2, აღრჩევა.
преизбранно, нар., ოვდ არჩეულად.
избранный, прил., აღრჩეული.

набираю 1, -рать, набрать, მოკრებ.
набирать солдат, შეკრება სალ[და]თ[ებ]ისა.
набирать на стол, სტოლზე გაშლა, გაწყობა.
наборщик, м. 2, მომკრები.
набор, м. 2 (набирание), კრეფა.
наборка, ж. 1 [განუმარტებელია].
наборный, прил., გამორჩეული.
обираю 1, -рать, обобрать, ძარცვ.
обиранный, прич., обобранный, გაძარცული.
обирание, с. 2, обобрание, გაძარცვა.
обиратель, обобратель, м. 2, გამძარცველი.
оборы, множ.. ძარცვა, წართმევა.
обихора, м. 1, წართმეული.
оборки, -рок (обирки, -рок), მომკრეფი.
отбираю 1,-рать отобрать (буд. отберу), ცლი, ძარცვი.
отбиранный, прич. (отобранный), გაძარცული.
отбор, м. 2 (отбирание, с. 2, отобрание), გაძარცვა.
отборный, прил., გამორჩეული.
отборщик, м. 2, отбиратель, მკრეფელი.
перебираю 1, -рать, перебрать, ვჰსცლი.
перебираюся 1, ვიცლები, ვიყრები.
перебор, м. 2 (переборка, ж.), перебирание, с. 2, აყრა, დაცლა.
переборщик, м. 2, აძყრელ-დამცლელი.
побор, м. 2, ხარჯი.
подбираю 1, -рать подобрать, მოვჰკრებ.
подбирать оставшиеся колоезя, ავკრებ დანარჩომს თავთავს.
подбор, м. 2 (подборка, ж. 1, подбирать, подбирание, с. 2), მოკრება.
подборщик, м. 2, подбиратель, подобратель, მომკრებელი.
прибираю 1, -рать, прибирать, შევიკრებ.
прибираюся 1, მოვიკრებ.
прибираться к кому, ვემზადები ვისთან.
прибор, м. 2, მოკაზმულობა, იარაღი.
приборка, ж. 1 (прибирание, с. 2), შეკრება.
прибиральщик, м. 2 (приборщик), მომხვეჭელი.
прибиратель, прибратель, შემკაზმელი.
приборный, прил., შესაკაზმავი.
пробираю 1, ვარჩევ, ავკრებ.
пробираюся 1, განვლი.

пробор, м. 2, пробиратель, пробратель, გამწმედელი.
разбираю 1, разобрать, ვარჩევ.
разборщик, м. 2 (разробатель), გამრჩეველი.
разбор, м. 2 (разбирание, разобрание, с. 2), განრჩევა.
без разбору, нар., გაურჩეველი.
сбираю 1, -рать (собрать овощи), ვკრებ, ვაგროვებ.
сбирать сборы [განუმარტებელია].
в дорогу сбираться, გზაზედ შეკრება, შეყრა.
сборище, с. 2, შესაკრებელი, შესაყრელი.
сборный, прил., შეკრებული.
сборщик, м. 2, შემკრებელი.
сбор, м. 2, შეკრება.
собираю 1, -рать, собрать, აღვკრებ.
собрать с стола, აკრეფა სტოლისა.
собраться с душею, მოკრიფოს სულზედ.
собираемый, прил., ასაკრეფელი.
собирание, с. 2 [განუმარტებელია].
собрание, с. 2, კრება, შეყრილობა.
собиратель, м. 2, შემკრეფელი, მომკრეფელი.
собор, м. 2, ეკლესია, შესაკრებელი.
соборный, прил., კრებული.
собранный, прил., შეკრებული.
собранный в кучу, შეკრებული ერთად.
собраннице, с. 2, მცირე კრება.
убираю 1, -рать, უწყობ, უკეთებ.
убирать волосы, თმის გაკეთება.
убираюся 1, ვიკეთებ, ვიწყებ.
убирание, с. 2, გაწყობა.
убиратель, м. 2, გამკეთებელი.
уборщик, м. 2, убиральщик, მომკაზმელი.
уборщица, ж. 1, მომკაზმელი დედაკაცი.
уборно, нар., გაწყობილად.
убор, м. 2, სამკაული, იარაღი.
уборы домашные, სახლის სამკაული.
уборка, ж. 1, გაწყობა.
уборный, прил., გაწყობილი.
уборный столик, სამკაულის სტოლი.
уборный, прил., მორთული.
убранство, с. 2, მორთულობა.

Беру (брать, взять) ფუძე, როგორც ჩანს, მიჩნეულია ძირეულად, რომლის ბუდეში თავმოყრილია 105 წარმოქმნილი სიტყვა. სხვა ადგილას ეს ერთეულები ლექსიკონში აღარ გვხვდება. ასევეა განმარტებული: благий, близ, блещ, богатый, Бог, боль, болтаю, гремлю (гремить), жар, ложа (ложуся), ночь, режу, скачу, скверный, страх, страна, суд... თითოეული მათგანის ბუდეში დამოწმებულია ათეულობით წარმოქმნილი ფუძეები, რომლებიც, მართალია, სხვა ასოებზე იწყებიან, მაგრამ მაინც ამ ბუდეებშია შეტანილი და ლექსიკონის სხვა ადგილას აღარ მეორდებიან. მაგალითად, угол განმარტებულია ასე:

Угол м. 2, კუთხე.
уголок м. 2.
угольный, прил., კუთხის.
угольчатый прил.
наугольник м. 2, საკუთხე.
треугольный прил., სამკუთხისა.
треугольник м. 2, სამკუთხი.
наугольный дом, კუთხის სახლი.

Наугольник, треугольник, треугольный დამოწმებულია მხოლოდ აქ, угол-ის ბუდეში და Н, Т ასოებზე მათ ვეღარ ვიპოვით. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აძნელებდა ლექსიკონის პრაქტიკულად გამოყენებას და მისთვის საგანგებო მომზადებას მოითხოვდა. მოუმზადებელი მკითხველი მას ვერ გამოიყენებდა.

საიდან უნდა გადმოეღო ავტორს ლექსიკონში სიტყვათა გაწყობის ეს სისტემა? რა წყაროებით შეეძლო მას ესარგებლა ამ შემთხვევაში?

ქართული წყაროებით, ცხადია, ვერ ისარგებლებდა, რადგან ქართულ ლექსიკოგრაფიაში დიდი ხანია დამკვიდრებული იყო სიტყვათა გაწყობის სულ სხვა მეთოდოლოგიური პრინციპი. ჯერ კიდევ საბა ორბელიანმა XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დაამკვიდრა ლექსიკონში სიტყვათა ანბანზე გაწყობის პრინციპები, რაც შემდგომ განმტკიცდა მთელ ქართულ ტრადიციულ ლექსიკოგრაფიაში. ჩვენი ანონიმი ავტორი ამ შემთხვევაში საბას ლექსიკოგრაფიული სკოლის მიმდევარი არ არის.

ანონიმი ავტორი სიტყვათა გაწყობის ამ ბუდობრივ სისტემას დასესხებია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის პირველი გამოცემის (1789—1794) რედაქტორ-შემდგენლებს. ხსენებულ ლექსიკონში სიტყვები გაწყობილ იყო სწორედ ეტიმოლოგიური ბუდეების მიხედვით და არა ანბანზე. ეს წესი მიიღო ლექსიკონის მთავარმა რედაქციამ დასაწყისში და მთელი მასალა ამის მიხედვით გაფორმდა. კოლექტიური ნაშრომის პირველი ნაწილის წინასიტყვაობაში ამის შესა-

ხებ ნათქვამი იყო: „Порядок сей на первый случай признала Академия к утвержденію языка необходимо нужным; ибо через оный корень, сила, различное в разных случаях употребление, сложность, уклонение или прехождение в другій смысл, преносительность, и иносказательность слов и зависящих от них речей, в одном толкуются и объясняются вместе“[1].

Убогий-ს ბუდეში ლექსიკონში, მაგალითად, დამოწმებულია: убогий дом, убого, убожество, убожествую, убожу, убожею, убожница[2].

Угол-ის ბუდეში: угол прямой, угол острой, угол тупой, угольник, угловатый, угольный, краеугольный, наугольник, наугольный, треугольный, треугольник, остроугольный, прямоугольный, равноугольный, тупоугольный[3].

ამ სისტემის პრაქტიკულ უხერხულობას ლექსიკონის შემდგენელნიც კარგად გრძნობდნენ. ამიტომ ისინი, როგორც აღვნიშნეთ, იძულებული გამხდარან, ლექსიკონის თითოეული ნაწილისათვის დაერთოთ განმარტებულ სიტყვათა ანბანზე გაწყობილი საძიებელი. პირველი ნაწილის იმავე წინასიტყვაობაში ნათქვამია: „Самая главнейшая неудобность в сем порядке состоит в прийскивании слов производных и сложных, но для отвращения оныя приложена роспись всем словам и речениям по чину азбучному, с означением столбцов, на котором какое слово находится»[4].

ანონიმმა ლექსიკოგრაფოსმა რუსული განმარტებითი ლექსიკონის პრინციპები გამოიყენა თარგმნითს ლექსიკონში, რითაც კიდევ უფრო მეტად გააძნელა მისი პრაქტიკული მოხმარება. მაგრამ დაწყებული საქმე მას ბოლომდის მაინც არ მიუყვანია: განმარტებულ სიტყვათა საძიებელი აღარ დაურთავს თავისი ნაშრომისათვის.

ახლა ჩვენთვის ცნობილია პირველი წყარო, რომლითაც სარგებლობდა ანონიმი ლექსიკოგრაფოსი. ეს ხელნაწერი ლექსიკონი პირველი მეცნიერული რუსულ-ქართული ლექსიკონია, რომელიც შედგენილია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით. იგი წარმოადგენს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმნიშვნელოვანესი კოლექტიური ნაშრომის პირველ გამოძახილს საქართველოში. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენის ინტერესი. შედგა მრავალი საყურადღებო ნაშრომი. მართალია, მათ უმრავლესობას, გასაგები მიზეზების გამო, გამოქვეყნება არ ღირსებია, მაგრამ ხელნაწერის სახითაც მათ უეჭველად დიდი როლი ითამაშეს რუსული ენის პრაქტიკულად შესწავლისა და ქართველთა შორის ფართოდ გავრცელების საქმეში.

[1] Словарь Академии российской, ч. I, СПб., 1789. წინასიტყვაობა, გვ. X.
[2] Словарь Академии российской, ч. VI, СПб., 1794.
[3] იქვე.
[4] Словарь Академии российской, ч. I, СПб., 1789. წინასიტყვაობა, გვ. XI.

3. იოანე ბაგრატიონის რუსულ-ქართული ლექსიკონი

რუსულ-ქართულ ხელნაწერ ლექსიკონებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იოანე ბაგრატიონის კაპიტალური ნაშრომი იწვევს. ავტორი დიდად განსწავლული მეცნიერი იყო. მიღებული ჰქონდა მაღალი განათლება, კარგად იცოდა რუსული, ბერძნული და ლათინური ენები. მის ენათმეცნიერულ, საბუნებისმეტყველო და საისტორიო ნაშრომებს, რომლებიც ხელნაწერად ვრცელდებოდა, დიდი ინტერესით ხვდებოდა XIX საუკუნის პირველი ორი-სამი ათეული წლის ქართველი და რუსი საზოგადოებრიობა. იოანე ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“, რომელიც დაწერილია XIX საუკუნის პირველ მესამედში[1] და გადმოგვცემს სარწმუნო ცნობებს ცოდნის თითქმის ყველა სფეროდან (ქართული ლიტერატურის ისტორია, მსოფლიო და საქართველოს ისტორია, ენათმეცნიერება, გრამატიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, სამართალი, ეთიკა, მითოლოგია, პოეტიკა, რიტორიკა, არქიტექტურა, ტექნიკა, გეოგრაფია, მეტალურგია, ფიზიკა, ასტრონომია, მათემატიკა, ანთროპოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, მედიცინა, თეოლოგია, სამხედრო საქმე და სხვა).

ი. ბაგრატიონს დიდი შრომა გაუწევია ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენისათვისაც. სხვა ადგილას ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა შევხებოდით ი. ბაგრატიონის ღვაწლს ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა-გამართვაში[2], აქ კი ხაზი უნდა გავუსვათ მის უდიდეს დამსახურებას რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალი, განსხვავებული რედაქციის შექმნაშიც.

ი. ბაგრატიონის რუსულ-ქართული ლექსიკონი შეიცავს ექვს ნაწილს და დამუშავებულ-რედაქტირებულია 1807—1825 წლების პერიოდში. ამჟამად ცნობილია ამ ლექსიკონის ორი პირი.

ა. ერთი პირი დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საისტორიო-საეთნოგრაფიო სა-

---

[1] ი. ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1936. წინასიტყვაობა, გვ. II—III.

[2] ალ. ღლონტი, რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში (ბიბლიოგრაფიული შენიშვნები), „სტალინელი“, № 182 (2937), 1954 წ.; მისივე: ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში, „სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 285—312. ი. ბაგრატიონის ენათმეცნიერული მემკვიდრეობიდან, ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონებს გარდა, ცნობილია გრამატიკული ნაშრომებიც (იხ. მაგალითად, მისი: „ქართული ღრამმატიკა, შედგენილი, სანკტპეტერბურხსა შინა 1829 წლის 6 სექტემბერს“, რომელიც დაცულია სსრ კავშირის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყოფილების აკად. ა. შეგრენის კოლექციაში, E 44).

ზოგადოების ფონდში (H 2328). ეს ავტოგრაფული ხელნაწერია და, ემჩნევა, წარმოადგენდა ლექსიკოგრაფოსის სამუშაო ეგზემპლარს: ქართულ შესატყვისობათა ტექსტი რედაქტირებულია, ბევრია შესწორება, ჩამატება, გამოკლება. მიუხედავად ამისა რუსული სიტყვების თარგმანი მოცემულია მკაფიოდ, დამოწმებულია მდიდარი ლიტერატურული წყაროები. ავტორს მრავალი წელი უმუშავია ამ ლექსიკონზე, ემჩნევა ორივე ენის — რუსულისა და ქართულის — ღრმა ცოდნა. ხელნაწერი 981 ფურცელს შეიცავს. თავში აწერია: „Показание словам, содержавшимся в шести частях по чину азбучному, с означением столбцов, на которых какое слово находится".

მასალა მდიდრულადაა წარმოდგენილი როგორც რუსულ, ისე ქართულ ნაწილში. ლექსიკონში დამოწმებულია ბევრი ქართული სიტყვა, რომელიც უცნობია სხვა წყაროებიდან. სანიმუშოდ მოგვაქვს ცნობები A ასოს შესახებ:

„A გამოხატვა პირველისა ასოჲსა სლავენო-რუსულის ანბანისა, რომელიცა არს ჴმოვანთა ასოთა შორის პირველი და ეწოდების ა, ხოლო რიცხვთა შინა ეკკლესიურთა ქარაგმით და ჰნიშნავს ერთსა, ანუ 1; და ნიშნითა ამით ოდეს ქუშმო უჯდეს, ჰნიშნავს ათასსა 1000, მაგალითი A.

A კავშირია, რომელიცა ჰნიშნავს ხოლოსა და იჴმევის პერიოდსა შინა, ოდეს ქუშმდებარე მისი და შესმენილი ერთი მეორისა მიმართ წინააღმდეგ დაიდებიან. მაგალ., „ერთი იგი შეიყუარაოს, ხოლო მეორე მოიძულოს", ლუკ. 16, 13; „მე საქმეს ვიქმ, ხოლო შენ მაბრკოლებ". შემდგომსა უკვე შემთხვევასა შინა დაიდების ნაცულად კავშირისა განმაუღლველისა...

A კავშ. იგივე ხოლო. იჴმევის ნაცულად კავშირისა ვ ~ე. მაგალ., „რომელსა აქუნდეს მცნებანი ჩემნი, და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე; ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ", იოან. 14, 21.

A მდაბიური ჴმის მიცემა ზახილზედ ჰა.

A შორისდებულია, განმაღვიძებელი პასუხისგებისადმი. მაგალ., გესმის? (ა) შენ.

A შორისდებ. ოჰ! რომელიცა იჴმევის მდაბიურსა კიცხვასა შინა მას ზედა, რომლისაცა მეცადინეობა დაშთენილ იყოს თვინიერ მისწრაფებისა, მაგალ., ოჰ! ძმაო, ალიღე!

A ჱი! ანუ ვაჲ, შორისდ. იჴმევის შემთხვევასა შინა განკვირვებისა, ანუ შიშისასა, რომლითაცა შეეყვსეულებასა შემთხვევისასა, ანუ ძლერი გამოხატვა ეკვეთების საგრძნობელთა ჩუნთა. მაგალ., ჱი! ვითარი განსაცდელი.

A ოო! შორისდ. დამნიშვნელი მიხდომისა რაჲსამე. მაგალ., ოო! ეგ სხუა საქმეა!

Aa! აა! ანუ გინა, შორისდ. იკმევის განცხადებისათჳს კმაყოფისა ჩუენისა, ოდესცა ვიხილავთ შემთხვეულსა ვნებასა, წყენასა, ვერა აღსრულებასა ვისგანმე ბოროტისა მისის განზრახვისასა და ესე ვითართა. მაგალ., „განა! მაშინ კარგი იყო შენთვის, ახლა გამოიცადე. აა! კვლავ აღარ იცრუვებ" (ფ. 2, v და r).

ბ. მეორე პირი დაცულია მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს კოლექციაში (№ 272). ხელნაწერი კაპიტალურია, დაყოფილია ექვს ნაწილად და შეადგენს 2124 ფურცელს. გადაწერილი უნდა იყოს 1813—1825 წლებში (ქაღალდის ჭვირნიშანი 1811—1813 წლებს უჩვენებს). პირველ ნაწილს თავში აწერია: „Показание, сие словарь содержить в себе шесть частей, по чину азбучному порядку с означением по столбцам, которыя находятся в сем словаре от российского языка на грузинский переведено от его светлости грузинского царевича Иоанна Георгиевича и кавалера с прибавлением по азбучному порядку самоучительным от грузинского языка на российский, а от российского на грузинский".

ამ ნაწილს წინ ერთვის ქართული ღია და დახურული (თანხმოვანხმოვნიანი და ხმოვან-თანხმოვნიანი) მარცვლები, შემდეგ მოცემულია რამდენიმე ქართული სიტყვა ქართული და რუსული ტრანსკრიფციით, რასაც ახლავს მათი რუსული თარგმანიც. სანიმუშოდ მოგვაქვს რამდენიმე მათგანი:

ბაგე баге уста.
ბინდი бинди чут темнота.
ბედი беди счастье.
ბოძი бодзи колона деревянная.
დოქი доки посуда глиняной, небольшое, для употребление вин.
ვიქმ виккм сделаю.
ვუთმობ вутмоб стерпиваю.
ზაკვა заква хитрость.
თითი тити палец.
თუალი туали глаза.
მეფე мефе царь.
მუნჯი мунджи немый.
ნოყიერი ногкиери живный.
ფერი фери цвет.
ფარი фари щит.
ფური фури корова.
ქათამი ккатами курица.
ყელი гкели горло.
ყოველი гковели все.
ყური гкури уши.
ძუ дзу самка, собачка.
წილი ццили часть.
ჭა тча колодез.
ჭორი тчори сплетня.
ხარი ххари бык.
ხელი ххели рука.
ჯავრი джаври печаль.
ჯიქი джикки тигр.
ჯოგი джоги стадо (лошадей)...

ამას შემდეგ მოყვება რუსული ღია და დახურული მარცვლები და რამდენიმე რუსული სიტყვა რუსულ-ქართული ტრანსკრიფციით, რასაც თან ახლავს მათი ქართული თარგმანიც:

огонь ოღონ ცეცხლი.	гавань ღავან ნავთსადგური.
угол უღოლ კუთხე.	герб ღერბ გვარეულობითი ბეჭედი, საბეჭდავი.
башня ბაშნია კოშკი, გოდოლი.	шаг შაღ ნაბიჯი...
бог ბოღ ღმერთი.	
величаю ველიჩაუ ვადიდებ.	

ყოველივე ამის შემდეგ იწყება ლექსიკონი (A ასოს მასალა). ხელნაწერი შესრულებულია ლამაზი მხედრულით. ეტყობა, ავტორს ჯერ ჩამოუწერია რუსული სიტყვები და შემდეგ მათთვის მიუწერია ქართული თარგმანი. ამიტომ ქართული თარგმანის ხელი ხშირად განსხვავებულია. ი. ბაგრატიონის რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეტანილია ძვირფასი სიტყვაბრივი მასალა, რაც დიდი სიფრთხილითაა შეწამებული სათანადო წყაროებთან. მისი ორივე — რუსული და ქართული — ნაწილი მეცნიერულად სანდოა და ასახავს XIX საუკუნის ოციანი წლების მდგომარეობას. მიუხედავად ასე დიდი ღირსებისა ლექსიკონი დარჩა გამოუქვეყნებლად, ხელნაწერის სახით[1], რის გამოც მან ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში ვერ ითამაშა შესაფერისი როლი.

იოანე ბაგრატიონის რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ორად-ორი ცნობა:

ა. დამოწმებულია პროფ. გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“, „გამოვიყენეთ ნაწილობრივ და საჭიროების მიხედვითო“[2].

ბ. პროფ. კ. კეკელიძესა და პროფ. ალ. ბარამიძეს იოანე ბაგრატიონის მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევში, რომელიც წამძღვარებული აქვს „კალმასობის“ პირველ ტომს, აღნიშნული აქვთ: „იოანეს ეკუთვნის ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკო-

---

[1] ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ი. ბატონიშვილისეულ კოლექციაში დაცულია ამ ლექსიკონის მეექვსე ნაწილის მეორე პარიც, რომლის თავში იკითხება: „Начало шестой части и конец последнего тома русско-грузинского лексикона» (№ 276). ფრაგმენტები ინახება სხვა არქივთსაცავებშიაც, კერძოდ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების აკად. მ. ბროსეს კოლექციაშიც. აქ შენახულა ლექსიკონის ავტოგრაფული ფრაგმენტები A-დან B-მდის (P 8), რაც 1807 წლით თარიღდება.

[2] გ. ახვლედიანი და ს. იორდანიშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, პროფ. გ. ახვლედიანის რედ., ტ. I. თბ., 1931. წინასიტყვაობა. გვ. 9.

ნი... რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და თანამედროვე ლექსიკოგრაფთათვისაც კი სასარგებლო გამხდარაო"[1].

იოანე ბაგრატიონის რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა გაამდიდრებდა ჩვენს ისტორიულ ლექსიკოგრაფიას უცნობი ორიგინალური ნაშრომით.

4. ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი

ნიკო ჩუბინაშვილი XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის გამოჩენილი მთარგმნელი, არქეოლოგოსი და ლექსიკოგრაფოსი იყო. მშობლიურ ქართულთან ერთად მან კარგად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური ენები. ჩუბინაშვილების ოჯახი ტრადიციულად მწიგნობართა ოჯახი იყო[2] და ნიკოსაც ფართო ზოგადი განათლება ჰქონდა მიღებული. ლექსიკოგრაფია მას სიყრმიდანვე შეუყვარებია, ხოლო მთელი გატაცებით ამ მუშაობაში 1812 წლიდან ჩაბმულა.

პროფ. ალ. ცაგარელი, პირველი ბიოგრაფოსი ნიკო ჩუბინაშვილისა, მიუთითებს, რომ ნიკო 1825 წლამდის მოღვაწეობდა თბილისში და უმთავრესად სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს ადგენდა, 1825—1837 წლებში მოღვაწეობდა პეტერბურგში, მუშაობდა ქართულ ლექსიკოგრაფიასა და გრამატიკაში, ხოლო 1842—1845 წლებში საქართველოსა და პალესტინაში არქეოლოგიურ ძიებას ეწეოდაო[3].

ამ ცნობაში ძირითადად სწორადაა გადმოცემული სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობის მთავარი ეტაპები, მაგრამ მასში მცირე კორექტივის შეტანა მაინცაა საჭირო. ნ. ჩუბინაშვილს ლექსიკოგრაფიული მუშაობა 1825 წლიდან კი არ დაუწყია, როგორც ფიქრობდა პროფ. ალ. ცაგარელი, არამედ ამაზე გაცილებით ადრე. ირკვევა, თავისი ძირითადი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები) ნ. ჩუბინაშვილს

---

[1] ი. ბატონიშვილი, „კალმასობა", კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., ტ. I, თბ., 1936, წინასიტყვაობა, გვ. VII. ეგეთე ცნობა დამოწმებული აქვს მ. ჯანაშვილსაც: „იოანე ბატონიშვილმა შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი ექვს ნაწილად" (მ. გ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, თბ., 1895, გვ. 493).

[2] 1782—1891 წლებში ჩუბინაშვილების ოჯახში გვყავს მწიგნობართა სამი თაობა: მღვდელი დავითი, მისი შვილები: იესე (ცნობილი გრამატიკოსი, ავტორი ქართული ენის ბეჭდური გრამატიკისა) და ნიკოლოზი (ჩვენი ლექსიკოგრაფოსი), იესეს შვილი დავითი (პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, გამოჩენილი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი) (А. А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, შესავალი, გვ. I).

[3] А. А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. LXVII.

1812—1825 წლებში დაუმთავრებია, ხოლო მომდევნო წლებში მათს რედაქტირება-გადაწერას შესდგომია.

ნ. ჩუბინაშვილს თანაბარი შრომა გაუწევია ქართულსა და რუსულ ლექსიკოგრაფიაში. მისი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ავტორის უდიდესი ერუდიციის, ცოდნის, შრომისმოყვარეობისა და ფართო განათლების მაჩვენებელია. ყველა მათგანის შედგენაზე გაწეულია ტიტანური შრომა. ავტორის ქართულ-რუსულ ლექსიკონზე საუბარი გვექნება სხვა ადგილას, აქ კი მოკლედ შევჩერდებით მის რუსულ-ქართულ ლექსიკონზე.

ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი კაპიტალური ნაშრომია, შეიცავს ორ მოზრდილ ტომს და ჩვენამდის მოღწეულია ორ ცალად. ორივე მათგანი წარმოადგენს ავტოგრაფს. ერთი ეგზემპლარი, რომელიც ავტორს გადაუნუსხავს 1825 წელს, ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში (H 1739, ა და ბ), ხოლო მეორე, ავტორისავე ხელით გადაწერილი 1832 წელს, დაცულია ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის დ. ჩუბინაშვილისეულ კოლექციაში (S 3712 და S 3713).

H 1739 ორ ტომადაა შეკრული (ა და ბ) და ეწოდება: „Российско-грузинский лексикон". პირველი ტომი იწყება А-თი და მთავრდება К-თი (Кувыркаю), შეიცავს 315 ფურცელს, ნაწერი შესრულებულია წვრილი ხელით ქაღალდის ორივე გვერდზე. მეორე ტომი პირდაპირი გაგრძელება არ არის პირველისა. მას საკუთარი პაგინაცია აქვს (1—529) და რატომღაც З-ით იწყება (სიტყვით: Замарываю). აქედან (გვ. 1) ვიდრე Кувыркаю-მდის (გვ. 35), რომლითაც მთავრდება პირველი ტომი, მთელი 35 ფურცელი ზედმეტია.

რამ გამოიწვია ამ 35 ფურცლის ჩამატება? შეცდომამ? გამეორებამ? არა, არც ერთმა, არც მეორემ. ლექსიკონის ეს ორივე ტომი ცალ-ცალკე დამოუკიდებელი პირი უნდა იყოს. პირველ ტომს, სავარაუდოა, დამოუკიდებელი გაგრძელება ჰქონდა К-ასოდან, ხოლო ამ მეორე ტომს — დამოუკიდებელი პირველი ნაწილი З-ასოდის. ამრიგად, ამ ხელნაწერთა სახით ლექსიკონის ორი დამოუკიდებელი პირი გვაქვს. ამას, სხვათა შორის, ისიც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ლექსიკონის ცალკე ნაწყვეტებს ვპოულობთ სხვა ხელნაწერთა შორისაც. ასე, მაგალითად, ხელნაწერთა ერთ კრებულში შეტანილია მისი ფრაგმენტები (იქნებ შავი, პირველმონახაზი!) В-დან З-ასოდის, გადაწერილი ავტორისვე ხელით (Q 332, გვ. 349—373).

მეორე ტომის გადაწერა დასრულებულა 1825 წლის 12 აპრილს. მის ბოლო ფურცელზე იკითხება: „Конец $18\frac{IV}{12}25$" (ფ. 529).

S 3712 და S 3713-იც ორ ტომადაა შეკრული და თითოეული ცალ-ცალკეა რეგისტრირებული. ლექსიკონის ეს პირი, როგორც ეტყობა. მომზადებულია დასაბეჭდად, სასტამბოდ. ცნობილია „Полный россійско-грузинскій словарь“. მეორე ტომის ბოლოს აღნიშნულია გადაწერის თარიღი: „Конец 18 $\frac{III}{20}$ 32“. ლექსიკონში შეტანილია დაახლოებით 37 ათასი სიტყვა და წარმოადგენს H 1739-ის ჩვეულებრივ პირს. გადაწერილია ავტორის ლამაზი მხედრულით.

ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში ერთი სიტყვაც არ არის აღნიშნული. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა გზამკვლევში“ იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვითაა მოხსენებული, ისიც ანონიმურად: „რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორ ტომად, 1832 წ. 2 მარტის თარიღით, (მ. ჯანაშვილის ვარაუდით) 36000 სიტყვა, სათაურით: „Полный россійско-грузинскій словарь“ (№№ 3712—3713 — S)“[1].

პირველ სარწმუნო ცნობებს ამ ლექსიკონისა და მისი შემდგენლის შესახებ ავტოგრაფულ დედანში ვპოულობთ, შემდეგ კი ავტორის სპეციალურ ანდერძში, რომელიც თავის დროზე პროფ. დ. ჩუბინაშვილის არქივში იპოვა პროფ. ალ. ცაგარელმა და 1894 წელს კიდეც გამოაქვეყნა.

ლექსიკონის მეორე, დასაბეჭდად მომზადებულ პირს ახლავს „Предуведомленіе“, რომელშიაც ნ. ჩუბინაშვილი მოგვითხრობს ნაშრომის უშუალო წყაროებსა და იმ ხანგრძლივ, მომქანცველ შრომაზე, რაც დასჭირდა მის შედგენას. აქედან ირკვევა, ავტორი ლექსიკონზე 20 წელს მუშაობდა (ე. ი. 1812+20=1832) და თავისი „ცხოვრება სრულებით ამის შრომაზედ“ გაუტარებია, ძირითად წყაროებად იყენებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითს ლექსიკონს, ნ. იანოვსკის სამტომიან რუსულ სიტყვარს და გ. როზანოვის ლათინურ-რუსულ ლექსიკონს. „Предлагаемая книга, — ვკითხულობთ იქ. — Полный словарь россійско-грузинскій, начата при пособій словаря Россійской Академіи I изданія и словотолкователя в 3-х частях Г. Яновского, а расположена по системе латинского лексикона с россійским переводом Г Розанова“ (S 3712, ნაწ. I, Предуведомленіе, ფ. 1)[2].

---

[1] ქრ. შარაშიძე, ყოფ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდი, „გზამკვლევი“, თბ., 1952, გვ. 44.

[2] ჩვენი დაკვირვებით, ლექსიკოგრაფოსი ემყარება „Словарь Академіи Россійской“-ს არა მარტო პირველ გამოცემას (1789—1794), არამედ მეორე გამოცემასაც, რომელსაც ეწოდება: „Словарь Академіи Россійской по азбучному порядку расположенный (ч. I, СПб., 1806; II, СПб., 1809; III, IV, СПб., 1814; V,

ამ ლექსიკონს ნ. ჩუბინაშვილი, სხვათა შორის, იხსენიებს იმ საკუთარ ნაშრომთა შორის, რომლებიც მას, ავადმყოფობის გამო 1837 წელს პეტერბურგიდან გამომგზავრების დროს, თავისი ძმისწულის — დავით ჩუბინაშვილისათვის დაუტოვებია. ანდერძში მიუთითებს, რომ იგი შედგენილია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით და ფასი არ დაედებაო: „რუსული და ქართული ლექსიკონი, დიდის აკადემიის სლოვარიდამ შედგენილი, რომელსაც ფასი არ დაედება, ამისათვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულებით ამის შრომაზედ გამიტარებიაო“[1].

ლექსიკონი ქმნის სრულიად განსაკუთრებულ რედაქციას. ემყარება უმდიდრეს წყაროებს. ლექსიკური მასალა არა მარტო ანბანზეა გაწყობილი, დახასიათებულია გრამატიკულად და მოცემულია მისი ზუსტი თარგმანი. მეტი ნაწილი რუსული და არარუსული წარმოშობის სიტყვებისა დამოწმებულია ლიტერატურული ძეგლებიდან. ციტირებულია როგორც სასულიერო (ბიბლიური) წიგნები, ისე მხატვრული და ისტორიული თხზულებები. სანიმუშოდ რამდენიმე სიტყვა:

А Союз, Лук. 16, 13 და || Иоан. 10, 12 и 14, 21; ხოლო, არამედ (ა ̃დ).

А! междом. ჰა || ჰე, ჰე! Аа, аа! ჰაი, ეჰე!

Август, -ста с. м., лат., აგვსტო (თთუ).

Автор,-ра с. м., греч., ავტორი, დამწყები, მიზეზი, მპოვნელი. მთხზველი, მწერალი.

Агент,-та. с. м., მაგიერი, ვექილი, მოსაქმე. || დესპანი, ელჩი.

Адрес, календарь, -ря с. м., წიგნი, აღწერა, სახელთა ყოველთავე მოხელეთა სახელმწიფოსათა.

Адъюнкт,-та с. м., лат., აღრიცხული სწავლულთა შორის. || შემწე, თანაშემწე.

Адский, -ая, -ое и сл., -адов, -ва, -во, прил., Псал., 114,3; ჯოჯოხეთისა, ჯოჯოხეთებრი, ჯოჯოხეთური...

თავისი მეცნიერული ღირსებით ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი დგას ყველა ხელნაწერ ლექსიკონზე მაღლა. ლექსიკური მასალის ნაირობითა და სიუხვით როგორც რუსულ, ისე ქართულ ნა-

---

VI, СПб., 1822). სიტყვობრივი მასალა მას გაწყობილი აქვს ანბანზე, სწორედ ხსენებული ლექსიკონის სისტემის მიხედვით. 1812 წელს, როცა ნ. ჩუბინაშვილს თავისი შრომის შედგენა დაუწყია, გამოცემული იყო ამ ლექსიკონის პირველი ორი ტომი. საკუთარი მასალის შეწამება დანარჩენ ტომებთან მას მოგვიანებითაც შეეძლო. რაც შეეხება ნ. იანოვსკის ლექსიკონს, ავტორი მას იმთავითვე მთლიანად გამოიყენებდა, რადგან ის 1803—1806 წლებში გამოიცა: Н. Яновский, Новый словотолкователь, расположенный по алфавиту, ч. I, СПб., 1803; II, СПб., 1804; III, СПб., 1806.

[1] А. А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. 32.

წილში, განმარტებებისა და თარგმანის სიზუსტით, სიტყვათა მკაფიო გრამატიკული დახასიათებით, სტრუქტურით, სიტყვათა გაწყობის მეთოდოლოგიით იგი ახლაც დიდ ინტერესს იწვევს და მას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ფასი. ყოველივე ამით ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომი გაცილებით მაღლა იდგა ვიდრე დ. ჩუბინაშვილის მიერ შემდგომ შედგენილი და გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი (1846, 1886, 1901).

ამრიგად, ნიკო ჩუბინაშვილს 1812—1825 წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და იმ პერიოდში არსებული სხვა რუსული განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით შეუდგენია კაპიტალური ნაშრომი—რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლის გამართვაზე ოცი წელიწადი უშრომია. თავისი მეცნიერული სიზუსტით, წყაროთა ჩვენებითა და უმდიდრესი სიტყვობრივი მასალით როგორც რუსულ, ისე ქართულ ნაწილში, ის დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ ლექსიკონის საფუძველზე შემდეგ შეადგინა თავისი რუსულ-ქართული ლექსიკონი პროფ. დავით ჩუბინაშვილმა. [ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოიცა 1971—1973 წწ. ორ ტომად ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით].

5. რუსულ-ქართული ლექსიკონების რედაქციებისათვის

XVIII საუკუნის დასასრულსა და, განსაკუთრებით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ ბევრ ავტორს უცდია რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. სპეციალისტ ლექსიკოგრაფოსებთან ერთად ამ მხრით თავი გამოუჩენიათ ლექსიკოგრაფიის ანონიმ მოყვარულთ. შექმნილა ხელნაწერ რუსულ-ქართულ ლექსიკონთა მთელი სერია. ამ ლექსიკონების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს თავმოყრილია ჩვენს წიგნთსაცავებსა და ხელნაწერთა არქივებში (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები და რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკა-მუზეუმები, ცენტრარქივი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა და სხვ.), მაგრამ დიდი ნაწილი კვლავ კერძო პირების ხელშია. პირადად ჩვენ ამ არქივებში აღრიცხული გვაქვს რუსულ-ქართული ლექსიკონის 70-ზე მეტი ნუსხა, რომლებიც სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის და სხვადასხვა მიზნითაა შედგენილი. მეტი ნაწილი კი ვაკაფური ხასიათისაა და პრაქტიკულ (სასწავლო) მიზნებს ისახავს.

ასეთი თარგმნითი ლექსიკონის ძირითადი მიზანი რუსული ენის პრაქტიკულად შესწავლა ყოფილა. ამიტომ ზოგი ხელნაწერი დამოუკიდებელ მეცნიერულ ნაშრომს კი არ წარმოადგენს, არამედ ტოვებს უბრალო ჩანაწერის შთაბეჭდილებას, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ მისი შემდგენლისა და ამ უკანასკნელთან ახლოს მდგომ პირთათვის (იხ., მაგალითად, A 1594, A 1148. H 317, Q 288 და სხვ.).

რუსულ-ქართული ლექსიკონების ხელნაწერთა ძირითადი ჯგუფების შესწავლა-შტუდირება და ერთურთთან შედარება-შეწამება შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ მათი ხუთი რედაქცია. ცალკე ხელნაწერთა შესწავლა-შედარებას საფუძვლად უძევს ლექსიკური მასალის სიმდიდრე, მათი განმარტება-თარგმანის სიზუსტე, წყაროების ცოდნა-გამოყენება. თითოეულ რედაქციას, პირობით, ლათინური ასოებით A, B, C, D, E აღვნიშნავთ.

A რედაქცია. აქ უნდა შევიტანოთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითი ლექსიკონის (1789—1794) მიხედვით შედგენილი პირველი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც 1791—1792 წლებში დაუსრულებია ანონიმ ავტორს და ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 18). ამ ხელნაწერზე ლაპარაკი გვქონდა ზევით (§ 2) და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. იგი რუსულ-ქართული ლექსიკონების არსებული ხელნაწერებიდან განსხვავდება როგორც აგებულებითა და სიტყვათა გაწყობის პრინციპებით, ისე მასალის მრავალფეროვნებითა და სიუხვით. ეს რედაქცია განცალკევებით დგას და სხვა ხელნაწერებს არ უდგება.

B რედაქციას შეადგენს იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ორი ნუსხითაა ცნობილი. მისი ერთი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ (§ 3), დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2328), ხოლო მეორე კი — ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 272). ლექსიკონი შედგენილია 1813—1825 წლებში. აგებულებით, მასალის დალაგებითა და სიუხვით და განმარტება-თარგმანით ეს ხელნაწერიც სრულიად განკერძოებულად დგას და ცალკე რედაქციას წარმოადგენს.

C რედაქცია. ამ რედაქციას ქმნის ნიკო ჩუბინაშვილის „Полный российско-грузинский словарь“, რომელიც 1812—1825 წლებშია შედგენილი და ამჟამად ორი ავტოგრაფული ნუსხის სახით ინახება საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (1825 წელს გადაწერილი პირი — H 3713; 1832 წელს გადაწერილი პირი — S 3712 და S 3713). მასალის სიმდიდრითა და ორიგინალური განლაგებით, ზუსტი, მეცნიერული განმარტება-თარგმანით ლექსიკონი განსაკუთრებით გამოირჩევა და ყველა ხელნაწერზე მაღლა დგას. მისი მოკლე დახასიათება მოცემულია ზევით (§ 4).

D რედაქცია. აქ თავსდება ხელნაწერი რუსულ-ქართული ლექსიკონების ერთი რიგი, მოცულობითაც, სიტყვათა განმარტება-თარგმანითა და არქიტექტონიკითაც რომ ერთიმეორის ვარიანტებს წარმოადგენენ. მთავარ ნაწილში ისინი ერთურთს ემთხვევიან და, როგორც ირკვევა, ერთი დედნიდან მომდინარეობენ (S 2466, S 2649, H 1285, Q 346 და სხვ.). ანონიმ ავტორებს მეცნიერული შრომების შედგენის პრეტენზია არ ჰქონიათ. მათი მიზანი ყოფილა რუსული ენის ლექსიკის აუცილებელი მინიმუმის ქართულად გადმოღება და რუსული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის გასაგებად მიწოდება. ამდენად ეს რედაქცია აერთიანებს უფრო მაღალი ტიპის სასწავლო ლექსიკონებს, ვიდრე ვაკაფური რედაქციაა. სიტყვათა მარაგით D რედაქციის ლექსიკონები მერყეობენ, ზოგ ხელნაწერში მეტი რაოდენობის მასალაა დამოწმებული, ზოგში ნაკლები. განმარტება-თარგმანი ან სრული თანხვდენილია ან ვარიანტულ სხვაობას გვიჩვენებს. სანიმუშოდ მოგვაქვს სამიოდე სიტყვის თარგმანის შედარებითი სქემა.

ხელნაწერები	სიტყვები		
	Убор	Уважение	Умозаключение
S 2466	მოსართავი	პატივისდება, თავაზა	გონებითკიდურმდგომობა, წვლილმოგონება.
S 2649	მოსართავი, იარაღი სახლისა	პატივისდება, თავაზა, შეწყნარება	გონებითკიდურმდგომობა, წვლილმოგონება.
H 1285	მოსართავი	პატივისდება, თავაზა	გონებითკიდურმდგომობა, წვლილმოგონება.
Q 346	მოსართავი	განთავისუფლება, ან მბოძნა	გონებითკიდურმდგომობა, წვლილმოგონება.

S 2466 XIX საუკუნის 30-იანი წლების ანონიმური ლექსიკონია. თავში აკლია 62 გვერდი და პაგინაცია 63-დან იწყება — Ж ასოს მასალების გაგრძელებით. ხელნაწერი 348 გვერდს შეიცავს. ქაღალდი სხვადასხვა ფერისაა (გვ. 63—78 — თეთრი, 79—110, 149—182 — ლურჯი, დანარჩენი — თეთრი). ჯერ ჩამოწერილია რუსული სიტყვები და შემდეგ მიწერილი აქვს მათი ქართული თარგმანი. ლექსიკონში შეტანილია ჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულებისას უფრო ხშირად სახმარი სიტყვები. რუსული სიტყვების მართლწერაში ალაგ-ალაგ გაპარულია შეცდომები. ემჩნევა, ეს ხელნაწერიც იმ დედნიდან მომდინარეობს, საიდანაც S 2649.

S 2649 — ანონიმური ლექსიკონი წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოებისათვის იასონ ციციშვილს შეუწირავს. ისიც XIX საუკუნის 30-იან წლებს ეკუთვნის (ქაღალდის ჰვირინიშანი 1823 წელს უჩვენებს). შეიცავს 240 ფურცელს. შიგადაშიგ გვერდები უწერადაა დატოვებული დამატებებისათვის. შედგენილია სასწავლო მიზნით.

H 1285-იც ანონიმურია. იგი 1825 წელს გადაუწერია გრიგოლ ჭრელაშვილს. ბოლო გვერდზე იკითხება: „დასასრული ლექსიკონისა. Конец словаря. აღიწერა ლექსიკონი ესე ტფილისის ქალაქსა შინა სიონის სობოროს დიაკონის გრიგოლ ჩრელაევისაგან, დეკემბრის 5, წელსა 1825“ (ფ. 240). გრიგოლ ჭრელაშვილი გადამწერი უნდა იყოს და არა ავტორი. მასვე ყდის მეორე გვერდზე (ყდა მუყაოსია!) ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „Словарь русского языка на грузинский принадлежит протоиерею Григорию Чрелаеву, 1852 — декабря (? ა. ღ.) числа“. თუ ეს თარიღი მართალია და შეცდომით არ არის დაწერილი (იქნებ, კალმის ცდუნებით 1825-ის მაგივრად, 1852-ია დაწერილი!), გამოდის, რომ ლექსიკონის გადაწერის დროს გრიგოლ ჭრელაშვილი დიაკონი ყოფილა (1825 წ.), ხოლო ამ მინაწერის გაკეთებისას — დეკანოზი (1852 წ.).

Q 346 ნუსხა რუსულ-ქართული ლექსიკონის (D რედაქციის) შემოკლებული პირია. შეიცავს მომცრო ზომის 158 გვერდს, ნაწერია ორ-ორ სვეტად. რედაქციულად S 2466, S 2649 და H 1285 ხელნაწერების მსგავსია. ყდაზე აწერია: „Сия принадлежит ученику III кл... Семену Бакрадзе, Тифлис, 1843-го года, сентября 2 дня“. გადაწერილი ჩანს 30—40-იან წლებში.

E რედაქციაში ერთიანდება რუსულ-ქართული ლექსიკონების ნუსხები: S 2765, S 3239, H 317, H 2825, A 1148, A 1594, Q 282, Q 728, პლატონ იოსელიანისა (სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, E 57), იოანა ხელაშვილისა (S 22) და სხვ. ამ რედაქციის ლექსიკონებიც, D რედაქციის მსგავსად, პრაქტიკული მიზნებისთვისაა შედგენილი, რუსული ენის შემსწავლელთა დამხმარე სახელმძღვანელოდ. რედაქციულად ასეთივეა პირველი ბეჭდური რუსულ-ქართული სასწავლო ლექსიკონიც, რომელიც შეტანილია გოდერძი ფირალიშვილის „თვითმასწავლებელში“ (აქ თარგმნილია მხოლოდ 2700-მდის რუსული სიტყვა)[1].

ეს ხელნაწერი ლექსიკონები, უნდა ვიფიქროთ, ერთი დედნიდან მომდინარეობენ და ერთ რედაქციას ქმნიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთიმეორის უბრალო ასლებია და ერთურთისაგან არ განსხვავდებიან. პირიქით, მათ შორის თვალსაჩინო სხვაობაცაა მოცულობაშიც, სიტყვათა თარგმანშიც, მაგრამ ეს სხვაობა ერთი რედაქციის საზღვრებს არ შორდება. ისინი ან ერთი საერთო დედნიდან მომდინა-

[1] Г. Фиралов, Самоучитель. СПб.. 1820.

რეობენ ან მონათესავე დედნები ოდნავ რედაქციულ ცვლილებას გვაძლევენ. საგულისხმოა, რომ ამ რედაქციაში ანონიმურ ნაშრომებთან ერთად ვათავსებთ ისეთ ლექსიკონებსაც, რომელთა ავტორები ასე თუ ისე ცნობილია. მხედველობაში გვაქვს: ა) სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული რუსულ-ქართული ლექსიკონი (აკად. ა. შეგრენის კოლექცია, E 57), რომელიც ეკუთვნის პლატონ იოსელიანს და შედგენილია 1838 წელს. ეს ნუსხა სხვა ხელნაწერებისაგან არსებითად არ სხვავდება. ლექსიკური მასალა გაწყობილია ანბანზე, შეიცავს 301 გვერდს[1]; ბ) იონა ხელაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი (S 22), რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს ილია ჭავჭავაძეს. ხელნაწერის პირველ გვერდზე ასეთი მინაწერია: „მიცვალებულს სურდა დაბეჭდვა ამისი მამულისათვის აღმზრდელს ჩემსა მეფის ძეს იოანეს. მე მსურს, რათა მის სახელზე დაიბეჭდოს — იონა მღვდელ-მონაზონი“.

რუსული სიტყვები გადმოცემულია ქართული ტრანსკრიფციით.

E რედაქციის ხელნაწერთა შედარებისათვის სანიმუშოდ მოგვაქვს ოთხიოდე რუსული სიტყვის ქართული თარგმანის შედარებითი სქემა:

ხელნაწერები	სიტყვები			
	Убор	Уважение	Уведомляю	умозаключение
S 2765	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	არაა
S 3239	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	—
H 317	მოსართავი	პატივისდება, თავაზა	არაა	—
H 2825	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისდება	ვაუწყებ	—
A 1148	მოსართავი	პატივისდება, თავაზა	ვაუწყებ, ვაცნობებ, ვაცოდინებ	—
A 1594	არაა	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	—
Q 282	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	—
Q 728	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	—
E 57 (პლ. იოსელიანისა)	მოსართავი, სამკაული	ხათრი, პატივისცემა	ვაუწყებ	—

[1] ამავე რედაქციისაა მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი S 2387, რომელიც სულ 122 ფურცელს შეიცავს. ნუსხის უკანასკნელ გვერდზე ვკითხულობთ: „Конец. Сей словарь принадлежит Платону Иоселиянову, написал свою рукою 1823-года. апреля 4 числа. $18\frac{4}{4}$ 23“ (ფ. 122).

დაახლოებით ამავე რედაქციისაა S 83 ლექსიკონიც. ნუსხა შეიცავს 506 გვერდს, გადაწერილია 1829 წელს, იკითხება კარგად. 489-ე გვერდზე, ტექსტის ხელით, მიწერილია: „Начал и окончил при бытности моей в Эриванской крепости при соборе Покрова правяться богородицы. Диакон Басхаров, 18 $\frac{II}{25}$ 29". ნუსხას წინ დატანებული აქვს ფურცელი (ის საერთო პაგინაციაში არ შედის), რომელზედაც იკითხება: „Из книг диакона Сионского кафедрального собора Иоана Басхарова, 18 $\frac{II}{6}$ 31, переплел безмездно, за штатный ключарь оного Собора священик Онофрий Ишхнелов". იგივე ტექსტი მიწერილია ქართულადაც, ოღონდ 1835 წლის თარიღით. ხელნაწერი, ჩანს, კარგი დედნიდან მომდინარეობს.

E რედაქციისაა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული რუსულ-ქართული ლექსიკონის ფრაგმენტები (E 69), რომელიც XIX საუკუნის პირველ ორ-სამ ათეულ წელს უნდა იყოს შედგენილი (მასალა მთავრდება п ასოზე).

რამდენიმე ცნობა ამ რედაქციის ლექსიკონების სხვა ხელნაწერთა შესახებაც.

S 2765 ნუსხა 388 გვერდს შეიცავს და გადაწერილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ლექსიკონში შეტანილია როგორც რუსული, ისე ძველ სლავური და ბერძნულ-ლათინური სიტყვებიც. ყდაზე ტექსტის ხელით აწერია: „შედგენილი პავლე ასათიანისა".

S 3239 ხელნაწერი ლექსიკონი XIX საუკუნის 30—40-იან წლებში უნდა იყოს გადაწერილი (ქაღალდის ჰვირნიშანი 1826 წელს უჩვენებს!). დეფექტურია: აკლია თავშიცა და ბოლოშიც. იწყება სიტყვით **Благо** (კეთილი), მთავრდება სიტყვით: **Череда** (რიგი, ჯერი). სულ 142 ფურცელს შეიცავს.

H 317 ნუსხა მოზრდილი მოცულობისაა, შეიცავს 127 ფურცელს. გადაწერილია XIX საუკ. პირველ მეოთხედში. ბოლო ფურცელზე (ფ. 127) იკითხება: „ვიყიდე წიგნი ესე 1823-სა წელსა ივნისის 23-სა დღესა". ლექსიკონი შედგენილი ყოფილა რუსული ენის შემსწავლელთა და მთარგმნელთა სახელმძღვანელოდ.

A 2825 ნუსხა გადაწერილია XIX საუკ. პირველ ნახევარში და ჩასმულია კარგ ყდაში. ბევრი სიტყვა დატოვებულია უთარგმნელად. რუსულ სიტყვათა თარგმანის მიხედვით იმეორებს S 3239-ს. ჩანს, ორივე მათგანი ერთი დედნიდან მომდინარეობს. შეიცავს 274 ფურცელს. ავტორი უცნობია.

A 1148-ის ტექსტი აგრეთვე სუფთა და ლამაზი ხელითაა გადაწერილი. რუსული სიტყვების მართლწერაში დაშვებულია შეცდომები,

ისევე როგორც მსგავსი შეცდომებიდან თავისუფალი არ არის D და Ê რედაქციის არც ერთი რუსულ-ქართული ლექსიკონი. ავტორი უცნობია. 179-ე ფურცელზე, თითქმის ტექსტის ხელით, ასეთი მინაწერია: „დაიწერა ქრისტის შობის თვის კზ-სა, წელსა ჩყქჱ-სა (1828)". ნუსხა სულ 179 ფურცელს შეიცავს.

A 1594 ნუსხა იმეორებს თითქმის ყველა იმ თავისებურებას, რაც H 2825 და A 1148 ლექსიკონებს ახასიათებს. სამივე ერთი დედნიდან მომდინარეობს. თავფურცლის მეორე მხარეს იკითხება: „ეს ლექსიკონი არის სვიმონ ოქროპირიძისა". ალბათ, ამის გამო ხელნაწერთა კატალოგშიც დამოწმებულია: „ნ. ოქროპირიძის ლექსიკონიაო". უფრო გვიანდელი ხელით მიწერილია: „Сия книга принадлежить ученику Николаю Окропиридзе", ცოტა ქვევით: „Из книг Николая Окропиридзе, 1856-го года, мая..." ირკვევა, ლექსიკონი ოქროპირიძეების ოჯახშია შექმნილ-გადაწერილი და შენახული.

Q 282-ეც არსებითად H 2825, A 1148 და A 1594 ნუსხათა პირია ოდნავი ცვლილებით. გადაწერილია იგი 1835 წელს: „ესე ლექსიკონი აღწერილი არს ჴელისა მიერ იოსებ კიკნაძევისა, ჩყლ-ს წელსა, თიბათვის ია" (ფ. 165, V). ბოლოს ახლავს „განმარტება ლიტურღიისა" (ფ. 166—174), შესრულებული ტექსტის ხელითვე. ცალკეული რუსული სიტყვების მართლწერაში დაშვებულია შეცდომები.

Q 728 ანონიმური ლექსიკონი გადაწერილია XIX საუკუნის პირველ მეოთხედში (ქაღალდის ჭვირნიშანი 1801 წელია!). ნუსხას დამატების სახით თან ახლავს უცხოური სიტყვარი რუსულად (ფ. 135--191). ხელნაწერი სულ 191 ფურცელია, აქედან რუსულ-ქართულ ლექსიკონს 135 ფურცელი უჭირავს.

ამავე რედაქციისაა კიდევ რამდენიმე სხვა ანონიმური რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლებიც დაცულია იმავე მუზეუმებში. ყველა მათგანი შედგენილია დამხმარე სახელმძღვანელოდ. Ე რ ე დ ა ქ ც ი ი ს რ უ ს უ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ი, ი რ კ ვ ე ვ ა, ყ ვ ე ლ ა, ა ს ე თ უ ი ს ე კ უ ლ ტ უ რ უ ლ ო ჯ ა ხ შ ი ყ ო ფ ი ლ ა XIX ს ა უ კ უ ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი. მ ა თ ფ რ ი ად მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი რ ო ლ ი ი თ ა მ ა შ ე ს დ ი დ ი რ უ ს ი ხ ა ლ ხ ი ს ე ნ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შ ო რ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი.

რუსულ-ქართული ლექსიკონების დამოწმებული ხუთი რედაქციიდან მეცნიერულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა მხოლოდ B და C რედაქციის ხელნაწერები, რომლებიც შედგენილი იყო გამოსაქვეყნებლად, მაგრამ მათი გამოცემა თავის დროზე, სამწუხაროდ, ვერ მოხერხებულა.

—

1955 წ. I

ნ-ს პროცესები დირბულში

დირბულში[1] ნ ღრმა ცხვირისმიერი ბგერაა და სონორობით მ'ს ჰარბობს.

ნ და მ საერთოდ ქართლურში თანაბარი ხარისხის სონანტებია და ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც ახლო, ისე შორეულ პოზიციაში: გვაქვს მ⟶ნ და ნ⟶მ პროცესებიც. დირბული კი ამ მხრით რამდენადმე განკერძოებულად დგას. მასში გვხვდება არა მარტოოდენ ქართლურის, სხვა კილო-თქმებისათვის ბუნებრივი ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესებიც. მოსახლეობის სიჭრელის გამო აქ სხვადასხვა დიალექტური ნორმები ერთმანეთშია არეული. ბევრი გვარი ამ სოფელში ძირეულია, ბევრი გადმოსულია იმერეთიდან, რაჭიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, გურიიდან[2]. მოსახლეობის შემადგენლობის ეს ნაირობა თავის ანარეკლს პოულობს მეტყველებაშიაც. დირბულში რამდენიმედ შერწყმულ-შერეულია ქართლურის, ზემოიმერულის, გურულის, რაჭულისა და მესხურ-ჯავახური მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებები: პირველ რიგში ეს შეინიშნება ფონეტიკურ პროცესებში.

ამჯერად ჩვენს ინტერესს ნ ფონემის ფონეტიკურ-მორფოლოგიური პროცესები იპყრობენ. ვემყარებით ბარბალე იორამაშვილის (32 წლისა), სოლომონ იორამაშვილის (40 წლისა), ოლღა იორამაშვილის (98 წლისა), ბალიკო ქვრივიშვილის (32 წლისა), თამარ თეთრუაშვილის (43 წლისა), პელო (60 წლისა), ფირან (34 წლისა), ლეო (33

---

[1] სოფ. დირბი მდებარეობს ქარელის რაიონში, მდ. ფრონის მარჯვენა ნაპირას. ამჟამად აქ 656 კომლი სახლობს. ამ სოფლის მოსახლეობის მეტყველებას ჩვენ პირობით დირბულს ვუწოდებთ.

[2] ისტორიული პირობების გამო, განსაკუთრებით XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან, დირბში თავი მოუყრია ძირეულთან ერთად დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულ გვარებს. იმერეთიდან არიან, მაგალითად: ყიფშიძეები, კაპანაძეები, წივწივაძეები, ფერაძეები, ლოლაძეები, თხელიძეები... რაჭიდან: არჩვაძეები, ბლიაძეები, ჯანუაშვილები, მესხეთ-ჯავახეთიდან: ხუციშვილები... გურიიდან, მგალობლიშვილები, მეგრელიშვილები, ბერიძეები... ამჟამად კი აქ სახლობენ: აბულაშვილები, არჩვაძეები, ახალკაცები, ბეჟანიშვილები, ბერიძეები, ბერიკაშვილები, ბიბილურები, ბლიაძეები, გამრეკელაშვილები, გელეტაშვილები, გობეჯიშვილები, გოგაშვილები, გოგალაძეები, დვირაშელიძეები, დოლიაშვილები, დოღანაძეები, ემხულიძეები, ერაძეები, ეფრემიძეები, თეთრუაშვილები, თხელიძეები, იმერლიშვილები, იორამაშვილები, კალმახელიძეები, კაპანაძეები, კარაპეტაშვილები, კვირიკაშვილები, კოჭუაშვილები, ლაღოშვილები, ლოლაძეები, ლოქაბიძეები, მაზმიშვილები, მაჭარაძეები, მგალობლიშვილები, მეგრელიშვილები, მირიანაშვილები, მურაჩაშვილები, მღებრიშვილები, მჭედლიძეები, ნახუცრიშვილები, ნიადაგიშვილები, ოქრუაშვილები, პაპუაშვილები, პოლიბეგაშვილები, სვიანიძეები, სულაძეები, ტეტუნაშვილები, ფარეხელაშვილები, ფერაძეები, ფეხშველაშვილები, ქვრივიშვილები, ქოთუაშვილები, ქურდაძეები, ცენგირაშვილები, ცქიფურები, წივწივაძეები, ხათაშვილები, ხუციშვილები, ჯანუაშვილები, ჯოჯიშვილები, ძირითადი მოსახლეობა ადგილობრივია.

წლისა), ალექსანდრე (31 წლისა), გუბაზ (9 წლისა) ყიფშიძეების, მზიერა (20 წლისა), დოდო (17 წლისა) წივწივაძეების მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად შეკრებილ მასალებს. ხაზგასასმელია, რომ **ნ**-ს რეფლექსები ყველა მთქმელის მეტყველებაში ერთნაირად არ ისმის: დამახასიათებელია სოფლის ძირეული მოსახლეობისათვის. რაც შეეხება მეზობელი სოფლებიდან გამოთხოვილ ქალებს, მათ მეტყველებაში ის ან სულ არ გვხვდება, ან თითო-ოროლა ხელოვნურ ნიმუშს თუ ვიპოვით. მაგალითად, ოლღა იორამაშვილი წარმოშობით ყელქცეულელია (ფრონის მარცხენა ნაპირიდან, დირბიდან ოთხ კილომეტრზე ჩრდილოეთით), გამგებლის ქალი, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ იგი დირბში გამოთხოვილია 70 წლის წინათ (ამჟამად 98 წლისაა), მის მეტყველებაში **მ→ნ** პროცესი არ შეინიშნება. სიყრმის დროს შეთვისებული მშობლიური სოფლის მეტყველების ნორმები იმდენად მძლავრად გამჯდარა მასში, რომ ადგილობრივ თავისებურებებს არსებითი გავლენა ვერ მოუხდენია. თუმცა ამას ვერ ვიტყვით მის შვილთა, შვილიშვილთა და შემდეგ თაობებზე, რომელთა მეტყველებაში ჩვენთვის საინტერესო ფონეტიკური პროცესი ბუნებრივად ისმის.

ნ ფონემა დირბულში ყოველგვარ მოსალოდნელ პოზიციაში ენაცვლება **ვ**-სა და **მ**-ს. **ვ→მ** ქართლურის ჩვეულებრივი პროცესია, **ვ→ნ** კი— უჩვეულო, უცნობი. უშუალოდ **ვ→ნ** არ გვხვდება, არც მთლიანად ქართლურისათვის უნდა იყოს ბუნებრივი. **ვ**-ს ჯერ **მ** შენაცვლებია, უკანასკნელს კი **ნ**: **ვ→მ→ნ**. ეს პროცესი, ჩვენი დაკვირვებით, სრულად გვხვდება დირბულში, ნაწილობრივ (**ვ→მ**; **მ→ნ**) კი მთლიანად ქართლურში, კახურსა და რამდენიმედ მესხურშიც.

სახელებში ფუძისეული **ამ, ემ, ომ, უმ, იმ** ელემენტები ისმის **ან ენ, ონ, უნ, ინ**-ად. გაბმულ მეტყველებაში, სპორადულად, ბოლოხმოვნიან სახელებში მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტად **მ**-ს ნაცვლად ისმის **ნ** (დადასტურებულია რამდენიმე მაგალითი).

ამ→ან:

იმის ყ უ რ ა ნ დ ი ნ ა ც მიაღწია...
...გ ო რ ა ნ დ ი ს ოცდაათი კილომეტრია...
...კ ო ჭ ე ბ ა ნ დ ი აქვთ კაბები...
...ს ა ნ კ ი თ ხ ვ ე ლ ო შ ი ვიყავი...
...ბ რ ე თ ა ნ დ ი, მანქანეები დადიან.
...არც კი გამიგია, რ ა ნ დ ე ნ ი ხანი გასულა!...
...მ უ დ ა ნ დღე არი პური...
...ა ქ ა ნ დ ი ს ვიცოდი...

-მდე || -მდინ || -მდის თანდებული ვითარებითის გავრცობილ ფორმებში ყოველთვის გამოითქმის ასე: **ა+ნდე || -ა+ნდინ || -ა+ნდის**. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ დირბულში **მდ** კომპლექსი ჩვეულებ-

რივ ნდ'ს გვაძლევს: რამდენი→რანდენი, შემდეგ→შენდექ... ასევე მოსალოდნელი მბ, მგ, მზ, მთ, მლ, მპ, მყ, მტ, მფ, მქ, მღ, მყ, მშ, მჩ, მძ, მწ, მხ, მჯ კომპლექსები უპირატეს შემთხვევაში ისმის ნბ (უანბო), ნგ (სანგლე), ნზ (ჩენზე), ნთ (ახალ ნთვარეზე), ნლ (გაანლაშა), ნპ (დანპალი), ნყ (გადაანყავა), ნტ (სანტოტა), ნფ (შანფური), ნღ (ინ ღამით), ნყ (მეტათეზით: ავანთყოფი←ავათმყოფი), ნშ (სინშილი), ნჩ (ივი განჩენი), ნძ (დაანძიმა), ნწ (დაანწიფა), ნხ (განხიარულდა), ნჯ (ინჯერზე)[1]...

ემ→ენ:

...ამის შ ე ნ დ ე ქ აღარ მინახანს...
...მაგის შ ე ნ კ ე რ ა ვ ს რა უთხრა...
...ღმერთი იყოს შენი შ ე ნ წ ე...
...ხ ე ნ მ წ ი ფ ე (←ხემწიფე←ხელმწიფე)...

ომ→ონ:

...ბ ო ლ ო ნ დ ი ვერ გაატანა კაიკაცობა...
...ა მ დ რ ო ნ დ ი დაიგვიანეს, შეხე!...
ს ა ნ კ ი თ ხ ვ ე ლ ო ნ დ ი შორი გზა არ არი...
...ს ა ს ა ფ ლ ა ო ნ დ ი მიველით...
...დევმა ხ ა რ ო ნ დ ი ძლივა მოიტანა თავი...

უმ→უნ:

..ბ უ ნ ბ უ ლ ი აქვს ბატსა კარგი...
...გააკეთა დიდი რ უ ნ ბ ი...
...ნაცარქექიაი **ს უ ნ ბ უ ქ ი** (←სუმბუქი←მსუბუქი) იყო...
...გა ჩ უ ნ დ ი ერთი, შენა...

იმ→ინ:

...ი ნ დ ე ნ ე ე ბ ი იყვნენ, სულ აინსო ეზო...
...ი ნ დ ე ნ ი დრო არ მქონდა...
...ი ნ დ ღ ე ს ვეღარ გნახევით...
ი ნ კ ა ც მ ა ვერა თქვა რა...

ამ წესის მიხედვით მოთხრობითში ხმოვანფუძიან სახელებთან მოსალოდნელია **ან, ენ, ონ, უნ, ინ** დაბოლოება, რაც, ჩვენი დაკვირვებით, დასტურდება კიდეც მესხურში (მუსხის, ანდრიაწმინდის, ღრელისა და სხვა სოფლების მცხოვრებთა მეტყველებაში), მაგრამ დირბულში ეს ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. **-ამ, -მ** ფორმანტის ნაცვლად **-ან, -ნ'ს** ხმარების მხოლოდ ორიოდე შემთხვევა ჩავიწერეთ მზიურა წივწივაძის

[1] აქედანაა ინჯრა: იმ+ჯერ—ად←ინ+ჯერ—ად, შეკუმშვით: ინჯერა||ინჯრა. ამ ფორმაში ბოლო დ ისევეა დაკარგული, როგორც ვითარების სიტყვებში კარგა(დ), ჩქარა(დ), ნელა(დ), ხოლო ე რედუცირებულია: ინჯრა, გამარტივებით: ჯრა.

საუბრიდან: „მ ა მ ა ნ (=მამამ) მიბრუნდეს და გაიგოს"!.. „ჩემა ძ მ ა ა ნ (=ძმამ) კი უთხრა, არ წახვიდეო"... გაბმულ მეტყველებაში ამ ფორმებს ყურს კი მოჰკრავს კაცი, მაგრამ თუ შემოწმებას მოისურვებთ, ინფორმატორები მას აღარ გაგიმეორებენ. „მოსარიდებელ პერსონასთან" საუბარში ინფორმატორები კილოურ გამოთქმებს, მით უმეტეს ასეთ ი შ ვ ი ა თ შემთხვევას, თავს არიდებენ.

მ→ნ ჩვეულებრივია ზმნებში. **ნ** აქ მ'ს ადგილს იჭერს უშუალოდ და შუალობითაც. ეს პროცესი განსაკუთრებით შეინიშნება თემის ნიშნებში (ავ→ამ→ან). გაირჩევა ორი შემთხვევა, ერთი, როცა **ამ** ელემენტს პირდაპირ ენაცვლება **ან**, მეორე, როცა **ავ**'ს ჯერ **ამ** ენაცვლება, უკანასკნელს კი **ან**. პირველ შემთხვევას ჩვენ უშუალოს ვეძახით, მეორეს — შუალობითს.

ა. უ შ უ ა ლ ო: **ამ→ან:**

...იღეფს რევულვერს და ვითონც ი.რ ტ ყ ა ნ ს გულში...
...ყუთში ჩ ა ს ვ ა ნ ს შვილსა...
...მე არ დ ა მ ი ს ხ ა ნ ს ძმარი...
...კაკალი ბევრს ი ს ხ ა ნ დ ა...
...ხენწიფის შვილი დადარდიანდა, არც ჭ ა ნ დ ა, არც ს ვ ა ნ დ ა...
...ჩაის არა ს ვ ა ნ ს...
...თბილ წყალს ს ვ ა ნ დ ნ ე ნ...
...ხმელ ლობიოს ჩ ა ვ ა დ გ ა ნ...

ამავე წესის შესაბამისად **ან** გვხვდება ზმნის ისეთ ფუძეებშიც, რომლებშიაც თემის ნიშანი (-ავ || -ამ) მოსალოდნელი არ არის და ვღებულობთ ფორმებს: გ ლ ე ჯ ა ნ ს(←გლეჯამს←გლეჯავს): „ლობიოს გ ლ ე ჯ ა ნ ს, განა!" ს წ ე რ ა ნ ს (←სწერამს←სწერავს): „ს წ ე რ ა ნ ს თვითონ რაღაცას"; „ი ს დ ა ს წ ე რ ა ნ დ ა წერილსა"... ქართლურში ვწერ, ვგლეჯ, ვწყვეტ. ვრეკ და მისთანა ზმნები თემისნიშნიანებია. დირბულის სპეციფიკა აქ ისაა, რომ ჭათთან მოსალოდნელ **ავ||ამ** ნიშანს **ან** ენაცვლება.

დამოწმებული პროცესი გვაქვს არა მარტოოდენ შესაბამის თემის ნიშნებში, არამედ, როგორც თავშიც აღინიშნა, ზმნის ფუძისეულ **ამ** კომპლექსშიაც: ჭ ა ნ ს: „ის არ შ ე ჭ ა ნ ს ყურძენს", „ბავშვი ვაშლს შ ჭ ა ნ დ ა", „არა უ შ ა ნ დ ა რა"; დ ა ღ ა ნ დ ა: „ინ დღეს ადრე დ ა ღ ა ნ დ ა".

ბ. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი:

a) ავ→ან (ავ→ამ→ან):

ავ→ან დირბულში შუალობითაა მიღებული, ჯერ მოსალოდნელია ქართლურისათვის ბუნებრივი **ავ→ამ**, უკანასკნელიდან **ამ→ან**: უკრავს →უკრამს→უკრანს.

...ეგ მედოლეი ჰიდაობის დროს უკრანს...
...ვინ მოგუანს, კარგი ქალია?!..
...ეგ კარგა ვერა ხედანს...
...მაგრა კეტანს კარეფსა!..
...კაკალსა ბერტყანდა...
...ქალი კაბას თითონ იკერანდა...
...ჩვენი წისქვილი მსხვილად ფქვანს...
...წავიდეთ, მსხალს მე მოვიპარან...
...კვახს მოვხარშან...
...ხედანს ვაჟი იმ ქალსა...
...არ დავმალან...
...არაფერს არ უმალანდა...
...შენს წინაშე მე ვიკლან თავსო...
...მე მხოლოდ ერთი ძმა მყანს...
...ნუ მოიკლან თავსა...
...ხელეფსა ვკრანდი ხოლმე....
...აქედან მიყანდათ კაცები...
...სოსო აქ არ დაგვხოცანს ო...

b) ევ→ენ (ევ→ემ→ენ):

ევ→ენ'აც დირბულში შუალობითაა მიღებული, ჯერ მოსალოდნელია ევ→ემ და შემდეგ ემ→ენ: მისდევდა→მისდემდა→მისდენდა.

...ავად არი, წენს...
...გუბაზი გაზეთს ხენდა...
...მაშითვე მოიწვენს კრებას...
...არ დახენს წიგნსა, არა...
...ქალი არ მოსდენდა სახში...
...ფულს არ მოჭცენდნენ...
...სხვას ვაძლენდით საჭმელს...
...ფასები იწენდა დაბლა...
...კილო სიმინდათ ვაძლენდით...
...ეგენი ვისმეს რასმე მისცენდნენ!...

c) ოვ→ონ (ოვ→ომ→ონ):

...ერთხელ მახსონს, გამხთარი იყო...
...ძუძუს კი წონდა...
...მამა არ ათხონდა...

დამოწმებული პროცესი ჩვეულებრივია აგრეთვე ზმნის შესაბამის ფუძისეულ კომპლექსებშიაც. დირბულთან ერთად ამ მოვლენას ზმნებში იცნობს ფრონეს მარჯვენა ნაპირის ზოგიერთი სხვა სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაც. დადასტურებულია ჯაჯალათხევშიაც (ხაშურის

რაიონი)[1]. ქართლურში ამ პროცესის ტალღა მესხურიდან შემოჰრილა ბორჯომის ხეობით და გასდევს ჩრდილოეთის ზოლს. ომ→ონ (ბოლონდი), ამ→ან (აქანდის, ჰანს), ავ→ამ→ან (ხედანს) პროცესი პირადად ჩვენ მესხურთან ერთად დადასტურებული გვაქვს ბორჯომის ხეობაშიაც (ბორჯომი, კორტანეთი, ახალდაბა, ნეძვი). მესხურში კი შ. ძიძიგურს დამოწმებული აქვს: ავ→ან: ხნანს, თესანს; ავ→ენ: ვხარშენდით, ვკეცენდი. ასევე მესხურში გვხვდება: ებ || ობ→ენ || ონ: ვმუშაონთ, ქეიფონთ, სწავლონდა; ებ→ან: ინანანთ, გაგაფუჭანს, აკეთანს... ამ პროცესების კერად შ. ძიძიგურს სამართლიანად მიაჩნია მესხური[2].

მ→ნ ქართულ კილოებში სხვა პოზიციაშიც დასტურდება: დამოწმებულია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილო-თქმებში. გურული: ანბავი (←ამბავი), ხენწიფე (←ხელმწიფე), დამინტრიე (←დამიმტვრიე), ანდღროული (←ამღვრეული), დანწყდოული (←დამწყვრეული), რას მენდური (←რას მემდური)[3], დანტროული (←დამტვრეული), ნანდვილი (←ნამდვილი), სანტროთ (←სამტროდ), დანდურებულები (←დამდურებულები), გამანდიდრეფს (←გამამდიდრებს)[4]... კახური: ანბავი, ბანბა, ბუნბული[5]... ინგილოური: ანბოვს (←ამბობს), სანყოფი (←სანყოფი)[6]...

მიუხედავად მ→ნ'ს პროცესისა დირბულში მ და ნ ცალ-ცალკე სრულიად დამოუკიდებელი და სისხლჭარბი ფონემებია. სხვა შემთხვევებში მათი პოზიცია მყარია. ნ ფონემის რეფლექსებისა და დირბულის სხვა ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესების უფრო თვალსაჩინოდ ჩვენების მიზნით დირბში უხვად ჩაწერილი ტექსტებიდან მოგვაქვს ერთი ტიპობრივი ნიმუში.

და-ძმა

იყო და არა იყო რა, ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი სოდაგარი. ძალიან კარგათ სცხორობდა. ჰყვანდა ორი შვილი — ქალ-ვაჟი.

---

[1] ელ. ლაბაძე, ფონეტიკური მოვლენებისათვის სოფ. კაკალათხევის მცხოვრებთა მეტყველებაში, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, გორი, 1952, გვ. 54.

[2] შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 141—142.

[3] ს. ქღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 49.

[4] ალ. ღლონტი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის ვურულში, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 317.

[5] არ. მარტიროსოვი და გრ. ომნაიშვილი, ქართული ენის კახური კილო, თბ., 1956, გვ. 41, 44.

[6] მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო", II, თბ., 1913, გვ. 227.

ვაჟს ზრდიდა როგორც სახენწიფოს მართველს შაეფერებოდა, ყველანაირ ხელობას ასწავლიდა. ქალს კი ზრდიდა, როგორც დიასახლისს შაეფერებოდა, თანაც ძალიან უფრთხილდებოდა, მეთერთმეტე სართულზე იზრდებოდა, ძირს არ ჩამოდიოდა, დედამიწაზე ფეხიც არ დეედგა. ქალ-ვაჟი ჯერ კიდენ ბავშვები იყვნენ, როცა მშობლები დეეხოცათ, მამამისმა შვილების აღზრდა და მისი მთელი ცხოვრება მოურავს ჩააბარა. გავიდა რამდენიმე წელიწადი, ბავშვები დაიზარდნენ. ხედანს ვაჟი, რომ მათ ცხოვრებას აკლდება და არაფერი ემატება.

ერთ დღეს გადასწყვეტანს, მეელაპარაკოს დას და ვაჭრობა დაიწყოს. დაიბარეფს დას და ეტყვის:

— ჩვენ უკვე დავიზარდეთ, მამის დატოვებული ცხოვრება თანდათანობით კლებულოფს და რომ სუ არ გავლტაკტეთ, საჭიროა შრომის დაწყობა. გადავწყვიტე, წავიდე სხვა სახენწიფოში და ვივაჭრო. დაც თანხმობას გამოუცხადეფს; გადიღებენ სურათს, დეემშვიდობებიან ერთმანეთს და ვაჟი წავა, სურათს თან წაიღეფს.

ვაჟი ისეთი ლამაზია, რომ მთელ სახენწიფოში მაცხოვრებელ ხალხს იზიდავს. წვრილი საქონლით ვაჭროფს, მაგრამ ვაჟი იმდელათ მიმზიდველია, რომ სხვა ვაჭრების საქონელი დახლეფში ლპება და ამის საქონელი კი მაშითვე საღდება და იყიდება. ამ სახენწიფოში ცხოვრობდა ერთი ღარიბი დედაბერი. სამარხი ფულის მეტი ქვეყანაზე არაფერი გააჩთა. ვაჟი ვაჭრის სილამაზის ხმან მის ყურანდისაც რომ მიაღწია, მანაც გადასწყვიტა, ეს გადანახული ფული დეეხარჯა და ის ენახა. ერთ დღეს დედაბერი მივიდა მასთან, რაღაც წვრიმანი ივაჭრა, ნახა ეს ვაჟი და ძალიან მეეწონა.

ამ ვაჟის სილამაზის ხმან თვით ხენწიფის შვილის ყურანდისაც მიაღწია. მან გადასწყვიტა, რათაც არ დასჯდომოდა, ეს ვაჭარი გეეცნო და დეემეგობრებინა. მართლაც, ხენწიფის შვილმა ნახა ეს ვაჭარი, ძალიანაც მეეწონა და იმ დღიდან ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს. ერთ დღეს ხენწიფის შვილმა ვაჭარი ვაჟი სახში დაპატიჟა, კარგა იქეიფეს, ვაჭარი ძალიან დათვრა. ხენწიფის შვილმა ის თავის ოთახში შეიყვანა დასაძინებლათ. ტანისამოსს როცა ხთიდა, ხალათის ჯიბიდან სურათი გადმოუვარდა. ხენწიფის შვილს ამ ვაჟის დის სურათი ისე მეეწონა, რომ ამ დღიდან დასევდიანებული შეიქმნა. საგონებელში ჩავარდა: ნეტავ, ეს ქალი ვინ არისო! თუ ცოლი იყო ინ ვაჟისა, ძმობილს როგორ შეეცილებოდა, თუ და იყო — მისი დაც ხომ იქნებოდა. ამიტომ ქალის ვინაობის კითხვა ვერ გაბედა. ხენწიფის შვილი ძალიან დადარდიანდა, არც ჭანდა, არც სვანდა, იყო მოწყენილი. მამან შვილს სევდიანობა შენიშნა. მოიწვია ექიმები და მკურნალობა დაუწყო. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. ხენწიფემ გადასწყვიტა, ენახა ეს ვაჭარი ვაჟი და იქნებ მისგან გეეგო

ვაჟიშვილის დანაღვლიანების მიზეზი: კარგათ იცოდა, რომ მისი შვილი იმის ახლო მეგობარი იყო და არაფერს არ უმალანდა.

მეორე დღეს ნახა ეს ვაჟი, შეეკითხა, მაგრამ მან არაფერი არ იცოდა. ხენწიფემ სთხოვა, უსათუოდ გეეგო მისი შვილის დანაღვლიანების მიზეზი. ვაჭარმა ხენწიფეს უთხრა: გაგვიმართე მდინარის პირას კარგი ქეიფი, სადაც მარტოთ მე და შენი შვილი ვიქნებითო. ერთ მშვენიერ დღეს ხენწიფემ მართლაც გამართა ქეიფი. მარტო ორნი იყვნენ. იქეიფეს. დათვრნენ. ვაჭარმა ვაჟმა ხენწიფის შვილს უთხრა:

— შენ ხომ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ, მჯერა, ჩემთან არაფერს დამალან, მე კი ძალიან მწყინს, შენ რაღაც გაწუხებს და არ მეუბნები?! რატომ არ მეტყვი, რა გაწუხებს, რატომ ხარ ასე მოწყენილი?

ხენწიფის შვილმა თითქოს გაიკვირვა: — მე თუ რამ მაწუხებს, შენთან დასამალი რა მაქვს!..

ვაჭარი ვაჟი დაჟინებით სთხოვდა: უეჭველათ უნდა მითხრა, რა გაწუხებსო, ქვეყანაზე მე მხოლოთ ერთი ძმა მყავს, ისიც შენა ხარ, შენ კი გულახდილი არა ხარ, არაფერს არ მენდობიო. იღებს რევულვერს და ვითომც ირტყავს გულში. მაშინ ხენწიფის შვილს შეეშინდა და უთხრა:

— თავს ნუ მოიკლავ და, თუ არ გეწყინება, გეტყვი ჩემი დაღონების მიზეზსო. მოაგონა: — გახსოვს, შენ რო ჩემთან პირველათ იქეიფე? მაშინ ხალათის ჯიბიდან გადმოგივარდა ერთი ქალის სურათი, ის ქალი მომეწონა, მაგრამ რა უნდა მეთქვა: შენ ჩემი ძმა ხარ, ის ქალი კი თუ შენი ცოლია — ჩემი რძალი იქნება, თუ და — და, მასზე სხვა რამეს აბა როგორ ვიფიქრეფო. და, აი, ჩემი დაღონების მიზეზიც ესაო.

მაშინ ვაჭარი ვაჟი ამოიღებს იმავე სურათს და უჩვენებს:

— ეს ქალია, რო მოგეწონა?

— ესაა!...

— ეს ჩემი დაა და. თუ აქანდის ძმობილები ვიყავით, აქედან სიძე-ცოლისძმა ვიქნებით, თუ კი იკადრებ უბრალო სოდაგრის ქალსო!

ხენწიფის შვილს ეს ძალიან გეეხარდა და გადეეხვია:

— რადგან შენ თანახმა ხარ, მე დიდათ მოხარული ვიქნები მისი ცოლათ შერთვისაო.

მაშინ ძმობილები გახარებული წამოვლენ ხენწიფესთან. ვაჭარი ვაჟი მაახსენებს მისი შვილის სევდიანობის მიზეზს. ხენწიფე რომ ამ ქალის სურათს ნახანს, ძალიან მეეწონება. მაშითვე მოიწვენს კრებას და საჯაროთ გამოაცხადებს, რომ ჩემი შვილი უნდა დაქორწინდეს ამა და ამ სოდაგრის ქალზეო.

ამ ქალაქის ვაჭრებმა იჩივლეს თავიანთ უფროსთან, რომ გეედევნათ აქედან ეს ვაჭარი ვაჟი, რადგან მათი ძვირფასი საქონელი დახლში ლპებოდა, ამ ვაჟის უბრალო საქონელი კი მაშითვე იყიდებოდა. სწო-

რეთ ხენწიფის მიერ დანიშნულ ამ კრებაზე უნდა დასწრებულიყო ვაჭართა უფროსიც. კრებაზე დიდძალი ხალხი დეესწრო. ჩამოტარდა ქალის სურათი: ღირსი იყო ის თუ არა ხენწიფის შვილის ცოლობისა. ყველას მეეწონა, მაგრამ ვაჭართა უფროსმა გაიცინა: — ეს ხომ ჩემი საყვარელიაო! ყველას ეწყინა. ძმა საშინლათ გაბრაზდა, ზეზე წამოვარდა და უთხრა: — ეგ საიდან მოიგონე, თუ შენი საყვარელია, ამ ქალის რაიმე ნიშანი უნდა გვაჩვენოო!..

— ამ ქალთან ყოველდღე დავდივარ და შემიძლიან ამის ნიშნის მოტანაცო, — თქვა ვაჭართა უფროსმა.

ვადათ მისცეს ორი კვირა. თუ რაიმე ნიშანს მოიტანდა, ვაჭარი ვაჟი — ინ ქალის ძმა — უნდა ჩამეხრჩოთ, თუ ვერ მოიტანდა, ვაჭართა უფროსი უნდა ჩამეხრჩოთ.

კრება დაიშალა. ვაჭართა უფროსმა მოკრიფა ვაჭრები და უთხრა:

— თუ გინდათ ის ვაჭარი ვაჟი სამუდამოთ თავიდან მოგაშოროთ, ახლავე მიშოვეთ ფულები და კარგი ცხენი, მე ინ ქალთან უნდა წავიდეო.

ვაჭრებმა შეუგროვეს დიდძალი ფული, უშოვნეს კაი ბედაურიც და გაისტუმრეს. როცა ვაჭართა უფროსი ინ ქალის სახენწიფოს უახლოვდებოდა, ქალი მეთერთმეტე სართულიდან დურბინდით იცქირებოდა ირგვლივ. შენიშნა, მის საზღვარს ვიღაც ცხენოსანი უახლოვდებოდა. დიდხანს უცქირა, კაცი ვერ იცნო. მოურავს სთხოვა მისი ვინაობის გაგება. ვაჭართა უფროსი ამათ სახლთან გაჩერდა და ქალის ნახვა მოითხოვა. ქალი არ გამოჩნთა, შეუთვალა: ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, რას თხოულოფო!

— შენი ძმის კარგი ამხანაგი ვარ, მთხოვა შენი ანბის გაგებაო!

ქალმა სახში შეიპატიჟა, მაგრამ თვითონ არ გამოჩნთა, მიუჩინა ცალკე ოთახი: აქ დარჩი, სანამდის გსურსო. ვაჭართა უფროსი დიდხანს ელოდა ქალის ნახვას, ორი კვირა გადიოდა, მაგრამ ვერ ნახა და ვერა. გადასწყვიტა, შეესყიდა ქალის მახლობელი მოსამსახურე. ერთი ქისა ოქრო მისცა და სთხოვა ქალის რაიმე ნიშნის მოტანა. მოსამსახურემ უთხრა:

— თქვენ დილით ფანჯარასთან დადექით შორი-ახლო, მე ქალს პირს დავბაინებ, პირინაბან წყალს გადმოვაქცევ და გაშოვაყოლებ ქალის ბეჭედს, რომელიც ძმან აჩუქაო.

მართლაც, მეორე დილით ქალმა პირი დაიბანა, მოსამსახურემ კი ის წყალი ბეჭდით გადმოაქცია ფანჯრიდან. ვაჭართა უფროსმა დაავლო ხელი ინ ბეჭედს და უმალვე წავიდა, ისე რომ არც კი დამშვიდობებია ქალსა. ქალმა ბეჭედი ბევრი ეძება, ვეღარ იპოვა და თქვა, ალბათ, სადმე მივარდაო და თავი მიანება. მაგრამ ძალიან კი გაუკვირდა ვაჭართა უფროსის ასე უცებ წასვლა.

ვაჭართა უფროსი გამოცხადდა ხენწიფესთან და მიუტანა ქალის ბეჭედი. ხენწიფემ მაშითვე მოიწვია ის კრება და განაცხადა, ის ქალი სრულიათ გარყვნილი ყოფილა, ვაჭართა უფროსს მასთან დრო უტარებია, რასაც ამტკიცებენ თვით ძმის მიერ ნაჩუქარი ბეჭედიო. ამიტომ ვაჭარი ვაჟი უნდა ჩამოიხრჩოს ხვალ სრულ თორმეტ საათზეო. ხენწიფის შვილს ეს ძალიან ეწყინა, მაგრამ გამოსავალი ვერაფერი ნახა, საოცნებო ქალსაც ჰკარგანდა და ძმობილსაც.

ვაჭარმა ვაჟმა კრებას სამი დღე სთხოვა, რომ უკანასკნელათ ენახა სამშობლო და შენდეგ განაჩენი სისრულეში მეეყვანათ. მისცეს სამი დღე. ვაჟი შინისაკენ წამოვიდა. როცა სახლს მიუახლოვდა, და სიხარულით შემოეგება, ის იყო, დედამიწაზე პირველათ უნდა დეედგა ფეხი, და ძმას გადახვეოდა, რომ ძმან ზიზღით ჩაუარა და ზეთ მიაფურთხა სამჯერ. და გამწარდა, თავზარი დეეცა, მაგრამ რაღას იზავდა, ძმა უკანვე გაბრუნდა. ქალმა მოურავს მაშითვე შეაკაზმინა ცხენები, ჩაჯდა ფაიტონში და ძმას გამეედევნა. როდესაც მიუახლოვდა ინ სახენწიფოს, სადაც მისი ძმა ცხოვრობდა, გაჩერდა ინ დედაბრის სახთან, თავისი სამარხი ფული რომ დახარჯა ახალგაზრდა ვაჭრის სანახავათ. ქალმა ღამის გათევა სთხოვა. დედაბერმა მწუხარებით უპასუხა: თქვენი საკადრისი ბინა არა მაქვსო. ქალი არ მეეშვა და ღამე იქ გაათია. ბებერი თელი ღამე სულ ოხრანდა. ქალმა ჰკითხა: — რა გაწუხებს, დედი, მითხარი, იქნებ რაიმეზე დაგეხმაროო! დედაბერმა უთხრა:

— მე კი არა მაწუხებს რა და არც არაფერი დამმართნია, მაგრამ ჩვენს ქალაქში ერთი ანბავი მოხთა და იმაზე ვწუხვარო.

— ნეტავ, რა ანბავი მოხთაო? — ჰკითხა ქალმა.

— ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა, უცხო ვაჭარი, ისეთი ლამაზი, რომ ყველა, დიდი და პატარა, მის სანახავათ მოდიოდა. თურმე მას ჰყოლია ძალიან ლამაზი და, რომლის სურათი ჩვენი ხენწიფის შვილს მოსწონებია, მაგრამ ეს ქალი გარყვნილი ყოფილა და ვაჭართა უფროსთან დრო უტარებია. როდესაც სახენწიფო კრებაზე ინ ქალის სურათი ჩამაატარეს, ვაჭართა უფროსმა განაცხადა, ეს ჩემი საყვარელიაო. ძმა დეენიძლავა, მე ასეთი გარყვნილი და არა მყანსო, თუ იმის ნიშანი არ მოგიტანია, რომ ის შენი საყვარელია, ჩამოგახრჩოფ, თუ ასეთ ნიშანს მართლა მოიტან, მე ჩამომახრჩეთო. ვაჭართა უფროსმა მართლა მოუტანა ნიშანი, ძმის მიერ ქალისათვის ნაჩუქარი ბეჭედი, და ხვალ სრულ თორმეტ საათზე ის ვაჟი უნდა ჩამაახრჩონო.

ქალმა როგორც კი მოისმინა ეს ანბავი, მაშითვე წამოხტა, ჩაიცვა თეთრი კაბა, თეთრი ხელთათმანები, მოიხვია თეთრი საბური, ჩაჯდა ფაიტონში და სასწრაფოთ წავიდა. მეორე დღეს თორმეტი საათი რომ სრულდებოდა, საჯარო მოედანი ხალხით აივსო. ქალმა მოურავს უბრძანა: ცხენები კარგად გარეკე, არავითარ შემთხვევაში არ შეაჩერო,

პირდაპირ შუა მოედანზე, ზეთ სახრჩობელასთან გააჩერეო. მართლაც, მოურავმა ქალი ინ დროს მიიყვანა სახრჩობელასთან, როდესაც ჩამოსახრჩობათ მომზადებული ვაჟი გამოიყვანეს, ქალმა ცალი ხელთათმანი დამალა და მეორე გაიკეთა. ძმან იცნო და და გაწითლდა. ქალი კი პირდაპირ ხენწიფესთან მივიდა და სთხოვა:

— დიდებულო ხენწიფევ, შენმა ვაჭართა უფროსმა წუხელ ცალი ხელთათმანი მომპარა, თუ ახლავე მოიტანს, ხომ კარგი, თუ არა, ახლავე ამ სახრჩობელაზე უნდა ჩამოკიდოთო.

ვაჭართა უფროსი გაწითლდა და ხენწიფეს უთხრა:

— მე ეგ ქალი ჩემს სიცოცხლეში არ მინახანს და ხელთათმანს საიდან მოვპარანდიო!?

მაშინ ქალმა უთხრა: თუ ეგ ასეა, დასწერეთ ქაღალდზე, რომ მე თქვენ არ მიცნობთ, არც მიცნობდით, არც გინახივართ არასდროს და ეს ქაღალდი ხენწიფეს ჩააბარეთო.

ვაჭართა უფროსმა მაშითვე დასწერა ეს ქაღალდი და ხენწიფეს ჩააბარა.

ახლა კი ქალმა აიხადა თეთრი პირსაბურავი და ხალხს შეეკითხა:

— ვინ მიცნობთ, ვის გინახივართ, ვინ დამლაპარაკებიხართო?

ყველას მეეწონა, ციდან ჩამოვარდნილ ანგელოზათ ჩათვალეს: — პირველათ გხედანთ, ნეტავ, რა დედან გშობაო!..

მიუბრუნდა ვაჭართა უფროსს და ჰკითხა:

— გინახივარ მე?

-- არა, არ მინახიხარ!

— მაშ, საიდან მოიტანე ჩემი ბეჭედი, როდის ვიყა შენი საყვარელი?

ვაჭართა უფროსი დაიბნა. გამოტყდა, რომ ყველაფერში ტყუოდა. მაშინ ეს ვაჟი გაანთავისუფლეს და სრულ თორმეტ საათზე ჩამოახრჩვეს ვაჭართა უფროსი. ქალი კი დიდი სიხარულით შეირთო ხენწიფის შვილმა და კაი ქორწილი გადაიხადეს.

მთქმელი: ბარბალე ანდრიას ასული ი ო რ ა მ ა შ ვ ი ლ ი, დიასახლისი, 32 წლისა, სოფ. დირბი, ქარელის რაიონი, 19. 08. 57.

1957 წ.

გრძელი ა-ს საკითხისათვის ძართლურში[1]

1937 წლის შემოდგომით და 1938 წლის იანვარში ქართლურ კილოზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზოგიერთი ხმოვნის

[1] ამ მცირე ცნობას საფუძვლად უდევს ყარაღაჯის სასოფლო საბჭოში (კასპის რაიონში) და ატენის ხეობაში (დიდ ატენში, პატარა ატენში, გარდატენში, დეგეულაში, ფუხაანთუბანში, ჰეჰელაანთუბანში, პაელიანთუბანში) ჩემ მიერ შეკრებილი მასალები.

გამოთქმამ (განსაკუთრებით ა-ნისამ), რაც გვაფიქრებინებს გრძელი ა-ს არსებობას ქართლურში. ე. წ. გრძელი ა, მართალია, ჯერჯერობით რამდენიმე სიტყვაშია შენიშნული, მაგრამ განსაზღვრული წესით უნდა იყოს გავრცელებული. ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ სიტყვებში ა-ს გამოთქმის ერთგვარობამ ყარაღაჯის სასოფლო საბჭოში (ქასპის რაიონი) და ატენის ხეობის (გორის რაიონი) ყველა სოფელში დაგვარწმუნა, რომ ეს ფონეტიკური მოვლენა ღირსია ყურადღებისა. ამიტომ ამ წინასწარი ცნობის მიზანია გადმოსცეს ის მასალა, რომელიც ქართლურ კილოზე მუშაობის პროცესში გრძელი ა-ს დასადგენად დაგვიგროვდა.

1. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას გრძელი ხმოვნები არ უნდა ახასიათებდეს. ა. შ ა ნ ი ძ ეს გრძელი ხმოვნები ამ ოცდახუთი წლის წინათ დადასტურებული აქვს მთიულურ კილოში და ეს მოვლენა მას მიაჩნია მთიულურის მთავარ თავისებურებად[1]. ა. შ ა ნ ი ძ ე ფიქრობს, რომ მთიულურისათვის გრძელი ხმოვნები ჩვეულებრივ დამახასიათებელია და ის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე გვევლინება[2]. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს კი მთიულურის ეს ე. წ. გრძელი ხმოვნები მიაჩნია ტონურ მახვილად[3].

ამნაირად, გრძელი ხმოვნების არსებობა ქართულ კილოებში საცილობელ პრობლემად არის გამხდარი. ერთი კი ამთავითვე აშკარაა, რომ გრძელხმოვნიანობა, საზოგადოდ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა. ამ მხრით მეგრული და სვანური განსხვავდება ქართულისაგან. ი. ყ ი ფ შ ი ძ ის გამოკვლევით მეგრულში მოგვეპოვება გრძელი და გაორმაგებული ხმოვნები. გრძელი ხმოვნები: ო, resp. უ (<ვა ‖ ჯა); უ, resp. ო (<ვი, ვე). გაორმაგებული, resp. გრძელი ხმოვნები: აა=ა; ეე=ე, დიალექტური იე ‖ ეი; იი=ი, დიალექტური ეი; ოო=ო, უუ=უ, დიალექტური ოუ ‖ ოჳ[4]. სვანურს კი

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, Отчет о летней командировке... ИАН, 1913, გვ. 1071.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის რედ., თბ., 1915, გვ. 193.

[3] ბ. (არნ.) ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, თბ. უნ. მოამბე, IV, 1924, გვ. 339. მისი სიტყვებით: „ნამდვილად ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“.

[4] И. К и п ш и д з е, Грамматика мингр. яз., СПб., МЯЯ, VII, 1914, § 4, გვ. 010. ავტორის მიერ გამოქვეყნებული ტექსტებიდან ჩანს, რომ გრძელი ხმოვნები მეგრულში უმთავრესად ჩნდება პრევერბთან: „მუთი შილებე ზუგიდიშა ულა?“ (იქვე, ქრესტომათია, გვ. 1); „მუჯოთი ქიგჳგონეს თენა სჭუალენქჳ ნი, სუმიხოლოქ მინდომეს ოგურაფუშა ულა“ (იქვე, გვ. 7,14); „მუშას ოკორდჳ, სჭუას მუთუნი ხელობა ქჳდაგურუკო ნი“ (იქვე, გვ. 9, 15); „ჩხომი, ნამუთი შეიცოდე დო გუტე ნი, მა ეორდი“ (იქვე, გვ. 11,30); „დუძახესჳ ბოშისჳ“... (იქვე, გვ. 14,14)... პრევერბთან ასიმილაციის გზით გრძელი ხმოვნის გაჩენას, ს. ბ ი ხ ო ვ ს კ ა ი ა ს აზრით, იმერულ-

ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით გრძელ ხმოვნებთან ერთად (ა, ე, ი, ო, უ, ე) მოეპოვება ე. წ. უმლაუტებიც, რომლებიც, ა. შანიძის გამოკვლევით, სამი ხმოვნისა გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელი სახით (ა, ო, უ; ა, ო, უ)[1].

გრძელი ხმოვნები, მართალია, არ გააჩნია ჩვენს სალიტერატურო ენას, და, შეიძლება ითქვას, არც კილოებს[2], მაგრამ მახვილი ზოგიერთ კილოში გარკვეულ გავრცელებას პოულობს; თუმცა მახვილის საკითხიც იმდენად მერყეევია, რომ მის ხმარებას არა აქვს სისტემატიკური ხასიათი, „ხან წამოჰყოფს თავს ფრაზათა მთელს რიგში, ხან კი არა ჩანს“[3].

2. ქართლური კილო ბგერითი შედგენილობით დღეს თითქმის ემთხვევა სალიტერატურო ქართულს. ერთადერთი განსხვავება, ვ. თოფურიას მითითებით, ჲ (იოტი) ბგერის ხმარებაში გამოიხატება[4]. ცალკეული ბგერის (ხმოვნისა და აგრეთვე თანხმოვნის) გამოთქმას ხშირად თავისებური ნიუანსი ახლავს, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ სპეციალური ფონეტიკური ექსპერიმენტებით თუ გაიშიფრება.

გრძელი ხმოვანიც ქართლურში ჩვეულებრივ არ ისმის. შესაძლებელია მხოლოდ მის სპორადულ არსებობაზე მსჯელობა. ცნობილი ფაქტია, რომ რომელიმე კილოზე მოლაპარაკე, როცა მას „მოსარიდებელი პერსონი“ უსმენს, ყოველთვის თავს იკავებს ბუნებრივი მეტყველებისაგან და ცდილობს, როგორმე გამართული ლიტერატურული ენით იმეტყველოს. ეს გარემოება, რასაკვირველია, აძნელებს ცალკეული, ჩვენთვის საჭირო ნიუანსების ზუსტად აღნუსხვას. ამიტომ ერთადერთი სანდო მეთოდი ასეთ შემთხვევებში არის ხალხური სჯა-ბაასის მოსმენა, აღელვების, აღფრთოვანების, სიხარულისა თუ მწუხარების შემთხვევების ურთიერთ მბობაზე უშუალო დაკვირვება.

როცა ასეთ შემთხვევებში ვაკვირდებით ქართლურ მეტყველებას, გვესმის, გრძელი ა. ცნება „გრძელი ხმოვნით“ ჩვენ ვგულისხმობთ

შიაც აქვს ადგილი: და—უძახე—დო—უძახე—დუ—უძახე—დუძახე... (С. Л. Быховская, Некоторые фонетические особенности имерского говора, ЯС, VI, Л-град, 1930, გვ. 160). ასევე აჭარულშიაც, ჯ. ნოღაიდელის დასტურით, სრული ასიმილაციის გზით პრეევრბთან ეღებულობთ გრძელ ხმოვანს: დ+უ=დუ; გ+უ=გუ; ა+უ=უ და ა. შ. (ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936, გვ. 14).

[1] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, თბილისი, 1925, გვ. 171.

[2] ამის თქმა მხოლოდ პირობით თუ შეიძლება. მოსალოდნელია ქართულ კილოებში ბგერის გამოთქმის ექსპერიმენტულმა შესწავლამ დაადასტუროს გრძელი ხმოვნების არსებობაც.

[3] არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 336.

[4] ვ. თოფურია, ქართული, „არილი“, პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებ., თბ., 1925, გვ. 129.

ბგერის რაოდენობითი თვისების, ე. ი. შედგენილობის გადმოცემაგამოთქმას. ბგერის რაოდენობითი მხარე ფიზიოლოგიურად სათანადო არტიკულაციის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული[1]. გრძელ ხმოვანს ჩვეულებრივ წარმოშობს დაყოვნება. მოკლე ხმოვანს შედარებით ნაკლები დაყოვნება მოეპოვება, გრძელს კი — მეტი. დაყოვნებითი მომენტის, ანუ არტიკულაციის ხანგრძლივობა თუ არ ახლავს ბგერას, მაშინ იტყვიან, მოკლე ხმოვანიაო. ქართული ხმოვნები დაახლოებით ასეთი რიგის ბგერებს განეკუთვნება.

ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებში გრძელი ა უფრო მკაფიოდ ისმის ზმნებში, განსაკუთრებით მეშველ ზმნაში (ხარ, ვარ), შედარებით უფრო ზუსტად მაშინ, როცა მოლაპარაკე ო ან თქო ფორმანტებით გადმოგვცემს ნახულს ან გაგონილს: ვარო, ხარო, ვარ-თქო, ხარ-თქო. სიგრძე ამ მაგალითებში ემჩნევა მეორე ხმოვანს (ა-ს), პირველ შემთხვევაში კი — პირველს (ვარ, ხარ...).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ასეთ შემთხვევაში ჩნდება მახვილი და არავითარ გრძელ ხმოვანს აქ ადგილი არა აქვსო. ეს მოსაზრება შესაწუნარებელი იქნებოდა, რომ წარმოთქმისას რაიმე ინტონაცია გვქონდეს. ასეთი ფორმები გამოთქმისას ინტონაციას არ საჭიროებს. მახვილი ხმოვანზე, როგორც ცნობილია, იწვევს ხმოვნიანობის ინტენსიობას, ხმის სიმების შედარებით ხანგრძლივ ჟღერას, ტონური მახვილი, მაგალითად, გამოიწვევს ხმის სიმების სწრაფ ჟღერას, რაც ხმოვანი ბგერის ტონს განსხვავებულ სახეს მისცემს.

ზემორე მოტანილ მაგალითებში არა გვაქვს კითხვის ინტონაცია. კითხვით წინადადებაში ინტონაციას განსაზღვრული სინტაქსური ფუნქცია ენიჭება. ხმის ამაღლებით, ან დადაბლებით შესაძლებელი ხდება გარკვეული დასრულებული აზრის გამოხატვა, რაც კითხვით წინადადებას განასხვავებს თხრობითისა თუ გრძნობითისაგან. მაგრამ კითხვითი ინტონაციაც ამ მაგალითებიდან გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რადგან გრძელი ა ჩნდება არა კითხვით წინადადებაში, არამედ თხრობითში.

3. გავეცნოთ ჯერ დამახასიათებელ მაგალითებს: 1. „უბილეთო ხარო, როგო შეიძლებოდა მამეთმინა“ (საუბრიდან, გორი); 2. „ი ქალი შენ არ გამოგყვება, საწყალი კაცი ხარო“ (დარო ბზიშვილი, 55 წლ., პატარა ატენი); 3. „ხო, შვილო, აქა ვართ ახლაჲ“ (დარო ბზიშვილი); 4. „დასაწყევლათ ვერ გაგიმეტეფ, დედის ერთა ხარო, შენ თუ კაი ბიჭი ხარო, წადი და შენი ძმები მონახეჲო“ (გიორგი წიქარიძე, 26 წლ., ფუხაანთუბანი); 5. „მე იმ ცხრა ძმის მეტი არა მყოლია და შენ საიდანა ხარო“ (გ. წიქარიძე); 6. „უთხარ: მე ცოლ-შვილიანი ვარ-[თქო]“

---

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იქვე, გვ. 339—340.

(ალექსი ლოთიშვილი, 70 წლ., ფუხაანთუბანი); 7. „რატო გაილახე [გახდი] ეგრეჲ, ჩვენ ხო ძმები ვართო, ერთნაირ საჭმელსა ვსჭვმთო“ (არსენ პავლიაშვილი, 23 წლ., პატარა ატენი); 8. „ორივე ერთათ უნდა დავიხოცნეთ, ობლები ვართო“ (არ. პავლიაშვილი); 9. „მაგი მეტი ღირსი არაჲ ხარო“ (არ. პავლიაშვილი); 10. „დიდათ მადლობელი ვარო, რო პურიც გამამიცხე და სახლიც დამილაგეჲო“ (არ. პავლიაშვილი); 11. „მე იქაც არ ვარგოდი და აქაც არ ვარგივარო“ (არ. პავლიაშვილი); 12. „მგონი ერანიანთ ქვეყნიდანა ხართო“ (თედო ბზიშვილი, 70 წლ., პატარა ატენი); 13. „მეწისქვილე ხარო, მდიდარი ხარო“ (ვანო თინიკაშვილი, 80 წლ., ფუხაანთუბანი); 14. „ბატონი ხელში იყო ქალი, კაცი, — ყველა; ეხლა ბედნიერი ვართ: დავბერდი, ასი წლისა ვარ, ექვსი ღვდელი გამოვიცვალე“... (ვანო ქარქიშვილი, 101 წლ., პატარა ატენი); 15. „რათაჲ ტირიხარო“ (ნიკოლოზ რევაზიშვილი, 20 წლ., გარდატენი); 16. „რახან შენ ეგრეთი ღარიბი ხარო, სასოვდაგროთ მივდივარ და მოჯამაგირეთ წამომყეჲო“ (მარო ბუთხუზი, 38 წლ., ჰეჭელაანთუბანი); 17. „ნაჲწავლი ყოფილხარო“ (სიმონ ქერიშვილი, 37 წლ., ყარაღაჯი); 18. „შენი ნათლი მამა ვარო“ (დავით ქერიშვილი, 27 წლ., ყარაღაჯი); 19. „მეჯონები ვართო“ (დავით ქერიშვილი)...

ამ მაგალითების მიხედვით გრძელი ა თითქოს მარტოოდენ მეშველ ზმნაში გაჩნდა (ვარო, ხარო), თუმცა აქვე შეგვხვდა სხვა ზმნაც (ვსჭვმთო). შეგვიძლია მოვიტანოთ ა-ნიანი ზმნის სხვა მაგალითებიც:

მაქსო	ვჭამო	ვსვამო	მყამო	ვკლამო	მინდაო	—
გაქსო	ჭამო	სვამო	გყამო	კლამო	გინდაო	—
აქსო	ჭამსო	სვამსო	ყამსო	კლამსო	უნდაო	შობაო

1. „ბადეჲ წაურთმევია და გასაყიდათ აქსო“ (ნ. რევაზიშვილი, გარდატენი); 2. „ეგ ბევრი შენაჲ ჭამე და ემ ცოტასა ორივენი ვჭამთო“ (არ. პავლიაშვილი, პატარა ატენი); 3. „წამოდი და ვიბანაოთ, საკუთარი აბანო მაქსო“ (ნიკ. ჯიოშვილი, პატარა ატენი); 4. „მე ბევრი ფული მაქსო“ (მარო ბუთხუზი, ჰეჭელაანთუბანი); 5. „ატნი ღვინოსა ვსვამთო“ (ალექსი ლოთიშვილი, ფუხაანთუბანი); 6. „კურდღელსა კლამსო“ (დავ. ქერიშვილი, ყარაღაჯი); 7. „თუ ვერ გავათავე მზი ჩასვლი დრომდინა, ერთი კაპიკი არ მინდაო (დავ. ქერიშვილი); 8. „ბაეშვი ვერაჲ შობაო“ (სიმ. ქერიშვილი, ყარაღაჯი)...

გაბმული მეტყველების დროს გრძელი ა გვხვდება ზმნის ისეთ ფორმებშიაც, რომელთაც „ო“ ან „თქო“ ფორმანტები არ მოუდით. მაგალითები: 1. „უაჲწავლელი ვარ, შვილო“ (დარო ბზიშვილი, პატარა ატენი); 2. „მე კოლექტივი წევრი ვარ“ (დ. ბზიშვილი); 3. „ერთი შვილი მყავ და საყდარში მიწვემ, დღე კვდარია და ღამე ცოცხალი“ (ნიკ. რევაზიშვილი, გარდატენი); 4. „აღარც ჯამაგირი მაქ და აღარც

ფულიო“ (მ. ბუთხუზი, ჰეჰელაანთუბანი); 5. „რა ვქნა, ავათა ვარ და ვერ მოვალ“ (საუბრიდან, გორი)...

გრძელი ა ჩამოთვლილი ზმნების აწმყო დროის ფორმებში მოისმის ჩვეულებრივ. ზოგჯერ აორისტშიაც იჩენს თავს. მაგ.: „მიხაანთ ვანოს შაუყვარდაო“ (გარდატენი); „მთელი ციხე დალეწაო“ (ჰეჰელაანთუბანი); „შენი პური გალეწაო“ (პატარა ატენი), მაგრამ ასეთ მაგალითებში ა-ს არტიკულაციის ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეშველი ზმნის პირველისა და მეორე პირის ფორმებში (ვარ, ხარ; ვაროთ, ხაროთ).

ა-ს არტიკულაციის ხანგრძლიობას, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს თქო-ს დამატებაც. მაგალითები:

ვარ-თქო	შავდივარ-თქო	მაქს-თქო	მყამ-თქო	ვჭამ-თქო
ხარ-თქო	შადიხარ-თქო	გაქს-თქო	გყამ-თქო	ჭამ-თქო
—	—	აქს-თქო	ყამ[ს]-თქო	ჭამს-თქო.

ოდნავი სიგრძე ა-ს ემჩნევა სხვა შემთხვევებშიაც: ზ მ ნ ე ბ შ ი: ეხრამო, ერთამო, ეხნამო, ეწვამო, ეთქვამო, ეფარამო, ეკერამო, ებერტყამო, ეწერამო... მ ა ს დ ა რ შ ი: რთვამო, გაკეთებამო, დგომამო, რთვათო, გაკეთებათო, დგომათო... მ ი მ ღ ე ო ბ ა შ ი: ჩაცმულმაო, დახატულმაო, წაქცეულმაო, დაჭრილმაო, დავარდნილმაო, დამწვარმაო... ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი: ღალაო, ჩალაო, ქვაო, დილაო, კვირაო[1]; ღალამო, ღალათო, ჩალამო, ჩალათო, ქვამო, ქვათო; კაცმაო, ქალმაო; კაცათო, ქალათო... ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი: თეთრმაო, თეთრათო, შავმაო, შავათო, წითელმაო, წითლათო, მაგარმაო, მაგრათო... რ ი ც ხ ვ ი თ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი: რვაო, ცხრაო, ოციდარვაო, ოცდაცხრაო...

4. გრძელი ა, როგორც დავინახეთ, თავს იჩენს ბოლოდან პირველსა და მეორე ხმოვანზე, როცა მარცვალში ანია[2]. იმავე ადგილას მო-

---

[1] ასეთ მაგალითებში ა-სა და ო-ს შუა ჩნდება ნახევარხმოვანი ი (იოტი): ღალაო (ღალაიო→ღალაიო→ღალაო; ი→ი→0 (ნული), ჩალაიო (ჩალაიო→ჩალაიო→ჩალაო), კვირაიო (კვირაიო→კვირაიო→კვირაო) და ა. შ.

[2] დანარჩენი ხმოვნები არსებით თავისებურებებს არ ამჟღავნებენ, მათი გამოთქმა ანალოგიურ მაგალითებშიაც კი თითქმის ჩვეულებრივია. ოდნავი სიგრძე უნდა ახასიათებდეს ე-ს, როცა ამბობენ: „ვერა, გენაცვალე, ვერა, ვერ მოვალ“ (პატარა ატენი), „ნახე, ნახე, კიდე გეცოდინება რამეო“ [ან: რამეიო] (ყარაღაჯი). ლექსები:

დაიყვაილე, მინდორო,
დაღვრემილო ტყეო,
მე ნინა მასხარაშვილი
იოსები ძეო.
თუ ეს ბედი დამყვებოდა,
რათ დავიბადეო:
დედაჩემი პურ აცხობდა,
იქ მიეხმარეო,
ხუთი კოკა წყალი ეზიდე,
კიდევ წაველ მეო...

(პატარა ატენი); მაგრამ აქ აშკარად მახვილია და არა გრძელი ე. მახვილი ავსებს მეორე სტრიქონს, რომელიც ერთი მარცვლით ნაკლებია პირველზე.

სალოდნელია მახვილის გაჩენაც. ნ. მ ა რ ი ს აზრით, მახვილი ქართულს სწორედ ბოლოდან მეორესა ან მესამე მარცვალზე მოუდის[1]. ა. შ ა ნ ი ძ ე გრძელ ხმოვანს მთიულურში არჩევს მეორე მარცვალზე[2]. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ც თავის „მგზავრის წერილებში“ მოხევის მეტყველების თავისებურებათა გადმოცემისას მახვილს უმთავრესად მეორე მარცვალზე სვამს (ხან პირველზედაც)[3].

ზემორე მოტანილ და მსგავს მაგალითებში გრძელი ა-ს გაჩენას მხარს უჭერს სამი მთავარი გარემოება:

A. დასახელებულ მაგალითებში ა-ს გამოთქმის თავისებურება საფუძველს გვაძლევს, ვილაპარაკოთ მის გაორმაგებაზე. როცა გაორმაგებული ხმოვანი პრევერბთან ან ისეთ ფუძეში ჩნდება, სადაც ერთმანეთს ხვდება ორი ერთნაირი წარმოშობის ხმოვანი, მაშინ ადვილად ირკვევა ხმოვნის გაორმაგების მიზეზი, მაგრამ ჩვენს მაგალითებში ამის შესაძლებლობა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. მეშველ ზმნაში (ვარ, ხარ) ორი ა არ ივარაუდება, ბუნებრივად აქ ერთი ა-ა, მაგრამ მისი არტიკულაციის ხანგრძლიობა იმდენად დიდია, რომ თითქმის ორი ა ისმის.

Б. ამ შემთხვევებში მოსალოდნელი არ არის კითხვის ინტონაცია. როცა კითხვით წინადადებაში მოხდება ასეთი მაგალითები, იქაც ჩნდება გრძელი ა-ს მაგვარი ხმოვანი, მაგრამ ეს გარემოება კითხვის ინტონაციით წარმოიშობა (შდრ.: „ვინა ხარო?“; „შვილი თუ მყამ? პატარა ატენი და ა. შ.).

C. ჩვენ მასალებში ჯერ გვაქვს გრძელი ა და მას ხვდება აგრეთვე მახვილიც. რადგან სიგრძეცა და მახვილიც ერთ ხმოვანზე მოხვდა, მივიღეთ ა-ს უფრო ძლიერი არტიკულაცია, რაც მშვენივრად ჩანს ზმნაში ვარ, ხარ, ვარო, ხარო. ამ მოვლენას ქართლურთან ერთად რამდენადმე ინაწილებენ კახური, რაჭული და ნაწილობრივ ზემო-იმერულიც.

თქმულის მიუხედავად, ამ ფონეტიკური მოვლენის ახსნის სიძნელეს იწვევს „ო“ და „თქო“ ფორმანტების თანდართვა. გრძელი ა-ს გაჩენა ნაწილობრივ „ო“ და „თქო“-ს უნდა მიეწეროს. უამისო ფორმები, სამწუხაროდ, იმდენად სპორადულია, რომ მარტოოდენ მასზე დაყრდნობით მსჯელობა ძნელია.

1940 წ.

---

[1] Н. М а р р, Грамматика др.-лит. груз. яз., МЯЯ, XII, Л-град, 1925, გვ. 13.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“... გვ. 193.

[3] მეორე მარცვალზე: „რაის ვაქნევ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით“ (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, მხატვრ. ნაწერ., სახელგამი, 1937, გვ. 303). პირველ მარცვალზე: „აწინა ყაველნი ქართველნ ძმანები ვარნ“ (იქვე, გვ. 304). ქართული ენის გამოჩენილი მკვლევრის, ჰ უ გ ო შ უ ხ ა რ დ ტ ი ს აზრით, სხვათაშორის, ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მოხევის მეტყველებაში გვაქვს გრძელი ხმოვნები (H u g o S c h u c h a r d t, Über das Georgische, Wien, 1895, გვ. 14).

ზოგიერთი სინტაქსური მოვლენისათვის ქვემოქსნურში

(დასკვნითი დებულებები)

1. დიალექტოლოგია მოვალეა საფუძვლიანად შეისწავლოს ამა თუ იმ ენის ყოველი დიალექტი, ყოველი თქმა და ქცევა; აღნუსხოს და სხვა დიალექტებს შეუდაროს მისი გრამატიკული, ფონეტიკური და ლექსიკური სისტემები, გამოავლინოს და გაითვალისწინოს ის, რითაც დიალექტები ემსახურებიან ხალხის მასებს. ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტების შესწავლის აქტუალობა განსაზღვრულია იმით, რომ ისინი, „ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი“; „ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად“; „რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დიალექტებს, ისინი კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში“.

ასე მომხდარა ქართლურ-კახური დიალექტების მიმართ, რომლებიც ისტორიულად საფუძვლად დასდებიან ერთიან ქართულ ეროვნულ ენას, ხოლო ქართული ენის დანარჩენი დიალექტები კარგავენ თავისთავადობას და თანდათანობით ერწყმიან ეროვნულ ენას, ქრებიან მასში.

2. ქვემოქსნურს ჩვენ ვუწოდებთ ქსნის ხეობის (ახლანდელი ლენინგორის რაიონი) ბარის მოსახლეობის მეტყველებას. მასში ერთიანდება კორინთისა და ლენინგორის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების (კორინთა, იკოთი, წირქოლი, ქურთა, ნახიდი, საძეგური, ალევი, ყანჩავეთი, ბოლი, ძეგლევი, ლენინგორი, აგრეთვე ოძისი...) მცხოვრებთა მეტყველება. თავისი ძირითადი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ფონეტიკური თავისებურებებით ქვემოქსნური ქართლური კილოს თქმად უნდა მივიჩნიოთ. ბარის მხრით იგი ქართლურს უკავშირდება, მთის მხრით — ზემოქსნურს, ხოლო ორივე ერთად — მთიულურს.

3. შემასმენელი ქვემოქსნურში სამი სახისაა: ა) **მარტივი** (ზმნური): ბოლოთრია ვნახე, სოფელი აშენდა; ბ) **შედგენილი**: ეს წყალი თურმე მჟავეა, ჩირდილო მაღალია; გ) **ატრიბუტივიანი**: ქალი გახარებული გაიქცა, დევი შეშინებული მიძუნძულებდა... ატრიბუტივიანი შემასმენელი საერთო ქართული მოვლენა უნდა იყოს, რადგან იგი თითქმის ყველა კილოში გვხვდება. ატრიბუტივი შემასმენელთან ასეთ შემთხვევაში ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, განურჩევლად ზმნის ფორმისა (მეცხვარე **გახარებული** პარსავდა ცხვარს, მეცხვარემ **გახარებული** გაპარსა ცხვარი, მეცხვარეს **გახარებული** გაუპარსავს ცხვარი...). ატრიბუტივი აქ გრამატიკული განსაზღვრებაა, მაგრამ არა სახელისა, არამედ ზმნისა; სახელთან კავშირს იგი ზმნის მეშვეობით ინარჩუნებს.

4. ქვემდებარე ყოველთვის ითანხმებს რიცხვში შემასმენელს განურჩევლად იმისა, იგი ცოცხალია თუ არაცოცხალი საგანი: კაცი დგას — კაცები დგანან; ხე დგას — ხეები დგანან; მთები თავს დაგვცქერიან; ახი კაკლი ხეები დგანან; კარგი სახლები არიან; ცრემლებმა ლოყა დაიწვეს... ასევე ქვემდებარედ წარმოდგენილ კრებითს სახელს შემასმენელი ყოველთვის შეეწყობა მრ. რიცხვში: ბევრი ხალხი მაქუჩებულან.

5. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი სამი სახით გვხვდება: ა) ან ეკარგვის ბრუნვისეული ს: კაკლი ხეები, ჯვარი მიწები... ბ) ან ბრუნვისეული ს დასუსტებული აქვს ჲ-დ (ამას ადგილი აქვს ბოლოხმოვნიან ფუძეებთან): ოქროჲ კბილი, წყაროჲ თავი... გ) ან კიდევ შენარჩუნებული აქვს: კოდის ხევი, გრუვის მთა... ს შენარჩუნებული აქვს ზოგ საგეოგრაფიო სახელს: ხრომის წყარო, ნახიდის ხარხამი, ქურთის მთა... ზოგს კი არა: ხატი მიწები, ციხი ქედი, ვეძი ჩირდილი...

6. ასევე ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებასა და გარემოების სიტყვებს ზოგჯერ ეკარგვის ბრუნვისეული ს-ანი. ა) **უბრალო დამატება:** თოფი სროლა ისმოდა; ბ) **ადგილის გარემოება:** სახლი წინ მუხა იდგა; გ) **დროის გარემოება:** ორი კვირი შემდეგ ვნახე; დ) **მიზნის გარემოება:** შვილი გულითვი ვიყავ ქალაქსა.

7. ქვემოქსნურში გვხვდება კითხვის მახვილი, რომელსაც გარკვეული სინტაქსური ძალა აქვს. ეს მახვილი კითხვის ინტონაციის ელფერს ატარებს და განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ისეთ კითხვით წინადადებაში, რომელშიაც არ ურევია კითხვითი ნაცვალსახელი.

ა) მახვილი კითხვით წინადადებაში ჩვეულებრივ ბოლოდან მეორე ხმოვანზეა: „შინ არ მოსულა?*“ „კორინთელი არიან?“, „ქურთაში იყავი? ასეთი შემთხვევები არ იცის ლიტერატურულმა ქართულმა. ლიტერატურულ ენაში სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს: „თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ ურევია, მაშინ კითხვა გამოიხატება ბოლოში აწეული ხმით. ამ შემთხვევაში უკანასკნელი ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის: მართალს მეუბნები?“ (ა. შანიძე).

ლიტერატურულ ენაში „კითხვითი ინტონაცია ბევრნაირია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯგუფდება ორი მთავარი ტიპის გარშემო: ერთია ის ტიპი, რომელშიც ინტონაცია აღმავალია (ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება): ჩხუბი მოგვივიდა? მეორეა ის, რომელშიც ინტონაცია დამავალია შესიტყვების ბოლოს, მაგრამ ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით. სახელდობრ, კითხვითს სიტყვაზე: რა ამბავია?“ (გ. ახვლედიანი).

ბ) კითხვითი წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ შემას-

* მახვილიანი ხმოვნები დაბეჭდილია შავად.

მენელს კითხვის მახვილი აგრეთვე ბოლოდან მეორე ხმოვანზე აქვს: არ დაუმთავრებია? წაგიღია? დაემტვრა? წავიდა?

გ) შედგენილ შემასმენელს, თუ მის პირველ კომპონენტად წარმოდგენილია სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) ან მიმღეობა, ხოლო მეორე კომპონენტად კი — მეშველი ზმნა მესამე პირისა, კითხვის მახვილი ბოლოდან ასევე მეორე ხმოვანზე მოუდის: შვილია? შავია? ერთია? შენია? დაწერილია?

დ) ასეთი მახვილი ზოგჯერ (ეს იშვიათია) გვხვდება ძახილის წინადადებაშიაც იმავე ადგილას: „ეთერას დაუძახებ და ერთად მოვალთ!“ „შენ კაი ზღაპრები გეცოდინება!“

ე) მახვილი თხრობითს წინადადებაშიაც შეინიშნება, ოღონდ მეტად სუსტად: „ავადმყოფობამ ვერა დამაკლო რა“; ცოცხალი ვარ, შვილო“... უკანასკნელ მაგალითში მახვილი მოხვდა სიტყვის არა აბსოლუტურ ბოლო ხმოვანს, არამედ ისევ ბოლოდან მეორე ხმოვანს, რადგან მეშველი ზმნა „ვარ“ ასეთ კონტექსტში წინა სიტყვის ნაწილადაა გაგებული, ისევე როგორც კითხვითს წინადადებაში: სადაური ხარ? წირქოლელი ხარ? საიდან მოდიხარ?..

8. ქვემოქსნურში დასტურდება მახვილიანი (უფრო დაყოვნებით წარმოთქმული) ხმოვნები, რომლებიც სინტაქსურ ნიადაგზეა წარმოშობილი. ასეთ ხმოვნებს ვპოულობთ ერთმარცვლიან სიტყვებში და მასაც ისეთ შემთხვევებში, როცა ეს სიტყვები წინადადების აბსოლუტურ ბოლოსაა მოთავსებული, ე. ი. ბოლო სიტყვის ხმოვნის ტონი მაღლდება: ა) ა: „კაცი ხედავს მაღალ მთას“; „მხიარულად შეხვდა ძმას“... ბ) ე: „დაინახა რომ კაცი მინდორში წევს“: „შიგნიდან შეაცქეროდა მზეს“... გ) ი: „ის მთელი ღამე აცემინებდა ცხვირს“: „მწვადი იყო ცხვრის“.. დ) ო: „ეს არ ეკუთვნოდა მის შნოს“; „ის ასეთ პატარა საქმეზე არ დაკარგავს დროს“... ე) უ: „მაშინ კი მიხვდა, თუ რა შეეძლო ფულს“; „ამიტომაა, რომ ჩვენ მტერი გვძულს“... ეს მოვლენა შენიშნულია ცენტრალურ ქართლში (ვ. სომხიშვილი) და სხვა კუთხეებშიაც. იგი, ჩანს, საერთო ქართული მოვლენა უნდა იყოს, რადგან მსგავს შემთხვევებში ხმოვნებს დაყოვნება (ტონის ერთგვარად ამაღლება) ახასიათებს არა მარტოოდენ დიალექტებში, არამედ ლიტერატურულ მეტყველებაშიაც. ხმოვნების დაყოვნებით წარმოთქმა ერთმარცვლიან სიტყვებში, ისიც მხოლოდ წინადადების ბოლოში, ქართული მეტყველების ხალხური რიტმიკით აიხსნება, იგი პაუზის მოახლოების მაჩვენებელია, ხოლო ბგერის წარმოთქმის დამთავრებას კიდეც ჰყვება სიტყვის მთლიანად წარმოთქმის დამთავრებაცა და პაუზაც, რის გრაფიკულ ნიშნად თხრობითს წინადადებაში წერტილია გამოყენებული.

1952 წ.

დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში

1. ეგნატე ნინოშვილის მხატვრული პროზა XIX საუკუნის 80—90-იანი წლების ქართულ ენობრივ-სტილურ ნორმებს ასახავს. მწერალი ემყარება იმ ხალხურ ენას, რომელიც თავის უფლებებში აღადგინეს და 60-იან წლებში ჩვენს მწერლობაში დაამკვიდრეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ეგ. ნინოშვილი აღზრდილია ილიასა და აკაკის ლიტერატურული სკოლის ტრადიციებზე და ამ ტარდიციების გულწრფელი დამცველია. მის მხატვრულ ქმნილებებს ასაზრდოებს ხალხის სალაპარაკო ენა, სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლოგია. ტიპობრივი სახეები და ხასიათები გადმოცემულია ხალხური ენის წიაღიდან სათუთად ამოკრეფილი გამომსახველობის საშუალებებით. ხალხური ენის ამოუწყავი არსენალიდან მწერალი იღებს ლექსიკურსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და ამით კოლორიტულად აქანდაკებს დაუვიწყარ სახეებს, ხატავს მძიმე კოლიზიებსა და სიტუაციებს, ახასიათებს მწვავე სოციალურსა და წოდებრივ კონფლიქტებს.

ეგ. ნინოშვილის მხატვრული ენის თავისებურება უწინარეს ყოვლისა მის საშენ მასალაში — ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში მჟღავნდება. ფრაზეოლოგიურ საქცევებში ის ჭარბად იყენებს დიალექტურ მასალას. პერსონაჟთა მოქმედების გარემო, წრე, მოსაქმეობის ლოკალიზება გურიის კუთხეში, ადგილობრივი ფლორა, ფაუნა, ყოფის რეალიები მწერალს ფართო შესაძლებლობას აძლევს, უფრო მეტად დაეს ესხოს კილოურ მეტყველებას და იქიდან ამონარიდი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოსცეს გმირის ფსიქოლოგიური განცდები და სულიერი განწყობილებები. ყოველივე ამის საფუძველზე მხატვარმა გამოიმუშავა თავისი ინდივიდუალური სტილი, გვაჩვენა საკუთარი პალიტრის ძალა და თვითმყოფი ადგილი დაიჭირა ჩვენს ბელეტრისტთა შორის.

აი, როგორ ჟღერს დიალექტური ლექსიკა სიმონისა და მანას დიალოგში: „მოწიფული კაცის გული და ზღვაი ერთია. სხვაი რამე რომ გაგიპირდეს, მაშვინ რაღაი? ხომ იცი, სიმონ, ჩვენი ჯვარის წერის საქმე ჯერე ცხრა ქედს გადაღმაა!..“ „მეც შენსავით გული და სისხლი მაქ, მარა მეშინია, სიმონ, ბოლოს ქვეყნის საყბო არ გავხთე-მეთქი. წეღანაი მისაყვედურე: ეჭვიანოფ, დანდობა არა გაქო. ეჭვიანობით არ ვეჭვიანობ, მარა მაინც რომ დავფიქრდები, ჩვენი ცოლ-ქმრობა არ მოხთება, მგონია. აბა იფიქრე, შენს გვარს აზნაური ქვია, ჩემსას — ყაძახი! არა, სიზმარია ჩვენი ცოლ-ქმრობა!“ — უთხრა ქალწულმა მიჯნურს. ასევე დიალექტური მასალითაა შეზავებული ვაჟის პასუხი: „მანა, ან შენ რეიზა იტეხ გულს და ან მე რეიზა მაწვალებ? — უთხრა წყე-

ნით სიმონმა. — თავადაზნაურობა და ყაძახობა კაცის გამონაფიქრია, ჩვენი სიყვარული ჩვენი გულღვიძლის ნამდვილი შვილია, იმისთანა შვილი, რომ სანამდი ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, არ შეიძლება იგი რამემ მოკლას. ჩვენი სიყვარული მაშვინ მოკტება, თვითან ჩვენ რომ აღარ ვიქნებით ქვეყანაზე. აზნაურიო! უნდა გითხრა, ახლა რომ გვარის საქმეს შევხედე, კინტრათაც არ მიმაჩნია ჩემი აზნაურობა და თუ დამიჯერებენ, არც იი თავადობაა საბოლოვო საქმე. დღეს მე ვარ აზნაური, ასე ქვია, ხვალ ეგება მე ყაძახი შევიქნა და ჩემი ყაძახი აზნაური. ამას წამართვი-წაგართვი ქვია, მეტი აფერი და ბევრით ჯობს, ყველას ერთი სახელი გვქონდეს. რაა რომ გეიკვირე? დიდი საქმეა ჩვენი გაყაძახება თუ?“ („ჯანყი გურიაში“, 1, 3, 5).

ასეთივე დიალექტური სიტყვებითა და გამოთქმებითაა აღსავსე გოგიასა და მისი მეუღლის დიალოგი გადასახადების შესახებ („გოგია უიშვილი“, 1, 127). ივანესა და ნიკოს დიალოგი გლეხკაცის „გაძაღლებული ცხოვრების“ შესახებ („პალიასტომის ტბა“, 1, 166—168), სიმონა ძალაძის მონოლოგი შურისძიების წინ („სიმონა“, 1, 223—224), კაცია მუნჯაძის მონოლოგი სადარაჯოზე („განკარგულება“, 11, 213—214). ესენი და მისთანები რეფორმის შემდეგდროინდელი ახალი გლეხებია, რომელთა „გამწარებული ცხოვრების“ მართალი სურათი დიდი მხატვრის ფუნჯით გამოძერწა ეგ. ნინოშვილმა.

მწერლის თხზულებებში მარგალიტებივითაა მიმობნეული ახალი სიტყვობრივი და ფრაზეოლოგიური ერთეულები, ხატოვანი თქმები და ცოცხალი ხალხური სიტყვა-პასუხის ნიმუშები. ავტორს აქვს თავისი ენობრივი კოლორიტი, ორიგინალური ფრაზეოლოგია, ლაკონური ფრაზა-წინადადება, ყოველივე ის, რაც სტილის სამყაროს შეადგენს. მწერლის მხატვრული ოსტატობის ძალა მის ენობრივ კოლორიტშია. როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს, „ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“... „მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც. ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვას“[1].

ვაჟას ეს სიტყვები ზედგამოჭრილია და ზედმიწევნითაც ახასიათებს ეგ. ნინოშვილის მხატვრულ ენას. მწერლის ენა იმდენად კოლორიტულია, იმდენად აღსავსე „საკუთარი წინადადებითა და საკუთარი სურათებით“, ხალხური ცოცხალი თქმა-სახეებით, სიტყვის მასალითა

---

[1] ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., 1955, გვ. 340.

და დიალექტური ლექსიკით, რომ მის თხზულებას მართლაც „ხელმოუწერლადაც ცნობილობს“ მკითხველი, მისი სტილი ცხადი და ნაცნობია.

მკვლევრებს ხაზგასმული აქვთ მწერლის მხატვრული სტილის ნიშანდობლივი თავისებურებები. ერთნი ეგ. ნინოშვილის მხატვრული ენის კოლორიტს ხედავენ დიალექტურ მასალაში[1]. მეორენი იმაში, რომ მწერალს უყვარს სახელიდან ზმნის წარმოება (წიგნი — დაწიგნება), ზმნის კომპოზიტური ფორმების ხმარება („მიაწყევლ-მიაკრულა“), ცალკეული მხატვრული გამოთქმები („მოხუცებულობის ყვავი ჩამომძახის“), პერსონაჟთა მეტყველების მეტისმეტად გადატვირთვა დიალექტიზმებით[2].

ეგ. ნინოშვილის ენამ მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება. ეს იყო ეპოქა, როცა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის პროგრესული ძალების გამარჯვებით დამთავრდა, „ივერია“ მწერლობასა და მოსახლეობაში ნერგავდა ახალი ქართულის ტრადიციებს. ეგ. ნინოშვილის პირველი მოთხრობები სწორედ ილ. ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიბეჭდა და იმ დიალექტურ მასალას, რაც ასე უხვადაა გამოყენებული ამ თხზულებებში, მოწონებით შეხვდა პირადად ილია და მთლიანად „ივერია“. ამას, სხვათა შორის, „ივერიაში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებიც მოწმობენ.

აი, მაგალითად, ეგ. ნინოშვილის „ქრისტინეს“ ენის შესახებ რას წერდა „ივერიაში“ 1893 წელს სტ. ჭრელაშვილი („ქრისტინე“ სწორედ „ივერიაში“ დაიბეჭდა 1892 წლის №№ 262, 263, 266, 267, 269, 270, 272, 276, 277, 278 ნომრებში): „ბ-ნ ნინოშვილის შესახებ არ გვინდა გავათაოთ ლაპარაკი, ვიდრე ორიოდე სიტყვას კიდევ არ ვიტყვით. მე მოგახსენებთ ჩინებულს გურულ კილოს, რომლითაც იგი ალაპარაკებს თავის გმირებს. „რეიზა“, „მიზა“, „სიკვტილი“, „მოესრობი“, „ნასტავლი“ და სხვანი, ზომიერად და გადუჭარბებლივ ხმარებულნი, საამურად მოქმედებენ მკითხველზედ და უფრო ახლო მიჰყავთ იგი ავტორის გმირებთან“[3].

მწერალი შესანიშნავად იცნობდა გურულის, როგორც მისი დედა კილოს, ბუნებას. ამიტომ თხზულებებში დამოწმებული დიალექტური მასალა სანდოა და მეცნიერული მოთხოვნების მიხედვით ჩაწერილი წყაროს მნიშვნელობა აქვს. პროფ. ა. შანიძეს საესებით მართებულად

---

[1] კ. დონაძე, ეგნატე ნინოშვილის მხატვრული სტილის საკითხისათვის. „სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, 11, 1955, გვ. 173—180.

[2] შ. ღლონტი, ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი, სოხუმი, 1957, გვ. 36—47.

[3] სტ. ჭრელაშვილი, საბიბლიოგრაფიო წერილი, „ივერია“, 1893 წ., № 175.

აქვს აღნიშნული, რომ ეგ. ნინოშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობს თავის მშობლიურ კილოს და „საზოგადოდ სისწორით ასახავს ამ კილოს ვითარებას 90-იან წლებში“[1].

2. ნინოშვილმა გურულ დიალექტზე ამეტყველა თავისი მოთხრობების პერსონაჟები და არცაა საკვირველი, რომ ზოგ შემთხვევაში გმირებთან ერთად ამ კილოზე თვითონ მწერალიც მეტყველებს ხოლმე. ხშირად ძნელია, გაიგო, სად იწყება ადგილობრივი კილო და სად მთავრდება სალიტერატურო ენის საზღვარი[2].

დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში დამოწმებულია ორი გზით: ერთი, იდიომატური შესიტყვებებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების სახით და, მეორე, ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების სახით.

3. **იდიომატური შესიტყვებანი.** მწერალი მოხერხებულად იყენებს დიალექტურ იდიომს „ფარსაგი არ არის“: „რა იქნა, ბესიავ, ფარსაგი აღარ არის, რომ დარაჯის დასახედავათ წადი-მეთქი და იმის მაგიერათ აქ მოდი!“ — ჰკითხა გაკვირვებულმა ამბაკომ ბესიას. „რაღა ფარსაგი, — დაიწყო ბესიამ, — დათაი და ევანე შამოურიგდენ ჩვენს ჯარს“ („ჯანყი გურიაში“, 1, 97)[3]. ან: „ფარცაგი არ არის, მეც მწამს!“ — თქვა ბესიამ (იქვე, 104). „გოგია უიშვილის“ ტექსტში გვაქვს ფარცაგი[4]. „ფარცაგი არ დამართია, იმისთანა წივილკივილი ისმის გოგიესას!“ (იქვე, 140). „სიმონაში“: „ფარცაგი აღარ არის ჩემ თავზე“ (1, 217); „ფარსაგი აღარ არის, (1, 218); „ქრისტინეში“: „ან ავათ გახთა, ან ფარცაკი[5] დამართნია“ (11, 18); „მოსე მწერალში“: „ამ ჩვენ მწერალს რაცხა ფარსაგი არ დამართია!“ (11, 195)...

ფარსაგი შინაარსით ფათერაკის ფარდია. საბას ფარსაგი მიაჩნია „საშუალოდ კეთილისა და ავისა“, ფათერაკი კი — „მოულოდნელად და უნებლიედ იქნას რამ ანაზდად“. ფარსაგი შე-

---

[1] ეგ. ნინოშვილი, პარტახი, ა. შანიძის რედ., თბ., 1935, წინასიტყვაობა, გვ. 111.

[2] ალ. ღლონტი, ეგნატეს ენა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 108, 12. 05. 1934 წ.

[3] საანალიზოდ, ავტოგრაფებთან ერთად, გამოყენებულია ეგ. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემა პროფ. სიმ. ჩუნდაძის რედაქციით, როგორც ყველაზე უფრო სანდო: ტ. I, თბ., 1932; ტ. II, თბ., 1932; ტ. III, თბ., 1934. ტომები დამოწმებულია შემოკლებით.

[4] სხვა გამოცემებში ყველგან ფარცაგია ნახმარი (ე. ნინოშვილი, თხზ., I, 1924, გვ. 364, 375).

[5] თხზულების 1924 წლის გამოცემაში ამ ადგილას ნათქვამია: „ან ავათ გახთა, ან ფათერაკი რამე დიემართა“ (1. 106). ამის გამო შესაძლებელია „იევერიის“ რედაქციას ტექსტის გამოქვეყნების დროს ფარცაკი ფათერაკად გადაუკეთებია. „ქრისტინე“ კი პირველად სწორედ „იევერიაში“ დაიბეჭდა (№ 277 და სხვ., 1892 წ.).

მორჩენილა გურულ კილოში, სალიტერატურო ენაში მის ნაცვლად უფრო ფათერაკია გავრცელებული. ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში იდიომი ნახმარია მოულოდნელი, უცაბედი განსაცდლის აღსანიშნავად.

ხალხური იდიომი „ბაიბური არ ისმის“ მწერალს გამოყენებული აქვს სიჩუმის მნიშვნელობით. „პალიასტომის ტბაში“ ვკითხულობთ: „არსად ადამიანის ბაიბური არ ისმოდა“ (1, 172); „ქრისტინეში“: „ბაიბურიც კი არსად ისმოდა“ (11, 25); „არსად ხმა — ბაიბური არ ისმის“ (იქვე, 51); „ჩვენი ქვეყნის რაინდში“: „სახლში ბაიბური არ ისმოდა“ (11, 150). ყველა შემთხვევაში გამოთქმა ავტორის ტექსტშია ნახმარი და შენარჩუნებული აქვს ხალხური იერი, ნიშნავს ჩამი-ჩუმს, სიჩუმეს.

ხალხური მეტაფორა „დალია სული“ ჩვეულებრივ ნახმარია სიკვდილის, გარდაცვალების აღსანიშნავად. „არშიყში“ ნათქვამია: „ვარდიკომ დაკვნესებაც ვერ მოასწრო, ისე დალია სული“ (1, 184); „მოსე მწერალში“: „ბიჭმა ვეღარ გუუძლო თურმე და... იქინეი დალია სული თავისიანების უნახავათ!“ (11, 174). ამ მეტაფორის ვარიანტებია: ა. თქვენი ჭირი წაიღო: „თერძმა თქვენი ჭირი წაიღო“ („ქრისტინე“, 11, 35); ბ. განუტევა სული: „ამ სიტყვით გულომ განუტევა სული“ („ჯანყი“, 1, 122); ტარიელმა „მძლავრად გაუსვა ცალი ფეხი მიწაზე და განუტევა სული“ („ჩვენი ქვეყნის რაინდი“, 11, 171); გ. დახურა პირი: „ეკითხოსო, — გაუგებრად ამოილუღლუღა და შემდეგ სამუდამოდ დახურა პირი“ („გოგია უიშვილი“, 1, 139); დ. გამოეთხოვა სოფელს: ვარსკვლავისა „სევდით ჯერე ჭკუაზე შეიშალა და შემდეგ სულ გამოეთხოვა ამ სიცოცხლის მჭამელ სოფელს“ („ჯანყი“, 1, 26).

„ფუტის გაცივება“ ტიპობრივი დიალექტური მეტაფორაა, რაც ოჯახის განადგურებას ნიშნავს, „ფუტის გაჩენა“ კი — კერის გაჩენას, დასახლებას. ორივე მეტაფორა მხატვრულ სამკაულადაა გამოყენებული ნინოშვილის თხზულებებში. გოგია უიშვილმა ცოლს უთხრა: „კიდევ ეკუცია რომ ჩამოგვიყენონ, ფუტი გაგვიცივდება!“ (1, 125), ე. ი. კერა გაგვიცივდება, ოჯახი დაგვექცევაო. მოთხრობის ფინალში სიმბოლურად ნაჩვენებია გოგია უიშვილის დაქცეული ოჯახის ფეხზე წამოდგომა, გაევრანებული სახლისა და კარის აღდგენა: „აგერ ვიღაცამ დახურა ისლით ეს სახლი და გაიჩინა შიგ „ფუტიო“ (1, 141). ხალხური მოსწრებული გამოთქმით მწერალმა დამაჯერებლად გვაჩვენა გოგია უიშვილის დანგრეული კერის გამოცოცხლება. ოჯახის დანგრევის მნიშვნელობით ხალხი ხმარობს ოჯახის გაცივებასაც. „სიმონაში“ ნათქვამია: დავითის „საქმობამ [სიმონას] გა-

აციებია ოჯახი და დააწყებია ფირალობა“ (1, 229). მწერალი თვითონვე ამბობს: ქეთევანი „იძულებული შეიქნა ხელახლა ყანაში ემუშავნა მოხუცებულობის დროს და „ფუტი“ არ გაეცივებია ობლისათვის“ (1, 190).

ფუტიცა და გაციებაც ერთნაირად გვხვდება როგორც პერსონაჟთა დიალოგებში, ისე თვით ავტორის რემარკებშიაც.

გურული სპეციფიკური დიალექტური გამოთქმა კუჭის მოყვანა — გაკუჭება მწერალს ნახმარი აქვს იმ მიზნით, რომ კოლორიტულად გადმოსცეს პერსონაჟთა მეტყველება. „ჯანყი გურიაში“ ამ გამოთქმას იცნობს რამდენიმე ვარიანტად. ნაწარმოების ერთი პერსონაჟი, სიმონი, ამბობს: „ჩვენ კუჭი მევიყვანეთ, რავა გაგვიბედა ამდონ კაცს დამუქრებაო“ (1, 65). იმავე თხზულებაში ვკითხულობთ: „ბესიავ, გვითხოვნია, გვაპატიე ამდონ კაცს, ივანეც ბოდიშს იხთის, შეცთი, მოწიფული კაცი გავაკუჭეო...“ (იქვე, 44); „რეიზა მოგვიდა ისე კუჭი, ბიძიამ რომ გისაყვედურა, ყაძახის ოლქას რეზა გეერიეო?“ (იქვე, 72); პეტრია სალოსმა თავადს უთხრა: „თავადო, კუჭს ნუ მეიყვან, თვარა ადრე დაბერდები“ (იქვე, 114); ივანე ამბობს: „ბაან გამაკუჭა იმის სიტყვამ“ (იქვე, 20).

გაკუჭება, კუჭის მოყვანა ყველა ამ შემთხვევაში გადმოცემულია დიალექტური მნიშვნელობით პერსონაჟთა მეტყველებაში. ეს სიტყვა შემდეგ ადგილობრივი კოლორიტის გადმოსაცემად უხმარიათ სხვა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც. ახალგაზრდა ი. სტალინი თავის ქართულად დაწერილ ადრინდელ სტატიებში ხსენებულ სიტყვას ხმარობდა პაროდირების მიზნით[1].

ხალხური იდიომები მხატვრული ენის საშენ მასალას წარმოადგენენ. ისინი მწერლის ენას უაღრესად დიდ ესთეტიკურსა და ემოციურ ძალას ანიჭებენ, ავტორის მსოფლმხედველობასა და ნაწარმოების იდეურ-თემატიკურ მიმართულებას უფრო გასაგებს ხდიან. ამიტომ ასეთი ერთეულები ნინოშვილის მხატვრული ენის აქტივს ქმნიან. დავიმოწმებთ ამ ერთეულების ერთ რიგს. მთლიანად ყველა მათგანის ამოწერა დიდ ადგილს დაიჭერდა.

ენის ფხანა (ლაპარაკი): „გიორგი ხედავდა, ხალხმა თავისი არ დაიშალა, ჩემს ლაპარაკს არვინ ყურს არ უგდებსო და ტყუილ-უბრალოთ აღარ იფხანდა ენას“ („ჯანყი“, 1, 94). ე. ი. აღარ ლაპარაკობდა.

თხლენაჭამი (შერცხვენილი): „შალიკაშვილმა რომ გეიმარჯვოს ხვალ. მაშვინ ხომ ტყეილა თხლენაჭამი დავრჩებით

---

[1] სტატიაში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“: „რა დააშავა „უმრავლესობამ“, რატომ „გაკუჭებულა“ ჩვენი „უმცირესობა“? (თხზ., 1, თბ., 1947, გვ. 86). „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“: „სჩანს, ძალიან გაკუჭებულა!“ (იქვე, გვ. 156).

მეც და თქვენც“ (იქვე, 100); ან: „თუ იგინმა თხლეი ჭამოს, ჩვენ ჩვენი ვქნათ“ (იქვე, 103).

იაკამა დარი (კარგი ამინდი, მოწმენდილი, კამკამა ცა): „რა იაკამა დარია! მონადირის გული ვერ მეითფენს ამეღამ სამზირს წაუსველელობას“ („მონადირე“, II, 115); „უსაზღვრო ცის ლურჯი კამარა გულის დამატკბობელი სიმშვიდით დაჰყურებდა იაკამად დადუმებულს მწვანე არე-მარეს“ („განკარგულება, II, 209). გამოთქმას პერსონაჟებთან ერთად ავტორიც ხმარობს.

ძილის მობმა (დაძინება, ძილის მონდომება): ივანემ „კინაღამ არ წაიბორძიკა, რადგან ძილი ძლიერ მობმოდა“ („ჯანყი“, 1, 22). ამის საპირისპიროა ძილის აყოლა: „რა ვიცი, დილას ადრე ავდექი, და ძილი ამყვა, მგონია“ (იქვე, 36); ე. ი. გამოუძინარი დავრჩი, „გონება-გაფანტულობაც მეტყობაო“.

სხაპში გაბმა (მახეში გაბმა; სხაპი—მახე). ჯერან ტევრაძე ამბობს: „სხაპში ვარ გაბმული და რაღა უნდა ვქნა!“ („პარტახი“, II, 75); ან: „გამაბეს სხაპში და აგია?“ (იქვე). ჯერანი მართლაც მახეში გაება: იძულებული გახდა, იმისთანა ქალი დაენიშნა, რომელიც მას არ მოეწონა.

ჩხირის გატეხა (გამოტეხით თქმა, გადაჭრით თქმა): „ერთი ორ-სამჯელ კიდევ მოვუყოლებ ამბავს და ბოლოს გავუტეხ ჩხირს: მანაი ჩემია, მე უნდა შევირთო-მეთქი“ („ჯანყი“, 1, 3); ან: „ბოლოზე გატეხე ჩხირი და მიგვატიე! ბედაური ბოლოსო, მაინც აღარ გაგიგონია?“ (იქვე, 104).

ქვეყნის საყბო (ქვეყნის დასაცინი): „მეშინია... ქვეყნის საყბო არ გავხთე-მეთქი“ (იქვე, 5).

აღრენილი გული (აღელვებული, გულანთებული): ახალი ბეგარის „გამოცხადებამ ალმურიანი ცეცხლი დაანთო გურიის ხალხის, ამ დროს უამისოთაც აღრინებულს გულში“ („ჯანყი“, I, 14); „ოქრუას სამხედრო ბეგარიდან გათავისუფლება რომ შეიტყო ბაგრატამ, მეტად აუღრინდა გული“ („მოსე მწერალი“, 11, 195). ეს შესიტყვება პირველად ილიამ იხმარა თავის „კაკო ყაჩაღში“. ზაქრო მეურმეს ეუბნება: „შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ, მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული...“[1].

თავზე ბრეს გადაყრა (გაწბილება; ბრე — ღომის მტვერი): „მოსემ ბრე გადააყარა გლეხების მოციქულს თავზე“ („მოსე მწერალი“, 11, 176); ან: „უნათლოშვილები გვაყრიან თავზე ბრეს“ (იქვე, 192). ამ იდიომს მწერლის თხზულებებში უპირისპირდება ხალხური მზა ფორმულა ჩიჩი თვალებში: „საქმე

[1] ილ. ჭავჭავაძე, თხზ., 1. პ. ინგოროყვას რედ. თბ., 1951, გვ. 160.

გაკეთებული გვეგონებოდა და, ბოლოს, გეიხედავდი, ჩიჩი თვალებში, მოვტყუებულვართ!“ (იქვე, 191).

სახეზე მზის ამოსვლა (გახარება). გაბრაზებული მული რძალს ტუქსაედა: „რავა არ გაგხარებია, სახეზე მზეი ამოგივიდა!“ („პარტახი“, 11, 83). ეს იდიომი მწერალს გამოყენებული აქვს წარბების მოხრის (წყენის) საპირისპიროდ: „რა არის, ქალო, რომ მოხარე წარბები!“ (იქვე). ორივე გამოთქმა აღებულია ხალხის სალაპარაკო ენიდან.

კაცის ჩაჭრა (ჩაევარდნა, შეცდომის დაშვება). მოტყუებული ჯერანი ამბობს: „მაცათ, თუ ღმერთი გწამთ, ჩევიჭერი ერთი კაცი, იგია, და სულ ქე მაინც ნუღარ შემიწუხებთ სულს ამის ლაპარაკით“ („პარტახი“, 11, 79).

ნიორწყალათ ქცევა (განადგურება, იავარყოფა): „წაგესევით ამოდენა კაცი და სულ ნიორწყალათ გაქცევთ!“ („ჯანყი“, 1, 44). ხალხში ვრცელდება ამ თქმის მეორე ვარიანტიც: „ნიორთა ნაქურჩელათ ქცევა“, „ნიორთა ნაქურჩელა დარჩა...“. ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში ეს გამოთქმები არ გეხვდება.

წლოვანობის საშუადღო (შუა ასაკი). ამ გამოთქმას ხმარობს მწერალი პერსონაჟის ასაკის დასახასიათებლად: ელისაბედს „წლოვანობის საშუადღოზედ მიეღწიაო“ („ჯანყი“, 1, 57).

კაკლის ყრა (ვერა-რის დაკლება, უყარე კაკალი ველარაფერს დააკლებ). ეს მოსწრებული იდიომი უფრო იუმორისტულ სიტყვა-პასუხში ისმის. მწერალიც მას ამ ასპექტით ხმარობს ორ შემთხვევაში: ა) ამბოხებული გლეხები ამბობენ: „ამ ბოლოს და ბოლოს სულ მთლათ შესაწვავათ მოინდომეს საცოდავი ყაძახები! მარა ღმერთმა გაიგო სამართალი, აღარ შეაწვევია საცოდავი ყაძახები! აწი მიდგენ ბატონებმა და უყარონ კაკალი. ძალით იმდონ ყაძახებს აბა რა მიერევა?“ („ჯანყი“, 1, 56); ბ) დავით დროიძე ამბობს: „ჩემო ძმაო, ამისთანას უფრო შეუძლია წყენა და ვნება; მოგეპარება ერთ ღამეს, წაგიკიდებს ცეცხლს და გამოგბუგავს შით; ჩაგიჯდება გზაში, გკრავს თოფს და გაგაგორებს! მერე მიდი და უყარე კაკალი!“ („სიმონა“, 1, 196).

ღამის მზერა (დაღამება, დაბნელება; ღამე იმზირება — სიბნელემ მოატანა): „კარი მოუგდე, ღამე იბზირება სახლში და არ ვარგა, — უთხრა ქეთევანმა პატარა ჭალს“ („სიმონა“, 1, 203).

თავზე ხელის აღება (ფირალად გავარდნა, გაყაჩაღება). ეს იდიომური გამოთქმა დამახასიათებელია თითქმის ყველა ქართული კილოსათვის. ილ. ჭავჭავაძე „კაკო ყაჩაღში“ ამ იდიომს ათქმევინებს ზაქროს, რომელმაც მამის სისხლი აიღო და თავი ტყეს მისცა. ზაქრომ მეურმეს უთხრა: „როგორც ის [კაკო ყაჩაღი] ცხოვრობს, ისე ვიცხოვ-

რებ, ამ დღიდან თავზე ხელაღებულიო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1, 160). ემჩნევა, ეგ. ნინოშვილს „სიმონაში“ ხსენებული ხალხური გამოთქმა შემოტანილი აქვს ილიას გავლენით. „კაცმა თუ თავზე ხელი ეიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე! გაბილას ხომ ბევრი აღარ უკლია თავზე ხელის აღებას“ („სიმონა“, 1, 185); „იმისთანა შავი ჟამი ყაძახია, რომ ერთი თუ თავზე ხელი ეიღო, ჩვენს ოჯახს დაუქცეველს არ მოარჩენს“ (იქვე, 210). სიმონა ძალაძე ამბობს: „ერთი მუშა-კაცი ვიყაკი, გასაჭყლეტათ მომინდომეს, თავზე ხელი აშაღებიეს და აგია, ნახონ, თუ კაია, თავზე ხელაღებული კაცი!“ (იქვე, 224); დავითი „ეხლა მიხვდა, რომ თავზე ხელაღებული ადამიანი საშიში ყოფილა“ (იქვე, 226).

ჩიტის ფრენა გულში (ახალგაზრდობა, უდარდელობა). იდიომი მწერალს მოხდენილად შეურჩევია ახალგაზრდა ადამიანის დასახასიათებლად. ხანდაზმული გაბრიელ ჩამწარდაძე ნაღვლიანად აღიარებს: „ჩემს საცოლოს სიყმაწვილის ჩიტი უფრინავს გულში და მე კი მოხუცებულობის ყვავი ჩამომჩხავისო“ („უცნაური სენი“, 1, 145).

ნაცარი სავსეა (წვრილშვილი ჰყავს): „რაღა ეშველება მათ ცოლშვილს? ნეტაი მაინც იმდონი ობლები არ დარჩენოდნენ. ერთსაც და მეორესაც ნაცარი საფსე ჰყავს ბაღნებით!“ („პალიასტომის ტბა“, 1, 167). გამოთქმა გამოყენებულია მრავალშვილიანობის აღსანიშნავად. ნაცარი აქ კერასთან, სახლთანაა შეტოლებული. ნაცარს მოშორება ამიტომ კერის, ოჯახის მოშორებას, „გარეთ ფეხის გამოდგმას“ ნიშნავს. ქეთევანმა დავით დროიძეს შეჰკადრა: სიმონას „რა ავსულობა შეუძლია, ჯერ ნაცარს არ მოშორებიაო!“ („სიმონა“, 1, 193).

სიტყვის გადასხვაგანება (სიტყვის გადასხვაფერება): ივანემ „დაინახა ბესია და სიმონ, რომლებიც გაჩერებულიყვენ გზაზე და უცდიდენ მათ, და გადასხვაგანა სიტყვა“ („ჯანყი“, 1, 11).

ტყვიის საკოცნელად მიწვდომა (ტყვიის მიზანში მოხვედრა, მოკვლა): „მომკლა, აღარ ვჩივი, რომ ჩემი თოფის ტყვია იმას საკოცნათ მისწვტებოდეს!“ („ჯანყი“, 1, 88). ანალოგიური შინაარსისაა სათოფედ შოვნა (მიზანში ამოღება, გამოთოფვა): „მე გაშოინებ იმას სათოფეთ“ (იქვე).

4. ხალხური მეტაფორა ამშვენებს და მაღალ მხატვრულობას ანიჭებს ეგ. ნინოშვილის პროზას, ავტორს ერთბაშად შემოაქვს ლიტერატურულ ენაში ხალხური საუნჯიდან ამოკრებილი მარგალიტები და ამით რეალისტურად გვაჩვენებს თავისი გმირების შინაგან სული-

ერ სამყაროს. აქ დავიმოწმებთ ხალხური მეტაფორული გამოთქმების რამდენიმე ნიმუშს.

„თუ კი კაცი მეცადინეობას არ დაიზარებს, ადვილათ მოეჭრება კბილი („ჯანყი", 1, 30).

„პირს რომ იწვამ, შენ ვიღას უნდა უთხრა, უნდო და მოღალატე ხარო!" (იქვე, 20).

„მცოდნოდა უკანონო შვილი იყო, მოგეცა ლხენა, ჩუვუშაქრებდი ყურებს" (იქვე, 21).

„ვაჟიშვილი თოფის პირზეა აფარებული და მე მისი ამბავი ვერ შემიტყვია" (იქვე, 107).

„ისინი სიხარულით ცაზე ხელს არებდენ" (იქვე, 66).

„ნუ გამოგიკავებიათ პირში ბატონი, ბატონიო!" (იქვე, 91).

„იგი როის იცის ბებრუცუნამ, იმ თვალებს ადრე წეიღებს ვერ მობრუნდის ქვეყანაში!" (იქვე, 115).

„თავს ვერ ვუტყდები, თვარა მოვხუცდიო" („პალიასტომის ტბა", 1, 165).

„ერთი რომ უცფათ ფეხი გამეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში დააწინდრებენ!" (იქვე, 166).

„სუსანაი სულ მთლად ფეხამოკვეთილი იყო სიძის სახლიდან" („პარტახი",: 11, 90).

„თურმე ჩემი ცოცხლითაი დამარხვა უნდოდა!" (იქვე, 91).

„ჩვენ არჩივ ქვეყანას ქე დააქცევენ" (იქვე, 102).

„ისე ვარ მოღალული, რომ ძვალი ცაკე მაქ და ბილი ცაკე" („განკარგულება", 11, 209).

„შვილო, გიგო, აგერ აგდია ძაღლის შესაჭმელი დედაშენი" („სიმონა", 1, 188).

„ქეთევანი საქმეს აკეთებდა, — ობლის კვერს აცხობდა" (იქვე, 191).

„მეშინია, ჭკუაზე არ შეირყას" (იქვე, 223).

„თვალს წყალს დაალევინებს" (იქვე, 217).

„მაინც ვერ დაგვიპურებია ბაღნები!" („გოგია უიშვილი", 1, 126).

„ხალხი ტრიალებდა ყოველ ცისმარად დღეს" (იქვე, 133).

„ენა დაჭერილი ადამიანისათვის სალაპარაკოდაც არ ღირდა" („ქრისტინე", 11, 26).

5. პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება წყევლა-კრულვის ფორმულები. წყევლის ხალხურ ფორმულებში შემონახული ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი თაობიდან-თაობას გადაეცემოდა ხოლმე. წყევლა-

კრულვის ეს მზა დიალექტური ფორმულები მშვენივრადაა წარმოდგენილი „სიმონაში“. შვილის დაკარგვით გამწარებული ქეთევანი წყევლის ბოროტ მჩაგვრელს: „ვაი, ვინცხამ მე იგი ამდონ ხანს სანახავათ დამიკარქა, იმას დუუკარქე სააქაოცა და საიქიოც! თუ უდანაშაულოკი დევეწვა, წმინდაო გიორგი, შენ დაწვი და დუუდაგე საცხოვრებელი!“ (1, 212). ქეთევანი წყევლის დავით დროიძეს: „ღმერთო, შენ მიუზღე, ვინც ჩვენი ოჯახი ასე მოაქცია, ღმერთო ჰკითხე დავითს!“ (იქვე, 223).

რძალ-დედამთილისა და მულის წყევლა სრული სიზუსტითაა გადმოცემული „პარტახში“.

დედამთილი: „ღმერთო, დუუკარქე ტვინიცა და გრძნობაც, ვინცხამ ასე მომაქცია დღესო“.

რძალი: „თუ მტყვანი ვიყო, აგისრულოს, თუ არა და შენ დაგემართოს!“

მული: „გველი დაგეკიდა იმ ენაზე, თუ მის დღეში არ იწყევლებოდე (11, 65)...

წყევლა-კრულვის ხალხურ ფორმულებში შემონახული დიალექტური ფორმები მეცნიერული სიზუსტით ჩაუწერია და დაუცავს მწერალს.

6. ეგ. ნინოშვილს წარმოქმნის გზით გაუმდიდრებია ჩვენი ენის ლექსიკა: არა ერთი და ორი ბრწყინვალე ნეოლოგიზმი შემოუტანია თავის მოთხრობებში. იგი ამ მხრით სახელოვნად განაგრძობდა ილიასა და აკაკის გზას. ავტოგრაფების შეწამება გამოქვეყნებულ ტექსტებთან გვარწმუნებს, რომ „ივერიის“ რედაქციას ერთგვარი შალაშინი კი გაუკრავს მისთვის, მაგრამ ნინოშვილის ლექსიკას არსებითად რედაქციის ხელი არ შეჰხებია.

მწერლის ლექსიკაში, როგორც თავშიც აღინიშნა, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დიალექტური მასალა. ამ მასალის უდიდესი უმეტესობა პირველად სწორედ ჩვენმა ავტორმა შემოიტანა ლიტერატურაში. ამიტომ ეგ. ნინოშვილის მოთხრობებს ხშირად საგანგებო ლექსიკონს ურთავენ. ამ ლექსიკონთა მეცნიერულ ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით. ეს სპეციალური მსჯელობის საგანია, რადგან არც ერთი მათგანი, სრული არ არის და, რაც მთავარია, ზედმიწევნითი სიზუსტით ვერ გადმოგვცემს ნინოშვილის თხზულებების დიალექტურ ლექსიკას.

დიალექტურ მასალას მწერალი ძირითადად პერსონაჟთა მეტყველების ტიპიზაციის მიზნით იყენებს. არაიშვიათად, ზოგი ასეთი სიტყვა თვით მწერლის შენიშვნებსა და პუბლიცისტურ სტატიებშიცაა ნახმარი. ჩვენი გამოთვლით ეგ. ნინოშვილის მხატვრულ პროზაში დამო-

წმებულია სამი ათასამდის დიალექტური სიტყვა და გამოთქმა. აი, ზოგი მათგანი.

გ ა დ ა რ ე ვ ა ზმნა, მაგალითად, ეგ. ნინოშვილს ნახმარი აქვს მისი დიალექტური მნიშვნელობით — გ ა გ ი ჭ ე ბ ა. ძახილისა და კითხვითძახილის წინადადებებში სიტყვა სპეციფიკურ მოდალურ ელფერს ატარებს: „ხომ არ გ ა დ ი რ ი ე, შინაყმები რად უნდა გაპარულიყვენ!“ — გაკვირვებით იკითხა თავადმა („ჯანყი“, 1, 50). „ბიჭო ხომ ა რ გ ა დ ი რ ი ე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისთანა სიტყვებს!“ („სიმონა“, 1, 195). „რა იქნა ნეტაი, გ ა დ ი რ ი ა ი ქალი!“ — იკითხა გაკვირვებით ქეთევანმა (იქვე, 217). „კაღამ გ ა დ ვ ი რ ი ე, კაღამ გევიჰერი საცხა! — თქვა მელანომ“ („პარტახი“, 11, 97). „გ ა დ ვ ი რ ე ო დ ი, იქინეი რომ შვილი მყავდეს!“ („მოსე მწერალი“, 11, 175). „უბედური ნენაი გ ა დ ი რ ი ა“, — იწერებოდა ერთ წერილში სოფონა“ (იქვე, 203). ეს ზმნა ბევრჯერაა ნახმარი ნინოშვილის მოთხრობებში და ყველა შემთხვევაში თან ახლავს ხალხური ელფერი, რაც ჩინებულადაა გამოყენებული დრამატიული კოლიზიების შესაქმნელად. ავტორის არჩევანი აქ უეჭველად სწორია.

მწერალი ასევე იყენებს მ ო თ ხ რ ა ზმნასაც. „გოგია უიშვილში“ მ ო თ ხ რ ა ნახმარია აკლების, აოხრების, ოჯახის განადგურების მნიშვნელობით. გოგიას ცოლმა უთხრა: გადასახადს „ამ სამ დღეში ვინც არ შემოიტანს, მ ო თ ხ რ ი ა ნ ო“ (1, 127). გოგიამ თქვა: „ამ სამ-ოთხ დღეში ვერ მ ო გ ვ თ ხ რ ი ა ნ და მერე სამე ვეცდები, გავახერხებ და გადავიხდიო“ (იქვე, 128). ნაცვალმა გოგიას უბრძანა: „გიჩივი, ქვეყანას თ ხ რ ი ა ნ და ატირებენ-მეთქი“, (იქვე, 131). თავგატეხილმა გოგიამ უფროსს შესჩივლა: „დამიფარეთ, დამაქციეს კალანდა დღეს მ ო მ თ ხ ა რ ეს და გამლახეს“, „იგინმა მ ო მ თ ხ ა რ ე ს და გამლახეს“, „მე მ ო მ თ ხ ა რ ე ს, მე დამაქციესო (იქვე, 134). ამ სიტყვით შესანიშნავადაა გადმოცემული შევიწროებული გლეხის საშინელი განსაცდელი. სხვა ადგილას ამავე მნიშვნელობით ნინოშვილს გამოყენებული აქვს მეორე ხალხური გამოთქმა „ოჯახის გ ა ხ ი ბ ა კ ე ბ ა“: „ჩვენ შინაყმებს გადასახადი დაადვეს და ნაჩალნიკის ბრძანებით ო ჯ ა ხ ს უ ხ ი ბ ა კ ვ ე ნ“ („ჯანყი“, 1, 17). „მათი ოჯახები გ ა ვ ხ ი ბ ა კ ო თ და ჩვენ საქმეზე მევიხმაროთ“ (იქვე, 40). „ნებით არ გვაძლევს, ძალით გ ა ვ ხ ი ბ ა კ ა ვ თ!“ („გოგია უიშვილი“, 1, 131). ხ ი ბ ა კ ი || ხ ა ბ ა კ ი ბარგია; გ ა ხ ი ბ ა კ ვ ა ბარგის წართმევა, სახლის გაცლა.

„ჯანყი გურიაში“ იცნობს ასეთ დიალექტურ სიტყვებს: ყ უ რ შ უ მ ი, დ ა ს ტ ა ვ ლ ა (დამახსოვრება ერთგულებისა), გ ა რ ე ც რ ე ც ე ბ უ ლ ი, კ უ რ ძ ა ლ ი (1, 22), მ ე რ ე (იქვე, 37), კ ი მ ა ნ ი (იქვე, 54), ო ლ ქ ა (იქვე, 54, 58, 72, 76), ქ ე ჩ ხ ო, ხ ა პ ი, კ ა თ ხ ა (იქვე, 89), ს ე რ ე ს კ ე რ ი (იქვე, 84, 120), ტ კ ვ ა ბ შ ი (იქვე, 85)...

„გოგია უიშვილი“: ფაცხა (1, 125), ციცა (იქვე, 137), ჭინჭი, გალოცვა, ბორია, შედლუხი (იქვე, 139), ელანძე (იქვე, 127), წიწიე, ფილი, დუდი, ჯაჭვედაი (იქვე, 129), ნაზარდაი (იქვე, 131)...

„უცნაური სენი“: საპყარი (1, 144), ბაიყუში (იქვე, 150), სახოცი (იქვე, 153)...

„პალიასტომის ტბა“: ყურყუტი (1, 159), ღრიფი (იქვე, 160), ეწერი, ნოყო (იქვე, 161), წამოყელყელავება (იქვე, 163), წკნელი (იქვე, 164), ჩახანა, სუნელი, ჭვირთი, სამძირი, დალაღვა (იქვე, 165), მუხურო, ფხარი, (იქვე, 166), მოთეშა (იქვე, 167), ფაცური (იქვე, 168), ამოგირგილება, კუმი (იქვე, 169), დოჩხაური (იქვე, 170)...

„არშიყნი“: დობილო || დობირო (1, 175), უემური, ჩაჭურა, მესტი, საცვეთი, ბელყაიში თალაბულისი (იქვე, 176), მაჭახელა (იქვე, 80), ღოჯე (იქვე, 183)...

„სიმონა“: ბაღანაი (1, 187), ერთიცახე (იქვე, 189), ფუტი (იქვე, 190), პაწაობა, ყაზირალი (იქვე, 195), ოჯო (იქვე, 196), ერთქამეთი, ძაან (იქვე, 200), დაჯორგვა (იქვე, 201), სხვენი (იქვე, 204), ჯორკო (იქვე, 205), დაძუძურება (იქვე, 212), ძლივაი, ბეჩა (იქვე, 214), გაქნა, წაპილწული (იქვე, 219), ცახოცი (იქვე, 221), გამოჩაჭურებული (იქვე, 222), შალდამი, უყი (იქვე, 228)...

„ქრისტინე“: ღურღუთი ტყე (11, 8), შხუნა (იქვე, 14), გუშხამ (იქვე, 16), წატანა (იქვე, 21), ნაბარები (იქვე, 26), კონახი (იქვე, 34), მოთეთქვილობა (იქვე, 36), ბაბა, ნენაი, რავარც (იქვე, 39), დასარისტიანებული, ბუშალია (იქვე, 45)...

„პარტახი“: ლამბი, მაგიორში (11, 64), ბაბიდა, საღავათი (იქვე, 69), მემაჯე, მეხუთოე (იქვე, 71), ნალია (იქვე, 65), კაფსვა, კარდალი, კელევერი, საჯიქიო, ზრუგიელი (იქვე, 72), ფუხარაი (იქვე, 74), სხაპი, წრიხი, (იქვე, 75), შავრიოზაი (იქვე, 80), ყუნჩი (იქვე, 81), ბერძეგანი, მოსმინე, (იქვე, 82), გარისინება (იქვე, 87), კოჭობაი (იქვე, 89), აბჟუტურება (იქვე, 90), რაცხა, უცფათაი, გუშხამ (იქვე, 99), დაჭუტვა (იქვე, 100), არჩივი (იქვე, 102), ქალტა (იქვე, 105), დაჭუჭვა (იქვე, 108)...

„განკიცხული ოჯახი“: კურკანტელი (11, 111), ჯღა (იქვე, 113)...

„მონადირე“: გაყუნჩებული, გიდელი, სამზირი (11, 115), ყანთაქილა, ხალთა, ფალასკა (იქვე, 116) ჭყიკო-

რი, დაყალბება (იქვე, 118), როგო (იქვე, 119), ჩხაკი (იქვე, 121)...

„ჩვენი ქვეყნის რაინდი“: მილეთი (11, 129), ხაფი ხმა (იქვე, 154)...

„მოსე მწერალი“: მუხურო, ბადიში (11, 173), ბრე (იქვე, 176), აბდალი (იქვე, 191, ხელხვავი (იქვე, 199)...

„განკარგულება“: პაწაი (11, 209), კურცხალი (იქვე, 214)...

ადამიანთა საკუთარი სახელების ხმარებაში ეგ. ნინოშვილი იცავს მაღალი და დაბალი წოდებების დამოკიდებულების კლასობრივ იერარქიას, ერთი მხრით, გვაქვს პრივილეგიური წრეების წარმომადგენელთა სახელები: დავითი (დროიძე), ტარიელი (მკლავაძე), ტიტიკო, ლევანი, იასონი, მოსე... მეორე მხრით, განაწამებ გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანების სახელები: ბესიაქე, კოზიაქე, მარცვალაი, როსტომა, პეტრია („ჯანყი გურიაში“), გოგიაქე („გოგია უიშვილი“), გაბრიელა („უცნაური სენი“), გოგიეი, თედორიკა, პავლია, პეტრიკელაი, მასიკელაი, გოგიელაი, ზალიკაი, სიმონიკაი, გიგოაქე („პალიასტომის ტბა“), გაბილა-გაბრიელა, საყვარელა, სიმონა, ფეფიკაი („სიმონა“)... საკუთარი სახელები ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ კნინობით-დამცირებითი ფორმებითაა წარმოდგენილი: როსტომ-ა, გაბრიელ-ა, სიმონ-ა, ზალ-იკ-ა...

ცალკე სიტყვების მნიშვნელობა მწერალს გააზრებული აქვს თავისებურად და ამიტომ ზოგჯერ ისინი მეტად უცნაურად ჟღერენ წარმოდგენილ კონტექსტში. ეს უნდა ითქვას, უწინარეს ყოვლისა, ხალხი, ერი, მუშა, გლეხი და სხვ. სიტყვების შესახებ. ხალხი გვხვდება ასეთ კონტექსტში: „ამ მუხის ძირში იკრიბებოდა ხსენებულ დღეს აჯანყებული გურიის ხალხი“ („ჯანყი“, 1, 38). ან: „ერთი მხრით ზღვა ჰქონდათ, მეორე მხრით გაუვალი ტყე, წინ და უკან გურიის ხალხი!“ (იქვე, 89). „კვალად მიანდო გურიის ხალხმა დარაჯობა“ (იქვე, 92). „გურიის ხალხზედ თითქმის ულამაზესი, უკოხტავესი და უვაჟკაცესი ქობულეთის ხალხი გულის ძგერით მოელოდა...“ (იქვე, 93). „მოსარჩლეთ მოსული იმერეთის ხალხი“ (იქვე, 77). „ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად გურიის ხალხი... ცხოვრობდა ისლით დახურულს ფიცრულა სახლებში“ („ცოლი და ქმარი“, 11,223)... ამისთანა შემთხვევებში ყველგან მოსალოდნელი იყო არა ხალხი არამედ მშრომელები, გლეხები.

ასევე სპეციფიკური მნიშვნელობითაა ნახმარი ერი: გურიის მუშა ხალხს, ანუ გლეხ-კაცობას თოხის მაგივრად თოფისათვის მოეკიდა ხელი და ისე ღელავდა ეს მცირეოდენი ერი, როგორც შავი ზღვა ქარტეხილის დროს“ („ჯანყი“, 1, 37); მუშა გლეხის სინონიმადაა

წარმოდგენილი: „გურული მუშა სთესს სიმინდსა და ღომს“, („ჯანყი“, 1, 82); „მუშაკაცი მოვიდოდა ყანიდან და ვახშამი უნდა მოემზადებინათ“ („პარტახი“, 11, 65); „ეს იყო კარგი თვალტანადი მუშაბიჭი“ (იქვე, 67); „მუშა-კაციზა აგი დღეები ძვირათ ღირს!“ („მოსე მწერალი“, 11, 180); „ეს გვამი გახლდათ სიმონა ძალაძისა, რომელიც ერთ დროს სამაგალითო მუშა გლეხი იყო“ („სიმონა“, 1, 229). მუშა გლეხი აქ: შრომის მოყვარე, გამრჯე.

7. ეგ. ნინოშვილის თხზულებებში გარკვეულ ადგილს ბარბარიზმები იჭერს. უხვადაა გამოყენებული, ხშირად უადგილოდაც, რუსული ლექსიკა. ნასესხები სიტყვები ავტორს სჭირდება მხატვრული სახისა და სიტუაციის კოლორიტულად გადმოცემის მიზნით. ეს მართებული პოეტური ხერხია: მწერალს შეუძლია გამოიყენოს სხვა ენის ლექსიკური სამყაროდან ნასესხები მასალა, მაგრამ აქ ზომიერების დაცვაა საჭირო. ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში, სამწუხაროდ, ყოველთვის არ იგრძნობა ზომიერება, რუსული ლექსიკიდან აღებული მასალა გამოყენებულია როგორც საჭიროების, ისე არა საჭიროების შემთხვევებშიაც. ეს არ შეიძლება გამართლდეს პოეტური ხერხით: მისი მიზანი გაურკვეველია.

დავიმოწმებთ არასაჭირო ბარბარიზმების მცირე ნიმუშს. „ჯანყი გურიაში“: კრაოტი (1, 32, 37), მაშინა (იქვე, 35), სტოლი (იქვე, 31, 33, 34, 60, 61, 96)... ნაჩალნიკი (იქვე, 41, 54, 55, 66, 79, 83, 103)... სტაქანი (იქვე, 60, 61...), ჩინოვნიკი (იქვე, 21, 74), გრამოტა (იქვე, 68), კამანდა (იქვე, 75), შტიკი (იქვე, 79)... „გოგია უიშვილი“: ეკზეკუცია, ეკუცია (1, 125, 132...), ზავოტი (იქვე, 127), აპეკუნი (იქვე, 141)... „სიმონა“: საფოდრათო (1, 192), სეკრეტარი (იქვე, 193, 228), პრაპორჩიკი, პაგონები (იქვე, 208), მაშენიკი (იქვე, 209), პრიგავორი (იქვე, 228), რაზბონიკი (იქვე, 229)... „ქრისტინე“: სკუჩნობა (11, 38, 39, 41)... „პარტახი“: რიუმკა (11, 72), სპიჩკა (იქვე, 108)... „მონადირე“: სუდი, პროტოკოლი (11, 119)... „ჩვენი ქვეყნის რაინდი“: ზალა (11, 125), პოეზდი (იქვე, 126), პოვარი (იქვე, 132), უჩიტელი (იქვე, 140), მუჟიკი (იქვე, 141), პარუსინა (იქვე, 142)... „მოსე მწერალი“: სტოროჟი (11, 178), იასაული (იქვე, 179), კოზიროკი (იქვე, 180), პოლსაპოშკები (იქვე, 187), პოპოშნიკი (იქვე, 201)...

8. ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში მდიდრულადაა წარმოდგენილი ხალხური ანდაზა-სიტყვის მასალები და მოსწრებული თქმა-სენტენციები. ანდაზა-სიტყვის მასალა გამოყენებულია მოვლენა-სიტუაციის დასახასიათებლად. მწერალი ანდაზების მოხდენილად გამოყენებით კიდევ უფრო მეტი ძალით გვაგრძნობინებს თავის რევოლუციურ-დემოკრა-

ტიულ მსოფლმხედველობასა და განწყობილებას. ანდაზებისა და სიტყვის მასალების მოშველიებით ავტორმა უფრო მძაფრად გამოხატა მშრომელი გლეხკაცობის აუტანელი მდგომარეობა ცარიზმის შავბნელ ეპოქაში. ანდაზა და სიტყვის მასალა ყოველთვის ჩართულია შესაფერის ადგილს[1]. ესენი, ისევე როგორც ხალხური იდიომატური შესიტყვებანი, ეგ. ნინოშვილის მხატვრულ ენას ანიჭებენ მეტ გამომსახველობითს ძალას, ხდიან მის თხზულებებს ადვილად საკითხავად და მთლიანად მწერლის შემოქმედებას ჰმატებენ ხალხურ სიბრძნეს, მაღალ ესთეტიკურ ღირსებას.

დიალექტური ლექსიკა, იდიომატური შესიტყვებანი, მეტაფორული გამოთქმები და ანდაზა-სიტყვის მასალები ამდიდრებენ ეგ. ნინოშვილის ბელეტრისტული ქმნილებების მხატვრულ ენასა და სტილს და ამ ქმნილებებს უფრო მყარ ადგილს უძებნიან ხალხის გულში.

რაფიელ ერისთავი და ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები

რაფიელ ერისთავი, შესანიშნავი მგოსანი, ეთნოგრაფოსი და ფოლკლორისტი, ფართო ჰორიზონტის ლექსიკოგრაფოსიც იყო. მისი როგორც მხატვრული ქმნილებანი, ისე ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ძიებანი მაშინვე დამკვიდრდნენ ქართული ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების საგანძურში.

რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობის მეცნიერული ღირსების წარმოსადგენად მარტო ისიც კმარა, რომ კერძოდ მის რუსულ ენაზე გამოცემულ ცნობილ ნარკვევს თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ, თავის დროზე უაღრესად მაღალი შეფასება მისცა რუსული დემოკრატიული აზრის ისეთმა კორიფემ, როგორიც ნ. ჩერნიშევსკი იყო. ასევე განუზომლად დიდია სასიქადულო მამულიშვილის ამაგი ქართული ენის ღირსების დაცვისა და ლექსიკოგრაფიის დარგშიც. რაფიელ ერისთავი, როგორც ლექსიკოგრაფოსი, გვერდში უდგას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ენათმეცნიერებს და მისი მემკვიდრეობის გაუთვალისწინებლად გაძნელდებოდა ქართული ლექსიკოგრაფიის შესწავლა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ დღეს მაინც გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. ერისთავის წვლილი ქართულ ლექსიკოგრაფიაში აქამომდის საკმარისად შესწავლილი და დაფასებული არ არის.

მგოსნის მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ამ საკითხზე მეტად მოკლე ინფორმაციაა წარმოდგენილი, სპეციალური მონოგრა-

[1] დაწვრილებით: ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956, გვ. 239—247.

ფია კი არ მოგვეპოვება. ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს ლ. იორდანიშვილის დისერტაცია და რ. შამელაშვილის საგაზეთო სტატია „რაფიელ ერისთავი და ქართული ლექსიკოგრაფია“. აქ ლაპარაკი გვაქვს რ. ერისთავის გამოქვეყნებულ შრომებზე. რაც შეეხება მის ხელნაწერად დარჩენილ მასალებს და ლექსიკონებს, ისინი ცალკე იქნება შესწავლილი.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა ლექსიკოგრაფიის სფეროში ორი მიმართულებით განვითარდა. უწინარეს ყოვლისა, მან შეისწავლა საგნის კლასიკური მემკვიდრეობა და ხელი მიჰყო სათანადო ძეგლთა პუბლიკაციას; მეორე მხრით, ცოდნის ეს დარგი გაამდიდრა ახალი ნაშრომებით. ორივე მიმართულებას რ. ერისთავმა ღრმა კვალი დაატყო და შთამომავლობას ძვირფასი შრომები დაუტოვა. ეს შრომები თითქმის ცარიელ ადგილზე აღმოცენდნენ. ჩვენი ავტორი ლექსიკოგრაფიულ ძიებას მაშინ შეუდგა, როდესაც ჯერ კიდევ არა თუ არ ყოფილა შექმნილი თეორიული ნაშრომები ქართული ლექსიკოლოგიის სისხლხორცეულ საკითხებზე, არამედ ჩვენთვის უცნობი იყო ქართული ტრადიციული მემკვიდრეობაც კი. გამოცემული არ ყოფილა თვით სულხან-საბა ორბელიანის სწორუპოვარი „ქართული ლექსიკონი“, საზოგადოების მეტად მცირე ნაწილი იცნობდა ს.-ს. ორბელიანის, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა და სხვათა ხელნაწერად დარჩენილ ნაშრომებს, ხოლო მათი გამომზეურება განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა.

XIX საუკუნის 70—80-იანი წლებისათვის, როცა რ. ერისთავი შეუდგა ლექსიკოგრაფიულ კვლევა-ძიებას, ჯერ კიდევ ღარიბი გახლდათ საგნის სპეციალური ლიტერატურა. ამ პერიოდში გამოცემული იყო მხოლოდ შვიდიოდე, სპეციალისტთა მეტად ვიწრო წრისათვის ხელმისაწვდომი სიტყვარი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახ-ჩოლოყაშვილის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (რომი, 1629 წ.), გოდერძი ფირალოვის „თჳთმასწავლებელი“ (სპბ., 1820 წ.), ა. სულხანოვის „მეტოდური ლექსიკონი ქართულ-ფრანციზულ-რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა ნაწილთა სიტყვისათა, უმეტეს ხმარებელთა და განწყობილთა საგანთაებრ, რიცხვით ოთხი ათასთა“ (სპბ., 1839 წ.), დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (სპბ., 1840 წ.), მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (სპბ., 1846 წ.), ი. ა. როტინოვის „შემოკლებული ქართულ-ფრანციზული ლექსიკონი“ (მეორე გამოცემა, თბ., 1872 წ.). ეს იყო და ეს. ბუნებრივია, ამ მცირე ლექსიკონების საფუძველზე ძნელი იყო ქართული ლექსიკოგრაფიის ცოტად თუ ბევრად სრული სახით წარმოდგენა, რადგან აქ დასახელებული არ არის ყველაზე მთავარი, ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი,

რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა შეადგინა და ხელნაწერი სახით ვრცელდებოდა და რომელიც ბეჭდურად გვიან (1884 წ.) გამოქვეყნდა. არ არის დასახელებული არც ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (შედგა 1815—1825 წწ., პირველად გამოიცა 1961 წ.), მისივე რუსულ-ქართული ლექსიკონი“. (შედგა 1815—1832 წწ., პირველად გამოიცა 1971, 1973 წწ.), დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე“, რომელიც გადამუშავებული და შევსებული სახით გამოსაცემად ჩაბარდა 1878 წელს, მაგრამ გამოიცა 1887 წელს. საბასა და აგრეთვე შემდეგ ჩუბინაშვილების ლექსიკონებმა კი მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ მეცნიერებაში. ამ პირველ წყაროთა უქონლობამ, უეჭველია, თავისი კვალი დაატყო რაფიელ ერისთავის კვლევა-ძიების შედეგებსაც.

რ. ერისთავმა ჩვენს კულტურასა და მეცნიერებას უდიდესი სამსახური გაუწია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ იტვირთა ორი საუკუნის განმავლობაში არქივის მტვერმიყრილი სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ („სიტყვის კონის“) სამზეოზე გამოტანა. ეს ღირსსახსოვარი მოვლენა იყო მთლიანად ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებასა და, კერძოდ, ლექსიკოგრაფიის ისტორიაში. ამ ბრწყინვალე ძეგლს, ორასი წლის განმავლობაში ხელნაწერად რომ ვრცელდებოდა, მხოლოდ რაფიელ ერისთავის რუდუნების წყალობით 1884 წელს ეღირსა პირველი გამოცემა. საბას ლექსიკონის, ქართული მეცნიერების უნიკალური განძისა და ორიგინალური ქმნილების, გამოცემით რაფიელ ერისთავმა ჰეშმარიტად საშვილიშვილო საქმე გააკეთა, სათავე დაუდო ძეგლის მეცნიერულ შესწავლას. გამოცემას წინასიტყვაობის სახით დაურთო მთელი გამოკვლევა, რომელშიაც საქმის ღრმა ცოდნით გაშუქებულია ქართული ლექსიკოგრაფიის სათაეების, საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი ეტაპების, ლექსიკონის შედგენის პერიოდის, წყაროებისა და მასზე საბას მიერ გაწეული შრომის ძირითადი საკითხები.

რაფიელ ერისთავი კარგად გრძნობდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში სპეციალური ლიტერატურის სიღარიბეს და ამის მიზეზებს. მან მშვენივრად იცოდა, რომ მეცნიერების ეს დარგი არ იწყებოდა საბას ნაღვაწით, რომ ამ უკანასკნელს წინ უსწრებდა მდიდარი მემკვიდრეობა, რამაც ჟამთა სიავის გამო ჩვენამდის ვერ მოაღწია. „შემდეგს და შემდეგს საუკუნეებში, — ამბობს რ. ერისთავი, — უეჭველია, საჭირო იქნებოდა და კიდევაც ჰქონიათ ქართველებს ლექსიკონი, მაგრამ დაფურცლილა და დაკარგულა სხვადასხვა არეულს ღრუბებში, მტერთა შემოსევის ჟამს და დღეს ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ სულხან ორბელიანისაგან შედგენილმა ლექსიკონმა, რომლისაც დაბეჭდვა განვიძრახე და შევასრულეო“ (წინასიტყვ., გვ. 1—11).

ძველი სალექსიკონო წყაროების დაკარგვის გამო ჩიოდა თავად დიდი საბაც. ცნობილია მისი ლექსად დაწერილი ანდერძნამაგი ლექსიკონისა, რომელშიაც ნათქვამია:

> აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაეკარგათ ქართველთა,
> უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა.
> ახლად შევკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი,
> საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი.

გამომცემელი ხაზს უსვამს ლექსიკონების დიდ პრაქტიკულ საჭიროებას და ფართო მოთხოვნილებას. „რომ ვამბობ მოთხოვნილება არის-მეთქი, — წერს შემდეგ ჩვენი ავტორი, — ლექსიკონისა, ეს თქმა არის დაფუძნებული, სხვათაშორის, იმ აზრზედაც, რომ ახლანდელი ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორის ნაწერებში შემორეულა უცხო ენის სიტყვები, რომლების სამაგიერონი და უფრო ნამდვილნი მოიპოვებიან სულხან ორბელანის ლექსიკონში. მაშასადამე, ეს ლექსიკონი რომ ყოფილიყო აქნობამდის დაბეჭდილი და გავრცელებული, მაშინ უცხო ენის სიტყვები აღარ შეამღვრევდა ქართულს ენას, რადგანაც თჳთ ამ ენაზედ მოიპოვებიან ჯეროვანნი და უფრო მარჯვე სახელწოდებანი“ (წინასიტყვ., 11).

ავტორი საჭიროდ თვლის ჩვენი მეცნიერული ტერმინოლოგიის საფუძვლად ქართული, ადგილობრივი მასალის აღებას, თუ გნებავთ, ამისათვის საჭირო გახდეს მოძველებული და ხმარებიდან გასული სიტყვების აღდგენაც. ხოლო იმისთანა შემთხვევაში კი, როცა ახალი ცნებისათვის შესაბამისი ქართული ეკვივალენტების დაძებნა შეუძლებელი ხდება, ავტორი საჭიროდ თვლის უცხოური ტერმინების სესხებას. ეს, მეცნიერულად სწორი და დასაბუთებული შეხედულება, ავტორს ასე აქვს გამოთქმული: „იქნება სთქვან, რომ ზოგი ქართული სიტყვები დაძველებულან და გაუგებარნი არიანო, მაგრამ, ჩემის აზრით, სჯობს, რომ ისევ ის ძველი სიტყვები განვაახლოთ და შემოვიტანოთ ლიტერატურაში სახმარებლათ, ვიდრე სხვა ენას დავესესხოთ: ხომ იმასაც ხელ-ახალი შესწავლა და შეჩვევა დასჭირდება და ამასაც, და თუ კი უცხო ენებიდან იმგვარი სიტყვების შემოტანა დაგვჭირდა, რომლებიც ქართულში სრულიად არ მოიპოვებიან, მაშინ ჩვენც ვისარგებლოთ იმ სიტყვებით, რომლების სესხობასაც არ თაკილობენ ჩვენზედ უფრო დაწინაურებულნი და განათლებულნი ხალხნი“ (იქვე).

რ. ერისთავმა განსაზღვრა პერიოდი, როდესაც უნდა იყოს შედგენილი საბას ლექსიკონი. ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. საბას ბიოგრაფიული ცნობებიდან, რომელიც „სიტყვის კონის“ მრავალ ნუსხას ერთვის, ვგებულობთ, რომ ავტორს თავისი შრომის შესაქმნელად 30 წელიწადს უმუშავია. ამ ცნობაზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ფიქრობდა: საბას

ლექსიკონის შედგენა „დაუწყია 1685 წელს და დაუსრულებია 1716 წელსო“. ა. ცაგარელს აღნიშნული აქვს: „Словарь грузинского языка, — гигантский труд, над составлением которого Сулхан трудился в продолжении 30-ти лет (1669—1698). и, кончив его, поступил в монахи“ (ნ. ჩვენი: ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 225—226). ყველაზე მეტი სიცხადე ამ პრობლემის გაშუქებაში რაფიელ ერისთავმა შეიტანა: იგი თვლიდა, რომ საბას თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია 1676 წელს და „ის მოათავებდა ლექსიკონის შედგენას 1706 წელს, თუ იმუშავა ოცდაათი წელიწადიო“ (წინასიტყვ., XI). მკვლევრის ეს შეხედულება ეყრდნობა საბას აღსარებას: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჰ ა ბ უ კ ო ბ ი ს ჟამსა და ს ი ყ რ მ ე ს ა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა... ვახტანგ მეფის ბიძამ, მეფემ გიორგიმ, მიბრძანა ამისი ხელყოფაო“. აქედან მკვლევარმა მეტად საინტერესო დასკვნა გააკეთა. საბას განმარტებით, „ს ი ყ რ მ ე ადამიანისა ირიცხება 15-დან 20 წლამდინ; 20-დან 30-მდინ — ჰ ა ბ უ კ ო ბ ა. რადგან სულხანის დაბადების წელიწადათ არის მოხსენებული 1658 წელი, ამას რომ 15 წელი მივუმატოთ — შედგება 1673 წელი, როცა რომ სულხანი ჩადგებოდა სიყრმეში. — რადგან მეფე გიორგიმ უბრძანა სულხანსა ლექსიკონის ხელყოფა, ეს ბრძანება იქნებოდა არა უადრეს 1675 წლისა, ამიტომ რომ მეფის გიორგის მამა გარდაიცვალა 1675 წელს, — მაშინ სულხანი იქნებოდა 17 წლისა, თუ ცოტა რამ დაწყებული ჰქონდა ამ დროს სულხანს, იმ შემთხვევაში საფუძვლიანს მუშაობას შეუდგებოდა 1676 წლიდან და ამრიგად, ის მოათავებდა ლექსიკონის შედგენას 1706 წელს, თუ იმუშავა ოცდაათი წელიწადიო“ (წინასიტყვ., X—XI).

ეს თარიღი საბას ლექსიკონის შედგენისა იმ პერიოდში ყველაზე ოპტიმალურად იყო ნაჩვენები და მეცნიერებაში გაზიარებულიც იქნა. მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში აღმოჩნდა საბას ლექსიკონის ნუსხა (S 2498), რომელსაც აქვს ზუსტი მინაწერი: „ქორანიკონი იყო ქრისტეს აქათ ჩქპე [1685] გამოჩენისა ამა წიგნისაო“ (ჩვენი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ 227). ხსენებული ნუსხის შესწავლის შედეგად მკვლევარი მ. ქავთარია მივიდა უთუოდ სწორ დასკვნამდის: „საბას ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს კი არ დაუწყია, არამედ 1685 წელს დაუსრულებია პირველი რედაქცია“ (იქვე, გვ. 227—228; შდრ., აქვე, გვ. 52—54).

საბას ლექსიკონის ერისთავისეული გამოცემა ეყრდნობა რამდენიმე ნუსხას და მათი შეჯერების შედეგადაა განხორციელებული. ტექსტის დადგენაზე გაწეულია დიდი შრომა და, შეიძლება ითქვას, კრიტიკულია. მართალია, ბევრი რამ გამომცემელს შეუნიშნავი და გაუთვალისწინებელი დარჩა, შეცდომებიც გაეპარა, მაგრამ მთლიანად თავის

დროისათვის ის სანიმუშო იყო. გამომცემელმა გაასწორა ხელნაწერთა ბევრი შეცდომა, მოაწესრიგა სიმბოლურ ნიშანთა ხმარება და მრავალ განუმარტებლად დატოვებულ სიტყვას, საბას ანდერძისამებრ, განმარტება დაურთო, ბევრი განმარტება დააზუსტა, დააკონკრეტა და ახალი ინფორმაციით შეავსო. რ. ერისთავის მიერ გაწეული შრომა ამ მხრით ფასეულია და ამაღლებს გამოცემის მეცნიერულ დონეს. რედაქტორმა ოთხასამდის სიტყვას დაურთო განმარტება ან დამატებითი ცნობები. მთლიანად კი, როგორც ვიცით, საბას ლექსიკონის ერისთავისეულ გამოცემაში 17.412 სიტყვაა შეტანილი.

ბევრი მეტად საჭირო დამატებიდან, რაც რ. ერისთავმა დაურთო საბას ლექსიკონის გამოცემას, აქ დავიმოწმებ ორიოდე ნიმუშს იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი შრომა გაუწევია რედაქტორს ძეგლის გამართვაზე.

გ ე ო ნ ი, საბას მიხედვით, არის უცხოური სიტყვა და დიდ მდინარეს აღნიშნავს. რ. ერისთავმა ამ განმარტებას დაუმატა: „გ ე ო ნ ი ებრაულად ერქო მდინარეს, რომელიც ევფრატსა და ტიგროსის შუა იყო. გ ე ო ნ ი ებრაულათ მინდორი კეთილმონიჭებული“ (გვ. 56). საბას სიტყვის ხმარებულობის წყარო არ უჩვენებია, ამიტომ იგი შემდეგი პერიოდის ლექსიკონებში აღარ მოხვდა. აღარაა შეტანილი არც ნიკო და არც დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

გ ო ლ გ ო თ ა, საბას განმარტებით, არის „თხემის ადგილი“. რედაქტორმა დაუმატა: „გ ო ლ გ ო თ ა მცირე გორა იერუსალიმის მახლობლათ, სადაც ჰსჯიდნენ დამნაშავეთა სიკვდილით; აქ აცვეს ჯვარს იესო ქრისტე; აქ, მეოთხე საუკუნეში, ააშენეს ეკლესია კოსტანტინე მეფის დედის, ელენეს, ბრძანებითა“ (გვ. 60).

დ ა ფ ქ ვ ა საბას განუმარტებლად დაუტოვებია. რ. ერისთავმა დაუმატა: „დ ა ფ ქ ვ ა იფქლად გადაქცევა რისამე“ (გვ. 79).

ე კ ვ ა ტ ო რ ი განუმარტებლადაა შეტანილი საბას ნაშრომში. რედაქტორი განმარტავს ასე: „ე კ ვ ა ტ ო რ ი ბერძნულია და ჰნიშნავს — ესგუარ, რომელი არს შუაგულ ქუეყნის სარტყელი, ანუ წარმოდგენილი ხაზი მზისა სწორედ გარდასლვისა“ (გვ. 90).

თ ო ფ ი ს წ ა მ ა ლ ი საბასთან განუმარტებელია. რედაქტორი ასე განმარტავს: „თოფის წამალს ჰქვიან დენთი და შეზავდება: გვარჯილისა, გოგირდისა და ნახშირისაგან. ს ა ნ ა დ ი რ ო დენთი შესდგება: 78 წილი გვარჯილისაგან, 12 წილის ნახშირისა და 10 წილის გოგირდისა; ჯ ა რ ი ს ა თ ვ ი ს: 75 წილი გვარჯილა, 12,5 — ნახშირი და 12,5 — გოგირდი; ნ ა ღ მ ი ს ა: 65 წ. გვარჯ., 15 წ. ნახშ. და 20 წ. გოგირდი. ი ნ გ ლ ი ს უ რ ი: 76 წ. გვარჯ., 15 წ. ნახშ. და 9 წ. გოგირ.; შ ვ ე დ უ რ ი: 75 წ. გვარჯ., 9 წ. ნახშ. და 16 წ. გოგირდი და ჩ ი ნ ე თ უ რ ი: 40 წ. გვარჯ., 7,6 წ. ნახშ. და 52,4 — გოგირდი“ (გვ. 121).

რ ე ტ ი ნ ე საბას განმარტებული აქვს ასე: „ხის მანანა, ქველებას არგებს, ტკბილი და მწვანე არის“. ეს განმარტება დაბადების 43,11-ის მიხედვით ზუსტია. რედაქტორმა დაუმატა: „სამკურნალო მალამო მგონია, მცენარეთა და ილეკროთა ფისისაგან შემდგარი, იპოების ქვისნახშიროვანს მადანშიო“ (გვ. 247).

რ ე ტ ი ნ ე || რ ი ტ ი ნ ე, ბერძნული სიტყვა, საბას შემდეგ განმარტა ნიკო ჩუბინაშვილმაც: „სუნნელი ხის წებო (ნახე მკურის კევი) (დაბად. 43,11; იერემ. 51, 8), ритина, масть“. მ კ უ რ ი ს კ ე ვ ი კი, ნ. ჩუბინაშვილის თანახმად არის „ხეთა და მკურთაგან ნაწვეთი სუნნელი, რიტინე (დაბად. 37, 25 და 43, 11), ритина“. დ. ჩუბინაშვილმა საფუძვლად აიღო ნ. ჩუბინაშვილის განმარტება და შეავსო რ. ერისთავის ინფორმაციით: „რ ე ტ ი ნ ე (ბერძნ.), ს. სუნნელი ხის წებო, ритина, смола благовонная. **Ритина** რუსულ ენაში, როგორც ვ. დალის ლექსიკონიდანაა ცნობილი, ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ა) აღნიშნავდა ხის წებოს, „благовонная смолка“ და ბ) ზღვის ძროხას, რომელიც ადრე ალეუტის კუნძულებზე ცხოვრობდა, შემდეგ გადაშენდა (В. Даль, IV, 98).

საბას ლექსიკონის ერისთავისეულმა გამოცემამ დადებითი როლი ითამაშა. იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა საზოგადოებას და დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება. გამოცემას ამასთან თან დაჰყვა სერიოზული ნაკლოვანებები. აქ ნაჩვენები არ ყოფილა ძეგლის ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო გამოცემას, არ გასწორებულა საბას ნაშრომში შეპარული მცდარი განმარტებანი, შენიშვნა-კომენტარი დაერთო არა ყველა სიტყვას, რომელიც ლექსიკონის ნუსხებში განუმარტებლადაა წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთს, გაუსწორებელი დარჩა კორექტურული ცდომილებანი და ა. შ. ამიტომ მაშინდელმა პრესამ რ. ერისთავის ნაღვაწი კრიტიკულად შეაფასა. „დროებაში“, კერძოდ, იმავე წელს (№ 201) გამოქვეყნდა ალ. ჭყონიას (ფსევდონიმი: „მ-ჭ-ხ-ძე“) ვრცელი რეცენზია, რომელშიაც გამოცემის ზოგიერთი ნაკლი სამართლიანად აღინიშნა. რეცენზენტმა სხვა ნაკლთა შორის მიუთითა კორექტურულ შეცდომებზეც. იმავე წელს „დროებაშივე“ (№ 206) დაიბეჭდა რ. ერისთავის პასუხი. ავტორმა. სინანული გამოთქვა მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული შეცდომის გაპარვის გამო, ხოლო რეცენზენტის ძირითადი შენიშვნები არ გაიზიარა. რეცენზიაშიცა და პასუხშიც მრავალი საინტერესო აზრია გამოთქმული ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხებზე და მათ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც მთავარია, ყურადღებას გვაქცევინებს იმ ინტერესზე, რასაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლექსიკოგრაფიის მწვავე საკითხების მიმართ იჩენდნენ მაშინდელი საზოგადოებრიობა და პრესა. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, საბას

„სიტყვის კონა“ კიდევ სამჯერ გამოიცა: ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის (1928 წ.), ს. იორდანიშვილისა (1949 წ.) და ილ. აბულაძის (1965—1966 წწ.) რედაქციით.

რ. ერისთავი, როგორც უკვე ვთქვით, ავტორია ახალი ლექსიკოგრაფიული შრომებისაც. მან პირველმა შეადგინა და ორჯერ გამოსცა (1873 და 1884 წწ.) მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი, რომელმაც ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაში.

პირველი გამოცემა ნაშრომისა დაიბეჭდა 1873 წელს სათაურით: „შემოკლებული ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი“. მასში ათასამდის სიტყვაა შეტანილი, მათ შორის 400-მდის სიტყვა განმარტებულია, 600-მდის სიტყვას კი ახლავს მითითება: მათი განმარტება ვერ შევძელიო. ეს პირველი ქართული ბოტანიკური ლექსიკონია, მანამდის მსგავსი ნაშრომი არ გვქონია. იოანე ბატონიშვილისა და სხვათა მასალა კი საზოგადოებისათვის არა თუ მაშინ, ასზე მეტი წლის წინათ, არამედ დღესაც უცნობია. გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი გვეუბნება: „დღევანდლამდე მე არ (ვ)უწყი, რომ ქართულს ენაზედ ყოფილიყოს გამოცემული მცენარეთა ლექსიკონიო“; „საქართველოში ყოფილა დიდხანს ერთი ფრანგების მღვდელი, პატრი ფილიპე, რომელსაც შეუდგენია ამგვარი ლექსიკონი და რომლიდანაც ჩუბინოვსაც უსარგებლია თჳსი ლექსიკონისათვის და თუმცა ჩუბინოვს ჩაურთავს თავის ლექსიკონში 572-ის მცენარეთა სახელწოდება, მაგრამ თარგმანი კი ყველას არ უძს, მხოლოდ კი შეჰნიშნავს და იტყვის უმეტეს წილზედ ესრეთ: „ხე არის“, „ბალახი არის“... ამგვარადვე საბა ორბელიანი აგვიხსნის“ (წინასიტყვა, გვ. 3, 1873 წ.). ბოლოს, დაასკვნის: „გარდა ამისა იტყვიან, იოანე ბატონიშვილისაგან ამავე საგანზე ნაშრომობას, მაგრამ ვისაც კი მოვკითხე და ვთხოვე შემწეობა, ეთხოვებინათ პატრი ფილიპეს ლექსიკონი ან იოანე ბატონიშვილის ნაშრომი, მივიღე სრული და მტკიცე უარი და დახშული ჩემთჳს საწიგნები კერძოთა პირთა, არ ვიცი, როდის გაიხსნებიანო“ (იქვე, გვ. 3).

ლექსიკონის გამოსვლას მაშინდელი პრესა აღტაცებით შეეგება. იმ დღეებში „გუთნის დედა“ წერდა: „ამ ლექსიკონით მან მოუტანა ნამდვილი სარგებლობა ჩვენს ენასა და მეტადრე ჩვენს მწერლობასო“ (№ 17, გვ. 7); „დროება“ აღნიშნავდა: „ეს შრომა მეტისმეტად სასარგებლოა ჩვენი ერისათვის, როგორც ხალხში გავრცელებული სიტყვების განმარტებით და მწერლობაში შემოღებით, ისე იმ მხრითაც, რომ ის ჩვენს ახალგაზრდობას მაგალითათ გამოადგება. ამნაირათვე შეიძლება სხვებმა ზოოლოგიური, მინერალოგიური და სხვ. დასხვ. ლექსიონები შეადგინონ, სიტყვები შეკრიბონ და მით შემდგომში იმ მშრო-

მელის ღვაწლი გააადვილონ, რომელიც საზოგადო ლექსიკონის შედგენას შეუდგება“ (№ 39, 1873, გვ. 3).

ლექსიკონმა საერთო ფართო გამოძახილი გამოიწვია სპეციალისტთა წრეებში. იგი დაჯილდოებული იყო კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დიდი ვერცხლის მედლით.

1884 წელს განხორციელდა ლექსიკონის მეორე, მნიშვნელოვნად შევსებული გამოცემა. მცენარეთა სამყაროს ახლა დაემატა ცხოველთა და ლითონთა სამყაროს მასალა და დაიბეჭდა იგი სათაურით: „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“. განმარტებულია აქ 1800-მდის სიტყვა.

ნაშრომის ღირსება ისიცაა, რომ მასში პირველადაა აღბეჭდილი კილო-თქმათა მასალა. ლექსიკონს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. პირველ წყაროდაა იგი დამოწმებული დ. ჩუბინაშვილის „საუბრებში“ (1887 წ.), ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (თბ., 1961) და სხვ.

ლექსიკოგრაფიის საკითხებს რაფიელ ერისთავი სხვა ნაშრომებშიაც ეხება. ყველა მათგანზე სიტყვის ჩამოგდება ახლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ აქედან ორი სტატია, უეჭველად, ღირსია საგანგებო განხილვისა.

ერთი ეძღვნება სრული რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისა და მეორე კი — ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნის პრობლემას.

პ ი რ ვ ე ლ პრობლემასთან დაკავშირებით ავტორმა 1888 წელს „ივერიაში“ (№ 144) გამოაქვეყნა სტატია: „აზრი სრულის რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე“. ავტორი აქ წინადადებას იძლეოდა, რათა წინასწარ შედგენილიყო განსამარტავ რუსულ სიტყვათა სია და დაგზავნოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მცოდნე პირებს, რომ ზედ მიეწერათ თარგმანი თავიანთი კუთხური შესატყვისებით. ამით, ავტორის ჩანაფიქრით, შედგებოდა სრული რუსულ-ქართული ლექსიკონიცა და შეგროვდებოდა კილო-თქმათა უცნობი ლექსიკური მასალაც. ლექსიკონის შედგენის ანალოგიური ხერხი პირველად სცადა ცნობილმა კავკასიის მცოდნემ, პეტრე უსლარმაც, მაგრამ მას ეფექტური შედეგი არ მოჰყოლია. ეგების ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ რ. ერისთავის წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

მ ე ო რ ე პრობლემასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ დიდი ეროვნული მოღვაწის ძიებანი ტერმინოლოგიის სფეროში. ქართულ ტერმინოლოგიაზე იგი ძალიან ბევრს ფიქრობდა და, ჩანს, აქტიურადაც მონაწილეობდა ყველა ღონისძიებასა და წამოწყებაში, რაც კი ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნას ეძღვნებოდა. მას ეკუთვნის საინტერესო ცდები, კერძოდ, მათემატიკის ტერმინოლოგიის გაუმჯობესების დარგში. ამ საკითხს მიეძღვნა ავტორის სტატია, რომელიც 1883

წელს გამოქვეყნდა „დროებაში“ (№ 251). ის მოითხოვდა აღგვედგინა და დაგვემკვიდრებინა ძველი ქართული ტერმინები: „უ შ ქ ა რ ი (მილიონი), უ შ ტ ი (ათი მილიონი), უ შ ტ ი ს უ შ ტ ი (ასი მილიონი), ბ ე ვ რ ი (ათი ათასი), ბ ე ვ რ ი ს ბ ე ვ რ ი (ასი ათასი), მ ე ყ ი (ტერციის 1/216.000), აგრეთვე შესაბამისი რუსული ცნებების შესატყვისად გვეხმარა: რ ი ც ხ ვ ი მ კ ვ რ ი ვ ი (რუსული число целое), რ ი ც ხ ვ ნ ი წ ო დ ე ბ ი თ ნ ი (რუს. числа именные), შ ე კ ე ც ა (რუს. сложение), შ ე ს ა კ ე ც ნ ი რ ი ც ხ ვ ნ ი (რუს. слагаемые числа), ა ღ მ ა ტ ე ბ ა (რუს. степень), მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი ა ღ მ ა ტ ე ბ ი ს ა (რუს. показатель степени), უ ღ ე ლ ი (რუს. пáра) და მისთ. („დროება“, 1883 წ., № 251). როგორც ირკვევა, ეგ ტერმინები ერთხანს ხმარებაშიაც ყოფილა. დღეს კი ისინი მოძველებულია, მაგრამ ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისათვის მათი გახსენება აუცილებლად საჭიროა.

რაფიელ ერისთავმა ღრმა კვალი დაატყო ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ვნახეთ, ფრიად მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ეროვნულ ლექსიკოგრაფიაშიც.

1975 წ.

ალ. პუშკინის ზღაპარი ქართულ ფოლკლორში

მებადურისა და ოქროს თევზის ციკლის ხალხური მოთხრობები, რამდენიმე ვარიანტად რომაა დამოწმებული ქართულ ზღაპრულ ეპოსში, ჩვენს ყურადღებას ორი მხრით იპყრობენ. ჯერ ერთი, მათი მეტი ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და პარალელები არა აქვთ სხვა ხალხთა ეპოსში; მეორე მხრით, ზოგი მათგანი უცხოური წარმოშობისაა და უშუალოდ რუსული წყაროებიდან მომდინარეობს. ამ უკანასკნელი რიგის ზღაპარია, მაგალითად, „მებადური და ოქროს თევზი“, რომელიც ტრადიციულ სიუჟეტურ სქემას ემყარება და შინაარსითა და ეპიკური აქსესუარით ალ. პუშკინის განთქმულ „Сказка о рыбаке и рыбке“-ს უკავშირდება.

ჩვენც ამჯერად სწორედ მასზე შევჩერდებით.

ქართული ზღაპრების ძველ კრებულებში გვხვდება ხსენებული ხალხური მოთხრობის ლექსად გადმოცემული ვარიანტები. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს კ. ო ც ხ ა ნ ე ლ ი ს (კ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ი ს) კრებულში გამოქვეყნებული „მებადური და ოქროს თევზი“[1] და ჩვენს კრებულში შეტანილი „ბერიკაცი, თებზი და დედა-

[1] კ. ო ც ხ ა ნ ე ლ ი, არაკები და ზღაპრები, ახალ-სენაკი, 1895, გვ. 3—21.

ბერი"[1]. ორივე მათგანი ალ. პუშკინის ცნობილი ზღაპრის ადეკვატია, შესრულებული ხალხური რვამარცვლოვანი შაირით. მსგავსი სიუჟეტის ზღაპრის სხვა პოეტურსა თუ პროზაულ ვარიანტს ქართული ეპოსი, რამდენადაც ვიცით, არ იცნობს. ის არ გვხვდება არც პ. უმიკაშვილის მასალებში, არც ლ. აღნიაშვილისა და თ. რაზიკაშვილის და არც სხვა კრებულებში. გამოქვეყნებული მხოლოდ ეს ორი ტექსტი ჩანს.

არაა ცნობილი, თუ როდის ან სადაა ჩაწერილი კ. ოცხანელის ვარიანტი. არც ის ვიცით, ტექსტი უშუალოდ ხალხშია ჩაწერილი, თუ პირადად კრებულის შემდგენლის მიერაა გადმოღებული პუშკინის თხზულებებიდან. მაგრამ, რადგან ზღაპარი 1895 წელსაა გამოქვეყნებული, შეიძლება ვივარაუდოთ, ის ჩაწერილია (ან: გადმოღებულია!) XIX საუკუნის 80—90-იან წლებში. მოცულობით ტექსტი ვრცელია: შეიცავს 276 სტრიქონს (ალ. პუშკინის ორიგინალში კი 206 სტრიქონია!). რაც შეეხება მეორე ვარიანტს, პირიქით, პასპორტირებულია. ის ჩაწერილია 1936 წლის 19 ივლისს 65 წლის სიმონ მგელიძისაგან სოფ. ბახვში (გურია) და 212 სტრიქონს შეიცავს.

ორივე ვარიანტი თითქმის ერთნაირად იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის ძირითად სიუჟეტურ მოტივებს, მაგრამ ერთურთისაგან დიდად განსხვავდებიან. არც პოეტური ფორმით, რითმებითა და ინტონაციებით, არც დასაწყის-დასასრულითა და ცალკე დეტალებით ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან. კ. ოცხანელის ვარიანტი უფრო თავისებური, ინდივიდურია, ვიდრე მეორე. ემჩნევა მას გარეგანი ინტერპოლაცია, ჩამწერ-რედაქტორის შალაშინი; აკლია ხალხური უშუალობა; რამდენადმე სტილიზებულია; მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ზღვის პეიზაჟის აღწერას, ჩართული აქვს ქართული ანდაზები. ასეთი დეტალები არ იცის ალ. პუშკინის ორიგინალმა. მეორე ვარიანტიც ანალოგიურად იმოწმებს ცნობილ მოტივებს, მაგრამ მათ უფრო კოლორიტულ ელფერს აძლევს; იყენებს მოსწრებულ ადგილობრივ გამოთქმებს, შენარჩუნებული აქვს ზღაპრული ეპოსის ტრადიციული დასაწყის-დასასრული, უფრო უშუალო და ნაკლებ სტილიზებულია. შევადაროთ ისინი ერთმანეთს. პირველ (ოცხანელის) ვარიანტს პირობით ვუწოდოთ A, მეორეს (ჩვენსას) — B.

A ვარიანტი:

1. დასაწყისი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს:

ზღვის პირს იდგა ბერიკაცი,
ცოლი ჰყავდა დედაბერი,
ქოხი უდგათ ძველისძველი,
ფარღალალა ჰქონდა ჭერი.

B ვარიანტი:

1. დასაწყისი ტრადიციულია:

ერთხელ ძველათ, ერ სოფელში
იყო ერთი ბერიკაცი,
მასვე ხავდა ამხანაგათ
მისებრ ბერი დედაკაცი.

[1] გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 140—145.

მთელი შესავალი ამ ერთი ტაეპით ამოიწურება. აქ არაფერია ნათქვამი არც მოხუცთა სიღარიბესა და სხვა მოსაქმეობაზე, არც გატეხილ ვარცლზე.

2. ქმარი იყო მებადური,
თევზი მისი დასაჭერი,
მით სცხოვრობდნენ საბრალონი,
იგი იყო მათი ჯერი,
ოცდაცამეტ წელს იქ იდგენ,
ატარებდნენ მყუდროთ დროსა,
დედაბერი ძაფს ართავდა,
რომ მით ტანი შეემოსა.
ბერიკაცი ბადეს ქსოვდა,
რომ თევზი არ მოეკლოსა,
და თუ თევზს ვერ იშოვნიდნენ,
მშადსა სჭამდნენ, ჰხვრეტდნენ დოსა.

3. ერთ დღეს ჩვენმა მებადურმა
ზღვაში ბადე გადისროლა...

პირველი და მეორე გადასროლის დროს ვერაფერი დაიჭირა. მესამედ რომ გადაისროლა ბადე,

გამოსჭია, ოქროს თევზმა
მოაყუნა ყვითლად შუქი.

4. თევზი მებადურს კაცის ენით გამოელაპარაკა და გაშვება სთხოვა:

ოქროს თევზი ესაუბრა,
როგორც კაცი, მებადურსა,
შეევედრა: გამიშვიო,
მოგცემ, რასაც მთხოვ და გსურსა...

მებადურმა თევზის თხოვნა შეიწყნარა და გაუშვა:

შეაცურა მორიდებით,
ზღვისა მისცა ისევ ზღვასა.
გზა მშვიდობის, ოქროს თევზო!
მიაძახა იმან მასა.

5. მებადური შინ ხელცარიელი დაბრუნდა და ყველაფერი ცოლს უამბო:

მებადურს რომ მოუსმინა,
ცოლმა მიჰყო ლანძღვას პირი:
ძალზე იყვნენ ღარიბები,
არ გააჩნდათ არასფერი,
მათ სადგომ სახს შიადგენდა
უბრალო რამ ფაცხა ძველი.
თანაც ქონდათ მათ საპურჭლეთ
ვატეხილი ვარცხლი ძველი.

2. დედაკაცი უმფროსობდა
და ის იყო ბძანებელი.
ბერიკაცი თებს იჭერდა,
სარჩო იყო მათი მთელი.

აქ დასახელებული არაა მებადურისა და მისი ცოლის სხვა მოსაქმეობა, არაა მითითებული არც მათი ერთად ცხოვრების წლები, რასაც იცნობს, როგორც ალ. პუშკინის ორიგინალი, ისე A რედაქციაც.

3. ერთხელ თურმე ბერიკაცმა
გადისროლა ბადე წყალში,
თებზი მოხვა იმ ბადეში
საურცხოო, მეტათ კარგი.

აქ ბერიკაცმა ბადე მხოლოდ ერთხელ გადაისროლა წყალში და მაშინვე დაიჭირა უცხო თევზი. მითითებული არაა, რომ ეს ოქროს თევზი იყო.

4. თევზმა მებადურს გაშვება სთხოვა:

თებზმა უთხრა იმ ბერიკაც:
გამიშვიო ისევ წყალჩი,
ჩემი შეჭმით ვერ დარჩები
გემოვნებით ცხოვრებაში...
ამ დროს თურმე ბერიკაცმა
ქე გუუშვა თებზი წყალჩი,
შინ დაბრუნდა ცარიელი
და მიეიდა წპილი სახში.

5. შინ უთევზოდ გამობრუნებულ მებადურს

დედაკაცმა მიაძახა:
რა უყავი თებზი, კაცო,
შინ რომ ცარიელი მოდა,

შე სულელო და ჩერჩეტო,
ახლა კი ხარ მართლა ვირი!..
თევზი სახსარს თუ გაძლევდა,
რათ ივიწყე შენი პირი!
ერთს გობს მაინც გამოსთხოვდი,
არ უვარგა ჩვენსას ძირი...

6. მებადურმა კისრის ქექით
გამოსწია ზღვისაკენა,
ზღვა აღელდა, შექნა ფრთინა,
ტალღები არ დააყენა;
გამოცხადდა ოქროს თევზი,
ბერკაცს თავი მოაჩვენა...

აქ არაფერია ნათქვამი გობის (ვარცლის) გამთელებაზე, მებადური თევზს პირდაპირ გადასცემს ცოლის თხოვნას აზნაურის ღირსების ბოძებაზე.

7. შეწუხებულმა მებადურმა თევზს უთხრა:

ი, წყეულმა დედაბერმა
უფრო მეტად გამამწარა...
აზნაურის ღირსებას მთხოვს;
გამომაგდო შენსკენ ჩქარა...
— ნურას სწუხარ, საცოდაო! —
უთხრა თევზმა მებადურსა,
მაგაშიაც შეგეწევი,
მე გაგიწევ სამსახურსა...

შეუსრულა თევზმა თხოვნა. დედაკაცი აზნაური გახდა.

8. დედაბერმა ახლა დედოფლობა მოინდომა:

გასწი ახლავ ოქროს თევზთან, —
შეუძახა მებადურსა, —
მოახსენე, აზნაურად
სწორედ ყოფნა აღარ მსურსა.
დედოფლობა მოვინდომე,
თუ კი ჩემთვის არა ჰშურსა...

მებადური განაცვიფრა ცოლის ასეთმა კადნიერებამ:

— რამ შეგშალა, დედაკაცო,
ვისა ჰხედავ შენს ამყოლსა!..
მიხვრა-მოხვრა შენ არ იცი,
თავს გაიხდი ჩასაქოლსა.

რაღა მივაჭამო ჭაცრ...
ახლა უთხრა დედაკაცმა:
ეს თუ არის სიმართლევო,
წაი, ვარცხლი გამიმთელოს,
გამოსცადე, ეს ნახევო.

6. ბერიკაცი წაჩანჩალდა
და მივიდა იმ წყლის პირში,
თებზი იმ წამს გამოცხადდა,
მასთან გაჩთა იმავ წამში...
ბერმა უთხრა: შინ მიგდია
გატეხილი ერთი ვარცხლი,
გთხოვ, რომ იგი გამიმთელო,
თუ ხარ მჭნელი, რაც გაქ ნათქმი.

თევზმა ეს თხოვნა მაშინვე შეუსრულა.

7. დედაბრის მეორე სურვილია დიდი სახლის აგება. აზნაურობის მოტივი აქ სულ არაა.

ამ დროს უთხრა დედაკაცმა:
ჩვენ გვჭირია სახლი დიდი,
ამასაც კი გაგიკეთებს,
გეიქეცი, თებზთან მიდი.
უველაფერი გაგიკეთოს,
ეზოს ქონდეს სივრცე დიდი...

თევზმა ნატვრა აუსრულა:

ბერიკაცი შინ დაბრუნდა,
სასახლე დახთა ნეფისა,
გულჩი ასთე განიძრახა:
რა ვნახე, ეს რა მეღრისა.

8. მებადურმა ცოლს უთხრა: თევზის ეს წყალობა შევიფეროთ და ბედნიერად ვიცხოვროთო, მაგრამ დედაკაცმა შეუტია,

ეს რა ყოფილა განავო,
მე მინდა ნეფედ რომ გავხთე,
აგი ნაკლებათ კმარავო.
დედუფალი უნდა გავხთე,
ქვეყნისა ბძანებელიო,
მე უნდა მემონებოდეს
ამ ქვეყნათ მთელი ერიო,
ჯარი და მისი გამგენი
და უველა მინისტერიო.
ამ დროს თურმე ბერიკაცმა

ვისთან მგზავნი, რაებს უთელი,
ვისა ჰხედავ შენსა ტოლსა!..

გახელებულმა დედაბერმა ძალად გამოაგდო სახლიდან ქმარი. თევზმა შეუსრულა ეს სურვილიც.

9. შემდეგ, დედაბერმა ზღვათა მეფობა მოინდომა. მებადური თევზთან გაგზავნა და მრისხანედ დააბარა:

დედოფლობა არ მინდა-თქო,
არ ჰქონია ამას ხვავი,
მინდა ვიყო ზღვათა მეფე,
მქონდეს სარჩო უთვალავი,
ოქროს თევზიც გვერდით მახლდეს,
გავაგზავნო, საცა მინდა...
მებადური კრინტს ვერა სძრავს,
ხმა სრულებით გაიკმინდა...

ბერიკაცი ისევ მივიდა თევზთან და კრძალვით მოახსენა, რომ დედაბერმაო

დედოფლობა დაგვიწუნა,
გამითქვიფა ბეჩავს თავი,
ზღვის მეფობა მოინდომა,
მასთან სარჩო უთვალავი.
თქვენი ხლებაც მოისურვა,
გასაგზავნათ როგორც ნავი;
და ეს იყო, წამოვედი,
მოვიტანე ეს ამბავი...
ოქროს თევზმა მოუსმინა,
ყველაფერი მებადურსა,
მაგრამ საწყალს ხმა არ გასცა
საბრალოს და უბედურსა.
გადუქნია ბოლო ზღვასა,
შეუცურდა თვის სადგურსა....
მარტო დარჩა ბერიკაცი
უადგილო უდაბურსა!..
დიდ ხანს იჯდა პასუხისთვის,
ვერას გახდა საცოდავი,
ადგა და შინ წამოვიდა,
ძირს ჩაღუნა მწარედ თავი...
შინ დაუხვდა ძველი ქოხი,
გობი, ბადე და ნემსკავი,
დერეფანში — დედაბერი,
მატყლი მისგან დასართავი!..

თავს შამეიკრა ხელიო,
რა იქნა, რომ ვერ გავაძღე
ეს ჩემი დედაბერიო...

თევზმა შეუსრულა ეს სურვილიც.

9. ბოლოს, დედაბერმა დედოფლობა აღარ ისურვა და თევზის მსახურად მოყვანა პრძანა. დედაბერმა,

ბერიკაც რომ ოვალი მოქრა,
იგი იმ წამს დეიბარა,
პრისხანებით გადახედა,
იგი არცკი შეიბრალა.
უბრძანა, თუ ამქე წამში
გეიქეცი ისევ წყალში,
აქ მომგვარე იგი თებზი,
მემსახუროს მაიდანში.
თორემ წყლეფსა სულ დავაშროფ,
ზღვაში გავხთი მიწას ტევრათ,
ჯურღმულეფში ცეხს დავასთეფ
ჯოჯოხეთის ალის ფერათ.
წყლის ნადირეფს ყველას დავხოც,
ამოვბუგაე ყველას თელათ,
ამის ძალა რომ კი შემწევს,
ეს იცოდეს უეჭველათ...

თვალცრემლიანი და გულნატკენი ბერიკაცი თევზს ეახლა და დედაბრის ბრძანება გადასცა.

მაშინ თებსა გიეცინა,
მეიქნია ბოლო წყალში,
რაზე შიშოფ შენ მაგისთვის,
ჩავარდნილხარ ასთე ჯავრში...
აწი წაი, სახში ნახე,
ყველაფერი იქ დაქხთება;
ჩემთან ნუღარ დაბრუნდები,
ქე წაგერთეა ეს უფლება.
ბერიკაცი შინ დაბრუნდა,
გამქრალიყო ყველაფერი,
ჯოხი დახთა მისი ძველი
და მტირალი მალაზონი.
მისი ვარცხლი წინ უგდია,
გატეხილი ისევ ძველი.
ბერიკაცმა ნიშნის გებით
მუუთითა ვარცხლზე ხელი,
მაგი არის შენი ხვედრი,
სხვა არ გინდა არაფერი!..

ამ ვრცელი შედარებით ნათელი ხდება, რომ A და B ერთი ამბის ორი ვარიანტია. მოტივებითაც, მხატვრული სამკაულებითაც, მათ შორის სხვაობაა. თითოეული ცალ-ცალკე ასე თუ ისე იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის მთავარ მოტივებს, მაგრამ მათ კვალდაკვალ არ მიჰყვება. პუშკინის ტექსტით, მაგალითად, დედაბერი თანდათანობით მოითხოვს: 1. ვარცლის გამთელებას, 2. ქოხს, 3. ტახტის აზნაურობას, 4. დედოფლობასა და 5. ზღვის მპყრობელობას. ამ სქემას ოდნავი სხვაობით იცავს A ვარიანტი; აქაც დედაბერი მოითხოვს: 1. გობის (ვარცლის) გამთელებას, 2. აზნაურობას, 3. დედოფლობას, 4. ზღვათა მეფობას. აკლია მხოლოდ ქოხის მოტივი. მაგრამ B ვარიანტი სქემას სულ თავისებურად წარმოგვიდგენს. დედაბერი მოითხოვს: 1. ვარცლის გამთელებას, 2. დიდ სახლს, 3. დედოფლობას, 4. თევზის მსახურად მოყვანას. აკლია ტახტის აზნაურობის მოტივი. თანაც ეს თევზი ოქროსი კი არ არის, „საურცხოვო მეტათ კარგი“ თევზია.

ამრიგად, მებადურისა და ოქროს თევზის ქართული რედაქცია მხოლოდ ძირითადად ემთხვევა ალ. პუშკინის პოეტურ ტექსტს, მაგრამ სიტყვა-სიტყვით მას არ მიჰყვება. A რედაქცია პუშკინის ტექსტის გადმოკეთებული თარგმანი ჩანს, B რედაქცია კი მომდინარეობს ამ სიუჟეტის რომელიღაც პროზაული პირიდან, რაც გავრცელებული ყოფილა რუს და ქართველ ხალხებში და აქედან გაუგონია ჩვენს მთქმელ-იმპროვიზატორს.

საიდან უნდა გაჩენილიყო ქართულ ფოლკლორში მებადურისა და ოქროს თევზის მოტივები? საიდან მომდინარეობს სიუჟეტის A და B რედაქცია? არის თუ არა მათი პირველი უშუალო წყარო ალ. პუშკინის ცნობილი ზღაპარი?

ალ. პუშკინის ზღაპარს („Сказка о рыбаке и рыбке“) მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მისი სიუჟეტი, როგორც სხვა მრავალი ზღაპარი და საგმირო ამბავი, დიდ მგოსანს არინა როდიონოვნასაგან (ძიძისაგან) კი არ გაუგონია, არამედ სულ სხვა წყაროებიდან შეუთვისებია. დამახასიათებელია, რომ რუსული ზღაპრული ეპოსი პუშკინამდის ამ სიუჟეტს სულაც არ იცნობდა, არცაა დამოწმებული პუშკინამდელ კრებულებში. ანალოგიური მოტივების შემცველი ხალხური მოთხრობები რუსულ ეპოსში მხოლოდ 30-იანი წლების შემდეგ ჩნდება. პირველად გვხვდება ი. ხუდიაკოვის კრებულში 1860 წელს, ხოლო უფრო მოგვიანებით, 1864 წელს — ა. აფანასიევის „რუსულ ხალხურ ზღაპრებშიაც“. ი. ხუდიაკოვის კრებულიდან უნდა

დავასახელოთ „Заколдованное дерево липка“[1], რომლის მიხედვით დედაბრის ყველა სურვილს ასრულებს ხე. ბერიკაცმა ერთი ხის მოჭრა განიზრახა. ხემ ადამიანის ენით უთხრა: ნუ მომჭრი და ბედსა გწევო. ხემ მას დიდი სიმდიდრე შესძინა; გახადა ჯერ მამასახლისად, შემდეგ — აზნაურად, მოხელედ, გუბერნატორად. ბოლოს, ცოლმა მეფედ გახდომაც რომ მოინდომა, ხემ ცოლ-ქმარი დათვებად აქცია. ასე გაჩნდნენ თითქოს დათვები ქვეყანაზე. ამ ზღაპართან ახლოს დგას რუშინული ხალხური მოთხრობა, რომლის პერსონაჟებიდან ქმარი დურგალია, ცოლი — დიასახლისი. ქმარი ტყეში ხეს ჭრიდა. ხემ სთხოვა: ნუ მომჭრი და გამოგადგებიო. მისცა დიდი სიმდიდრე, მაგრამ ცოლი ამით არ დაკმაყოფილდა. ცოლის მოთხოვნით, ხემ თანდათანობით ქმარი ჯერ აქცია მთავარ მოსამართლედ, შემდეგ იმპერატორის მრჩეველად, იმპერატორად; ცოლი კი — დედოფლად. ბოლოს, ქალმა ქმრის კაცღმერთად, ხოლო თავის ქალღმერთად გადაქცევა რომ მოითხოვა, ხემ ის დასწყევლა და გუგულად აქცია.

ა. ა ფ ა ნ ა ს ი ე ვ ი ს კრებულში შეტანილი „Золотая рыбка“[2] კი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის სიუჟეტურ მოტივებს: დედაბერი თანდათანობით მოითხოვს: 1. პურს, 2. ვარცლის გამთელებას, 3. ახალ ქოხს, 4. ვოევოდობას, 5. დედოფლობას, 6. ზღვის მპყრობელობას. აქ მეტია მხოლოდ პურის მოტივი. ჩანს, აქედან გავრცელებულა ამ სიუჟეტის სხვა რუსული ვარიანტებიც[3].

ალ. პუშკინის ზღაპარსა და მის წყაროებზე სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. ამას ნიადაგი შეუქმნა მოთხრობის დიდმა პოპულარობამ და ინტერნაციონალურმა გავრცელებულობამ.

მებადურისა და ოქროს თევზის მოტივებმა ეროვნული ფარგლები არ იციან და განეკუთვნებიან საყოველთაოდ გავრცელებულ ზღაპრულ

---

[1] И. Худяков, Великорусские сказки, I, М., 1860, № 37.

[2] А. Н. Афанасьев, Народные русские сказки, под, ред. М. К. Азадовского, Н. П. Андреева, Ю. М. Соколова, 1, М., 1936, 117—119; ან იგივე: Русские народные сказки, М., 1952, 314—318.

[3] Н. А. Иваницкий, Материалы по этнографии Вологодской губернии, М., 1890, 16; Записки Красноярского подъотдела Вост.-Сиб. Отдела РГО по этнограф., т. 1, вып. 1, Красноярск, 1902, 30; А. М. Смирнов, Сборник великорусских сказок Архива Русск. Геогр. общ., вып. I—II, Петроград, 1917, 125, 149, 363; Н. В. Карнаухова, Сказки и предания Северного Края, М.-Л., 1934, 210—211; А. Смирнов, Систематический указатель тем и вариантов русских народных сказок. Изв. Отд. русск. яз. и слов. АН, XVII, вып. III., СПб., 1912, 131; Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе Аарне, Л., 1929, 555.

სიუჟეტთა რიგს[1]. მათ სიუჟეტურ ვარიანტებს ვპოულობთ გერმანულ, ჰოლანდიურ, შვედურ, დანიურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ, ფრანგულ, იტალიურ, რუმინულ, ხორვატიულ, პოლონურ, ჩეხურ, უკრაინულ, ბელორუსულ, ლიტვურ, ლატვიურ, ესტონურ, ფინურ, ებრაულ, თათრულ, ჩინურ, ინდურ და სხვა ფოლკლორში. ბედიეს დამოწმებული აქვს ამ სიუჟეტის 22 ვარიანტი აღმოსავლეთ აზიისა და დასავლეთ ევროპის ხალხთა ეპოსებიდან. ზოგ ვარიანტში თევზის მაგივრად გვხვდება წმ. პეტრე და პავლე, ღვთაება ფო (ჩინურში), მერკური, ალაჰი, ბედი, ხე და სხვ. პანჩატანტრაში შეტანილი ვარიანტით, ცოლის რჩევით ერთმა კაცმა ორთავიანად და ოთხხელიანად გადაქცევა ინატრა. როდესაც ნატვრა აუსრულდა, ის თანასოფლელებმა მავნე სულად მიიჩნიეს და იქვე აკუწეს. გ. პოლივკამ პუშკინის ზღაპრის სიუჟეტური ვარიანტები იპოვნა რუსულ, გერმანულ, შვედურ, ხორვატიულ, თათრულ, მორავიულ, ელზასურ ხალხურ მოთხრობებში, რომლებშიაც თევზის მაგივრად დედაბრის ახირებული სურვილის შემსრულებლად გვევლინებიან ხან ხე, ხან მამალი, მშვენიერი ჩიტი, წმ. პეტრე და ა. შ. ამასთან მკვლევარმა ვერ შეძლო, დაედგინა ხსენებული სიუჟეტის წარმოშობის ადგილი და დრო[2]. მებადურისა და ოქროს თევზის სიუჟეტის შორეულ ვარიანტებად გ. პოლივკამ ისეთი ხალხური მოთხრობებიც კი მიიჩნია, რომელთა მიხედვით ღარიბი კაცი მიდის ზეცაში, წმ. პეტრეს სასწაულთმოქმედ ნიეთებს გამოართმევს და საოცარ წარმატებებს მიაღწევს[3].

რა წყაროებით სარგებლობდა ალ. პუშკინი თავისი „Сказка о рыбаке и рыбке"-ს დაწერისას?

ამ ზღაპრის პირველჩანაწერები დიდი მგოსნის არქივში არ შენახულა. ვინაიდან არინა როდიონოვნასაგან ჩაწერილი ზღაპრების ნიმუშებში ჩვენთვის საინტერესო ხალხური მოთხრობა არ მოიპოვება, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს ზღაპარი მას ძიძიდან არ გაუგონია.

ალ. პუშკინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან და კარგადაც იცნობდა მის როგორც იმ ხანად გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნიმუშებს. პოეტს ახლო, შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა რუსული კულტურის იმდროინდელ მოღვაწეებთან, მწერლებთან, ეთნოგრაფოსებთან, ფოლკლორისტებ-

---

[1] J. Bolte und G. Polivka, Anmerkungen zu den Kinder— und Hausmerchen der Brüder Grimm, I, Leipzig, 1913, 19; М. Г. Халанский, Сказки, «Русская литература», под. ред. С. В. Лящковa, А. К. Бороздина, Д. Н. Овсянико-Куликовского, т. I, вып. II, М., 1908, 147.

[2] G. Polivka, Ribář a zlate ribke, „Narodopisny sbornik", I, 1897, 49—63.

[3] იქვე.

თან, ლექსიკოგრაფოსებთან; პირადად იცნობდა რუსული ხალხური ზღაპარ-თქმულებების ცალკე მთქმელებს, გულმოდგინედ ეცნობოდა უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურას და ამიტომ მას შეეძლო ჩვენთვის საინტერესო ზღაპრის სიუჟეტი სხვა წყაროებით გაეცნო. მართებულია ვ. მაიკოვის დასკვნა: არინა როდიონოვნას ნაამბობი არ ყოფილა პუშკინის ზღაპრების ერთადერთი წყარო; იგი ხალხური ეპოსის მასალებს სხვა გზითაც კრებდაო[1]. ახლა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „Сказка о рыбаке и рыбке"-ს სიუჟეტი დიდი მგოსნისათვის უამბნია მის მეგობარს, გამოჩენილ რუს ლექსიკოგრაფოსსა და მწერალს ვლ. დალს. ამ აზრს ცხადყოფს მკვლევართა და ორივე მწერალთან — პუშკინთან და დალთან — დაახლოებულ პირთა მოგონებებში გამოქვეყნებული მასალები[2].

ცნობილია, რომ ალ. პუშკინი (1799—1837) და ვლ. დალი (1801—1872) გულითადი მეგობრები იყვნენ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად მოგზაურობდნენ რუსეთის პროვინციებში, საუბრობდნენ რუსული ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპოსის, ენის საკითხებზე. მეგობარი დიდ მგოსანს უამბობდა ხალხური ზღაპრების, თქმულებებისა და ლექსების ნიმუშებს. ვარაუდობენ, თითქოს ეს ზღაპარი პუშკინისათვის დალს უამბნია 1833 წლის 18—23 სექტემბერს, როდესაც ისინი ერთად მოგზაურობდნენ ორენბურგს.

ალ. პუშკინისა და ვლ. დალის მეგობრობა კიდევ მეტად განმტკიცა და უფრო ღრმა შინაარსიანი გახადა დალის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრების მცირე კრებულმა, რომელიც გამოიცა 1832 წელს ლუგანსკელი კაზაკის ფსევდონიმით[3]. დალის ამ წიგნმა გულით გაახარა რუსეთის მთელი მაშინდელი პროგრესიული საზოგადოებრიობა და, მათ შორის, ალ. პუშკინი, რომელიც განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეეგება მეგობრის წიგნის გამოცემას. ლ. მაიკოვი ამის შესახებ თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „Появление этой книги и подало повод к сближению Даля с Пушкиным на почве дела, которых их обоих занимало"[4].

დალის ზღაპრების წიგნზე ანალოგიური აზრია გადმოცემული ვ. მელნიკოვის მოგონებებშიაც: „Оне встречены были с восторгом всеми лучшими писателями того времени; особенно

---

[1] В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ея источники, Ж М Н П, V, СПб., 1892, 157.

[2] П. И. Мельников, Воспоминания о Дале, «Русский Вестник», III, 1873, 298—299; Л. Майков, Пушкин и Даль, «Русский Вестник», X, 1890, 4; В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ея источники, Ж М Н П, V, СПб., 1892, 156—157.

[3] Русские сказки, Первый пяток, Казака Луганского, М., 1832.

[4] Л. Майков, Пушкин и Даль, «Русский Вестник», X, 1890, 4.

Пушкин был от них в восхищении. Под влиянием первого пятка сказок Казака Луганского, он написал лучшую свою сказку о рыбаке и золотой рыбке, и подарил Владимиру Ивановичу ее рукописи с надписью: «Твоя от твоих! Сказочнику Казаку Луганскому, сказочник Александр Пушкин»[1].

დალის ზღაპრების ხსენებულმა კრებულმა მთელი იმდროინდელი რუსული პროგრესული ინტელიგენციის მოწონება კი დაიმსახურა, მაგრამ პირადად მის ავტორს, სახელისა და დიდების ნაცვლად, მძიმე განსაცდელი არგუნა. ცარიზმის ერთგულმა მოხელეებმა წიგნი აკრძალეს, ხოლო მისი ავტორი სასტიკად დასაჯეს. ამიტომ ათიოდე წლის შემდეგ ამ წიგნის ტრაგიკული ბედის შესახებ დალი, სხვათა შორის, ვულისტკივილით წერდა, რომ სწორედ ამისთვის „Меня и похвалили, и побранили писателя, погладили по голове и попросили садиться, между тем как другие просили его ходить и жаловать только на задный двор»[2].

ამრიგად, პუშკინის ზღაპრის პირველ წყაროს წარმოადგენს დალის მიერ ნაამბობი ხალხური მოთხრობა.

სწორედ ამას გამოუწვევია ალ. პუშკინის იგავური წარწერა თავისი ზღაპრების იმ პირზე, რომელიც ვლ. დალისადმი მიუძღვნია: „Твоя от твоих! Сказочнику Казаку Луганскому, Сказочник Александр Пушкин!" ე. ი. შენგან ნაამბობ სიუჟეტს, ლექსად გარდაკაზმულად შენვე მოგიძღვნი, გიბრუნებო! სხვაგვარად, ჩვენი აზრით, ვერ გავიგებთ ამ ქარაგმული წარწერის შინაარსს.

დალი, უნდა ვიფიქროთ, თავის დიდ მეგობარს უამბობდა რუსეთის რომელიმე პროვინციაში გაგონილ ხალხურ ზღაპარს და არა უცხოური წარმოშობის მოთხრობას. დალს თავდაპირველად არც სცოდნია ამ სიუჟეტის ზღაპრების ვარიანტების არსებობა უცხოურ ენებზე. ეს იქნებ არც პუშკინისათვის იყო ცნობილი. პუშკინს თავისი თხზულების საფუძვლად აუღია სწორედ დალის მიერ ნაამბობი რუსული ხალხური ზღაპრის რომელიღაც უცნობი ვარიანტი და არა უცხოური წარმოშობის სიუჟეტი. ამიტომ ანაქრონიზმად უნდა იქნეს მიჩნეული შეხედულება, რომ თითქოს პუშკინის ზღაპრის წყარო არა რუსული ხალხური მოთხრობაა, არამედ პომერანული „მეთევზისა და მისი ცოლის ზღაპარი", რომლის ერთი ვარიანტი შეტანილია ძმ. გრიმების კრებულში, ხოლო მეორე „ოქროს თევზის" სახელწოდებით გვხვდება შვედურ ეპოსში. მართალია, გრიმების კრებულში შეტანილი ვარიანტი

---

[1] П. И. Мельников, Воспоминания о Дале, «Русский Вестник», III, 1873, 298—299.

[2] В. Даль, Полтора слова о нынешнем русском языке, «Москвитянин», II, 1842, 549.

პირველად გამოქვეყნდა ბერლინში 1812 წელს, ხოლო მისი პომერანულ დიალექტზე ჩაწერილი პირი ცნობილია 1809 წლიდან, მაგრამ მათ, ნაკლებად პოპულარობის გამო, ჩანს, არც პუშკინი იცნობდა და არც დალი. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს პუშკინის ზღაპრისა და გრიმების ვარიანტის ტექსტური სხვაობა. გრიმების ვარიანტით, მებადურმა დაიჭირა არა ოქროს თევზი, არამედ სვია-თევზი. სვია მებადურს სიკეთეს დაჰპირდა და ამ უკანასკნელმაც ის წყალში გაუშვა. მებადურის ცოლმა თანდათანობით სვიას მოსთხოვა: 1. უკეთესი ქოხი, 2. ქვის ციხე-დარბაზი, 3. მეფობა, 4. იმპერატორობა, 5. რომის პაპობა და 6. ღმერთად გახდომა[1]. ქვის ციხე-დარბაზის, იმპერატორობის, რომის პაპობისა და ღმერთად გახდომის მოტივებს, რომლებიც უეჭველად შუა საუკუნეების ჩანამატია მოთხრობის სიუჟეტურ რკალში, სრულიად არ იცნობენ არც პუშკინის ზღაპარი და არც ამ სიუჟეტის რუსული ხალხური (ჩვეულებრივი) მოთხრობები. დიდ მგოსანს რომ გერმანული მოთხრობის სიუჟეტი ახლო სცოდნოდა, ამ მოტივებს ვერ გამოტოვებდა და უსათუოდ დაიმოწმებდა. პუშკინისეულ ტექსტთან რამდენადმე უფრო ახლო დგას ზღაპრის შვედური ვარიანტი — „ოქროს თევზი“, რომლის სრული რუსული თარგმანი 1893 წელს გამოქვეყნდა[2]. მაგრამ პუშკინისეულ ტექსტს არც ეს ვარიანტი მიჰყვება. ამ ვარიანტმა, მაგალითად, არ იცის პუშკინის ტექსტის ტახტის აზნაურობის მოტივი, პუშკინისეულმა ტექსტმა კი — შვედური მოთხრობის პურის მოტივი. ასე რომ პუშკინისეული ტექსტის პროტოტიპებად ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა ზღაპრის პომერანულ-შვედური ვარიანტები; საეჭვოა, რომ მათ დიდი პოეტი იცნობდა, და ისინი არც გავრცელებულა რუსულ ეპოსში[3].

ალ. პუშკინის ზღაპრის საფუძველი სპეციფიკური რუსული ხალხური მოთხრობაა, რომელსაც სიუჟეტური ვარიანტები სხვა ხალხთა ეპოსშიაც მოეძებნება. ანაქრონიზმს წარმოადგენს მკვლევრის მსჯელობა: «Сюжет Пушкинской сказки не специально русской: у немцев и шведов существуют сказки на туже самую тему. Этого мало: сказки эти сходны с Пушкинской не только по сюжету,

---

[1] Бр. Гримм, Сказки, М., 1949, 87—95.

[2] П. Р-в, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина», вып. I, СПб., 1893, 94—95.

[3] ა. სმირნოვის ცნობით, მას ვოლგაზე ერთი ბიჭისაგან პირადად გაუგონია ამ სიუჟეტის ისეთი ზღაპარი, რომლის მიხედვითაც დედაბერმა მოისურვა გამხდარიყო აზნაური, დედოფალი, რომის პაპი და ღმერთი (А. Смирнов, Систематический указатель тем и вариантов русских народных сказок, Изв. Отд. русск. яз. и слов., т. XVII, вып. III, 1912, 131), მაგრამ ძნელი არაა, დავრწმუნდეთ, რომ ამ ბიჭს ავტორისათვის უამბნია არა რუსული ხალხური ზღაპარი, არამედ პომერანული მოთხრობა რუსულ ენაზე.

но и по плану и даже по деталям, Особенно это сходство выступает в шведском рассказе»[1]. ეს „თანხვდენილობა“ იმის საბუთს არავის არ აძლევს, რომ პუშკინის ზღაპარს მოაშოროს ადგილობრივი ხალხური ნიადაგი.

საკითხში სინათლე ვერც ნ. სუმცოვმა შეიტანა. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ავტორი მისულა დასკვნამდის: პუშკინს გამოუყენებია ტრადიციული სიუჟეტის რუსული ხალხური ვარიანტი, რომლის პირი გამოქვეყნებული აქვს ა. აფანასიევსო[2]. სინამდვილეში პუშკინს კი არ უსარგებლებია აფანასიევის ვარიანტით, არამედ, პირიქით, აფანასიევის კრებულში შეტანილი ხალხური მოთხრობა „ოქროს თევზი“ მომდინარეობს პუშკინის ზღაპრიდან, შექმნილია მისი ხალხში გადასვლისა და პროზაულად გავრცელების შედეგად[3]. მაგრამ ერთი გარემოება აქ მაინცაა ხაზგასასმელი. ა. აფანასიევის კრებულში ვლ. დალის კოლექციიდან, მართლაც, შეტანილია არა ეს, არამედ სხვა საინტერესო ზღაპარი („გაუმაძღარი დედაბერი“), რომელიც სიუჟეტურად შორეულ კავშირს ამბობს პუშკინის ნაწარმოებთან. მისი ერთი ვარიანტით, თევზის როლს ასრულებს ხე, მეორეთი — მელა, მესამეთი — პატარა ჩიტი. პირველი ვარიანტით, დედაბერმა მოისურვა პური, სახლი, საქონელი; მეორე ვარიანტით—ფული, ოქრო, ვერცხლი, შემდეგ მამასახლისობა, ბატონობა, პოლკოვნიკობა, გენერლობა, მეფობა, ღმერთად გახდომა. ღმერთად გახდომის მოთხოვნისას, ერთი ვარიანტით, ბერიკაცი და მისი ცოლი დათვებად იქცნენ, მეორე ვარიანტით — ძაღლებად. მესამე ვარიანტით, როცა ცოლ-ქმარმა წმიდანობა მოითხოვა, ჩიტმა მათ ჰკითხა: განა წმიდანები ჰამენ? ფული, ოქრო და ვერცხლი მათ სჭირდებათო? და გაფრინდა. ეჭვი არაა, ანალოგიური სიუჟეტის ზღაპარი უამბნია დალს პუშკინისათვის, რომელმაც მას ლიტერატურული სახე მისცა.

პუშკინის ზღაპრის პირველწყაროდ გრიმების კრებულში შეტანილი ტექსტი მიიჩნია მ. აზადოვსკიმაც. მისი მსჯელობაც მდუმარედ ემყარება ცნობილ გარემოებას: ვინაიდან მებადურისა და ოქროს თევზის სიუჟეტის ზღაპარს რუსული ფოლკლორი არ იცნობს და ის დამოწმებულია ძმ. გრიმების გერმანულ ზღაპრებში, რომლებიც პუშკინამდისაა გამოცემული, პუშკინის ზღაპრის პროტოტიპიც ეს უკანასკნელიაო. „Сказка Пушкина совершенно чужда русской тради-

[1] П. Р-в, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина», вып. 1, СПб., 1893, 91—92.

[2] Н. Ф. Сумцов, А. С. Пушкин, Харьков, 1900, 287.

[3] В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ея источники, Ж М Н П, СПб, 1892, 157; М. К. Азадовский, Сказка о рыбаке и рыбке, А. С. Пушкин, Полное собрание сочинений, Г И Х Л И, 1931.

ции, но примыкает всецело к традиции западноевропейской. Ближе всего она к сказке сборника бр. Гриммов", — წერს პროფ. მ. აზადოვსკი[1]. ამავე აზრს აზადოვსკიზე ადრე, 1893 წელს, იცავდა ვ. რ-ვი[2], ხოლო 1906 წელს — ვ. სიპოვსკიც[3]. მ. აზადოვსკის დამსახურება აქ მხოლოდ ისაა, რომ მან გერმანულ ზღაპარს შეადარა პუშკინის ტექსტის ავტოგრაფული შავი, რომელიც თავის დროზე გამოაქვეყნა ს. ბონდიმ[4]. ავტოგრაფული შავის თანახმად, დედაბერი მოითხოვს რომის პაპობასაც, რაც ზღაპრის დაბეჭდილ ვარიანტში შეტანილი არაა. სხვა მხრით ტექსტებში სხვაობაა. მაგრამ განა მხოლოდ ეს საბუთია საკმარისი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ პუშკინის ზღაპრისა და გერმანული ხალხური მოთხრობის სიუჟეტის გენეტიკური თანხვდენილობა? განა ასეთი მსგავსების შედეგად შეიძლება ითქვას, «Текст немецкой сказки Пушкин переключил в план русской?»[5] არ უნდა დავივიწყოთ: გრიმების ზღაპარი იცნობს სვია-თევზს, პუშკინისა კი — ოქროს თევზს; პუშკინის ტექსტის არც პირველი შავი და არც ბეჭდური ვარიანტი არ იცნობს გრიმების ზღაპრის ქვის ციხე-დარბაზის, იმპერატორადა და ღმერთად გახდომის მოტივებს. თუ პუშკინის ზღაპრის უშუალო პროტოტიპი გერმანული ხალხური მოთხრობაა, რატომ არ არის დამოწმებული მისი ეს უაღრესად სპეციფიკური მოტივები? ან მაშინ რითი უნდა აიხსნას მათი გამოტოვება? ამიტომ ამ შეხედულებას მეცნიერული დასაბუთება აკლია და დამაჯერებლობას მოკლებულია. უფრო დასაბუთებული და დამაჯერებელი მეორე შეხედულებაა, რომელიც აღიარებს, რომ პუშკინის ზღაპრის უშუალო პირველწყარო ვლ. დალის მიერ ნაამბობი საყოველთაოდ გავრცელების სიუჟეტის მქონე რუსული ხალხური მოთხრობის უცნობი ვარიანტია.

ამრიგად, ალ. პუშკინმა ვლ. დალის მიერ ნაამბობი უცნობი ხალხური მოთხრობის გადამუშავება-შევსების შედეგად თავისი განთქმული „Сказка о рыбаке и рыбке" მოგვცა. ზღაპრის სიუჟეტი ლიტერატურული თხზულებიდან გადავიდა ხალხში და ზეპირად გავრცელდა როგორც ლექსად, ისე პროზადაც. ამის უდავო ნიმუშია ა. აფანასიევის კრებულში გასული საუკუნის 60-იან წლებში შეტანილი მოთხრობა

---

[1] М. Азадовский, Литература и фольклор, Л., 1938, 68.

[2] П. Р-в, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина», вып. I, СПб., 1893, 91—92.

[3] В. В. Сиповский, «Руслан и Людмила» (к литературной истории поэмы), «Пушкин и его современники», IV, М., 1906, 81.

[4] С. М. Бонди, Новые страницы Пушкина, М., 1931; М. Азадовский, იქვე, გვ. 71—72.

[5] М. Азадовский, იქვე, გვ. 74.

„ოქროს თევზი“. ამ ხალხურმა მოთხრობამ შემდეგ გზა გაიკვლია რუსული ზღაპრების სხვა კრებულებშიაც. პუშკინამდელი რუსული ხალხური ეპოსი ამ სიუჟეტის ზღაპარს არ იცნობდა.

ქართულ ფოლკლორში „მებადურისა და ოქროს თევზის“ მოტივები, გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ჩნდება გასული საუკუნის 80—90-იან წლებში. ზღაპრის ქართულ რედაქციებს არსებითად ორი წყარო აქვს. A რედაქციის პირველი წყარო უშუალოდ ალ. პუშკინის ზღაპარია, B რედაქციისა კი ამ ზღაპრის ხალხში არსებული პროზაული ვერსია, რომელიც, ჩანს, იმთავითვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს ახლაც არა მარტოოდენ რუსი და ქართველი, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ზღაპრულ ეპოსში.

„მებადურისა და ოქროს თევზის“ ქართული ხალხური პოეტური რედაქცია გვხვდება ორ ვარიანტად: A და B, რომლებიც შესრულებულია რვამარცვლოვანი ხალხური შაირით. ორივე მათგანი გარკვეული წყაროებიდან მომდინარეობს. A რედაქციის საფუძველს წარმოადგენს ალ. პუშკინის პოეტური ტექსტი, B რედაქციისას კი — ზღაპრის ხალხში არსებული პროზაული ვარიანტი. ამას ადასტურებს B რედაქციის თვით მთქმელი სიმონ მგელაძეც, რომლის გადმოცემით, „მას გაუგონია ეს ზღაპარი და გაულექსავს“[1].

1956 წ.

ნოველისტური მოტივები ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლების სიუჟეტიკაში

1. ქართველური ხალხური პროზა სამ შენაკადს გულისხმობს: საკუთრივ ქართულს, სვანურსა და კოლხურს (მეგრულ-ჭანურს).

ქართულ ენას მრავალსაუკუნოვანი სამწერლო ტრადიცია აქვს. V საუკუნიდან წერილობითი ძეგლებია მოღწეული, ხოლო დამწერლობის სისტემა (ქართული ანბანი), როგორც ფიქრობენ, VII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი ჩვენს წელთაღრიცხვამდის. სვანური და კოლხური უმწერლობო ენებია, რომლებზედაც მდიდარი ხალხური პროზა და პოეზიაა შემონახული.

ქართველური ხალხური პროზის ასპექტებს ადუღაბებს მკვეთრად ჩამოყალიბებული სიუჟეტიკის საერთო და მსგავსი წყობა, ეპიკური ციკლების სტრუქტურული და თემატიკური ერთობა. სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტიკისა და თემატიკური რკალების ერთობა სამივე შენაკადის ზეპირშემოქმედებაში საფუძველს გვაძლევს, ქართვე-

[1] ჩვენი: გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 298.

ლური ხალხური პროზა გავიგოთ, როგორც ერთიანი ფენომენი და ხელი მოვკიდოთ მის შედარებითს შესწავლას. ამის შესაძლებლობას გვაძლევს მდიდარი და ნაირფეროვანი ტექსტები, რომლებიც ბლომადაა ჩაწერილი უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. მართალია, ტექსტების ტიპოლოგიურსა და შედარებითს შესწავლას ამჟამად ეყრება ფუნდამენტი, მაგრამ საამისოდ ნიადაგი დიდი ხანია მომზადებულია.

ცნება ეპიკური ციკლებისა ჩვენ თავისებურად გვესმის. იგი, ჩვენი გაგებით, იტევს ხალხურ მოთხრობასა და ხალხურ რომანს მომიჯნავე ჟანრებითა და ქვეჟანრებითურთ, როგორც მოტივთა მყარ სისტემას, სტრუქტურულსა და მხატვრულ მთლიანობას.

2. ჩვენი დაკვირვება ეყრდნობა პოსტულატს: საყოფიერო-ნოველისტური ქმნილებების მოტივთა სისტემა პირველადია, აღმოცენებული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ნიადაგზე, განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესით და განმტკიცებული ცხოვრების გამოცდილებით. იგი ასახვაა რეალური ცხოვრებისა, მაჩვენებელი ხალხის გონების თვალით დანახული და ახსნილი სინამდვილისა. ნოველისტურ მოტივთა სისტემა ხალხის თანაცხოვრების, ბრძოლისა და შემოქმედების, განცდისა და გამოცდილების უშუალო ანარეკლია. ხალხური პროზა ასახავს სინამდვილის განვითარებას აურაცხელი პერიპეტიებით.

ესთეტიკა ხალხური ქმნილებისა ჩვენ უნდა გავიგოთ მისი განვითარების ისტორიის განასერში, როგორც სინთეზი ძველისა და ახლისა, შორეული ტრადიციისა და გვიან შეძენილი ტენდენციებისა.

ჩვენი თეზისის საილუსტრაციოდ განვიხილავთ ორი ციკლის ქმნილებებს და ცალ-ცალკე გამოვყოფთ მათს საერთო მოტივებს. ესაა ა) კუდიანი დედაბრის მოტივი და ბ) უმცროსი ძმის მოტივი.

3. ქართველური ნოველისტური ქმნილებების პერსონაჟთა გალერეაში ეპიზოდურად გამოჩნდება ხოლმე ერთი დედაბერი. ტყის ჭოხში შესული სათავგადასავლოდ წამოსული გმირი ნოველისა ხვდება ამ დედაბერს, რომლის პორტრეტი სხვადასხვა ფერითაა დახატული. თავდაპირველად ის კეთილი ძალა უნდა ყოფილიყო და ასედაც გვხვდება უძველესი ციკლების ხალხურ ქმნილებებში, მაგრამ პატრიარქალური რეალიების ამსახველ პროზაულ თხზულებებში ის კეთილიცაა და ბოროტიც, ადამიანის ქომაგიცა და კაციჭამიაც, დემონური კუდიანიცა და ბრმა უკუდოც. ქართველურ ხალხურ პროზაში ეს სახე ერთნაირად, მეტნაკლები ფერშეცვლილობითაა წარმოდგენილი. ერთი სიუჟეტის ვარიაციებშიაც ამ სახეში რეალური (კეთილი) და ირეალური (დემონური) საწყისი ეცილება ერთიმეორეს. ამასთან ერთნაირ ვითარებას ვხედავთ ქართველური ხალხური პროზის სამივე (ქართულ, სვანურ,

ქოლხურ) სკაკდში. დადგენილი გვაქვს მისი შვიდი ფუნქცია (1, 2, 9, 18, 19, 25).

ა) ნოველისტურ ნაწარმოებში დედაბერი, ჩვეულებრივ, მაცნეა, განსაცდელში ჩავარდნილ გმირს აუწყებს ქვეყნის ამბებს და შუამავლადაც უდგება, დახმარების ხელს უწვდის, გზა-კვალს უჩვენებს. ქართველურ ხალხურ პროზაში ჩვენ აღრიცხული გვაქვს ორმოცზე მეტი ზღაპარი, ნოველისტურიცა და ჯადოსნურიც, სადაც დედაბერი, ეპიზოდური პერსონაჟი, ასეთი სავსებით რეალური სახეა.

ბ) დედაბერი კეთილია. ის ბინადრობს დედამიწაზე და ქვესკნელშიაც. ორივე ადგილას დახმარების ხელს უწვდის განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს. განსაკუთრებით რელიეფურადაა ეს სახე ნაჩვენები ეპიკურ ნაწარმოებებში, სადაც იგი ნოველისტური ქმნილებებიდან უნდა იყოს შესული. „ეთერიანის" ეპოსის თითქმის ყველა ვარიანტში ვხვდებით კეთილ დედაბერს. კეთილი დედაბრის სახეც საერთოა ქართველური ხალხური პროზის ყველა შენაკადისათვის.

გ) ხალხური მოთხრობების ერთ ციკლში დედაბერი მკურნალ-ექიმბაშის ფუნქციას ასრულებს და პირველ დახმარებას უწევს ბოროტ ძალებთან ბრძოლაში დაჭრილ გმირებს. ზოგჯერ (ამას უფრო ქართულ ჯადოსნურ ეპოსში ვპოულობთ) დედაბერი ჯადოსნური საშუალებებითაც მკურნალობს; მაქციერია, ადამიანსაც უცვლის სახეს. ასეთი დედაბერი უკვე ირეალური არსებაა.

დ) კეთილი დედაბერი ჩვეულებრივ უშვილოა. ამიტომ მასთან შემთხვევით მისულ დაჩაგრულ გერსა თუ ობოლს იშვილებს და მზრუნველობით უვლის. უშვილო დედაბერი სტუმართმოყვარეა, განსაცდელში ჩავარდნილი, უსახლკარო ადამიანის მფარველია. ეს მოტივებიც საერთოა ქართველური ხალხური პროზის სამივე შენაკადისათვის. უშვილო დედაბერი მათი საერთო პერსონაჟია.

ე) ჩვეულებრივ ეს დედაბერი თვალმჭრელი და მარდია, ზოგჯერ -- ცალი ან ორივე თვალით ბრმა ან კოჭლი. ბრმა და კოჭლი დედაბერი უფრო ბოროტი სულის განსახიერებაა.

ვ) ქართველურ ჯადოსნურ ზღაპრებში თვალთმაქცი, ცბიერი, ბოროტი დედაბერი, განსაცდელში ჩავარდნილ სტუმარს ჯერ ტკბილად მიიღებს, შემდეგ კი მზაკვრულად ორმოს უთხრის. ცბიერი დედაბერი ურმით ესტუმრა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მზეთუნახავს რომი შეაპარა, დააძინა, იმავე ურმით გაიტაცა და ხელმწიფის შვილს მიჰგვარა (22, 281). ასევე მოექცა ცბიერი დედაბერი „წიქარას" პატარა გმირს: ის ჯერ დაათრო, დააძინა, შემდეგ გაიტაცა და ხელმწიფის კარისკაცებს მიჰგვარა (16, 346). ცბიერი დედაბერი ბოროტი და შურიანია.

ზ) ბოლოს ცალკე უნდა გამოვყოთ კუდიანი დედაბერი, რომელიც

ქართველურ პროზაში სავსებით ჩამოყალიბებული და დასრულებული სახეა ბოროტი ძალისა. გარეგნულად ის კეთილია, ტკბილსიტყვაობით ხიბლავს თავის მსხვერპლს, არსებითად ავი სულია, მაქციერობის წყალობით სხვადასხვანაირ პოზას იღებს. ასეთ დედაბერს, რომელიც კეთილი მოხუცის ტყავში გახვეული ბოროტი სულია, ხალხმა კუდიანი ეშმაკი შეარქვა. ის, რა თქმა უნდა, არ არის სლავური ეპოსის არც ведьма, არც Баба-яга. ამ დემონურ სახეებთან ქართველური ეპოსის კუდიან დედაბერს მხოლოდ სიბოროტე აკავშირებს. სხვამხრით მათ შორის არსებითი სხვაობაა. Баба-яга მითური არსებაა. გარეგნულად ადამიანსა ჰგავს, ოღონდ დგას ძვლის ფეხებზე, ბინადრობს ქათმის ფეხებზე მდგომ ქოხში. მის ფუნქციას ზოგჯერ ცხოველიც ასრულებს. დ. ზელენინის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ზღაპარში Баба-яга-ს როლს ასრულებს თხა, რომელიც წამოწოლილია ქოხში (3, 11). რუსული ჯადოსნური ზღაპრების Баба-яга უფრო ხშირად მხართეძოზეა წამოწოლილი — ღუმელზე ან იატაკზე — და მთელ ქოხს იჭერს (1, 58,77). ზოგჯერ ის ბრმაა, რაშიაც ა. პოტებნია მითურ იდეას ხედავდა: სიბრმავე მის სიბნელეს, სიბოროტეს განასახიერებსო (13, 85-232). ვს. მილერი მას არქაულ ფიგურად თვლიდა ისევე, როგორც მის პოლონურ, ჩეხურ, სერბიულ ორეულებს (11, 212). გერმანული და სერბიული ეპოსის ჩვენებით, მას მაგარი, რკინის ან ლურსმნის კბილები აქვს. ამ გარემოებას გენეტიკურად უკავშირებენ მითურ წარმოდგენებს კბილებზე (13, 95).

ქართველური კუდიანი დედაბერი, მიუხედავად მისი სიბოროტისა და სიავერაგისა, უფრო ამქვეყნიური არსებაა, ვიდრე Баба-яга. მართალია, მას ზოგჯერ შეუძლია სახის ცვლა, მგლად, რაშად, იხვად, კაცად თუ ქალად ქცევა; მაგალითად, კუდიანი დედაბერი ხშირად აღჭურვილია ჯადოსნური წკეპლით, რის დაკვრაც საგანს სახეს უცვლის (18, 151--152), მაგრამ საწყის მდგომარეობაში იგი მუდამ ადამიანის, დედაბრის სახითაა წარმოდგენილი. მისი პირველადი სახეები (კეთილი, ქომაგი, მაცნე) თავიანთი ხასიათით, შინაგანი და გარეგანი ნიშნებით, ფსიქოლოგიური განწყობით ადგილობრივი სახეა და არა შეთვისებული.

კუდიანი დედაბრის გენეზისს შორს მივყავართ. კეთილი დედაბრის სახე თუ პირველად ქართველურ ნოველისტურ ნაწარმოებებში წარმოიქმნა როგორც რეალური ძალა, ქომაგი და მშველელი ადამიანისა, კუდიანი დედაბერი შემდეგ გამოჩნდა. მან შეიძინა სიბოროტის ნიშან-თვისებები და დაუკავშირდა ავსული როკაპის კულტის რწმენას. ამიტომ შესედულება, რომლის თანახმად ადამიანის წარმოდგენები სულთა შესახებ თითქოს ცვალებადია, კულტი—უცვლელი (5, 304), მეცნიერულ საყრდენს ვერ პოულობს. კულტის ცვალებადობაც ბუნებ-

რიეი პროცესია. როკაპის კულტი ქართველურ წარმოდგენებში (უპირატესად ქართულსა და კოლხურ ხალხურ პროზაში) ცვალებადია, მისი სახის ტრადიცია ხალხურ პროზაში ნაირფეროვანია.

ეპიზოდური სახე კუდიანი დედაბრისა ქართველურ ხალხურ პროზაში შემოტანილია ტრადიციული წესჩვეულებებიდან. ქართველი ტომები ამ დედაბრის წინაპრის, როკაპის, კულტს უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. საქართველოს ყველა კუთხეშია დამოწმებული მისი კვალი. როკაპი — ავი დედაბერია, რომელიც, ხალხის რწმენით, უდაბურ ტყეში ბინადრობს, საშინელი ღრჯოლები აქვს, ადამიანს გულს აგლეჯს, ჭამს ადამიანის თმასა და ფრჩხილებს. წელიწადში ერთ დღეს — ესაა კუდიანების დღე — დადეგი, ძველებურ ახალ წელიწადს, 1 სექტემბერს, როკაპი მართავს თემობას. ამ დღეს მას ქვეყნის ყველა კუთხიდან ეწვევიან კუდიანები და მიართმევენ საჩუქრებს (9, 63—67; 19, I, 151—152). ასეთ კუდიანებს მეგრელები მზაკვარს ეძახიან. მეგრელთა რწმენით, კუდიანთა უფროსი, როკაპი, სახლობს ტაბაკონის მთაზე. მზაკვრობის დღეს როკაპთან თავს იყრის ყველა კუდიანი დედაბერი, რომლებიც ბატონს საჩუქრად ადამიანის, განსაკუთრებით ჩვილი ბავშვების, გულებს მიართმევენ ხოლმე (17, 17—21; 19, I, 153). მეგრელთა და იმერთა რწმენით, როკაპი ბინადრობს ტაბაკონის თუ ტაბაკელას მთაში (17, 19; 6, 175; 19, 152—154), გურულების წარმოდგენით კი კუდიანების თემობა (ჰეჰეთობა) იმართება ჰაჰვეთს, მაგრამ ასავალ-დასავალი ამ ადგილისა არავინ უწყის (9, 63—67; 19, 153). კუდიანების უფროსის, როკაპის, კულტს იცნობს მთელი ეთნოგრაფიული საქართველო. ნაშთები ამ კულტისა მეტნაკლებად შემორჩენილია საქართველოს მთასა და ბარში, გურიაში (9, 63—67; 19, 154), იმერეთში (6, 175—180; 19, 154), ხევსურეთში (8, 226; 19, 154—155), ფშავში (7, 165—166; 2, 85; 19, 156—157), სამეგრელოში (17, 18—21; 19, 152—157), სვანეთში. კუდიანთაგან თავდასაცავად ხალხი რიტუალურ წესებს იცავდა (23, 100; 9, 64—65; 19, 156—157).

როკაპის სახე ქართველურ ხალხურ პროზაში, უნდა ვიფიქროთ, მოგვიანებით გაჩნდა. თავდაპირველად ის არ უნდა ყოფილიყო. თვით როკაპის კულტიც პატრიარქატისეულია და შექმნილია არა მატრიარქატის, არამედ სწორედ პატრიარქატის ეპოქაში. ხალხმა როკაპის სახით საშინლად დასცინა მატრიარქატს. ამით მან დაგმო მატრიარქატის უკანასკნელი გადმონაშთი. ამიტომ, ჩვენი აზრით, როკაპის, კუდიანი დედაბრის სახე ხალხმა შექმნა მატრიარქატის მითოლოგიის დამარცხების შედეგად, პატრიარქატის განმტკიცების ეპოქაში. საუკუნეებით რეალური საწყისი გრძნეულ ქალად იქცა. მატრიარქატის გადმონაშთის მთელი სიმახინჯე ხალხმა როკაპის ანუ კუდიანი დედაბრის სახეში ჩააქსოვა, მოაშორა ამ ქვეყანას და წარმოსახულ ადგილას, მიუვალ

მთებში დაასახლა. ამაში ღრმა აზრია გატარებული: კუდიანი დედაბრის პორტრეტში უნდა ამოვიცნოთ დაცემული და განწირული სახე მატრიარქატისა.

კუდიანი დედაბრის მოტივები თანდათანობით ეპიზოდურად გადავიდა ხალხურ ეპოსში. შემოტანილია ის აქ, როგორც ითქვა, ტრადიციული წესჩვეულებებიდან. მაგრამ ხალხურ პროზაში მას დახვდა პატივისცემით გარემოსილი პერსონაჟი — კეთილი დედაბერი, რომელსაც ტრადიცია დადებითად თვლის და ადამიანის ქომაგად მიიჩნევს. კეთილი დედაბრის სახე და მასთან დაკავშირებული მოტივები ჩამოყალიბდა ქართველურ ნოველისტურ ნაწარმოებებში და მას დაეკისრა სავსებით კონკრეტული ფუნქცია. ახალ სიტუაციაში კი მას დაუპირისპირდა კუდიანი დედაბერი, რომელმაც თავს მოახვია ტრადიციულ რეალურ პერსონაჟს ირეალური თვისებები და ჯადოსნური საჭურვლით შემოსა. ნოველისტური ეპოსის კეთილ სახეს დემონური საბურველი ჩამოეფარა, ხალხური პროზის სიუჟეტიკაში გაჩნდა ახალი რგოლი.

ხშირად ეპიკურ ნაწარმოებთა სიუჟეტურ ქსოვილში მოტივი კუდიანი დედაბრისა ისეა ჩაკერებული, რომ ძნელდება მისი ბუნებრივად მიჩნევა, არ არის მოტივირებული, დარღვეულია სიუჟეტის განვითარების ლოგიკური ხაზი. ეპოსის ციკლებში საერთოდ, და აქ ქართველური ხალხური პროზა გამონაკლისი არ არის, ჩვეულებრივ გვხვდება არამოტივირებული სიტუაციები, კოლიზიები, თვით პერსონაჟებიცა და სახეებიც. ამ გარემოებას სამართლიანად გახაზავს ბ. ნ. პუტილოვიც სლავური ეპოსის მაგალითზე. „Сюжетные коллизии, — ამბობს ავტორი, — критические ситуации возникают как бы сами собой, они не подготовлены предшествующим ходом событий и не всегда могут быть логически объяснены. Часто не мотивированы (либо мотивированы чисто условно, формально, вне видимой связи с данной ситуацией) поступки героев, их ответные реакции. Повествование не раскрывает нам внутренних побуждений героя, не объясняет мотивов, лежащих в основе его поведения. Поступки героя в кажущейся их алогичности, загадочности и немотивированности предстают как некая данность, в эпическом контексте вполне естественная и не требующая как-будто рациональных объяснений» (15, 325).

4. ახლა ვნახოთ, როგორ და საიდან შემოვიდა ქართველური ხალხური პროზის საერთო სიუჟეტიკაში უმცროსი ძმის მოტივი. ზღაპრული ეპოსი კარგად იცნობს უმცროსი შვილის (|| ძმის) მსგავსსა და განსხვავებულ მოტივებს. იშვიათია დედამიწაზე ხალხი, რომლის ზღაპრებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი არ ეჭიროს ამ უნივერსალურ გმირს.

უმცროსი შვილის სახეში ყველა ხალხი თავის აზრსა და ფიქრს აქ-

სოვს. ქართველურ ხალხურ პროზაში უმცროსი შვილი ცალკეა გამოყოფილი და მიაწერენ მას ხალხის ჭეშმარიტი გმირის საუკეთესო თვისებებს (19, II, 170—182).

უმცროსი შვილი აქ იგივე უმცროსი ძმაა, ატრიბუტი პატრიარქატის ოჯახისა. აქ იზრდება იგი, როგორც გმირი, გარემოსილი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით. მისკენ იხრება მთქმელთა და მსმენელთა სიმპათია.

უმცროსი ძმის ციკლის ქართველურ ნაწარმოებებში დადასტურებულ ათეულობით მოტივიდან ყველაზე გავრცელებულია ოთხი მოტივი.

ა) შ ე ს რ უ ლ ე ბ ა მ ო მ ა კ ვ დ ა ვ ი მ ა მ ი ს ა ნ დ ე რ ძ ი ს ა. მამის ანდერძის ან დავალების შესრულებას ახერხებს მხოლოდ უმცროსი ძმა, უფროსები ან სულ არ ფიქრობენ ამაზე, ანდა ძალა არ შესწევთ ანდერძის შესასრულებლად. მოტივი ერთნაირადაა გაგებული ქართულს, სვანურსა და კოლხურ ზღაპრებში.

ბ) კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი უ ფ რ ო ს ძ მ ე ბ თ ა ნ. უმცროს ძმას კონფლიქტი აქვს უფროსებთან და იძულებულია, ოჯახს გაშორდეს. კონფლიქტი ძმებს შორის უფრო მემკვიდრეობის გაყოფის ნიადაგზეა აღმოცენებული. სიმართლე ყოველთვის უმცროსი ძმის მხარეზეა, მაგრამ სახლიდან სწორედ მაინც ამას აძევებენ. ხალხის ფანტაზია დიდხანს არ აყოვნებს კვანძის გახსნას, ჩქარა უფროსთა მიერ შევიწროებული და სახლიდან გამოგდებული უმცროსი ძმა თავზე გამარჯვების გვირგვინს იდგამს.

გ) დ ა ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა უ ლ ა მ ა ზ ეს ქ ა ლ წ უ ლ ზ ე — მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ზ ე. სახლიდან გაძევებული უმცროსი ძმა მიემგზავრება ბედნიერების საძებრად, გაჭირვებით მიიკვლევს გზას, ამარცხებს ბოროტ ძალებს და წარმატებასაც აღწევს, ტყეობიდან დაიხსნის მზეთუნახავს და მასზე ქორწინდება. მზეთუნახავის განთავისუფლება მეტად რთული საქმეა, რადგან მას ეუფლება ბნელი ძალა — დევი, აუცილებელია დევის შემუსვრა. და აი, ჯადოსნურ მოთხრობებში ბრძოლების მთელი ასპარეზია ნაჩვენები. უმცროსი ძმის მიერ ბოროტი ძალის შემუსვრა, მზეთუნახავის გათავისუფლება და დაქორწინება ქართველური ხალხური პროზის მეტად გავრცელებული მოტივებია. უმცროსი ძმის სახეს ზოგ შემთხვევაში ატყვია საყოველთაოდ ცნობილი შაბლონის ანაბეჭდიც, მაგრამ არსებითად იგი ინარჩუნებს კოლორიტსა და რეალისტურ ნიადაგს.

დ) უ ფ რ ო ს ძ მ ა თ ა ღ ა ლ ა ტ ი. ეს მოტივიც მეტად პოპულარულია. უმცროსი ძმის წარმატება უფროსთა შურსა და ღალატს იწვევს. მოსაზრებულობით, სიმამაცით, ადამიანური თვისებებით უმცროსი ძმა გამოირჩევა უფროსთაგან. ამიტომ იგი მიუწვდომლის მიწვ-

დომასაც ახერხებს. ყოველივე ეს ძმათა შორის გათხრილ უფსკრულს უფრო აღრმავებს, შურსა და მტრობას თესავს.

ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტურ ქსოვილში ოსტატურადაა ჩაწნული უძველესი რეალური მოტივები. უმცროსი ძმის მოტივები, რომლებიც ახლა ასეა გავრცელებული ქართველური ხალხური პროზის ცალკე ჟანრის ნაწარმოებებში, როგორც ირკვევა, პირველადია, აღმოცენებული რეალისტურ ნიადაგზე. ეს აიხსნება უმცროსი შვილის იდეალიზაციით, უმცროსი ძმის კულტით, რაც ღრმა სიძველის ნიშნებს ატარებს (19, II, 176). უმცროსი ძმის კულტი ქართველურ ტომებში შეიძლება გაჩენილიყო იმ დროს, როდესაც დაიშალა დიდი ოჯახი, განვითარდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და ამ ნიადაგზე აღმოცენდა მაიორატი. შეიქმნა ობიექტური პირობები იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოწეულიყო უფლებააყრილი, დაჩაგრული, ხშირად სახლიდან უმიზეზოდ გაძევებული, მაგრამ ხალხში სიკეთის თესლის მთესველი უმცროსი შვილი (19, II, 176—177). უმცროსი ძმა თავიდანვე ჩაგვრა-დამცირების ობიექტი ყოფილა. მოგვიანებით, ჩანს, მას რაღაც უფლება კი მიუღია, მაგრამ ამ გარემოებას არ გამოუწვევია და არც შეეძლო გამოეწვია მისი კულტის წარმოშობა. ქართველურ ტომებში, როგორც ირკვევა, უმცროსი ძმის კულტის აღმოცენება განაპირობა მისმა სწორედ უუფლებობამ და დამცირებამ და არა რაღაც უფლების მიღებამ. დიდი უფლებით, თანაც მემკვიდრეობისა და ქონებრივი უპირატესობის უფლებით, სარგებლობდა უფროსი ძმა, მაგრამ მისი სახის იდეალიზაცია ფოლკლორში არ მომხდარა.

პატრიარქატის განვითარების არც ერთ ეტაპზე უმცროს შვილს არ შეეძლო მამის ადგილის დაკავება. უფროსის პატივისცემა და იურიდიული უფლებამოსილებით აღჭურვა ქართველურ ადათს იმთავითვე ახასიათებდა. სწორედ აქედან განვითარდა უფროსის უფლებრივად გაბატონება ოჯახში, თემსა და ტომში. ქართველმა ტომებმა გაიარეს განვითარების ეს საფეხურები, რასაც გენეტური დადასტურება აქვს არა მარტოოდენ ყოფითი და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რეალიებით, არამედ, რაც მთავარია, ენობრივი მონაცემებითაც.

ძველ ქართველურ დიდ ოჯახს, ს ა ხ ლ ს, სათავეში ედგა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ი, ატრიბუტი პატრიარქალური ოჯახისა, რომელმაც მატრიარქატისეული დ ი ა ს ა ხ ლ ი ი შეცვალა. ქართველური ოჯახი დასაწყისიდანვე იცნობდა სახლის უფროსის, ასაკით უხუცესის ავტორიტეტს (25, 148). ასეთ იერარქიას ქართველური ტომების სოციალურ ყოფაში ადასტურებენ ძველი ბერძენი მწერლებიც, რომლებიც ანტიკურ ეპოქაში მოგზაურობდნენ ძველ კოლხეთსა და იბერიაში და აღწერილი აქვთ ქართველურ ტომთა მაშინდელი ყოფაცხოვრების დამახასიათებელი რეალიები. ქართველური ტომების უძველეს ადათებსა და სამარ-

თალში არა ჩანს უმცროსი ძმის რაიმე უპირატესი უფლება უფროსთან შედარებით. „რაღაც უფლება“, უმცროს ძმას რომ მაინც მიეკუთვნა, მოწმობს ხალხის ერთგვარ მზრუნველობას იმაზე, რომ ის ჯერ კიდევ უპატრონო, მშობლების კალთაზეა მიჯაჭვული, საჭიროებს მათ მზრუნველობას. მზრუნველობის ფაქტორმა იმთავითვე განაპირობა უმცროსი შვილის სიყვარული, გახადა მეტი ყურადღების საგნად. სამეფო და დიდ ფეოდალთა გვარში უფროსი შვილი მუდამ სარგებლობდა მემკვიდრეობის უფლებით. მეფეთა, ერისთავთა და სხვა თანამდებობრივი ტიტულების მოპოვების უფლებას მემკვიდრეობის ინსტიტუტი უფროს ძმას აკუთვნებდა. ეს წესი კანონმდებლობითაც იყო განმტკიცებული შუა საუკუნეების ეპოქის ქართული სამართლით და ამას თვით ხალხური სამართალიც აღიარებდა (19, II, 179).

უმცროსი ძმის იდეალიზაციით ხალხი, ცხადია, არ იბრძვის არც მაიორატის წინააღმდეგ და არც მინორატის პრიორიტეტისათვის, გვაჩვენებს მხოლოდ მაიორატის თანდაყოლილ მანკს, წინააღმდეგობებს მაიორატსა და მინორატს შორის, უმცროსი შვილის ღირსებებს, უფროსის უღირსობას. სწორედ ამითაა გამოწვეული ის შეურიგებლობა, რაც უმცროსი და უფროსი ძმების ხასიათებში მეღავნდება ხალხური პროზის მიხედვით.

ხალხის გენია აღიარებს, რომ უმცროსი განვითარებადია, მომავალი მას ეკუთვნის, სიკეთე, ბედნიერება ახალგაზრდობის ხელით ითესება. უმცროსი ძმის სახეში თანდათანობით ყალიბდება და ერთიანდება ის დადებითი, კეთილი და მისაბაძი ღირსებანი, რაც, ხალხის რწმენით, უნდა ახასიათებდეს იდეალურ გმირს. ხალხური ავტორი სიყვარულით აქანდაკებს შესანიშნავ სახეს. არა თუ თქმულებებსა და ჯადოსნურ ზღაპრებში, ქართული ეპოსის კლასიკურ ძეგლებშიაც ყველაზე მომხიბლავი, ადამიანის ბედნიერებისათვის გაბედულად მებრძოლი გმირი ჩვეულებრივად უმცროსი ძმის სახითაა წარმოდგენილი. უმცროსი ძმა არის თვით ამირანიც, რომელმაც ქვეყნად ბოროტება მოსპო და ადამიანებს ბედნიერება და სიკეთე მოუტანა (21, 313; 356: 19, II, 180).

პირველადია უმცროსი ძმის რეალისტური სახე, ასე მრავალფეროვნად წარმოსახული ქართველური ხალხური პროზის ნოველისტურ ციკლებში. მეორადი ჩანს მისი სახე ჯადოსნური ზღაპრებისა და თქმულებების იმ ციკლებში, რომლებიც მეტისმეტადაა დამძიმებული ფანტასტიკური მოტივებით. ჯადოსნური აქსესუარის ქსოვილში უმცროსი ძმის რეალისტური პორტრეტი გამოჩნდა იმის გამო, რომ კლასობრივი საზოგადოების იერარქიაში ხალხმა საჭიროდ დაინახა საყვარელი გმირის სახის გამოკვეთა და განდიდება. უმცროსი ძმის თავდაპირველი სახე შემდეგ შეიმოსა ჯადოსნური საბურველით, თავდაპირ-

ველად იგი ამ საბურველს არ საჭიროებდა (19, 181). რა ასპექტითაც უნდა მივუდგეთ უმცროსი შვილის სახის შესწავლას ქართველური ხალხური პროზის სიუჟეტურ სისტემაში, მასში, უწინარეს ყოვლისა, დავინახავთ თვითმყოფი მოტივების წამყვან პოზიციას, ადგილობრივ კოლორიტს. უმცროსი შვილის სახის შედარებითი შესწავლა ქართველურ ხალხურ პროზაში ადასტურებს მის ერთნაირ გააზრებას ისტორიული საქართველოს ყველა ეთნიკურ კუთხეში.

ჩვენი დასკვნები თავისთავად ნათელია. საყოფიერო ციკლის ნაწარმოებების მოტივთა სისტემა, რომელიც წარმოშობილია ადამიანთა შრომითი დამოკიდებულების პირვანდელ ნიადაგზე და განმტკიცებულია ცხოვრების გამოცდილებით საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე — პირველადია, ჯადოსნურ მოტივებს წინ უსწრებენ. სპეციალურ ნაშრომში (19, I, 33—49)[1] ჩვენ საშუალება გვქონდა უფრო ვრცლად გვეჩვენებინა ამ კონცეფციის მეთოდოლოგიური საყრდენები და ახლა აქ მათ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნოველისტური მოტივების სისტემა, რომელსაც ჩვენ პირველადად ვთვლით, უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ბრძოლისა და შემოქმედების, განცდებისა

---

[1] ციტირებული ლიტერატურა: 1. Афанасьев А. Н., Народные русские сказки, III, СПб., 1897; 2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, V, თბ., 1961; 3. Зеленин Д. К., Великорусские сказки Вятской губернии, Птр., 1915, 4. Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914; 5. Липпер О., История культуры пер. с немецкого, СПб., 1897; 6. Ломинадзе В., Из народной словесности у имеретин, О ведьмах, СМОМПК, вып. 9, Тб., 1880; 7. მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1934; 8. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935; 9. Мамаладзе Т., Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, вып. 17, Тб., 1893; 10. Мелетинский Е. Д., Герой волшебной сказки, М., 1958; 11. Миллер Вс., Всемирная сказка в культурно-историческом освещении, «Русская мысль», XI, М., 1893; 12. ონიანი ო., სვანური ჯადოსნური ზღაპრები, თბ., 1970 (ხელნაბეჭდი); 13. Потебня А., О мифическом значении некоторых обрядов и поверий, «Чтение»... Кн. III, М., 1865; 14. Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки, Л., 1946; 15. Путилов Б. Н., О некоторых структурных особенностях славянского эпоса, «Akta Ethnographica Akademiae Scientiarum Hingaricae», 19, 1970, გვ. 325—340; 16. რაზიკაშვილი თ., ქართული ხალხური ზღაპრები, I, თბ., 1951; II, თბ., 1952; 17. სახოკია თ., ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1956; 18. ღლონტი ალ., ქართული ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948; 19. ღლონტი ალ., ქართული ხალხური ნოველა, I, თბ., 1963; II, 1966; 20. შანიძე ა., თოფურია ვ., სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, თბ., 1939; 21. ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; 22. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. II, თბ., 1952; 23. Хаханов А. С., Очерки по истории Грузинской словесности, I, М., 1896; 24. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, თბ., 1938; 25. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928.

და გამოცდილების რეალისტურ ასახვად. ნოველისტურ-საყოფიერო ნაწარმოებების პირველადი სტრუქტურული მოდელი ეყრდნობა მკვიდრად შეკრული ერთიანი სიუჟეტიკის მაგისტრალს, რომლის მამოძრავებელი ძალა რეალური ადამიანი და მისი საქმეებია. ამიტომ ხალხური პროზის ეპიკური ციკლის სიუჟეტიკაში ნოველისტურ-საყოფაცხოვრებო მოტივები ბუნებრივადაა გადასული და კანონზომიერ ადგილს იჭერენ. ესენი პირველადი სტრუქტურული ელემენტებია, რომელთა მოდიფიკაცია გაპირობებულია შემოქმედებითი კოლექტივების ნიჭითა და გემოვნებით უკვე მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში. მოტივთა ეს სისტემა ორგანულადაა ჩართული ეპიკური ციკლის ნაწარმოებთა სტრუქტურულ მოდელში, წარმოსახვითს კოლიზიებს, სიტუაციებსა და პასაჟებს ძალასა და დამაჯერებლობას ჰმატებს. ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლები (ხალხური მოთხრობები და რომანები, ცხოველთა ზღაპრები, ეპოსი ამირანისა, ეთერისა და ა. შ.) მეტნაკლებად გვაჩვენებენ ამ კანონზომიერებებს. რეალური და ირეალური, ბუნებრივი და არაბუნებრივი, ნამდვილი და წარმოსახული საგნები და მოვლენები ერთიმეორის პარალელურად კი არ მოქმედებენ, არამედ ერთმანეთს ერწყმიან და ავსებენ, თანაარსებობენ, ქმნიან ერთ მთლიან სიუჟეტურ სისტემას, რომელიც იხვეწება და მდიდრდება საუკუნეთა სოციალურ-ესთეტიკური იდეალების, პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანთა, ხალხთა, ტომთა, ერთა კონტაქტების განვითარების წყალობით. სხვაობა ისაა, რომ რეალური მოტივი მთქმელსა და მსმენელს სჯერა, ირეალური არ სჯერა.

1961 წ.

შრომები და ავტორები

დედის ლექსიკონი

დედის ლექსიკონი!

ასე უწოდა გიორგი შატბერაშვილმა თავის ლექსიკურ ჩანაწერებს მშობლიურ სოფელ თვალადში. მწერალი დიდი ხანია სწავლობდა ქართლის ამ ერთი უძველესი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებას, ადგილობრივ სიტყვებს, მათს ისტორიასა და გამომსახველობას. იგი ავტორია მშვენიერი ლექსიკოლოგიური შტუდიებისა, რომელთაც კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება. ამჟამად ეს შტუდიები თავმოყრილია და გამოცემულია ცალკე წიგნად „ჰაშნიკის" სახელწოდებით.

სიტყვა მწერლისა და მკითხველის პირველი შუამავალია. მწერალი სიტყვის საშუალებით გვაცნობს ადამიანთა ვნებათაღელვას. სიტყვა აგურია, რომლითაც შენდება ყოველგვარი მხატვრული ნაგებობა. მხოლოდ ის მწერალი გვაძლევს მაღალმხატვრულ ტილოს, რომელიც მრავლად დააგროვებს ასეთ აგურთა მარაგს.

სიტყვა, საუნჯე და სამკაული ენისა, პირველ რიგში სამოსელია აზრისა. ადამიანის გონება განუწყვეტლივ ქმნის აზრის მოდელს, რასაც იმთავითვე ბგერათკომპლექსის, სიტყვის სახეს აძლევს. ამიტომ სიტყვა აზრის უშუალო სინამდვილეა, ასახვაა, განზოგადებაა ნახულისა, გაგონილისა, განცდილისა, სანახავისა, გასაგონებლისა, განსაცდლისა; სიტყვაში აისახება აწმყო, წარსული და მომავალი, შესაძლებელი, სავარაუდებელი, შეუძლებელიც კი.

მხოლოდ აზრი შობს სიტყვას და სიტყვაც აზრს ასახავს განურჩევლად იმისა, კონკრეტულია ის თუ აბსტრაქტული, მართალი თუ არამართალი, დადებითი თუ უარყოფითი. სიტყვას ქმნის, თავის ემბაზში ავლებს, ზრდის და აბარტყებს ხალხი, შემოქმედი, მატარებელი და მომხმარებელი ენისა. სიტყვა იბადება და ცოცხლობს ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა წრეში, აქ იხვეწება და სპეტაკდება იგი, აქედან გადადის ლიტერატურაში და ერთიანი ენის განუყოფელ ერთეულად იქცევა: ერთ კუთხეში დაბადებულ სიტყვას ამ გზით ფართო ასპარეზი ეძლევა, შედის სალიტერატურო ენის საგანძურში. ცოცხალი მხოლოდ იმ სიტყვას ჰქვია, რომელიც ხმარებაშია და კომუნიკაციის ძირითად

ერთეულად გამოიყენება. დიალექტურ მეტყველებაში ვპოულობთ ათეულობით მშვენიერ სიტყვას, რომლის მოქმედების ჰორიზონტი ერთი კუთხით შემოიფარგლება, მაგრამ მისი გავრცელება დაამშვენებდა ერის მთელ კაზმულსიტყვაობასაც. ამისთანა სიტყვებს ფართოდ უნდა გაეღოს კარი მწერლობაში.

ადამიანის ლექსიკურ მარაგში ორი ფენა გამოიყოფა: აქტიური, რომელიც ყოველდღიურ მიმოქცევაშია, და პასიური, რომელიც ამჟამად არ იხმარება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩაერთოს საერთო სიტყვათბრუნვაში. მეტყველება სიტყვათხმარებისა და სიტყვათშემოქმედების პროცესია. ურთიერთსაუბარსა და წერაში საყოველთაო ხმარების უფლებას იძენს არა ერთი და ორი მტვერწაყრილი ან ერთ კუთხეში ლოკალიზებული სიტყვა, რომელიც პასიური ან დიალექტური ფონდიდან სალიტერატურო ენის განკარგულებაში გადადის.

ცხოვრება ამოწმებს ენის გამომსახველობის საშუალებათა შესაძლებლობას, მოითხოვს ლექსიკის შევსებას, ახალ სინონიმიკასა და ანტონიმიკას. სიტყვათა ერთ-ერთი ამოუწყვავი საგანძური დიალექტური მეტყველებაა. სიტყვათმაძიებელი ახალ მასალას, უწინარეს ყოვლისა, დიალექტს ესესხება. ქართული კაზმულსიტყვაობა ყოველთვის მდიდრდებოდა დიალექტებით და მდიდრდება ამჟამადაც. მწერლობას მუდამ კარგად ესმოდა, რომ დიალექტური ლექსიკა საერთო-სახალხო ენის საუნჯის განუყოფელი ნაწილია. ჩვენმა მწერლებმა მრავალ დიალექტურ სიტყვას ჩამოაცილეს ეს არაფრისმთქმელი ეპითეტი და თამამად ჩააყენეს ისინი სალიტერატურო ენის სამსახურში. ეს მწერლების უეჭველი დამსახურებაა. ქართული ენის მემატიანე პირუთვნელად გამოარკვევს თვითეული მწერლის წვლილს ამ დიდ ეროვნულ საქმეში და მათს ღვაწლს ღირსეულ შეფასებასაც მისცემს. სიტყვათძიების ეს მშვენიერი ტრადიცია ახლაც ცოცხალია, კალმოსანთა მოწინავე ნაწილი ამას თავის ღვიძლ მოვალეობად თვლის და სავსებით სამართლიანადაც.

დიალექტური სიტყვის ერთ-ერთი ქომაგი იყო ნიჭიერი პოეტი და ბელეტრისტი გიორგი შატბერაშვილი. იგი ყურს უგდებდა ბუნებრივ სასაუბრო ენას, პირველ რიგში, ჩვენი ენის დედა კილოს — ქართლურის სუნთქვას. მოგზაურობდა ქართლის სოფლებში, ესაუბრებოდა დარბაისელ მოხუცებსა და გონებანათელ ჭაბუკებს, ეცნობოდა ამ კუთხის ზეპირსიტყვაობას, სიგელ-გუჯრებს. მისი დაკვირვების მთავარი ობიექტი იყო სალაპარაკო ენის საუნჯე.

მწერალი სიჭაბუკის წლებში მასწავლებლობდა ქართლის სოფლებში და შესაძლებლობა ჰქონდა უფრო ახლოს გასცნობოდა ადგილობრივ მეტყველებას, უფრო ღრმად ჩაეხედა ხალხის ლექსიკურ საგან-

ძურში, წლების განმავლობაში ეწარმოებინა ამ საგანძურის ძიება, ჩაეწერა ნაირი მასალა. „ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრებში, — მოგვითხრობს გიორგი შატბერაშვილი, — და კარადის თაროებზე დიდხანს ეწყო ძველი საერთო რვეულები. დასტებად შეკრული გაყვითლებული ფურცლები, ფერადყდიანი, სხვადასხვა დროის უბის წიგნაკები, ძველი და ახალი მარკის პაპიროსის კოლოფის ყდები: შიგნით თუ გარეთ გაკრული ხელით მიწერილი სიტყვები და გამოთქმები. ამ სიტყვების, გამოთქმების მოკლე ახსნა, ჩაწერის თარიღი. მთქმელის ვინაობა"...

ასე დაუგროვებია მწერალს ფასეული მასალა. ახალ სიტყვათა დიდი ნაწილი დედისაგან გამიგონიაო: დედაა „ამ ჩანაწერთა დიდი ნაწილის პირველმთქმელი და ამხსნელი, ამიტომ განზრახულ ნაშრომს შინაურულად „დედის ლექსიკონს" ვეძახი და მასვე ვუძღვნიო".

ამ გზით შექმნილა „თვალადური ქართულის ჭაშნიკი", შესანიშნავი ნარკვევი „ქართული სიტყვისა და სიტყვის ქართველი ოსტატების შესახებ". „ჭაშნიკი" ლექსიკოლოგიური ნარკვევიცაა და მხატვრული მოთხრობაც სიტყვის ბედიღბალზე. კაცს უჭირს, რომელ მხარეს მისცეს უპირატესობა. სხვა ანალოგიური ნაშრომი ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება.

გიორგი შატბერაშვილის დაკვირვებათა ღირსება მათს უშუალობაშია. სიტყვას იგი იწერს იმ სახით, როგორითაც ცოცხლობს ურთიერთსაუბარში. მწერალმა კარგად იცის, „სიტყვის გახსენებას საჭიროება იწვევს. შეიძლება წელიწადიც გაიდეს და კაცმა ესა თუ ის სიტყვა ერთხელაც არ თქვას, მაგრამ ისიც შეიძლება, იგივე სიტყვა დილიდან საღამომდე აუცილებლობის გამო ბევრჯერ გაიხსენოს". ჰეშმარიტად ასეა! პრაქტიკა განსაზღვრავს სიტყვის ხმარებას, პასიური ფონდიდან აქტიურში გადატანას, ან პირიქით, აქტიური ფონდიდან პასიურში გადატანას.

„თვალადური ქართულის ჭაშნიკი" ლექსიკონი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ლექსიკონისათვის მეტად მდიდარსა და სანდო მასალას შეიცავს. ყოველი ენის განმარტებითსა თუ დიალექტურ ლექსიკონს სწორედ ამისთანა „ჭაშნიკები" უნდა ედოს საფუძვლად. მაშინ უფრო მეტ მოწონებას დაიმსახურებს ყოველგვარი, პირველ რიგში კი, დიალექტთა ლექსიკონები.

სიტყვა აზნაური, მაგალითად, თვალადურში ცნობილთან ერთად (ტახტის, საეკლესიო, მაძიებელი, კერძო) დაცინვის მნიშვნელობით დაირთავს უცნობ ეპითეტებსაც (ნაფოტის, ჭაობის, კუდა, ცალქალამანა...): ნაფოტის აზნაური, ჭაობის აზნაური, კუდა აზნაური, ცალქალამანა აზნაური... ამით ოთხი დამოუკიდებელი სიტყვა შეემატა სალიტერატურო ენის საუნჯეს.

ალაოს მნიშვნელობას თვალადური ახალ ნიუანსებს უმატებს: პირველად აქ გამოიყოფა ბუნებრივი და ხელოვნური ალაო, წყლისა და მზის ალაო. დაზუსტებულია ალქატის მნიშვნელობა („ალქატი სახე“, „ალქატი მიწა“, „ალქატი მარცვალი“). პირველადაა ძიების საგნად ქცეული აწურული რძე (ხბოსათვის შენახული რძე), გუგულის თოვლი (გვიანდელი, აპრილის თოვლი), გადაღმერთილი (გადაზნექილი), გადაძაფვა (გადაბმა), გაკივკივება (გათითოება) და მისთ. დაისღამე თვალადურში ახლად შეღამებას ნიშნავს, ხოლო აისი და დაისი ახსნილია ხალხური გააზრების დარად: აისი — ა(დ)ის, დაისი — ჩა(დ)ის... გონებამახვილურადაა განმარტებული დარილი: თვალთვალი, ზვერვა, დარაჯობა; „გულში ფარულად შენახული რისხვა, გულისწყრომა და განზრახვის შესრულებისათვის შესაფერ ჟამთა ძიება“.

საინტერესოა თვალადურში აღორძინება, იღორძინებს სიტყვის მნიშვნელობა. თანამედროვე ქართულში სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ძველ ქართულში ჰქონდა. ძველად იგი მცენარის ზრდას ნიშნავდა. საბა: „აღორძინება არს უფროსისა მიმართ ძვრა და მოკლება უმცროსის მიმართ“; ნ. ჩუბინაშვილი: „აღორძინება (აღვაორძინებ, აღორძინდების) მომატება ანუ მოძრავობა მოზარდთა სხეულთა უმეტესისა მიმართ“; დ. ჩუბინაშვილი: „გავზრდი, მოვიყვან მცენარეს“. თანამედროვე ქართულში აღორძინება გაფურჩქვნას, აყვავებას ნიშნავს: „აყვავება, გაფურჩქვნა, განახლება, აღდგენა“ (განმარტებითი ლექსიკონი, I, 117). თვალადურში სიტყვა არქაული მნიშვნელობითაა შემონახული: „ყინვა თუ მოშუშავს ლობიოს, ვეღარ იხეირებს, კინწი მოსწყდება, სიმინდი კი ოხერია: გამძლეა. ღივიც რო მოეყინოს და გაუხმეს, მერე სითბოზე მაინც იღორძინებს“.

მწერალს შენიშნული აქვს, რომ თვალადურში ფართო ადგილს იჭერენ წარმოქმნილი სიტყვები. ცნობილი და გავრცელებული ძირებისაგან მიღებულია ახალი ფუძეები: გაკაჭაჭება (სიმინდის კაჭაჭის ამოყრა), გამოსაკლარტი (პირში გამოსავლები) და მრავალი სხვა.

თვალადურში დადგენილია ბევრი სიტყვის ახალი მნიშვნელობა, რაც არსებულ ლექსიკონებში აღნიშნული არ ყოფილა. ამ მხრით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წინწანაქარი (პირველად გამონადენი ლუდი, არაყი), ჰანარი (ნესტიანი, სველი, ნოტიო), ჰირკოტიანი (ხშირად ავადმყოფი), წამოგონება (უცებ, ანაზდად გახსენება), შეკვეთილი (შეჩვეული, შეკავშირებული), ნარბილი (გატეხილი, დამუშავებული მიწა) და მისთ. მსგავსი სიტყვები ჩვენი ენის საუნჯის ნამდვილი შენამატია.

„ჰაშნიკში“ ვეცნობით ცალკე სიტყვათა გონებამახვილურ გრამატიკულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს. სანიმუშოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, კავთა სიტყვის წარმოდგენილი ეტიმოლოგია. მართებულადაა გამოყოფილი ძირი კავ და სუფიქსი -ა (-თა). ძნელია თქმა, რომ კავ იგივე ხევსურული ქავ-ია, თუმცა მათი ფონეტიკური დამთხვევა ეჭვს არ იწვევს. სწორადაა მითითებული მრავლობითის — თ(ა) სუფიქსზე ქართულ ტოპონიმიაში, ოღონდ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ფაქტი დიდი ხანია აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 110; ჩვენი: ქართული ლექსიკოლოგია, 1964, § 67). — თ(ა) არის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი, გამოყენებული ტოპონიმთა საწარმოებლად. ამიტომ ავტორის ახსნა მართებულია: კავ-თა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმააო (შდრ.: კავებ-ისა).

ბევრის თქმა შეიძლება ავტორის სხვა მიგნებებზეც. მწერალს აქვს სწორი ალღო. მისი ძიება ეყრდნობა მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებას. თავისივე ადრე გამოთქმული ვარაუდებიც დაზუსტებულია. ერთნაირი სიყვარულითაა შესწავლილი როგორც საზოგადო სახელები და ზედსართავები, ისე ტოპონიმები და ჰიდრონიმები, ადამიანთა საკუთარი და მეტსახელები.

გიორგი შატბერაშვილის „ჰაშნიკი“ ჩვენს ორიოდე შენიშვნას იწვევს. წიგნში ერთ ადგილას მშვენივრადაა განმარტებული ბედის პური, მაგრამ არაფერია ნათქვამი ბედის წყაროზე, რომელიც სწორედ ქართლში იხმარება. ბოძანძარასთან ერთად ნახსენებია ოჯინჯარი || ოჯინჯალა, მაგრამ ასევე არაფერია ნათქვამი მის წარმომავლობაზე. სიტყვა კი იმერულთან ერთად გურულშიაც იხმარება და კოლხურიდან მომდინარეობს. თილიყამყამი, იშვიათად ხმარებულ სიტყვად მიჩნეული, ხშირად გვხვდება სწორედ ქართლურშიც. სოფ. ყარაღაჯში (ქართლი) ჩაწერილ ზღაპარში, მაგალითად, ვკითხულობთ: „ჩემ ოთახში ერთი მამა-პაპისეული ხმალი მაქვს ხოროსნის ფოლადით დაპირული და ჰეირ-ხიბარ-ხაბარ-ყამარ-ყათილის თილიყამყამიც გვერდზე უდემ“ (ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. 181). სწორადაა განმარტებული თვალადური კარკაცი და მოკარკაცება (კაცურ-კაცობა; ცის მოწმენდა), მაგრამ აქვე საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ ეს სიტყვა სხვა დიალექტებში ამ მნიშვნელობით არ გვხვდება. გურულში, მაგალითად. კარკაცი იგივეა, რაც კირკიცი, კისკისი, სიცილი (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 35). ერთ ზღაპარში იკითხება: „სიცილ-კარკაცით უჩივოდენო“ (გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ 192); იმერულში: „კარკაცი გადაჭარბებული სიცილია“ (ვუკ. ბერიძე, სიტყვის კონა, 1912, გვ. 20).

კიდევ ერთი შენიშვნა:

„ჰაშნიკში“ გამოქვეყნებულია საინტერესო ლეგენდა კაციჭამია სერზე (წინარეხი). ლეგენდა მოგვითხრობს: წინარეხელი ქალი ცოლად გაჰყოლია ამ სერზე მცხოვრებ კაცს, ქალს შეუნიშნავს, რომ აქაურები ადამიანის ხორცს ჭამდნენ. დაუვლია ძუძუთა ბავშვისათვის ხელი და გაქცეულა. ბავშვს ტირილი აუტეხია. შეშინებულ დედას ბავშვისათვის ძუძუ მიუცია და სწორედ ამ დროს კავთურაზე გადებულ ხიდსაც მისდგომია. კავთურა ადიდებული მიქუხდა თურმე საცალფეხო ხიდქვეშ, ქალი რომ ხიდზე შემდგარა, ბავშვი უფრო გამწარებულა და დედისათვის ძუძუზე კბენა დაუწყია. ქალს წამოუძახნია: „მოსწი გვარისაო!“ (ე. ი. შენი გვარის მოგდგამსო) და ადიდებულ წყალში გადაუგდია ძუძუთა ბავშვი. ლეგენდა საგულისხმოა ხსენებული ტოპონიმის („კაციჭამია სერი“) გენეზი[illegible]ს გამოსარკვევად, მაგრამ მისი არეალი მარტო წინარეხით არ შემოიფარგლება.

სასურველი იყო ავტორს აღენიშნა, რომ ანალოგიური შინაარსის ლეგენდა საქართველოს სხვა კუთხეშიცაა ჩაწერილი. ერთი ვარიანტი, კერძოდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფ. საროში (ჯავახეთი) ჩაუწერია კ. გვარამაძეს. ამ ლეგენდის თანახმად, სოფ. საროში კაციჭამია ცხოვრობდა. დილით ის ნადირობდა ადამიანზე და საღამოს შინ ბრუნდებოდა. ერთხელ ლამაზი ქალი დაიჭირა, არ შეჭამა და ხასად დაისვა, დაკეტილში ჰყავდა. შეეძინა ვაჟი. როგორღაც კაციჭამიას კარი დარჩა ღია, ქალმა წამოავლო მცირეწლოვან ბავშვს ხელი და გაიქცა, მტკვარზე გადაასწრო. კაციჭამიამ შვილს დაუძახა: „შვილო მამისაო, გასწი გვარისაო“! შვილმა გაიგონა მამის ძახილი და მოინდომა დედის გაჩერება. გამწარებული დედა მოთმინებიდან გამოვიდა, მოიგლიჯა გულიდან მოღალატე შვილი და მტკვარში გადაისროლა („აკაკის კრებული“, X, 1898, გვ. 75—76).

ორივე ლეგენდას, როგორც ვხედავთ, ერთი საფუძველი აქვს. მათი შეპირისპირება ავტორის მსჯელობას მეტ დამაჯერებლობას მისცემდა.

გიორგი შატბერაშვილის „დედის ლექსიკონი“ ჩვენი ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის მშვენიერი შენაძენია. მას ცხოველი ინტერესით გაეცნობა მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ენა და მისი ლექსიკა. და დიდად დასანანია, რომ ჩვენგან ასე უდროოდ წავიდა „ჰაშნიკის“ ავტორი. მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ლექსიკოგრაფიის დარგშიც.

1965 წ.

მწერლის სიტყვა ქართულ

„ნაკადულმა“ ბევრი კარგი გამოცემით გაამდიდრა ჩვენი ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა. ძვირფასი წიგნები შეიქმნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურის აქტუალურ თემებზე. დიდად გაუმჯობესდა მათი მხატვრული და ტექნიკური გაფორმება.

„ნაკადულის“ გამოცემათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მხატვრული ლიტერატურა — კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების თხზულებანი. ამ სერიის საუკეთესო წიგნების წყებას ეკუთვნის გიორგი ლეონიძის ნოველების კრებულიც — „ნატვრის ხე“.

გიორგი ლეონიძემ თავისი ნოველების ამ პირველ წიგნს „გამოუცდელი პროზაიკოსის“ ხელით დაწერილი ვაზფურცელა უწოდა.

მკითხველს ძალიან კარგად ესმის მწერლის თავმდაბლობა და მასთან ერთად გულწრფელად სჯერა, რომ „ნატვრის ხე“ ქართული მხატვრული სიტყვის ჰეშმარიტი ვაზფურცელაა. თუ ვაზი ჩვენი ძველთაძველი მიწის სუნთქვა და ბარაქა იყო და არის (ეს ხომ საქვეყნოდ ცნობილია!), მომხიბლავ ნოველათა ამ შესანიშნავი წიგნის დასახასიათებლადაც ზედგამოჭრილია სწორედ ეს აზრნათელი პოეტური მეტაფორა.

ნოველებში ასახულია მწერლის „ყრმობის მოგონებები“. მკითხველის თვალწინ გაირბენენ ძველი ქართული სოფლის უბრალო ადამიანთა აჩრდილები. ნაჩვენებია მათი ბედი და უბედობა, პატიოსანი შრომა — გარჯა, ცხოვრება, ტრადიციები, განცდები, მისწრაფებანი. მწერალი ღრმად გვახედებს ამ მართალ ადამიანთა სულიერ სამყაროში, გეაგრძნობინებს მათ სუნთქვას, ქმნის დაუვიწყარ სახეებსა და ხასიათებს. გიორგი ლეონიძის ნოველებს კაცი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს. ამიტომ შემთხვევითი არც არის, რომ „ნატვრის ხემ“ მხურვალე გამოძახილი პოვა საზოგადოების ფართო წრეებში. იგი ქართული პროზის ახალი ბრწყინვალე შენამატია.

ნოველების ლიტერატურული შეფასება-ანალიზი ჩვენს მიზანს არ შეადგენს, ამას კრიტიკოსები უკეთესად შეასრულებენ. ამ მცირე წერილში ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ნოველების მხატვრული ენის მხოლოდ ერთ ღირსშესანიშნავ მხარეზე, სახელდობრ ლექსიკაზე.

გიორგი ლეონიძე — ქართული სიტყვის ნაცადი ოსტატი და დიდი მოჭირნახულე — იცავს და განაგრძობს ჩვენი კლასიკური ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებს. მან აღადგინა, გააცოცხლა და გაასპეტაკა ათეულობით მივიწყებული სიტყვა, ასეულობით ნათქვამს ჩაჰბერა ახალი სული, შესძინა მეტი ემოციური ძალა და მხატვრული სინატიფე. გიორგი ლეონიძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მადლიანი ქართული სიტყვის ზეიმია. მის თხზულებებში ვპოულობთ ლექსიკაზე

შემოქმედებითი მუშაობის ნიმუშებს. მწერალი სიტყვათწარმოების მოქმედი კანონების შესაბამისად ქმნის სინონიმთა ხმაშეწყობილ ცალებს, ზმნებისა და სახელების ახალ ფორმებს, სათუთად კრებს ძველი მწერლობის ძეგლებსა და ხალხის სალაპარაკო ენაში მიმობნეულ მარგალიტებს, ავლებს მათ „ლიტერატურული ენის ემბაზში“ და მთელ ამ ლექსიკურ საუნჯეს ისევ ხალხს უბრუნებს. ყოველივე ამას მკითხველი კარგად ხედავს ნოველების წიგნშიაც. აქ ჩვენ ვეცნობით მრავალ ახალ სიტყვას, რომლის მეტი ნაწილი ან სულ არ არის შეტანილი ბეჭდურ ლექსიკონებში, ან ზოგიერთი მათგანი მხოლოდ სხვა მნიშვნელობით არის ცნობილი.

სიტყვა განუზომლად დიდ როლს ასრულებს საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებაში. სიტყვა საგნებისა და მოვლენების, ადამიანის აზრისა და ფიქრის, წარმატებებისა და წარუმატებლობის, აწმყოსა და მომავლის, მთელი ცხოვრების ბგერითი ასახვა-გადმოცემაა. სიტყვა კაცს განუკურნებელ ჭრილობას მიაყენებს, ამავე დროს ყოველგვარ ჭრილობასაც მოუშუშებს. სიტყვა ენის სიმდიდრეა, ცხოვრების სარკეა, ადამიანთა კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის, სულიერი სამყაროს აღბეჭდვაა ბგერითი მოდელით. ენის, სიტყვის შემოქმედი ხალხია. სიტყვას ხალხი ქმნის, თავის უბეში აბარტყებს, აწრთობს, ასაზრდოებს, შთამომავლობას გადასცემს. ამიტომ ამბობენ ხალხში: „ენა გულის მოციქულიაო“, „ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო“, „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველებაო“...

მწერალს სძულს ყოველგვარი ავსიტყვაობა, ე. წ. მწარე სიტყვა, ტყუილი. იგი მთელი ხმით, გულწრფელად უმღერის ტკბილ, მართალ, საალერსო სიტყვას. გ. ლეონიძის ერთი ნოველის პერსონაჟი — მაიკო — გმობს ბოროტსიტყვაობას და ყოველ ნათქვამს დედობრივ სითბოს ანიჭებს. პირადად მაიკოს მეტყველება აღსავსეა უბრალო, აზრცხადი, ცოცხალი სიტყვებით, რომლებიც ყმაწვილს გულს უწრთობენ, ნებისყოფას უმტკიცებენ, ვაჟკაცობას უნერგავენ, ადამიანსა და ქვეყანას აყვარებენ. მაიკოს მეტყველებაში გაისმის არა მლიქვნელური ჭარტალი და უგულო მიეთ-მოეთი, არამედ ჭაბუკის დედობრივი დალოცვა, კეთილისაკენ მოწოდება. დედის საალერსო სიტყვებში ჩაქსოვილია ნათელი აზრი: გიყვარდეს მშობელი ხალხი, გარჯა, თავისუფლება, გძულდეს ბოროტება, უვიცობა, იყავ მართალი და უშიშარი, ღიმილით შეხვდე მთელი შესაძლებლობა, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც კი, ხალხის სანუკვარი მომავლისათვის ბრძოლას, შეისწავლე, დაიცავი, განავითარე მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვარი.

მაიკო ტიპობრივი სახეა ქართველი დედისა. მისი საალერსო სიტყვები მოკრძალებითაა ამოკრებილი ხალხის სალაპარაკო ენის საუნჯიდან. მართლაც, დასანანია, რომ ამ სამახსოვრო სიტყვებს დღეს ნაკლე-

ბად იცნობენ ჩვენი ახალგაზრდა დედები. თუმცა ეს არც საკვირველია, რადგან მათ საერთოდ იშვიათად ხმარობენ და რატომღაც ადვილად ივიწყებენ, ამასთან აღსანიშნავი ისიცაა, რომ მათი მეტად უმნიშვნელო ნაწილია აღბეჭდილი ჩვენს ლექსიკონებში. „რა იქნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში? — კითხულობს გულისტკივილით მწერალი, — რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად გაეიძარცვენით, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ? რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, შვილებსა და შვილიშვილებს? რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ, ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს თბილი მდედრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა ქართველმა დედებმა? — მე სწორედ მათ საგულისხმოდ ვწერ ამასო“, — დაასკვნის გიორგი ლეონიძე.

შესანიშნავადაა ნათქვამი! ვერაფერს დავუმატებთ. მწერლის გულისტკივილის მიზეზი ჩვენი ახალგაზრდობის სალაპარაკო ლექსიკის სიღატაკეა. ამიტომ სახალხო მგოსნის ამ მსჯელობას უსათუოდ ფართო შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მას ღრმად უნდა ჩავუკვირდეთ.

მწერალი ქებათა ქებას უმღერის ქართულ სიტყვას, მივიწყებულ საუნჯეს აცლის მიყრილ მტვერს, სულს უდგამს და შემოაქვს სალიტერატურო ენაში. ყოველივე ეს ბუნებრივად ეგუება ნოველების იდეურ-თემატიკურ შინაარსს, ავტორისა და პერსონაჟთა დიალოგების საერთო ტონს, მოტივების, სიტუაციების, პასაჟების აღწერის ზოგად ასპექტს.

ნოველა „ფუფალაში“ აღწერილია ასეთი დამახასიათებელი სურათი: „ზედ გზაზე, ღობესთან, დიდი ფშატის ძირას, — სოფლის არეოპაგზე, იჯდა ქალთა სინედრიონი. თვალყებედი ჰორელები ქაქანებდნენ. რამდენი ენაც კი არსებობს ამ ქვეყანაზე, სულ აქ იყო შენაჯგუფარი: ენამძლე, ენაგესლი, ენაქლარცი, ენამორბედი, უკლიტო ენა, ენამუხლმალი, ენა გაბნეულ-გამობნეული, სახრიკო ენა, ენამრე, ენაწყალინაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა... ორკაპა ენა, ენატლეკია, ენაჭრიჭინა“...

რამდენი უცნობი ან ნაკლებცნობილი სიტყვაა აქ ერთბაშად ხმარებაში შემოტანილი! ასეთი ადგილები წიგნში ჩვეულებრივია. აი, კიდევ, თუნდაც, ერთი ნაწყვეტი, სადაც მოცემულია პერსონაჟის მჭევრმეტყველების თავისებური დახასიათება. „განთქმული იყო ღვინჯუას გლეხური მჭევრმეტყველება... სიტყვის ჯახრაკები იცოდა, ამოძრახულ სიტყვას კილოს უპოვნიდა, ხან ისე დააღრმავებდა სიტყვას, გაჰკვირდებოდი! ენადკარგი იყო, არ იცოდა ენით მოფინფვლა! მაამე-

ბელი არ იყო; სიტყვის შოზარბაზნეც არ გახლდათ! არ უყვარდა მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი! — სიტყვა ვთქვათ, ხალხი დავაძარღვიანოთო!“..

ლეონიძისეული სიტყვათწარმოქმნის საფუძველი ქართული ლექსიკის უძველესი ინვენტარია. მის ნოველებში ვპოულობთ მოკვეთილ ნეოლოგიზმებს, რომლებიც ამშვენებენ როგორც თვით მწერლის, ისე პერსონაჟთა ქართულს. ივრის ზვირთებს გ. ლეონიძე ასეთი ეპითეტებით ამკობს: „ისევ ივრის ლაჟვარდული ჩაღიმილება... მიყვარდა ივრის ბროლნამსხვრევი, დაიისფრებული ზვირთები“; „ივრის თვალსამოთხე ნაპირები — ალაგ ქვიშრობში გამონაყური ფშებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო“... მწერლის სიტყვა-თქმაში ოსტატის ხელითაა ჩართული ახალი მარტივი და რთული სიტყვები: „ქუდბედი („დარჩა თაღრია უქუდბედოდ“), ტაშგოგონა („გარშემო ლხინი, ტაშგოგონა, სიცილი“...), ბერიქალა („გზაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა“), ბერდედა („წარმოსთქვა უმერყეო ბერდედამ“), წამიეთი („მართლაც, წამიეთია, წუთის ქვეყანაა“), პირსიცილი, პირბალიშა („წამოედავა პირსიცილით ყელმძივიანი ქერა გოგო პირბალიშა“), მოშავფენება, ცისქცევა („მწუხრის მოშავფენებამ იმატა, სივრცე გაკუპრდა, ცისქცევა, უცნაური კრჩხიალი, ბაგუნი და ზრიალი აყრუებდა ყოველივეს“), ცხენფრენა („ცხენფრენით წავიდნენ სტუმრები“), პურტკბილობა („არ ჩაამწაროს პურტკბილობა“), მზეტანი („ნაკვერჩხალმა მოსჭუსხა, მოსწვა, მოთუთქა პატარძლის მზეტანი“), მოერთჯამენი („ყვიროდნენ ქათათას მოერთჯამენიც“), ჩამოძაფვა („დრო ჩამოიძაფა“), თოვლეთი („თოვლეთური ქარიშხალი მთებზე ჰკიოდა“), მოქვეშვა („რაღაც დარდებმა მოიქვეშია“)...

გიორგი ლეონიძე ხალხური ენის კილოზე მართავს ეპითეტურ გამოთქმებს და გვთავაზობს ბუნებრივ ადიექტურ წყვილებს. წუნს აბა ვინ დასდებს ამისთანა ეპითეტურ სიტყვათშეერთებებს: „გულის ნაცეცხლავი“, „დაბუჩქებული ქოჩორი“, „აყოჩებული სიმინდი“, „ბროლნათელა პატარძალი“, „გულნაზუქა დიასახლისი“, „დანართვილარი გული“, „ნამცდარი ოცნება“, „შავმუჯა მიწა“, „ქარფეხა ცხენი“, „ღიმცისკროვანი ყვავილი“, „ჩანაბასრი სიტყვა“, „ლომდარი იორი“, „შუქელვარა დილა“... ამისთანა მართული და შეთანხმებული მსაზღვრელები ლეონიძის თხზულებებში მხატვრული გამომსახველობის მწვერვალს აღწევენ.

მწერალს განსაკუთრებით უყვარს ეპითეტად წინავითარების ადე-

ექტივთა გამოყენება „ნა“ პრეფიქსით, რაც განსაკუთრებით აზრტევადია გარდასული ამბების გადმოცემისას (ნაენავი, ნაეზოვარი, ნაკედლარი, ნაქარალი, ნაოხარი, ნაგონარი, ნაპალატევი, ნაკოშკარი, ნაწყროვალი, ნარუალი, ნაჯაფარი...).

წიგნში პირველადაა დამოწმებული ათეულობით სრულიად უცნობი ან ნაკლებადგავრცელებული ონომასტიკური ტერმინი — ქალ-ვაჟთა საკუთარი ან შერქმეული სახელები (თიკუნები), რის ტრადიციაც უხსოვარი დროიდანაა დამკვიდრებული ხალხში, მაგრამ არც ერთ ლექსიკონში არ ასახულა. ამიტომ სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ძვირფასი ლექსიკური მასალაა ხალხური სიტყვა-პასუხის სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა გასათვალისწინებლად.

ნოველებში შეტანილი მდიდარი ონომასტიკური სიტყვარიდან აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს.

ქალთა ნამდვილი და შერქმეული სახელები (თიკუნები): ქეთე, მაისა, მარადია, ფუფალა, ნინორე, ტაშდარიკო, გურანა, ნიტრია, ზეცურა, ლექსურა, თოთოშა, თაშნეურა, ფერანა, ხვაშაქი...

ვაჟთა საკუთარი და მეტსახელები: ჩალხია, ჯანზურაბი, ყადორი, ჭამპურა, შაბაშელა, ანთა, ჩირიკი, ბეცია, ჯარდანი, კოტოშა, ლაგაზი, ყოტალა, ქაჩა, რეხვია, ბირხლა, ხვედია, აზარია, ღრინჭოლა, ყიჭლა, თარიმანი, ჯიმშიტა, წიპრუა, ბაჭყურა, რუმბია, ლაჩინა, ზაქუტა, ოდოჭა, ქვიშრაფა, ტიტლია, ციცლიბა, ბოყო, ციციკორე, ჩიტურა, გვიტია, ტუხა, როსტია, ბათულა, ბახა, ყოტა, ბოხვერა, ჩორეხი, ფორე...

ყველა ამ სიტყვას თავისებური წარმოშობა და მეტად საინტერესო ეტიმოლოგია აქვს.

წიგნში ასევე შეტანილია მცენარეთა (კოკროჭინა, ოქროშვინდა, ხაჩიჭორა, ფურფუშელა, ღრინჭოლა, ფამფარა, შალგა, ღვია, სოსანი, სვია, ღიღილო...), ფრინველთა (წითელჩიტა, ჯიხოლა, მისხლა, შიშიმჭრალა, ტარბი...) და მუშა პირუტყვის (ჯვარელა, მირშა, შავთვალა, მარცვალა, ღვინია, ორბია, შინდა, ლაღა...) სახელწოდებათა მდიდარი კოლექცია.

ახალი სიტყვები ერთნაირადაა დამოწმებული როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ისე ავტორის რემარკებშიაც.

ცოცხალი მეტაფორები, მოხდენილი და გემოვნებით შერჩეული შედარებანი, სხარტი სინტაქსური წყვილები, აფორისტული სიტყვა-თქმანი, — აი, რა ამშვენებს გიორგი ლეონიძის თხზულებებს. გაწვიმდა მწერლის ენით გადმოიცემა ასე: „ცის ნაჟური დაგვეცა თავზე“, „როსტომი ზურაბსა სტირის“... გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა — „მისი სულის დროშა ძირს დაეშვა“, „მიწამ მოიკითხა“... მ ო ხ უ ც დ ა — „გულს მყინვარი შეეპარა“... დ ა ი თ რ ო — „მალე დაღვინიანდა“...

ლეონიძისეულ ფრაზა-წინადადებაში ყოველი სიტყვა თავის ადგილს

იჭერს, მარჯნის თვალივითაა ჩასმული და, როგორც იტყვიან, ისეა იქ მორგებული, რომ წერაქვითაც ვერ ამოაგდებ. მკითხველი ადვილად ითვისებს მწერლის ნათქვამს, კარგად გრძნობს მისი როგორც სიტყვის, ისე ფრაზა-წინადადების მახვილს, ფრაზის ემოციურ-ესთეტიკურ ძალას.

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო!“ — ამ მშვენიერი აფორიზმით იწყება ნოველების წიგნი. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს: „ეს პატარა წიგნი, — ჩემი ყრმობის მოგონებებია. მაშინდელი განცდილი, დანახული ქართულ სოფელში. მინდა მკითხველს გავუწოდო, როგორც სახილე ტაბაკი თუ ხახალი და მით ჩემი ბავშვობის მოგონებათა ხილი მივუწოდო. კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე. ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა!..“

მშობლიურ მდინარეზე მწერალი ამბობს: „იორზე, ვენახში დიდი ჰერამი გვედგა, — შებუთქული და დახუნძლული“, „იორი კი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო“...

ნოველებში ჩვეულებრივია აფორისტული სიტყვაობა: „მომხიბლავი იყო თავანკარა, დათავთავებული, მზით ამოვსებული მაძღარი ყანა, ცხრაფრად რომ ლივლივებს ნიავის შექროლებაზე“; „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან“; „ირემმა ირემს ბალახი მიუშვირაო, განა თუ გაკლიაო“; „სადაც ნემსს შესდებს, სახნისს გამოიღებსო“; „დაჭრილობა და ჭირნახულობა სჯობია ტყუილად ხეტიალსაო“; „კარგი ქვა კედლიდან არ გამოვარდებაო“; „ზღვასა ხნავს და ქვიშას თესავსო“; „ფათერაკი მწყერის ფერია, უცბად წინ ამოგიხტებაო“; „წყალი თუ აიმღვრევა, კამეჩიც აღარ დალევსო“; „დეიდას დედის სუნი ასდისო“; „დედის ხსენება რაც ჩაჰყვება, სულს ის ამოჰყვებაო“; „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნაო“... ავტორთან ერთად ამისთანა აფორიზმებით ბაასობენ ნოველათა პერსონაჟები — ძველი ქართული სოფლის უბრალო ადამიანები.

გიორგი ლეონიძის მხატვრული ტალანტი საზრდოობს ჩვენი ენის ამოუწყავი საუნჯით. „ნატვრის ხე“ — ნოველების მშვენიერი კრებული — ამის უტყუარი საბუთია. ამიტომ უყვარს მკითხველს მწერალი და მისი სიტყვა ქართული.

1962 წ.

ქართველურ ენათა პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონი

მოსკოვიდან მივიღეთ ძვირფასი საჩუქარი: ეს არის ახალგაზრდა რუსი მეცნიერის გ. ა. კლიმოვის საყურადღებო წიგნი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი" (Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964), რომელიც გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.

ამ წიგნს დიდი ინტერესითა და გულითადი მადლობის გრძნობით გაეცნობა ჩვენი საზოგადოებრიობა. უხვი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა, ერცელი სამეცნიერო ლიტერატურის მოწმობანი, გაბედული განზოგადებანი და ფრთხილი დასკვნები, — აი, უწინარეს ყოვლისა რას ხედავს მკითხველი ამ წიგნში. ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია ქართველურ ენათა უაღრესად რთული ფონეტიკური სისტემა და გრამატიკული წყობა, შედარებითი მეთოდით შეუჯერებია ამ ენათა მდიდარი ლექსიკა, თავისებურად გაუანალიზებია ასეულობით სიტყვა და მოუცია მათი ახლებური ეტიმოლოგია. ავტორი ამჟღავნებს ფართო ენათმეცნიერულ ერუდიციას, განსწავლულობას. მშვენივრად იცნობს იგი ძველ ქართულ წყაროებს, სვანურსა და მეგრულ-ჭანურ მასალებს, ქართველურ ენათა დიალექტური სამყაროს მონაცემებს.

მკვლევარს საკუთარ დაკვირვებებთან ერთად გამოუყენებია საგნის სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე. წიგნში დამოწმებულია ქართველ, რუს და უცხოელ მეცნიერთა თითქმის ყველა ძირითადი ნაშრომი, რომელიც ასე თუ ისე ეხება ქართველურ ენათა ლექსიკის საკითხებს. მასალების სიუხვითა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების კეთილსინდისიერი გამოყენებით წიგნი პირდაპირ სამაგალითო შთაბეჭდილებას ტოვებს.

მრავალ მეცნიერს მოუცია ქართული ლექსიკის ცალკე ნიმუშებას ეტიმოლოგიური ანალიზი. ქართველურ ენათა ლექსიკის ეტიმოლოგიური ძიების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო მარის ადრინდელ მიგნება-შენიშვნებს, რომლებიც გაბნეულია მეცნიერის მრავალრიცხოვან ნაშრომში. ამჟამად ეტიმოლოგიურ ძიებას ჩვენში ახალი იმპულსი მიეცა და ის ახალ მეთოდოლოგიურ საყრდენებს ემყარება. საკმარისია კაცმა გაიცნოს მარტო ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ს. ყაუხჩიშვილის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვათა ნაშრომები, რომ მას გარკვეული წარმოდგენა შეექმნას ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ფართო მასშტაბზე ჩვენში. დანერგილია მშვენიერი ტრადიციები, შექმნილია მიმართულების მომცემი სპეციალური ლიტერატურა, მოგვეპოვება ქართველურ ენათა ასეულობით სიტყვის გონებამახვილური ეტიმოლოგიაც, მაგრამ

ერთი განმაზოგადებელი ნაშრომი — ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი — ჩვენ აქამდის მაინც არ გვქონია.

გ. ა. კლიმოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა მოგვცა ასეთი ლექსიკონი, ის არის ავტორი ქართველურ ენათა პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონისა.

მცირე წერილში შეუძლებელია გ. ა. კლიმოვის ეტიმოლოგიური ძიების შედეგების აღნუსხვა-გადმოცემა, თუნდაც შემოკლებული სახითაც კი. ამას დასჭირდებოდა რამდენიმე სპეციალური სტატია. ამიტომ ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ წიგნის უმთავრეს მეცნიერულ ღირსებაზე.

ლექსიკონს უძღვის ვრცელი შესავალი (გვ. 3—40), რომელშიაც გადმოცემულია ძირითადი ცნობები ქართველური ენების გავრცელების, წერილობითი წყაროების, თავისებურებათა, ფონეტიკურ და გრამატიკულ-ლექსიკურ შესატყვისობათა, სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ. ახალი თვალსაზრისითაა განხილულ-შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში ძველად გამოთქმული მოსაზრებანი. ავტორი მართებულად აშუქებს ქართველური ენების ბუნებას, ზოგად თავისებურებებსა და ნათესაობას. შესავალი სწორ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ამ ენათა სტრუქტურასა და შესწავლის მდგომარეობაზე. აქვე ლაპარაკია აგრეთვე ენის ახალი ტიპის ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენის ზოგადსა და კერძო პრინციპებზე. ყოველივე ამის გამო შესავალს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს.

სპეციალურ ეტიმოლოგიურ ძიებას ეთმობა წიგნის ცენტრალური ნაწილი (გვ. 41—270). გარჩეულია ასეულობით სიტყვა, რომელიც დოკუმენტირებულია წერილობითი წყაროებიდან. ამ მიზნით გამოყენებულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, მეგრულ-ჭანური და სვანური მასალები. ფაქტები დამოწმებულია მეცნიერული სიფრთხილით, ხოლო მასალა შერჩეულია გემოვნებით.

ცალკე სიტყვათა ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე ავტორი აღადგენს ზოგადქართულ ფუძეებს და გვაჩვენებს მათ ვარიაციებს, რასაც, მისი ჰიპოთეზით, ადგილი უნდა ჰქონოდა ე. წ. ქართულ ფუძენაში. მიღებული დასკვნები ყოველთვის დამაჯერებელი არა ჩანს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ხაზგასასმელი ისაა, რომ თავისი დასკვნების დასასაბუთებლად ავტორს მოშველიებული აქვს ფრიად მდიდარი, ნაირფეროვანი და სანდო მასალა, მოცემულია გაბედული ცდა ამ მასალის ახალი თვალსაზრისით ახსნისა. ეს კი წიგნის უეჭველად დიდ მეცნიერულ ღირსებაზე მიუთითებს.

მაგალითად, უეჭველად სარწმუნოა ავტორის დაკვირვება ვარგ სიტყვაზე. ამისი ძირი, მისი დასკვნით, არის (ვ)რგ, რაც ემთხვევა მეგრულ-ჭანურ რგ და სვანურ მარგ-ს (გვ. 81). ის ფიქრობს, რომ სვა-

ნური გახმოვნება სიტყვისა ისტორიულად ქართულს უკავშირდება.

ასეთი ძიების გზით მკვლევარი ცდილობს გვაჩვენოს ქართველურ ენათა ე. წ. ფუძეენის ლექსიკური ფონდის თავისებურებანი.

მშვენივრად არის გაანალიზებული დედა, დედამთილი, დედალი, დიდი, დრეკა (დრეკ, დრიკ, დერკ), დღე, კაკაბი, კაკალი, მწყემსი, მჯიღი, მხალი, მჭლე, ფიცი, ფქვა, ღორი, ღრმა, ძიგძიგი და მისთანა სიტყვები.

წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია რუსულ, ქართულ, სომხურ და დასავლეთ ევროპის ენებზე, ძირთა საძიებლები. სამეცნიერო აპარატი აადვილებს წიგნით სარგებლობას.

გ. ა. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი" ძვირფასი წვლილია ამ ენათა ლექსიკის შესწავლაში.

გ. ა. კლიმოვს ჩვენ მარტო ამ ერთი ნაშრომით როდი ვიცნობთ. იგი ავტორია სხვა აგრეთვე არანაკლებ საყურადღებო ნაშრომისა ქართველურ ენათა შესახებ. მისი სახით ჩვენ გვყავს ქართულისა და ქართველური ენების ერთი შესანიშნავი, ბრწყინვალე მომავლის მჭონე მკვლევარი.

ვუსურვოთ ახალგაზრდა მეცნიერს მორიგი წარმატებანი თავის ფრიად კეთილშობილურ საქმეში.

1964 წ.

ქართული ლექსიკა რუსულ ენაში

ქართული ლექსიკის ნიმუშები ბევრ ენაშია შესული და დამკვიდრებული ხალხის ყოფაში. ადამიანთა კონტაქტების, სალიტერატურო და ეკონომიურ ურთიერთობათა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლის, თარგმანების, მიწერ-მოწერის, ვაჭრობისა და ეკონომიურ ურთიერთდამოკიდებულებათა წყალობით ათეულობით ღვიძლი ქართული სიტყვა გავრცელდა სხვა ენებში. ბორჯომი და წინანდალი, ჭინძმარაული და ტვიში, ენისელი და ვარციხე, ორერა და ცერული, მარანი და სტვირი, ღვინო და ჩონგური... დღეს ათეულობით ენაზე არსებულ პერიოდულ გამოცემებში ერთნაირად ჟღერს. ამიტომ ცალ-ცალკე უნდა იქნას შესწავლილი არა მარტოოდენ უცხოური ლექსიკა ქართულ ენაში, არამედ ქართული ლექსიკაც უცხოურ ენებში.

ისტორიულ გარემოებათა მეოხებით ქართული ლექსიკა ყველაზე მეტად რუსულ ენაში გავრცელებულა. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ქართული სიტყვის ნიმუშები სულ უფრო მეტად და მეტად იკიდებს ფეხს რუსულ ადგილობრივ მეტყველებასა და სამწერ-

ლო ენაში. ამიტომ ბუნებრივია ის მეცნიერული ინტერესი, რასაც იწვევს პრობლემა რუსულ ენაში ქართული ლექსიკის შესვლისა და დამკვიდრების გზების შესახებ. ეს პრობლემა რამდენიმე მკვლევრის ძიების საგნად იყო გამხდარი ჯერ კიდევ ადრე, რევოლუციამდე, და მას არც უკანასკნელ ხანებში მოჰკლებია ინტერესი, მაგრამ ყველაზე შედეგიანი მაინც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი გოლეთიანის, დაკვირვებანი აღმოჩნდა. ამჟამად ხელთა გვაქვს გ. გოლეთიანის ფრიად საინტერესო წიგნი „Грузинская лексика в русском языке“ (1972 წ.) და საშუალება გვეძლევა შედარებით სრულად წარმოვიდგინოთ რუსულ ენაში ქართული სიტყვების შეღწევის გზები, წყაროები, თვით ფონდი ამ სიტყვებისა და ძირითადი თემატიკური რკალები.

წიგნი ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის და არსებითად ლექსიკონს შეადგენს იმ სიტყვებისას, რომლებიც დღეს რუსულ მეტყველებასა და შესაბამის წყაროებში გვხვდება. ავტორის დაკვირვებები, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა ცენტრალურ ორგანოებში («Правда», «Известия», «Комсомольская правда», «Огонек», «Крокодил», «Здоровье»), რუსულ რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში («Заря Востока“, „Вечерний Тбилиси“, „Молодежь Грузии“, „Литературная Грузия“) წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალებს. ზოგიერთი რუსი მწერლის (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ი. პოლონსკი, მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, ნ. ტიხონოვი, ი. ერენბურგი, კ. პაუსტოვსკი, პ. პავლენკო, ა. ანტონოვსკაია, კ. ფედინი, ვ. გოლცევი, ბ. ჩორნი, ლ. ლეონოვი...) თხზულებებს, თარგმნილ მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურას.

ლექსიკონში შეტანილია რუსულ ენაში ჯერ კიდევ ადრე დამკვიდრებული და შესაბამის განმარტებითს ლექსიკონებში აღბეჭდილი ქართული სიტყვები (მაწონი, ჩახოხბილი, ბორჯომი...); აქვეა ფართოდ გავრცელებული ქართული სიტყვები, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ ადგილი რუსულ ლექსიკონებსა და ცნობარებში (სულგუნი, საცივი, ჩურჩხელა, საირმე...); დამოწმებულია აგრეთვე მოძველებული (აზნაური. მოურავი, თავადი...), ნაკლებპოპულარული (შუშხუნა, საოჯახო, კრწანისული...) და სხვა ენებიდან ქართულში შემოსული სიტყვები (აზარფეშა, ჯამი, კულა...). წიგნში ადგილი ეთმობა ქართულში სხვა ენებიდან შეთვისებულ ისეთ სიტყვებს, რომლებიც რუსული ენის ლექსიკონებშიაც გვხვდება, ოღონდ სხვა მნიშვნელობით და ა. შ.

მთელი სიტყვარი 1300-ზე მეტ ერთეულს შეიცავს, დალაგებულია თემატიკურად და დოკუმენტირებულია შესაბამისი ტექსტებიდან ამოწერილი ფრაზა-წინადადებებით. წიგნის პრაქტიკულად გამოყენებას აადვილებს თანდართული საძიებელი.

ლექსიკური ერთეულები განლაგებულია თემატიკურ რკალებად. სულ გამოყოფილია 35 ამისთანა რკალი, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: 1. ყურძნის ჯიშები (ალადასტური, ბუდეშური, ჩხავერი, შავკაპიტო...); 2. მევენახეობასთან დაკავშირებული სიტყვები (დაბლარი, მაღლარი, გასხვლა, რთველი...); 3. ღვინის, არაყის, კონიაკის სახელწოდებები (არგვეთი, ანაგა, ახმეტა, ვარძია...); 4. ხილის ხეები (ალიბუხარი, კეხურა, ღოღნოშო, ჭანჭური...); 5. პურეული (ღომი, დიკა, დოლი, ზანდური, მახა, თავთუხი...); 6. კერძები, პროდუქტები (არტალა, ბოზბაში, ჯიჯილაყა, ქადა, კვერი...); 7. მწვანილი და ბოსტნეული (ქინძი, ქონდარი, პრასა, ტარხუნა, წიწმატი, ჭლაკვი...); 8. მცენარეები (ასფოთელა, ბუდრა, ძელქვა, ასკილი...); 9. სიმღერები, სამუსიკო ტერმინები (ალილო, ალიფაშა, ამოდუღდი, იავნანა, ბანი, გვრინი, ძნობი, ინდი-მინდი, კრიმანჭული, ლილე, მრავალჟამიერი, მთიბლური...); 10. ცეკვები (არირა, განდაგან, ბაღდადური, დავლური, ქართული...); 11. მინერალური წყლები (ბოლნისი, ბორჯომი, ჯავა, ზვარე, ლუგელა, მენჯი, ნაბეღლავი, საირმე, სკური, ცაიში, უწერა...); 12. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები (ჯღანი, დოლბანდი, კაბა, დურა, ყაბალახი, ყაბაჩა, ქალამანი, მანდილი...); 13. საოჯახო ნივთები (გობი, გოდორი, ჯინი, ჯორკო...); 14. სოფლის მეურნეობის ტერმინები (ანეული, აპეური, ტაბიკი, არნადი, აჩაჩა, გამარგვლა. გამოროდება, გუთანი, გუთნისდედა...); 15. სადგომი, ნაგებობა, ბინა (გომი, სახლი, დარბაზი, ბანი, დედაბოძი, სარკმელი, ერდო...); 16. ფრინველი, თევზი (ორბი, ფიჩხული, ხრამული, ცოცხალი...); 17. სალიტერატურო და სამეცნიერო ტერმინები (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული, ხუცური, კაფია, მესტვირული, ჩახრუხაული, შაირი...); 18. სუფრასთან დაკავშირებული ტერმინები (ნადიმი, პურ-მარილი, სამხარი, თამადა...); 19. წეს-ჩვეულებები (აგუნა, ბოსლობა, გიორგობა, შოთაობა, ილიაობა, კვირიკობა, ლაზარობა, ლაშარი, ოჩხარი, ხატობა, უსანეთობა, წაწლობა...); 20. ზომა-წონის ერთეულები (ადლი, დღიური, კოდი, კოკა, ქცევა, ლიტრა, თუნგი, ჩაფი, ჩარექა...); 21. სამხედრო ლექსიკა (ბოძალი, გორდა, დამბაჩა, მაშახელა, სადროშო...); 22. დოკუმენტების, წიგნთა სახელწოდებები (გუჯარი, დასტურლამალი, კალმასობა, ქართლის ცხოვრება, კარაბადინი...); 23. წოდებათა სახელწოდებანი (ბატონი, გლეხი, დიდებული, ყმა, თავადი, ხიზანი, ხევისბერი, ერისთავი...); 24. სპორტი (ჯირითი, ისინდი, ლელო, მარულა, ჭიდაობა, რიკი, ლახტი...); 25. სხვადასხვა (ბატონო, ბეჩა, ბიჭო, ვაშა, გამარჯობა,

გენაცვალე, იმე, ქალბატონო, კაცო, ტაში, თქვენი პირიმე, შენი კვნესამე...)...

ჩვენ აქ განგებ ჩამოვწერეთ მოკლე ნუსხა რუსულ ენაში შესული ქართული სიტყვების თემატიკური რკალებისა. ამით გვინდა მკითხველს ვაჩვენოთ ის ფართო წრე ჩვენი ენის სპეციფიკური ბგერითი მოდელებისა, რომელთაც გზა გაიკვლიეს საერთოდ სხვა ენებში და პირველ რიგში ისეთი უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაში, როგორიც რუსულია.

ამ თემატიკური რკალების მასალა მოწმობს, რომ იგი სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებითაა გავრცელებული. ყველაზე მეტად ეს სიტყვები ქართული სალიტერატურო, საისტორიო, მემუარული, ეკონომიური, ეთნოგრაფიული თუ სხვა დარგის თხზულებათა რუსულ თარგმანებში გვხვდება.

ბევრი ქართული სიტყვა უხმარიათ თავიანთ ქმნილებებში ლერმონტოვსა და ტოლსტოის, გორკისა და მაიაკოვსკის, ტიხონოვსა და პაუტერნაკს, ანტონოვსკაიასა და ანდრონიკოვს; შ. რუსთაველისა და ს.-ს. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის, ა. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის, კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილისა და ტ. ტაბიძის, ი. აბაშიძისა და დ. შენგელაიას, გრ. აბაშიძისა და ს. შანშიაშვილის, ხ. ბერულავასა და ი. ნონეშვილის თხზულებათა რუსულ თარგმანებში; ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, დ. კაპანაძის, კ. დონდუას, გ. ჩიტაიას, ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის ნაშრომების რუსულ გამოცემებში, რევოლუციამდელ ადგილობრივ რუსულ ორგანოებში („Кавказ", „Материалы по опис. местностей и племен Кавказа"...); თანამედროვე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებიც საქართველოში გამოდის, ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები ჩვეულებრივ ან მეტ-ნაკლებად იხმარება.

მართალია, ამ მდიდარი ფონდიდან ჯერჯერობით უმნიშვნელო ნაწილია აღბეჭდილი რუსულ განმარტებითს ლექსიკონებში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ეს ნაკლი თანდათანობით გამოსწორდება.

გ. გოლეთიანს უეჭველად დიდი შრომა გაუწევია. გულმოდგინედაა შეჯერებული უხვი წყაროები. აღნუსხულია თითქმის ყველა ქართული სიტყვა, რაც კი ზემოხსენებულ წყაროებში გვხვდება. გამოვლენილი და გაცხრილულია მრავალფეროვანი მასალა.

ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, პატივისცემით იმოწმებს სპეციალურ ლიტერატურას, არ ივიწყებს წინამორბედთა ღვაწლს. ბეჭდურთან ერთად თავთავის ადგილასაა მითითებული გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც. მაგ., თავის ადგილასაა მოხსენებული დოც. ტ. ნ. შადურის ნაშრომი «Грузинская лексика в русской литературе пер-

вой половины XIX века», რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გამოცემული.

გ. გოლეთიანის წიგნი ცხოველ ინტერესს იწვევს თავისი მასალითა და შინაარსით. მას ხალისით გაეცნობიან არა მარტო სპეციალისტები, არამედ მკითხველთა ფართო მასებიც. ამ ნაშრომის გამოცემით ნამდვილად სასარგებლო საქმე გაკეთდა.

უთუოდ მშვენიერი წიგნი ჩვენს ორიოდე ტექნიკური ხასიათის შენიშვნას იწვევს. ასეთი შინაარსის ნაშრომის უნაკლოდ შედგენა, ცხადია, შეუძლებელიც იყო, რადგან ავტორს წინამორბედი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ ჰყოლია, თავად მოუხდა ყამირის გატეხაც, მასალის დალაგებისა და კვალიფიკაციის პრინციპების ჩამოყალიბებაც.

პირველ ყოვლისა, ჩვენ გვგონია, რომ ამ წიგნში ტოპონიმების შეტანა აუცილებელი არ იყო. ჯერ ერთი, ტოპონიმი ნასესხებ სიტყვად ვერ მიიჩნევა; შემდეგ, აქ დამოწმებულია მხოლოდ რამდენიმე ტერმინი, რაც მეტად მცირე ნაწილია იმ ქართული ტოპონიმებისა, რომლებიც რუსულ წყაროებში გვხვდება. თუ ავტორს სურდა ქართული ტოპონიმების რუსული მართლწერის ჩვენება, მაშინ აქ რუსული წყაროებიდან ცნობილი უველა ქართული ტოპონიმი უნდა დაესახელებინა. ზედმეტად გამოიყურება კალკირებული სიტყვებიც. მაგალითად, «Грузинский чай» კალკია „ქართული ჩაისა“ და არა ქართული ტერმინი. ამიტომ იგი არ მიიჩნევა ქართულიდან რუსულ ენაში შესულ სიტყვად. ეგეთ უნდა ითქვას ამისთანა გამოთქმებზე: абашская желтая (აბაშის ყვითელი), аджаметская белая (აჯამეთის თეთრი), гегутская желтая (გეგუთის ყვითელი), клен грузинский (ქართული ნეკერჩხალი), плющ колхидский (კოლხური სურო), самшит колхидский (კოლხური ბზა), грузинская пчела (ქართული ფუტკარი) და მათი ტიპის ერთეულებზე. ესენი ქართული შესაბამისი სინტაგმების კალკებია და სპეციალური დანიშნულების წიგნში ადგილი არ უნდა დათმობოდა. თუ მაინცადამაინც მათ ავტორი ვერ შეელეოდა, მაშინ სათანადო შენიშვნები უნდა გაეკეთებინა. საერთოდაც აქ დამოწმებული მასალა რამდენადმე დასახვეწია.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. წყაროთა დამოწმებაში დაცული არ არის ერთი წესი: ზოგი სიტყვა ზუსტადაა დამოწმებული, ზოგის წყარო კი ძნელად მოსაძებნია. ზოგჯერ დასახელებულია მხოლოდ ავტორი იმ თხზულებისა, საიდანაც ესა თუ ის სიტყვაა ამოღებული, მაგრამ ნაჩვენები არ არის თავად თხზულება და მკითხველს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შესამოწმებლად მწერალთა თხზულებების მთელი ტომების ფურცვლა უხდება. მაგალითად, иав-нана (იავ-ნანა), чемо гуло, чемо тао (ჩემო გულო, ჩემო თაო)

სიტყვებს წყაროდ მიწერილი აქვთ „Борис Черный“; ასევე цхенисдзудзу (ცხენისძუძუ), маглари (მაღლარი), кумели (ქუმელი), соинари (სოინარი), самая (სამაია), кабача (ყაბაჩა) და მისთანა სიტყვებს წყაროდ მიწერილი აქვთ: „К. Гамсахурдиа, Давид Строитель“. კერძოდ, კ. გამსახურდიას აქ დასახელებული რომანი ოთხტომიანია და მკითხველს ამოდენა ტექსტის მთლიანად გადასინჯვა დასჭირდება, რომ იპოვოს ის ადგილი, სადაც ეს სიტყვებია ნახმარი. ზოგიერთ სიტყვას უბრალოდ მწერლის გვარი აქვს მიწერილი და არა მისი თხზულება. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, инкали (ხინკალი) — მიწერილი აქვს „Н. Тихонов“; саперави (საფერავი) — მიწერილი აქვს წყაროდ „Гр. Абашидзе“; сагзали (საგზალი) — მიწერილი აქვს: „А. Сулакаури“; мандили (მანდილი), сациви (საცივი), мацони (მაწონი), урмули (ურმული), багдади (ბაღდადი), катиби (ქათიბი) და სხვ. — მიწერილი აქვთ „А. Антоновская, Великий Моурави“. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს, ამ მწერალთა კერძოდ რომელ ნაწარმოებშია ნახმარი ეს სიტყვები. Экала (ეკალა) და ზოგიერთ სხვა სიტყვას სულ არა აქვს მითითებული წყარო.

სასურველი იყო წყაროთა დამოწმებაში ერთი წესის დაცვა. ბევრი წყარო, როგორც ითქვა, სწორადაა მითითებული, ზოგი კი — დაზუსტებას საჭიროებს.

ასეთია ჩვენი მცირე შენიშვნები გ. გოლეთიანის ლექსიკონზე. ეს უფრო ტექნიკური ნაკლია ლექსიკონისა და მეორე გამოცემაში ადვილად გასწორდება. მთლიანად წიგნი ფრიად საჭირო ინფორმაციას გვაწვდის ქართული ლექსიკის გავრცელების შესახებ რუსულ ენაში. ამისთანა ნაშრომს მკითხველი გულწრფელად მიესალმება. სასურველია მისი ქართულ ენაზე გამოცემაც.

1972 წ.

სულხან-საბა ორბელიანის ენა

ენა მწერლისა, თუ ეს მწერალი ეპოქის ქარტეხილების მწვერვალზე დგას და მისი არა უბრალოდ მჭვრეტელი, არამედ ამ ქარტეხილების აქტიური მონაწილეა, ერთი მხრით, სალიტერატურო ენის თანამედროვე დონესა და ვითარებას ასახავს, მეორე მხრით, ამ ენის მთლიან სისტემასა და შინაგანი განვითარების ტენდენციებს გვაჩვენებს. ამიტომ აქტუალობა მწერლის ენის შესწავლის პრობლემისა დასაბუთებას არ საჭიროებს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ქართული მწერლობისა და კულტურის ისეთ ბუმბერაზ მოღვაწეს ეხება, როგორიც სულხან-საბა

ორბელიანი იყო. საბა ორბელიანი, როგორც სწორუპოვარი მწერალი და მეცნიერი, ჰეშმარიტად იდგა თავისი მღელვარე ეპოქის ქარტეხილების მწვერვალზე, მთელი მგზნებარებით მონაწილეობდა ერის ძნელ საზოგადოებრივსა და ურთულეს პოლიტიკურ ცხოვრებაში და, რაც ყველაზე მთავარია, დარაჯად ედგა სალიტერატურო ქართულს, იცავდა მის სიწმინდეს, ხვეწდა და ამდიდრებდა მის სტრუქტურას, სათუთად უყლიდა მის ლექსიკას. სწორედ ამის გამო საბა ორბელიანის ენამზეობის ყოველმხრივი შესწავლა და მისი მხატვრული ქმნილებების ენობრივ-სტილისტური ანალიზი საპატიო საქმეა ქართული ენის ისტორიის მკვლევრისა.

ბევრი რამ თქმულა და დაწერილა საბა ორბელიანის ენაზე, უფრო მეტი თქმულა და დაწერილა თავად საბას სახელგანთქმულ „სიტყვის კონაზე“, მაგრამ საბოლოო სიტყვა ჯერ არ თქმულა და, როგორც ჩანს, ვერც ასე ადრე ითქმება, საძიებელ-საჩხრეკი, სათქმელი და დასაწერი აქ ჯერ კიდევ მაინც ბევრია დარჩენილი: დიდი საბას ლიტერატურული მემკვიდრეობის ენა მთლიანად, მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, მისი „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“, რომელთაც განუზომლად დიდი როლი ითამაშეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, ლინგვისტური თვალსაზრისით აქამომდის არავის განუხილავს. ამ ხარვეზს მწვავედ გრძნობდა ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა და დ. გეწაძის დამსახურებაც უწინარეს ყოვლისა სწორედ ის გახლავთ, რომ მან კარგად გაითვალისწინა ეს გარემოება და თავისი საინტერესო მონოგრაფია არსებული ხარვეზის შევსებას მიუძღვნა. ახლა ხელთა გვაქვს საბა ორბელიანის ორი კლასიკური თხზულების ენობრივი სამოსის კაპიტალური გამოკვლევა, ვრცელი მიმოხილვა ამ ნაწარმოებთა ენობრივი ქსოვილისა.

თავისი გამოკვლევის მიზანი დ. გეწაძეს ასე აქვს განსაზღვრული: „წინამდებარე ნაშრომიც სწორედ „სიბრძნე-სიცრუისას“ და „ევროპაში მოგზაურობის“ ენის მონოგრაფიულ შესწავლას ისახავს მიზნად. ნაშრომში მოცემულია ცდა ამ თხზულებათა ენობრივი თავისებურებების დადგენისა, ერთი მხრივ, ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და, მეორე მხრივ, საშუალი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისადმი მიმართებით. ყურადღება მახვილდება „სიბრძნე სიცრუისასა“ და „ევროპაში მოგზაურობის“ ზოგიერთ სტილურ ნიშანზედაც. ცალკე თავი ეძღვნება აგრეთვე იმ დიდი დამსახურებისა და ღვაწლის ნათელყოფას, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და შესწავლა-გავრცელების საქმეში“. შრომის ახლოს გაცნობა მოწმობს, რომ მკვლევარს წარმატებით განუხორციელებია დასახული მიზანი.

დ. გეწაძის მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნა-

წილი გამოკვლევაა, მეორე კი ძეგლების სიმფონია-ლექსიკონს წარმოადგენს (სიმფონია-ლექსიკონი ცალ-ცალკეა შედგენილი თითოეული ძეგლისათვის).

როგორ უნდა შეფასდეს ნაშრომი? როგორია ჩვენი ავტორის ძიებისა და რუდუნების ობიექტური შედეგები? რა მეცნიერულ სიახლეს გვთავაზობს იგი?

მონოგრაფია ნამდვილად ხანგრძლივი კვლევა-ძიების, დიდი, მომჭანცველი შრომის შედეგია. ავტორს გულდასმით გაუცხრილავს საბა ორბელიანის ორივე თხზულება, შეუჯერებია მათი ენობრივი ნიშან-თვისებები, სკრუპულოზურად გამოუწვლილავს თხზულებათა ენის ფონეტიკური, სტრუქტურული და ლექსიკური თავისებურებები და სწორად უჩვენებია ის უაღრესად დიდი როლი, რაც ამ თხზულებებმა ითამაშეს ქართული პროზის განვითარებაში, საერთოდ, და სალიტერატურო ენის გამდიდრებაში, კერძოდ.

შრომა უეჭველად მნიშვნელოვანი შენამატია ჩვენი მეცნიერებისა. ავტორის კვლევა-ძიების შედეგები ნათლად და სრულად გვაჩვენებს საბას უდიდეს დამსახურებას ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მას ცხოველი ინტერესით გაეცნობიან არა მარტო სპეციალისტები, არამედ ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ენა, ვინც თვალყურს ადევნებს მისი განვითარებისა და მეცნიერული შესწავლის ისტორიას.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით გადმოვცეთ შრომის შინაარსი თავების მიხედვით ან ვილაპარაკოთ მის სტრუქტურაზე. შევჩერდებით მხოლოდ მის ძირითად მეცნიერულ ღირსებებსა და იმ შენიშვნებზე, რასაც, ჩვენი აზრით, შრომა იწვევს მკითხველში.

რაც მთავარია, მკვლევრის დაკვირვებანი ეყრდნობა მდიდარ მასალას. საბას თხზულებების გამოცემები შეჯერებულია ერთმანეთთან და პირველ რიგში ხელნაწერებთან, მათ შორის ავტოგრაფულ ნუსხებთან. საანალიზო ფაქტობრივი მასალის სიუხვე და ნაირფეროვნება, რასაც ავტორის მეცნიერული დასკვნები და განზოგადებანი ეყრდნობა, მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და ჩვენ შრომის ერთ-ერთ მთავარ მეცნიერულ ღირსებად მიგვაჩნია.

ღრმად დასაბუთებული და შემოწმებული მასალითაა ილუსტრირებული ნაშრომის ძირითადი დებულება, რომ საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა თავისი სპეციფიკური ენობრივი ნიშნებით უკავშირდება საშუალ ქართულს, რომლის ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული სტრუქტურის თავისებურებანი და ლექსიკა რელიეფურად აისახა საბას საანალიზო თხზულებებში, და ქმნის ახალი სალიტერატურო ქართულის მყარ ნიადაგს. სავსებით სარწმუნოა ავტორის დასკვნა: „ძველი ქართული ენისაგან განსხვავებით, საშუალმა ქარ-

თულმა გეზი აიღო საერთო-სახალხო, ცოცხალი სასაუბრო ენისაკენ". საბა ორბელიანის თხზულებებზე დაკვირვებამ ნათელყო, რომ XVII—XVIII სს. პერიოდის სალიტერატურო ქართული ენა თავისი ფონეტიკური სისტემით, სტრუქტურითა და ლექსიკით შორდება და ემიჯნება ძველ ქართულ ენას და ამ ეპოქაში ძირითადად კიდეც მთავრდება ახალი ქართულის ჩამოყალიბების პროცესი. სალიტერატურო ენის მჭიდროდ დაკავშირებამ და დაახლოებამ სასაუბრო ენასთან ბუნებრივად გამოიწვია დიალექტიზმების მოჭარბება სამწერლო ენაში. საბა ორბელიანის ნაწარმოებთა და XVII—XVIII სს. საერო მწერლობის ძეგლთა ორთოგრაფია ერთმანეთისაგან არსებითად არ სხვავდება, თითქმის ერთი და იგივეა. იშვიათად იხმარება ჲ, ჱ, ზოგჯერ გვხვდება ე-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, უმარცვლო უ-ს მაგივრად ხშირად ვ იხმარება, მეტად იშვიათია ჳ მოსალოდნელ პოზიციაში, მის ადგილს ჩვეულებრივ ჳი ან ვი კომპლექსი იჭერს, შედარებით სტაბილურია ჴ ასოს ხმარების წესი.

ზუსტადაა აღნუსხული საანალიზო ტექსტებში დადასტურებული ძირითადი ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, შერწყმა, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, ბგერათდაკარგვა, განვითარება და სხვ.), რომელთა ჩვენებამ მკვლევარს საშუალება მისცა წამოეყენებინა და დაესაბუთებინა დებულება: სიტყვის ფონეტიკურ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებათა მთავარი ნაწილი არ სცილდება სალიტერატურო ენის ნორმებით განსაზღვრულ ფარგლებს. ამავე დროს ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება სიტყვათა იმისთანა ფონეტიკური მოდიფიკაცია, რაც შეიძლება დიალექტიზმად მივიჩნიოთ (ყურადღება გამახვილებულია კაის, კარგას, ოროლის, ჰანდრის ტიპის მაგალითებზე).

„სიბრძნე სიცრუისასა" და „ევროპაში მოგზაურობის" ტექსტებში მკვლევარს დადასტურებული აქვს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენები როგორც სახელთა ბრუნების სისტემაში, ნაცვალსახელთა ხმარებაში, ისე ზმნათა ფორმაცვალებასა და უღლებაში, ზმნისწინთა გამოყენებაში, მწკრივთა წარმოებაში, თანდებულთა და ნაწილაკთა ხმარებაში, შედგენილ შემასმენელთა წარმოებაში, უბრალო დამატებისა და გარემოების (ადგილის, მიზეზის) ხმარებაში, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთდამოკიდებულებაში, რიცხვში შეთანხმების ძველქართული წესების გამოყენებაში, ძველი ქართულის ლექსიკის ძირითადი ინვენტარის დაცვაში. ამასთან, შრომაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ძველი ქართულის ნორმები უპირატესად დაცულია „სიბრძნე სიცრუისაში", ვიდრე „ევროპაში მოგზაურობის" ტექსტში.

გამოვლენილი და კვალიფიცირებულია ძველი ქართულისაგან გან-

სხვავებული მოვლენები საბას ცალკე თხზულებებში. აქ პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს -ებ-იანი მრავლობითის გავრცელება, -თ სუფიქსის ხმარება -ა ემფატიკური ხმოვნის გარეშე ნარ-თანიანი მრავლობითის მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში, ფუძეთანხმოვნიან სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად -მა-ს, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან -მ-ს ხმარება, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი აწმყოს ხოლმეობითის, I და II ბრძანებითის უქონლობა, სისტემებრ ხმარება მყოფადის, მყოფადის ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის მწკრივებისა, რაც ძველი ქართულისათვის უჩვეულო იყო, ზმნათა III სერიის ფორმათა წარმოება ახალი ქართულის წესის მიხედვით, ფორმაუცვლელი სიტყვების (ზმნიზედების, თანდებულების, კავშირების, ნაწილაკების) უპირატესად საშუალი ან ახალი ქართულისათვის ბუნებრივი სახით წარმოდგენა; სინტაქსური პროცესებიდან: შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის (შემასმენლისის) უპირატესად სახელობითისა და არა წრფელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენა, მიზნის გარემოების გადმოცემა არა ვითარებით ბრუნვაში დაყენებული საწყისით, არამედ მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობით, განსაზღვრებისა და საზღვრული წევრის პრეპოზიციული წყობის დაცვა და ა. შ.

საანალიზო თხზულებათა ძირითად სტილურ ნიშნებად ავტორს მიჩნეული აქვს შემდეგი: ა) საბა კი არ გაურბის რთულ წინადადებებს, არამედ მის ლიტერატურულ თხზულებებში დომინანტობს სწორედ რთული სინტაქსური კონსტრუქციები, ხოლო რთული წინადადებებიდან პირველი ადგილი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს უჭირავს და არა პარატაქსს; ბ) შერწყმულსა და რთულ წინადადებებში კავშირიანი შეერთების მაგალითები ჭარბობენ უკავშირო შეერთების მაგალითებს, თუმცა, საერთოდ, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში უკავშირო შეერთების ნიმუშები მთავარ ადგილს იჭერენ; გ) საანალიზო თხზულებებში ბუნებრივია „მოკლე, ზედმეტი წევრებისაგან განტვირთული წინადადებების გამოყენება როგორც ცალკე, ისე რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში“; დ) ზმნა-შემასმენლების სიუხვე, რაც თხრობას განსაკუთრებულ დინამიკურობასა და სიცხადეს ანიჭებს...

სტილური ნიშნების მკაფიოდ გამოყოფითა და კვალიფიკაციით ავტორმა ნათელყო, რომ საბას თხზულებანი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არც თუ ისე იშვიათად გვაჩვენებენ ძველისა და საშუალო ქართულის მოვლენებს, ძირითადად მაინც ახალი ქართულის ნორმების მიხედვითაა გამართული. ამ თხზულებებმა სწორედ ამიტომ უდიდესი წვლილი შეიტანეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოქნისა და ჩამოყალიბების პროცესში; კეთილმყოფელი გავლენა იქონიეს მის შემდგომ წინსვლასა და განვითარებაზე.

ორივე ძეგლის სიმფონია-ლექსიკონი შედგენილია საქმის პროფესიული ცოდნით. გამოწერილი და გაანალიზებულია ტექსტებში ნახმარი ყველა სიტყვა, სწორადაა ნაჩვენები თვითეული სიტყვის სემანტიკა და სტრუქტურა. ლექსიკური ერთეულების განმარტების საფუძვლად აღებულია საბას თვით „სიტყვის კონა“ და ქართული ენის შემდგომდროინდელი ლექსიკონები (ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონები, ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი, გამოცემული ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით).

ასეთია შრომის უმთავრესი მეცნიერული ღირსებანი, რითაც იგი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას. ამასთან იგი რამდენიმე შენიშვნასაც იწვევს. აღვნიშნავთ ზოგ მათგანს.

შრომის სათაურში მითითებულია, რომ ავტორი საბა ორბელიანის ენას განიხილავს მ ხ ო ლ ო დ ორი თხზულების („სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“) მიხედვით. თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია, რად დასჭირდა მას ასე ვრცელი მსჯელობა საბას „სიტყვის კონის“, როგორც ლექსიკოგრაფიული შრომის, ზოგად თავისებურებათა შესახებ? ნუ დავივიწყებთ, აქ საუბარია საბას ლექსიკონის ზოგად სტრუქტურაზე, სიტყვათა განმარტების წესებზე, სიტყვათა მნიშვნელობის სემანტიკურ მოდელებზე, მოხმობილია ამასთან დაკავშირებული მდიდარი ლიტერატურაც. თუ ჩვენი ავტორი საბას ლექსიკონსაც გახდიდა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი შესწავლის საგნად, თუმცა თავისი შრომის სათაური ამას არ მოითხოვდა, მაშინ, ცხადია, ყოველივე ეს, რაც აქაა ნათქვამი, საკმარისი არ იქნებოდა საბას „სიტყვის კონის“ მეცნიერული ღირსებების შესაფასებლად მთლიანად: უფრო მეტი რამ უნდა თქმულიყო და პრობლემა სხვა ასპექტების მიხედვითაც განხილულიყო. თუკი მკვლევარს მხოლოდ ზოგადი ცნობებისათვის დასჭირდა „სიტყვის კონის“ მოშველიება, რომ ეს ცნობები გამოეყენებინა საბას ლიტერატურულ თხზულებათა ენის ანალიზისათვის, ეს კი უსათუოდ საჭირო იყო, მაშინ ასე ვრცელი მსჯელობა რაღად გვინდოდა. საკითხის მოტივაცია აქ არა ჩანს.

ასევე ნათელი არ არის მიზანი მსჯელობისა „ქილილა და დამანას“ თარგმანის ავტოგრაფულ ნუსხათა ორთოგრაფიული ნორმების შესახებ, რასაც ნაშრომში ასე დიდი ადგილი უჭირავს. შრომის სათაური არც ამ საკითხზე შეჩერებას მოითხოვდა. „სიტყვის კონისა“ და „ქილილა და დამანას“ თარგმანის ავტოგრაფების ჩვენების მიხედვითაც ნაშრომში გაკეთებულია საინტერესო განზოგადებანი, თუმცა საბას მხატვრული თხზულებების ენის ანალიზში ისინი ორგანულად ჩართული არა ჩანან.

ჩვენ გვესმის ავტორისა: მას „ქილილა და დამანას“ თარგმანის ავტოგრაფების მომარჯვება დასჭირდა საბას მხატვრულ ქმნილებათა სა-

ჰირო ავტოგრაფების უქონლობის საკომპენსაციოდ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის.

ავტორი ამტკიცებს: „XII—XVIII სს. ქართულმა სალიტერატურო ენამ ფართო გასაქანი მისცა საერთო-სახალხო ენის წიაღში მომხდარ იმ ცვლილებებსა და სიახლეებს, რომლებსაც ძველი ქართული ენა ყოველმხრივ უხშავდა კარსო". ეგ მტკიცება გამეორებულია დასკვნით დებულებებშიაც, ოღონდ ოდნავ შერბილებული სახით: საშუალმა ქართულმა „ფართო გასაქანი მისცა საერთო-სახალხო ენის ფონეტიკურ სისტემაში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ შემადგენლობაში მომხდარ იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებსაც ყრუდ უვლიდა გვერდს და ნაკლებ გასაქანს აძლევდა ძველი ქართული სალიტერატურო ენაო". მეტისმეტად მძიმე ბრალდება წაუყენა ავტორმა ძველ ქართულს! მტკიცების პირველი ნაწილი სწორია და ფაქტობრივ ვითარებას ასახავს. მაგრამ ძნელი გასაგებია, რას ნიშნავს გამოთქმა „ძველი ქართული ენა ყოველმხრივ უხშავდა კარსო", ან სხვანაირად, „ყრუდ უვლიდა გვერდს და ნაკლებ გასაქანს აძლევდაო?" ძველი ქართული ენა მწერლობაში დამკვიდრებული მტკიცედ ჩამოყალიბებული სისტემა იყო და კარს კი არ უხშობდა და ხელს კი არ უშლიდა ცოცხალ სასაუბრო ენასთან მიახლოებას, არამედ თვით ამ სამწერლო ენის წიაღში ჩაისახა და განვითარდა ყველა ეს ცვლილება. ძველი ქართული, როგორც ვიცით, დამკვიდრებული იყო მწიგნობრობის ცენტრებში და, როგორც ყოველი სალიტერატურო ენა, ისიც ინარჩუნებდა კონსერვატიზმს. ამიტომ ხსენებული გამოთქმები არ ასახავენ საქმის ნამდვილ ვითარებას და სწორ წარმოდგენას არ აძლევენ მკითხველს მოვლენის არსზე. საჭირო იყო ამ აზრის უფრო მართებული ფორმულირება.

შემდეგ ავტორი ამბობს: საბას თხზულებებში „ზოგი მოძველებული სიტყვა კვლავ განაგრძობს არსებობას. ისინი თავს იჩენენ როგორც ცოცხალ, ზეპირსამეტყველო საერთო-სახალხო ენაში, ისე მწერლობაშიო". გაუგებარია აქ ცნება მოძველებული სიტყვისა. თუ სიტყვა მოძველებულია და ხმარებიდან გასული, როგორღა იხმარება, თანაც როგორღა იჩენს თავს ცოცხალ საერთო-სახალხო და მწერლობის ენაში? ამისთანა სიტყვას, რომელიც ასე ფართო ხმარებაში ყოფილა, შეიძლება კი მოძველებული ან საბას მიერ გაცოცხლებული ეწოდოს? რიღას მოძველებულია, თუ ასე პოპულარობით სარგებლობს? ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამისთანა მოძველებულ და საბას მიერ გაცოცხლებულ სიტყვებად ავტორს მიაჩნია აგარაკი, არგანი, გავასხება, გამოძება, განტევება, დაბრმობა, გოდოლი, ეტრატი, ვლენა, ზრახვა, კირჩხიბი, მანგალი, პირაშკმული, ქამი, როკვა, ურვა, ფუცება, შეგმობა, გაბარება, დანთქმული, მეხრმლე, მოქენე, ნამუსრევი, უპოვარი, ფრთე, ამბორი, ტრედი, ლუსკუმი, წმიდა და მისთ.

ეს და მსგავსი სიტყვები ისევე ცოცხალი იყო XVII—XVIII სს. სალიტერატურო ენაში, როგორც ძველ ქართულში, იხმარებოდა არა მარტო საბას თხზულებებში. ბევრი მათგანი ცოცხალია დღესაც — გვხვდება თანამედროვე ქართველ მწერალთა თხზულებებში, მათ კარგად იცნობდნენ და ახლაც იცნობენ ჩვენი ხალხური დიალექტები. ამრიგად, თუ ეს სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა ძველსა და საშუალ ქართულში, გავრცელებული იყო ზეპირმეტყველებასა და სამწერლო ენაში, ხოლო ზოგი მათგანი ახალ ქართულშიც ტრადიციულად იხმარება და დღესაც ცოცხალია, მაშინ რაღა საბუთით შეგვიძლია, ვუწოდოთ მათ მოძველებულნი ან ხმარებიდან გამოსულნი, რომლებიც გააცოცხლა საბამ და ჩართო თავის ლიტერატურულ ქმნილებებში? საკითხავია, მაშინ ამავე რიგის სიტყვებად რად არ არის მიჩნეული, ვთქვათ, თაფლი, კაცი, ბჭობა, იფქლი, ბრძენი და მისთ., რომლებიც ერთნაირად იხმარებიან ძველ, საშუალსა და ახალ ქართულში?

ამიტომ ავტორის კონცეფცია მოძველებული სიტყვების შესახებ რამდენადმე დასაზუსტებელია, ხოლო საბას ეპოქისათვის მოძველებულად მიჩნეული სიტყვები მკაცრად გასაცხრილავია. საბამ მართლა გააცოცხლა ზოგი „მოძველებული სიტყვა“, მაგრამ მათი ნომენკლატურა უფრო ფრთხილად უნდა განისაზღვროს. საერთოდაც, მეტი სიცხადე უნდა შევიტანოთ არქაიზმის ცნებაში, რადგან ზოგი თანამედროვე ავტორი, რომელთა შორის ჩვენ არ გვინდა დ. გეწაძეც მოვაქციოთ, მეტად თავისუფლად ხმარობს ამ ცნებას და მოძველებულად მიიჩნევს ისეთ სიტყვას, რომელიც ამ ეპითეტის ღირსი არ არის, და ნამდვილად კარს უხშობს მათს გამოყენებას სალიტერატურო ენაში.

სწორად მიუთითებს ავტორი, რომ „სხვადასხვაგვარი ენის აღსანიშნავად და დასახასიათებლად სულხან-საბას გამოყენებული აქვს ტერმინები“: ა) მსოფლიო ენა... ბ) გლეხური ენა... გ) წერილის ენა... დ) სამღვდელო ენა... ე) ენა მამალ-დედლური... საბას, ცხადია, ამდენი ენა არ უპოვნია ერთ, ქართულ ენაში, მაგრამ ეს ტერმინები ნამდვილად აქვს ნახმარი. საქმე ის არის, რომ საბას წერილის ენა, სამღვდელო ენა, როგორც მშვენივრად იცის ჩვენმა ავტორმაც, და ეს აღნიშნულიც აქვს შრომაში, მწიგნობრულ ენას გულისხმობს, ხოლო მისივე მსოფლიო და გლეხური ენა კი — კუთხურ, დიალექტურ მეტყველებას. ამიტომ ამ ცნებების ასე ცალ-ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის. მით უმეტეს, როდესაც საბას მსჯელობიდან ნათლად ჩანს, მაგალითად, რომ მ ს ო ფ ლ ი ო და გ ლ ე ხ უ რ ი აქ ერთურთის მიმართ სინონიმებია.

ნაშრომში წარმოდგენილია საბას თხზულებებიდან ამოწერილი ანდაზა-აფორიზმები და გაკეთებულია ასეთი, მრავლისმეტყველი, შენიშვნა: „საინტერესოა ვიცოდეთ, ზემოთ დასახელებული ანდაზებიდან

და აფორიზმებიდან რომელი ეკუთვნის თვით სულხან-საბას და რომელი აქვს აღებული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან თუ მწერლობიდანო". კითხვა სწორადაა დასმული და სათანადო პასუხსაც ავტორისაგანვე მოველოდით, მაგრამ მას ეს საკითხი არ გამოუძიებია. მკვლევარი აქ იმოწმებს მ. ჩიქოვანის შემდეგ სიტყვებს: „ჯერ-ჯერობით სულხან-საბა ორბელიანის შეკრებილ მასალაზე გამოკვეთით მსჯელობა გაძნელებულია, რადგან დამთავრებული არ არის ფოლკლორული წყაროების ძიებაო" და წერტილს სვამს. რახან ჩვენს ავტორს საკითხი თვითონ არ შეუსწავლია და მხოლოდ დაიმოწმა სხვა სპეციალისტის აზრი ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე, ჩვენ მასთან სადაო არაფერი გვაქვს. გაკვირვებას მხოლოდ ამის შემდეგ წარმოდგენილი მოულოდნელი დასკვნა იწვევს: „გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფს თავის ნაწარმოებებში უხვად აქვს გამოყენებული ხალხური შემოქმედების საუნჯიდან ამოკრებილი და თავისებურად გადახალისებული მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიური ერთეულები: ანდაზები, აფორიზმები, იდიომები"... ეს დასკვნა მოულოდნელი იმიტომ არის, რომ ავტორს პრობლემა თავად არ შეუსწავლია და სხვა სპეციალისტებსაც იგი საგანგებოდ არ გამოუკვლევიათ. საიდან მივიღეთ ამისთანა კატეგორიული დასკვნა? აპრიორულად თუ ვიმსჯელებთ, ეს აზრი მცდარი არ უნდა იყოს, მაგრამ მისი ლიტონად, უსაბუთოდ დაჯერება მაინც ძნელია. ამასთან, საბას „სიბრძნე სიცრუისაში" ხალხურიდან გადამუშავებულად მიჩნეულ ანდაზა-სენტენციებს შორის გვხვდება ზოგი იმისთანა ანდაზისებრი ბრძნული გამოთქმაც, რომელიც მხოლოდ საბას გონების ნაყოფია („ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღეველია"; „ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელიაო" და მისთ). ესეც ხომ აღსანიშნავი ფაქტია!

საბას თხზულებათა ენის სინტაქსური მოდელები შრომაში ძირითადად მართებულადაა მოხაზული და კვალიფიცირებული. დასანანია მხოლოდ, რომ ზოგი, ამ თხზულებათა ენისათვის ბუნებრივი, სინტაქსური კომბინაცია გამორჩენილია. დავასახელებთ ამის მხოლოდ ერთ მაგალითს. კერძოდ, არაფერია ნათქვამი ზმნასთან ენებითი გვარის მიმღეობათა ხმარებით შექმნილ სინტაქსურ წყვილებზე (მხედველობაში გვაქვს „მონანული წავიდეთო", „შეჭირვებული მივიდოდა", „მოწყენილი გზაზე დავჯეს" ტიპის მაგალითები), სადაც მიმღეობით გადმოცემული წევრი წინადადებისა ვერც განსაზღვრებად მიიჩნევა და ვერც გარემოებად. სასურველი იყო, მკვლევარს შეესწავლა ამისთანა სინტაქსური წყვილის თავისებურება საბას თხზულებებში და ეჩვენებინა მისი გრამატიკული და სტილური ფუნქციები.

სწორად არ არის ნაჩვენები საბას ძირითადი ლიტერატურული

თხზულების სათაური. ერთ ადგილას იგი ნახსენებია როგორც „სიბრძნე სიცრუისა“, მეორე ადგილას როგორც „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ და სხვ. ზოგან ორივე ვარიანტია ნახმარი, ხოლო შრომის სათაურში პირველი ვარიანტია გამოტანილი დეფისით: „სიბრძნე-სიცრუისა“. საჭირო იყო ერთი მათგანის დაცვა და იმის გახსენებაც, რომ ამ თხზულების სათაურის მართლწერისა და რუსული თარგმანის საკითხი ადრე სპეციალისტთა მწვავე პოლემიკის ობიექტად იყო გამხდარი.

როგორია დასკვნები და შრომის ზოგადი შეფასება?

დავით გეწაძის შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ენა“ პირველი მონოგრაფიაა, რომელიც სრულ წარმოდგენას გვაძლევს XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ეპოქის დიდებული მწერლისა და ლექსიკოგრაფოსის ლიტერატურულ თხზულებათა ენის ზოგადი ბუნებისა და კონკრეტულ ნიშან-თვისებათა შესახებ. შრომაში ფართო გეგმითაა გამოწვლილული საბას თხზულებათა ენის ფონეტიკური და სტრუქტურული სისტემები, ლექსიკის ძირითადი თავისებურებანი და ხმარება, ნაჩვენებია ის უაღრესად დიდი როლი, რომელიც ამ შესანიშნავმა თხზულებებმა ითამაშეს საშუალი ქართულის, როგორც მთლიანი ენობრივი სისტემის, ჩამოყალიბებასა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის მკვიდრი საფუძვლების შემდგომ განმტკიცებაში. საანალიზოდ ავტორს გამოყენებული აქვს მდიდარი და ნაირფეროვანი, სანდოდ კლასიფიცირებული ფაქტობრივი მასალა. განსაკუთრებით ძვირფასია და მაღალ შეფასებას იმსახურებს საბას ორი ლიტერატურული თხზულების — „სიბრძნე სიცრუისა“ და „ევროპაში მოგზაურობა“ — სიმფონია-ლექსიკონები, რომლებშიაც ალბეჭდილია ყოველი სიტყვა გამოუკლებლივ, მოცემულია ამ ძეგლების ლექსიკის უმთავრესი, ძნელად გასაგები, ნაწილის განმარტებები და ამასთან ერთად სტატისტიკურად გამოთვლილია ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულთა ხმარების სიხშირე. ზმნურ ერთეულებს უპირატესად თან ახლავთ მწკრივთა შესაძლო პარადიგმები. ორივე ძეგლის სიმფონია-ლექსიკონები საუკეთესო ცნობარებია, რომელთა მნიშვნელობა ჩვენი მეცნიერებისათვის განუზომლად დიდია. შრომა დაწერილია მკაფიო, ცოცხალი ენით. ავტორი ამჟღავნებს არა მარტო შესასწავლი მასალისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნას, არამედ ფართო მომზადებას თანამედროვე ზოგად ენათმეცნიერებასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში, ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარს, ურთულესი ენათმეცნიერული პრობლემების დამოუკიდებლად კვლევის უდაო ნიჭსა და შესაძლებლობას.

1970 წ.

ხანგრძლივი ძიების შედეგი

დ. ს. ჭანტურიშვილის ნაშრომი „ადამიანის (პირის, პიროვნების) აღმნიშვნელი სახელები რუსულსა და ქართულ ენებში (ლექსიკოგრაფიული მონაცემების მიხედვით)“ ხანგრძლივი ძიების შედეგია და ფრიად აქტუალური პრობლემის გაშუქებას ეძღვნება. ადამიანის (პირის, პიროვნების) სახელთა სისტემა სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული სხვადასხვა ენაში და არა თუ სემანტიკითა და სტრუქტურით, არამედ ამ მხრით ენები ნომენკლატურითაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამიტომ ორი, სხვადასხვა წარმოშობისა და ოჯახის ენის მონაცემების ცალ-ცალკე და შეპირისპირებით შესწავლა უეჭველ თეორიულ ინტერესს იწვევს, ხელს შეუწყობს პრობლემის უფრო ჩაღრმავებულად გაშუქებას, ენობრივი პროცესის ყველა ასპექტით გათვალისწინებას.

ჩვენი ავტორი, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა ადიექტივისა და სუბსტანტივის სინტაქსური დამოკიდებულების პრობლემას რუსულსა და ქართულში შეპირისპირების პლანით, ბუნებრივად წააწყდა მრავალ დაბრკოლებას. ნაშრომის წინასიტყვაობიდან ირკვევა, მკვლევრის ყურადღება აქ, ერთი მხრით, მიუქცევია რუსული ენის ისეთ უცნაურ ფაქტებს, როგორიც არის, მაგალითად: хороший врач“ — „хорошая врач“, „врач пришел“, „врач пришла“-ს ტიპის სიტყვათშეერთებანი, ხოლო, მეორე მხრით, გრამატიკული სქესის უქონლობა ქართულში, ქართული ენის სრული გულგრილობა გრამატიკული სქესის მიმართ. მსგავსმა ფაქტებმა, ჩანს, ღრმად ჩააფიქრეს ჩვენი ავტორი და აიძულეს გადაედო სინტაქსურ დამოკიდებულებათა სპეციფიკის ძიება მანამ, სანამ უფრო ახლოს, მონოგრაფიულად შეისწავლიდა ადამიანის (პირის, პიროვნების) აღმნიშვნელ სახელთა სისტემის სემანტიკასა და სტრუქტურას რუსულსა და ქართულში.

მას დასჭირდა საგანგებო მონოგრაფიის შექმნა პირის აღმნიშვნელ სახელთა სისტემაზე. ამის გამო სარეცენზიო ნაშრომი არსებითად ავტორის მიერ ჩაფიქრებული ლინგვისტური ტრილოგიის ერთი ნაწილია, დანარჩენი ნაწილები, როგორც თავად ვარაუდობს, სქესის მიხედვით სახელთა ფორმის ცვალებას მიეძღვნება. ავტორი წერს: „Как и следовало ожидать, вопрос о существительных лица оказался актуальным не только с синтаксической точки зрения, но и, прежде всего, с точек зрения лексикографической, лексикологической, семасиологической, морфологической, вследствие чего предлагаемая работа о существительных лицах получила характер самостоятельного исследования. Точнее, это — одна часть задуманной лингвистической трилогии, остальные части которой, соответственно, будут посвящены синтаксическим связям родоизменяемых форм с субстантивами и проблеме грамматического рода».

ნაშრომი სამ ნაწილს შეიცავს: პირველ ნაწილში, რომელიც ხუთი თავისაგან შედგება, მოცემულია რუსული ენის მასალის ანალიზი, მეორეში (ეს ერთ, მეექვსე თავს შეადგენს) ქართული ენის მასალისა და მესამეში (მეშვიდე თავი) — ქართულ-რუსული მასალის ანალიზი. ავტორის დაკვირვებები ეყრდნობა შესაბამის ლექსიკონებს. რუსული ნაწილის ძირითად წყაროებად აღებულია „Словарь Академии российской" (I—VI, СПб., 1806—1822) და „Словарь Академии русского языка" (I-IV., M., 1957-1961), ხოლო ამ ლექსიკონთა მონაცემები შეპირისპირებულია რუსული ენის ყველა განმარტებითს ლექსიკონთან, აგრეთვე პუშკინის ენის ლექსიკონთან. ქართული ნაწილის ძირითად წყაროდ აღებულია ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა" და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" (I—VIII, ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950—1964), მათი მონაცემები კი შეპირისპირებულია ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონთან რუსული თარგმანითურთ" (თბ., 1961), დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონთან (სპბ., 1887), შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიასთან, რომელიც ა. შანიძის ხელმძღვანელობითაა შედგენილი (თბ., 1956) და ქართული ენის სხვა ლექსიკონებთან. ქართულ-რუსული ნაწილის ძირითად წყაროდ გამოყენებულია 9 ქართულ-რუსული და 12 რუსულ-ქართული ლექსიკონი. გაანალიზებულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ამოკრებილია 13 ძირითადი ლექსიკონიდან, ბინარული შეპირისპირებისათვის კი 42 ლექსიკონია გამოყენებული. ავტორის ძიება ეყრდნობა ფართო სამეცნიერო ლიტერატურას: ნაშრომში 444 წყაროა დამოწმებული.

ნაშრომი მთლიანად დაწერილია ავტორისათვის ჩვეული სტილით. მისი სამივე ნაწილი მრავალ სიახლეს შეიცავს და მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული.

ჩვენ გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ნაშრომის ქართულსა და ბინარულ ქართულ-რუსულ ნაწილზე. ავტორი სწორად ალაგებს ქართველ მეცნიერთა შეხედულებებს ადამიანისა და ნივთის აღმნიშვნელი სახელებისა და მათი გადმოცემის ლექსიკურ საშუალებათა შესახებ. დაწვრილებით ჩერდება ვინ და რა ჯგუფის სახელებზე. **-ელ,. -ურ (-ულ), მე-ე, მე-ურ (-ულ), მ-ელ** აფიქსთა ხმარებაზე, წარმოქმნილ პირის აღმნიშვნელ მეურმე, მებადური, კახელი, გურული, მეგრულისა და მისთ. მოდელის სახელებზე, მიმოხილულია ჩვენი გრამატიკოსების აზრები ქართულში სქესის კატეგორიის არ არსებობისა და მამრობით-მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა შესახებ, სწორადაა ხაზგასმული, რომ ქართული არჩევს სქესის არა გრამატიკულ, არამედ ბუნებრივ კატეგორიას. ამავე დროს ავტორი ცალკე განიხილავს ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში" შეტანილ მეფე—მეფა, მოხუცებული—მოხუცებულა, ქალწული—ქალწულა, წინასწარმეტყველი—წინასწარ-

მეტყველა და მისთ. ტიპის მაგალითებს და მათ შესახებ სამეცნიერო-ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ადამიანის (პირის, პიროვნების) აღმნიშვნელ სახელებად ქართულში ისტორიულად ქცეულა მიმღეობური წარმოშობის მდნობელი, მებრძოლი, მტვირთავი, მშენებლის ტიპის სიტყვები. ცალ-ცალკეა შესწავლილი ადამიანის (პირის, პიროვნების) სახელები ს.-ს. ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში, გამოვლენილია მათი სრული ნომენკლატურა ცალკე ლექსიკონთა მიხედვით და შეპირისპირებულია ის შესაბამის რუსულ სახელთა სისტემასთან. ეს ნაწილი ნაშრომისა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ქართული მასალის შეპირისპირება რუსულ მასალასთან, რასაც მთელი მეშვიდე თავი ეძღვნება. აქ წარმოდგენილი მსჯელობა ფაქტობრივი მასალის მკაცრ ანალიზზეა დაფუძნებული და მიღებული დასკვნები გასაზიარებელია. მარჯვედაა შეწამებული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ამ მხრით ლექსიკონთა თავისებურებები, ღირსებები და ნაკლოვანებები. გამოყენებულია მეტად ფასეული სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ავტორი მივიდა, ჩვენი აზრით, უეჭველად მართებულ და მეცნიერულად ფრიად მნიშვნელოვან დასკვნამდის, რომ რუსულსა და ქართულ ენებში პირთა სახელებს შორის წამყვან როლს თამაშობს მამრობითი სქესის სიტყვები. მამრობითი სქესის სიტყვებს, ავტორის აზრით, წამყვანი პოზიცია უჭირავთ სხვა ენებშიც. ეს აზრი კი პრაქტიკულად ეხმაურება ი. ბოდუენ დე კურტენეს ცნობილ დებულებას.

განსაკუთრებით ძვირფასია დამატებები, რომლებიც მონოგრაფიის ძირითად ტექსტს ერთვის ორ წიგნად აკინძული. დამატებებში წარმოდგენილია ყველა ძირითადი ლექსიკონიდან ამოკრებილი შეპირისპირებითი მასალა და ნაჩვენებია ადამიანის აღმნიშვნელი ცალკე სიტყვის ხმარება ლექსიკონთა მიხედვით. დამატებათა შედგენაზე, ჩანს, გაწეულია მეტად დიდი შრომა და იგი ტექნიკურადაც ავტორისათვის ჩვეული სიფაქიზით არის გაფორმებული. აქ წარმოდგენილ მასალას საცნობარო მნიშვნელობა აქვს, მას ეყრდნობა მკვლევრის ძიების პირდაპირი შედეგები.

ნაშრომის ყველა თავს, მათ შორის VI—VII თავებს, თან ახლავს მოკლე დასკვნები, ხოლო ბოლოს ერთვის საერთო, ზოგადი დასკვნები, რომელშიც გადმოცემულია ავტორის ძიების შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ნაშრომის ერთი ნაკვეთისათვის ეპიგრაფად წარუმძღვარებია ს.-ს. ორბელიანის ცნობილი შეგონება: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული ძნელი საპოვნელიაო“, ჩვენ ორიოდე შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვათ მთლიანად

ძალიან მეტად საინტერესო ფუნდამენტური მონოგრაფიის ზოგიერთ ადგილთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში გამოყენებულია აბრევიატურის მეტად რთული სისტემა, რის გამართლების საფუძველს ჩვენ ვერ ვხედავთ. აბრევიატურას, ცხადია, ავტორი მთლიანად გვერდს ვერ აუქცევდა, მაგრამ აქ მეტი ზომიერების დაცვა იყო საჭირო. ავტორი გვთავაზობს ათეულობით შემოკლებას, ურომლისოდაც ტექსტის გაგება შეუძლებელია. ზოგჯერ შემოკლებები ისე ბლომად გვხვდება, რომ მთელი აბზაცები ეთმობა. ამას ემატება ისიც, რომ გამოყენებული ლიტერატურის საძიებელი მონოგრაფიას ბოლოს ერთვის და მკითხველს ყოველ წუთში სჭირდება მისი ძებნა. ადვილად შეიძლებოდა აბრევიატურის რამდენადმე გამარტივება.

ავტორი თავიდანვე ნათლად გვეუბნება, თუ რა, რომელი სახელი მიაჩნია მას ადამიანის (პირის, პიროვნების) აღმნიშვნელად. მაგრამ მის მიერვე შემუშავებულ კრიტერიუმს თითქოს ყოველთვის თანამიმდევრულად არ იცავს. ჩვენთვის ამიტომ, მაგალითად, მთლად ცხადი არ არის, თუ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ ხალხი, ერი ადამიანის (პირის, პიროვნების) აღმნიშვნელ სახელებად? ქართულში ისინიც ხომ ვინ ჯგუფის სახელებია! რამდენადაც ეს სახელები კრებითი შინაარსისაა და მრავალს გულისხმობენ, ამ მიზეზით ვერ შევიტანეთ ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა სიაშიო. ჯერ ერთი, გრამატიკულად ეს სახელები მხოლობითი რიცხვის ფორმებია ისევე, როგორც, ვთქვათ, კაც-ი. ქალ-ი, მეორეც, კრებითობა მათ განა უფლებას უნდა ართმევდეს, რომ ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა შორის მოთავსდნენ? ამათ ანალოგად ავტორი კატაბანი სიტყვას ასახელებს. კატაბანი სიტყვა ნამდვილად ვერ მოთავსდება (და ჩვენს ავტორს არც მოუთავსებია) ადამიანის აღმნიშვნელ სახელთა რიგში, მაგრამ ხალხი და ერი სულ სხვაა. კატაბანი ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში „ვეფხისტყაოსნიდან“ შეეიდა, თანაც მრავლობითი რიცხვის ფორმით: „ვინცა მიჰვრეტდის, ბნდებოდის, — მართლად არს, არ კატაბანი“ (478, 4), ე. ი. მართალია და არა ტყუილებიო. ს.-ს. ორბელიანის განმარტებას სიზუსტე აკლია: „მატყუარი თუ სატყუარიო“. იუსტ. აბულაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში დააზუსტა ამ სიტყვის სემანტიკა: კატაბა სიცრუე, ტყუილი; კატაბანი მრავლობითი რიცხვიაო. ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილისა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში სიტყვა უშუალოდ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონიდან არის გადასული. ამიტომ კატაბანი ხალხის, ერის ანალოგად არ გამოდგება: ისინი სხვადასხვა კატეგორიის სიტყვებია. კატაბანს ნამდვილად არ უნდა დაეთმოს ადგილი ამ ნაშრომში, ხალხისა და ერის გამოთიშვის მოტივაცია კი დასაბუთებულად არ გვეჩვენება. მხედველობაში

ისიცაა მისაღები, რომ კ ა ტ ა ბ ა ნ სიტყვა არაქართული წარმოშობისაა და იშვიათადაც იხმარებოდა.

ავტორი სამართლიანად ჩერდება მ ე ფ ა, ჰ ა ბ უ კ ა-ს ტიპის ადამიანთა სახელებზე. აქ მიმოხილულია საგნის ვრცელი ლიტერატურა. შეჯერებულია ს.-ს. ორბელიანის, ზ. შანშოვანის, ანტონ პირველის, გოდერძი ფირალოვის, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, პ. იოსელიანის, დ. ყიფიანის, მ. ჯანაშვილის, ს. ხუნდაძის, კ. დონდუას, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ა. მანჯგალაძის ნაშრომთა სათანადო ადგილები და გაკეთებულია სწორი დასკვნა, რომ ეს ა ელემენტი არ შეიძლება მივიჩნიოთ მდედრობითი სქესის ნიშნად ქართულში, რომ მ ე ფ ა-ს ტიპის სახელები ხელოვნური წარმოშობისაა. ჩვენ აქ, ცხადია, ავტორთან საკამათო არა გვაქვს რა. შენიშვნას მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ მის განკარგულებაში არსებული მასალა ავტორს თავად არ გაუცხრილავს, საჭიროდ არ დაუნახავს ხსენებული ა ელემენტის ხმარების ქრონოლოგიისა და არეალის ჩვენება, ამ ელემენტის განხილვისას არ შეჩერებულა ა. ცაგარლის შენიშვნაზე (А. Цагарели, О грамматической литературе груз. языка, СПб., 1873, გვ. 91—92), რასაც ავტორი, უეჭველია, ძალიან კარგად იცნობს, რადგან ა. ცაგარლის ეს წიგნი სხვა ადგილას გამოყენებულიც კი აქვს. გათვალისწინებული არა ჩანს ივ. ჯავახიშვილის ასევე მნიშვნელოვანი მსჯელობა, რაც სწორედ ამ ა ელემენტს ეხება (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 165—169). არ იქნებოდა ურიგო ძველი ტრადიციის ჩვენებაც. ერთ საგულისხმო ფაქტს აქვე შევახსენებთ ჩვენს ავტორს. კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს, როგორც ცნობილია, XVI საუკუნეში გადაუწერინებია „წმ. ფეხრონიას ცხოვრების“ XII საუკუნის დროინდელი თარგმანის პირი, რომლის არშიაზე დაცულია იოანე პეტრიწის მეტად საყურადღებო მინაწერები ე. წ. „შეისწავეების“ სახით, შესრულებული დიმიტრი პირველის მეფობის (1125—1154 წწ.) პერიოდში. მინაწერი ჯერჯერობით ცალკე გამოცემული არ არის, მაგრამ კ. კეკელიძის კონიექტურის თანახმად, ასე იკითხება: „შეისწავე, ყოველი სახელი სიტყუაჲ ელლინთაჲ სამფერ, ესე იგი სამსახე არს: ედალ, მამალ და არარომელ. და სახელი მამთა საწოდებელად ესრეთ იქმნების: ო ა ნ თ რ ო პ ო ს, ეგულებოდის რაჲ წოდება მამაკაცისაჲ და ი ა ნ თ რ ო პ ო ს, ესე იგი არს კაცაჲ, ეგულებოდის რაჲ წოდებაჲ დედაკაცისაჲ. ეგრეთვე მამათა რაჲ მრავალთა უწოდდენ, ტ ო ნ პ ა ნ ტ ო ნ, ესე იგი არს ყოველნივე, კ ე პ ა ს ო ნ, ე. ი. არს ყოელანი“ [ესე იგი ეგულებოდის რაჲ წოდება დედაკაცისაჲ] (კ. კეკელიძე, კიმენი, I, თბ., 1918, გვ. XXVIII; შდრ.: კ. დონდუა, რჩეული შრომები, I, თბ., 1967, გვ. 174). კ ა ც ა ჲ-ს, ყ ო ე ლ ა ნ ი-ს ტიპის სიტყვები, რა თქმა უნდა, მთარგმნელის მიერაა ხელოვნუ-

რად გაკეთებული და მორგებული შესაბამის ბერძნულ ტექსტთან, ხელოვნურად არის გადმოცემული ბერძნული მდედრობითი სქესი. ამით ქართული ენის თავისებურება როდია ნაჩვენები, არამედ ხელოვნურადაა გადმოცემული არაქართული ენობრივი კატეგორია. ჰაბუკა, წინასწარმეტყველა, მეფა და მისთ. ტიპის მაგალითები, რომლებიც ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში, ან ანტონის გრამატიკაშია შეტანილი, ჩვენმა ავტორმაც კარგად იცის, გამონაგონი კი არ არის, ნამდვილად გვხვდება ბიბლიის წიგნების ქართული თარგმანების XI საუკუნის ბოლო პერიოდსა და XII საუკუნეში გადაწერილ ნუსხებში, მანამდის კი მსგავსი ნიმუშები არ გვქონია. ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორად ბრძანებდა: „მეფა, უფალა, წინველა და სხვაც ამის მსგავსიც სწორედ ამ XI ს. დამლევს და XII ს. ქართ. მეცნიერთა ნასიბრძნს და ხელოვნურ შენაქმნს წარმოადგენს. დაბადების ოშკის X ს. ხელნაწერში არაფერი ამის მსგავსი არ არის. ამიტომ ასეთ სიტყვებს გრამ. სქესის ძველ ქართულში არსებობის საკითხის გამოსარკვევად არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166). თვით ანტონიც კი, რომელსაც ეს მაგალითები დამოწმებული აქვს, ცნობდა, რომ ქართულმა გრამატიკული სქესი არ იცისო. ჩვენი შენიშვნით ის გვინდა ვთქვათ, რომ სასურველი იყო, ავტორს სრულად გაეთვალისწინებინა ა ელემენტის შესახებ არსებული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა და ამის შემდეგ თავისი აზრიც გამოეთქვა. მაშინ ექნებოდა უფრო მეტი გამართლება ამ, სხვა მხრით კარგად ცნობილ საკითხზე, ასე მსჯელობას, ვრცელ მიმოხილვას.

აუხსნელია ქართულში ალექსანდრე—ალექსანდრას, ევგენი—ევგენიას ტიპის საკუთარ სახელთა გავრცელების წყარო. ფაქტები როგორც ყველგან, აქაც ზუსტადაა ფიქსირებული. ივანოვას ტიპის გვარების გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებად ქართულში მიჩნეულია ნათესაობითი ბრუნვა და იქვე დამოწმებულია ილიას „ივერიის“ 1887 წლის № 6-დან ერთი ამონაწერი, სადაც დასახელებულია მსახიობი ქალები: აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა, მელიქოვისა და სხვ. მაგრამ ანგარიში არ ეწევა იმ გარემოებას, რომ ამისთანა შემთხვევაში ივანოვა ქალის გვარი იყო, ხოლო ივანოვისა, თამაროვისა, მელიქოვისა და მისთ. ნიშნავდა ივანოვის მეუღლეს (ცოლს), თამაროვის მეუღლეს, მელიქოვის მეუღლეს და ა. შ. ამას უკეთ მოწმობს აქვე დასახელებული აბაშიძისა, ლეონიძისა, ე. ი. აბაშიძის მეუღლე, ლეონიძის მეუღლე... თ. სახოკიას გამოთქმაც — „ბარბარე ყიფიანისა“, რასაც ავტორი იმოწმებს, ზუსტი შესატყვისია ამ წესისა. ასევე საჭირო იყო, მოკლედ მაინც, იმის ჩვენება, თუ როგორ დამკვიდრდა ქართულ ენაში ქალთა რუსული გვარების გადმოცემა, როგორ გავრცელდა ქართულისათვის

შეუფერებელი დაბოლოებები პოპოვა, გრიზოდუბოვა, ტერეშკოვა, კრუპსკაია, კორჩაგინა, ულანოვა, კუფტინა, ალილუევა... ჩვენ გვგონია, ამისთანა შემთხვევაში ნასესხები ჩანს არა რუსული მდედრობითი სქესის ელემენტები, არამედ მთლიანად გვარები — უცვლელად, ე. ი. ნასესხებია პოპოვიცა და პოპოვაც, ულანოვიცა და ულანოვაც, კუფტინიცა და კუფტინაც... კ უ ფ ტ ი ნ ა ს ტიპის გვართა ხმარება ქართულში ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია, მაგრამ ისინი ისე გავრცელდნენ დაიმ მასშტაბითაც, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა დღეს შეუძლებელია. სასურველი იყო, ავტორს ამის შესახებაც გამოეთქვა თავისი აზრი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ხე სიტყვის ფუნქციაზე მეგრულსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში და აღნიშნულია: ხე სიტყვამ, რომელიც ქალთა გვარებს ემატება, თანდათან დამცირების ან სახუმარო ელფერი მიიღოო. თანაც, აქვე გაკეთებულია ასეთი დასკვნა: «Нет нужды доказывать, что наличие в языке упомянутой л е к с и ч е с к о й единицы «ХЕ» не дает основания говорить о наличии в данном языке г р а м м а т и ч е с к о й категории рода».

ამ ამონაწერში რამდენიმე უზუსტობა გამოსჭვივის. ჯერ ერთი, ქართული ენის დიალექტებში გვხვდება არა მარტო ხე, არამედ ჩვეულებრივ — ფხე, რაც ნაშრომში განხილული არ არის; მეორე, ხე სიტყვას მეგრულში, საიდანაც ხე (ფხე) ქართულ დიალექტებში გავრცელდა, არავითარი დამცირების ან ხუმრობის ელფერი თან არ ახლავს და ეს არც აქვთ აღნიშნული სათანადო მასალის მკვლევრებს (ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ა. ჩიქობავა), იმავე მნიშვნელობისაა, რასაც ქართ. ასული აღნიშნავს; თუ კი რომელიმე კუთხეში ფხე||ხე-ს თან ახლავს ასეთი იერი, ეს ცალკე უნდა აღნიშნულიყო, როგორც ეს მითითებულიც აქვს ი. მეგრელიძეს (იხ. И. В. Мегрелидзе, Женские фамильные окончания, გვ. 153); მესამეც, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ სიტყვის მიხედვით არავის უმტკიცებია, რომ ქართულში ან მეგრულში გვაქვს გრამატიკული სქესის კატეგორიაო. ბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ხე სიტყვის შესახებ არსებობს მთელი სამეცნიერო ლიტერატურა, საიდანაც ჩვენი ავტორი იმოწმებს მხოლოდ შ. ძიძიგურისა და ი. მეგრელიძის ნაშრომებს, ხოლო მოხსენებული არ არის ა. ცაგარლის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ვ. ბერიძის, ა. ჩიქობავას, ს. ჟღენტის, პ. ინგოროყვას, ე. თაყაიშვილისა და სხვათა ნაშრომები, რომლებშიაც გვხვდება სიტყვის სემანტიკისა და ეტიმოლოგიის ახსნის ცდები.

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ნაშრომი ალაგ-ალაგ გადატვირთულია არასაჭირო მასალითა და ვრცელი მსჯელობებით. მაგალითად, სრულიად ზედმეტად გამოიყურება მსჯელობა ვინმე ა. პ. ანდრეევის ნაცოდვილარზე. ამ ავტორს 1928 წელს გამოუქვეყნებია საკუთარი უწიგნურობის მაჩვენებელი სტატია, სათაურით „Наша речь

как объект рационализации", რომელშიც წამოუყენებია „თეზისი": «Надо ликвидировать категорию рода в русском языке».

განა საჭირო იყო ასეთ სოლიდურ ნაშრომში, როგორიც წინამდებარე მონოგრაფიაა, სერიოზულად საუბარი ამ უკაცრავად პასუხის „თეორიაზე"? მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ავტორი აქ ეყრდნობა არა პირველ, არამედ მეორე წყაროს და ანდრეევის ნაცოდვილარის შესახებ მხოლოდ ე. ბოკარევის სტატიის მიხედვით მსჯელობს.

ზედმეტად გვეჩვენება აგრეთვე ვრცელი მსჯელობა ეკლექტიზმის ცნებაზე, რასაც მთელი გვერდები ეთმობა. ამ მსჯელობას ნაშრომში აღძრულ პრობლემასთან მეტად შორეული კავშირი აქვს. თუ მაინცა და მაინც საჭირო იყო ეკლექტიზმის რაობის განმარტება, განა საკმარისად არ უნდა მიგვეჩნია იქვე დამოწმებული ვრცელი ამონაწერი ვ. ი. ლენინის ნაშრომიდან? რაღა საჭირო იყო ამის შემდეგ კიდევ ციტატები დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან, ნ. კ. კულმანის, ო. პ. სუნიკის, ა. ა. ლეონტიევისა და ა. შ. ნაშრომებიდან?

ასევე ზედმეტად გამოიყურება ვრცელი ექსკურსი სტატისტიკური მონაცემების საჭიროებაზე ლინგვისტიკური საკითხების გაშუქებისას. აქაც მოხმობილია რამდენიმე ავტორის საყოველთაოდ ცნობილი აზრები სტატისტიკური მასალის საჭიროების შესახებ საერთოდ. მკითხველი კი, გვჯერა, უამისოდაც ერწმუნებოდა ავტორის კვლევა-ძიების ხერხებს.

ასეთია ჩვენი შენიშვნები.

დიმიტრი ჭანტურიშვილის ნაშრომი, როგორც თავშიაც აღვნიშნეთ, დაწერილია ჩინებულად. აქ თავმოყრილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა და მოცემულია მათი მკაცრი ანალიზი. გაწეულია პირდაპირ ტიტანური შრომა, დიდი გულმოდგინებითაა შეჯერებული პირველი წყაროები, სტატისტიკურად გამოთვლილია რამდენიმე ათეული ლექსიკონის მონაცემები და გაკეთებულია ღრმა მეცნიერული ღირებულების განზოგადებანი. ადამიანთა (პირთა, პიროვნებათა) სახელები რუსულ'ია და ქართულ ენებში ამ გეგმითა და ასეთი მიდგომით ჯერ არავის შეუსწავლია. ეს ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას, ახალი დებულებებითა და განზოგადებებით ამდიდრებს მეცნიერებას.

1971 წ.

ნარკვევი ძართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხებზე

გავეცანი ლილი ქუთათელაძის ახალ ნაშრომს, რომელიც ორ ნაკვეთადაა შეკინძული. პირველ ნაკვეთში („დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები") განხილულია ორივე ავტო-

რის ძირითადი ლექსიკოგრაფიული თხზულებები (გამოცემულია ცალკე წიგნად 1967 წელს), მეორე ნაკვეთი კი საკუთრივ იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას ეძღვნება. ორივე ნაკვეთი ერთად აღებული სოლიდური ფილოლოგიური ნარკვევია ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის სისხლხორცეულ საკითხებზე. აქ ფართო გეგმით შესწავლილია დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ნაშრომის აღნაგობის გადმოცემა ან იმაზე დაწვრილებით საუბარი, თუ რას შეიცავს მისი თვითეული ნაკვეთის ცალკე თავები. ყველაფერი ეს მშვენივრადაა ნაჩვენები წინასიტყვაობაში. მოკლედ შევჩერდებით მის ძირითად ღირსებებზე, თანაც ყურადღებას გავამახვილებთ, უწინარეს ყოვლისა, საკუთრივ იმ სიახლეებსა და წვლილზე, რაც ნაშრომს შეაქვს ქართული ლექსიკოგრაფიის პრობლემების მეცნიერულად გაშუქებაში.

ძირითადი ღირსება ნაშრომისა ისაა, რომ იგი ეყრდნობა მეცნიერებაში ან უცნობ, ან ნაკლებად ცნობილ ფაქტობრივ მასალას, პირადად ავტორის მიერ რომაა გამოვლენილი და პირველად ჩართული კვლევა-ძიებაში. მკვლევრის სკრუპულოზური ძიება სიახლის დასადგენად ყურადღებას იმსახურებს თავისი შედეგებით.

დადგენილია დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის სამი პერიოდი. დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული შრომების ხელნაწერად დარჩენილი ფრაგმენტების გულმოდგინედ შეჯერების საფუძველზე ავტორი სწორ დასკვნებამდის მისულა: ა) დავით ბაგრატიონი ადრევე დაინტერესებულა ლექსიკოგრაფიით და კიდევაც დაუწყია ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონის“ შევსება; ბ) შემდეგ მას საბას ლექსიკონში შეუტანია იმ პერიოდის სპეციალური ლიტერატურიდან ამოკრებილი საბუნებისმეტყველო ტერმინთა განმარტებანი; გ) ასე შევსებული ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის გადანუსხვა დავით რექტორისათვის დაუვალებია. ავტორს არ გამოჰპარვია, რომ დავით ბაგრატიონს დავით რექტორთან ერთად ამ მუშაობაში ეხმარებოდა სხვა პირიც, რომლის ვინაობა ჯერხნობით დაუდგენელია.

გამოვლენილია ის ლექსიკური მასალა, რომელიც დავით ბაგრატიონს ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში შეუტანია. ეს მასალა ცალკეა წარმოდგენილი ანბანზე გაწყობილი სახით და მთლიანად სიახლეს შეიცავს.

მთავარი ნაწილი ნარკვევისა იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას ეძღვნება. ცნობილია, რომ იოანე ბაგრატიონი, დიდებული „ქართველი განმანათლებელი და ენციკლოპედისტი“, ლექსიკოგრაფოსიც იყო. ამ მრავალმხრივი მეცნიერის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ ქართულ ლექსიკოგრაფიას

უპირავს. მეცნიერმა რამდენიმე სახის ლექსიკონის შედგენა იტვირთა. ჩვენ ვიცნობთ მის ქართულ, რუსულ-ქართულ და საბუნებისმეტყველო ლექსიკონებს, რომელთაგან ზოგი დამთავრებული და ზოგიც დაუმთავრებელი დარჩა. ლ. ქუთათელაძის ძიება უეჭველ მოწონებას იმსახურებს თავისი შედეგებით. ახლა დადგენილად უნდა მივიჩნიოთ: ა) თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იოანე ბაგრატიონი ახალი მასალით ავსებდა ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონას", შემდეგ კი დაუწყია „ახალი ტიპის ლექსიკონის" შედგენა; ბ) იოანე ბაგრატიონეს ქართული ლექსიკონი განმარტებითიცაა, თარგმნითიც და ენციკლოპედიური შინაარსისაც. „მის ძირითად ნიშან-თვისებას მისი ენციკლოპედიურობა წარმოადგენსო"; „ე. ი. ნარევი ტიპისაა, მაგრამ ძირითადად ენციკლოპედიურიაო"; გ) პირველი და ძირითადი წყარო ი. ბაგრატიონის ნაშრომისა საბა ორბელიანის „სიტყვის კონაა", მეორე — რუსეთის აკადემიის ლექსიკონი და იმ პერიოდში არსებული საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური, თეოლოგიური, სამოგზაურო ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე, თარგმანი და ორიგინალური; დ) ნათლადაა ნაჩვენები, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ტერმინების განმარტებაში ნატურალისტთა „მოგზაურობების", საკუთრივ ბერძენი ექიმის, დიოსკორიდის, თხზულებისა და სხვა წყაროთა შემოქმედებითი გამოყენება. შესადარებლად მოხმობილი მასალა სანდოა და საინტერესო; ე) დამაჯერებელია ავტორის დებულება, რომ იოანე ბაგრატიონი თავისი ლექსიკონისათვის მასალების შეგროვებას შესდგომია 1805—1806 წლებში, ხოლო მთლიანად ლექსიკონი „იქმნებოდა 20—22 წლის მანძილზე", ე. ი. ის 1806—1828 წლების შუალედშია შექმნილი.

ერთად შეკრული და გამართულია იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონის" ჩვენამდის ფრაგმენტებად მოღწეული ტექსტი და მომზადებულია ის გამოსაცემად: ა- ანო (-ანოლა). გამოკვლევის ეს ნაწილი მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ნარკვევის ერთი, უეჭველად არსებითი ხასიათის, ღირსება. ტექნიკურად იგი გამართულია სანიმუშოდ. ხელნაწერი ფრაგმენტების გვერდები გაფორმებულია ძველი ქართული მწიგნობრობის ტრადიციების შესაბამისად. მთავრულად გამოყენებული მრგვლოვანი ასოები გადმოცემულია ფერადი შტრიხით.

ასეთია ნაშრომის მთავარი მეცნიერული ღირსებანი, რითაც იგი, ჩვენი აზრით, სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს.

ამ მთლიანად მშვენიერ ნაშრომზე ორიოდე შენიშვნაც უნდა გამოვთქვათ. წვრილმან ნაკლსა თუ შეუსაბამობას კაცი ყოველგვარ წიგნში შენიშნავს და ამ მხრით გამონაკლისს არც სარეცენზიო ნაშრომი შეადგენს, მაგრამ მათზე შეჩერება საჭირო არ არის. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე გარემოებას.

უწინარეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა ნაშრომის არქიტექტონიკაზე უნდა ითქვას. იმ მიზნისათვის, რაც ავტორს ჰქონდა დასახული, სავსებით საკმარისი იყო მხოლოდ იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის განხილვა, ხოლო რაც შეეხება დავით ბაგრატიონის მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ ნარკვევს, იგი შეიძლებოდა ცალკე გამოქვეყნებულიყო. ავტორი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიას არ ადგენდა და ამიტომ დავითისა და იოანეს მასალების ცალ-ცალკე გამოქვეყნება სჯობდა. მართალია, დავითი და იოანე ძმები იყვნენ და მათ კვლევა-ძიებაში ზოგი რამ საერთოცაა, მაგრამ მათ ჩვენი მეცნიერების განვითარებაში ცალ-ცალკე დატოვეს კვალი.

არა ჩანს გამართლება სამი, თავისთავად მეტად საინტერესო, მაგრამ ამ ნაშრომთან ორგანულად დაუკავშირებელი დამატებისა, რომელიც მეორე ნაკვეთს ერთვის. ესენია: „პატარა ედემით განძება“, „აღსარება“, „პატარა ედემით განძებისა“ და „აღსარების“ ლექსიკონი. იოანე ბაგრატიონის ეს თხზულებები, ასე სიყვარულით რომ შეუსწავლია ავტორს, შეიძლება ცალკე გამოქვეყნდეს, მაგრამ აქ მათი წარმოდგენა არაფრით არ არის მოტივირებული, ისინი სრულიად არ უკავშირდებიან ი. ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობას.

დავით ბაგრატიონის მიერ საბას ლექსიკონში შეტანილ დამატებებს (ეს ეხება ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ამსახველ ტერმინებს) ჩვენი ავტორი ა ხ ა ლ პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ს უწოდებს: დავითის მოღვაწეობის მეორე ეტაპი „ხასიათდება ახალი პრინციპების ჩამოყალიბებითო“. ამ პრინციპების ჩამოყალიბების გათვალისწინებას აადვილებს განსახილველ ნუსხაზევე დართული „მიმართვა მკითხველთადმიო“. ეგ მოსაზრება დასაზუსტებელია. დავითს არ ჩამოუყალიბებია რაიმე ახალი პრინციპები ლექსიკოლოგიაში ისევე, როგორც არ უარუყვია საბას რომელიმე პრინციპი. „მიმართვა მკითხველთადმი“ არ შეიცავს ახალი პრინციპების დასაბუთებას. დავითმა ერთგვარად განავრცო ზოგიერთი საბასეული სიტყვის განმარტება, რადგან საბას განმარტება იყო მოკლე („მცენარე“, „ცხოველი“). თავადაც აკი ამბობს: „მე, მხილველმან ლექსიკონისა რუსულისამან, ვიყიდე ყოფასა ჩემსა პეტერბურგს, მოვაწერე განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიცა ამა ლექსიკონისა მშრომელსა არა თუ ენახა, ვგონებ, რომელ არცაღათუ სმენოდა“ (ვიმოწმებთ ჩვენი ავტორის პუბლიკაციას). განმარტების დაზუსტება და უფრო ვრცლად წარმოდგენა პრინციპების შეცვლას არ გულისხმობს.

დამაჯერებლად არ ჩანს ნაშრომში განვითარებული შეხედულება სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული № 253-ე ხელნაწერი ლექსიკონის შესახებ. ლ. ქუთათელაძეს კარგად მოეხსენება, რომ ამ ხელნაწერს ადრე სხვა პირებიც

გაეცნენ. უეჭველია, მას ნამდვილად ატყვია იოანე ბაგრატიონის ხელი. ა. შანიძემ ის მიიჩნია საბას ლექსიკონის გავრცობილ-გადაკეთებულ ვერსიად. აი, რას ამბობდა ამის თაობაზე ა. შანიძე: „სულხანის ლექსიკონის გამავრცობელ-გადამკეთებელთაგან შეიძლება დასახელებულ იქმნენ იოანე ბატონიშვილი (მისი კოლექციის № 253 ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში) და დავით რეტორი“ (ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. VI). ამავე აზრს თითქმის ერთ დროს, 1957 წელს, იმეორებდა ჩვენი ავტორიც. მხედველობაში გვაქვს მისი შემდეგი სიტყვები: „ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 253, XVIII ს., შევსებული ლექსიკით, განმარტებებითა და წყაროებით იოანე ბაგრატიონის მიერ XIX საუკუნის 10-იან წლებში“ (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 281). ამიტომ „ამ ლექსიკონის ავტორი მ ხ ო ლ ო დ ს ა ბ ა“ არ ყოფილა.

დასაკონკრეტებელია მოსაზრება: „საბას სიტყვანის რუსული თარგმანები (ლაპარაკია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის № 253-ე ხელნაწერის შესახებ) გაკეთებულია არა უგვიანეს 1805—1806 წლებისა“. ეს დასკვნა მიღებულია ისე, რომ ანგარიში არ ეწევა სხვა გარემოებას, კერძოდ, ქაღალდის ჰვირ ნიშანს, რაც ერთგან 1811 წელს გვიჩვენებს.

მკვლევარი მართებულად მიიჩნევს სამეცნიერო ლიტერატურაში შეხვედრილ ცნობას, რომლის თანახმად ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა მისი პეტერბურგში ჩასვლის დროიდან, ე. ი. 1825 წლიდან იწყება. ეს დასკვნა ისეა გაკეთებული, რომ მხედველობაში არ არის მიღებული ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის თარიღიანი ავტოგრაფების ჩვენება. ავტოგრაფები კი, როგორც ახლა საყოველთაოდ ცნობილია, დათარიღებულია 1825 წლით, ხოლო რუსულ-ქართული ლექსიკონის მეორე პირის გადაწერა 1832 წელს დამთავრებულა.

ჩვენს ავტორს კარგად მოეხსენება, რომ ამოდენა ლექსიკონის შედგენა ერთ კაცს, ისიც საქმეებით ისე დატვირთულ კაცს, როგორიც ნიკო ჩუბინაშვილი იყო, ორ-სამ წელიწადს არ შეეძლო. ნიკო ჩუბინაშვილს 1825 წელს კი არ დაუწყია ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა, არამედ ამ წელს ძირითადად დაუმთავრებია თავისი ლექსიკონების შედგენა და შემდეგ შესდგომია მათ გადაწერა-რედაქტირებას, რაც 1832 წელს დაუმთავრებია.

ავტორის ვარაუდით, იოანე ბაგრატიონის ქართულმა ლექსიკონმა თითქოს გამოძახილი პოვა ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ჩვენ კი დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ შესადარებლად მოხ-

ᲫᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ. ᲡᲐᲛᲘᲔᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲡᲐᲑᲐᲡ „ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲐ“. ᲡᲐᲛᲘᲔᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲚᲘᲐ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲜᲘᲜ. ᲓᲐ ᲓᲐᲕ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲡᲝ. ᲐᲠᲐ ᲩᲐᲜᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ: „ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲬᲓᲜᲔᲜ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ“.

ᲚᲘᲢᲝᲜᲐᲓᲐᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ Ნ. ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲐ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲐ ᲘᲒᲘ.

ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲨᲕᲔᲠᲡ ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ. ᲐᲛ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲡᲐᲪ, ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲗᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲑᲐᲡ „ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ. ᲜᲘᲙᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲐᲛ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲘᲐ. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲙᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲙᲕᲐᲚᲘ. ᲐᲛ ᲙᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲓᲘᲓᲔᲑᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠᲐᲐ ᲛᲝᲮᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ.

ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ: „ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ?“ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲪᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲙᲚᲘᲐ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲨᲔᲙᲘᲜᲫᲣᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ 1830—1835 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲔᲘ. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ (ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲘᲒᲘ 1830 ᲬᲔᲚᲡ) ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲤᲐᲜᲢᲐ. ᲜᲐᲮᲐᲞᲝᲕᲜᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ

მხოლოდ ა ასოზე, სხვა მასალა ჯერხნობით მიგნებული არ არის. ასეთი ვარაუდი ნამდვილად შესაწყნარებელია, თუმცა მაინც ვარაუდად რჩება და აუხსნელია: რაღა მაინცა და მაინც ეს ხელნაწერი დაიფანტა და დაიკარგა?

ავტორს დაუწყია იოანე ბაგრატიონის ლექსიკონის კვალის ძიება მომდევნო პერიოდის, სახელდობრ ნიკო ჩუბინაშვილის, ქართულ ლექსიკონში. ეს ბუნებრივიც იყო. ჰეშმარიტი მკვლევარი ნამდვილად ასეც უნდა მოქცეულიყო.

ამასთან დაკავშირებით შენიშვნებს იწვევს შემდეგი:

ა) ჩვენამდის მოღწეული ფრაგმენტებიდან (ა ასოს მასალა) რეალურად ვერ მტკიცდება, იცნობდა თუ არა ნიკო ჩუბინაშვილი იოანე ბაგრატიონის ლექსიკონს.

ბ) ი. ბაგრატიონის ლექსიკონი თუ დაიშალა და დაიფანტა 1830—1835 წლებში, საეჭვოა, ის ასახულიყო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, რომლის შედგენაც, ირკვევა, 1825 წლამდისაა დამთავრებული.

გ) რაც შეეხება იმის თქმას, რომ მ ხ ო ლ ო დ ი. ბაგრატიონი აღნიშნავდა ზოგიერთი სიტყვის ი მ ე რ უ ლ წარმომავლობასო, დასაზუსტებელია.

ჩვენი დაკვირვებით, ი. ბაგრატიონს დიალექტური მასალის აღსანიშნავად ნახმარი აქვს არა მარტო ი მ ე რ უ ლ ი, არამედ ასე: „იმერნი ხმარობენ“, „გურიულნი ამბობენ“, „კახნი იტყვიან“, „გლეხნი“ ან „მთის კაცნი“ უწოდებენო“. ნ. ჩუბინაშვილს კი ამ მიზნით გამოყენებული აქვს ჩვეულებრივი გამოთქმები: „მდაბიური“, „იმერული“, „მესხური“ და არა თუ ცალკე სიტყვები აქვს დამოწმებული ამ კუთხეებიდან, კილოთა რამდენიმე თავისებურებაც კი აღუნუსხავს (ეს ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან), რაც უცხოა ი. ბაგრატიონისათვის. ამიტომ აქედან რაიმე ხელშესახები დასკვნის გამოტანა გაჭირდებოდა.

ავტორი ფიქრობს: „ნიკო ჩუბინაშვილისათვის იმის ცოდნა და აღნიშვნა, რომ მარჩილს „იმერეთსა შინა აწცა (ახლაც) ხმარობენ თეთრის თვლაში“, მოსალოდნელი არ არის. ეს გამოთქმა და, მაშასადამე, განმარტებაც *ოანესას ჰგავს და მისი უნდა იყოსო“. სხვა სიტყვების შესახებაც გამოთქმული ვარაუდი ამ სტილითაა გაფორმებული. რა შეიძლება ითქვას ამისთანა სავარაუდო მსჯელობაზე? რა საბუთით კეთდება ასეთი დასკვნები? ეგების ნიკო ჩუბინაშვილი არ იცნობდა იმერულ კილოს და მისი არსებობა ი. ბაგრატიონის ნაშრომის გაცნობით შეიტყო! პირადად ი. ბაგრატიონმა იმერული სიტყვები იცოდა საკუთარი სიმამრისაგან, რომელიც იმერელი წერეთელი იყოო, — აღნიშნულია ნაშრომში და ამიტომ ნ. ჩუბინაშვილმა იმერული სიტყვები ი. ბაგრატიონის ნაშრომიდან აიღოო.

შევამოწმოთ ამ აზრის სისწორე. მრავალი მაგალითიდან დავიმოწმოთ ორიოდე: ალი და ამოგება. ეს სიტყვები ორივე ლექსიკონში გვხვდება.

ი. ბაგრატიონის მიხედვით გვაქვს: „ალი იტყვიან სულსა რისამე მაცთურსა. სახედ ადამიანისა; რომელ მშობიერესა დია უფრთხილდებიან: „ალი არ დაეცესო"; აგრეთვე ცხენს რომ ფაფარი შეეგრიხება ერთმანერთში, იტყვიან: „ალს დაუგრეხიაო", და სხვანი ესეგუარნი". მშვენიერი განმარტებაა, ახლაც სავსებით სწორი, მაგრამ აქ იმერული მოხსენებული არ არის.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით გვაქვს: „ალი მინდორთა და ტყეთა შინა ავი, მავნე, ქაჯი, лешии (მდაბიონი ესრეთ ჰგონებენ და იმერნი უხმობენ ჭიმკად)". ეს განმარტებაც მშვენიერია, დღესაც მართებული, თანაც რუსული თარგმანი ახლავს. აქ კი მითითებულია იმერულზე.

რა მივიღეთ? ი. ბაგრატიონი არ უთითებს იმერულს, ნ. ჩუბინაშვილი კი ხაზგასმით მიუთითებს ამას. აკი მოსალოდნელი იყო თითქოს ამისთანა მითითება მხოლოდ ი. ბაგრატიონის ნაშრომში და არა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში?!.

გავსინჯოთ მეორე მაგალითიც.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით გვაქვს: „ამოგება (ამოვიგებ) იმერულად გამორთმევა წაღებულისა, ან პოვნა დაკარგულისა, отыскивать, выручать". აქაც პირდაპირაა მითითებული სიტყვის სემანტიკა იმერულის მიხედვით.

რას გვეუბნება ი. ბაგრატიონის ნაშრომი? აქ ეს სიტყვა სულ არ არის მოხსენიებული. ავტორის მსჯელობა — ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომში იმერული მოსალოდნელი არ არისო, არგუმენტირებული არა ჩანს. ამიტომ აქედან სარწმუნო დასკვნის გაკეთება გაჭირდება.

ი. ბაგრატიონს იმერული დამოწმებული აქვს სხვა სიტყვებთან, რასაც ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი სულ არ იცნობს. მაგალითად, ი. ბაგრატიონს ვრცლადა აქვს განმარტებული ადამატი ანუ ადამატინე, რასაც მთელი გვერდი ეთმობა. აქ ძვირფასი ინფორმაციაა წარმოდგენილი და ბოლოს მითითებულია: „ხოლო ქართველნი და იმერნი მაღნიტისა მაგიერ ადამანტს ხმარობენ სახელად და უწოდებდენ ანდამატს".

ნ. ჩუბინაშვილს ნათქვამი აქვს: „ადამასი, ადამანტი, ალმასი (იერემ. 17, I; ამოს. 7, 7) адамант, алмаз".

აქ იმერული სულ არ არის ნახსენები და ამ განმარტებას არცა აქვს რამ საერთო ი. ბაგრატიონის უეჭველად საყურადღებო განმარტებასთან. ცხადია, ნ. ჩუბინაშვილს ეს წყარო რომ სცოდნოდა, უეჭ-

ველად შეიტანდა თავის ნაშრომში ამ საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც დღესაც ენციკლოპედიური მნიშვნელობა აქვს.

ასევე ავშარა სიტყვის განმარტებაში ი. ბაგრატიონს ნახმარი აქვს გამოთქმა იმერნი: „იმერნი უფრო კანაფის თოკის ავშარს ხმარობენო“. ნ. ჩუბინაშვილი კი სულ სხვა განმარტებას იძლევა: „ავშარა სილა, ქორაკი, ულაგმო აღვირი, недоуздок, თ. ლახტა“. განმარტებები სხვადასხვაა.

ჩვენი ავტორის განცხადებით, ამბარ და ანკეს სიტყვების ამის თანა განმარტებანი მოსალოდნელი არ იყო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში. შევამოწმოთ ეს განცხადება.

ი. ბაგრატიონის მიხედვით გვაქვს: „ამბარი პურის შესანახავი ადგილი თუ სახლი, გინა ქვიტკირით ნაქმარი დიდი ორმო; აგრეთვე ხისაგან შექმნული დიდი კიდობანი პურის შესანახავად; ხოლო იმერნი ბეღელს უწოდებენ“. ეგ განმარტება ავტორს მიაჩნია ნ. ჩუბინაშვილის წყაროდ.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი გვაქვს: „ამბარი საფქვილე ზანდუკი, ანუ სახლი, ბეღელი პურის შესანახავი, хлебный амбар, магазин“. ამ განმარტების წყაროდ ი. ბაგრატიონის ნაშრომის მიჩნევა ძალიან ძნელია. ნ. ჩუბინაშვილი ბეღელს სალიტერატურო სიტყვად თვლის და არა იმერულად.

ანკეს სიტყვაზე ი. ბაგრატიონი ამბობს: „ანკესი წვლილი ნემსკავი, რომლითაც იპყრობენ თევზთა, ძუათა დაგრეხილთა ანუ იონღართა ზედა შებმულთა. ეს სახედვე იმერნი ეკლებსა შეაბმენ ძუებთა ზედა თევზის საჭერად, და ამასაცა ანკეს(ს) უწოდებენ“. თითქოს ეს განმარტება წყაროა ნ. ჩუბინაშვილისა.

ნ. ჩუბინაშვილი წერს: „ანკესი წილკავი რკინისა, წურილი ნემსკავი, удица“. სად არის აქ იმერული? განა ამის წყაროდ ი. ბაგრატიონის განმარტება შეიძლება მივიჩნიოთ? ნუ დავივიწყებთ, რომ ორივე განმარტებაში დადასტურებული საერთო გამოთქმა „წვლილი ნემსკავი“ საბას „სიტყვის კონიდან“ არის ნასესხები ორივე ავტორის მიერ.

ამისთანა და მსგავსი მასალით ძნელია სარწმუნო დასკვნის გაკეთება. აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ლექსიკონთან. ჩვენც, ვიმეორებთ, გულწრფელად გვსურს, ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მაინც აღმოჩნდეს ი. ბაგრატიონის ცნობების რაღაც კვალი, მაგრამ ნაშრომში დამოწმებული მასალით ამის დანახვა ვერ ხერხდება. ი. ბაგრატიონის ლექსიკონში, ამ ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარმოდგენილია ბევრი მართლაც საინტერესო და ძვირფასი ინფორმაცია, რაც ყველა ლექსიკონს დაამშვენებდა. ეს მასალა რომ ხელთ ჰქონოდა ნ. ჩუბინაშვილს, უეჭველია, მთლიანად ასახავდა თავის ნაღვაწში. არა

თუ იმერულ სიტყვებს, არამედ ჩვეულებრივ ლექსიკურ ერთეულებსაც გადაიღებდა, პირველ რიგში კი ლექსიკონში ისეთ სიტყვებს შეიტანდა, როგორიცაა ალავერდა, ალაყაფის კარი, ალახმალახი, ამალღამა, ამანათქარი და მისთ., რომლებიც მის ნაშრომში არ გვხვდება.

ავტორის მიერ მოხმობილი მასალა უფრო იმაში გვარწმუნებს, რომ ი. ბაგრატიონის ლექსიკონი, თუკი ნამდვილად იყო დასრულებული, ყოფილა დამოუკიდებელი ნაშრომი, დარჩენილა უცნობად და ვერ ასახულა ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ლილი ქუთათელაძის მეტად საინტერესო ნაშრომზე. როგორია საერთო დასკვნები?

როგორც თავშიაც აღინიშნა, ლილი ქუთათელაძის სარეცენზიო ნაშრომი ფრიად საინტერესო ფილოლოგიური გამოკვლევაა ძველი ქართველი გამოჩენილი მოღვაწეების ხელნაწერად დარჩენილ ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობაზე. ეყრდნობა იგი ავტორის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ მდიდარსა და ნაირფეროვან ფაქტობრივ მასალას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი პირველადაა ჩართული სამეცნიერო ძიებაში. ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ახალი ინფორმაციითა და დებულებებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას.

ლილი ქუთათელაძეს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება იცნობს არა მარტო წარმოდგენილი ნაშრომით. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი ეწევა ნაყოფიერ კვლევა-ძიებას ქართული მწიგნობრობის ისტორიასა და ლექსიკოგრაფიაში, გამოქვეყნებულიც აქვს მნიშვნელოვანი დაკვირვებანი და გამოკვლევები. მშვენიერმა მონოგრაფიამ — „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები“, რომელიც 1957 წელს გამოიცა, და სხვა გამოკვლევებმა მას ქართული მწიგნობრობის ისტორიის პირველხარისხოვანი მკვლევრისა და ჩინებული ფილოლოგის სახელი მოუხვეჭეს. ამ რიგისაა სარეცენზიო ნაშრომიც.

1972 წ.

არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია

ტოპონიმიკა ჩვენში შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა და ყოველი ახალი ნაშრომი ამ დარგში, რა მცირე რეგიონის ტოპონიმიის აღწერასაც უნდა ეძღვნებოდეს იგი, სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს. ქართულ ტოპონიმიას უკანასკნელ ხანებამდის ერთეული პირები სწავლობდნენ და ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებას საქართველოში გეგმიანი ხასიათი არ ჰქონია. ცალკე დაინტერესებულმა პირებმა და

შესაბამისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს, საგულისხმო გამოკვლევებიც შექმნეს, მაგრამ კოორდინაცია მთლიანი კვლევა-ძიებისა ძნელდებოდა, რადგან არ მოგვეპოვებოდა ერთი საერთო ცენტრი, სადაც გაშუქდებოდა ახალგაზრდა მეცნიერების სისხლხორცეული, განვითარებისა და პერსპექტივების საკითხები. ამჟამად ეს დაბრკოლება, როგორც ცნობილია, გადალახულია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმიკის ლაბორატორია, რომელმაც უკვე ფართოდ გაშალა მუშაობა და მოკლე ხანში ტოპონიმიკური ძიების ერთგვარ ცენტრადაც გახდა ჩვენს რესპუბლიკაში.

ეს მცირე შესავალი იმიტომ წარვუმძღვარეთ ჩვენს რეცენზიას, რომ ნაშრომის ავტორი, ფიქრია მაკალათია, სწორედ ხსენებული ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია და მისი გამოკვლევაც ამ ლაბორატორიაშია დამუშავებული, ასე თუ ისე წარმოადგენს ლაბორატორიის პირველ ტოპონიმიკურ მონოგრაფიას.

ამიტომ ფიქრია მაკალათიას ნაშრომი ჩვენთვის ორმხრითაა საინტერესო. ჯერ ერთი, აქ განხილულია ფრიად საყურადღებო რეგიონის, არაგვის ხეობის ფშავის, ტოპონიმია, რაც მუდამ იქცევდა სპეციალისტთა ყურადღებას, მეორეც, ნაშრომი, როგორც ითქვა, შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკურ ლაბორატორიაში და გვაჩვენებს იმ გზებსა და მიმართულებებს, რომლებითაც ამ ლაბორატორიას განზრახული აქვს ქართული ტოპონიმიის შესწავლა. ფიქრია მაკალათიას დაკვირვებებს, შეიძლება ითქვას, საფუძვლად უძევს ის პრინციპული დებულებები, რომლებსაც ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებაში იცავს ლაბორატორიის კოლექტივი და უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა მთლიანად. ტოპონიმიკის ლაბორატორიის განვლილი წლების მუშაობის შედეგებს ფიქრია მაკალათიას წარმოდგენილი დაკვირვებების მიხედვით თუ შევაფასებთ, პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ მოსავალს უეჭველად კარგი პირი უჩანს.

ნაშრომი ორ ნაწილს შეიცავს: პირველი ნაწილი საენათმეცნიერო გამოკვლევაა, მეორე კი — არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა ლექსიკონია, რასაც თან ერთვის რამდენიმე საძიებელიც. გამოკვლევა ეყრდნობა ადგილზე შეკრებილსა და შეჯერებულ მასალას. ავტორს არაგვის ხეობის ფშავის სამი სასოფლო საბჭოს (მაღაროსკარის, უკანაფშავისა და ჟინვალის) 43 დასახლებულ პუნქტში შეუკრებია 3400-მდე ტოპონიმი, რომელთა სტრუქტურისა და ხმარებულების შესწავლას, ენობრივ ანალიზსა და ეტიმოლოგიას ეძღვნება მთელი წარმოდგენილი გამოკვლევა.

სწორი გეგმითაა შესწავლილი ტოპონიმთა სტრუქტურა. გამოყო-

ფილია ძირეულ და წარმოქმნილ ტოპონიმთა შემდეგი ტიპები: ა) უაფიქსო, მარტივი ტოპონიმები, რომელთა ფუძედ გვაქვს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და მიმღეობა; ბ) აფიქსების მოშველიებით წარმოქმნილი ტოპონიმები (აქ ცალ-ცალკეა გაანალიზებული პრეფიქსებით, სუფიქსებითა და პრეფიქს-სუფიქსებით წარმოქმნილი სახელები). ტოპონიმთა საწარმოქმნო აფიქსები კვალიფიცირებულია სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულ შეხედულებათა შესაბამისად. საილუსტრაციოდ გამოყენებულია მდიდარი მასალა.

ფართო ინტერესს იწვევს ავტორის მსჯელობა თანდებულებისა და ზმნიზედების მონაწილეობით ტოპონიმთა წარმოქმნის საკითხზე. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ -თ ა ნ ა დართულ ტოპონიმთა მარჯვე ანალიზი.

კომპოზიტური ტოპონიმები განხილულია ყველა ასპექტით. პირველ რიგში დახასიათებულია ატრიბუტულ- და გენიტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები, ნაჩვენებია მსაზღვრელთა პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობის ტოპობრივი ნიმუშები. დაკვირვების საგნად ქცეულია მსაზღვრელ-საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმების საკითხები, ა ემფატიკური ხმოვნის ხმარება, ფორმაუცვლელი მსაზღვრელის გამოყენება ტოპონიმებში და ა. შ.

სწორადაა გაგებული და კვალიფიცირებული საზღვრული ინდიკატორები ტოპონიმებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ასეთ ინდიკატორებს ავტორი ამდიდრებს ხსენებულ რეგიონში მოპოვებული ახალი მასალით. ერთნაირი სისრულითაა ნაჩვენები ინდიკატორთა სისტემა როგორც ტოპონიმებში, ისე ჰიდრონიმებში.

ცალკეა გამოყოფილი არაგვის ხეობის ფშავის ტერიტორიაზე დადასტურებული უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები, რომელთა შედგენილობა და ფუძეები ქართული ენის მასალაზე ჯერხნობით ვერ იხსნება. დასახელებულია აკამათის, აწიგას, ბღოშას ტიპის ბევრი ტოპონიმი, აღწერილი თავად ჩვენი ავტორის მიერ ადგილებზე. ხაზგასასმელია მკვლევრის საჭირო სიფრთხილე და თავდაჭერილობა ამისთანა ტოპონიმებზე მსჯელობისას. საგულისხმოა, რომ მსგავსი ტოპონიმები დადასტურებულია უფრო ჟინვალისა და მაღაროსკარის სასოფლო საბჭოთა ტერიტორიის მაკროტოპონიმიაში, რაც შეეხება მიკროტოპონიმიას, ის, ფ. მაკალათიას დასკვნით, თითქმის მთლიანად ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული, სტრუქტურულად და სემანტიკურად გამჭვირვალეა. მსჯელობა ავტორისა აქ დასაბუთებულია, წარმოდგენილი დასკვნები—გასაზიარებელი.

ტოპონიმებში გამოყოფილია ძირითადი ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებანი, რომლებიც ფშაური კილოს ფონეტიკურსა

და გრამატიკულ თავისებურებებს ემთხვევა. სპეციფიკური ფონეტიკური და გრამატიკული პროცესები, რასაც ფშაური კილო არ იცნობს, აღწერილ ტოპონიმებში შენიშნული არ არის.

სწორი გეგმითაა შესწავლილი ტოპონიმთა სემანტიკა. ინტერესს იწვევს სინონიმურ და ომონიმურ ტოპონიმთა დაჯგუფება, სინონიმურ ტოპონიმებში სინქრონიული და დიაქრონიული ვარიანტების ჩვენება.

ტოპონიმთა ფუძეებში გამოყოფილია დიალექტური (ფშაური) და არქაული ლექსიკა, საკუთარი სახელები. ავტორის ეტიმოლოგიური ძიება ეყრდნობა სანდო მონაცემებს და მისი ეტიმოლოგიები ძირითად შემთხვევებში გასაზიარებელია. ნაშრომის ამ ნაწილში ბევრ ორიგინალურ დაკვირვებას ვეცნობით.

ნაშრომში გამოყენებულია უხვი მასალა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი ავტორი მასალასაც ფლობს და სამეცნიერო ლიტერატურასაც კარგად იცნობს. ლიტერატურა და წყაროები გამოყენებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით.

ნაშრომის უდავო მეცნიერულ ღირსებას კიდევ უფრო ზრდის მისი მეორე ნაწილი, რომელშიაც არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა ლექსიკონია წარმოდგენილი. ლექსიკონში, როგორც ითქვა, აღბეჭდილია მკვლევრის მიერ 1965—1967 წლებში არაგვის ხეობის ფშავში მოპოვებული მასალა, რომელიც შევსებულია გიგი ხორნაულისა და ეთერ ჩოხელაშვილის ჩანაწერებითაც. სულ ლექსიკონში 3.400-მდის ტოპონიმია შეტანილი. აქედან 2.556 გეოგრაფიულ ობიექტთა მაჩვენებელი ძირითადი ტოპონიმია, 31 — ძირითად ტოპონიმთა პარალელურად არსებული ფონეტიკური ვარიანტი, 166 — ძირითად ტოპონიმურ სახელთა პარალელურად არსებული სხვა სახელი ან ხმარებიდან გასული ძველი ტოპონიმი, 647 — ისეთი ტოპონიმია, რომელიც სხვადასხვა სოფლის ტერიტორიაზე ორჯერ ან მეტჯერ გეხვდება. ლექსიკონი განმარტებითია. განმარტებათა მთავარი ნაწილი სხარტი და ზუსტია. ლექსიკონის შემდეგ ვეცნობით ტოპონიმთა ანბანზე გაწყობილ სიასა და საგნობრივ საძიებლებს. ლექსიკონიცა და საძიებლებიც შედგენილია საქმის ცოდნით და მნიშვნელოვნად აადვილებს ნაშრომის ახლოს გაცნობას.

ნაშრომს, ბოლოს, ამშვენებს ორი რუკა, შედგენილი თავად ავტორის მიერ. პირველი არაგვის ხეობის ფშავის სრული რუკაა, მეორეში კი ნაჩვენებია არაგვის ხეობის ფშავის სოფლების მიხედვით ქართული და უცნობი სტრუქტურის ტოპონიმთა რაოდენობრივი შეფარდება, მითითებულია ქართული და უცნობი ტოპონიმების რაოდენობა.

ასეთია, მოკლედ, ფიქრია მაკალათიას გამოკვლევის ღირსებები, რითაც იგი ჩვენს ინტერესს იწვევს.

ნაშრომში ალაგ-ალაგ საილუსტრაციო მაგალითების სიჭარბე იგრძნობა. ლინგვისტურ მონოგრაფიას, რა თქმა უნდა, სჭირდება მაგალითების სიუხვე, მაგრამ აქ რაღაც ზომიერების დაცვა მაინც იყო საჭირო. მაგალითად, ერთ გვერდზე ლაპარაკია ხმოვანფუძიან მსაზღვრელებზე რთულფუძიან ტოპონიმებში და მას მოჰყვება გრძელი სია შესაბამისი ნიმუშებისა, რასაც ერთ გვერდზე მეტი ადგილი უკავია; ასევე წარმოდგენილია თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელები მსგავსი თანრიგის ტოპონიმებში და ამას მოსდევს სია მაგალითებისა, რასაც თითქმის მთელი გვერდი უჭირავს; შემდეგ გვერდზე ვეცნობით გენიტიურ მსაზღვრელიან ტოპონიმებს (მსაზღვრელი მხოლობით რიცხვშია) და საილუსტრაციოდ დამოწმებულია სამასამდის ტოპონიმი, სამზე მეტი გვერდი; ა ხმოვანზე დამთავრებულ მსაზღვრელიან ტოპონიმთა საილუსტრაციო მაგალითების სიას მთელი გვერდი უჭირავს; ჩამოთვლილია რთულფუძიანი ტოპონიმები. რომელთაც მსაზღვრელი მრავლობითში აქვთ, და საილუსტრაციოდ აქაც სამასზე მეტი მაგალითია დასახელებული მთელ ხუთ გვერდზე და ა. შ. ჩვენ, ცხადია, საილუსტრაციო მაგალითების დასახელების წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ აქ, ვიმეორებთ, უფრო მეტი ზომიერების დაცვა აჯობებდა. მით უმეტეს, გამოკვლევას თან ერთვის ტოპონიმთა სრული ლექსიკონი და მათი ცალკე საძიებლები, სადაც დაინტერესებული მკითხველი ამავე ტოპონიმებს ორ-სამ ადგილას მაინც იპოვის.

კ ა რ ი და ხ ე ვ ი, მკვლევრის აზრით, იმისთანა ინდიკატორებია, რომლებიც ტოპოფორმანტებად ქცევის პერსპექტივას ამჟღავნებენ. „ინდიკატორს, — ამბობს ავტორი, — საზოგადოდ აქვს პერსპექტივა იქცეს ტოპოფორმანტად, ე. ი. მიიჩქმალოს მისი სემანტიკა და მაწარმოებლად მოგვევლინოს; იგულისხმება, რომ ტოპოფორმანტად ქცევის პერსპექტივა აქვს ტოპოლექსემასაც". ეს აზრი თითქოს საერთოდ შესაწყნარებელია, მაგრამ აქვე მითითებული მაგალითები ამას სრულიად არ მოწმობენ. მკვლევარი განაგრძობს: „ამის მაგალითად გამოდგებოდა ტოპოლექსემები კ ა რ ი და ხ ე ვ ი ტოპონიმებში: ზ ე კ ა რ ი, კ ლ დ ე კ ა რ ი... მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ი, ბ ო დ ბ ი ს ხ ე ვ ი"... განა მოხსენებულ ტოპონიმებში კარი და ხევი სიტყვათსაწარმოებელ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ? ამის დაჯერება გაჭირდებოდა. მეჯვრისხევი, როგორც თავის დროზე ა. შანიძემ გამოიკვლია, მეჯვდის (|| მეჯუდის) ხევია, ბოდბისხევი კი ბოდბიდან მოდის. ხევი ამ ტოპონიმებში ისეთივე ცოცხალი ინდიკატორია, როგორც ბარისახოში ა ხ ო, ხიდისთავში თ ა ვ ი, წინამძღვრიანთკარში კ ა რ ი, კავთისხევში ხ ე ვ ი და ა. შ. ამიტომ დამოწმებულ მაგალითებს გაცხრილვა ესაჭიროება.

ჩვენი ავტორი იმოწმებს ბ. სერებრენიკოვის დებულებას, რომ ტოპონიმიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ამა თუ იმ ენის სიტყვაწარმოე-

ბით თუ სიტყვაშეერთებით მოდელებთან, ამავე დროს მას აქვს საკუთარი ფორმულები, საკუთარი მოდელებიო და, ჩანს, ეთანხმება მას. ამის პარალელურად, ნაშრომში შემდეგია ნათქვამი: „არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიაში (ჩვენ დავუმატებდით: მთლიანად ქართულ ტოპონიმიაში) ყოველგვარი წარმოების სახელი გამოიყენება ტოპონიმად, სპეციალური ტოპოფორმანტები არ დასტურდება, გამონაკლისია -ურ-ა აფიქსით (უნდა იყოს: -ურ-ა ‖ -ულ-ა) პირველად ტოპონიმთაგან მეორად ტოპონიმთა (resp. ჰიდრონიმთა) წარმოებაო“. თუკი ეს ასეა, ამაში კი ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მაშინ ქართულ მასალაზე არ მართლდება დებულება, რომ ენობრივად ტოპონიმებს აქვთ საკუთარი მოდელებიო. ქართული ენა ამ მიზნით ჩვეულებრივ იყენებს საყოველთაო გავრცელების სიტყვათწარმოებითსა და სიტყვათშეერთებითს მოდელებს, რაღაც, განსაკუთრებით სპეციფიკური ტოპომოდელები თითქოს არა ჩანს (შდრ.: ფ ე ს ვ ი ა ნ ი — დ ე კ ი ა ნ ი (ტოპ.), ნ ა ც ო ლ ა რ ი — ნ ა ქ ე რ ა ლ ი (ტოპ.), ს ა თ ა ვ ე — ს ა ბ უ ე (ტოპ.), ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი — ხ ი დ ი ს თ ა ვ ი (ტოპ.), მ თ ი ს წ ყ ა ლ ი — ც ხ ე ნ ი ს წ ყ ა ლ ი (ჰიდრ.), კ ა ლ მ ი ს წ ვ ე რ ი — ა ხ უ ნ ი ს წ ვ ე რ ი (ტოპ.) და მისთ.). ავტორს შევახსენებთ, რომ ქართულში გვაქვს სპეციფიკური ტოპოფორმანტი -ეთ, რომელიც მ ხ ო ლ ო დ ტოპონიმებს აწარმოებს, მაგრამ ამ ერთი ფორმანტით გაჭირდებოდა ისეთი დიდი საკითხის გადაწყვეტა, თითქოს ქართულმა ენამ იცის ტოპონიმთა სპეციფიკური ენობრივი მოდელები. ფშაური იასეთი, კაჭალეთი, თრიალეთი... ან მკვლევრის მიერ დასახელებული -ურ-ა (მაღარო-ულ-ა, თვალი-ურ-ა...) სპეციფიკური მოდელების გამოსაყოფად საკმარისი არ უნდა იყოს. ავტორი სწორ პოზიციაზე დგას, მაგრამ ნათელი არ არის, რად დასჭირდა სხვა წყაროს მოშველიება? სხვა წყაროთა დამოწმებას მაშინ აქვს აზრი და ფასი, როცა იგი თქვენს დებულებას ამაგრებს ან ასაბუთებს ახალი ასპექტით. აქ კი ამას ვერ ვხედავთ.

ავტორის დაკვირვებით, -ეთ მორფემა იშლება ვოკალურ (-ე) და კონსონანტურ (-თ) ნაწილად, რასაც ჩვენც ვერწმუნებით, მაგრამ ამის საილუსტრაციოდ კ ვ ი რ ი კ ე თ ტოპონიმი შესაფერისი არ არის. გურ. კ ვ ი რ ი კ ე თ ი შეიძლება ორი წარმოშობისა იყოს: კ ვ ი რ ი კ (ა) -ე თ-ი (გურულში ზოგჯერ ისმის კვირიკია, კვირიკა ანთროპონიმები), ან კ ვ ი რ ი კ ე-ე თ-ი (და არა კვირიკე-თ-ი) ისევე, როგორც ძველი ქართულის X—XI სს. ძეგლებში პ ა ვ ლ ე ე თ ი გვხვდება (ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 112—113; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება... თბ., 1957, გვ. 387—388). რაც შეეხება ბობო-თ-სა და მისი ტიპის სხვა ტოპონიმებს, ნაშრომში სწორადაა ხაზგასმული, რომ მათ -თ აქვთ საწარმოებლად (თუმცა ბობო-ეთ-იც არ არის მოულოდნელი). -ეთ ‖ -თ ელემენტი, ჩვენ ვთვლით, მრავლობითობის მა-

ჩვენებელი უნდა ყოფილიყო ისტორიულად. -ეთ-ის ვარიანტად -ით მიიჩნია ჯერ კიდევ ნ. მარმა.

გვერდო, კუდო, ფერდო, ყანო მიჩნეულია -ო-ზე დაბოლოებულ ტოპონიმებად, მათში -ო ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენსო. -ო ამ ტოპონიმებში ნამდვილად არ არის ძირეული ხმოვანი და, ჩვენ გვგონია, ის -ობ მორფემისეულია. უნდა გვქონოდა: გვერდობი, ფერდობი, ყანობი (რაზედაც ქვემოთ ავტორიც ჩერდება). ნაშრომში ვკითხულობთ: „თავისთავად ისიც საკვლევია, თუ რა არის -ობ?“ კანონზომიერი კითხვაა, მაგრამ ამ კითხვაზე ხომ გვაქვს ა. შანიძის დამაჯერებელი პასუხი? (საფუძვლები... გვ. 131—132). შეიძლება დავუმატოთ: -ობ ამისთანა მაგალითებში ტოპონიმთა ფუძეების მაწარმოებელია.

საეჭვოდაა მიჩნეული, რომ სა-ო საკუთარი სახელებისაგან, გვარებისაგან, საზოგადოდ ვინ ჯგუფის სახელებისაგან აწარმოებს ტოპონიმებს. „ფშაურ ტოპონიმების მონაცემებზე დაყრდნობით ამ დებულების გაზიარება გაძნელდებოდაო“. მაშინ როგორღა უნდა აიხსნას ნაშრომში დამოწმებული საჯირჩლავნო ტოპონიმი? ჯირჩლა ხომ საკუთარი სახელია! ტოპონიმის აღწერისას თავად ავტორს აღუნიშნავს: „ჯოში ყოფილა ჯირჩლანი, იმათ მიუცავ ეს ადგილი გოგოლაურთისად“. ამიტომ ეს განცხადება დასაბუთებული არ არის.

ზოგიერთი ტოპონიმი, როგორც ჩანს, მთლად სწორად არ უნდა იყოს ფიქსირებული. დავასახელებთ ამის ერთ მაგალითს. ზენაშაბურაულნში აღწერილია ტოპონიმი ბოლოთრია — ვაკე; სათიბი. სიტყვას არ ახლავს რაიმე ცნობა მის ხმარებაზე, არ არის ნაჩვენები, თუ ბზე-თივის საზიდი მთის ურმის სახელწოდება (ბოლოთრია) როგორ იქცა ტოპონიმად. ეგ ადგილი ეგების მართლაც უკავშირდება ბოლოთრიას, მაგრამ ამას მკვლევარი დუმილით უვლის გვერდს. გამოკვლევაში იკითხება მხოლოდ: „ცალკეა გამოსაყოფი პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმი ბოლოთრია, რომლის მსაზღვრელი: თრია მიმღეობური ფორმააო“.

როგორც თავშიაც აღინიშნა, ბევრი ტოპონიმის შედგენილობა ნაშრომში სწორადაა ახსნილი და ზოგი ეტიმოლოგია სანიმუშოცაა. მაგრამ ეტიმოლოგიური ძიებით გატაცებულ ავტორს საცილობელიცა და ნაკლებდამაჯერებელი ოპერაციების შედეგებიც შეუტანია ნაშრომში. ყველა მაგალითის გარჩევა შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ რამდენიმეს.

ბორბალო ტოპონიმი დაშლილია ასე *ბორ-ბალ, საიდანაც პირველი კომპონენტი გაიგივებულია რაჭ. ბორო-სთან — დიდი მთა, მიყრუებული ადგილი მთაში. აუხსნელადაა დატოვებული ბალ. ბორბალო ფუძის რედუპლიკაციითაა მიღებულიო. დასაბუთება არა ჩანს.

ბ უ ყ ი ს გ ო რ ტოპონიმიდან (გორი, საგულებელი) გამოყოფილია ბ უ ყ ძირი. ბ უ ყ მართლა გვხვდება ხევსურულსა და თუშურში და არაყის (ან ლუდის) ნახად, ნაწურ სითხეს ნიშნავს. ძნელი წარმოსადგენია, რა კავშირი უნდა არსებობდეს ამ ტოპონიმურ სახელსა და არაყის ნახად სითხეს შორის? ეგების ეგ სიტყვა ბ უ ყ ბ უ ყ-ისა ან იმ ბ უ ყ-ისაგან არის მიღებული, რომელიც ბ აყ ა-ბ უ ყ-ის მეორე კომპონენტია. რომელი შეიძლება მივიჩნიოთ უფრო სარწმუნოდ?

ხელოვნურად გამოიყურება კ ი შ (კიშკევი) ტოპონიმთან ხევს. კ უ ს-ის (ერთი თავი ყველი; ყველი) დაკავშირება. კ უ ჭ ე ჭ ა ტოპონიმთან გურ. გ ა კ უ ჭ ე ბ ი ს შეპირისპირება.

მაღაროს ეტიმოლოგიაში ჩართულია მ ა ღ ა რ ა ისე, რომ მხედველობაში არ არის მიღებული უკანასკნელის თურქული წარმომავლობა (გამოქვაბულის მნიშვნელობით). მ ა ღ ა რ ა გამოქვაბულის მნიშვნელობითაა დაცული აჭარისა და მესხეთის არეალურ ტოპონიმიაში. დიდ არტაანში ს. ჯიქიას, მაგალითად, აღდგენილი აქვს მ ა ღ ა რ ა კ ა რ ა (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1968, გვ. 505—507).

დასაზუსტებელი ჩანს ფ შ ა ვ ი ს ეტიმოლოგიაც. ტოპონიმის ფუძე ასეა დაშლილი: ფშ-ავ < *შ-ავ და თანაც აქვე შენიშვნაცაა გაკეთებული: „საკითხი საკვლევიაო“. ცოტა ზემოთ დამოწმებულია ბაცბური სიტყვა შ ო ვ, გრამატიკული კლასის ვ ნიშნის ჩამოშორებით შო, რაც მკვლევარს ფ შ ა ვ ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის სჭირდება. აქ რამდენიმე გარემოებაა გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი, ბაცბური სიტყვა შ ო ვ, თ. უთურგაიძის ცნობით, გამოყენებულია არა საერთოდ ფ შ ა ვ ი ს, არამედ თელავის რაიონში მდებარე სოფელ ფ შ ა ვ ე ლ ი ს აღსანიშნავად (თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 91). თ. უთურგაიძე პირდაპირ ამბობს: „კახეთის სოფ. ფშაველს (თელავის რაიონშია) ბაცბები უწოდებენ შ ო ბ ი ლ ო-ს. ფშაველი (მამაკაცი) ბაცბურად მხოლობით რიცხვში იქნება: შ ო ვ, ხოლო მრავლობითში შ უ ბ ი (< *შობი)“ (იქვე). ამ მსჯელობას ფ შ ა ვ თ ა ნ მეტად შორეული კავშირი აქვს და ამით ხსენებული ფუძის ეტიმოლოგია გაჭირდებოდა. ფ შ ა ვ ფუძე ისევ აუხსნელი რჩება. მხედველობაში არ არის მიღებული თვით ქართული მასალა: ფშ-ა, მრ. რ.: ფშა-ნ-ი, საკუთრივ საკვლევი რეგიონის ტოპონიმიიდან: ფშა — ფშისწყალი, ფშანი, ფშისგორი, ფშარაო || ფშარაუ (ტოპონიმები ხარტიშოში, ბეტიჩდილში, გაღმასოფელში, თვალივში) და სხვ. ჯერჯერობით, ჩვენ გვგონია (და ეს აღნიშნულიც არის სამეცნიერო ლიტერატურაში), რომ ფ შ ა ვ ი ს ეტიმოლოგიის გასაღებს ფ შ ა გვაძლევს.

დასაზუსტებელია ვრცელი მსჯელობა ფ ხ ო ვ ტოპონიმისა და ეთ-

ნონიმის წარმომავლობაზე, რასაც 9 გვერდი უჭირავს. აქ დალაგებულია ისტორიკოსთა შრომებში ამ ტერმინის შესახებ გამოთქმული შეხედულებები, უკუგდებულია ფხოვ სიტყვის ქართული წარმომავლობის თეზისი და გაკეთებულია დასკვნა: ფხოვი (ეთნონიმი და ტოპონიმი) ძველად აღნიშნავდა არაქართული (შეიძლება ვეინახური) ტომით დასახლებულ დღევანდელ ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიას, რომელმაც ეს სახელი, როგორც ადმინისტრაციული ტერმინი, შემდეგაც მექანიკურად შეინარჩუნაო. ნუ ვიკამათებთ: ეგების აქ სადაო და საეჭვო არაფერია, მაგრამ ამ დასკვნას დამაჯერებელი არგუმენტაცია არ ახლავს; ნაშრომი ლინგვისტური ხასიათისაა, მაგრამ დასკვნა სარწმუნო ლინგვისტური მონაცემებით შემაგრებული არ არის. ნაკლები ნდობა ეცხადება შუა ფხო ტოპონიმს, ხოლო გურჯაანის რაიონში არსებული ფხოველ ტოპონიმი და მისი წარმომავლობა მხედველობაში არ არის მიღებული. ამიტომ ფხოვ ტერმინზე მსჯელობა არაფერს ჰმატებს ნაშრომს.

ტექსტში ალაგ-ალაგ შეინიშნება სტილური და პუნქტუაციური შეუსაბამობანი, გვხვდება გაუმართავი წინადადებები, გამოტოვებულია სიტყვები თუ მოწმობანი, რაც ადვილად გასასწორებელია და მათზე აღარ შევჩერდებით. საბედნიეროდ, ასეთი შეუსაბამობანი ცოტაა.

ზოგან დაცული არ არის ტოპონიმთა ერთიანი მართლწერა. მაგალითად, ლექსიკონში დიდფშარაუ ხან ასეა დაწერილი, ხან კი ასე: დიდფშარაუ; გამოკვლევაში მოხსენიებულია ტოპონიმი საყდართკევარ, ლექსიკონში კი ეგევე სიტყვა ასეა აღბეჭდილი: საყდართკევა. გამოკვლევაში გვაქვს სოკურთეულისა კნავი, ლექსიკონში კი — სოხურთეულისაკნავი. გამოკვლევაში იკითხება: გულბათისნაჯოლარი, ლექსიკონში კი — გულბათისასვილენი || გულბათისნასვილარნი და მისთ. რომელს ვენდოთ? გამრეკელ გვარსახელს ნათესაობით ბრუნვაში ავტორი წერს ასე: გამრეკელის; უნდა იყოს: გამრეკლის და სხვ.

ნაშრომი, როგორც ვნახეთ, მეტად აქტუალურ თემას ეძღვნება და დაწერილია საქმის ცოდნით. ავტორის სახით გვყავს ქართული ტოპონიმიის საიმედო, კარგი პერსპექტივის მკვლევარი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკვლევაში გაანალიზებული ასე მდიდარი მასალა ადგილებზე მოპოვებულია თავად ჩვენი ავტორის მიერ, რაც მოწმობს მის არა მარტო კარგ მომზადებას, არამედ საქმის სიყვარულსა და დიდ შრომისმოყვარეობასაც.

1970 წ.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების საკითხები

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების საკითხები დღესაც ისე აქტუალურია, როგორც ასი წლის წინათ იყო. და ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან ხსენებული კლასების მოსწავლეთა მეტყველების განვითარება, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკის გამდიდრების გზით ხორციელდება და ამ მუშაობის ახალი მეთოდების ძიებას, რაც საგულისხმოა, ახალი სასარგებლო რეკომენდაციების გამომუშავებას, ცხადია, თეორიულ ინტერესთან ერთად უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ ჩვენ ტიტე სულაბერიძის ნაშრომი „მოსწავლეთა ლექსიკაზე მუშაობა დაწყებით კლასებში“.

უწინარეს ყოვლისა, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში აღძრული მეტად რთული, მაგრამ აქტუალური, სადღეისო საკითხები გაშუქებულია უხვი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, ღრმა ცოდნით. აქ სწორადაა განზოგადებული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი, მოწინავე მასწავლებლებისა და საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებანი. პრაქტიკულად, ხშირად ექსპერიმენტებით შემოწმებულია არსებული მეთოდური რეკომენდაციები, ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო, რაც განსაკუთრებით ფასეულია, წარმოდგენილია ახალი, პედაგოგიურად, ფსიქოლოგიურად და ფიზიოლოგიურად დასაბუთებული, პრაქტიკით დადასტურებული, რეკომენდაციები, რომელთა გავრცელება და გამოყენება სკოლებში, უეჭველია, დიდად შეუწყობს ხელს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას.

პირველი თავი ნაშრომისა ეძღვნება დაწყებით სკოლაში ლექსიკური მუშაობის ისტორიას. აქ ჯერ გადმოცემულია პირველი ცნობები ქართული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან, შემდეგ კი დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის შეხედულებანი მოსწავლეთა ლექსიკის განვითარების შესახებ ახსნით კითხვასთან დაკავშირებით და დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის შეხედულებანი მშობლიური ენის ლექსიკური სიმდიდრის დაუფლების კონკრეტულ საკითხებზე. ამავე თავში გამოთქმულია მართებული ვარაუდი ძველ ქართულ სკოლაში მოსწავლეთა ლექსიკაზე მუშაობის ხასიათზე ადრეულ პერიოდში.

მეორე თავში განხილულია მოსწავლეთა ლექსიკაზე მუშაობის მდგომარეობა საბჭოთა სკოლაში. დახასიათებულია საქმის ვითარება საბჭოთა სკოლის არსებობის პირველ წლებში, შემდეგ ნაჩვენებია სკოლაში ახსნითი კითხვის შემოღების შედეგად მიღწეული წარმატებანი და. ბოლოს, ხაზგასმულია, თუ ახსნით კითხვასა და ლექსიკურ მუშაო-

ბას სკოლაში როგორ აფერხებდნენ კომპლექსური და პროექტების მეთოდები. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ 1937 წლიდან ჩვენს სკოლაში საბოლოოდ მკვიდრდება ახსნითი კითხვა, ხოლო უკვე 1944 წლიდან კიდეც გამოდის ახსნითი კითხვის პრინციპების საფუძველზე შედგენილი I, II და III კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები, რომლებიც ი. გოგებაშვილის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ მიხედვითაა გამართული.

ჩვენი ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახსნითი კითხვის მეთოდის საბოლოოდ დამკვიდრებამ და ქართული ენის სახელმძღვანელოებმა შექმნეს ფართო შესაძლებლობა მოსწავლეთა ლექსიკონზე სრულყოფილი მუშაობისათვის“; „ახსნითმა კითხვამ და მასთან დაკავშირებულმა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურმა მუშაობამ განვითარების თავისებური გზა გაიარა, თავის სრულყოფას მიაღწია ჩვენს დროში და მტკიცედაა დანერგილი საბჭოთა სკოლაში“. ამ თავში წარმოდგენილია კარგად მოფიქრებული მეთოდური რეკომენდაციები იმაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ლექსიკური გარჩევა ანუ გაუგებარ სიტყვათა და გამოთქმათა ახსნა და რა საერთო მოთხოვნებს უნდა უპასუხებდნენ ისინი. პირველი და მეორე კლასების სახელმძღვანელოებიდან ამოკრებილი მასალების ლექსიკური ანალიზის საფუძველზე მოცემულია მარჯვე რეკომენდაციები, რომელთაც, უნდა ვივარაუდოთ, ფართო გამოყენება ექნება პრაქტიკაში.

მესამე თავში ლაპარაკია პირველი კლასის მოსწავლეთა ლექსიკონის თავისებურებაზე. ცოცხლადაა გაანალიზებული ფაქტობრივი მასალა და სკოლების გამოცდილებანი. სამართლიანადაა ხაზგასმული პირველ კლასში ახალმიღებულ მოსწავლეთა სიჭრელე. მართლაც, პირველ კლასში მოდიან სხვადასხვა ოჯახური წრის ბავშვები, ზოგი მათგანი ქალაქელია, ზოგი სოფლელი, ზოგი მათგანი მუშის ან მოსამსახურის შვილია, ზოგიც — კოლმეურნისა თუ აგრონომ-ინჟინრისა. ყოველივე ეს, თავისთავად ცხადია, განსაზღვრავს ბავშვის მეტყველებას, მის ლექსიკურ მარაგს. „ამის გამო, — გვეუბნება სამართლიანად ავტორი, — სკოლაში ახლადჩარიცხულ ბავშვებთან მუშაობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი მოსული არიან სხვადასხვა გარემოდან: სხვადასხვა ოჯახური წრიდან, ქალაქიდან, სოფლიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან და სწორედ ეს განსაზღვრავს ბავშვთა მეტყველების, კერძოდ, ლექსიკური მარაგის სხვადასხვა თავისებურებას“. ავტორის რეკომენდაციები, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულ გარემოებას ითვალისწინებენ და მასზე ამახვილებენ მასწავლებლის ყურადღებას.

მეოთხე თავში ავტორი ჩერდება თვალსაჩინოების როლზე სალექსიკონო მუშაობაში, ხოლო მომდევნო თავებში საუბარია სინონიმიკის,

ომონიმების, ანტონიმების, ხატოვანი სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებისა და ელემენტარული გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებულ ლექსიკური მუშაობის საკითხებზე.

საკმარისია უბრალოდ თვალი გადავავლოთ საკითხების იმ ფართო წრეს, რომელიც ნაშრომშია გაშუქებული, რომ წარმოდგენა შეგექმნას მის უდავო მეცნიერულსა და მეთოდურ ღირსებაზე. სიყვარულითაა განხილული უხვი მასალა. მდიდარი სპეციალური ლიტერატურისა და პირადად ავტორის მიერ მოპოვებული ცნობების საფუძველზე შემოწმებულია დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების არსებული გზებისა და ხერხების ეფექტურობა, გამოვლენილია მათი სუსტი მხარეები და ნაჩვენებია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. ყოველივე ეს ავტორს საშუალებას აძლევს, წარმოგვიდგინოს ცალკე ტექსტების სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდური მითითებანი და რეკომენდაციები.

ტ. სულაბერიძე კარგად იცნობს სკოლას, დაწყებით კლასებში მუშაობის თავისებურებას, ამ კლასების სახელმძღვანელოთა ავკარგიანობასა და პროგრამებს, იცნობს საგნის სამეცნიერო ლიტერატურას და სათანადო კეთილსინდისიერებით იყენებს მას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ წარმოდგენილი ნაშრომი გამოირჩევა როგორც თემის აქტუალობით, ისე შესრულების ხარისხით.

ნაშრომი მთლიანად დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ნაკლოვანებებისაგან თავისუფალი მაინც არ არის. ზოგი დებულება ავტორს ბუნდოვნად აქვს გამოთქმული, ზოგი დასაზუსტებელია, ზოგიც არადამაჯერებელი, გვხვდება ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობანიც. შენიშნული ნაკლოვანებებიდან აღვნიშნავთ ზოგიერთს.

ავტორი არ ეთანხმება კ. დ. უშინსკის ცნობილ დებულებას ე. წ. „განსაკუთრებულ კილოზე მოლაპარაკე“ ბავშვებთან მასწავლებლის ურთიერთობის შესახებ პირველ გაკვეთილებზე სკოლაში და მას მცდარად მიიჩნევს. იგი წერს: „ვერ გავიზიარებთ კ. დ. უშინსკის რჩევას“. „ეს არ არის გამართლებული, პირიქით, მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი ვალდებულია მეტყველებდეს წმინდა ლიტერატურული ენითო“ და ა. შ.

აღვადგინოთ მეხსიერებაში უშინსკის აზრები. რაზე აქვს ლაპარაკი დიდ პედაგოგს, რას ეხება მისი მსჯელობა?

უშინსკი აქ ლაპარაკობს პირველი კლასის პირველ ორ-სამ გაკვეთილზე. როცა ბავშვი სკოლაში პირველად მოდის, მისთვის სკოლის სამყარო სრულიად უცნობია, იგი ახალ გარემოს არ იცნობს, არ იცნობს მასწავლებელს, ბავშვებს, დედის კალთას ვერ მოშორებია, ოჯახურ გარემოშია და ჯერ კიდევ თავის ე. წ. კილოზე ტიტინებს. როგორ უნდა მიიუდგეთ ამისთანა ბავშვებს? როგორ გამოვესაუბროთ მათ პირ-

ველი შეხვედრისთანავე? ისინი ხომ ჯერ მორცხვობენ, ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებენ, გაკვირვებული აცეცებენ თვალებს აქეთ-იქით, ეძებენ მშობლებს, რომელთაც ეს-ეს იყო თავიანთი პატარები საკლასო ოთახის კარებამდის მიაცილეს! როგორი სიტყვით უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში ბავშვებს მასწავლებელმა, სახელდობრ, როგორი უნდა იყოს აქ მასწავლებლის ლექსიკა, კილო, მიმართვა? ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ოჯახური წრიდან, სხვადასხვა კუთხიდან მოსულ ბავშვებთან (რაზედაც ლაპარაკი აქვს ჩვენს ავტორსაც), რომელთაც უჭირთ გამართული ლიტერატურული ენით ლაპარაკი და „მშობელთა კილოზე“ ტიტინებენ. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, სკოლები ხევსურეთში, საინგილოში, თუშეთში, სვანეთში, სამეგრელოში. ამ სკოლებში ხომ პირველ კლასში მოდიან ბავშვები, რომლებიც ოჯახში სწორედ იმ ე. წ. „განსხვავებულ კილოზე“ ლაპარაკობენ, რის შესახებაც გვიამბობს უშინსკი. როგორ უნდა გამოესაუბროს მასწავლებელი ამ ბავშვებს პირველ შეხვედრისას, პირველ-ორ გაკვეთილზე, სწორედ პირველ-ორ გაკვეთილზე და არა საერთოდ? მასწავლებელს, ცხადია, ნაშრომის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი ვალდებულია მეტყველებდეს წმინდა ლიტერატურული ენით, მაგალითს აძლევდეს ბავშვებს და თანამიმდევრულად იბრძოდეს არალიტერატურული ფორმების აღმოფხვრისათვის“, ეს, ვიმეორებთ, სავსებით მართებული აზრია, მაგრამ გვიპასუხეთ, როგორ მოვექცეთ დახასიათებულ კუთხეთა სკოლებში პირველ დღეს მოსულ თითის სიგრძე ბავშვებს, როგორ გამოვესაუბროთ მათ. უშინსკის, ბავშვის სამყაროს დიდებულ ქომაგს, ძალიან კარგად ესმოდა ეს გარემოება, ამიტომ იგი საამისო რეკომენდაციასაც იძლეოდა. ავტორი ამ კონკრეტული შემთხვევისათვის რეკომენდაციას არ იძლევა. უშინსკის მითითებას კი იწუნებს.

დიდი პედაგოგის ნათელ რეკომენდაციას ჩვენი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ მაინც გვინდა ალვადგინოთ ჰეშმარიტება. უშინსკის მითითება ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია. მისი სიტყვები, რომლებიც ასი წლის წინათ წარმოითქვა, დღესაც გულში ჩამწვდომია და, ვფიქრობთ, ავტორის ასეთ მრისხანე საყვედურს არ უნდა იმსახურებდეს. ყური დავუგდოთ, რას ამბობს შესანიშნავი პედაგოგი „სკოლაში პირველი გაკვეთილის შესახებ“:

„პირველი ორი-სამი გაკვეთილი, რომელსაც ახალშემოსულ მოსწავლეებს ვაძლევთ, შეიძლება მოვახმაროთ იმას, რომ მათ შორის ერთგვარი წესრიგი დავამყაროთ, გავიცნოთ ისინი და გავაცნოთ მათ სკოლა და თვით ჩვენივე თავი; მაშასადამე, ეს უფრო საუბარი იქნება, ვიდრე გაკვეთილი. ამ საუბრის დროს მასწავლებლის ტონი რაც შეიძლება ნაკლებ ფორმალური უნდა იყოს. მასწავლებელმა ისეთი ენით

უნდა ელაპარაკოს ბავშვებს, როგორ ენასაც არიან ისინი შეჩვეული ოჯახში, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ უხეშობის გარეშე, რომელსაც ზოგჯერ მშობლები იჩენენ. თუ ეს ბავშვები, რომლებიც სკოლაში დადიან, რაიმე განსაკუთრებულ კილოზე ლაპარაკობენ, მასწავლებელმაც უნდა ილაპარაკოს ამ კილოზე და ნელ-ნელა მიიყვანოს ბავშვები საერთო ლიტერატურული რუსულის გაგებამდე. ბავშვის ტიტინის რაღაც მიბაძვა სრულიად ზრაა საჭირო, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ბავშვებს ისე მოვეპყროთ, როგორც მოზრდილებს" (კ. დ. უშინსკი, რჩ. პედაგოგიური თხზულებანი, II, ქართ. გამოც., თბ., 1954, გვ. 47-48).

ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. რატომ არ მოსწონს ავტორს უშინსკის ეს აზრი?

დიდი პედაგოგის მსჯელობა ღრმად დასაბუთებულია. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ სიტყვებით უარყოფილი როდია ლიტერატურული ენის როლი ან გაიდეალებული დიალექტური მეტყველება. პირიქით. უშინსკის სიტყვების აზრი სწორედ მოსწავლეთა წიგნიერი მეტყველების გამომუშავების პირველი გზის ჩვენებაა. რა შედეგებს მოგვცემს, მაგალითად, ახალმიღებულებთან პირველშეხვედრისთანავე ისეთი ოფიციალური, უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმალური ტონი, რომლითაც მოზრდილებს ველაპარაკებით! დიალექტური ნორმები, რომელთაც ბავშვი მეტყველების დაწყებისთანავე ითვისებს გარემოს გავლენით, როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, ადვილად ვერ აღმოიფხვრება, მის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა იბრძოლოს და ამ ბრძოლას შედეგი მოჰყვება ნელ-ნელა, თანდათანობით. ამიტომ პირველი შეხვედრისთანავე, პირველ გაკვეთილზე, რომელიც უფრო საუბარი უნდა იყოს, ვიდრე გაკვეთილი, მასწავლებელი პირველი კლასის მოსწავლეებს სწორედ მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ესაუბროს, სწორედ იმ განსაკუთრებულ კილოზე უნდა ელაპარაკოს, თუ ასეთი კილო მათ აქვთ, წესრიგში უნდა მოიყვანოს ისინი, შეაჩვიოს ყურადღებას, მასწავლებლის მოსმენას, ხოლო, როგორც უშინსკი გვეუბნება, „როცა ახალი კლასი რამდენიმედ მწყობრ სახეს მიიღებს, დაიჩვევა მასწავლებლის მოსმენას და მის მოთხოვნათა შესრულებას, მაშინ უკვე შეიძლება მშობლიური ენის სისტემატური სწავლება" (კ. დ. უშინსკი, იქვე, გვ. 51).

ჩვენი ავტორის ეჭვი დასაბუთებული არ არის. არც უშინსკის ციტატაა სრულად დამოწმებული.

ნაშრომში სწორადაა აღნიშნული: „უნდა გავახსოვდეს, რომ სიტყვის განმარტება თავის მხრივ არ უნდა მოითხოვდეს ახსნა-განმარტებას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცავდეს ისინი ძნელად გასაგებ სიტყვას, რომ ისიც საჭიროებდეს განმარტებას". ეს დებულება სტილურად მთლად გამართული ვერ არის (ნაცვალსახელი ისინი

მრავლობითში არ უნდა იყოს), მაგრამ ლოგიკურად სწორია. ნამდვილად ასეა: განმარტება თავის მხრით ახსნა-განმარტებას აღარ უნდა მოითხოვდეს. ავტორი ცდილობს სიტყვების მართებულ განმარტებას. მაგრამ ყოველთვის თანამიმდევარი არ არის. იგი არჩევს ანდაზას: „ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო“. ანდაზიდან ამოღებულია სიტყვა ბაღდადი, რასაც ახლავს ასეთი შეგონება: „საჭიროა ავუხსნათ ბავშვებს, რომ ბაღდადი ქალაქის სახელია; ქალაქია აზიაში. მაგრამ აქ უნდა ზუსტად ავუხსნათ ბავშვებს, რომ სიტყვა ბაღდადი ამ შემთხვევაში ნახმარია კარგი, საყვარელი ადგილის აღსანიშნავად“. რა მივიღეთ? ბავშვებს ვუთხარით, ბაღდადი ქალაქია აზიაში, ანდაზაში კი სიტყვა ნახმარია კარგის, საყვარელი ადგილის მნიშვნელობითო. სწორია კი ასეთი განმარტება? განა ანდაზაში ბაღდადი ამ მიზნით არის მოხსენებული? ამ ანდაზას მეტად ღრმა აზრი აქვს. ბაღდადის ასეთი განმარტება კვლავ განმარტებას საჭიროებს. ამით ვერ გავაგებინებთ 9 წლის ბავშვებს ანდაზის აზრს, მის ოცნებას ბურუსში გავხვევთ, შევაეჭვებთ: ეს რაღაც ქალაქი აზიაში თურმე ჩიტისათვის საყვარელი ადგილი ყოფილაო! ნამდვილად მთელ ანდაზასა და კერძოდ მასში მოხსენიებულ ბაღდადს აქვს სულ სხვა მნიშვნელობა, რომლის გაგება 9 წლის ასაკის ბავშვებს, ჩვენი აზრით, გაუჭირდება. ავტორს თავდაპირველად უნდა გაერკვია, თუ რამდენად შეძლებს ამისთანა ანდაზის შესწავლას III კლასის მოსწავლე და შემდეგ გაეანალიზებინა მისი ლექსიკა. ამასთან, მას არ უნდა დაემალა ბავშვებისათვის ის ფაქტიც, რომ ბაღდადი არა მარტო ქალაქია აზიაში (თუმცა ეს მეტისმეტად ზოგადი განმარტებაა), არამედ ამავე სახელით სოფლებიცაა ცნობილი მახარაძის, ლაგოდეხისა და მაიაკოვსკის რაიონებში. მივიღეთ იმის საპირისპირო რამ, რის წინააღმდეგაც გვაფრთხილებდა თვით ჩვენი ავტორი: სიტყვა ისე განიმარტა, რომ თვით ეს განმარტება უფრო მეტ ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

ნაშრომის ავტორი „გრამატიკის ელემენტარული საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით“ სწორად მოითხოვს გაკვეთილებზე „ლექსიკურ მუშაობას“, მაგრამ ამ მოთხოვნის დასაბუთება სარწმუნო არ არის. იგი გვირჩევს ახლად მიწოდებული სიტყვის გრამატიკულად გარჩევას, მაგრამ ნათელი არ არის, თუ როგორ ესმის მას სიტყვის გრამატიკული გარჩევა პირველ კლასში. სანიმუშოდ ნაშრომში დასახელებულია სიტყვა შეუდრეკელი, რომელსაც ასეთი კომენტარი ახლავს: „ეს სიტყვა მტკიცედ დამკვიდრდება მოსწავლის აქტიურ ლექსიკონში, თუ მასზე ვავარჯიშებთ კიდეც გრამატიკულად“ და აქ ამ ვარჯიშობის ასეთი კითხვა-პასუხია გადმოცემული: „რამდენი ხმოვანია „შეუდრეკელ“ სიტყვაში? — ამ სიტყვაში არის ხუთი ხმოვანი. — რამდენი თანხმოვანია მასში? — ამ სიტყვაში არის ხუთი თანხმოვანი.—

რამდენმარცვლოვანია იგი? — „შეუდრეკელი“ არის ხუთმარცვლოვანი. — დამიმარცვლეთ სიტყვა „შეუდრეკელი“ — შე-უდ-რე-კე-ლი“.

ავტორს, ეტყობა, ეს მიაჩნია სიტყვის გრამატიკულ გარჩევად. მაგრამ აქ ხომ გრამატიკული გარჩევა არა გვაქვს. სიტყვის გრამატიკული და ფონეტიკური ანალიზი ხომ უნდა განვასხვაოთ?

მკვლევარს კარგად მოეხსენება გარემოს მნიშვნელობა ბავშვის ლექსიკურ მარაგზე. ამიტომ იგი სწორად ადარებს ერთმანეთს ქალაქისა და სოფლის სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკას და პირდაპირ ამბობს: „სოფლელი ბავშვის სიტყვათა მარაგი უფრო მდიდარიაო“. ამაზე დღეს ვერ ვიკამათებთ: ეგების ეს მართლაც ასე იყოს. ჩვენ ახლა გვინდა მხოლოდ ვკითხოთ ავტორს: როგორ ფიქრობს იგი, ხომ არ აჯობებდა ქალაქელი და სოფლელი ბავშვების ლექსიკური მარაგის ცალ-ცალკე შესწავლა და შემდეგ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების გზების საერთო რეკომენდაციების გამომუშავება იმ ვარაუდით, რომ ორივე გარემოში აღზრდილ ბავშვთა მეტყველების თავისებურება მიგვეღო მხედველობაში? მაშინ ხომ, უეჭველად, უფრო მეტი კონკრეტული ხასიათი ექნებოდა ნაშრომში წარმოდგენილ რეკომენდაციებს?

ტიტე სულაბერიძის წიგნი „მოსწავლეთა ლექსიკაზე მუშაობა დაწყებით კლასებში“ დაწერილია ცოცხლად, ემყარება სანდო წყაროებს და შეიცავს ფრიად საჭირო რეკომენდაციებს, რომელთა დანერგვა სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში დიდად შეუწყობდა ხელს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკის გამრავალფეროვნებას და საერთოდ მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებაზე მუშაობას.

1970 წ.

სპარსული დასთანების ქართული ვერსიებისათვის

სპარსული დასთანების შესწავლის ინტერესი აღმოსავლეთმცოდნეობაში ადრიდანვე გაჩნდა და, ბუნებრივია, ამ საკითხზე შეიქმნა მდიდარი სპეციალური ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე. პრობლემა თავისებურად გაშუქდა რუსულ რევოლუციამდელ აღმოსავლეთმცოდნეობაში (ს. ოლდენბერგი, ვ. ჟუკოვსკი, ნ. მარი), ხოლო განსაკუთრებული ყურადღება სპარსული დასთანების წარმოშობა-განვითარების ჩაღრმავებულ ძიებას ჩვენში უკანასკნელ ხანებში მიექცა. საკმარისია, თუნდაც, იმ მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნა, რომ ამ საკითხს სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა: ე. ბერტელსმა და ვ. ჟირმუნსკიმ, ი. კრაჩკოვსკიმ და ა. რო-

მასკოვიჩმა, ი. მარმა და კ. ჩაიკინმა, ი. ბრაგინსკიმ და ი. ბორშევსკიმ, ა. ბოლდირევმა და ი. სალიმოვმა, ხ. კოროგლიმ და მ. ტახმასიბმა და სხვებმა. სპარსული დასთანების შესწავლას ახალი იმპულსი მისცა კვლევა-ძიებაში მათი ქართული ვერსიების ჩართვამ, რაც მთლიანად ქართველ მეცნიერთა დამსახურებას წარმოადგენს. ქართველი მეცნიერების გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინეს არა მარტოოდენ სპარსული დასთანების თარგმანების ავ-კარგიანობასა და ქართული ვერსიების ჩამოყალიბების გზებს, რასაც ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს სპარსული ლიტერატურის ამ თავისებური ჟანრის სპეციფიკისა და გავრცელების შესწავლისათვის, არამედ, რაც მთავარია, თვით ქართული ვერსიების სპარსულ პროტოტიპებსაც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერხნობით ნაპოვნი არ არის და მხოლოდ ქართული თარგმანის სახითაა ცნობილი. ამ ძიებას სათავე დაუდეს ჯერ კიდევ ნ. მარმა და ე. თაყაიშვილმა, შემდეგ საკითხს ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნეს კ. კეკელიძემ და იუსტ. აბულაძემ, ალ. ბარამიძემ და დ. კობიძემ, ი. მარმა და ვლ. ფუთურიძემ, ხოლო ამჟამად პრობლემას ასე ინტენსიურად იკვლევენ მ. თოდუა და ალ. გვახარია.

ჩვენი მეცნიერების ამ სახელოვანი გუნდიდან ცალკე უნდა გამოვყოთ საანალიზო ნაშრომის ავტორი, ალ. გვახარია, რომლის გამოკვლევები ამ თემაზე სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის ადრეც იყო ცნობილი, ხოლო დღეს საშუალება გვაქვს განვიხილოთ და შევაფასოთ მისი ახალი ნაშრომი.

ნაშრომი ორ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილში განხილულია სპარსული ხალხური დასთანები საერთოდ, მეორე ნაწილში გაშუქებულია სპარსული დასთანების უძველესი ტრადიციები, მათი ისტორიული და სოციალური ფონი, ჟანრობრივი თავისებურებანი, განვითარების ორი პერიოდი, მთქმელთა ინსტიტუტი და სპარსული ხალხური დასთანების საერთაშორისო მნიშვნელობა, სპარსულ-ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული ურთიერთობის უძველესი ტრადიციები, სპარსული დასთანებისა და მათი თარგმანების მიმართება კლასიკური ხანისა და აღორძინების ხანის ქართულ მწერლობასთან, ბოლოს გაანალიზებულია ცალკე ციკლები დასთანებისა („ბარამგულანდამიანი“, „მირიანი“, „ბახთიარნამე“).

ასეთია საკითხთა ვრცელი წრე, რაც შესწავლილია ნაშრომში. აქედან კარგად ჩანს, თუ ავტორი რა რთულსა და საინტერესო პრობლემებს არკვევს. აქტუალობა ამ პრობლემებისა უეჭველია, ძიებისათვის არჩეული გზა — სწორი, მეთოდოლოგიური წინამძღვრები — დასაბუთებული.

ჩვენ არ გამოვუდგებით ნაშრომში განვითარებული შეხედულებების დალაგებას თავების მიხედვით. ეს ეგების საჭირო იყოს სპეციალუ-

რი დანიშნულების რეცენზიაში, მაგრამ ამჯერად უმჯობესად მიგვაჩნია, შევჩერდეთ შრომის ძირითად მეცნიერულ ღირსებებსა და იმ წვლილზე, რაც ალ. გვახარიას შეაქვს ჩვენი ცოდნის განვითარებაში, რათა გავეცნოთ შრომის როგორც მთავარ შინაარსს, ისე მის ზოგად სახეს, ავტორის კონცეფციის საფუძვლებს.

მონოგრაფიის ძირითად მეცნიერულ ღირსებებად, ჩვენი ღრმა რწმენით, უნდა მივიჩნიოთ შემდეგი:

ძიების ობიექტად ქცეულია სპარსული პროზის შესანიშნავი ნიმუშები, ხალხური დასთანები, „ადაბიათე ამიანე“, რომლებიც, თავისი დიდი გავრცელებულობისა და პოპულარობის მიუხედავად, მეცნიერებისაგან არსებითად ხელუხლებლად იყო დატოვებული, რადგან „არ იყო მიჩნეული ჭეშმარიტი ლიტერატურის კუთვნილებად“. ავტორმა აირჩია რთული გზა: არ შეუშინდა პირველწყაროთა არც სიუხვესა და ძნელად ხელმისაწვდომობას, არც ტექსტების სანდო გამოცემათა უქონლობას, არც სამეცნიერო ლიტერატურის სიმცირეს და შეძლო მდიდარი მასალის კლასიფიკაცია, სიუჟეტური ციკლების გამოყოფა, მათი ძირითადი სპარსული რედაქციების შეჯერება და, რაც მთავარია, ქართული ვერსიების ორიგინალთან შეპირისპირება. ამაზე გაწეულია დიდი შრომა და გამოვლენილია მეტად საინტერესო ფაქტობრივი მასალა, დადგენილია ცალკე დასთანთა გავრცელებულობის გზები, სპარსული ორიგინალისა და ქართული თარგმანების ენობრივ-სტილური თავისებურებები და სიუჟეტური ქარგის მსგავსება-განსხვავებანი.

სპარსული დასთანების გულმოდგინედ შეჯერების შედეგად ავტორმა სწორად მოხაზა ამ ჟანრის თხზულებათა წარმოშობა-განვითარებისა და სტრუქტურის ნიშან-თვისებათა ჩამოყალიბების სურათი.

დასაბუთებული და სარწმუნოა წამოყენებული დებულება სპარსული დასთანების ქალაქური ცხოვრების წიაღში ჩამოყალიბება-გავრცელების შესახებ. მკვლევრის აზრით, ამ ჟანრის თხზულებათა წარმოქმნა-გავრცელებას ხელი შეუწყო პროზის უმდიდრესმა ეროვნულმა ტრადიციებმა, ურთიერთობამ მეზობელ ქვეყნებთან, კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებამ. ქალაქების ზრდამ და მათი მოსახლეობის დაბალი ფენების აქტივობამ შეუმზადა ნიადაგი ჯერ XI-XIII საუკუნეებში პირველი სპარსული დასთანების ჩამოყალიბებას, შემდეგ კი, XVI-XVIII საუკუნეებში, მათ მასობრივ აღორძინებას. სპარსული დასთანების მსოფლიო რეზონანსს კი, ავტორის აზრით, ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებამ. ფაქტობრივი მასალა და ლიტერატურის მოწმობანი, რომლებიც ნაშრომშია გამოყენებული, უდავოდ ადასტურებენ წამოყენებულ დებულებათა სისწორეს.

დასაბუთებული და დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა დასთანთა მთქმელების (ყისა-ხანების) ინსტიტუტის შესახებ. დასთანებს ამბობ-

დნენ ზეპირად ან კითხულობდნენ შეკრებებზეო. მათი მთქმელები ტრადიციული მთქმელები იყვნენ და ხალხი მათ იცნობდა ამ სახელწოდებებით: „რავიანე ახბარ“ („ამბის მთქმელები“), „ყისსე-ხან“ („მთხრობელი“), „ნაყყალ“ („გადმომცემი“), „მაარიქე-გიორ“ („გამრთობი“) და სხვ. მთქმელთა უმრავლესობა ყოფილა ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენელი, წერილი ხელოსნები და ვაჭრები, მოხეტიალე დერვიშები. ისინი გვხვდებოდნენ მსხვილ ფეოდალთა, იშვიათად თვით შაჰის კარზეც. „მაგრამ ყისსე-ხანთა ძირითადი ასპარეზი მაინც ქუჩა იყო. ბაზარი და მოედანი, ყავახანა და ქარვასლაო“,—დაასკვნის ავტორი. და ეს აზრი სავსებით სწორად ასახავს დასთანების მთქმელთა თავისებური მოღვაწეობის ასპარეზს, ძველსა და ახალ ტრადიციას. ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარს დამოწმებული აქვს თანამედროვე ირანელი მეცნიერის, მ. მაჰჯუბის, შემდეგი სიტყვები: ამ ოცდაათიოდე წლის წინ, როცა თეირანში ჯერ კიდევ არ იყო რესტორნები და ღამის კაბარეები, თავყრილობისა და გართობის უმთავრეს ცენტრებს ყავახანები წარმოადგენდნენ. ზამთრის გრძელ ღამეებს თეთრად ათენებდნენ „რამუზე-ჰამზასა“ და „ისქანდერ-ნამეს“ მსმენელები, პირდაღებულნი შესცქეროდნენ ნაყყალს და ვერცკი ამჩნევდნენ, როგორ დგებოდა დილის საარის ჟამი. ყისსე-ხანებს, ბუნებრივია, დიდი რეპერტუარი ჰქონდათ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ დასთანთა მთელი ციკლების ზეპირად დასწავლა და დეკლამაცია. ამიტომ ისინი ხშირად ჩანაწერებს მიმართავდნენ და მათ კითხულობდნენ. აქედან გაჩენილა დასთანთა მოკლე და ვრცელი ვარიანტები.

ავტორმა სწორად განსაზღვრა სპარსული დასთანების ჟანრული თავისებურებანი. მისი აზრით, ძნელია სპარსული ხალხური დასთანების ფოლკლორთან გაიგივება. დასთანებში გაერთიანებულია ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი. კონკრეტული პირის მიერ შექმნილი ტექსტი კარგავს ხოლმე ავტორს, იცვლება თქმა-გამეორების პროცესში და ხელიდან ხელში გადადის.

მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკულად შეჯერების საფუძველზე მონოგრაფიაში გამოყოფილია სპარსული დასთანების განვითარების ორი პერიოდი. პირველი პერიოდი, ავტორის აზრით, პირობითად შეიძლება შემოიფარგლოს XI-XIII საუკუნეებით, მეორე კი — XVI-XVIII საუკუნეებით. გამოვლენილი და თვალსაჩინოდ ნაჩვენებია თვითეული პერიოდისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. პირველი პერიოდისათვის ბუნებრივადაა მიჩნეული ისტორიული ხასიათის საგმირო-საფალავნო დასთანები, რომელთაც საფუძვლად ისტორიული მონაცემები უძევთ და მოქმედ პირებადაც რეალურად არსებული ადამიანებია გამოყვანილი (ასეთებია, კერძოდ, „აბუ მუსლიმ-ნამე“, „ისქანდერ-ნამე“, „დარაბ-ნამე“,

„სამაქე-აირი“ და სხვ.). საგმირო-სათავგადასავლო და რომანტიკული ხასიათის დასთანებთან ერთად ამ პერიოდში შექმნილა დიდაქტიკური ჟანრის ცალკე კრებულებიც. მეორე პერიოდი ჟანრობრივად უფრო მდიდარ მასალას გვაწვდის. აქ გვაქვს საგმირო, რომანტიკული, დიდაქტიკური ხასიათის დასთანები და კრებულები, ჩვეულებრივია ტრადიციული ტექსტების გადამუშავებაც. ამ პერიოდში გაჩნდა მთელი ციკლი „შაჰ-ნამეს“ გმირებთან დაკავშირებული გვიანდელი დასთანებისა, რომელთაც აღარაფერი დარჩათ პირველწყაროსი. მკვლევარი სწორად მიუთითებს, რომ მეორე პერიოდის დასთანები არათუ შესწავლილი, ჯერხნობით მთლიანად აღრიცხულიც არ არისო; ზღვა მასალიდან მხოლოდ წვეთია აღნუსხულიო. ალ. გვახარიას დამსახურებაა ამ მასალიდან რამდენიმე ძირითადი ციკლის გამოყოფა და ანალიზი.

მონოგრაფიის მთავარი მეცნიერული ღირსება ისაა, რომ აქ პირველადაა სპეციალური ძიების საგნად ქცეული სპარსული დასთანების ქართული ვერსიები. ამ ვერსიების უმთავრესი ნაწილის გამოვლენით, ორიგინალთან შეჯერებითა და სკრუპულოზური ანალიზით ალ. გვახარიამ უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა საბჭოური აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებაში. მართალია, სპარსული დასთანების ქართული ვერსიების ცალკე საკითხებს ასე თუ ისე სხვა ავტორებიც შეჰხებიან და მათთან დაკავშირებით მეტად საინტერესო აზრებიცაა გამოთქმული ნ. მარის, ა. ხახანაშვილის, ე. თაყაიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძის, დ. კობიძის, გ. იმედაშვილის, ტ. რუხაძისა და სხვათა ნაშრომებში, რომელთაც კარგად იცნობს და მეცნიერული კეთილსინდისიერებითაც იყენებს ჩვენი ავტორი, მაგრამ პრობლემა წარმოდგენილი კუთხით პირველად სწორედ ალ. გვახარიამ დააყენა და სპარსული დასთანების ქართული ვერსიების თანამიმდევრულ ფილოლოგიურ შესწავლას მან ჩაუყარა საფუძველი. ალ. გვახარიას ნაშრომში პირველადაა დადგენილი სპარსული დასთანების ქართული ვერსიების გავრცელების გზები და წყაროები, წარმოდგენილია ბრწყინვალე ანალიზი სპარსული დასთანების ისეთი ქართული ვერსიებისა, როგორიცაა „ბახთიარ-ნამე“, „ბარამგულანდამიანი“, „ბარამგულიჯანიანი“, „ბაღდადის მეფე“, „ვარშაყიანი“, „მირიანი“, „რაზმაშა“, „სეიფალმულუქი“, „სეილანიანი“, „სირინოზიანი“, „ფირმალიანი“, „ყარამანიანი“, „ყისაი ჰამზას“ XIX საუკუნეში შექმნილი ციკლი, „ჩარდავრიშიანი“ და სხვები. ჩვენს არქივსაცავებში მოპოვებული და გაშიფრული ამ დასთანთა ქართული თარგმანების ნუსხები, მათი ძირითადი ნაწილი შეჯერებულია ორიგინალთან, რაზედაც გაწეულია ტიტანური შრომა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიები გამოცემულია ცალკე მონოგრაფიად, რასაც თან ახლავს მთელი ქართული ტექსტი, ვრცელი მეცნიერული ანალიზი და

ლექსიკონი. მონოგრაფია, როგორც ითქვა, დიდ ინტერესს იწვევს ავტორის ძიების შედეგებით, სრულიად ახალ ცნობებს გვაწვდის სპარსულ ორიგინალთან მიმართების, ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებითი მუშაობის საკითხებზე.

ზემოთქმულს უნდა დაემატოს ერუდირებული ავტორის მიგნებანი, ორიგინალური აზრები, გამოთქმული თვითეული ლიტერატურული ძეგლის სიუჟეტური გრეხილისა და ტექსტის შესახებ, მკაფიო და ნათელი მსჯელობა სპარსულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებზე, საფუძვლიანი ცოდნა სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო წყაროებისა ქართულ, რუსულ, სპარსულ და უცხოურ ენებზე, რაც ასე ხიბლავს მკითხველს.

ალ. გვახარიას სახით ჩვენ გვყავს ჩამოყალიბებული მკვლევარი სპარსულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ისტორიისა, შესანიშნავი ფილოლოგოსი-აღმოსავლეთმცოდნე, რომელიც დღევანდელ პირობებში თავისებური გზით განაგრძობს ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დაწყებულ საქმეს. მისი ნაშრომი, შეჯამება ხანგრძლივი ძიებისა, იმსახურებს მაღალ შეფასებას.

მხოლოდ ორიოდე შენიშვნა. უწინარეს ყოვლისა, მთლად ნათელი არაა ხალხური დასთანების ცნება. ავტორთან ერთად ამ ცნებას სხვა მკვლევრებიც ხმარობენ, თუმცა ახსნილი არაა ტერმინის შინაარსი. ეპითეტი ხალხური აქ, როგორც ჩანს, არ უტოლდება ფოლკლორულს. ამიტომ საჭირო იყო ცნების უფრო მკაცრი მეცნიერული დეფინიცია. ხალხურს იმისთანა თხზულებას უწოდებენ, რომელსაც ავტორი არა ჰყავს. სპარსული დასთანები არ შეიძლება მიეჩნიოთ ხალხურ თხზულებებად იმის მიუხედავად, რომ თქმა-განმეორების ან კითხვა-დეკლამაციის პროცესში ტექსტებში ბევრი რამ შეჰქონდათ მთქმელებსაცა და შემსრულებლებსაც. საჭირო იყო საგანგებო შენიშვნის გაკეთება იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეპითეტი ხალხური. ჩვენ პირადად ვთვლით, რომ ეს ეპითეტი აქ უადგილოა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ჩვენი შენიშვნა მარტო ალ. გვახარიას მონოგრაფიას არ ეხება. უმჯობესად მიგვაჩნია, ვილაპარაკოთ არა ხალხურ დასთანებზე საერთოდ, არამედ დასთანთა, ლიტერატურის ამ თავისებური ჟანრის ნიმუშთა, ხალხურ ვერსიებზე. უდავოა, რომ სპარსული ეპოსი ხალხურ დასთანებსაც გულისხმობს, მაგრამ „ისქანდერ-ნამეს“ ტიპის თხზულებანი კი არ არის ხალხური დასთანები, არამედ ხალხურ დასთანებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვთქვათ, „ათასერთღამიანის“ ცალკე ნოველების ტიპის ქმნილებანი. „ისქანდერ-ნამეს“, „შაჰ-ნამეს“, „ბახთიარ-ნამესა“ და ამ ტიპის სხვა სპარსულ დასთანებს, როგორც ცნობილია, ხალხური ვერსიებიც მოეპოვებათ, მაგრამ მთლიანად მათი სპარსულ ხალხურ დასთანებად გა-

მოცხადება გაძნელდებოდა და მეცნიერულად დამაჯერებელიც არ იქნებოდა. სპარსულ დასთანებში ბლომად გვხვდება ხალხური მოტივები. განსაკუთრებით ბევრი რამეა აქ შემოტანილი ზღაპრული ეპოსიდან, „ათასერთღამიანის“ ციკლიდან. ეს ნამდვილად ფაქტია, მაგრამ ხალხური მოტივების გამოყენება და შემდეგ ავტორის ვინაობის დავიწყება ნაწარმოებს ხალხურად, ე. ი. ფოლკლორულად, ვერ გახდის. დასთანთა ის ციკლები, რომელთაც სარეცენზიო ნაშრომი ეძღვნება, უწინარეს ყოვლისა ლიტერატურული ქმნილებებია და არა ხალხური. სპარსული დასთანების ამ ციკლების შემოქმედნი ინდივიდები, თანაც უაღრესად განსწავლული ავტორები იყვნენ, ზოგი მათგანის სახელი შემორჩა ლიტერატურის ისტორიას, ზოგისა დაიკარგა. ამიტომ, ვფიქრობთ, აჯობებდა გვეთქვა არა სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, არამედ უბრალოდ სპარსული დასთანების ქართული ვერსიები, ხოლო ხალხში გადამუშავებული ლიტერატურული დასთანები აღგვენიშნა ასე — „სპარსული დასთანების ხალხური ვერსიები“.

მონოგრაფიის ავტორი ეჭვობს და ერთ ადგილას პირდაპირ აღნიშნავს: „მაგრამ ლიტერატურული წყაროს არსებობა ფაქტიაო“. ამ გარემოებას გრძნობდა ვ. ჟირმუნსკიც და ამიტომ იგი მოითხოვდა ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საგანგებოდ შესწავლას დასთანთა ტიპის თხზულებებში. ეს ნამდვილად საჭირო საქმეა. მაშინ უფრო სარწმუნოდ გაირკვევა, ამ ე. წ. ხალხურ დასთანებში რა არის ლიტერატურული და რა ხალხური. ალ. გვახარიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით, ბახთიარ-ნამეს ციკლში, მან ეს მშვენივრად გვაჩვენა.

ნათელი არ არის აგრეთვე ჩვენი ავტორის შეხედულება „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხზე. ამ ქართული საგმირო რომანის შესახებ ნაშრომში ვკითხულობთ: „ეს არის ტიპიური საგმირო-საფალავნო დასთანი, უფრო სწორად, ერთი, საკმაოდ სუსტი, ჩარჩოთი შეკრული დასთანების კრებული“. მართალია, აქ ნათქვამი არ არის, რომ „ამირანდარეჯანიანი“ სპარსული დასთანი ან სპარსული ხალხური დასთანის ქართული ვერსიააო, მაგრამ გარკვევით არაა აღნიშნული მისი სადაურობა. თუ ეს თხზულება ტიპობრივი დასთანია, უნდა ითქვას დაბეჯითებით — ქართული დასთანია თუ სპარსული? მკელევარი ვრცლად იხილავს „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის პრობლემას, ზედმიწევნით გადმოგვცემს ყველა მკელევრის შეხედულებას, ვისაც კი ამის შესახებ გამოუთქვამს აზრი, მაგრამ საკუთარ დასკვნას არ გვთავაზობს. შრომაში ნათქვამია: „თუკი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორს, ქართულ წყაროებთან ერთად უცხოურიც გამოუყენებია, ამაში დაეჭვება კი ძნელია, პირველ რიგში ასეთებად სპარსული დასთანებია საგულვებელი“. ეს უეჭველად სწორი ვარაუდია. მაგრამ საამისო საბუ-

თები მოშველიებული არაა. ეგევე აზრი კი უფრო ადრე, როგორც შრომაში სწორადაა ხაზგასმული, ალ. ბარამიძემ განავითარა. „ყისსაი ჰამზას“ კვლავ გახსენება აქ საქმარისი არაა. განა „ამირანდარეჯანიანი“ ამ სპარსული დასთანის თარგმანი ან გადმოქართულებაა? გეთანხმებით, პათოსით, ჟანრობრივი თავისებურებით „ამირანდარეჯანიანი“ ნამდვილად ემსგავსება დასთანს, მაგრამ ღრმად ორიგინალურია. იგი ჩვენთვის დღესდღეობით ცნობილი რომელიმე სპარსული დასთანის ქართული ვერსია არაა და მისი აქ მოხსენება საქმეს არაფერს ჰმატებს. საქმეს არაფერს ჰმატებს აგრეთვე მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიმართებაზე სპარსულ დასთანებთან. აქ გამოთქმული ვარაუდები მეტად საცილობელია.

სპარსული დასთანებისა და მათი ქართული ვერსიების კვლევასთან დაკავშირებით ავტორის წინაშე ბუნებრივად დადგა სპარსული მწერლობის ამ ჟანრის თხზულებათა ქართულ ფოლკლორთან მიმართების საკითხი. საერთოდ ავტორმა სპარსულ-ქართული ფოლკლორული ურთიერთობის ძიება შემდეგისათვის გადადო: „სპარსულ-ქართული ფოლკლორული ურთიერთობა ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარსო“, მაგრამ ამ დიდი თემიდან მან მაინც დასვა ერთი ძირითადი საკითხი: ხომ არ აისახა სპარსული ხალხური დასთანები ქართულ ფოლკლორში?

როგორია ძიების შედეგები? ქართული ზღაპრული ეპოსიდან დასთანთა ტიპის ნიმუშად მიჩნეულია „ზღაპარი არაბ-ზანგინისა“ და ბერნარდე ნეაპოლელის ცნობილ კრებულში დაცული „არაკი ქიშმარის ხელმწიფის ქალისა“. სიუჟეტური გრეხილითა და ცალკე მოტივებით ეს თხზულებები ნამდვილად მოგვაგონებენ სპარსულ დასთანებს. სასურველი იყო ამ ტიპის სხვა ქართული ზღაპრების განხილვაც. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, „გულუზარი“ (ქართული ხალხური ზღაპრები, II, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1952, გვ. 3—19), „ლუდიკი“ (გურული ფოლკლორი, 1, თბ., 1937, გვ. 262-269), „ამბავი ჯუმჯუმ ხემწიფისაი“ (ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. 130—136) და სხვ. რაც შეეხება განხილულ ორ თხზულებას, მათზე უნდა ითქვას შემდეგი: „ზღაპარი არაბზანგინისა“ არა გვგონია, რომ სპარსული დასთანის თარგმანია, აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ზოგად შაბლონსა და ცალკე მოტივთა საერთო ნიადაგზე. „არაკი ქიშმარის ხელმწიფის ქალისა“ კი ბერნარდე ნეაპოლელის კრებულში რომელიღაც ხელნაწერი კრებულიდანაა მოხვედრილი და მისი წარმომავლობა ჩვენთვის ჯერხნობით უცნობია. ეს ტექსტი ცალკე შესწავლას მოითხოვს, რამდენადაც ქართული ზღაპრის ჩვეულებრივ სტრუქტურულ სქემას არ ექვემდებარება და ეგების თარგმანიცაა.

სპარსული დასთანების ურთიერთმიმართება ქართულ ფოლკლორთან მარტო ამ ორი ტექსტის მონაცემებით ვერ გადაწყდება. ორი

ხალხის ზეპირშემოქმედების ურთიერთობის ჩვენებას უფრო მეტი მასალის მოხმობა დასჭირდება.

„თრითინო“ მიჩნეულია ქართულ ზღაპრად. ალ. გვახარიას კარგად მოეხსენება და ეს მას აღნიშნულიც აქვს, რომ „თრითინო“ პირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა გულბათის ცნობილ კრებულში, ხოლო შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოქვეყნდა „აკაკის თვიურ კრებულში“ (1899 წ.). უცნობია ტექსტის ორიგინალი, ჩაწერის ადგილი და მთქმელის ვინაობა. როგორც ვიცით, მასში გვხვდება ხალხური მოტივები, მაგრამ მთლიანად სტილიზებულია, მწიგნობრობის ელფერს ატარებს. გამოდგება კი ამისთანა ტექსტი დიდმნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად?

ალ. გვახარიას მონოგრაფია, როგორც დავინახეთ, ჩვენი მეცნიერების ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია. აქ დასმული და ორიგინალურად გაშუქებულია სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კარდინალური საკითხები, პირველადაა სპეციალური კვლევის ობიექტად ქცეული სპარსული დასთანების ქართული ვერსიები. შრომას ახალი შუქი შეაქვს სპარსული დასთანური ლიტერატურის წარმოქმნის, ტრადიციებისა და განვითარების ტენდენციების შესწავლაში. მდიდარი, ნაირფეროვანი და უპირატესად სრულიად ახალი ფაქტობრივი მასალა, სამეცნიერო არქივებში მოპოვებული უცნობი ან შეუსწავლელი ქართული და სპარსული ტექსტების ზედმიწევნით ზესტი მეცნიერული ანალიზი, დიდი პერსპექტივების მქონე მეცნიერული განზოგადებები, აი, რას ვგრძნობთ უწინარეს ყოვლისა სარეცენზიო შრომის ახლოს გაცნობის შედეგად. მონოგრაფია ახალი ძიებებითა და დებულებებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას, მას ახალ სიმაღლეზე აჰყავს სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის კვლევა ჩვენში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ალ. გვახარიას ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს არა მარტო ამ ნაშრომით. იგი ავტორია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, გამოკვლევებისა, რომლებიც სპარსულ-ქართული კულტურული ურთიერთობანი და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვა ასპექტებს ეძღვნება. ამ გამოკვლევებმა სპეციალისტთა დიდი მოწონება და ფართო გამოხმაურება გამოიწვიეს და მათ ავტორს შორის გაუთქვეს სახელი.

1970 წ.

„ქართული ანდაზები“

ფიქრია ზანდუკელის „ქართული ანდაზები“ ჩვენი ხალხური ანდაზების მონოგრაფიულად შესწავლას ეძღვნება.

თემატიკურად მდიდარი, ფორმით მომხიბლავი, აზრით ღრმასიტყვაობა

ღრმა ქართული ანდაზები მკვლევრის წინაშე აღძრავს მრავალ თეორიულ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტისათვის მეცნიერთა მთელი თაობების ძალ-ღონე იქნება საჭირო. ჩვენი ანდაზები — ქართველი ხალხის ფილოსოფიური გენიის ეს უჭკნობი მარგალიტები — რთული ამოცანების წინაშე აყენებენ ახალ მკვლევარს განსაკუთრებით დღეს, როცა მათ შესახებ ასე მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი. ქართული ანდაზების შეკრება-შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათ შესახებ საინტერესო და ავტორიტეტული აზრები გამოუთქვამთ ჩვენი კულტურის როგორც ძველ, ისე ახალ მკვლევრებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული კი გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი სპეციალური ნაშრომი, რომელშიაც განხილულია ქართული ანდაზების შეკრება-პუბლიკაციის, თემატიკის, სპეციფიკის, მხატვრული ენის საკითხები. ახალი მკვლევარი, პირველ ყოვლისა, ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს დიდძალ გამოქვეყნებულსა და გამოუქვეყნებელ მასალას, რაც თითქმის სამასზე მეტი წელიწადია ინტენსიურად გროვდება, და გვთავაზობდეს განსხვავებულ დებულებებს პრობლემის ახალი ასპექტით შესწავლისათვის.

ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიქრია ზანდუკელს წარმატებით გადაულახავს პრობლემის სირთულესთან დაკავშირებული დაბრკოლებანი, ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა და შეუქმნია უეჭველად საინტერესო მონოგრაფია ქართულ ანდაზებზე. ნაშრომს ახალ სიმაღლეზე აჰყავს ჩვენი ანდაზების შესწავლა და ის უსათუოდ კარგი შენაძენია ქართული პარემიოგრაფიისა.

ნაშრომი შესავალს გარდა შემდეგ თავებს შეიცავს: ანდაზის სიტყვის მასალასა და აფორიზმთან ურთიერთობისათვის, ქართული ანდაზების შეკრება-შესწავლის ისტორია, ქართული ანდაზების კლასიფიკაციისათვის, ანდაზების გენეზისის საკითხი, ქართული ანდაზების იდეურ-თემატიკური მხარე და ქართული ანდაზების მხატვრული თავისებურებანი. ბოლოს ნაშრომს ერთვის დასკვნითი დებულებანი.

ჩვენც ნაშრომის განხილვას შევუდგებით წარმოდგენილი თანამიმდევრობით.

შესავალში მკვლევარი არკვევს ანდაზის არსს, მის ისტორიულ-საზოგადოებრივ დანიშნულებას და განიხილავს აღძრულ საკითხზე მეცნიერებაში არსებულ შეხედულებათა ავკარგიანობას. აქ სწორადაა ხაზგასმული პარემიოლოგიის ჩასახვისა და განვითარების საკითხები. მისი დასკვნით, ანდაზის, როგორც ხალხური შემოქმედების თავისებური ჟანრის, მნიშვნელობას პირობებს „აზრის საოცარი სიღრმე, ლოგიკური მეტყველების არაჩვეულებრივი თანამიმდევრობა, ბრძნული მსჯელობის ნათელი სიცხადე, პოეტურ სახეთა მრავალფეროვანი

სიუხვე, პროგრესისა და კეთილის გამარჯვების ოპტიმისტური რწმენა, წმიდათაწმიდა მორალის დაუსრულებელი ქადაგება, სოციალურ-ეთიკური საკითხების დადებითი გადაწყვეტა, ესთეტიკური ტკბობის საოცარი ძალა".

კრიტიკულადაა შეფასებული მითოლოგიური, მიგრაციული და ანთროპოლოგიური სკოლების მკვლევართა შეხედულებანი ანდაზის რაობის, სპეციფიკისა და ჟანრობრივი ნიშან-თვისებების საკითხებზე. ავტორი გვაჩვენებს ამ სკოლების მეთოდოლოგიური საყრდენების მერყევ ნიადაგს და მათ უპირისპირებს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი დასკვნები ეჭვს არ იწვევს.

ორიგინალური აზრებია გამოთქმული ანდაზის ურთიერთობის საკითხზე სიტყვის მასალასა და აფორიზმთან. ავტორი ხედავს ანდაზის ორგვარ მნიშვნელობას: პირველადს ანუ ამოსავალს და მეორადს, ანუ გადატანითს. ანდაზის არსებით ნიშან-თვისებად მიჩნეულია ნართაულობა, ზოგადი ხასიათის მსჯელობა, ზნეობრივ-მორალური შინაარსი, თავისებური მუსიკალობა და მელოდიურობა, შესრულების წესები. წარმოდგენილია ანდაზის ცნების ახლებური განმარტების ცდაც. ავტორი ცდილობს გვაჩვენოს ანდაზისა და სიტყვის მასალის მსგავსება და განსხვავება. კრიტიკულად არჩევს ამასთან დაკავშირებულ ლიტერატურას და გვთავაზობს საინტერესო დასკვნებს. აქვე ლაპარაკია ანდაზისა და აფორიზმის მსგავსება-განსხვავებაზეც და გაზიარებულია ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებანი. ნაშრომის ეს ნაწილი ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ინტერესს იწვევს ქართული ანდაზების შეკრება-შესწავლის ისტორიის მარჯვე მიმოხილვა, რასაც მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. მართებულია ავტორის დასკვნა, რომ ქართული ანდაზების შეკრება-შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული ზეპირსიტყვაობის შეკრებისა და შესწავლის ისტორიას. ავტორს გულდასმით შეუჯერებია ძველ ქართულ მწერლობაში ანდაზების გამოყენების შემთხვევები, გაუთვალისწინებია როგორც სასულიერო, ისე, რაც მთავარია, საერო მწერლობის ძეგლები. დაწვრილებით განუხილავს ბიბლიურ წიგნებსა და შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" დამოწმებული ანდაზა-აფორიზმები. სწორად შეუფასებია ის დიდი ღვაწლი, რაც ქართული ანდაზების შეკრება-პუბლიკაციასა და შესწავლაში მიუძღვით გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებს: დიმ. ბაგრატიონს, დ. ჩუბინაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, პ. უმიკაშვილს, ალ. ყაზბეგს, ვაჟა-ფშაველას, ალ. ხახანაშვილს, თ. რაზიკაშვილსა და სხვებს. ვრცლადაა ნაჩვენები ანდაზების შეკრების მდგომარეობა რევოლუციამდელ საქართველოში და ის დიდი როლი, რაც

ამ საქმეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეასრულა. შესწავლილია ქართული ანდაზების მდიდარი კოლექციები, რომლებიც შეგროვებული და გამოცემულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ავტორი კარგად იცნობს როგორც გამოქვეყნებულ, ისე მდიდარ საარქივო მასალას. აქვე წარმოდგენილია არა მარტოოდენ ქართული ანდაზების გამოცემათა და ხელნაწერთა არქივებში დაცულ გამოუქვეყნებელ კოლექციათა საკმარისად სრული ბიბლიოგრაფია, არამედ კრიტიკულად მიმოხილულია ქართული ანდაზების თარგმანი და გამოცემები რუსულსა და უცხოურ ენებზე. ნაშრომის ეს ნაწილიც სასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს და გვაჩვენებს ახალგაზრდა მკვლევრის ფართო განსწავლულობას, მიუთითებს მის შრომისმოყვარეობასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე.

კრიტიკულადაა გარჩეული პარემიოგრაფიაში დამკვიდრებული პრინციპები ანდაზების სისტემატიზაციისა. შეფასებულია ანდაზების ალფაბეტური, თემატიკური და საგნობრივი კლასიფიკაციის ღირსებანაკლოვანებანი. მკვლევარი მართებულად უჭერს მხარს ანდაზების თემატიკური კლასიფიკაციის პრინციპს და მის სასარგებლოდ საყურადღებო მოსაზრებებსაც გვთავაზობს. ზოგი რამ აქ, რა თქმა უნდა, შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ავტორიც ვერ ასცდენია მის მიერ საეჭვოდ მიჩნეული პრინციპების გავლენას, მაგრამ წარმოდგენილი დასკვნები უეჭველად ანგარიშგასაწევია და, გვჯერა, ხელს შეუწყობენ ამ მეტად რთული პრობლემის შემდგომ ჩაღრმავებულ შესწავლას.

შემდეგ მკვლევარი ჩერდება ანდაზის გენეზისის საკითხებზე. ავტორისათვის ამოსავალია შეხედულება, რომ მარტივი წინადადება მაშინ შეიძლება ქცეულიყო ანდაზად, როცა მასში ძლიერად გამომჟღავნდა განზოგადება-აბსტრაქციის ტენდენცია, რომ ანდაზისათვის არსებითია გადატანითი მნიშვნელობა. ანდაზების წარმოქმნა გაპირობებულია ადამიანის შრომითი დამოკიდებულებით, ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილებით, პრაქტიკით, კლასობრივი ურთიერთობით, ყოფა-ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მოვლენებით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ მყარ ნიადაგს ანდაზებისათვის. ავტორს საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ანდაზებსა და სიტყვის მასალებზე. დასაბუთებულია მკვლევრის შეხედულება ანდაზის შექმნის მარტივი და რთული გზების შესახებ. ამ მსჯელობას მხარს უჭერენ ქართული ანდაზების ცალკე თემატიკური რკალები, რის რამდენიმე ნიმუში ნაშრომშიაცაა გაანალიზებული.

მკვლევარი ვრცლად ჩერდება ქართული ანდაზების იდეურ-თემა-

ტიკურ მხარეზე. მისი აზრით, ქართული ანდაზების თემატიკური სიმდიდრე შეპირობებულია ხალხის ისტორიული თავგადასავლით, განვითარების ძირეული ეტაპებით, სოციალური ცხოვრების პრაქტიკით. „ეროვნულ ანდაზებს თავისუფლად შეიძლება საქართველოს ცხოვრების თავისებური მცირე მატიანე ეწოდოსო", — წერს იგი. მართლაც, როგორც სწორადაა აღნიშნული მონოგრაფიაში, ანდაზა მშრომელი ადამიანების მუდმივი თანამგზავრი იყო ჭირშიცა და ლხინშიც. ანდაზების სახით ხალხმა დაინახა თავისი შეხედულებების გამომჟღავნების საუკეთესო საშუალება. სწორედ ამიტომ ანდაზების სიუჟეტური ქარგა საქართველოს სოციალურ-ისტორიული ვითარების თითქმის ყოველ მნიშვნელოვან მომენტს მოიცავს და ეხმაურება. ამ თავში დაწვრილებითაა განხილული ქართული ანდაზების სოციალური უთანასწორობის, კლასობრივი ბრძოლის, პატრიოტიზმის, გმირობა-ვაჟკაცობის, შრომის, ყოფაცხოვრების, ამხანაგობა-მეგობრობის, სტუმარ-მასპინძლობის, სწავლა-სიბრძნის, პატიოსნების, ზნეობრივი სისპეტაკისა და სხვა ხალხური სიბრძნის ამსახველი რკალები. მონოგრაფიაში მართებულადაა ხაზგასმული, რომ ანდაზის ყოველ თემატიკურ რკალში აღბეჭდილია ხალხის ფილოსოფიური სიბრძნე, ადამიანის ცხოვრების დადებითი და უარყოფითი გამოცდილება. მკვლევარი პირველ რიგში გულისყურს ამახვილებს ეროვნული შინაარსისა და სპეციფიკის ანდაზებზე.

მონოგრაფიის ბოლო თავი ეძღვნება ქართული ანდაზების მხატვრულ თავისებურებებს. განხილულია მისი ენა, სტილი, სტრუქტურა, ლექსიკა, გამომსახველობის საშუალებანი. ანდაზების პოეტური ენა გაანალიზებულია სწორად. დამაჯერებლადაა განსაზღვრული და მდიდრულად ილუსტრირებული პარალელიზმის, ანტონიმური გამოთქმების, გრადაციის, შედარების, ეპითეტის, გაპიროვნების, ჰიპერბოლის, ალეგორიის, რიტმის, ალიტერაციის, ასონანსისა და პოეტური ენის მთელი აქსესუარის ფუნქციები ანდაზებში.

უდავო მეცნიერულ ღირსებებთან ერთად ნაშრომში ნაკლიც შეინიშნება. ის დაზღვეული არ არის ცალკე სქემატური, ნაკლებდასაბუთებული, სადავო ან საეჭვო დებულებებისაგან. აქა-იქ გაპარულია ფაქტობრივი და მეცნიერული უზუსტობანიც. საერთოდ მშვენიერი ენით დაწერილ ნაშრომში კაცი იპოვნის ენობრივად გაუმართავ ადგილებსაც და სხვ., მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველივე ეს ისე მცირეა, რომ ოდნავადაც ვერ ბღალავს მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას და ადვილად გამოსასწორებელია.

ამიტომ ჩვენ აქ არ შევჩერდებით წვრილმანებზე და დავკმაყოფილდებით მხოლოდ სამიოდე შენიშვნით.

პირველი შენიშვნა ტერმინებსა და ცნებებს ეხება. მონოგრაფიაში

აღნიშნულია, რომ „ქართულ სინამდვილეში ანდაზის ცნების გადმოსაცემად ძველთაგანვე მრავალი ტერმინი იყო გავრცელებულიო“ და ამის ნიმუშებად დამოწმებულია შეგონება, ჰუქუმათი, არაკი და იგავი. სწორადაა ნათქვამი: „იგავი ყველაზე მეტად გამოხატავდა ანდაზის შინაარსსო“. მაგრამ ყოველივე ის, რაც აქაა ნათქვამი, ხომ დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში? რა სიახლე შეაქვს ავტორს ამ მეტად საინტერესო საკითხის გაშუქებაში? ეს აქ არ ჩანს. სიახლე კი, ჩვენი აზრით, ის იქნებოდა, რომ უფრო სრულად გარკვეულიყო დასახელებული ტერმინების გამოყენება და ფუნქციები ძველ ქართულში და დადგენილიყო იმის ნამდვილი მიზეზები, თუ რამ გამოიწვია უფრო გვიანდელ ეპოქაში ძირეული ქართული ტერმინის დავიწყება და სპარსული ენობრივი სამყაროდან შეთვისებული ანდაზის დამკვიდრება? ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რომ ძველ ქართულში იგავი მართლაც ყველაზე მეტად გამოხატავდა ანდაზის შინაარსს. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ტერმინის ხმარების მთელი ისტორია VII საუკუნიდან მოყოლებული, როცა იგი პირველად ჩნდება ძეგლებში. მაგრამ ამ სიტყვას ძველად ხომ მარტო ერთი მნიშვნელობით არ ხმარობდნენ! ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანებიდან მარტო ადიშის ოთხთავზე თუ ვიმსჯელებდით, იქ სიტყვა იგავი თითქმის 80-ჯერაა დამოწმებული, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული ფუნქციით: ხან მოკლე ბრძნულ შეგონებას, ხან მცირე ქარაგმულ მოთხრობას, ხან გამოცანასა და ხან კიდევ მოკვეთილ სიბრძნეს — ანდაზას აღნიშნავს. ამ ტერმინის მეტი ჩაღრმავებით განხილვა დაეხმარებოდა მკვლევარს ანდაზისა და სიტყვის მასალის მსგავსება-განსხვავების უფრო დამაჯერებლად ჩვენებასა და იმის განსაზღვრაში, თუ ქართველ ლექსიკოგრაფოსებს ანდაზა და სიტყვის მასალა რატომ ესმოდათ სინონიმურ გამოთქმებად. სასურველი იყო ავტორს რაღაც ეთქვა სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროდან მომდინარე მეორე სიტყვაზედაც, რომელიც გვიან აგრეთვე დაუკავშირდა ანდაზის ცნებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ტერმინი მასალა (სრულად: სიტყვის მასალა). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლექსიკოგრაფოსი ნ. ჩუბინაშვილი მასალას განმარტავდა ამგვარად: „სიტყვა სამაგალითო, საანდაზო, Поговорка“ (ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 270), ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ლექსიკოგრაფოსი დ. ჩუბინაშვილი შესაბამის რუსულ ტერმინებს თარგმნიდა ასე: „Поговорка ანდაზა, სიტყვის მასალა“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი სპბ, 1886, გვ. 492); „Пословица იგავი, ანდაზა, სიტყვის მასალა“ (იქვე, გვ. 533). შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ანდაზის ცნების აღსანიშნავად სვანურსა და მეგრულში სხვა ძირის სიტყვებია გამოყენებული (შდრ.: სვანური ჰარაკ, მეგრული მოკო).

მეორე შენიშვნა ერთი კატეგორიული ტონით გამოთქმულ მტკიცებას ეხება. მხედველობაში გვაქვს ავტორის დებულება: „ყოველად წარმოუდგენელი და დაუშვებელია ანდაზების ლინგვისტიკური კვლევა-ძიების ორბიტში მოქცევაო". ავტორის ეს დებულება მიღებულია ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ერთურთთან შეპირისპირებით განხილვის შედეგად. ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა მიჩნეულია ორ ერთსანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სახის მოვლენად. პირველი ჩვეულებრივი ენობრივი ფაქტია, რომელიც მნიშვნელობითა და ფუნქციით წინადადების წევრის როლში გვევლინება, მეორე კი ზოგადი აზროვნების შედეგია, მხატვრული შემოქმედების განვითარების პროდუქტიო. განა ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ ანდაზა და ფრაზეოლოგიზმი ერთურთისაგან რადიკალურად გავმიჯნოთ? თუ ფრაზეოლოგიზმი ენობრივი ფაქტია, ანდაზაც ხომ ენობრივ ფაქტს წარმოადგენს! ანდაზა ჩვეულებრივ წინადადებაა; ფრაზეოლოგიზმი კი ხან ანდაზის მსგავსიც წინადადება, ან მისი ნაწილი, სიტყვათაშეერთებაა. რამდენადაც ორივე მათგანი ენობრივი ერთეულია, მათ ერთნაირად განიხილავს ლინგვისტიკა, შეისწავლის როგორც ენობრივ ფაქტს, წინადადებასა და მის ნაწილს და არა როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენს, რომლის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, ფოლკლორისტიკის საქმეა. ისეთი ლინგვისტები, როგორიც ვ. ვინოგრადოვი, ლ. ბულახოვსკი, ა. ეფიმოვი და სხვები არიან, ანდაზას მართლაც ფრაზეოლოგიზმების ერთგვარ სახესხვაობად მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისს, თავისებური შენიშვნით, მხარს ვუჭერთ ჩვენც, რადგან ჩვენც ანდაზას სწორედ ენობრივ ფაქტად, წინადადებად ვთვლით. თუ ანდაზა წინადადებაა, ეს კი საყოველთაოდ აღიარებულია, რასაც ჩვენი ავტორიც არ უარყოფს, ის ლინგვისტიკის კვლევა-ძიების ობიექტიც უნდა იყოს, ისევე როგორც ყოველი მხატვრულ-ლიტერატურული ქმნილება (რამდენადაც ენობრივ ქსოვილს შეიცავს), ლინგვისტიკის განხილვის საგანია. ლინგვისტიკას ანდაზის ენა, სტილი, ინტონაცია, ლექსიკა აინტერესებს, მას იკვლევს და უნდა იკვლიოს კიდეც. რაც შეეხება ანდაზას, როგორც ხალხური შემოქმედების სპეციფიკურ ჟანრს, მის თემატიკასა და მხატვრულ მხარეს — ეს უეჭველად ფოლკლორისტიკის სფეროში ექცევა. ამიტომ ავტორის კატეგორიული მტკიცება — ყოველად წარმოუდგენელი და დაუშვებელია ანდაზების ლინგვისტიკური კვლევა-ძიების ორბიტში მოქცევაო — შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. მკვლევრის მიერ მოშველიებული არგუმენტაცია საკმარისი არ ჩანს წამოყენებული დებულების იმ სახით დასასაბუთებლად, რომ მას კაცი ერწმუნოს.

მესამე შენიშვნა ანდაზების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხებს ეხება. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ანდაზების კლასი-

ფიკაციის ცნობილ პრინციპებს და ეჭვით უცქერის თემატიკური კლასიფიკაციის იმ ცდებს, რასაც ჩვენში ჰქონდა ადგილი. გამოთქმული შენიშვნები უეჭველად საყურადღებოა, მაგრამ წარმოდგენილი სქემაც ახალს არაფერს შეიცავს და არსებითად წინამორბედ მკვლევართა სქემების რამდენადმე შეკუმშული სახით გამეორებაა. ავტორი ქართულ ანდაზებს შემდეგ „ძირითად კატეგორიებად“ ყოფს: 1. საყოფაცხოვრებო, 2. სოციალური, 3. პატრიოტულ-გმირული, 4. სწავლა-სიბრძნის შემცველი და 5. პრაქტიკულ-ფილოსოფიური. თავი დავანებოთ იმას, რომ გაუგებარია ანდაზების დაყოფა „ძირითად კატეგორიებად“ და ასეთ ე. წ. „კატეგორიებად“ ანდაზების ჩამოთვლილი თემატიკური რკალების მიჩნევა, წარმოდგენილ სქემას არ ახლავს საკმარისი დასაბუთება. რამდენადაც იგი მრავალ ქვეჯგუფს ვარაუდობს, არსებითად იმავე შედეგთან მივყავართ, ავტორი ეჭვის თვალით რომ უცქეროდა. ამას, სხვათაშორის, მოწმობს ნაშრომის მთელი თავიც „ქართული ანდაზების იდეურ-თემატიკური მხარე“, სადაც ფაქტობრივად მოცემულია არა საკუთარი სქემის დასაბუთების ცდა, არამედ ქართული ანდაზების უკვე არსებული, მაგრამ ავტორის მიერ დაწუნებული, თემატიკური კლასიფიკაციის დადასტურება.

ორიოდე სიტყვა ანდაზის გენეზისის საკითხზეც. ნაშრომის ძირითადი დებულებანი ამ თემაზე ემყარება მდიდარ ფაქტობრივ მასალას და გასაზიარებელია. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ გვერდი აქვს აცილი ე. წ. მოარული ანდაზების გენეზისის საკითხს. საყოველთაოდ ცნობილია და ავტორსაც კარგად მოეხსენება, რომ ბევრი ანდაზა ერთი წყაროდან მომდინარეობს და ერთნაირად ეღერს სხვადასხვა ხალხის ენაზე. მრავალი ისეთი ანდაზის გენეზისი კი, რომელიც განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე, ტერიტორიულად სრულიად დაშორებულსა და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ხალხთა ზეპირ-პოეტურ შემოქმედებაში გვხვდება, შესაბამის ახსნას ვერ ნახულობს. სასურველი იყო ავტორს ამ საკითხზეც გამოეთქვა თავისი აზრი. ხომ არ აიხსნებოდა ეს მოვლენა მხოლოდ სესხებით ან სხვა გარეგანი ფაქტორის გავლენით? აქ გავიხსენებთ მხოლოდ ორიოდე შემთხვევას. X საუკუნის ქართველ მწერალს, გიორგი მერჩულეს, დამოწმებული აქვს შესანიშნავი ანდაზა „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი, ოქრო რჩეული“ (გ. მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, თბ., 1949, გვ. 11). ამ ანდაზის პარალელებს მსოფლიოს ათეულობით ხალხი იცნობს. ბაშკირელები, მაგალითად, ამბობენ: სიტყვა — ვერცხლია, დუმილი — ოქრო“ (Пословицы и поговорки народов Востока, М., 1961, 113, 227); ლაკები: „წარმოთქმული სიტყვა — თეთრი ვერცხლია, დანაზოგი — წითელი ოქრო“ (იქვე, 346, 214); სპარსელები: „თუ სიტყვა ვერცხლია, დუმილი ოქროა“ (იქვე, 423,

229) და სხვ. ასევე ძველი ქართული ანდაზა — „მახვილით მიყენებული ჭრილობა მოშუშდება, ენით მიყენებული ჭრილობა — არაო", რასაც საბა ორბელიანმა მშვენიერი ნოველა („ენით დაკოდილი") უძღვნა, გავრცელებულია აზიის, აფრიკისა და ევროპის ათეულობით ხალხში. მისი სიტყვასიტყვითი ვარიანტები გვხვდება რუსულ, ადიღეურ, სომხურ, ბაშკირულ, გაგაუზურ, ყაზახურ, ყალმიკურ, ყარაკალპაკურ, ყირგიზულ, ქურთულ, ლაკურ, ლეკურ, მონგოლურ, ტაჯიკურ, თათრულ, პუშტუს, თურქულ, თურქმენულ, უზბეკურ, ჰინდის, ჩაჩნურსა და სხვ. ხალხურ ზეპირშემოქმედებაში (იქვე, გვ. 33, 36, 112, 185, 231, 240, 256, 274, 337, 346, 354, 394, 458, 490, 540, 542, 565, 583, 602, 611). როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა? ჩვენ, რასაკვირველია, ავტორს ვერ მოვთხოვთ ამ მწვავე პრობლემის გადაწყვეტას. ეს მის მიზანს არც შეადგენს. ამ საკითხებზე, როგორც ვიცით, მეცნიერების განთქმულ მოღვაწეებს უმტვრევიათ თავი და არა ერთი და ორი საინტერესო ჰიპოთეზაც წამოუყენებიათ, თუმცა ბევრი რამ აქ დღესაც ისევე ბურუსითაა მოცული, როგორც წინათ იყო და შემდგომ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ მსგავს მოვლენებზე მონოგრაფიაში რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა თქმულიყო. გნებავთ, იმიტომაც, რომ ნაშრომში გამოყოფილია სპეციალური თავი ანდაზების გენეზისის შესახებ.

ფიქრია ზანდუკლის „ქართული ანდაზები" დაწერილია ფართოდ მოფიქრებული გეგმით, ეძღვნება ფრიად აქტუალურ საკითხს და გარკვეული წვლილია მეცნიერებაში. მას სიამოვნებით გაეცნობა მკითხველი.

1962 წ.

კ. დონდუას შრომათა კრებული

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ გამოსცა პროფ. კარპეზ დონდუას (1891—1951) შრომათა ახალი კრებული სათაურით „სტატიები ზოგადი და კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებზე"*. იგი შედგენილია გ. ფ. ტურჩანინოვისა და ი. ო. გეწაძის მიერ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ვ. დესნიცკაიას (რედაქტორი), პროფ. ვ. ი. აბაევის, პროფ. ვ. დ. დონდუას, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორ გ. ფ. ტურჩანინოვისა და ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატ ი. ო. გეწაძის რედაქციით. შემდგენლებს ნამდვილად ღიდი შრომა გაუწევიათ. გამოცემა, შეიძლება ითქვას, ჩინებულია.

* К. Д. Дондуа, Статьи по общему и кавказскому языкознанию, Ленинград. 1975. стр. 1—320.

კრებულის სარედაქციო წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: «Профессор Карпез Дариспанович Дондуа (1891—1951), статьи которого составляют предлагаемую читателю книгу, был выдающимся лингвистом. Видный специалист по общему и кавказскому языкознанию, Дондуа в своих работах ставил и разрешал некоторые важные и интересные языковедческие проблемы и вопросы, каких другие исследователи либо не касались вовсе, либо касались бегло, вскользь»; «Издавая сборник статей К. Д. Дондуа, Ленинградское отделение Института языкознания АН СССР надеется, что он будет во многом полезен специалистам по общему и кавказскому языкознанию. В работах Дондуа читатель, несомненно, найдет ответы на некоторые вопросы, интересующие современное языкознание. Коллектив сотрудников Института, выпуская этот сборник, посвящает его восьмидесятипятилетию со дня рождения Карпеза Дариспановича Дондуа».

კ. დონდუამ, ფართო განათლების ბრწყინვალე ფილოლოგოსმა-ლინგვისტმა, შთამომავლობას საკმარისად მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა. ის იყო ქართველური (ქართული, კოლხური, სვანური) და ადიღეურ-აფხაზური ენების აღიარებული სპეციალისტი. პირველი მეცნიერული წრთობა მან პეტროგრადის უნივერსიტეტში მიიღო ნ. მარის ხელმძღვანელობით. ცოდნის მწვერვალებს აქ იგი ნ. მართან ერთად ეუფლებოდა მეცნიერების ისეთ კორიფეებთან, როგორიც ი. ჯავახიშვილი, ა. შახმატოვი, ი. ბოდუენ დე კურტენე, ვ. სიპოვსკი, დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი, ს. ვენგეროვი იყვნენ. ერთსა და იმავე დროს ორ ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1922 წელს, ნ. მარის რეკომენდაციით იქვე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

არაჩვეულებრივმა შრომისმოყვარეობამ, ფართო ერუდიციამ, მრავალი ენის ცოდნამ და ღრმა ლინგვისტურმა ალღომ კ. დონდუას საშუალება მისცა, ახალი ასპექტით ეკვლია ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის პრობლემები და თავისი დამოუკიდებელი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში. მისი გამოკვლევები ნიმუშია სიზუსტისა და სიფაქიზისა, ფაქტობრივი მასალის სკრუპულოზური ანალიზისა და სიახლისაკენ განუწყვეტელი სწრაფვისა, სპეციალური ლიტერატურის პატივისცემით გამოყენებისა და თავმდაბლობისა. მკვლევრის მთელი ნათელი ცხოვრება და მოღვაწეობა მიეძღვნა ჭეშმარიტების დაუცხრომელ ძიებას, სისპეტაკეს, მაღალი პრინციპულობის დაცვას მეცნიერებაში. მართალია, კ. დონდუა არ იზიარებდა თავისი მასწავლებლის, ნ. მარის, მრავალ თეორიულ შეხედულებას, მაგრამ ბოლომდის დარჩა მისი ერთგული და ღრმა პატივისმცემელი. კ. დონდუას გამოკვლევებსა და სტატიებს წითელი ზოლივით გასდევს მოკრძალება მასწავლებ-

ლისადმი. საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ მასწავლებელიც პატივს სცემდა ერუდირებულ მოწაფეს, აფასებდა და ენდობოდა მის ცნობებს, უწონებდა პრობლემატიკასა და ძიების გზას. ამას მოწმობს, გნებავთ, ორი დამახასიათებელი ფაქტი. ჯერ ერთი, მოძღვარმა შეგირდს გამოსაქვეყნებლად მიანდო სვანეთში მოგზაურობების საკუთარი დღიურები (1911-1912) და ადგილებზე წლების განმავლობაში შეკრებილ-შეჯერებული აფხაზური, სვანური და სხვ. ენების უნიკალური მასალები, ხოლო, მეორეც, 1932 წელს გადასცა თავისი კათედრა ლენინგრადის უნივერსიტეტში, ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში რომ ხელმძღვანელობდა.

მასწავლებლის ყურადღება კ. დონდუამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიქცია და შემდეგ არ გაუწყვეტია მასთან ურთიერთკავშირი. ცნობილია, რომ ნ. მარი იყო პირველი საბჭოთა ლინგვისტი, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჯერ კიდევ 1921 წელს შექმნა ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც მაშინ მისი თეორიის შესატყვისი სახელი — „Институт яфетидологических изысканий“ უწოდა. ეს იყო იმ ხანად ენათმეცნიერების პირველი ინსტიტუტი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. რამდენიმე წელს ინსტიტუტი მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა: არ ჰქონდა ბინა, არც მატერიალური სახსრები. სხდომებს ხელმძღვანელის საცხოვრებელ ბინაში მართავდა. ამ ინსტიტუტის თანამშრომელი 1922 წელს კ. დონდუაც გახდა. ხსენებული ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის, გ. ფ. ტურჩანინოვის, მოგონებაში ამის შესახებ, სხვათაშორის, ნათქვამია შემდეგი: „Университет Дондуа окончил в 1922 г. и был оставлен при нем акад. Н. Я. Марром для подготовки к профессуре. С того же года Карпез Дариспанович стал посещать основанный в 1921 г. Н. Я. Марром Институт яфетидологических изысканий Академии наук, числясь в нем научным сотрудником второго разряда. В те же годы этот институт существовал почти что на общественных началах. Были сотрудники, но не было штатных единиц. По официальным документам, все финансирование института выражалось в 1922 г. в одной ставке в 28 рублей, которую делили пополам между собой заместитель директора и ученый секретарь. И тем не менее работа шла полным ходом, регулярно проводились научные собрания, писались доклады, — энтузиастов было достаточно. Среди них был и молодой К. Д. Дондуа».

კ. დონდუა ავტორია ასზე მეტი დასახელების ნაშრომისა, რომელთაგან 70-ზე მეტი გამოქვეყნებულია, ხოლო სხვები ხელნაწერადაა დარჩენილი და ელოდება პუბლიკაციას.

ოცი წლის განმავლობაში კ. დონდუა ლენინგრადის უნივერსიტეტ-

ში განაგებდა კავკასიური ფილოლოგიის კათედრას. აქ მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ფართო წრე სპეციალისტებისა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ სტუდენტებთან და უძღვებოდნენ ახალ სასწავლო დისციპლინებს. თავად კ. დონდუა კითხულობდა კავკასიის ფილოლოგიის შესავლის, ძველი და ახალი ქართულის, ძველი ქართული ლიტერატურის კურსებს, მისი უმცროსი ძმა, ვ. დონდუა — საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის, ა. ჰენკო — მთის კავკასიური ენების ფონეტიკის, რ. შაუმიანი — ლეკური ენის, ა. ბოკარევი — ხუნძური ენის, გ. მურკელინსკი — ლაკური ენის, გ. ტურჩანინოვი — უაბარდოული ენისა და ლიტერატურის, ა. აკულიანცი და კ. გრიგორიანი — სომხური ენისა და ლიტერატურის, ლ. ლავროვი — კავკასიის ეთნოგრაფიის კურსებს. თხუთმეტ წელზე მეტ ხანს კ. დონდუა სათავეში ედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა კაბინეტს (განყოფილებას), რომლის მუშაობაში იმ ხანად აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ი. მეშჩანინოვი, ს. ბიხოვსკაია, რ. შაუმიანი, ი. მეგრელიძე, ა. ბოკარევი, ვ. აბაევი, ი. ცუკერმანი, ვ. რასტორგუევა და სხვები. სხვადასხვა დროს კ. დონდუა საქართველოშიაც მოღვაწეობდა. 1934 წელს ჩვენს უნივერსიტეტში განაგებდა კათედრას, მოგვიანებით, დიდი სამამულო ომის წლებში, იქვე მუშაობდა ჯერ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, შემდეგ — პრორექტორად სამეცნიერო დარგში. ყველგან, სადაც კი მეცნიერს უმუშავია, ღრმა პატივისცემა და კოლექტივის სიყვარული მოუხვეჭია. იგი გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, თავისი შემოქმედებითი ძალების აყვავების პერიოდში. მისი გარდაცვალება ჭეშმარიტად მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წიგნს ატყვია იმ სამეცნიერო დაწესებულების კოლექტივის მზრუნველი ხელი, სადაც კ. დონდუა თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

კრებულში შეტანილია მეცნიერის 22 ნაშრომი. აქედან 17 ადრეც იყო დაბეჭდილი რუსულ და ქართულ ენებზე, ხოლო ხელნაწერად დარჩენილი ხუთი ნარკვევი პირველად სწორედ აქ არის გამოქვეყნებული. ესენია: „ფრანც ბოპი და კავკასიური ენები“, „ჰუგო შუხართი“, „ნიკო იაკობის ძე მარი“, „რუსთაველის ენა“ და „ვიწრო ლაბიალიზებული ხმოვნების შესახებ ქართველურ და აფხაზურ ენებში“.

პირველად გამოქვეყნებულებიდან ჩვენს ინტერესს, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველის ენისადმი მიძღვნილი ნაშრომი იწვევს. ამ სოლიდურ ნარკვევში რუსთაველის ენის თავისებურების მრავალი საკითხია ახლებურად დასმული და გაშუქებული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მიმოხილულია პოემის ტექსტის მდგომარეობა ავტორის სიცოცხლეში არსებული გამოცემებისა და რუსთაველოლო-

გიური შტუდიების მიხედვით. მიმოხილვა ყურადღებას იქცევს სისრულითა და ავტორისათვის ჩვეული სიზუსტით. გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები დასაბუთებულია ცხვი ფაქტობრივი მასალით. მეორე ნაწილში კი „პოემის ენის ანალიზია“ წარმოდგენილი. განხილულია პოემაში დამოწმებული რთული სიტყვები (დადგენილია ოთხი ტიპი რუსთაველური კომპოზიტებისა), ნეოლოგიზმები, სტილისტური პარალელიზმები, მიმართულების პრეფიქსები, უარყოფითი ნაწილაკები და მათი ფუნქცია. ჩანს, ნაშრომი ნაწილია ჩაფიქრებული ვრცელი მონოგრაფიისა, რომლის დამთავრება, სამწუხაროდ, ავტორს სიცოცხლეში ვეღარ მოუსწრია. რუსთაველის ენის თავისებურების პრობლემას ადრე და უკანასკნელ ხანებში მრავალი ნარკვევი და სტატია მიეძღვნა. ამ საკითხზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული ქართული ფილოლოგიური მეცნიერების როგორც ძველი, ისე ახალი თაობის მოღვაწეებს. კ. დონდუას დაკვირვებები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას და, გვჯერა, ისინი საპატიო ადგილს დაიკავებენ რუსთაველის ენისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში. მისი გამოქვეყნებით, უეშველად, სასარგებლო საქმე გაკეთდა.

კრებულში შეტანილი ნარკვევები ეძღვნება ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. აქ ახალი ასპექტითაა გაშუქებული ძველი ქართულის სტრუქტურის არა ერთი და ორი საკითხი მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებიდან. ფართო ინტერესს იწვევს ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული ბრუნების აგლუტინაციურ ხასიათს, მრავლობითი რიცხვის ორ სუფიქსს (-ნ და -ებ) ქართულში, ემფატიკურნიშნიან ნათესაობითს ძველ ქართულში, ხოლმეობითის ფორმებს, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გენეზისს ძველ ქართულში, ინკლუზივისა და ექსკლუზივის კატეგორიას სვანურში და მის კვალს ძველ ქართულში. დასმული საკითხები შესწავლილია ობიექტური მიუდგომლობით, ცხვი და გემოვნებით შერჩეული მასალის საფუძველზე, შესადარებლად მოშველიებულია მონათესავე ენათა მონაცემები, რაც წარმოდგენილ დასკვნებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს. ამ მხრით განსაკუთრებით გამოირჩევა მსჯელობა ხოლმეობითის პარადიგმებზე აქტიურ კონსტრუქციაში, საკთხი ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ტიპოლოგიური კავშირის შუქზეა შესწავლილი. საეტაპო მნიშვნელობა აქვს ჰიპოტაქსური კონსტრუქციების ევოლუციის პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს, რომლებიც ძველი ქართულის მონაცემების ანალიზს ეყრდნობა. აქ გამოთქმულ მოსაზრებებს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული დამოკიდებული წინადადების წარმოშობის ისტორიის ძიების საკითხში. ცნობილია, რომ ამ ნაშრომებმა თავისდროზე ფართო გამოძახილი

გამოიწვია სპეციალისტთა შორის (ისინი პირველად 1940—1944 წწ. დაიბეჭდა).

თავისი გამოკვლევებით კ. დონდუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგად ენათმეცნიერებაშიაც. ამ მხრით განსაკუთრებით აღსანიშნავია „გრამატიკული უარყოფა როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა", „ადიღეურის ტიპის ენგატივი სვანურში", „მრავლობითი რიცხვის განსაკუთრებული ფორმის საკითხისათვის სვანური ნათესაობის ტერმინებში", „სინტაქსური ასიმილაცია" ა. ა. პოტებნიას გაშუქებით" და სხვ. ამ გამოკვლევებში გაანალიზებულ მასალასა და განზოგადებებს სიცხადე შეაქვთ ენათა ზოგადი ბუნების რამდენიმე სპეციფიკური საკითხის პოზიტიურად გაგებაში. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ დასახელებულმა ნაშრომებმაც სპეციალისტთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

კრებულში დაბეჭდილი 15 ნარკვევი (ოცდაორიდან) ადრე შეტანილი იყო ჩემი რედაქციით შედგენილ და 1967 წელს „მეცნიერების" მიერ გამოცემულ კ. დონდუას „რჩეულ ნაშრომთა I ტომშიაც". ეს ცუდი როდია, მაგრამ აჯობებდა, ცხადია, რომ ამ სპეციალურ კრებულში უფრო მეტი ადგილი დათმობოდა მეცნიერის სხვა, არა ნაკლებ საინტერესო, ნაშრომებსაც, დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად რომ იქცნენ. კრებულის სარედაქციო კოლეგიას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. მართალია, ეს გარემოება ერთგვარად თითქოს აუფერულებს გამოცემას, მაგრამ მთლიანად კრებული უეჭველად მოწონებას იმსახურებს და მისი გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. პირველ რიგში ხაზგასასმელი ის არის, რომ აქ დაბეჭდილია კ. დონდუას ექვსი ქართული ნაშრომის მშვენიერი რუსული თარგმანი, რაც რუს მკითხველს საშუალებას აძლევს, გაეცნოს ავტორის მეცნიერული ინტერესების ფართო სფეროსა და დაკვირვებების ფრიად საყურადღებო შედეგებს. ხუთი უთარგმნია ი. ო. გეწაძეს („მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში", „ვეფხისტყაოსნის" ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის", „დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში", „სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსთა რაობა მრავლობითში", „რთული პრეფიქსებისათვის სვანურსა და ქართულ ზმნებში"), ხოლო ერთი („ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში") — გ. ფ. ტურჩანინოვს.

კრებულის ღირსებას ზრდის კ. დონდუას გამოცემულ და გამოუცემელ შრომათა ბიბლიოგრაფია, სანდოდ შედგენილი მეცნიერის მოწაფის ლ. ს. შეპელოვას მიერ. ეს ბიბლიოგრაფია შედარებით სრულია, თუმცა ზოგი რამ აქაცაა გამორჩენილი და შემდგომ შევსებას საჭიროებს.

კ. დონდუას ნაშრომები ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის დარგში საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი და მათზე აქ სიტყვის შემდგომი გაგრძელება საჭიროდ აღარ მიმაჩნია. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მხოლოდ ერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან საკითხზე. ავტორს ანგარიშგასაწევი დაკვირვებები აქვს ჩატარებული მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე ძველ ქართულში. ამ საკითხს მკვლევარმა რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, ხოლო ცალკე შენიშვნებს სხვა სტატიებშიაც ვეცნობით. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ორი ნარკვევი: ა) «Об агглютинативном характере грузинского склонения» (1931) და ბ) «О двух суффиксах множественности в грузинском» (1932). ორივე მათგანში აღძრულია ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის საკითხები სინქრონიული და დიაქრონიული პლანით. ნ. მარის, ა. შანიძისა და სხვა მკვლევართა მსგავსად კ. დონდუა თვლის, რომ ქართულ ენას სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ორი სუფიქსი მოეპოვება -ნ და -ებ. ამასთან კარგად იცის ისიც, რომ გვაქვს აგრეთვე -თ(ა) სუფიქსიც, რომელიც სახელთა მრავლობას აწარმოებს მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში (მონათა ჰკადრეს, მონათ მოხვდათ, მონათ ნახვა). -ნ მორფემა ავტორმა სამართლიანად დაინახა არა მარტო სახელობითსა და წოდებითში (რაც ადრე აღნიშნული ჰქონდათ სხვა მეცნიერებსაც), არამედ, დიალექტთა ჩვენებით, მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითშიც (ჩვენ დავუმატებთ: ჩანს მოქმედებითსა და ვითარებითშიც), ოღონდ ზოგიერთ ნაცვალსახელში:

სახ.	ესე-ნ-ი	მაგე-ნ-ი	იგე-ნ-ი
მოთხ.	ამგე-ნ-მა	მაგე-ნ-მა	იგე-ნ-მა
მიც.	ამგე-ნ-ს	მაგე-ნ-ს	იგე-ნ-ს
ნათ.	ამგე-ნ-ის	მაგე-ნ-ის	იგე-ნ-ის.

მკვლევარი აქვე მართებულად მიუთითებს, რომ ამ დიალექტურ პარადიგმებს სალიტერატურო ენის ამა-თ, მაგა-თ, იმა-თ შეესატყვისებაო. ეს, ცხადია, უდავოა, მაგრამ პარადიგმებში მხოლოდ -ნ-ს გამოყოფა მრავლობითი რიცხვის ნიშნად დასაბუთებული არ არის, უნდა გამოყოფილიყო -ენ, თუმცა ორივე ვარიანტი (-ნ, -ენ) საერთოა ზმნებისათვისაც (შდრ.: წერო-ნ მათ, აკეთო-ნ მათ; წერ-ენ ისინი, აკეთებ-ენ ისინი). პარადიგმებიდან ნათლად ჩანს ქართულში ბრუნების აგლუტინაციური სტრუქტურა და არა ფლექსიური.

კ. დონდუას მიერ დამოწმებულ მაგალითებს უნდა დაემატოს გურული დიალექტის ჩვენებაც (მაგინი იყვენ, მაგინმა თქვეს, მაგინს უთხრეს, მაგინის გაკეთებულია, მაგინით ტრაბახობენ, მაგინათ გახადეს...):

სახ.	მაგ-ი-ნ-ი	ამგ-ენ-ი	ეს-ენ-ი
მოთხ.	მაგ-ი-ნ-მა	ამგ-ენ-მა	ეს-ენ-მა
მიც.	მაგ-ი-ნ-ს	ამგ-ენ-ს	ეს-ენ-ს
ნათ.	მაგ-ი-ნ-ის	ამგ-ენ-ის	ეს-ენ-ის
მოქმ.	მაგ-ი-ნ-ით	ამგ-ენ-ით	ეს-ენ-ით.
ვით.	მაგ-ი-ნ-ათ	ამგ-ენ-ათ	ეს-ენ-ათ.

დასახელებულ ნაცვალსახელთა მრავლობითობის ეს დიალექტური წარმოება საგულისხმო და დამაფიქრებელია; მასში სისტემის სრული სახე ჩანს. არც ძველსა და არც ახალ სალიტერატურო ქართულს ეს სისტემა აღარ შემორჩა. მხოლოდ ზოგი დიალექტი (მაგ., გურული) გვაჩვენებს -ნ || -ენ მორფემას ხსენებულ ნაცვალსახელებთან ერთად რამდენიმე სახელის მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში. ჩვენ შემთხვევა გვქონდა, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს გურულში დაგვედასტურებინა ამის შეტად იშვიათი მაგალითები (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936, გვ. 342):

სახ.	ბადიშ-ენ-ი	მეზობლ-ენ-ი
მოთხ.	ბადიშ-ენ-მა	მეზობლ-ენ-მა
მიც.	ბადიშ-ენ-ს	მეზობლ-ენ-ს
ნათ.	ბადიშ-ენ-ის	მეზობლ-ენ-ის
მოქ.	ბადიშ-ენ-ით	მეზობლ-ენ-ით
ვით.	ბადიშ-ენ-ათ	მეზობლ-ენ-ათ
წოდ.	ბადიშ-ენ-ო	მეზობლ-ენ-ო

ეს პარადიგმები მოწმობენ, რომ სისტემა ისტორიულად სრული ყოფილა. მრავლობითი რიცხვის წარმოება სახელებისა აგლუტინაციურია. -ნ || -ენ მხოლოდ რიცხვის მაჩვენებელია და არა ბრუნვისა და მას შეიძლება დაერთოს ბრუნვათა ნიშნებიც (გავიხსენოთ ბადიშ-ენ-მა და მისი ტიპის პარადიგმები).

ამასვე გვიჩვენებს -თ(ა) მორფემის ხმარებაც. -თ(ა)-ს ფუნქციაც ისტორიულად სახელთა მხოლოდ მრავლობითი რიცხვის წარმოება ყოფილა და მას ბრუნვასთან საქმე არ ჰქონია. ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი დიალექტური წრიდან მოდის ან შეთვისებულია ეს სისტემა, მაგრამ ძველი ქართულის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში რეალიზებულია. შესაფერისი ნიმუშები დამოწმებული აქვს თვით კ. დონდუასაც. აი, მაგალითად, რა [illegible]ხვევებს ვპოულობთ ძველ ქართულში (მოგვყავს კ. დონდუას მაგალითები):

ა) მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი მ ი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი:

ჴელ-თა მტერ-თა-სა (წარტყვ., ია, 30, 31).

წარვედით მებოძირ-თა გზა-თა-სა (იქვე, იბ, 3).

ძე-თა მათ ხარჭ-თა-სა სცა აბრაჰამ საცმელი (დაბ., 25, 6, ოშკ.).

დაშდვიან ბეშთა ზედა კაც-თა-სა (ადიშ., მათ. 23, 4).

ცული ძირ-თა თანა ხე-თა-სა ძეს (იქვე, მათ. 3, 10)...

ბ) მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში:

საკრველ-თა ჯორც-თა-ჲსა (პ. ინგ., სას. პ., რომ).

ძე-თა თჳს კაც-თა-ჲსა (ეკლ., 184, 11, 3).

პირთა-გან მთავარ-თა-ჲსა (კიმ., 2, 3,)...

ამ მაგალითების ჩვენების შემდეგ ბუნებრივია კ. დონდუას დასკვნა: -თ(ა) არის არა ბრუნვის, არამედ მრავლობითობის ნიშანი, გამოყენებული ირიბ ბრუნვებშიო. აქვე, სქოლიოში, ავტორი მიუთითებს, რომ ეგეთ -თ მრავლობითობის ნიშანია ზმნის პირველი და მეორე პირისაო: ვწერ-თ, სწერ-თ...

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში სახელი მრავლობით რიცხვში იშვიათად გვხვდებოდა და მას მხოლობითი რიცხვი ცვლიდა. ეს ფაქტი, ადრე შენიშნული მ. ბროსეს მიერ, მართებულად მიიჩნია კ. დონდუამაც და ბევრი ახალი მაგალითით ცხადყო. ებიან მრავლობითში ბრუნების სისტემა იმთავითვე სრული იყო და ასევე დარჩა საშუალსა და ახალ ქართულშიაც. ამიტომ კანონზომიერად ჩამოყალიბდა აზრი, რომლის თანახმად ნართანიან მრავლობითს არ მოეპოვება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებიო. როგორ უნდა გარჩეულიყო მრავლობითი რიცხვი მოქმედებითსა და ვითარებითში? — მხოლოდ კონტექსტით ანდა თარგმანის წყალობით. ამისთანა შემთხვევების გამო მარჯვედ შენიშნავდა ივ. იმნაიშვილი: მათ აქვთ „ფორმა მხოლობითისა, შინაარსი — მრავლობითისაო". კ. დონდუამ ორიგინალური ახსნა მოუძებნა მრავლობითი რიცხვის ორ სუფიქსს ქართულში — -ნ და თ-ს და -ებ-ს. პირველი გონიერთა, მეორე — ნივთთა კლასის მაჩვენებლად მიიჩნია. ე. ი. აქ მან ე. წ. გრამატიკული კლასის კვალი დაინახა. ამ აზრმა მეცნიერებაში მხარდაჭერა ვერ პოვა და საცილობლად იქნა აღიარებული. ჩვენ კი ვთვლით, რომ მოვლენის დონდუასეული ახსნა ნამდვილად ორიგინალური და საინტერესოა, ორიგინალურია, გნებავთ, იმითაც, რომ იგი ქართულში გრამატიკული კლასის ოდესღაც არსებობას ვარაუდობს, მაგრამ საამისოდ ჯერჯერობით, როგორც მიუთითებდა ივ. იმნაიშვილიც, დამაჯერებელი დასკვნები არა გვაქვს. იქ, სადაც გრამატიკული კლასის ნიშნები ეგულებათ, ცარიელი ადგილი ჩანს (თუმცა ეს არ ნიშნავს ძიების უპერსპექტივობას).

ზემოთქმული ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სპეციალურ ლიტერატურაში (კ. დონდუას შრომებშიაც) დამკვიდრებული შეხედულება შემდეგნაირად:

1. ქართულში გვაქვს სახელთა მრავლობითი რიცხვის არა ორი აფიქსი, ე. ი. ორი მრავლობითი ა) -ნ, -თ(ა) და ბ) -ებ, არამედ სამი: ა) -ნ, ბ) -თ(ა), გ) -ებ.

2. ისტორიულად ამ აფიქსთა წარმოების სამივე სისტემა სრული უნდა ყოფილიყო (ახლა სრულია მხოლოდ -ებ სისტემა), სალიტერატურო ენამ ეს ნაწილობრივ შემოინახა, დიალექტებმა — შედარებით მთლიანად. ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთი სახელისა და ნაცვალსახელის ბრუნება დიალექტებში (კერძოდ გურულში).

3. -თ(ა) არის სახელთა არა ბრუნვისა და რიცხვის საერთო ნიშანი, დატვირთული ორი ფუნქციით (ე. ი. მაჩვენებელი მრავლობითი რიცხვისა და ირიბი ბრუნვებისა), არამედ მ ხ ო ლ ო დ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რასაც ემატებოდა ბრუნვის ნიშანიც (შდრ.: თა-სა, თა-ძსა).

4. სახელთა მრავლობითი რიცხვის აგლუტინაციურ წარმოებაში ქართულმა არ იცის ტიპოლოგიური რყევა ფლექსიურობისაკენ გადახრის სახით.

5. -ნ||-ენ, -თ(ა) სახელისა და ზმნის მრავლობითობის საერთო სუფიქსებია. -ებ დიალექტური შემონაერთია ძველ სალიტერატურო ქართულში. სამივე სუფიქსის თანახმარება ძველი სალიტერატურო ქართულის კანონზომიერი თავისებურება იყო. -ებ მორფემის შედარებით იშვიათობა ძველი სალიტერატურო ქართულის ძეგლებში არ ნიშნავს მის გვიანდელ წარმომავლობას ან სიახლეს. ისიც ისევე ძველია, როგორც -ნ||-ენ და -თ(ა), ოღონდ გარკვეული დიალექტური წრიდან შეთვისებული. -ებ მორფემის სინტაქსური ძალა შემდეგ უფრო გაფართოვდა. რყევას ვხედავთ არა მარტო ძველი ქართულის ძეგლებში (-ებ-იან მრავლობითში დასმული საზღვრული უპირატესად ვერ ითანხმებს რიცხვში მსაზღვრელს), არამედ ახალ ქართულშიაც. ახალ ქართულში ხშირად -ებ-იანი ქვემდებარე ვერ ითანხმებს რიცხვში შემასმენელს და სტრუქტურულად ძველი ქართულისაკენ იხრება (შდრ.: ჩვეულებრივ ა რ ი ს ზ მ ნ ე ბ ი და არა ა რ ი ა ნ ზ მ ნ ე ბ ი; ი დ გ ა ს ა ხ ლ ე ბ ი და არა ი დ გ ნ ე ნ ს ა ხ ლ ე ბ ი). ამ რყევას, როგორც არა ერთგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში, თავისი საფუძველი აქვს.

კრებული პოლიგრაფიულად სანიმუშოდაა გამოცემული. ზოგი ტექნიკური ნაკლი (ხშირად მორფოლოგიური ელემენტების უმართებულოდ გამოყოფა, ალაგ-ალაგ გრაფიკული შეუსაბამობანი) და ცალკე კორექტურული ცდომილებანი (სამწუხაროდ, არც თუ ცოტა!), რაც ასე რთული წიგნის გამოცემას ყოველთვის თან სდევს ხოლმე, შთაბეჭდილებას ოდნავადაც ვერ ანელებს. ამ კრებულის გამოცემით უეჭველად დიდი და საჭირო საქმეა გაკეთებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება განაგრძობს დაწყებულ საქმეს და უდროოდ გარდაცვლილი მოღვაწის მეცნიერულ მემკვიდრეობას სრულად გამოამზეურებს. პირველ რიგში სასურველი იქნებოდა კ. დონდუას კაპიტალური „სვანურ-ქართულ-რუ-

სული ლექსიკონის“ გამოცემა. ცნობილია, რომ ამ ლექსიკონის შედგენაზე კ. დონდუა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მუშაობდა, დაამთავრა მისი საბოლოო ვარიანტი და კიდეც გადასცა წარმოებას. როგორც გავიგეთ, რთული წიგნის აწყობაც იყო დაწყებული, მაგრამ ავტორის მოულოდნელად გარდაცვალებამ საქმე შეაფერხა. ლექსიკონი თავისი სტრუქტურით უნიკალურია და ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ყოველი მეთაური სიტყვა აქ დოკუმენტირებულია ნაირფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით, რაც ავტორს შეჯერებული ჰქონდა გამოცემულ სვანურ ტექსტებთან და წლების განმავლობაში შემოწმებული ადგილზე სანდო ინფორმატორებთან. არა ერთი და ორი ლექსიკური ერთეული შეწამებულია შესაბამის ქართულ და კოლხურ მასალასთან და მარჯვედ რეკონსტრუირებულია საერთო ქართული ფუძეები. ლექსიკონში წარმოჩენილია სვანური ლექსიკის სპეციფიკა და ქართველურ ენათა ლექსიკის საერთო საფუძველი. მერმე და, როგორ ელოდა თავად ავტორი ამ დიდი სიყვარულით შედგენილი ნაღვაწის გამოცემას!

1975 წ.

მონოგრაფია დაღესტნის ენებზე

ბ. გიგინეიშვილმა ინტენსიური კვლევა-ძიება დაღესტნის ენებისა ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო გ. ახვლედიანის კათედრაზე. მადლიერმა მოძღვარმა სიყვარულით გამაცნო შეგირდი: ბეჯითია, მომავალი აქვსო. მის წარმატებებზე ბევრი კარგი რამ მითხრა თ. გამყრელიძემაც, ხოლო ჩვენგან უდროოდ წასულებმა, გ. მაჭავარიანმა და ტ. გუდავამ, ახალგაზრდა მეცნიერის ინტერესთა სფეროს განსაკუთრებული შეფასება მისცეს. მეც ვადევნებდი თვალყურს ბ. გიგინეიშვილის მუშაობას და, უნდა ითქვას, მასწავლებელთა იმედები ჰაბუკმა მეცნიერმა უდავოდ გაამართლა. საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ მალე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ზედიზედ გამოაქვეყნა დაღესტნის ენების სტრუქტურისადმი მიძღვნილი საპრობლემო ნაშრომები. და აი, ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა ახალი მონოგრაფია — „დაღესტნის ენების შედარებითი ფონეტიკა“ — ნამდვილი შენაძენი მეცნიერებისა. წარმოსადგენია, როგორ გაიხარებდა მისი მოძღვართ-მოძღვარი, შეგირდის ეს წიგნი სიცოცხლეში რომ ეხილა! გ. ახვლედიანი ხომ ქვეყნად მუდამ სიკეთეს თესავდა და მას გულით ახარებდა ყოველგვარი სიახლე, მითუმეტეს ახალგაზრდა მეცნიერთა წარმატებანი.

„დაღესტნის ენების შედარებითი ფონეტიკა“ მონოგრაფიაა რთულ ლინგვისტურ პრობლემათა კომპლექსზე. აქ განხილული ფაქტები და მოვლენები მრავალი მეცნიერის ძიება-დაკვირვების საგანი ყოფილა ადრეც და იქნება მომავალშიც. თავად საკითხებია იმდენად თავისებური, რომ თვალის ერთი გადაგდებით მათი განჭვრეტა ერთობ ძნელია. სამეცნიერო ლიტერატურის მარჯვე მიმოხილვიდან ჩანს ჩვენი ავტორის ცოდნაც, ალღოც, რუდუნებაც, ერუდიციაც. პრობლემები, რომელთაც თავს დასტრიალებს იგი, აქამომდის უყურადღებოდ როდი იყო მიტოვებული. პირიქით. ბევრი რამ მათ გარშემო ადრეც ვიცოდით, უწინარეს ყოვლისა, ნ. ტრუბეცკოის, ჟ. დიუმეზილის, ე. ბოკარევის, ა. ჩიქობავას, ტ. გუდავასა და ათეულობით სხვა მკვლევრის შრომებიდან, მაგრამ ამ გეგმით შესრულებული მონოგრაფია დღემდის მაინც არ გვქონია, პირველია. ეს ფაქტი კი თავისთავად გვაჩვენებს წიგნის ღირსებას.

მონოგრაფიას, გვჯერა, გამოეხმაურებიან სპეციალისტები შინ და გარეთ. პირველი გამოძახილებიც დადებითია. ნაშრომი რუსულ ენაზეა გამოცემული თ. გამყრელიძის რედაქტორობით და ხელმისაწვდომია ყველა სპეციალისტისათვის, ვინც კი დაინტერესებულია დაღესტნის ენების დღევანდელი ვითარებითა და ისტორიული ბედით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველისათვის ამ წიგნის მიწოდებით უეჭველად სასარგებლო საქმე გააკეთა.

მონოგრაფია შესავალს გარდა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დახასიათებულია დაღესტნის 14 ენის კონსონანტური სისტემები, მეორეში ნაჩვენებია საერთოდაღესტნის ენის თანხმოვან ფონემათა სისტემა, ხოლო მესამეში მოცემულია საერთოდაღესტნური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმაციის ცდა დაღესტნის ცალკეულ ენათა მიხედვით.

ავტორი მოკრძალებით გვიამბობს წიგნის მიზნებზე. საყოველთაოდ ცნობილია, ეს წიგნშიცაა ხაზგასმული, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ენათა შედარებითს ფონეტიკას ნ. ტრუბეცკოიმ ჩაუგდო მყარი ბალავერი. მის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი საქვეყნოდაა განთქმული. მართალია, ნ. ტრუბეცკოი სწავლობდა დაღესტნის ენებსაც, მაგრამ მას არ შეუდგენია ამ ენების შედარებითი ფონეტიკა. აქ უნდა მოვიხსენიო ტ. გუდავას შესანიშნავი მონოგრაფია — „ანდიური ენების კონსონანტიზმი“, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მეცნიერს. უნდა დავიმოწმო ა. ჩიქობავას, ე. ბოკარევის, ი. მეგრელიძის, შ. გაფრინდაშვილის, ი. იმნაიშვილის, ე. ლომთაძის, ზ. მაჰომედბეკოვას, ე. ჯეირანაშვილის, ი. ცერცვაძის, ს. ხაიდაკოვის, კ. მიკაილოვისა და სხვათა გამოკვლევები, რომლებმაც მნიშვნელოვნად წინ წაწიეს დაღესტნის ენების ფონეტიკური სისტემებისა და სტრუქტურის შესწავლა და რო-

მელთაც, თავად ავტორის მიერ აღგილზე მოპოვებულ მდიდარ მასალასთან ერთად, ეყრდნობა ჩვენი მკვლევარი.

წიგნში სინქრონიული პლანით აღწერილია დაღესტნის ენების კონსონანტური სისტემები. გამოყოფილია საკორელაციო სისტემის დაპირისპირების ოთხი ძირითადი ტიპი: მკღერი-ყრუ, გლოტალიზებული-არაგლოტალიზებული, ხშული-ფრიკატიული, ძლიერი და სუსტი ინტენსიურობისა. ავტორთან ერთად მეც მგონია, რომ ინტენსიურობის კორელაცია უაღრესად მნიშვნელოვანია დაღესტნის ენებისათვის. ამასთან სწორადაა ხაზგასმული, რომ ეს დაპირისპირება, როგორც წესი, შეინიშნება მხოლოდ ყრუ თანხმოვნებში. ერთი თვალსაზრისითა და მიდგომითაა დახასიათებული დაღესტნის 14 ენობრივი სისტემის მასალა. საანალიზოდ მოშველიებულია როგორც სამწერლობო ენათა, ისე მათი დიალექტების მონაცემები, რაც ამაღლებს ნაშრომის ღირსებას, წამოყენებულ დებულებებსა და განზოგადებებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

მოპოვებულმა და მკაცრად შეჯერებულმა ფაქტებმა მკვლევარს შესაძლებლობა მისცა მესამე თავში შეეჯამებინა მიღებული შედეგები. მისი ზოგადი თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საერთოდაღესტნური ენა დასაწყისში დაშლილა ოთხ ძირითად ერთეულად: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ, დარგულ, ლაკურ და საერთოლეკურად. ფაქტობრივი მასალა საშუალებას იძლევა თითოეული ამ ერთეულის ევოლუციის ძირითადი ეტაპების თვალმისადევნებლად. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ერთეულში პოსტულირებულია გვიან ორი ენობრივი ერთობის, ხუნძურ-ანდიურისა და დიდოური ერთობის გამოყოფა. ასევე ტრანსფორმირებულია წინარედარგული, წინარელაკური, წინარელეკური კონსონანტური სისტემები მათი არქაული იერითა და დიალექტური განშტოებებით, შესაბამის ფუძე-ენებთან მიმართებებით.

ავტორის პოსტულატები და განზოგადებები უეჭველ ინტერესს იწვევს როგორც დაღესტნის, ისე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. არგუმენტირებულია არა ერთი დებულება და ეტიმოლოგია.

მართალია, ავტორისეულ შესატყვისობებსა და რეკონსტრუქციებში და მათ საფუძველზე მიღებულ ეტიმოლოგიებში (მკვლევარი გზადაგზა უარყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ მცდარ ეტიმოლოგიებს და იძლევა ათეულობით სიტყვის ორიგინალურ გააზრებას) ზოგი რამ სადავოა, ზოგიც — დასაზუსტებელი, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ წამოყენებული და განვითარებულია ახალი აზრები, ძიებაში ჩართულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, შექმნილია საჭირო ნაშრომი. ამიტომ სპეციალისტთა რა შენიშვნაც უნდა გამოიწვიოს წიგნის ცალკეულმა ადგილებმა, ერთი რამ იმთა-

ვითვე ცხადია, შესრულებულია რთული სამუშაო, ხელთა გვაქვს მარჯვე ლინგვისტური მონოგრაფია, რაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აღძრულ საკითხებზე.

1978 წ.

მართვის ავტომატიზებული სისტემების პირველი ტერმინოლოგია

ჩვენს საცნობო-საინფორმაციო ლიტერატურას შეემატა ვ. ახალაძის, თ. ებანოიძის, ე. ენდელაძის, გ. კასრაძისა და კ. ცხაკაიას მიერ შედგენილი „მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინოლოგია", რომელიც „მეცნიერებამ" გამოსცა დ. კვესელავასა და რ. ღამბაშიძის რედაქციით.

წიგნი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილებისაგან შედგება, მოიცავს მართვის სისტემებთან დაკავშირებულ ორი ათასამდის ტერმინს და ოპტიმალურად ასახავს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ სპეციალურ ტერმინთა ძირითად ფონდს.

მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინოლოგიის გამოცემით ნამდვილად საჭირო საქმე გაკეთდა. ქართულ ენაზე აქამომდის არ გვქონდა ამისთანა საცნობო წიგნი. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, განსაკუთრებით მართვის ტექნიკის ფართოდ განვითარებისა და პრაქტიკულად გამოყენების უსაზღვრო პერსპექტივის პირობებში, მწვავედ იგრძნობოდა შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობა, ენაში გზა ეხსნებოდა ბარბარიზმების ახალი ნაკადის მოძალებას, ფერხდებოდა ქართულ ენაზე როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემა. თვით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებშიაც ტერმინოლოგიური ნაირობა და გამოთქმათა აუტანელი სიჭრელე სუფევდა. ამიტომ უნდა შევესალმოთ საინტერესო ცნობარის შემდგენელთა ჯგუფის წამოწყებას და ყველა იმ ორგანოს, განსაკუთრებით სამეცნიერო ტერმინოლოგიის სარედაქციო კოლეგიას, რომელთაც ხელი შეუწყვეს დიდად საჭირო წიგნის შედგენა-გამოცემას.

შემდგენელთა ჯგუფის წინაშე რთული ამოცანა იდგა: პირველად უნდა შეექმნა როგორც სპეციალისტთა, ისე ფართო მასებისათვის გამოსადეგი საცნობო წიგნი. მართალია, ჩვენში ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის საკმარისად მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი, გამოცემულია მრავალრიცხოვანი საინფორმაციო და სპეციალური ლექსიკონებიც, მაგრამ მართვის ავტომატიზებული სისტემების შესახებ

ამას ვერ ვიტყვით. ცოდნის ეს სამყარო საერთოდ სრულიად ახალია და, ბუნებრივია, მისი ტერმინოლოგიაც ახლა იქმნება. აღსანიშნავია მხოლოდ თითო-ოროლა დაინტერესებული სპეციალისტის რამდენიმე ცდა შესაბამისი ლექსიკონის შედგენისა, მაგრამ ყოველივე ამას კერძო ხასიათი ჰქონდა, ხოლო საერთო სატერმინოლოგიო ცნობარი ცოდნის ამ დარგში, როგორც ითქვა, არ მოგვეპოვებოდა.

ავტორთა ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შემოქმედებითად გამოუყენებია ქართველ მეცნიერთა გამოცდილება, გაუთვალისწინებია არსებული გამოცემები და შეუქმნია ორიგინალური წიგნი, რომელიც დიდი რუდუნების შედეგია. როგორც რუსული, ისე ქართული ნაწილი საჭირო მეცნიერული სიფრთხილითაა გამართული. განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ნაწილი იპყრობს. რუსული ტერმინების სათანადო ქართული შესატყვისობები უპირატესად ზუსტადაა დადგენილი. უცხოური წარმოშობის ტერმინები წარმოდგენილია ტრადიციული ქართული მოდელით (ავტოკოდი, ალგოლი, ალგორითმი, ბიტი, ბოდი, ინდიკატორი, კონდიციონერი, ოპერანდი...), შესატყვისების საწარმოებლად გამოყენებულია როგორც ქართული ლექსიკის კლასიკური ფონდი, ისე ადრე მიღებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული ტერმინებიც. პრინციპები, რომელთაც შემდგენელნი ეყრდნობიან ცალკე ტერმინთა დამოდელებისას, მეცნიერულად მართებული და პრაქტიკულად გამართლებულია. განსაკუთრებით მოსაწონია ახალი ტერმინები. ადრე ჩვენ, მაგალითად, არ გვქონდა რუს. головка-ს ზუსტი ქართული შესატყვისი: ამ მიზნით იხმარებოდა თ ა ვ ი. შემდგენლებს კი მიუღიათ თ ა ვ ა კ ი. ეს ნამდვილად მოსაწონია. -აკ მორფემა ამისთანა შემთხვევაში კარგ სამსახურს გვიწევს ისევე, როგორც იგი ამშვენებს უკვე ცნობილსა და ცხოვრებაში დამკვიდრებულ ძველ ტერმინებს: წიგნაკი, მილაკი, ნაწილაკი, ღილაკი... თავაკი უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს ენაში. ასევე მოსაწონია რუს. однозначность-ის ეკვივალენტად ც ა ლ ს ა ხ ო ბ ი ს მიღება. ც ა ლ ს ა ხ ა პირველად ვ. ბერიძემ გამოიყენა, შემდეგ გავრცელდა რამდენიმე ვარიანტად: ცალსახა, ცალსახობა, ცალსახობითი. იყო ცდები, ამის მაგივრად ეხმარათ ე რ თ ნ ი შ ნ ა, მაგრამ ის არ გავრცელდა, გვხვდება მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ნაშრომში. სწორი შესატყვისებია: **автоответчик** — ავტომპასუხე, **считывание** — ამოკითხვა, **считывание информации** — ინფორმაციის ამოკითხვა, **счетчик** — მთვლელი, **двоичный счетчик** — ორობითი მთვლელი და ა. შ.

მხარი უნდა დაეჭიროს შემდგენელთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დ ა მ ი ს ა მ ა რ თ ე ბ ა ტიპის წარმოებას: დამოდელება, დაპროგრამება, დაპროექტება, დარეზერვება, დასეგმენტება, დატაბულება და ა. შ. ზოგიერთ მათგანს თითქოს ხელოვნურობის იერი გადაჰკრავს,

მაგრამ ისინი მაინც უმჯობესია, ვიდრე, ვთქვათ, პროგრამირება, მოდელირება (თუმცა წიგნში ეს ვარიანტებიც დასაშვებადაა მიჩნეული). და- ზმნისწინი აქ ნამდვილად კარგ სამსახურს გვიწევს, ახალი ფუნქციით იტვირთება. სამწუხაროდ, ავტორები ზოგჯერ თანამიმდევრობას ვერ იცავენ არჩეული მართებული პრინციპის დაცვაში: კოდიდან აღარ უწარმოებიათ დაკოდება, მიუღიათ დაკოდირება; დუბლიდან არ მიუღიათ დადუბლება, უმჯობესად მიუჩნევიათ დუბლირება; ტირაჟიდან აღარ გაუკეთებიათ დატირაჟება, დაუტოვებიათ ტირაჟირება და ა. შ. ეგების დაკოდება, დადუბლება, დატირაჟება დღეს ყურს ეხამუშება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბევრი ახლა საყოველთაოდ მიღებული ტერმინი თავდაპირველად გვეუცხოვებოდა. გვიან კი გაშინაურდა და ყურიც მათ ხმარებას ადვილად შეეჩვია (გავიხსენოთ, მაგალითად, გაუპიროვნება, შეპირაპირება, წვეთწარმოქმნა, შეგრუნტვა, მატარებელბრუნვა...)

ირ (|| არ) არაქართული ელემენტი აქა-იქ უნებურად შემოგვეპარა ქართულ ტერმინოლოგიაში. უადგილოდ ჟღერს, მაგალითად, დაგეგმარებაში. რატომ გახდა აუცილებელი გეგმიდან დაგეგმარების წარმოება? განა დაგეგმვა არ იკმარებდა? ქალაქის მშენებლობის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა სხვადასხვა სიტყვას მოითხოვს? ორივე შემთხვევაში ხომ გეგმაზეა ლაპარაკი და დაგეგმვა სავსებით ტევადი ტერმინი იქნებოდა. ამიტომ დაგეგმარება მართებულ წარმოებად არ მიმაჩნია. ჩვენს ავტორებს ნახმარი აქვთ სწორედ დაგეგმვა და არა დაგეგმარება და სამართლიანადაც.

წიგნის სხვა ღირსებებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი შედგენილია საქმის პროფესიული ცოდნით და, მჯერა, კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენს საზოგადოებრიობას, დაეხმარება როგორც სპეციალისტებს, ისე პედაგოგებს, მთარგმნელებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, მართვის ავტომატიზებული სისტემებით დაინტერესებულ ადამიანებს. „მეცნიერებამ“ ამ წიგნის გამოცემით მორიგი სასარგებლო საქმე გააკეთა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ „მეცნიერება“ საერთოდაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ლექსიკოგრაფიულ, ტერმინოლოგიურ ცნობართა და ლექსიკონთა გამოცემას, რითაც განუზომელ სამსახურს უწევს ეროვნული მეცნიერების განვითარებას.

მხოლოდ ერთი მცირე შენიშვნა. იმასთან ერთად, რომ მთლიანად მშვენიერ და ყოველმხრივ მოსაწონ ცნობარში რუსული ტერმინების ყველა ქართული შესატყვისი ერთნაირად არ ჟღერს და რამდენიმე მათგანი, როგორც ეს ავტორებსაც კარგად მოეხსენებათ, შემდგომ

დახვეწას საჭიროებს, აქა-იქ შეინიშნება მართლწერის სიჭრელე და სხვა ტექნიკური ნაკლიც. შემდგენელთა ყურადღებას მივაქცევ მარტო ერთ გარემოებას. როგორც ვიცით, მრავალი რთული შედგენილობის ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებითაა მიღებული. მსაზღვრელად გვხვდება ატრიბუტული ან მართული სახელი და ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულს. ასეა, მაგალითად, გამართული ლოგიკური ფუნქცია და მიზნის ფუნქცია. ატრიბუტული (ლოგიკური) და მართული სახელი (მიზნის) უსწრებს საზღვრულს (ფუნქცია). შეიძლებოდა შებრუნებული რიგის ხმარებაც (და ეს შეცდომა როდი იქნებოდა), მაგრამ ტერმინები თანამედროვე ქართული ორთოგრაფიულ-გრამატიკული ნორმების მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის რიგითაა გაფორმებული და ასევე უნდა აღიბეჭდოს ლექსიკონებშიაც. ტერმინია მართვის სისტემა და ცნობარშიაც ეს წყობა უნდა დავიცვათ. მართებულია აგრეთვე სისტემა მართვისა, მაგრამ ტერმინი მაინც პირველი წყობითაა გამართული. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგია დაცული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილ ტერმინებშიაც (გულის კუნთი, გულის ფიცარი, გულის ჯიბე, ხელის გული, ზღვის კარი, კბილის მატლი... გულის კოვზი, ვეტერინარიის ინსტიტუტი, ვეტერინარიის მუშაკი, ზღვის გოჭი, თავის ტვინი, პირის ღრუ, შაქრის ჭარხალი, ცის კამარა...) და ეს სავსებით კანონზომიერია. ცნობარის შემდგენელნი კი ამ წესს მხოლოდ ნაწილობრივ იცავენ.

ერთი მხრივ, ცნობარში გვაქვს: მოქლონის თავი, მოცულობის ერთეული, მოძრაობის ინტენსიობა, მოძრაობის ცენტრი, მოძრაობის პერიოდი... მეორე მხრივ: ავტომატიზაცია აღრიცხვისა, ავტომატიზაცია დაპროგრამებისა, ამოკითხვა ნიშნებისა, ბალანსი შრომისა, ბილიკი კოდური, დოკუმენტი პირველადი, იერარქია მართვისა...

ტერმინებია შრომის ბალანსი, კოდური ბილიკი... ცნობარში კი გვაქვს: ბალანსი შრომისა, ბილიკი კოდური... რომელ ასოზე უნდა ეძებოს მომხმარებელმა, ვთქვათ, შრომის ბალანსი, შ-ზე თუ ბ-ზე? ცხადია, შ-ზე, მაგრამ იქ მას ვერ იპოვის. ამის ახსნა კი ცნობარში არა გვაქვს. წიგნის „წინასიტყვაში“ ყრუდ ნათქვამია: „მასალა ლექსიკონში განლაგებულია არსებით სახელზეო“, მაგრამ დებულებას დასაბუთება არ ახლავს. თუ ამ დებულებას მივუყენებთ იმისთანა ტერმინებს, როგორიცაა მოძრაობის ცენტრი და ბალანსი შრომისა, უნდა ვთქვათ, რომ ორივე მათგანი მხოლოდ არსებითი სახელებითაა შედგენილი. ამიტომ ძნელი გასაგები ხდება, თუ პირველი რატომ იწყება მსაზღვრელით, მეორე — საზღვრულით? წიგნში ერთგვაროვნება დაცული არ არის, გვხვდება ორივე ტიპის წარმოება. სჯობდა ერთი წესის დაცვა:

მსაზღვრელ-საზღვრულისა (შრომის ბალანსი, მუშაობის ცენტრი...). ამისთანა ტექნიკური ნაკლი სხვა დარგის ტერმინოლოგიური ცნობარების ადრინდელ გამოცემებსაც ახასიათებდათ. აქ კი ადვილად შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება.

შემდგენელნი თუ მაინც აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ საზღვრული სახელის წინ წამოწევას, მაშინ მეთაური სიტყვად ის უნდა გამოეტანათ, ხოლო ამ საზღვრულით გაფორმებული სხვა ტერმინი კი მის ბუდეში მოექციათ და საზღვრული შემოკლებით (დასაწყისი ასოთი) აღენიშნათ (მაგ., ასე: ა ლ გ ო რ ი თ მ-ი: ალბათური ა., დეტერმინებული ა., მონაცემების გარდაქმნის ა.). ამის თავისებურ ცდას ვხვდებით ცნობარშიაც (შდრ.: ამოკითხვა, ანბანი, აპარატი, ბარათი, კოდი, ლენტი, მანქანა, მოდელირება, ოპერატორი, პროცესი, პულტი, სიგნალი....), მაგრამ არა ყველგან. მაგ., გვაქვს: ენა ალგორითმული, ენა გამოსასვლელი, ენა კოდური, ენა შიგა..., რომელთაც ცალკე არ ახლავთ მეთაური სიტყვა. ასევეა: თეორია ალბათობისა, თეორია კოდირებისა, თეორია სიმრავლეთა (16 ტერმინი), სისტემა აგრეგატული, სისტემა ბრძანებებისა (92 ტერმინი) და სხვ. არც მათ აქვთ წინ გამოტანილი მეთაური სიტყვები. საჭიროველია, ცნობარის ახალ გამოცემაში ამ სიჭრელის თავიდან აცილება.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ცნობარის შემადგენელთა ჯგუფი გურამ კასრაძის ხელმძღვანელობით ახლა დიდი ინტენსიობით მუშაობს მართვის ავტომატიზებული სისტემების განმარტებით ტერმინოლოგიაზე. მკითხველი ინტერესით ელოდება ჩვენი ავტორების ამ ახალ კოლექტიურ ნაშრომს.

1978 წ.

სვანური ანდაზები

ქართველურ ენათა საუნჯე ახალი მასალებით გამდიდრდა: გამოვიდა ალექსი დავითიანის „სვანური ანდაზები". გამოცემა განხორციელდა აკად. ა. შანიძისა და პროფ. მ. ქალდანის რედაქციით და მეხუთე წიგნად შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერიაში — „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის". ეს სერია, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1939 წელს დაარსდა და იმ წელსვე დაიბეჭდა ორი წიგნი: ა) სვანური პროზაული ტექსტები (ბალსზემოური კილო), შეკრებილი ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ, ბ) სვანური პოეზია, შეკრებილი და თარგმნილი ა. შანიძის, ვ. თოფურიას, მ. გუჯეჯიანის მიერ. ამას 1957 წელს მოჰყვა მესამე წიგნი: სვანური პროზაული

ტექსტები (ბალსქვემოური კილო), შეკრებილი ა. დავითიანის, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ, ხოლო — 1967 წელს მეოთხე: სვანური პროზაული ტექსტები (ლენტეხური კილო), შეკრებილი ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ. მეხუთე წიგნი, ალ. დავითიანის სარეცენზიო „სვანური ანდაზები“, აცნობს ჩვენს ცოდნას სვანური ენისა და ხალხური სიბრძნის შესახებ და, როგორც წინა ოთხი წიგნი, ფასდაუდებელია.

გამოცემას ერთვის ა. შანიძის წინასიტყვაობა, მ. ქალდანის მიერ შედგენილი ალექსი დავითიანის მოკლე ბიოგრაფია და მ. ქალდანის მიერვე ჩინებულად შედგენილ ანდაზებში ნახმარ სიტყვათა ვრცელი საძიებელი.

ალექსი დავითიანმა (1889—1970), სვანური ენის, ეთნოგრაფიისა და ხალხური სიტყვაობის დაუღლელმა მოჭირნახულემ, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის ექვსი ათეული წელი მშობლიური სვანურის დიალექტური, ლექსიკური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალების შეკრებასა და შესწავლას მოახმარა. ჯერხნობით, სამწუხაროდ, მის მიერ მოპოვებული მასალის მხოლოდ ერთი ნაწილია გამოქვეყნებული. მნიშვნელოვანი ნაწილი კი კვლავ ელის გამომცემელს. მაგრამ ვის არ უსარგებლია ამ ძვირფასი მასალებით ან პირადად მუდამ თავაზიანი ალექსი დავითიანის უხვი ზეპირი ინფორმაციით!

მეცნიერული ძიების სტიმული ალ. დავითიანს მისცა სვანური ენის სახელგანთქმულმა მკვლევარმა ა. შანიძემ, რომელიც 1923 წელს ესტუმრა მას მშობლიურ ლახამულაში (მესტიის რაიონი). პირადად გაეცნო და შემდეგ მასთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. პროფ. მ. ქალდანს სწორედ აქვს აღნიშნული: ამ დროს მიღებულმა რჩევამ ალ. დავითიანს ინტერესი აღუძრა სამეცნიერო მუშაობისადმი და მან შეძლო ნაყოფიერად ემუშავა სვანური დიალექტური, ლექსიკური და ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლადო.

ქართველური ანდაზები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შეკრებილ-შესწავლილი და თვით ქართველური პარემიოგრაფიაც სრულიად ახალგაზრდა დარგია. დღემდე არ მოგვეპოვება ცოტად თუ ბევრად სრულყოფილი გამოცემა ქართული ანდაზებისა, გვაქვს მხოლოდ ცალკე კრებულები. პირველი ცდებია ჩატარებული კოლხური ანდაზების შეკრება-პუბლიკაციაში, ხოლო რაც შეეხება სვანურ ანდაზებს, დღემდის მხოლოდ მათი თითებზე ჩამოსათვლელი ნიმუში იყო ცნობილი თაყაიშვილისეული „ძველი საქართველოს“ პუბლიკაციებიდან (თავისუფალი სვანის ჩანაწერები, „ძვ. საქ.“, 11, თბ., 1913, განყ. 11, გვ. 98-99). ეს იყო და ეს.

ამიტომ ალ. დავითიანის „სვანური ანდაზების“ გამოცემა, ისიც ასე მდიდრული მეცნიერული აპარატითა და თარგმანით, უეჭველად ფრიად

მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერულ ქართველოლოგიაში. წიგნს ცხოველი ინტერესით გაეცნობიან შინ და გარეთ, გამოიყენებენ როგორც საგნის სპეციალისტები, ისე პედაგოგები, ჟურნალისტები, პარტიული და საბჭოთა მოღვაწეები, ყველა მათგანი აქ იპოვის თავისთვის საჭირო და სასარგებლო ცნობებს, ხალხის გამოცდილების შასანიშნავ განზოგადებებს, ლექსიკის უნიკალურ ნიმუშებს.

ალ. დავითიანს ათეული წლების განმავლობაში უგროვებია მშობლიურ სოფელ ლახამულაში ანდაზები, სიტყვის მასალები, პროზაული და პოეტური ტექსტები. სარეცენზიო კრებულში 1800-მდის ანდაზაა შეტანილი ქართული თარგმანითურთ. ლახამულური მეტყველება სვანურის ბალსქვემოურ კილოს განეკუთვნება და შემდგენელს ზუსტად აქვს დაცული მშობლიური კილოკავი, რაც, უეჭველია, ერთ-ერთი ძირითადი ღირსებაა გამოცემისა, წარმოდგენილი მასალა ხელს შეუწყობს ბალსქვემოური კილოს შემდგომ შეჯერებას, განსაკუთრებით მისი ლექსიკის უფრო ჩაღრმავებულ შესწავლას.

დიდი შრომაა გაწეული სვანური ანდაზების გადმოქართულებაზე. არჩეულია სწორი გზა: მოცემულია ანდაზის მეტაფორული შინაარსის აზრობლივი თარგმანი და არა სიტყვასიტყვითი კალკი. ა. შანიძე წინასიტყვაობაში მიუთითებს, „თარგმანი ჩვეულებრივ აზრობლივია“ და ამ სახითაც გამოცემა მართებულ წარმოდგენას გვაძლევს სვანურ ანდაზებში ჩაქსოვილ ხალხის აზრზე. დაინტერესებულ პირს შეუძლია თარგმანს გვერდში ამოუყენოს ათეულობით ქართული შესატყვისებიც. შემდგენლის მიზანი კი იყო არა შესატყვისების ძიება, არამედ სვანური ანდაზის შინაარსობლივად გადმოქართულება, რაც მას ბრწყინვალედ შეუსრულებია.

თარგმანს ემჩნევა საქმის ღრმა ცოდნა და სიფრთხილე. შენარჩუნებულია ორიგინალის შინაგანი რიტმი და სტრუქტურული მოდელი. თარგმანი თავისთავადაც დამოუკიდებელ ანდაზურ ერთეულს ქმნის, ყურადღებას იქცევს სისხარტით, გონებამახვილობით. ამ აზრის საილუსტრაციოდ დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს. ერთი ანდაზა ორიგინალში ჟღერს: „ქა შეჩდე დრევ ღეშდ ესერ დემის ტებნი“ (ქ, 39), რაც ასეა გადმოქართულებული: „გასული დრო უკან არ დაბრუნდებაო“. თარგმანი აზრობლივიც არის და თითქმის სიტყვასიტყვითიც, წუნი არ დაედება, მთლიანადაა შენარჩუნებული ორიგინალის აზრიცა და ხალხური ტონიც. ანალოგიურია სხვებიც: „ამსოლდ დრევს ესერ ხორი“ — „ადამიანი დროს ჰყავსო“ (ა, 40); „ამსოლდს, ვოდე ქვინ ხოგ, ეჩქად ესერ ხარ იმედ“ — „ადამიანს, ვიდრე სული უდგას, მანამდე აქვს იმედიო“ (ა, 65); „აშგარ ლუხვე ღერმეთი დეშ ესერ ლი“ — „ყოველთვის მიხვედრილი ღმერთიც არ არისო“ (ა, 111); „აშვ ესერ შუკვს ხოლაი ესხრი ი ხოჩაი“ — „ერთ გზაზე ცუდიც დადის და კარგიცო“ (ა, 126);

„თხვიმ ღებს ესერი ქა ხოთრა“ — „მეთაური ფუტკარმაც იცისო“ (თ, 27); „მახალს ი მაღვანს ბიზ დემ ესერ ხექვი“ — „ცოდნას და ქონებას „კმარა“ არ ეთქმისო“ (მ, 256); „ჟი ლუცე ქაფ ლეისგ ესერ ლი“ — „აკიდებული ტვირთი წასაღებიაო“ (ჟ, 30); „ღერმათ დეცხენჩუ მოდმაგეშ ესერ ხოშიდა“—„ღმერთს ციდან არაფერი ჩამოუყრიაო“ (ღ, 22); „ხამ ლიხამ გარ ესერ ხოხალ“ — „ღორმა ღორობაღა იცისო“ (ხ, 11) და ა. შ.

ორიგინალსაცა და თარგმანსაც ფოლკლორულთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, ცხოველი ენათმეცნიერული ინტერესი ახლავს. ნამდვილად საშურია ამისთანა შინაარსისა და მეცნიერული ღირსების წიგნის გამოცემა. შემდგენელი, რედაქტორები, გამომცემლობა „მეცნიერება“ მკითხველის ერთსულოვან მადლობას იმსახურებენ.

ანდაზების ამ კრებულში პირველად ვეცნობით ხალხური შეგონების ბევრ შედევრს, რაც სვანურში ანდაზის ჟანრის დიდ ტრადიციას მოწმობს. ხალხი სიკეთეს ქადაგებს, აფასებს შრომა-გარჯას, კაცურკაცობას, გმობს სიბოროტეს, სიცრუეს, ორპირობას, გაუტანლობას.

საქვეყნოდ განთქმულია სვანური ზღაპრები და ბალადები, ლექსები და თქმულება-ლეგენდები. ანდაზებში, რომლებსაც ახლა ვეცნობით, კიდევ უფრო ღრმადაა ჩაქსოვილი ხალხის ფიქრები სინამდვილის მოვლენებზე, კაცის მოვალეობაზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. თითოეული ანდაზის აზრი კრიალა და გამჭვირვალეა, კაცს აფიქრებს, გზას უჩვენებს, ჭკუას ასწავლის. ამიტომ ამ ტექსტებს უაღრესად დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვთ, ეხმაურებიან ადამიანის საუკეთესო მომავლის საკაცობრიო იდეალებს, ჩვენს ბედნიერ თანადროულობას.

შეუძლებელია კაცს ხსოვნაში არ ჩარჩეს და დაავიწყდეს ამ ბრწყინვალე ხალხურ შეგონებათა ნათელი აზრი (ვიმოწმებთ მხოლოდ თარგმანებს): „ტყუილა ჯდომას ტყუილა სიარული სჯობიაო“ (მ, 303), „ტყუილა მყოფს უფრო შიაო“ (მ, 304), „ოჯახი თადარიგს მიჰყავსო“ (მ, 322), „სხვის ორ თვალს შენი ცალი თვალი გერჩიოსო“ (მ, 356), „სხვისი ტყავი ქურქად არ მოიხუროო“ (მ, 363), „ბნელში სილამაზეს არავინ კითხულობსო“ (მ,509), „დამადლებული ლუკმა ძაღლს არ აუღიაო“ (6.5), „ნაადრევი შვილი მამას ძმად მოესწრებაო“ (ნ, 6), „ნაპოვნი და ნაჩუქარი არ დაიწუნებაო“ (ნ, 56), „ნაშრომ ლუკმას კარგი გემო აქვსო“ (ნ, 129), „ნურც კარგი გიკვირს, ნურც — ავი, ორივე წესიაო“ (ნ, 149), „ენა გულის მოციქულიაო“ (ნ, 154), „შვილიშვილი შვილზე მეტი საყვარელიაო“ (ნ, 151), „ენაზე ზოგჯერ კბილია დასაჭერიო“ (ნ, 168), „სახელი იკითხე, თორემ სირცხვილს ერთწამს იშოვნიო“ (ჟ, 15), „სახელს დიდი გამძლეობა აქვსო“ (ჟ, 16), „სახელის მოხვეჭა ძნელია, დაკარგვა — ადვილიო“ (ჟ, 21), „გამოუყენებელი ცოდნა მდინარემ წაიღოსო“ (ჟ, 37), „სამართალი ნაბიჯით დადისო“ (ს. 10),

„სიმართლე არ დაიმალებაო“ (ტ, 18), „ულვაშზე ხელის მოკიდება კატასაც სწყინსო“ (უ, 25), „უფქვილოდ პური არავის გამოუცხვიაო“ (ფ, 16), „ვინც ცოცხალია, სიკვდილითაც ის კვდებაო“ (ქ, 6), „ხბო და მტრედი ორივე უვნებელიაო“ (ღ, 50), „გზა და ლაპარაკი არ დაილევაო“ (7, 71), „უქმრო ქალი ულაგამო ცხენიაო“ (ჭ 7), „ხალხის ხმას ცამდე მიუღწევიაო“ (ხ, 7), „კარგ ქალს ქმარი ქვაზე დაუსახლებიაო“ (ხ, 184), „კარგ მწველავს ძროხაც იცნობსო“ (ხ, 217)...

კრებულში წარმოდგენილი ანდაზების ძირითადი ნაწილი თვითმყოფი შინაარსისაა, ერთი ნაწილი საერთო ქართული გავრცელებისაა და ერთნაირად ჟღერს როგორც ქართულში, ისე სვანურსა და კოლხურში, მეორე ნაწილი კი ვარიანტულ თავისებურებას გვაჩვენებს, არაერთ ანდაზას პარალელები ეძებნება მსოფლიოს ხალხთა ზეპირშემოქმედებაშიც.

საერთო ქართული გავრცელების ანდაზის მრავალი ნიმუშიდან დავასახელებთ რამდენიმეს (მოგვყავს მხოლოდ თარგმანები): „დედის ვალს შვილი ვერასოდეს გადაიხდისო“ (დ, 65), „დროზე მთესველი დროზე იმკისო“ (დ, 96), „ერთი ძილი წყალსაც ჩაეძინებაო“ (ე, 27), „ბევრის მთქმელი ბევრს სცდებაო“ (3, 12), „თევზი წყალში არავის უყიდიაო“ (კ, 4), „ძაღლის კუდი არ გასწორდებაო“ (ჟ, 13), „უსწავლელი კაცი ქვაზე მჯდარა, ქვაზე ქვა დამატებიაო“ (უ, 12), „ქათამმა თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“ (ქ, 8), სიდიდით ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასიაო“ (შ, 37), „ჩვილ ბავშვს უთქვამს: გამდის და მიტომ ვტირიო“ (ჩ, 55), „შრომა და მოთმინება ყველაფერს აკეთებენო “ (ჭ, 14), „დიდ სოჭს პატარა ცული ჭრისო“ (ხ, 162), „ტკბილი ენით ირემიც მოიწველაო“ (ხ, 222), „ცოტა თქვი და ბევრი გააკეთეო“ (ხ, 265)...

ორიგინალსა და თარგმანშიაც დაცულია სხვათა სიტყვის ო (სვანური ესერ) ნაწილაკი, რომელიც ქართული და სვანური ანდაზების სტილისათვისაა ნიშანდობლივი. იგი ერთგვარად მიგვანიშნებს ანდაზის წყაროზე: ეს უთქვამს განზოგადებულ პირს თუ პირებს, ხალხსო. ო(|| ესერ) ნაწილაკი ანდაზის განუყოფელი ნაწილია და ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც ქართული, ისე სვანური მეტყველებისათვის. ამიტომ მისი დაცვა ანდაზის ენაში გარდუვლად აუცილებელია. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ „სვანური ანდაზების“ გამოცემა ამ მხრივ სანიმუშოა. ქართული ანდაზების ბევრ კრებულში ანდაზის სტილის ეს თავისებურება, სამწუხაროდ, არ არის დაცული, რაც მეტად დასანანია.

„მეცნიერებამ“ უკანასკნელ წლებში ბევრი მშვენიერი წიგნი გამოსცა. ერთ-ერთი მათგანია „სვანური ანდაზებიც“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „მეცნიერება“ განაგრძობს დაწყებულ საქმეს და ალ. დავითიანის სხვა, აქამდის ხელნაწერად დარჩენილ ნაშრომებსაც გააცნობს მკითხველს.

„სვანური ანდაზების“ საერთოდ ჩინებული გამოცემა ჩვენს ერთ მცირე შენიშვნას მაინც იწვევს, ანდაზები აქ ტრადიციულად ანბანზეა გაწყობილი. ამაში ცხადია, საჩოთირო არაფერია, მაგრამ არ იქნებოდა ურიგო ანდაზების თემატიკურად დალაგებაც ანდა წიგნისათვის ანდაზების თემატიკური საძიებლის დართვა მაინც. თემატიკური საძიებელი მნიშვნელოვნად გაამარტივებდა ფრიად ფასეული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას.

1973 წ.

ნარკვევი ლაზეთზე

„საბჭოთა საქართველომ“ ბევრი კარგი და ფრიად საჭირო წიგნი მიაწოდა მკითხველს, მათ შორის ერთი პირველთაგანია ლაზი მკვლევრების მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნარკვევი „ლაზეთი“, რომელიც პროფ. ს. მაკალათიას რედაქციითა და წინასიტყვაობითაა გამოცემული.

ლაზეთზე ბევრი რამ დაწერილა. საინტერესო მონოგრაფიები მიეძღვნა ლაზური (ჭანური) მეტყველების სტრუქტურასა და ლექსიკას, ძველი ლაზიკის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცალკე პრობლემებს, გამოცემულია ლაზური ტექსტებიც, მაგრამ ყოველივე ეს მეტად მცირეა და თანაც ძნელად ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრეებისათვის. ამასთან ყველა მათგანი დაწერილია არა ლაზი, არამედ სხვა ერის მეცნიერთა მიერ და ყოველთვის როდია ზუსტი.

ქართველ მეცნიერებთან ერთად ლაზეთის შესწავლით დაინტერესებული იყვნენ რუსი და უცხოელი მკვლევრებიც, რომელთა ნაშრომებში გარკვეულია მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, მაგრამ მთლიანად ეს უძველესი და მეტად საინტერესო ისტორიის მქონე მხარე, მისი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურა, განსაკუთრებით კი ზეპირსიტყვაობა, საკმარისად არაა შესწავლილი. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ღრმა გულისტკივილით აღნიშნავდა ნიკო მარი, ფუძემდებელი ლაზურის მეცნიერული შესწავლისა, და ეს გულისტკივილი დღესაც ძალაში რჩება, თუმცა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ლაზოლოგიას შეემატა რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფია (აქ პირველ რიგში აღსანიშნავია პროფ. ა. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ და სხვ.).

ამიტომ მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნარკვევის გამოცემა უეჭველად სასიამოვნო მოვლენაა. წიგნი იმითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომ მისი ავტორები პირადად არიან ლაზები, რომლებიც კარ-

გად იცნობენ თავიანთ მშობლიურ მეტყველებას, ხალხის ყოფას, ზეპირსიტყვაობას, საჭირო ისტორიულ წყაროებს.

წიგნი სამ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილში გადმოცემულია ლაზეთის მოკლე ისტორია. უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებათა მიხედვით გაშუქებულია ლაზთა სამეფოს წარმოშობის, ამ სამეფოს დაშლის, ლაზეთის ჯერ ბიზანტიისა (საბერძნეთის) და შემდეგ ოსმალთა მფლობელობაში ყოფნის საკითხები. მეორე ნაწილი მთლიანად ეთნოგრაფიას ეძღვნება. აღწერილია ხალხის ყოფა-ცხოვრების უძველეს წესჩვეულებათა დღემდის მოღწეული ნორმები. მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია ხალხური ზეპირსიტყვაობის ნიმუშები.

ალაგ-ალაგ ჩართულია ლაზური (ჭანური) დარგობლივი ლექსიკის ნიმუშები, რომლებიც შეჯერებულ-შეპირისპირებულია ქართველურ ენათა შესაბამის მონაცემებთან.

უეჭველ ინტერესს იწვევს ცნობები ხალხის მეურნეობისა და მატერიალური კულტურის შესახებ. წიგნში ახსნილია ის მიზეზები, რომელთაც შეაპირობეს ლაზებში მეთევზეობისა და ხელოსნობის განვითარება. კარგადაა აღწერილი ნადური შრომის ჩვევები. „სოფლის მეურნეობაში, — მოგვითხრობენ ავტორები, — მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნადურ შრომას. მაგალითად, სიმინდსა და ბრინჯს ხშირად ნადური წესით თესავენ (ოთასუ ანუ ოხაჩქუ), ნადური წესითვე თოხნიან („გომალუ"), ხილაველ („ოკინუ") ბრინჯს, მცირე ფართობის კულტურებს და ბოსტნეულს უნადოდ უვლიან" (გვ. 81).

ნადურ შრომას უკანასკნელ ხანებამდის თანხლებია სიმღერა და შაირებში შეჯიბრება. „ლაზური ნადი იმით ხასიათდება, რომ მთელი შრომითი პროცესის მანძილზე ხალხურ სიმღერებთან ერთად ასრულებენ შაირებს. აქ ორი ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრება. ხალხური შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ამგვარ გამოვლინებას ვხვდებით აგრეთვე სიმინდის გარჩევის, საბადე ძაფის რთვისა და სხვა ნადებშიც" (იქვე). მართალია, ეს ცნობები რამდენადმე კუდშეკრეჭილადაა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ქმნის გარკვეულ წარმოდგენას ხალხის კოლექტიური შრომისა და სიმღერა-ლექსაობის უძველეს ტრადიციებზე.

ძვირფასი ცნობებია გადმოცემული მეთევზეობასა და ნადირობაზე. ცალკეა აღწერილი გარეულ ფრინველზე ნადირობა და მისი წესები, ხელოსნობასთან დაკავშირებული რიტუალები.

სხვა ეთნოგრაფიული წესჩვეულებებიდან ყურადღებას იპყრობს ცნობები დიდ ოჯახზე, ქალის დანიშვნა-გათხოვებაზე („ახთი ოხვენუ"), ქორწილზე („ჭანდა"), აკვნის ქორწილზე („ორწილიში ჭანდა"), ბავშვის აღზრდის წესებზე, გართობა-თამაშობებზე, ცრურწმენასა და გლოვის წესებზე. ნარკვევში შეტანილია საყურადღებო დაკვირვებანი სიმღერა-შაირებსა და ცეკვებზე.

წიგნის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაწილში ფართოდაა გამოყენებული ავტორთა მიერ წლების განმავლობაში ადგილებზე შეკრებილი თქმულება-გადმოცემები და ხალხის ხსოვნაში შემონახული სხვა ცნობები.

რამდენიმე სიტყვა ლაზურ ხალხურ სიტყვიერებაზეც. ლაზთა ზეპირსიტყვაობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. უცნობია მისი ჟანრები, გამოუვლენელია, კერძოდ, ზღაპარი, დღემდის გამოქვეყნებულია ლაზური ხალხური ზღაპრების მხოლოდ რამდენიმე ნიმუში, ჩაწერილი ზურაბ თანდილავას მიერ („ხალხური სიბრძნე", ტ. II, 1964, გვ. 505—514), რაც, რა თქმა უნდა, სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს მდიდარი ლაზური ზეპირშემოქმედების შესახებ.

ლაზური ტექსტები, როგორც ითქვა, სხვა მკვლევრებსაც გამოუქვეყნებიათ (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ს. ჯიქია, ა. ჩიქობავა, ს. ჟღენტი), მაგრამ სპეციალური მიზნით, თარგმანის გარეშე. აქ კი ტექსტებს თან ერთვის თარგმანიც, რაც ჩვენს მკითხველს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს ხალხური ზეპირშემოქმედების თემატიკა, ძირითადი ჟანრები და მოტივები.

წიგნში შესული ტექსტები ჩაწერილია სოფ. სარფში. წარმოდგენილია როგორც ხალხური პროზის, ისე პოეზიის ნიმუშები. პროზაული ტექსტებიდან ინტერესს იწვევს ხალხური ნოველები „მამის სიტყვა" და „ცუდი ცოლი", რომელთა მოტივები ცნობილია როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს მრავალი ხალხის ეპოსში. ეს ნოველები ძვირფას მასალას გვაწვდის ხალხურ ნოველათა სიუჟეტური მოტივების გავრცელებისა და წარმომავლობის საკითხების გასარკვევად

პოეტური ტექსტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალ-ვაჟთა გაშაირება, ანუ ხალხური ქალ-ვაჟიანის თავისებური ვარიანტები. გაშაირების ამ ნიმუშების გათვალისწინება ნათელყოფს, რომ ეგ ჟანრი ხალხური პოეზიისა გავრცელებული ყოფილა მეგრულ და ლაზურ ზეპირპოეტურ შემოქმედებაში. გამოქვეყნებული ტექსტები ხელს შეუწყობს ამ ჟანრის შედარებითს შესწავლას ქართველურ ეპოსში.

სიმსუბუქითა და მხატვრული გამომსახველობით გამოირჩევა სატრფიალო ლირიკის ნიმუშები და სიმღერები „უჩა ბიჭი" („შავი ბიჭი"), „მაყრული ობირუ" („მაყრული სიმღერა"), „ჰელესა", „ჭუტა ნუსა" („პატარძალი").

წიგნი მკითხველს აცნობს ძველი საქართველოს ამ მრავალტანჯული მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხალხური შემოქმედების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. ავტორები ემყარებიან როგორც ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურას, ისე პირადად მათ მიერ ადგილებზე შეკრებილ მასალებს. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის წიგნის ღირსებას.

გულისტკივილს იწვევს მხოლოდ ის, რომ ალაგ-ალაგ ნარკვევი მე-

ტად ზოგადია, საილუსტრაციო მასალის გამოყენებაში იგრძნობა ზედმეტი სიძუნწე, ტექსტები მეტად მცირეა და წარმოდგენილ მასალასაც თან არ ახლავს სრული პასპორტი.

მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას „ლაზეთი" უეჭველად კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.

1965 წ.

ადიშის სავანესთან

ჰაბუკობისას მივლია ამ მაღალ მთებსა და ქარაფიან კლდეებში გამოკვეთილ გზაზე, რომელიც ადიშის ხეობას მისდევს, მაგრამ კვლავ მომენატრა მისი მონახულება.

რა სიახლეა ადიშში, რომლის სახელი ოქროს ასოებითაა ამოქარგული ქართული ენის მატიანეში?

და, აი, უკან დარჩა მიუვალი ქვაღოჯები, უღვირის გადასასვლელს რომ ახლავს, გამოვემშვიდობეთ იფარის საოცნებო ხეობას და გეზი ჩრდილოეთისაკენ ავიღეთ. ნელა შევყევით თეთნულდის ახლო მისადგომებს. ჩემთან ერთად არიან მწერალი ქალი მარგო თომაძე და სტუდენტები, რომლებიც ინტერესით ეცნობიან მომაჯადოებელ სვანურ პეიზაჟს, ენასა და ხალხურ სიბრძნეს. ყურთა სმენა მიაქვს ადიშის წყლის ქუხილს. მალე ჰანელის ქედის სამხრეთ თხემზე გამოჩნდა მთის პატარა, მაგრამ კოხტა სოფელი თავისი ცადაზიდული კოშკებით.

ადიში. უძველესი სვანური სოფელი მაღალ მთებში, რესპუბლიკის უკანასკნელი დასახლებული პუნქტი უკიდურეს ჩრდილოეთში — სვანეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის წყალგამყოფი ქედების ზღურბლზე, თეთნულდის ძირში.

ჰანელის ქედს თუ ცოტა კიდევ ზევით ავყვებით, ჩვენს თვალწინ გადაიშლება საოცარი პანორამა მუდამ ყინულოვანი მწვერვალებისა. თვალს მოგვტაცებს პირქუში უშბა (4695 მ.) და მრისხანე შხელდა (4322 მ.), ქედუხრელი თეთნულდი (4853 მ.) და უკარებელი შხარა (5. 201 მ.). სადღაც, შორს იკარგებიან მთებზე გადასასვლელი ბილიკები, მყინვართა ტაფობები, ქაფმორეული ნაკადულები.

მართლაც, საკვირველია, როგორ ასე ერთად მოუყრიათ თავი ჰაღარა კავკასიონის დიდებულ ცადამწვდენებს! სპეციალისტთა გამოანგარიშებით, უშბა-შხელდას შორის ხომ რაღაც სამ კილომეტრამდის, თეთნულდ-შხარას შორის ათ კილომეტრამდის, ხოლო უშბა-თეთნულდს შორის 28 კილომეტრამდის მანძილია! მწვერვალებისა და მყინვარების ეს შეკრული რკალი, რომელსაც მეფური სიზვიადით

ზეიდან დაჰყურებს ბუნების ჰეშმარიტი საოცრება იალბუზი (5633 მ.), მუდამ განაცვიფრებს ადამიანის გონებას.

სანახაობის სიდიადე რაღაც ზღაპრული სილამაზით მოჩანს მფრინავის კაბინიდან, მით უმეტეს მაშინ, როცა კავკასიონის ცა სარკესავით კრიალებს ან მის ლაჟვარდში ობოლი ღრუბლის დაბნეული ნაფლეთები გედებივით დაცურავენ. გინდა სულ უცქირო ამ მშვენიერებას.

სავსებით ბუნებრივია, თუ ქართველმა კაცმა ოდესღაც აქ, მთის არწივის ამ საბუდარში, იპოვნა არა მარტო მყუდრო სადგომი, არამედ თავისი ძველთაძველი სულიერი კულტურის ხელთუქმნელ ძეგლთა საიმედო სავანეც...

ადიშში სერზეა შეფენილი. თან აკრავს ფართო მინდვრები, ნოყიერი საძოვრები და უხვბალახა სათიბეები, დაბურული ტყეები და მთის გიჟმაჟი ნაკადულები.

ჩამერგაშისა და ჭორაშის, ლაჰილდისა და ჩანიღარის, ლაჭხაშღარისა და ბორგიშის სათიბეები, ტვიბმაშარისა და ლენჩხუბის, ნაალისა და ლეხბარის, ლარვეელისა და ტელფდერის საძოვრები, ლაჟაჰისა და დალბეშის, ლავთვერილისა და რობოლის, ფაკვარისა და ლაბრაშის სახნავ-სათესი ნაკვეთები მთის სუსხიან პირობებთან შედარებით კარგ მოსავალს იძლევიან. მეურნეობის წამყვანი დარგი აქ მაინც მეცხოველეობაა, რასაც ასე დიდი ყურადღება ექცევა.

კაცის სიცოცხლის ერთ-ერთ უშრეტ წყაროს შეადგენს ტყე, რომლის მოვლასა და დაცვაზე ჩვენში მუდამ ზრუნავდნენ და განსაკუთრებით ზრუნავენ დღეს. ღანღაშისა და კაშის, სგიმილდისა (მჟავე წყალი) და ლალქანელის, ლაკცილდისა და ლამუნცხვერიაშის, ლაშდულდაშისა და ლაშთხვერიაშის ტყეები, ადიშს რომ ირგვლივ ერტყმიან, მდიდარია ასწლოვანი, წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეულით.

ადიშელები თავისუფალ დროს ნადირობენ ლაკვცირისა და წურნისოტარის კაპნაროვან მთებზე, სადაც კაჩსანის უდაბურ გამოქვაბულში თავს აფარებენ მუხლუღლელი სვანური ჯიხვები.

შესანიშნავი ლეგენდებია შეთხზული მახლობელ ნასოფლარებზე (მეშხააშარი, ჯგრაგალი, ქურულდაში)...

ყოველ მცირე ნაკვეთს, ყოველ ადგილს, სადაც ადამიანს ფეხი დაუდგამს, მთას, ქედს, სათიბეს, საძოვარს, საყანეს, მდინარეს, ღელეს, ნაკადულს, წყაროს, გზას თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. ამ ადგილებისათვის უხსოვარი ხნის წინათ შერქმეული სახელები ახლაც შემონახულია სოფლის ხსოვნაში და ზეპირად გადაეცემა თაობებს. განსაკუთრებით მდიდარი და ნაირფეროვანია სოფლის მიკროტოპონიმია, ონომასტიკონი.

ადიშელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. იგრძნობა კაცის ალალი შრომა და ნახელავი.

ექვსი ძველი ეკლესია-სალოცავისა და ბევრი ნაკოშკარ-ნასახლარის ნაშთი მოწმობს, რომ ადიში ძველად მჭიდროდ დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, დიდძალი ადამიანი, მრავალი ოჯახი კი დედაწულიანად, გაწყვეტილა რომელიღაც ჟამიანობის დროს. და, როგორც გვაუწყებს ბ. ნიჟარაძე, 1904 წელს აქ მხოლოდ 16 კომლი იყო დარჩენილიო (ჟურნ. „მოამბე", IX, 1904, გვ. 3). მოსახლეობა განსაკუთრებით დიდად გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში: ამჟამად ადიშში 36 კომლი ცხოვრობს.

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა სიახლე. თუნდაც მარტო ის რამდენი რამის მთქმელია, რომ ოდესღაც აქ, ამ თვალმიუწვდომელ მთა-კლდეებში, მოგზაურები ფეხითაც გაჭირვებით იკვლევდნენ ბილიკებს, ახლა კი ნელი რხევით მისრიალებს ავტომანქანა.... .

ეცნობით სოფლის შესანიშნავ ადამიანებს და გხიბლავთ მათი ბუნებრივი თავაზიანობა, სიდარბაისლე, დინჯი, სასიამოვნო ბაასი, სტუმართმოყვარეობა, საკუთარი სოფლის, მისი წარსული და ახალი კულტურის სიყვარული. აქ მოკრძალებით უფრთხილდებიან და ინახავენ მამა-პაპათა სანაქებო ტრადიციებს.

ადიშში ბევრი ნიჭიერი და ენაწყლიანი მთქმელია. მათი მეხსიერება ინახავს ლაღი ფანტაზიის უძველეს მითებსა და ზღაპრებს, ლეგენდა-თქმულებებს, სიტყვებს, რომელთაც ლექსიკონებში ვერ შეხვდებით. და როცა გსურთ მთელი ამ მასალის უფრო ახლოს გაცნობა და ჩაწერა, მთქმელ-ინფორმატორთა შორს ძებნა არ გჭირდებათ. ყველაფერს იქვე ხალისით ჩაგაწერინებენ. თანაც ჩაწერილს გულდასმით შეგიმოწმებენ, გაგისწორებენ: შეცდომა არ გაგეპაროსო. რა სიამაყით მოგითხრობენ ისინი სამახსოვრო ეპიზოდებს ადიშის წარსულიდან! მართლაც, დაუვიწყარია ამ უბრალო ადამიანებთან შეხვედრა და გულითადი საუბარი!

სოფელში ბევრი რამ გაკეთებულა ბინათმშენებლობის დარგში. აუგიათ ახალი, ფართო აივნიანი ქვიტკირის სახლები. მაგრამ ერთი რამ მაინც გულისტკივილით უნდა აღინიშნოს. როცა უცქერი და ერთმანეთს ადარებ სოფლის ძველსა და ახალ ნაგებობებს, უპირატესობას მაინც ძველს ანიჭებ. ნუ გვიწყენენ ადგილობრივი მეგობრები, თუ ვიტყვით, რომ არქიტექტურული გაფორმებით ახალი შენობები დიდად ჩამორჩებიან ძველებს. ერთი მხრით, თვალში საცემია უძველესი მონუმენტური, ცადაწვდენილი კოშკები, ოსტატურად აყვანილი და თავისებურად მოჩუქურთმებული კედლებით, მეორე მხრით, ახალი, უგეგმოდ განლაგებული და ძნელადგასაგები სტილის ქვიტკირის სახლები. მკაცრი კონტრასტია!

ჩვენმა არქიტექტორებმა სოფლებშიაც უნდა შეიხედონ. სვანური ბინათმშენებლობის ძველი ტექნიკა საგანგებოდ შესწავლის ღირსია. კარგი იქნებოდა ტრადიციული ბინათმშენებლობის შეხამება იმ სიახლეებთან, რაც თანამედროვე სასოფლო ბინათმშენებლობამ მოგვცა. ადგილობრივი იაფი, ნაირფეროვანი და მდიდარი საშენი მასალა ამის დიდ შესაძლებლობას იძლევა. საქმეს მხოლოდ გაძღოლა სჭირდება. ამასთან, ჩვენი შენიშვნა მხოლოდ ადიშს კი არ ეხება. ასეთი სურათი რესპუბლიკის სხვა რაიონებშიაც გვხვდება.

ადიში მამაცი მთამსვლელების საბუდარია. არა ერთ ადიშელ მთამსვლელს უსახელებია თავი და მათი ვაჟკაცობა აღბეჭდილიცაა ალპინიზმის ქრონიკებში. გავიხსენოთ თუნდაც სახელი ათსულ (აბესალომ) ავალიანისა, რომელსაც ამას წინათ 98 წელიწადი შეუსრულდა. მას ბევრჯერ დაუმორჩილებია ძნელმისაწვდომი მწვერვალები. ის ერთ-ერთი პირველი ავიდა თეთნულდზე. ათსულ ავალიანი წინ მიუძღოდა ალიოშა ჯაფარიძესა და იაგორა კაზალიკაშვილს, რომელთაც თავის დროზე უძნელეს პირობებში დაიპყრეს თეთნულდი და სხვა მწვერვალები. ჭარმაგ მოხუცს ახსოვს ბევრი საინტერესო ეპიზოდი ქართული ალპინიზმის ისტორიიდან. ცრემლებით იგონებს ალიოშა ჯაფარიძის ტრაგიკულ დაღუპვას.

ვის დაავიწყდება სვანი მთამსვლელების სიმამაცე დიდ სამამულო ომში. იმ მრისხანე ჟამს, როცა ჰიტლერის გათავხედებული ურდოები, მძიმე დანაკლისის მიუხედავად, კავკასიის მაღალ მთებში შემოიჭრნენ და შეეცადნენ თავიანთი ბინძური ფეხის დადგმას ქართულ მიწაზე ბეჩოს უღელტეხილის გზით, მათ წინ სალ კლდესავით აღიმართნენ ადგილობრივ მთამსვლელთა გაბედული რაზმები, მტერს შიშის ზარი დასცეს და უკუაქციეს.

სვან მთამსვლელთა სასახელო საქმეები დიდ სამამულო ომში საგანგებო შესწავლასა და ფართოდ ჩვენებას საჭიროებს.

ადიში სახელოვანი ტრადიციების სოფელია. ორივე ძველი გვარი — ავალიანი და ქალდანი, რომელიც ისტორიულად აქ ცხოვრობს, ერთნაირად იცავდა მამა-პაპათა შესანიშნავ ტრადიციებს. მკვლევრებმა აქედან ზოგი რამ უკვე თავის დროზე გახადეს მსჯელობის საგნად, მაგრამ ერთი რამ კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით აღნიშვნას საჭიროებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძველი კულტურის ძეგლების შენახვა-დაცვის ტრადიციები. ამ მხრით ადიში, საქართველოს ბევრ სხვა სოფელთან ერთად, პირდაპირ ლეგენდარულია. ადიშელებმა ძნელბედობის შაგბნელ ეპოქებში დაღუპვას გადაარჩინეს, სათუთად დაიცვეს და ბედნიერ თანამედროვეობას შემოუნახეს ძველი ქართული სულიერი კულტურის იშვიათი ნიმუშები. სახელი და დიდება მათი

ჩვენს წინაპრებს, როდესაც ქვეყანას გარეშე საფრთხე დაემუქრებოდა ხოლმე, ადიშშიც მოჰქონდათ ბარში შექმნილი ძეგლები და ისინი აქ, მაცხოვრის სახელობის პატარა ეკლესიაში, საიმედოდ ინახებოდნენ, თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ. ძეგლებს, როგორც წესი, უვლიდა და ინახავდა არა ცალკე პიროვნება, არამედ სოფლის მთელი შეგნებული ნაწილი. ამის მრავალმეტყველი მაგალითია თავგადასავალი მეცხრე საუკუნის ერთი უნიკალური ძეგლისა, რომელიც მეცნიერებაში ადიშის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ეს ძეგლი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა ადიშის სავანეში და შთამომავლობას გადმოეცა როგორც ქართული ენისა და კულტურის მარად გაუხუნარი საუნჯე.

ძეგლის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილია. ხელნაწერი შექმნილა შატბერდში — ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთ უძველეს ცენტრში — მეცხრე საუკუნის მიწურულს, ხოლო როცა სამხრეთ საქართველოში ბარბაროსთა სისხლიანი თავდასხმისა და აოხრების საფრთხე გაჩნდა, ის ჯერ წაუღიათ გურიაში, შემდეგ კი ადიშში გადაუტანიათ. ადიშის მშვიდი სავანე, ეს მცირე ეკლესია, სადაც ხელნაწერი ინახებოდა, დღესაც ამაყად დგას სოფლის ბოლოს, მაღლობზე. აქ ამჟამადაც დაცულია ძველი ხელოვნების ნიმუშები, რომელთაც ახლაც მთელი სოფელი ჩვეულებისამებრ უვლის და ინახავს. მაცხოვრის ეს მცირე ეკლესია, სხვათა შორის, იმითაცაა შესანიშნავი, რომ მის სამხრეთ კედელზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი სვანი უცნობი მოღვაწის ფრესკა ასომთავრული წარწერით: „ქ. შეიწყალე მიქელ ჩეგიანი“.

ადიშის ოთხთავი ეტრატზეა გადაწერილი (შეიცავს 386 ფურცელს) მშვენიერი ასომთავრულით და ქართული პალეოგრაფიის იშვიათი ნიმუშია. ჩვენს წინაპრებს იმთავითვე კარგად შეუხსენებიათ ძეგლის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღირსებანი. ამიტომ საიმედოდ იცავდნენ და უვლიდნენ მას. განსაკუთრებული მოკრძალებით კითხულობდნენ, უცხოსა და არასანდო პირს თვალითაც არ ანახვებდნენ და არც გაუმხელდნენ მისი შენახვის ადგილს. სოფლის მოსახლეობა სიფრთხილით ინახავდა ამ საიდუმლოებას.

პირველი ცნობა ადიშის ოთხთავის შესახებ მეცნიერებაში გაჩნდა XIX საუკუნის მიწურულს, 1895 წელს, ისიც მხოლოდ ადგილობრივი, გამოჩენილი სვანი მოღვაწის, ბესარიონ ნიჟარაძის, მეშვეობით. გვიან, 1904 წელს, ბ. ნიჟარაძემ კიდეც გამოაქვეყნა ძეგლის დაწვრილებითი აღწერილობა, რამაც მაშინვე ცხოველი ინტერესი გამოიწვია. 1895 წლამდის ის „არავის უნახავს გარდა გრაფინია უვაროვისაო“, — წერდა ბ. ნიჟარაძე („მოამბე“, IX, 1904, გვ. 13).

ძეგლის ენობრივ-პალეოგრაფიულსა და ლიტერატურულ-ტექსტო-

ლოგიურ მონაცემებს საგანგებოდ იკვლევდნენ სახელმოხვეჭილი სწავლულები როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და საზღვარგარეთ.

ცნობილია ბ. ნიჟარაძის, პ. უვაროვას, ა. ხახანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, რ. ბლეიკის, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას, ი. იმნაიშვილის, თ. გონიაშვილისა და სხვათა სპეციალური ნაშრომები, რომლებშიაც ზედმიწევნითაა გაშუქებული ხელნაწერის ენობრივ-სტილისტიკური და რედაქციული თავისებურებანი, თარიღები, მინაწერები, ილუსტრაციები, მნიშვნელობა და ადგილი ქართული ენის ისტორიაში. ადიშის ოთხთავს გვერდს ვერ აუვლის ქართული ენისა და კულტურის ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი. ამ ტექსტის მონაცემებით ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკის არა ერთ ბურუსით მოსილ საკითხს მოჰფენია ნათელი. იგი ფრიად ძვირფას მასალას გვაწვდის ქართული ენის ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურის, ლექსიკისა და სტილის შესასწავლად.

ძეგლი სამჯერაა გამოცემული. პირველი გამოცემა, როგორც ცნობილია, მინდობილი ჰქონდა ალ. ხახანაშვილს, რომლის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ დაწყებული საქმე ე. თაყაიშვილმა დაამთავრა (1916 წ.). ძეგლის ნაწილი ომის წინ გამოუქვეყნებია ამერიკელ ქართველოლოგს რ. ბლეიკს, ხოლო მთლიანად ის 1945 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ა. შანიძის რედაქციითა და მდიდარი მეცნიერული აპარატით. უკანასკნელი არის საუკეთესო ნიმუში ძველი ქართული ენის ძეგლის მეცნიერულ-ფილოლოგიური გამოცემისა. მის უდავო ღირსებას კიდევ უფრო ზრდის ისიც, რომ ადიშის ოთხთავი დაბეჭდილია ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლის (973 წ.) სათანადო ტექსტების პარალელურად და მკითხველს საშუალება ეძლევა, თვალნათლივ გაეცნოს ოთხთავის სამი უძველესი შატბერდული ხელნაწერის ურთიერთმიმართებას; მეტად საგულისხმო გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1947 წელს გამოსცა სამივე ძეგლის სრული სიმფონია-ლექსიკონი, შედგენილი ი. იმნაიშვილის მიერ ა. შანიძის რედაქციით.

როგორც თვით ძეგლების, ისე მათი სიმფონია-ლექსიკონის გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ადიშის ოთხთავი ამჟამად დაცულია მესტიის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში. ძეგლის დაცვას ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ადიშელები.

— მხოლოდ მთავრობას ჩავაბარეთ, თორემ ძეგლს არავის დავუთმობდით, ის მამა-პაპამ ჩვენ გადმოგვცა შესანახადო! — გვითხრეს სოფლის მოწინავე ადამიანებმა, სერგო და აბესალომ ავალიანებმა. და ეს არა მარტო მათი, მთელი სოფლის აღსარებაა.

ხელნაწერს ახლავს უძველესი დროის საყურადღებო მინაწერები.

დათარიღებულია სამ ვარიანტად წელთაღრიცხვის ქართული და ბიზანტიური სისტემების მიხედვით. კ. კეკელიძემ ჯერ კიდევ 1923 წელს საბოლოოდ გაარკვია, რომ სამივე სისტემით ძეგლის გადაწერის თარიღი 897 წელია.

ხელნაწერს ერთვის მოგვიანო დროის (XVI — XVIII სს.) სვან მოღვაწეთა მინაწერებიც. ერთ მათგანში, რომელიც უეჭველად ადიშშია შესრულებული, მოხსენიებულია სვანი მწიგნობარი იოვანე მუბეჩვანი.

ამ უცნობი მოღვაწის შესახებ, სამწუხაროდ, სხვა ცნობა არ შენახულა. მუბეჩვანი შეიძლება მართლაც ბეჩოელი იყო, რადგან, როგორც თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა ა. შანიძე, სვანური მუბეჩვანი ქართულად სწორედ ბეჩოელს ან ბეჩოელიძეს ნიშნავს (ბეჩო სასოფლო საბჭოს სახელია ზემო სვანეთში). ხსენებული მინაწერის ავტორი მოკრძალებით და ქებით იხსენებს ადიშს: „ღმერთმან შეუნდოს ად(ი)შისა სოფელსაო“...

ადიშის სავანე ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძველესი პატარა კერა იყო. მას არასოდეს მოკლებია ყურადღება და მნახველი. მაგრამ ახლა თითქოს არ ემჩნევა მზრუნველი ხელი, მიუვიწყებიათ, კეთილმოუწყობელია, სამანქანო მისადგომი არა აქვს, ეზო გაუწმენდელია ბალახ-ბულახისაგან, ჩანს, იშვიათად ნახულობენ, ექსკურსანტებიც ნაკლებად ეტანებიან.

წარსულის ამ ნაშთის დაცვას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. სასურველია ახლავე შეკეთდეს მემორიალური დაფა, გაიწმინდოს და გაფართოვდეს მისასვლელი გზა. ამ სამუშაოს მარტო სოფელი ვერ შეასრულებს. პირველ რიგში ამაზე სიძველეთა დაცვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ.

1962 წ.

ასოთამწყობი

ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას დღეს დიდი ყურადღება ექცევა. ქართულ ენაზე გამოდის ათობით ჟურნალი, ასობით გაზეთი, ათასობით წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონებს შეადგენს. ჟურნალი, გაზეთი, წიგნი ადამიანის ცხოვრების მახლობელი და განუყოფელი თანამგზავრი გახდა. ახალ ჟურნალს, ახალ გაზეთს, ახალ წიგნს რაღაც განსაკუთრებული ხალისი და სიხარული მოაქვს. კარგი წიგნი ხელიდან ხელში გადადის. იყო დრო, როცა ჩვენს წიგნს მკითხველი აკლდა. ზაქარია ჭიჭინაძე, ქართული წიგნის ძველი მოჭირნახულე, დიოგენის ფარნით დაეძებდა მკითხველს. მის მიერ რაღაც უმცირესი

ტირაჟით გამოცემული წიგნები (ახლა რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ) წლობით ელაგა მაღაზიის მტვრიან თაროებზე და ჩრჩილი ჰამდა. ასე იყო წარსულში. ახლა სხვა დროა. დღეს გამომცემლობას მკითხველის ძებნა როდი სჭირდება: მთელი ხალხია მკითხველი. მკითხველი ინტერესით ეძებს წიგნს. თითქმის ყველა ოჯახშია მოწყობილი პატარა წიგნთსაცავ-სამკითხველო...

და ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივია. ჩვენი ეპოქა არის ეპოქა წიგნისა, ეპოქა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უმაგალითო აყვავებისა. რაც დრო გავა, წიგნი კიდევ უფრო მეტ ადგილს დაიჭერს ადამიანის ყოფაცხოვრებაში, რადგან წიგნი ცოდნაა, ხოლო ცოდნის გარეშე არ არსებობს ბედნიერება, შეუძლებელია წინსვლა.

ყველას გვიყვარს წიგნი: მას ვკითხულობთ და ვსწავლობთ, სათუთად ვუვლით, ვუფრთხილდებით და ვინახავთ. წიგნი, წყარო ცოდნისა, სამკაულიცაა. მაგრამ განა ყველამ იცის, თუ როგორ იბადება ცოდნის ეს წყარო? რა შრომაა საჭირო იმისათვის, რომ აიწყოს, დაიბეჭდოს, აიკინძოს და მკითხველამდის მივიდეს ლამაზად გაფორმებული წიგნი;

წიგნის გამოცემას პოლიგრაფისტთა მთელი არმია ემსახურება. ეს კეთილი, ჩუმი და მუდამ მოფუსფუსე ადამიანები სიყვარულით დასტრიალებენ თავს წიგნს, ჟურნალს, გაზეთს. ხარობენ კარგი გამოცემებით, გული სწყდებათ პოლიგრაფიული წუნისათვის.

პოლიგრაფისტთა სული და გული ასოთამწყობია. ესაა, ასე ვთქვათ, წიგნის დედა, რომელიც ასო-ასო აწყობს მის სტრიქონებს, გვერდებს, თაბახებს. ასოთამწყობი საკუთარი ხელით სათითაოდ სინჯავს ასიათასობით ნიშანს, რამდენიმე კასას — უჯრედებად დაყოფილ საშრიფტე ყუთებს — უვლის, სიმეტრიული ჰარმონიულობით არჩევს და ალაგებს ასონიშნებს.

წიგნები სხვადასხვანაირი შინაარსისაა და მათი ტექსტიც, რასაც ასოთამწყობნი დედანს უწოდებენ, განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. ადვილთან ერთად ჩვეულებრივ გვაქვს ურთულესი დედნები, ზერთული მათემატიკური და შერეული ქიმიური ფორმულები, მრავალენოვანი ფილოლოგიური შედარებანი, რომელთაც ათეულობით უცხოური ანბანის ცოდნა სჭირდება. გვაქვს ორ- და მეტენოვანი ლექსიკონები, რომლებიც ხუთ-ექვსნაირ განსხვავებულ შრიფტს მოითხოვენ. ყოველივე ეს ასოთამწყობის ხელით უნდა გაიმართოს. აქ მარტო ფორმულებისა და რთული ფილოლოგიური ნიშნების ცოდნა როდი კმარა. ყოველი სტრიქონი მოთმინებით გაწყობას მოითხოვს, რომ პოლიგრაფიულად ძნელი ტექსტი მკითხველისათვის ადვილად გასაგები გახდეს. მდგომარეობა უფრო მძიმდება, თუ ხელით წყობასთან ერთად საქმეში ლინოტიპიცა და მონოტიპიც უნდა ჩაერთოს.

ასოთამწყობი მეტად ძნელ, მაგრამ ფრიად საპატიო შრომას ეწევა.

მან ავტორის ჩანაფიქრსა და ორიგინალის ასონიშნებს პოლიგრაფიული სული უნდა ჩაუდგას. ასოთამწყობი, რომელიც თავისი საქმის ოსტატი არაა, არეულ კასაში საჭირო ნიშნებს არ არჩევს და შემოქმედებითად არ ასრულებს სამუშაოს, ისევე ვერ მოგვცემს, კარგ წიგნს, როგორც მუსიკოსი ვერ განგვაცდევინებს სიმღერის გულთამხილაობას, თუ თვითონ ნოტების იქით შემოქმედებითად ვერ გრძნობს კომპოზიტორის ჩანაფიქრს და მელოდიის სანაცვლოდ ბგერათა ქაოსს გვთავაზობს.

ამიტომ ასოთამწყობის შრომა დიდად დასაფასებელია. ასოთამწყობი ერთგვარად წიგნის „თანაავტორადაც“ გვევლინება. ნუ დავივიწყებთ, რომ წიგნის ორიგინალთან ავტორის შემდეგ, რედაქტორთან ერთად, ყველაზე ახლოს სწორედ ასოთამწყობი დგას.

ავტორი და ასოთამწყობი შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ: წიგნის აწყობისა და კორექტურის სწორების პროცესში ხშირად უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ შენიშვნებს, ერთად სინჯავდნენ ანაბეჭდებს. ხშირ შემთხვევაში ეს მართლაც ასე ხდება.

ასოთამწყობი ყოველთვის საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოსილი ჩვენში. „დროების“. „ივერიის“, „კვალის“, „მოამბის“, ძველი სტამბების ასოთამწყობნი მწიგნობრებიც იყვნენ. ჩვენამდის შემონახული ძველი საკორექტურო ფურცლები მოწმობენ, რომ ასოთამწყობებს თავის დროისათვის საკმარისად მაღალი ზოგადი და პოლიგრაფიული მომზადება ჰქონდათ. მათ შენიშვნებს პატივისცემით უწევდნენ ანგარიშს გამომცემელნიც, ავტორებიც. უნდა გვახსოვდეს, რომ ასოთამწყობები იყვნენ ლადო კეცხოველი, აბელ ენუქიძე, გიორგი სტურუა, სილვა თოდრია, ვანო ბოლქვაძე, რაჟდენ გვეტაძე, სოლომონ თავაძე, იაკინთე ლისაშვილი და ბევრი სხვა საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი.

ჩვენი მწერლები გულწრფელ ქებას ასხამდნენ და ასხამენ ასოთამწყობთა მარჯვენას. მშვენიერი ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები მიეძღვნა ამ თემას როგორც წინათ, ისე განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში. ვის დაავიწყდება, მაგალითად, იროდიონ ევდოშვილის ცნობილი ნაღვლიანი ლექსი „სიმღერა ასოთამწყობისა“ (1900 წ.). თავისუფლების შომღერალმა შგოსანმა შეუფერადებლად გვიჩვენა ასოთაწმყობის მწარე ხვედრი წარსულის წუვდიადში. სახელოვანმა თანამედროვე პოეტმა ხუტა ბერულავამ მშვენიერი ოდა უძღვნა „ქართველ მესტამბეებს“, ხოლო მწერალმა გიორგი ნატროშვილმა შექმნა სამახსოვრო პორტრეტი მესტამბე-ასოთამწყობისა სულხანის სახით („თეთრი ხნული, შავი თესლი“, 1965 წ.). გადმოგვცემენ, რომ ალ. ყაზბეგმა „ელგუჯას“ გაგრძელება ასოთამწყობთა დაჟინებითი მოთხოვნით დაწერა, თორემ თავდაპირველად იგი მცირე ნოველას

წარმოადგენდა და თავად ელგუჯა იღუპებოდა უსამართლობასთან პირველშეტაკებისთანავე. ასოთამწყობებს განუცხადებიათ: თუ მწერალი ასე ადრე და მოულოდნელად დაღუპავს თავის ელგუჯას — ამ მშვენიერ ვაჟკაცს — ჩვენ მოთხრობის ტექსტის აწყობაზე უარს ვაცხადებთო. მწერალს გაუთვალისწინებია ასოთამწყობთა შენიშვნა, თხზულების ნაწყვეტისათვის ბოლოს მიუწერია: „გაგრძელება იქნებაო“ და, მართლაც, შემდეგ ბრწყინვალე რომანი შეუქმნია.

ტრადიციულად ასოთამწყობთა საუკეთესო თაობები აღიზარდნენ უკანასკნელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში. ოციან წლებში თავიანთი სამაგალითო საქმეებით თავი გამოიჩინეს მოწინავე ასოთამწყობებმა: გიორგი იამანიძემ, შალვა ცაგარეიშვილმა, გიორგი ოქიტაშვილმა, შალვა წივწივაძემ, გედეონ ბოლქვაძემ, აკაკი ფანცულაიამ, სამსონ ბეკურაშვილმა, ვასო გარსევანიძემ, უშანგ ჯაშმა, შალვა გოგოლაშვილმა, იოსებ ოსეფაშვილმა, ლონგინოზ მახარაძემ, ნიკო ასლამაზაშვილმა, ერასტი ტოროტაძემ, გიორგი და ვანო ედიშერაშვილებმა, გიორგი ქიქიძემ, აშოთ შახნაზაროვმა, გიგო ღლონტმა, ვალერიან ჭეიშვილმა, სანდრო იაშვილმა, პეტრე ახალკაცმა, იასონ მხატვარმა, გიორგი ჯაბადარმა, სტეფანე და ალექსანდრე ელიაძეებმა, შალვა ურუშაძემ, რომლებიც დიდხანს მუშაობდნენ „კომუნისტის“ სტამბაში, აგრეთვე გიგო ხეჩუაშვილმა, მაკარ გოგუაძემ, გიორგი დონაძემ, ნოე კაკუშაძემ, ილო სონღულაშვილმა, დავით ჩირაძემ, ვარლამ ქარქაშაძემ, რომან მანდრიცკიმ, ნიკოლოზ რომანოვმა, გიორგი შალეაშვილმა, ამბროსი ომიაძემ, კორნელი ხელაძემ, მიხეილ გარსოშვილმა, დავით სუხიშვილმა, გიორგი დოხნაძემ, გერასიმე ბლიაძემ, პავლე გოჩიტაშვილმა, იოსებ ვარდოსანიძემ, ილიკო სონღულაშვილმა, ფილიპე ბერძენიშვილმა, გოგუცი ტატიშვილმა, ლუბა შენგელიამ, ვანო ბერიკაციშვილმა, გრიშა ჩხაიძემ, პეტრე გოკიელმა, სოსო ყიფიანმა, პეტრე ნუგეშიძემ და სხვებმა. ისინი აწყობდნენ წიგნებსაც, გაზეთებსაც, ჟურნალებსაც. ბევრ მათგანს მეც კარგად ვიცნობდი, მინახავს მათ მიერ სიყვარულით აწყობილი ტექსტი, გასწორებული კორექტურა. მათ აღზარდეს ახალგაზრდა ასოთამწყობთა კადრები, მათ შორის ლინოტიპისტები. ჩქარა ჩვენს სტამბებში წამოიზარდა და ძველ თაობას მხარში ამოუდგა ასოთამწყობთა ახალი პლეადა. ვისაც დღეს წიგნის გამოცემასთან საქმე აქვს, ის კარგად იცნობს ძველი და ახალი თაობის ისეთ საუკეთესო ასოთამწყობებს, როგორიც არიან ვახტანგ გურგენიძე და ალეკო ტერელაძე, გულჩინა მეტრეველი და ლამარა სეფაშვილი, ვალერიან ტაბატაძე და იოსებ ბედიანიშვილი, ანზორ გოგინაშვილი და სერგო ანდროსოვი, ანტონ ჩირაძე და სხვები (თბილისის უნივერსიტეტის სტამბა), გიორგი პაპინაშვილი და ნიკო ბერიძე, სპირიდონ ციციშვილი და გრიგოლ ჩხაიძე, ჭსენია

მახარაძე და გრიშა გასპაროვი, არჩილ გოგოლაშვილი და გრიგოლ პავლიაშვილი, მიხეილ მურადოვი და ვალოდია მელქუმიანი, თამარ პოპიაშვილი და ზამირა გიგაშვილი, მარგო ნაცვლიშვილი, თამაზ ინწკირველი (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა), ალექსანდრე ზარიძე და კოტე მჭედლიშვილი, შოთა ვეშაპიძე და გივი ვეკუა, იპოლიტე კლარჯეიშვილი, ოთარ მიქაძე და სხვები (პოლიგრაფკომბინატი), ოთარ მიქელაძე (პირველი სტამბა) და გურამ კაკუშაძე (მეორე სტამბა), ალიოშა შოენაძე და ანდრო თოდუა, ვახტანგ ნიკოლაიშვილი და მერი მამულაიშვილი-მეგრელიშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა), თამაზ დემეტრაშვილი და ბონდო აბუთიძე (წიგნის ფაბრიკა) და ათეულობით სხვები, რომელთა აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. საუკეთესო ასოთმწყობები გვყავს არა მარტო თბილისის, არამედ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, თელავის, ახალციხის, ზუგდიდის, მახარაძის, მესტიისა და სხვა რაიონთა სტამბებშიაც. მათაც კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მართალია, ზოგიერთი მათგანი შემდეგ დაწინაურდა ხელმძღვანელ სამუშაოზე — სტამბების დირექტორებად, პოლიგრაფმრეწველობის ტრესტის სამმართველოთა ხელმძღვანელებად ან სხვა სამუშაოზე (გ. იამანიძე, შ. წივწივაძე, გ. დონაძე, ვ. ხორბალაძე, ნოე და გურამ კაკუშაძეები, ა. შახნაზაროვი და სხვ.), ზოგი პენსიაზე გავიდა (შ. ცაგარეიშვილი, გ. ოქიტაშვილი, გ. ყივიძე, ა. ფანცულაია, გ. ღლონტი, დ. ჩირაძე და სხვ.), ზოგიც უდროოდ გამოაკლდა ჩვენს რიგებს (უ. ჯაში, გ. კორძაია, ვ. პირცეცხლაშვილი, ფ. მეფისაშვილი, ი. ბაბილოძე, მ. გორგიაშვილი, ვ. კობახიძე, ი. ოსეფაშვილი, ლ. მახარაძე, ნ. ასლამაზაშვილი, ე. ტოროტაძე, კ. გაბუნია, ლ. მიქაძე, გ. მაისურაძე, ა. თოდუა, ვ. სულხანიშვილი, კ. სონღულაშვილი, თ. გველესიანი, პ. ახალკაცი, მ. გოგუაძე და სხვ.), მაგრამ მათ სახელებს მაინც მუდამ ღრმა პატივისცემით მოიხსენიებენ მოწინავე ასოთამწყობთა რიგებში.

რა ტექსტები არ აუწყვიათ, რა წიგნების ურთულესი სტრიქონები არ გაუმართავთ მათ მადლიან ხელებს. ეს წიგნები დღეს ამშვენებენ ჩვენს ბიბლიოთეკებს. ალიოშა შოენაძის, ვახტანგ გურგენიძის, ოთარ მიქელაძის, ალეკო ტერელაძის, ანზორ გოგინაშვილის, ლამარა სეფიაშვილის, გულჩინა მეტრეველისა და მათი მეგობრების მიერ აწყობილი მათემატიკური და ქიმიური ფორმულებით დატვირთული თაბახები, რთული ფილოლოგიური გამოკვლევები, ძველქართული, სვანური, აფხაზური, ლათინური, ბერძნული, სპარსული, არაბული, არამეული, ძველებრაული, სომხური ტექსტები შემოქმედი მუშაკის მარჯვენის ანაბეჭდს ატარებენ. ეს დაუზარელი ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წიგნებს არ მოაკლდეს პოლიგრაფისტის მზრუნველი ხელი, არ გაიპაროს მათში შეუსაბამობანი. მათ უანგარო შრომის

შედეგს გაუხარებია ავტორებიცა და მკითხველებიც. მათი ხელიდან გამოსულ წიგნებს სიამოვნებით შეხვედრია მკითხველი შინ და გარეთ, ბევრ მათგანს საყოველთაო მოწონება დაუმსახურებია.

ასოთამწყობის შრომა უფრო მეტად უნდა დაფასდეს, ვიდრე ახლა ვაფასებთ. მას მუშაობის უკეთესი პირობები უნდა შეექმნას.

იყო დრო, როცა ასოთამწყობთა სახელებს იხსენიებდნენ რედაქტორებთან, კორექტორებთან, მხატვრებთან, ტექნიკურ რედაქტორებთან და გამომშვებებთან ერთად, და სავსებით სამართლიანადაც. ეს კარგი ტრადიცია დავიწყების ღირსი არაა.

ასოთამწყობის გვარი, ჩვენი აზრით, ყველა წიგნს უნდა დაეწეროს. ეს ორმხრივაა ჩვენთვის სასარგებლო: ჯერ ერთი, კიდევ უფრო გაზრდის ასოთამწყობის პასუხისმგებლობას და, მეორე მხრივ, მკითხველს აუწყებს, თუ ვისი ნაღელავია ის.

ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები მუდამ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ ასოთამწყობთა მძიმე შრომას. მათ წიგნებში მოკრძალებული მადლობითაა ხოლმე მოხსენიებული ასოთამწყობთა გვარები. გავიხსენოთ ორიოდე ფაქტი.

ცნობილია, რომ აკად. ნიკო მარი თავისი მეტად რთული წიგნების (ძველქართული, სვანური, აფხაზური, ძველსომხური, სპარსული, არაბული, კოპტური, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებისა და სხვა რთული ტექსტების) ასაწყობად თბილისიდან ლენინგრადს იწვევდა ხოლმე აღმოსავლურ ენათა მცოდნე ასოთამწყობებს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავისი ერთ-ერთი მეტად ძნელად ასაწყობი წიგნის („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბ., 1937) წინასიტყვაობაში გულითად მადლობას უძღვნის, ასოთამწყობებს: ვ. ესაიაშვილს, დ. ბერიძეს, ა. შიუკაშვილსა და გ. აბუთიძეს გაწეულ შრომისათვის. ასევე აკად. ა. შანიძე თავისი „ქართული ხალხური პოეზიის“ (I, ხევსურული, თბ., 1931) წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „წიგნი აწყვეს ასოთამწყობებმა ვ. ბოლქვაძემ, ალ. ქართველიშვილმა, ვ. ბერიკაშვილმა, ა. ლომიძემ, ს. ინასარიძემ, ი. ახვერდოვმა, ვ. გულისაშვილმა, გ. ფავლენიშვილმა და ვ. სამადალაშვილმაო“; „ვეფხისტყაოსნის“ უახტანგისეული რედაქციის (1712 წ.) აღდგენილ გამოცემას, რომელიც ა. შანიძემ განახორციელა 1937 წელს, უკანასკნელ გვერდზე აწერია: „ამწყობი გ. არსენიშვილი“; პროფ. ს. ყენტის წიგნის („ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“, თბ., 1965) რედაქტორ აკად. გ. ახვლედიანის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ძნელი ტექსტის აწყობაზე დაუზარებლად იმუშავეს უნივერსიტეტის სტამბის ასოთამწყობებმა: ვ. გურგენიძემ, ი. ბედიანიშვილმა, რ. მჟავანაძემ, ა. ნოზაძემ, გ. მეტრეველმა და ნ. გოჭოშვილმაო“; ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის კოლექტი-

ური ნაშრომის („ქართული დიალექტოლოგია", 1, თბ., 1961) შესავალში აღნიშნულია: „წიგნზე გულმოდგინედ მუშაობისათვის მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ საამწყობო საამქროს უფროსი ვახტ. გურგენიძე, ასოთამწყობები: ლ. სეფაშვილი, ა. ნოზაძე, რ. მჟავანაძე, ნ. გოჭოშვილი, გ. მეტრეველი და ლ. ჭიღლაძე; მბეჭდავები ს. მაკინჯანიანი და ვ. აბგაროვიო" და ა. შ.

ასოთამწყობთა შრომას დამსახურებული შეფასება მისცეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" გამოცემის მესვეურებმა (მთავარი რედაქტორი აკად. ა. ჩიქობავა). მკითხველი ეცნობა ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა ჩვენი ეროვნული საუნჯის ამ რვატომეულის გამოცემაში, მათ შორის, ასოთამწყობებსაც. ლექსიკონის თითოეულ ტომს ცალ-ცალკე მიწერილი აქვს ასოთამწყობთა გვარები. აქედან ვგებულობთ, რომ ლექსიკონის ძნელი ტექსტის აწყობაზე წლების განმავლობაში უმუშავიათ ასოთამწყობებს: ა. წერეთელს, ი. ხვიჩიას, გ. ახობაძეს, ივ. კანდელაკს, ელ. საღინაშვილს, ალ. შოვნაძეს, ლ. ბერძენიშვილს, მ. კაკაბაძეს, ა. კორკოტაძეს.

შეგვეძლო დასახელება თითო-ოროლა სხვა წიგნებისაც, რომელთა ბოლო გვერდებზე ვეცნობით არა მარტო ასოთამწყობთა, არამედ მბეჭდავთა და მკინძავთა ვინაობასაც. მაგრამ ასეთ წიგნთა რაოდენობა მაინც ცოტაა, თითებზე თუ ჩამოითვლება. ჩვეულებრივ კი მკითხველი არ იცნობს წიგნის ამწყობს და გამომცემლობებსაც საჭიროდ არ მიაჩნიათ ამწყობთა გვარების აღნიშვნა-მოხსენიება. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა დავხუროთ ასოთამწყობს უჩინმაჩინის ქუდი? განა მათი ვინაობის მოხსენება სხვა წიგნებსაც ისევე არ დაამშვენებდა, როგორც ზემოხსენებულ წიგნებს ამშვენებს?

ჩვენ გვინდა დავაყენოთ ორი საკითხი:

1. მეტი პატივი ვცეთ პოლიგრაფიული წარმოების თავდადებულ მუშაკთა, ჩვენი მუშათა კლასის სახელოვანი რაზმის — ასოთამწყობთა შრომას! მოვხადოთ ასოთამწყობებს უჩინმაჩინის ქუდი, რომელიც მათ უსამართლოდ დაახურეს, და წიგნის მკითხველებს ავტორებთან, მხატვრებთან, რედაქტორებთან, კორექტორებთან ერთად გავაგებინოთ ასოთამწყობთა ვინაობაც!

2. შემოვიღოთ ასოთამწყობთა საპატიო წოდება.

ასთამწყობთა მეტად რთული შრომის ღირსეულად დაფასება, უფრო მეტად წახალისება და პირობების შემდგომი გაუმჯობესება, გვჯერა, ხელს შეუწყობს მათი პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას, განამტკიცებს ასოთამწყობთა რიგებს კვალიფიციური მუშაკებით.

პირთა საძიებელი

აბაევი ვ. ი. (Абаев В. И.) 365, 368.
აბაშიძე გრ. 306, 308.
აბაშიძე ი. 306.
აბრამიშვილი ან. 152.
აბულაძე ილ. 7, 27, 58, 59, 70, 102, 105, 106, 107, 108, 116, 118, 167, 169, 260.
აბულაძე ოსტ. 27, 32, 34, 321, 350, 353.
ადელუნგი ი. (Adelung F.) 127, 128, 133, 134, 135, 136, 138.
აეალიანი ათ. 393.
აზადოვსკი მ. კ. (Азадовский М. К.) 268, 273, 274.
ათონელი ეფთვიმე 17.
ათონელი იოანე 17.
აკულიანცი ა. (Акулинц А.) 268.
ალავიძე მ. 87, 89.
ალექსანდრე I, 35, 117, 121.
ალექსანდრე II, 35.
ალექსანდრიელი ათანასი 8, 9.
ალექსანდრიელი კირილე 58, 100, 102, 104, 105, 185.
ალექსიშვილი მ. 181.
ანდრეევი ა. პ. (Андреев А. П.) 324.
ანდრეევი ნ. პ. (Андреев Н. П.) 224, 268.
ანიჩკოვი ს. ვ. (Аничков С. В.) 269.
ანტონ I, 17, 18, 28, 67, 322.
ანტონოვსკაია ა. ა. (Антоновская А. А.) 304, 306, 308.
არჩილი 34, 65, 73, 140, 181.
ასური საბა 92, 108.
აფანასიევი ა. ნ. (Афанасьев А. Н.) 267, 268, 284.
აღმაშენებელი დავით 35.
აღნიაშვილი ლ. 263.
აჭარიანი პრ. 36.
ახალაძე ვ. 378.
ახვერდოვი ნ. ი. (Ахвердов Н. И.) 133, 380.
ახვლედიანი გ. 86, 206, 236, 301, 375, 401.
ბაგრატიონი ბაქარ 150, 186, 187.
ბაგრატიონი დავით 17, 326.
ბაგრატიონი თეიმურაზ 195.
ბაგრატიონი ვახუშტი 44, 45.
ბაგრატიონი იოანე 17, 150, 173, 177, 178, 179, 180, 203, 326, 327, 328, 330, 331, 332, 333, 334.
ბაკმაისტერი ლ. (Бакмайстер Л.) 127, 131, 135.
ბარათაშვილი ნ. 306.
ბარამიძე ალ. 27, 50, 55, 61, 65, 66, 67, 68, 69, 73, 107, 181, 182, 203, 206, 350, 353, 356.
ბასილი დიდი 108.
ბატალინი ნ. (Баталин Н.) 184.
ბატონიშვილი დ. 70, 71 (ნ. ბაგრატიონი დ.).
ბატონიშვილი თ. 354 (ნ. ბაგრატიონი თ.).
ბატონიშვილი ი. 13, 50, 60, 61, 65, 67, 68, 69, 150, 151, 195, 203, 205, 206, 207, 215, 254, 260 (ნ. ბაგრატიონი ი.).
ბედიე 269.
ბეილი პ. 58.
ბელინსკი ბ. (Белинский В.) 196, 197.
ბენეშევიჩი ვ. (Бенешевич В.) 144, 145.
ბერიძე ვ. 16, 27, 32, 63, 96, 293, 324.
ბერულავა ხ. 306, 398.
ბერტელსი ე. (Бертельс Э.) 349.
ბერძენიშვილი ნ. 51, 61, 73, 113, 114, 150, 181, 306.
ბიხოვსკაია ს. ლ. (Быховская С. Л.) 229, 230, 368.

ბლეიკი რ. (Blake R.) 9, 185, 395.
ბოგოროდიცკი ვ. ა. (Богородицкий В. А.) 86.
ბოდუენ დე კურტენე ი. (Бодуен де Куртене И.) 320, 366.
ბოკარევი ა. ა. (Бокарев А. А.) 368.
ბოკარევი ე. ა. (Бокарев Е. А.) 128, 188, 325, 376.
ბოლდირევი ა. (Болдырев А.) 350.
ბოლტე ი. (Bolte I.) 269.
ბონდი ს. მ. (Бонди С. М.) 274.
ბოპი ფ. (Bopp F.) 368.
ბოროდინი ა. კ. (Бородин А. К.) 269.
ბორჩევსკი ი. 350.
ბრაგინსკი ი. (Брагинский И.) 350.
ბრიერი მ. (Brièr M.) 9.
ბროსე მ. (Brosset M.) 12, 13, 32, 65, 181, 194, 195, 206, 373.
ბულახოვსკი ლ. ა. (Булаховский Л. А.) 363.
ბულიჩი ს. კ. (Булич С. К.) 127, 131, 133, 136, 183, 184, 185, 194, 195.
ბუსლაევი თ. ი. (Буслаев Ф. И.) 86.
ბუტკოვი პ. გ. (Бутков П. Г.) 181.
ბალანო კ. 19.
გალაკტიონი 87, 88 (ნ. ტაბიძე გალაკტიონი).
გამსახურდია კ. 306, 308.
გამყრელიძე თ. 375, 376.
გარსევანიშვილი ალ. 121.
გარსევანიშვილი ნ. 70.
გაფრინდაშვილი შ. 376.
გაწერელია აკ. 117.
გეწაძე დ. 309, 315, 317.
გეწაძე ი. დ. 365, 370.
გვარამაძე კ. 294.
გვახარია ალ. 350, 351, 353, 354, 356, 357.
გვრიტიძე ბ. 70.
გიგინეიშვილი ბ. 375.
გიგინეიშვილი ი. 401.
გიორგი (მეფე) 117.
გიორგი VIII 35.
გიორგი X 35.
გიორგი XI 52.
გიორგი XIII 117.
გიულდენშტეტი ი. ა. (Güldenstädt I. A.) 127, 128, 131, 132, 133, 135, 138.
გლაგოლევსკი პ. (Глаголевский П.) 83, 85.
გოგებაშვილი ი. 343, 344, 359.
გოლეთიანი გ. 304, 306, 307, 308.
გოლცევი ვ. (Гольцев В.) 304.
გონიაშვილი თ. 395.
გორკი ა. მ. (Горький А. М.) 304, 306.
გოცაძე მ. 116.
გრიგორიანი კ. 368.
გრიმები ძმ. (Grrim Br.) 271, 272, 274.
გრიშაშვილი ი. 63, 306.
გროტი ი. კ. (Грот Я. К.) 127.
გუდავა ტ. 375, 376.
გურამიშვილი დ. 8, 30, 68, 140, 182.
გუჯეჯიანი მ. 382.
დავით X 35.
დავითიანი ალ. 382, 383; 384.
დალი ვ. (Даль В.) 259, 270, 271, 274.
დეეტერსი გ. (Deeters G.) 90.
დერჟავინი ნ. ს. (Державин Н. С.) 196.
დესნიცკაია ა. ვ. (Десницкая А. В.) 365.
დიუმეზილი ჟ. (Dumézil G.) 376.
დოდაშვილი კ. 16.
დონაძე კ. 240.
დონდუა ვ. დ. 51, 339, 365.
დონდუა კ. დ. 143, 306, 322, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375.
დუმბაძე მ. 51.
ებანოიძე თ. 378.
ეგნატაშვილი ნ. 150, 151, 152, 156.
ეგნატაშვილი ს. 150, 151, 156.
ეკეოშვილი ირ. 398.
ენდელაძე ჟ. 378.
ერენბურგი ი. (Еренбург И. Г.) 304.
ერისთავი რ. 50, 51, 52, 55, 64, 65, 68, 69, 120, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 262.
ერისთავ-შერვაშიძე ნ. (Еристов-Шервашидзе Н.) 63.
ეფიმოვი ა. (Ефимов А.) 363.
ვანილოში მ. 387, 390.
ვაჟა-ფშაველა 36, 37, 38, 39, 40, 239, 284, 306, 359.
ვახტანგ VI 63, 65, 66, 113, 117, 182, 186. 187.

ვენგეროვი ს. (Венгеров С.) 366.
ვინოგრადოვი ვ. ვ. (Виноградов В. В.) 363.
ზაალიშვილი ზ. 70.
ზანდუკელი ფ. 357, 365.
ზარზმელი ბასილი 7.
ზელენინი დ. კ. (Зеленин Д. К.) 284.
ზოსიმე (ორბელიანი) 54, 55, 56, 67, 68.
თამარი 35.
თამარაშვილი მ. 19.
თანდილოვა ა. 387, 390.
თაყაიშვილი ე. 65, 113, 324, 350, 353, 395.
თოდუა მ. 350.
თომაძე მ. 390.
თოფურია ვ. 86, 91, 93, 97, 99, 110, 230, 284, 301, 382, 383, 401.
იანოვსკი ნ. (Яновский Н.) 209, 210.
ივანიცკი ნ. ა. (Иваницкий Н. А.) 268.
იმედაშვილი გ. 353.
იმნაიშვილი გრ. 223.
იმნაიშვილი დ. 376.
იმნაიშვილი ვ. 7, 8.
იმნაიშვილი ი. 7, 8, 9, 141, 395.
ინგოროყვა პ. 92, 108, 244, 324, 373, 395.
იოანე (ზოსიმე) 17.
იორდანიშვილი ს. 45, 50, 55, 65, 74, 152, 154, 206, 260.
ოსელიანი პლ. 67, 117, 151, 195, 215, 322, 382.
ირბახი ნიკიფორე 18, 354.
კაზალიკაშვილი ი. 393.
კაკაბაძე ს. 27.
კალაიდოვიჩი კ. (Калаидович К.) 84, 184.
კაპანაძე დ. 306.
კარიაშვილი დ. 82.
კარნაუხოვა ნ. ვ. (Карнаухова Н. В.) 268.
კარპოვი ა. (Карпов А.) 184.
კასრაძე გ. 378.
კასრაძე ნ. 70.
კახაძე მ. 108.
კეკელიძე კ. 7,9, 19, 20, 50, 51, 52, 61, 63, 64, 69, 92, 101, 108, 119, 182, 203, 205. 306, 322. 350, 353, 395.
კვაჭაძე ლ. 86.
კეცხელავა დ. 378.
კვიცარიძე პ. 16.
კიკვაძე ა. 181.
კიკნაძე ი. 217.
კიკნაძე ლ. 91.
კიზირია ანტ. 107, 108.
კლაპროთი ი. (Klaproth I.) 131.
კლდიაშვილი დ. 140, 306.
კლიმოვი გ. (Климов Г. А.) 301, 302, 303.
კობიძე დ. 350, 353.
კოკაია-ფანჯიკიძე დ. 8.
კოროგლი 6, 350.
კრაჩკოვსკი ი. (Крачковский И. Ю.) 349.
კულმანი ნ. კ. (Кульман Н. К.) 325.
ლაბაძე ელ. 223.
ლამბერტი არქ. 20.
ლავროვი ლ. (Лавров Л.) 368.
ლენინი ვ. ი. (Ленин В. И.) 325.
ლეპეხინი (Лепехин) 127.
ლეონიძე გ. 40, 41, 42, 43, 60, 64, 67, 181, 182, 295, 297, 298, 300, 306.
ლეონოვი ლ. (Леонов Л.) 304.
ლეონტიევი ა. ა. (Леонтьев А. А.) 325.
ლერმონტოვი მ. ი. (Лермонтов М. Ю.) 304, 306.
ლიპერი ო. (Липпер О.) 284.
ლომთათიძე ქ. 112.
ლომთაძე ე. 376.
ლომინაძე ვ. (Ломинадзе В.) 284.
ლორთქიფანიძე ი. 88.
ლუარსაბ I 35.
მაგაზანიკი დ. (Магазаник Д. А.) 46.
მაისურაძე ი. 27.
მაკალათია ს. 284, 387.
მაკალათია ფ. 335, 336.
მაიაკოვსკი ვ. ვ. (Маяковский В. В) 304, 306
მაიკოვი ვ. (Майков В.) 270, 273.
მაიკოვი ლ. (Майков Л.) 270.
მალაქია (გურიელი) 20.
მამალაძე ტ. (Мамаладзе Т.) 284.
მანი თ. (Mann Th.) 8.
მანჯგალაძე ა. 322.
მარი ნ. (Марр Н. Я.) 16. 22, 27, 34,

57, 58, 90, 92, 95, 97, 99, 106, 107, 108, 147, 234, 324, 340, 349, 350, 353, 366, 367, 371, 389, 395, 401.
მარი ი. (Марр Ю. Н.) 350.
მარტიროსოვი ა. 223.
მაყაშვილი ალ. 45, 261.
მაჭავარიანი გ. 375.
მაჯო (მაჯიო) ფ. მ. (Maggo F.) 18, 19, 20, 21.
მაჰომედბეკოვა ზ. მ. (Магомедбекова З. М.) 376.
მაჭუბი მ. 352.
მგალობლიშვილი ს. 140.
მეგრელიძე ი. 324, 368, 376.
მელეტინსკი ე. დ. (Мелетинский Е. Д.) 284.
მელიქიშვილი გ. 51.
მელნიკოვი პ. ი. (Мельников П. И.) 270, 271.
მენთეშაშვილი ს. 48, 98.
მერჩულე გ. 92, 364.
მესხია შ. 51.
მეტრეველი ელ. 55.
მეშჩანინოვი ი. ი. (Мещанинов И. И.) 368.
მთაწმიდელი გ. 7, 8, 9, 10, 17, 86, 107, 145.
მიკაილოვი კ. (Микаилов К.) 376.
მილერი ვს. (Миллер Вс.) 284.
მირიანაშვილი მ. 51, 71.
მლადენოვი სტ. (Младенов Ст.) 46.
მორერი ლ. 58.
მორდოვცოვი დ. ლ. (Мордовцов Д. Л.) 136, 137, 138, 183.
მროველი ლეონტი 35.
მურკელინსკი გ. (Муркелинский Г.) 368.
მცირე ეფრემ 17, 60, 185.
ნაკაშიძე ნ. 141, 146, 341.
ნეაპოლელი ბერნარდე 356.
ნინოშვილი ეგ. 140, 238, 239, 240, 241, 246, 248, 249, 251, 252, 253, 306.
ნიქარაძე ბ. 394, 395.
ნოღაიდელი ჯ. 112, 230.
ნონეშვილი ი. 306.
ობნორსკი ს. პ. (Обнорский С. П.) 196.
ოვსიანიკო-კულიკოვსკი დ. ნ. (Овсянико-Куликовский Д. Н.) 269, 366.
ოლდენბურგი ს. ფ. (Олденбург С. Ф.) 349.
ონიანი ო. 284.
ონიაშვილი ნ. 50, 71, 72, 116, 117, 118.
ორბელი რ. რ. (Орбели Р. Р.) 194, 195.
ორბელიანი დიმიტრი 66, 68, 72.
ორბელიანი ზოსიმე 71 (ნ. ზოსიმე).
ორბელიანი ს.-ს. 8, 17, 30, 32, 45, 47, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 89, 97, 98, 115, 116, 117, 119, 130, 140, 143, 145, 151, 152, 154, 155, 163, 164, 165, 166, 172, 173, 174, 176, 177, 178, 179, 201, 254, 255, 256, 257, 258, 306, 308, 309, 310, 313, 316, 317, 319, 321, 322, 326, 327, 328, 329, 365.
ოქროპირიძე ნ. 217.
ოქროპირიძე ს. 217.
ოცხანელი კ. (თაყართქილაძე კ.) 262, 263.
პაველკო პ. (Павленко П.) 304.
პალასი პ. ს. (Паллас П. С.) 127, 128, 130, 131, 136.
პაოლინი ს. (Paolini S.) 254.
პასტერნაკი ბ. (Пастернак Б.) 306.
პაუსტოვსკი კ. (Паустовский К.) 304.
პეკარსკი (Пекарский) 127.
პეტრიწი ი. 17, 18, 60.
პეშკოვსკი ა. მ. (Пешковский А. М.) 83, 86.
პოლეტიკა გ. (Полетика Г.) 185.
პოლიევქტოვი მ. (Полиевктов М.) 181.
პოლივკა გ. (Polivka G.) 269.
პოლიკარპოვი გ. (Поликарпов Г.) 185.
პოლონსკი ი. (Полонский И.) 304.
პოტებნია ა. ა. (Потебня А. А.) 142, 278, 284, 370.
პროპი ვ. ი. (Пропп В. Я.) 284.
პუტილოვი ბ. ნ. (Путилов Б. Н.) 280, 284.
პუშკინი ა. ს. (Пушкин А. С.) 185, 262, 263, 264, 267, 269, 270, 271, 272, 273, 274, 304.

ჟირმუნსკი ვ. მ. (Жирмунский В. М.) 349.
ქორდანია თ. 16, 101.
ქღენტი ს. 93, 112, 148, 223, 224, 324, 389, 401.
ქუკოვსკი ვ. (Жуковский В.) 349.
რადლოვი ვ. ვ. (Радлов В. В.) 46.
რაზიკაშვილი თ. 234, 263, 284, 359.
რასტორგუევა ვ. 368.
რატიანი პ. 51.
რექტორი დავით 71, 150, 177.
როგავა გ. 84.
როზანოვი გ. (Розанов Г.) 209.
რომასკოვიჩი ა. (Ромасковичъ А.) 350.
როტინოვი ი. ა. 254.
რუდენკო ბ. ტ. (Руденко Б. Т.) 94, 143.
რუსთაველი შოთა 21, 22, 24, 28, 29, 35, 36, 63, 66, 68, 69, 92, 306.
რუხაძე ტრ. 353.
სალიმოვი ი. (Салимов И.) 350.
სახოკია თ. 284.
სერებრენიკოვი ბ. ა. (Серебреников Б. А.), 338.
სვანიძე ა. 34.
სვიმონ I 35.
სიპოვსკი ვ. ვ. (Сиповский В. В.) 274, 366.
სიხარულიძე ქ. 43.
სიხარულიძე ქს. 253.
სმირნოვი ა. მ. (Смирнов А. М.) 268, 272.
სოკოლოვი ი. მ. (Соколов Ю. М.) 75, 268.
სოლომონ II 88.
სომხიშვილი ვ. 237.
სტალინი ი. ბ. 61, 243.
სულაბერიძე ტ. 343, 345, 349.
სულაკაური ა. 308.
სულხანოვი ა. 254.
სუმცოვი ნ. ფ. (Сумцов Н. Ф.) 273.
სუნიკი ო. პ. (Суник О. П.) 325.
ტაბიძე გალაკტიონ 83, 88, 306 (ნ. გალაკტიონი).
ტაბიძე დ. ი. 87.
ტაბიძე ტიციან 306.
ტატიშვილი ელ. 181.
ტატიშჩევი ვ. ნ. (Татищев В. Н.) 185.
ტახმასიბი მ. 250.
ტიხონოვი ნ. (Тихонов Н.) 304, 306, 308.
ტოლსტოი ლ. ნ. (Толстой Л. Н.) 304, 306.
ტროფიმოვი ვ. ა. (Трофимов В. А.) 86.
ტრუბაჩოვი ო. ნ. (Трубачов О. Н.) 43.
ტრუბეცკოი ნ. (Трубецкой Н.) 376.
ტურჩანინოვი გ. ფ. (Турчанинов Г. Ф.) 365, 367, 368, 370.
უვაროვა პ. (Уварова П.) 395.
უთურგაიძე თ. 341.
უმიკაშვილი პ. 263, 359.
უსლარი პ. (Услар П.) 261.
უშინსკი კ. დ. (Ушинский К. Д.) 343, 345, 347.
ფასმერი მ. (Фасмер М.) 43.
ფედინი კ. (Федин К.) 304.
ფირალიშვილი გ. (Пиралов Г.) 214, 254, 322.
ფოცხიშვილი ა. 54.
ფრანგიშვილი ა. 63, 69.
ფუთურიძე ვ. 350.
ჭავთარაძე ი. 401.
ქავთარია მ. 54, 257.
ქალდანი მ. 382, 383.
ქიაჩელი ლ. 141.
ქუთათელაძე ა. 16.
ქუთათელაძე ლ. 51, 53, 54, 55, 56, 70, 325, 327, 328, 334.
ღამბაშიძე რ. 378.
ღლონტი ალ. 13, 45, 47, 51, 52, 53, 59, 151, 183, 185, 203, 211, 223, 241, 284.
ღლონტი შ. 27, 240.
ყაზბეგი ალ. 107, 146, 306, 359, 398.
ყაუხჩიშვილი ს. 44, 95, 301, 395.
ყიფიანი დ. 322.
ყიფშიძე გრ. 59, 60.
ყიფშიძე ი. (Кипшидзе И.) 50, 51, 52, 55, 59, 62, 65, 88, 120, 128, 148, 149, 161, 173, 177, 229, 260, 284, 324, 389.
ყუბანეიშვილი ს. 8, 47, 145, 146, 187.
შადური ტ. ნ. (Шадури Т. Н.) 306.
შავგულიძე ელ. 87.
შავთელი ი. 8.
შალვაშვილი გ. 349.

შამელაშვილი რ. 254.
შანიძე ა. 7, 8, 9, 16, 17, 27, 36, 50, 51, 52, 55, 59, 62, 65, 69, 77, 86, 91, 92, 93, 101, 106, 107, 108, 120, 143, 144, 145, 166, 173, 176, 177, 229, 230, 234, 240, 241, 260, 284, 293, 301, 306, 319, 322, 329, 338, 340, 371, 382, 383, 384, 385, 395, 396, 401.
შანშიაშვილი ს. 306.
შაშოვანი ზ. 17, 322.
შარაშიძე გ. 293, 489.
შარაშიძე ქრ. 209.
შატბერაშვილი გ. 289, 291, 294.
შაუმიანი რ. (Шаумян Р.) 368.
შახმატოვი ა. (Шахматов А.) 360.
შეგრენი ა. (Шегрен А.) 194, 195, 203, 215.
შენგელაია დ. 107, 306.
შირსკი კ. (Ширский К.) 184.
შუხარდტი ჰ. (Schuchardt H.) 32, 234, 368.
ჩახრუხაძე 66.
ჩაიკინი კ. (Чайкин К.) 350.
ჩერნიშევსკი ნ. გ. (Чернышевский Н. Г.) 253.
ჩიტაია გ. 306.
ჩიქობავა ა. 27, 32, 83, 90, 94, 95, 96, 99, 148, 229, 230, 231, 301, 313, 319, 322, 324, 376, 387, 389, 402.
ჩიქოვანი გრ. 8.
ჩიქოვანი მიხ. 75, 86, 284, 316, 356.
ჩოლოყაშვილი ნ. 254.
ჩორნი ბ. (Черный Б.) 304.
ჩუბინაშვილი დ. 7, 10, 11, 12, 13, 14, 46, 47, 48, 49, 179, 207, 211, 254, 260, 261, 292, 319, 320, 321, 322, 330, 362.
ჩუბინაშვილი იესე 207.
ჩუბინაშვილი ნ. 7, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 32, 45, 46, 47, 48, 69, 71, 143, 150, 151, 154, 156, 158, 159, 168, 207, 208, 209, 210, 211, 212, 255, 259, 292, 313, 320, 321, 322, 329, 330, 331, 332, 333, 362.
ჩუდინოვი ა. (Чудинов А.) 183.
ჩხეტიძე ევდ. 322.
ცაგარელი ალ. (Цагарели А.) 12, 18, 20, 21, 51, 69, 179, 180, 181, 207, 210, 257, 322, 324.
ცერცვაძე ი. 376.
ცინცაძე ი. 181.
ცუკერმანი ი. (Цукерман И.) 368.
ცურტაველი ი. 7.
ცხაკაია კ. 388.
ძიძიგური შ. 27, 112, 223.
ჭავჭავაძე ილ. 8, 92, 106, 107, 140, 145, 146, 215, 234, 238, 240, 244, 245, 246, 306, 359.
ჭანტურიშვილი დ. 318, 325.
ჭარაია პ. (Чарая П.) 98.
ჭიჭინაძე ზ. 207.
ჭონქაძე დ. 306.
ჭრელაშვილი გრ. 214.
ჭრელაშვილი სტ. 240.
ჭუმბურიძე ზ. 27, 87.
ჭყონია ალ. 259.
ჭყონია ი. 96, 97.
წერეთელი აკ. 140, 238, 306, 359, 402.
წერეთელი გ. 107, 146.
ხაიდაკოვი ს. (Хайдаков С.) 376.
ხალანსკი მ. გ. (Халанский М. Г.) 269.
ხაპაპურიძე გ. 181.
ხახანაშვილი ა. ს. (Хаханов А. С.) 284, 353, 359, 395.
ხელაშვილი იონა 151, 215.
ხუბუა მ. 149, 284.
ხუდიაკოვი ი. (Худяков И.) 267, 268.
ხუნდაძე ს. 16, 322.
ხუნდაძე სიმ. 241.
ხუცესმონაზონი გიორგი 8.
ჯავახიშვილი ივ. 7, 18, 44, 45, 61, 62, 69, 132, 133, 145, 229, 284, 301, 306, 322, 323, 401.
ჯანაშვილი მ. 32, 45, 65, 66, 119, 207, 208, 223, 322.
ჯანაშია ს. 61, 92, 108, 306.
ჯარდინა ანტონ 20, 21.
ჯაფარიძე ალ. 393.
ჯეირანაშვილი ევგ. 376.
ჯიქია ს. 46, 47, 341, 389.
ჯენკო ა. (Генко А.) 368.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ა ვ ტ ო რ ი ს გ ა ნ	3

ე ს ე უ ლ ე ბ ი

მყის გლოსემა ქართულში	7
ზმნის მიჩემებითი ფორმების შესწავლის ისტორიისათვის	12
სად დაიწერა პირველი ქართული გრამატიკა უცხოურ ენაზე?	17
„ვეფხისტყაოსანი“ და ტკბილქართული .	21
ერთი ბეჭედი ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“	29
„ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონისათვის	33
ვაჟას ქართული . .	36
სალიტერატურო ენის საკვესთან	40
ლექსიკური შენიშვნები	43
საბა ორბელიანის ლექსიკონის შედგენის თარიღის დადგენისათვის .	49
საბა ორბელიანის ლექსიკონი მის თანამედროვეთა და XVIII საუკუნის მწიგნობართა შეფასებით .	60
ქართული ანდაზების სინტაქსის საკითხები	74
პოეტის მშობლიური სოფელი	87
-ომ, -ორ, -ეტ მაწარმოებელი სუფიქსებისათვის საბას ლექსიკონში	89
კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი . . .	100
ემფატიკურხმოვნიანი გენიტიური მსაზღვრელი ქართლურში .	106
გორის მუზეუმის ქართული ხელნაწერები . . .	115
ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში .	126
ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში	138
ა რ და ვ ე რ ნაწილაკები ქართულში	143
ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში	150
რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის	180
ნ-ს პროცესები დირბულში .	218
გრძელი ა-ს საკითხისათვის ქართლურში	228
ზოგიერთი სინტაქსური მოვლენისათვის ქვემოქსნურში	235
დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში . .	238
რაფიელ ერისთავი და ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები	253
ალ. პუშკინის ზღაპარი ქართულ ფოლკლორში . . .	262
ნოველისტური მოტივები ქართველური ხალხური პროზის ეპიკური ციკლების სიუჟეტიკაში	275

შრომები და ავტორები

დედის ლექსიკონი 289
მწერლის სიტყვა ქართული . 295
ქართველურ ენათა პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონი 301
ქართული ლექსიკა რუსულ ენაში 303
სულხან-საბა ორბელიანის ენა 308
ხანგრძლივი ძიების შედეგი . . . 318
ნარკვევი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხებზე 325
არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია . 334
დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების საკითხები 343
სპარსული დასთანების ქართული ვერსიებისათვის 349
„ქართული ანდაზები" . 357
კ. დონდუას შრომათა კრებული 365
მონოგრაფია დაღესტნის ენებზე . . 375
მართვის ავტომატიზებული სისტემების პირველი ტერმინოლოგია . 378
სვანური ანდაზები 382
ნარკვევი ლაზეთზე 387
ადიშის სავანესთან 390
ასოთამწყობი 396
პირთა საძიებელი 403

რედაქტორი ირ. არაბული
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუცოშვილი
კორექტორები: ლ. არეშიძე, ლ. გულიაშვილი
გამომშვები ა. სააკაძე

ს. ბ. № 1924

გადაეცა წარმოებას 26/VII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-80. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25,75. საღრ.-საგამომც. თაბახი 24,62. უე 06120.
ტირაჟი 2.000 შეკვ. № 3982
ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного Комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.